ISSN 0132—599 X

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

4

1987

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 63-ე | № 4 | აპრილი, 1987 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

### პროზა, პოეზია

ოთარ ჭილაძე — მარტის მამალი. რომანი. დასასრული. . . . . . . . . . 3
კოლაუ ნადირაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . 50
გიორგი ჯორჯანელი — ლექსები . . . . . . . . . . . 54
რევაზ ჯაფარიძე — მრუდე მიხა. მოთხრობა. . . . . . . . . . . 59
ბელა შალვაშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . . 84
დალილა ბედიანიძე — ლექსები . . . . . . . . . . . 87
გურამ კლდიაშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . 91
რაინერ მარია რილკე — ლექსების წიგნიდან: ჟამნი. თარგმნა გერმანულიდან ვახუშტი კოტეტიშვილმა . . . . . . . . . . 94

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ვახტანგ ჭელიძე — მეცხრამეტე საუკუნის სილუეტები . . . . . . . . . 103
ელიზბარ ჯაველიძე — უკეთუ სულით ცხოველ არს იგი. დასასრული . . . . 119
გურამ გვერდწითელი — ხედვის მისეული კუთხე . . . . . . . . . 135

### მეცნიერება

გურამ ნარსიძე — დავათის ქვა-ჯვარი . . . . . . . . . . . . 157
ვახტანგ გოილაძე — მიქაელი იყო „მღვდელი ჭეშმარიტი", მაგრამ არ იყო... 171

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ზ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე

# მარტის მამალი

## რომანი

### 13

მერე ავტობუსში იჯდა და თვითონაც არ იცოდა, ეძინა თუ ეღვიძა, გონზე იყო თუ უგონოდ. ქანცგაწყვეტილი მისვენებულიყო ბოლო სკამზე, თითქოს შორეული წარსულიდან, უხსოვარი დროიდან ბრუნდებოდა და დასიზმრებულს გავდა ყველაფერი: შავად გალურსული გზაც, აწივლებული, ალმუვლებული, ახარხარებული ქარიც თავისუფლად რომ გადი-გამოდიოდა ფარღალალა, ბრეზენტის სახურავიან ავტობუსში — თავად ავტობუსიც, ბორძიკით, ყანყალით, ღრჭიალით რომ მიუყვებოდა გზას და ავტობუსის მგზავრებიც, ჩაყუყულნი, ჩაკარგულნი თავიანთ პალტოებსა თუ შალებში, დაბამბულ ჯუბებსა თუ ომგამოვლილ ფარაჯებში. შემაშფოთებელი სიმშვიდე დაუფლებოდა ყველას, სიმშვიდე კი არა — რინდი, თითქოს იქ არ მიდიოდნენ, სადაც უნდოდათ და, ამიტომ, სულერთი იყო, სად წავიდოდნენ. ანდა, კიდ კ უარესი, თითქოს საერთოდ არ იცოდნენ, თუ მიდიოდნენ. თითქოს ავტობუსში კი არ ისხდნენ, რომელიღაც უცნაური, უშველებელი, პრეისტორიული ცხოველის საშოში ჩასახულიყვნენ ერთდროულად, ერთმანეთზე ასხმულიყვნენ, თუნდაც ვალო ბადალაშვილის მოკლულ კუს კვერცხებივით, და, მიუხედავად უკიდურესი სიახლოვისა, სისხლხორცეული ნათესაობისა, ჯერ კიდევ არ ახელოდათ ერთმანეთის დასანახი თვალი. ჯერჯერობით, ყველას თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი დედის მუცელში, ერთმანეთი რომ არ ამოეგუდათ, არ ამოეზილათ, გადამრჩენელი ალღოს კარნახით, და ჯერ უნდა დაბადებულიყვნენ, ჯერ უნდა მოსწყვეტოდნენ დედის მუცელსაც და ერთმანეთსაც (ანუ — ავტობუსიდან უნდა გადმოსულიყვნენ), რათა დაენახათ, ეცნოთ, ეგრძნოთ, შეჰყვარებოდათ ანდა შესძულებოდათ თავიანთი ტყუპისცალები. არაბუნებრივად მოკუნტულები (ჩანასახთა მსგავსად), არაბუნებრივად მობუზულები და მობრეცილები — ალბათ სიცივის გამო — ისეთივე უცხონი და იდუმალნი იყვნენ ისინი ნიკოსთვის, როგორც ნიკო იმათთვის. თუმცა, არც გარეგნობითა და არც ჩაცმულობით გამოირჩეოდნენ ისინი ნებისმიერი ავტობუსის ნებისმიერი მგზავრებისგან. ჩვეულებრივები იყვნენ, ჩვეულებრივად ნამდვილები, რაც, მხოლოდ და მხოლოდ, იმაში არწმუნებდა ნიკოს, თავადაც რომ ნამდვილი იყო, ნამდვილად ავტობუსში იჯდა და ნამდვილად შინ მიდიოდა: ან ბათუმში

დასასრული. იხ. „მნათობი“, № 3.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

(ანუ, დედასთან და მამასთან), ანდა — სიღნაღში (ანუ, ბებიასთან და დედასთან), თუმცა, ეს თითქმის ერთიდაიგივე იყო, ოღონდ, იმ წუთას, ნიკოს, ძილღვიძილში მყოფს, მაინც ბათუმში ეჩნია, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, ბათუმში, ანუ, ბრძოლის ველზე, უფრო შორს იქნებოდა იმ განსაცდელისგან, სიღნაღში, ანუ, თავშესაფარში რომ დასტყდომოდა თავს. ამის ბრალიც იყო ალბათ, წარამარა რომ ელანდებოდა ქვითკირის ღობეზე ტოტებგადმოწყობილი ლეღვის ხე; თითქოს ბათუმური ჭიშკრის ჭრიალიც ჩაესმოდა ხოლმე და, უნებურად, იძაბებოდა, როგორც ოდესღაც, საავადმყოფოში გვიანობამდე შერჩენილი დედის მომლოდინე. მაგრამ ჯერ ისიც არ იცოდა წესიერად, რომელი ნაწილი იყო მთელისა, უკეთესი თუ უარესი, ცოცხალი თუ მკვდარი და, აქედან გამომდინარე, ცოცხლების თანამგზავრი თუ მკვდრებისა. მაგრამ, ასედაც და ისედაც, ჯერ საშოს ბინადარი იყო მხოლოდ, უგნური, უგრძნობელი ნაყოფი, რომელიც სრულებით არ არის ვალდებული, არც მოწოდებული, გაარკვიოს, რა გზით, რანაირად მოხვედრილა, მაინცდამაინც, ამ საშოში და სად აღმოჩნდება, სად გაახელს თვალს იქიდან თავდაღწეული. არც ნიკო იწუხებდა თავს ამაზე ფიქრით. სულერთი იყო იმისთვის, თვითონ, თავისი სურვილით, შეგნებულად ჩამჯდარიყო ავტობუსში, თუ გზაზე აეყვანათ გონდაკარგული. ეს ბედისწერის ავტობუსი გახლდათ და ბედისწერამ უკეთ იცოდა თავისი საქმე. ბედისწერას უნდა გაერკვია, ერთხელ და სამუდამოდ, ღირდა თუ არა საერთოდ, იმის ხელმეორედ დაბადება, მართლა შეიძლებოდა, მთელის უკეთესი ნაწილი ყოფილიყო ის, თუ მისი მეორე სიცოცხლეც, გაჭრილი ვაშლივით, მსგავსი და ტოლფარდი იქნებოდა პირველისა, ანუ, ისევ ზედმეტი ტვირთი იქნებოდა თავისიანებისთვის, თუ რაღაც ახალი, ყველასათვის საჭირო და საინტერესო აზრისა და დანიშნულების მტვირთველი — ძველებურად, მხოლოდ მოწმე, თუ მონაწილეც ყველაფრისა, რაც მის გარშემო, შეიძლება, უმისოდ, მაგრამ აუცილებლად მის გამოც მოხდებოდა. უფრო უბრალოდ რომ ვთქვათ, ახლა უნდა გარკვეულიყო მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი, რას აირჩევდა, როგორ მოიქცეოდა, სულ ასე ძილღვიძილში გაატარებდა ცხოვრებას, ანუ არარსებული ავტობუსის მგზავრად დარჩებოდა სულ, თუ იმდენი სიმტკიცე მაინც აღმოაჩნდებოდა, მკვლელისათვის რომ ეთქვა მკვლელი ხარო და, რაც მთავარია, ყველანაირად დაემტკიცებინა, ყველანაირად ეგრძნობინებინა. თუკი ამის შესაძლებლობა მიეცემოდა, სრულებითაც რომ აღარ ეშინოდა იმისი, მით უფრო, რომ მართლა აღარ ეშინოდა და ერთადერთი გრძნობა, რაც კიდევ ჰქონდა იმის მიმართ, სიბრალულის გრძნობა იყო, რადგან სიბრალულს იმსახურებდა მხოლოდ, თუკი იმის სანუკვარი ფიქრი, ოცნება და იმედი, მაინცდამაინც, ვიღაცის სიკვდილიდან უნდა ამოზრდილიყო და არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ იქნებოდა ის ვიღაცა, ილია ჭავჭავაძე თუ უსახელო, უსახლკარო, უნათესაო უცნობი. მაგრამ ნიკოს ჯერ მხოლოდ ავტობუსში ჯდომა ევალებოდა, ცხოვრებისკენ რომ შემობრუნებულიყო ისევ, ნელნელა, თანდათანობით და, რასაკვირველია, საკუთარი სურვილით. ევგენია დუგლაძის ჩაფრებს კი არ უნდა გამოეთრიათ ამ ავტობუსიდან, როგორც ერთხელ, თავისი ჭკუით, ყაჩაღად გავარდნილი გამოათრიეს გამოქვაბულიდან, არამედ, თავად უნდა გასჩენოდა დაბრუნების, გამობრუნების სურვილი, თავად უნდა გაეკეთებინა არჩევანი არაფერსა და ყველაფერს შორის, ძალა უნდა დაეტანებინა თავისთვის, კეთილი უნდა ენება და იქამდე არ აელო საძულველი წიგნიდან თავი, ვიდრე იმ წიგნის ბნელსა და იდუმალ ფსკერზე საკუთარ სიბეცეს, სიპატარავესა და სიბეჩავეს არ დაინა-

ხავდა. მოკლედ, ბობოქარი, მკაცრი და დაუნდობელი ბედისწერის გამოტყორცნილი, ჯერჯერობით, აქ, ბენზინის სუნით გაჟღენთილი ავტობუსის წიაღში უნდა გამოშუშებულიყო, როგორც ამირანი — ფურის ფაშვში, ვიდრე ხელმეორედ, და ახლა უკვე საბოლოოდ, დაიბადებოდა.

ავტობუსი კი მიდიოდა, მიბორძიკობდა, ქშენითა და ღმუილით ნთქავდა დროსა და სივრცეს. უხილავ ორმოებში ეზანყებოდა, მოუხერხებლად იქნევდა აჭრიალებულ კუდს გაუთავებელ მოსახვევებში და სუსტი, მბჟუტავი სინათლით დაეძებდა ბოლისფერ წყვდიადში გაუჩინარებულ გზას. თითქოს ალალბედზე მიდიოდა, საკუთარი ძრავის წყალობით კი არა, ქარის ტალღებს მინდობილი. მძღოლიც თითქოს იმიტომ ჩაფრენოდა საჭეს, ბიძგებისგან თავი რომ შეეკავებინა. ბრეზენტის სახურავი ურჩხულის კუდივით იტალღებოდა, ტყლაშუნობდა და ერთი სული ჰქონდა, როდის აიშვებდა თავს, როდის აიტაცებდა ცაში ავტობუსს, თავის მგზავრებიანად. ხოლო ბათუმი, ანდა, სულაც სიღნაღი, იმის მაგივრად, რომ მოახლოვებულიყო, უკანუკან იხევდა მალულად. სიბრაზისგან, უმწეობისგან აღრიალებულ ავტობუსს კი, ლამის გული გასკდომოდა. ქარს მიქონდა იქაურობა. ერთმანეთში გადაეზილა მიწა, წყალი და ჰაერი. მაგრამ მაინც ვერაფერი არღვევდა ავტობუსის ბინადართა სიმშვიდეს, გულგრილობას, რინდს; არავინ ჩქარობდა ავტობუსიდან გადასვლას, თითქოს ქვეყანაც არ დაბადებულიყო ჯერ და ისიც საკითხავი იყო, ფეხის დასადგმელი მიწა მაინც თუ დახვდებოდათ ავტობუსიდან გადმოსულებს.

უცებ ნიკომ ზუსტად ის მგელი დაინახა (ერთი წამითაც არ დაეჭვებულა ამაში), ერთი წლის წინ, ზუსტად ამ გზაზე რომ გაიტანა, ამან თუ არა, ზუსტად ამისთანა ავტობუსმა. მაშინ ავტობუსს თბილისელი ექიმი მოყავდა ვარო ძალოს გადასარჩენად და, შეიძლება, სიჩქარეში ვერცკი დაინახა მგელი, ანდა, ისე გვიან შენიშნა, ვეღარ აარიდა თავისი საზარელი ბორბლები. ასე ფიქრობდა ხოლმე ნიკო, მაგრამ ეს უკვე იმდენად ძველი ფიქრი იყო მისთვის, იმდენჯერ ჰქონდა ნაფიქრი, სრულებითაც აღარ გაჰკვირვებია, ერთხელ უკვე გატანილი მგლის დანახვა. სამაგიეროდ, დანახვისთანავე, ყველაფერი, რაც დავიწყებული ეგონა, უფრო სწორედ კი, რის დავიწყებასაც, რინდითა და თვლემით, აქამდე ამაოდ ცდილობდა თურმე, უხეშად გამომაფხიზლებელი სიცხადით გაახსენდა ერთბაშად: ტყვიით დაფშხვნილი ბათქაშიც, დამფრთხალი ცხენებიც, დაჩოქილი გოგიაც, სისხლით ჩამოშავებული ცხენის თეძოცა და ცხენზე ხურჯინივით გადაკიდებული ყაჩაღიც..

მგელი კი ავტობუსის წინ გარბოდა, თითქოს ავტობუსის სინათლეს, როგორც მარჯვედ ნასროლ ქამანდას, გამოეთრია თავისი სიკვდილიდან, თავისი სიმარტოვიდან, მიუსაფრობიდან. ჯერ უკანა ფეხები და გაბურძგნული კუდი გამოჩნდა მხოლოდ, მერე — ნახევარი ტანი, მერე კი მთლიანად მოექცა მოცახცახე სინათლის ნაკადში. ბალანი ბლუჯა-ბლუჯა ეკიდა ჩაცვენილ ფერდებზე. სინათლეში მომწყვდეული, რაღაცნაირად ზანტად, უშფოთველად, უხალისოდ, მკვდრული განურჩევლობით გარბოდა, თითქოს ავტობუსს კი არ გაურბოდა, წინ მიუძღვოდა, გზას ასწავლიდა, ანდა, გზიდან გადაჰყავდა, ხევში უპირებდა გადაჩეხვას და ცდილობდა, თვალთახედვიდან არ დაჰკარგოდა ავტობუსის მგზავრებს, პირველ რიგში კი — მძღოლს.

სუნთქვაშეკრული, დაძაბული, ავტობუსის ძაგძაგს აყოლილი ნიკო ორივე ხელით ჩაფრენოდა წინა სკამის საზურგეს. დარწმუნებული იყო, მარტო იმას ეჩვენებოდა მკვდრეთით აღმსდგარი მგელი, მაგრამ ვილაცამ რომ დაუძახა მძღოლს, მოეშვი, იქნება უპატრონო ძაღლიაო, უარესად აღელდა, უარესად აიტანა ძრწოლამ. მძღოლმა

ერთი კი მოიხედა უკან, ბრიყვულად გაღიმებულმა, და, კისერდაგრძელებული, მკერდით მიაწვა საჭეს, თითქოს ასე უფროააჩქარებდა მანქანას, საკუთარ ძალასაც მიუმატებდა მანქანის ძრავას.

ავტობუსი ღრიალით მისდევდა მგელს. მგელი კი, დაეფრთხო თუ გაეოგნებინა ავტობუსის ხმასა და სინათლეს, არც ცდილობდა გვერდზე გახტომას. ალბათ ერთხელ კიდევ მობეზრებოდა სიცოცხლე, ერთხელ კიდევ დაეძლია ცხოველური შიში, დაეკარგა ცხოველური სიფრთხილე, ცხოველური ალღო თავდაცვისა და შეგნებულად უვარდებოდა ავტობუსს ბორბლებში. ანდა, თითქოს მხოლოდ იმიტომ ამდგარიყო მკვდრეთით, ნიკოსთვის რომ ეთქვა თავისებურად, რამდენჯერაც არ უნდა დაიბადო, ბოლო მაინც ერთიაო. მანძილი კი ყოველ წამს მცირდებოდა მგელსა და ავტობუსს შორის. „ცოდოა, რას გიშავებსო" — ისევ დაუძახა მძღოლს ვილაცამ, მაგრამ ცალყბად, უგულოდ, შეიძლება, მძღოლის კიდევ უფრო გასაქეზებლად. კაცი ხომ იმას უფრო ეტანება, რასაც აუკრძალავ და დაუშლი. „მოსახვევში თუ არ გამისხლტა, ჩემიაო" — კბილებში გამოსცრა მძღოლმა. მოხედვის დრო აღარ იყო. მღელვარებისა და დაძაბულობისგან თმა აბურძგვნოდა კეფაზე. ნიკომ ჯერ ყრუ ბიძგი იგრძნო, მერე კი წინ წავარდა უეცრად, თითქოს უკნიდან ხელი ჰკრა ვილაცამ, ვილაცამ კი არა, ქარმა, როგორც იქ, ნასაყდრალთან, უპატრონო ძაღლივით რომ გააქცია ყაჩაღისკენ. ხოლო, დამუხრუჭებული მანქანა უკანა ბორბლებზე მოცურდა და სანიშნო ბოძების მთელი მწკრივი მოთხარა. ფარების სინათლემ ჩამორეცხილი, ჩამოღარული ფერდობი გაანათა. „შენი დედა... ცოტას მორჩა, ხევში გადაგვყარაო" — შეიგინა მძღოლმა. მანქანა ნელნელა გასწორდა. ფერდობზე ჩამოსრიალებულ სინათლეში შიშველმა, შავად მბზინავმა ტოტებმა გაიელვეს. მძღოლმა ძრავა გამორთო და მანქანიდან გადავიდა. ნიკოც მაშინვე წამოდგა, თუმცა, ჯერ [illegible] რატომ უნდა გადასულიყო ავტობუსიდან, რა უნდოდა, რას აპირებდა. ანდა, შეიძლება, უკვე იცოდა, მაგრამ ჯერ თავს არ უტყდებოდა. ყოველშემთხვევაში, ავტობუსიდან გადასვლა მის ხელმეორედ დაბადებას ნიშნავდა და, ამდენად, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ პირველ ნაბიჯს მთელი მისი დანარჩენი ცხოვრებისთვის.

მძღოლი უკანა ბორბალთან მიმდგარიყო და თან წყვდიადში გაუჩინარებულ გზას გაჰყურებდა მხარს ზემოდან, სადაც მკვდარი (ორჯერ მკვდარი) მგელი ეგულებოდა. ნიკოს შესცივდა და მკლავები მოისრისა. გზისპირა ხევიდან წყლის ჩხრიალი ისმოდა. ხევში ჩაგუბებულ სიბნელეს სინესტისა და მტვრის სუნი ასდიოდა. ერთი წუთით ქარიც ჩამდგარიყო, ავტობუსივით გაშეშებულიყო ისიც, თითქოს ისიც სულის მოსათქმელად, გადატანილი მღელვარებისა და დაძაბულობის გასანელებლად. ანდა, თითქოს კიდევ ერთი ბუნების შვილის გაუთვალისწინებელ, მოულოდნელ სიკვდილს გაეშეშებინა და უძრაობით, დუმილით გამოხატავდა თავის წუხილს, სიბრალულს, თანაგრძნობას. ხოლო, ბუნების შვილი გზაზე ეგდო, საკუთარი სისხლის გუბეში ცხვირჩაყოფილი. „წამო, წამომაღებინე, ფული ფულად და, იქნება, გაზეთშიც გამომწერონო" — უთხრა მძღოლმა ნიკოს. ხრინწი გარეოდა ხმაში, მღელვარებისა, სიამაყისა. აშკარად უხაროდა, გამარჯვებული რომ გამოსულიყო ამ მოულოდნელი ნადირობიდან, მაგრამ განცდილს უფრო დაეთრგუნა, ვიდრე დაეკმაყოფილებინა, როგორც ქალთან პირველად ნამყოფი ბიჭი, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, კი არ ამოხსნა მისთვის ესოდენ მიმზიდველი და მტანჯველი საიდუმლო, უარესად გაეხლართა შიგ, რადგან მთელი მისი ცოდნა, რაც ქალთან შეხვედრამდე შეეკოწიწებინა, მხოლოდ ქინის მოსაკლავად აღმოჩნდა საკმარისი,

რამაც, თავის მხრივ, სიცარიელის, უძლურობისა და სინდისის ქენჯნის მსგავსი შეგრძნება გაუჩინა. ღამე კი მშვიდად შფოთავდა, მშობიარე ძროხასავით; უხმაუროდ ხმაურობდა, ჯადოქრის მანქანასავით — უამრავი სიკვდილისა და სიცოცხლის, ბედისა და უბედობის, ტკივილისა და შვების, გამართლებისა და გაწბილების გამომჭედავი თავის ბნელ წიაღში.

— რას გაშტერდი, ვერ გაიგე, რა გითხარი?! — დაუძახა მძღოლმა ნიკოს.

ნიკო პირველად მაშინ დააკვირდა მძღოლს და ელდა ეცა: გოგია შერჩა ხელში. „მეც არა ვთქვი, ვინ არის ეს უჯიგროდ შობილიო“ — მწარედ გაეცინა გუნებაში.

— არ გამოვა ეგ ამბავი. — უთხრა ხმამაღლა, აგდებულად.

— რათა?! გეშინია მკვდარი მგლისა?! — გაიღრიჯა გოგია.

— შენ გგონია, მართლა მგელი მოკალი?! — შეუბრუნა კითხვა ნიკომ.

გოგიამ გამოვლილ გზას გახედა უნებურად, გამოვლილ წყვდიადს, სადაც მკვდარი მგელი ეგდო და ელოდებოდა. ერთი წამით მაინც წამოეგო ეჭვის ანკესზე, მაგრამ მალევე დაიხსნა თავი.

— წილში გინდა გაგიყვანო?! — ჰკითხა ნიკოს, უარესად გაღრეჭილმა.

— ფაფუ, შენ ჯილდო, გოგია, ფაფუ, შენი გაზეთი! — სახეში შესცინა ნიკომ.

— ვითომ რატომაო?! — ხმაში აჰყვა გოგია, მაგრამ უკვე შემცბარი, ისევ ეჭვის ანკესზე წამოგებული, ამჯერად უფრო საფუძვლიანად. — რა იყო, რა ფასს იდებ, უცხოს შეაშველებენ ხელსა... — გაიბრძოლა, მტკივნეული, შემაწუხებელი ანკესის მოსაშორებლად. მაგრამ ანკესი კიდევ უფრო ღრმად ჩაესო ხორცში.

— მაშ, შენი აზრით, ძაღლი გავიტანე, არა?! — კი არ ჰკითხა, შეევედრა, მომეხმარე ეჭვის გაფანტვაშიო.

— კაცის მკვლელო, გოგიავ! — იყვირა ნიკომ, როგორც იქ, ნასაყდრალთან, ჯაგნარში.

— რა გაბღავლებს, ბიჭო, ბატკნიანი ცხვარივითა — ნაძალადევად გაიხუმრა შემცბარმა გოგიამ, — დაცინვით დაუყვავა ვითომ, როგორც უფროსმა უმცროსს.

— კაცის მკვლელო! — ისევ იყვირა ნიკომ და ნიკაპი აუცახცახდა, ტუჩები აუთრთოლდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და, როგორც იქნა, მაინც ამოღერღა სათქმელი, სძლია ამ თანდაყოლილ სისუსტესაც — მკვდარ კაცს თითიდან ბეჭედი წააძრე, ერთხელ გატანილი მგელი კი მეორეჯერ გაიტანე...

— შენ, ძმაო, შარზე ხარ, ვიღაცა ხარ. — უარესად აიფხორა გოგია. — ბათუმი-მათუმი არ ვიცი მე, ერთი თუ ავაფრინე.

მაგრამ ნიკოს სრულებითაც აღარ ეშინოდა იმისი, ზიზღნარევი სიბრალულის გრძნობა გასჩენოდა უცებ ამ ბნელი, ხარბი, დაუნდობელი არსების მიმართ, ეცოდებოდა, როგორც ცეცხლში ჩავარდნილი გველი შეეცოდებოდა, ანდა, დასნეულებული და სამზეოზე თავისი ნებით ამოსული ვირთხა.

— სიწა-სიდი-სიშე-სიძღნე-სირო! — უთხრა, რაც შეეძლო მშვიდად, გარკვევით, მაგრამ გოგიამ მაინც ვერაფერი გაიგო:

— რაო?! — დაჰყვლიპა თვალები.

— წადი, შე ძღნერო მეთქი! — უთარგმნა ნიკომ, ისევ მშვიდად, ისევ გარკვევით, როგორც მასწავლებელმა მოწაფეს, და ისეთი შვება იგრძნო უცებ, თითქოს ყელში გაჩხერილი ძვალი ამოელო, ბოლოს და ბოლოს.

— ე-ეეე?! — უარესად გაშტერდა, გაცეცხლდა გოგია.

— ნაბიჭვარო! — მიახარასავით მაშინვე ნიკომ, კიდევ უფრო თამამად, კიდევ უფრო მეტი ხალისით. ჯერ განუცდელი, ენით უთქმელი, ზღაპრული, სიზმრისეული შვებითა და სიხარულით იყო ყელამდე სავსე და, რაც მთავარია, მთელი არსებით გრძნობდა, ღირსი რომ იყო ამ შვებისა და სიხარულისა. უჩვეულოდ თამამი, უჩვეულოდ თავისუფალი, რაღაცნაირი, გა-

ნურჩეველი მიმტევებელობით შესცქეროდა უმწეო სიბრაზისგან უარესად გასაცოდავებულ გოგიას.

გოგია კი, ვითომ გამალებული იქრავდა შარვლის ერთხელ უკვე შექრულ ღილებს და თან მართლა გამალებული ფიქრობდა ალბათ, როგორ მოქცეულიყო, როგორ გადარჩენოდა შერცხვენას, როგორ მოესპო ეს მოულოდნელი, ყოვლად გაუთვალისწინებელი დაბრკოლება თითქმის უკვე განაღდებულ ჯილდოსკენ მიმავალ გზაზე. დამცინავი, ღვარძლიანი ღიმილი პირზე შეჰყინვოდა, აწრიალებული, აფორიაქებული თვალები შუბლზე ესხდნ და ყველაფერი ერჩია ამ ნიკაპდაჰმუჰნულსა და ტუჩებაცახცახებულ ბიჭთან ლაპარაკს.

— ადი, დაჯე, სილნალში გასწავლი, როგორ უნდა ჩემთან ლაპარაკი, — უთხრა ბოლოს, მკაცრი, საქმიანი მიმტევებლობით, როგორც უფროსმა უმცროსს.

ნიკოს აღარც ახსოვდა ავტობუსი, უნებურად, იქითკენ გაიხედა და გაოცებისგან პირი დააღო. როგორ გგონიათ, ვინ ისხდნენ ავტობუსში?! ვინა და ვინცა ყავს თავისიანი, ახლობელი, ვისაც იცნობს საერთოდ, ვისაც სიხარული ან ტკივილი მიუნიჭებია მისთვის როდისმე. ყველანი იქ იყვნენ: დედაც და მამაც, ბებიაც და პაპაც, დეიდაც და მამიდაც (თავის დადა-დოდო-ტატუ-ნია-მია-ნატულიანად), მარგალიტაც და ძია სანდროც (თავის ფიდო-ნოე-აბეიანად), ლეიტენანტიცა და ლამარაც, იოსებაცა და გიუკოლაც (თავის ბარიანად), ექიმიცა და ვანო მასწავლებელიც, უფარაანთ გიორგიც (თავის მეუღლიანად) და მღვდელიც (თავის ქალიშვილიანად), გიგო პაპაც და ანიკო ძალოც, ევგენია დუგლაძეც, ქეთო მასწავლებელიც, კოტე მასწავლებელიც, ნესვაც, გრძელოც, არამინდარაც, ვალო ბადალაშვილიც და, რასაკვირველია, ელენიცაც — ოღონდ, თითქოს ცვილისაგან ჩამოესხათ ყველანი, უაზროდ, უშუქოდ, უინტერესოდ იყურებოდნენ ნიკოსკენ, როგორც არაფრისკენ, სიცარიელისკენ. ეგ იყო რომ, ხანდახან, ბებიის ხმა ჩაესმოდა, ფრთხილი, გაუბედავი — ნიკო, ნიკო, გამოფხიზლდი, ექიმი უნდა მოვიდესო. ეტყობა, ეს ხმაც აღიზიანებდა და იმანაც ძალიან იმოქმედა, არაფრად რომ არ აგდებდნენ, მეორედ შობილს, თავისიანები, რადგან ფიქრშიაც არ გაუვლია იქამდე, რაც მაშინ, მისდაუნებურად წამოსცდა: ყველანი დამნაშავეები ხართო — დაუყვირა ავტობუსს და მერე, თვითონაც აღარ იცოდა, რას სჩადიოდა. ბებია ახლა მთელი ხმით დაჰყვიროდა, გამოფხიზლდი, გეხვეწებიო, თვითონ კი გაშმაგებული სცემდა წიხლებით ავტობუსის უზარმაზარ ბორბალს. „აი, თქვენი პრემია, აი, თქვენი გაზეთი, აი, თქვენი ჯილდოო“ — გაჰკიოდა შეშლილივით და ჰაერით გაბერილსა და ქვასავით გამკვრივებულ სიცარიელეზე ინაყავდა მთელი ძალით, მთელი სიშმაგით, მთელი სიბრმავით მოქნეულ ფეხს. მაგრამ საბოლოოდ რომ გამოფხიზლდა, აღარც ავტობუსი იყო, აღარც გოგია — საკუთარ ლოგინში იწვა, ბნელ ოთახში და იმდენად იყო გაბედნიერებული, გულაჩუყებული თავისი პირველი „გმირობით“ (რა თქმა უნდა, ბრჭყალებში), ძალიანაც რომ მოენდომებინა, მაინც ველარ იფიქრებდა სიკვდილზე. პირველად დაეძლია შიში (თუნდაც ოცნებაში, ფიქრში, ზმანებაში), რასაც კი არ გაეყოყოჩებინა, სიამაყის გრძნობით აევსო; კი არ გაემკაცრებინა, პირიქით, კიდევ უფრო დამთმობი, კიდევ უფრო გულისხმიერი გაეხადა იგი და, პირველ რიგში, თავისიანების მიმართ, რომლებსაც, ამ რამდენიმე წუთის წინ, უკიდურესი სისასტიკით გაუსწორდა, თუნდაც, ავტობუსის ბორბლის მეშვეობით, მაგრამ ახლა უკვე მართლა იცოდა დაძლეული შიშის ფასი და უკვე ისიც იცოდა, თუ რატომ გაუხარდა ამ ათი წლის წინ დედას მისი მომავალი „დიდი კაცობა“, თუნდაც ფულის გულისთვის, თუნდაც

ხელობადქცეული სიკეთის გამო აღთქმული ძუძუმოშიშვლებული ბოშა ქალისგან. ავტობუსის ბორბლის ცემა, რასაკვირველია დიდკაცობად არ ჩაითვლებოდა (მით უფრო ოცნებაში, ფიქრში, ზმანებაში), მაგრამ უფრო ძნელი დასაჯერებელია, „დიდკაცობაში" გაქცევა, გალაჩრება, ავტობუსის ბორბლის ქვეშ ჩავარდნა ეგულისხმა თუნდაც იმ ძუძუმოშიშვლებულ ბოშა ქალს, ნებისმიერ ბავშვს რომ უწინასწარმეტყველებდა იგივეს მანეთად, დაუფიქრებლად რომ შემოსვამდა დიდების კვარცხლბეკზე; მით უფრო — დედას, რომელმაც სამი წლის უნახავ შვილს ცხვირპირიდან სისხლი ადინა, მხოლოდ იმიტომ, იმ სამი წლის განმავლობაში, დედ-მამას მოწყვეტილი, გზას ამცდარი მისი შვილი, თურმე, სწავლაშიც მოიკოჭლებდა და ყოფაქცევაშიც; და, თავისთავად ცხადია, მით უფრო — მამას, რომელმაც, რაკი სხვა არაფერი ებადა, საავადმყოფოს ცივი კატლეტი გაატანა საგზლად ცხოვრების გზაზე პირველად გასულ შვილს. იგივე ითქმის ბებიასა და პაპაზეც (სხვათაშორის — დეიდაზეც), რადგან არც ისინი იდგამდნენ წელებზე ფეხს იმიტომ, ნიკოს მთელი სიცოცხლე კუკუმალობა რომ ეთამაშა გოგიასთან.

აი, როგორი ფიქრები უტრიალებდა უკვე ნიკოს თავში, მაგრამ ერთ წუთას რომ უხაროდა, მეორე წუთას თავზარს სცემდა საკუთარი სიმკაცრე, დაუნდობლობა, უგულობა, უმადურობა და მთელი არსებით, მთელი შეგნებით, ისევ ბავშვობაში შებრუნებას ცდილობდა, ვითომ უკვე სამუდამოდ დავიწყებულ ბავშვობაში, საიდანაც შემთხვევით, მოულოდნელად, გაუთვალისწინებლად და ნაადრევად ამოვარდნილიყო ადამიანური სისასტიკის, ადამიანური უმეცრების, ადამიანური უმწეობისა და ადამიანური შიშის წყალობით. ბავშვობისკენ მიისწრაფოდა, რადგან უკვე ნამდვილად აღარ იყო ბავშვი და ყველაფერი იმდროინდელი, ანუ, უკვე განცდილი, მართლაც რომ ბავშვურად პატარა და უმნიშვნელო მოჩანდა ამჟამინდელთან, ჯერ განსაცდელთან, ჯერ გადასატანთან შედარებით, რის გამოც, ნებისმიერი უკვე გადატანილი სიმწარე ახლა ტკბილად მოსაგონარი გამხდარიყო მისთვის. ამიტომაც მიისწრაფოდა ბავშვობისკენ, უფრო სწორედ, ბავშვობაში გადატანილი ყველაზე მწარე ტკივილისკენ. მიისწრაფოდა, როგორც ბრმა ლეკვი — დედის ძუძუსკენ, დედის სუნით აღგზნებული, მაგრამ უმწეო იმ ძუძუს მისაგნებად. „ჭიტაო" — ხან საიდან ჩაესმოდა დედის ხმა და ხან საიდან, როგორც ოდესღაც, უკეთეს დროს, ბათუმის ბაღში, ხმელი ფოთლების გვირგვინით თავდამშვენებულს. ახლა ხომ გაიგე, რა ყოფილა სიყვარულიო — ეძახდა დედა. ის კი, ნადირის სულსწრაფობით, ნადირის სიშმაგით გარბოდა ბავშვობისკენ, ბავშვობის თოვლში... ბავშვობის ხვავრიელი, სველი თოვლით გადათეთრებულიყო ირგვლივ ყველაფერი. ის კი, ვითომ, პურის მაღაზიის წინ იყო ატუზული და ელოდებოდა, იქნებ, ვინმემ, ღვთისნიერმა, გამომიჩინოს დაკარგული პურის წიგნაკებიო. ისევ მისთვის ყველაზე საზარელ, მაგრამ უკვე გატკბილებულ განცდებში იყო გადავარდნილი და ბათუმური, წყლით გაბერილი ფიფქები ჩასდიოდა კისერში. იდგა და ურნას შესცქეროდა. ურნის კიდეზე კი პაპიროსის სველი, გატყლაპნილი ნამწვავი ბოლავდა, გამომწვევად, მაცდურად, მაგრამ იმას ვერც იმ ნამწვავის აღება გაებედა — შიშის, უბედურების მძაფრი, შემარყეველი შეგრძნებით გაოგნებულს, არც განძრევა შეეძლო, არც ხმის ამოღება. ასე უნდა მდგარიყო, ურნასავით, ისიც ნაფურთხითა და ნამწვავით უნდა დაემარხათ გამვლელებს, რადგან პურის წიგნაკები დაკარგა და სიკვდილის განაჩენი გამოუტანა თავისიანებს. ასე უნდა მდგარიყო და ეკანკალა, იმის ნებაც არ უნდა მიეცა თავისთვის, მაღაზიაში რომ შეერბინა ერთი წამით, თოვლი

მაინც ჩამოებერტყა, ხეებზე მაინც დაეორთქლა. გაუნძრევლად უნდა მდგარიყო, როგორც საპურჭყებელს, სანაგვეს შეეფერება, უფრო ადვილად რომ. მოახვედრონ მიზანში ფურთხიცა და ნამწვავიც. ასე უნდა მდგარიყო, ვიდრე მთლად არ გაეპარებოდა გათოშილი, აწკაპწკაპებული სული, ვიდრე აღარ შეეძლებოდა სახლის, ხის, გამვლელის გარჩევა. აი, იმ აღრჩოლებული, სხვისი ნერწყვით დამბალი ნამწვავის აღება მაინც რომ შესძლებოდა, იქნებ... მაგრამ არა, არც ეს შეიძლებოდა. მიტევება, შეღავათი, დათმობა არ არსებობდა იმისთვის. თუ არ შეიგნებდა, თუ არ მოინანიებდა, თუ თვითონვე არ გამოუტანდა საკუთარ თავს ყველაზე მკაცრ განაჩენს (აკი, გამოუტანა!), მიწაც არ მიიღებდა იმის გვამს, მკვდარი თაგვივით ეგდებოდა მაღაზიის კედელთან, თოვლჭყაპით გაბერილი. მაგრამ, ნუთუ მართლა ასეთი მიუტევებელი ცოდვა ჩაიდინა?! იქნებ, პურის წიგნაკები კი არ დაკარგა, მოპარეს?! მაინც არ შეიძლება იმის გამართლება?! არ შეიძლება. არ შეიძლება, რადგან დედამ, პურის წიგნაკები რომ ჩააბარა, რაკი თავად მომაკვდავ ქმარს ედგა თავზე საავადმყოფოში, დილიდან შუაღამემდე, თუ დილიდან დილამდე არა, თან ისიც უთხრა: აბა, ახლა შენ იცი, ჩემო დიდო კაცოო. ჩვენი სული შენს ხელშიაო. თოვლი კი განუწყვეტლივ ედება დაბეჩავებულ სხეულზე, უარესად უქინდრავს კისერს, უარესად ექაჩება მიწისკენ. ახლა, გინდაც მისცეს თავს ნება, მაინც ვეღარ შევა მაღაზიაში, გასათბობად, ფეხებს საერთოდ დაავიწყდა, რას ჰქვია ნაბიჯი, სიარული... თანაც მაღაზია უკვე დაკეტილია ალბათ. ქუჩა უარესად ჩამობურულა. მოპირდაპირე სახლის კედელი საბოლოოდ გაითქვიფა თოვლსა და ბურუსში. აღარც გამვლელი ჩანს. მარტოა. მხოლოდ პაპიროსის ნამწვი ბოლავს ურნის კიდეზე და მხოლოდ ის ადასტურებს, კიდევ ვიღაცა რომ არის, ანდა, კიდევ ვიღაცა რომ იყო ამ მკვდარ, თოვლში ჩამარხულ ქალაქში. არ გამართლდა ბავშვური გულუბრყვილობით, ბავშვური პატიოსნებით შეკოწიწებული იმედი — არავინ გამოუჩინა პურის წიგნაკები. არავის შეეცოდა. არავინ ჰკითხა: რას უდგეხარ აქაო. არც ახლა კითხულობს ვინმე იმის ამბავს. ღირსი არ არის და იმიტომ. დიდი კაცი კი არა, პაპიროსის ნამწვავია. თანაც, ის კი არა, ჯერ კიდევ რომ ბოლავს ურნის კიდეზე, არამედ, ჩამქრალი, გასრესილი, ტალახსა და ნერწყვში გადაზელილი. მაგრამ მართლა არავინ კითხულობს იმის ამბავს?! მართლა არავინ შეწუხდა, სად არის აქამდეო?! მიუხედავად ამ დიდი დანაშაულისა, მართლა არავის ეცოდება?! მართლა განუდგა ქალაქი?! არ შეიძლება. არ შეიძლება! არ შეიძლება!!! მაშინ, საერთოდ რა საჭიროა პური?! მაშინ, არც ის არის სიცოცხლის ღირსი, ვისაც პურის წიგნაკები არ დაუკარგავს დღეს. თუკი შიმშილი ყველაზე ძლიერი გრძნობაა, თუკი შიმშილს შეუძლია ყველაფერი დაგავიწყოს, მაშინ გულდასაწყვეტიც არაფერია. მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ არის. ხსნაც არსებობს და მიტევებაც. ამით არის სწორედ, ეს მტანჯველი, საზარელი განცდები ესოდენ ძვირფასი და დაუვიწყარი ნიკოსთვის. იცის, რითი მთავრდება, რადგან ბევრჯერ აქვს გადატანილი... და აი, ისიც — მხსნელი და მიმტევებელი! თანდათანობით გამოდის ბურუსიდან. მხრებით მოარღვევს ბურუსს. უპალტოოდ, უბოტებოდ... თავზეპატარაშალმოხვეული. ვერც ის გრძნობს სისველესა და სიცივეს, არც იმას ეშინია ცარიელი, ჩაბნელებული, ჩამკვდარი ქალაქისა, რადგან საავადმყოფოდან დაბრუნებულს, შვილი არ დაუხვდა შინ. ვიდრე იმას არ იპოვის, ვიდრე იმას არ გაათბობს, ვიდრე იმას არ დაამშვიდებს, ამ პატარა ქალაქს კი არა, მთელ დედამიწას მოივლის ასე, უპალტოოდ, უბოტებოდ, თავზეპატარაშალმოხვეული... „ჩემო დიდო კაცო, ჩემო დიდო

კაცოო“ — ეხვევა, კოცნის, ფერთხავს შვილს. შვილი კი, ნაპირზე ამოგდებული თევზივით, ტყუილუბრალოდ აბჩენს პირს, მაინც არ ამოსდის ხმა, მაინც ვერ უთქვამს, მარტო ამ წამის განსაცდელად რომ ღირდა პურის წიგნაკების დაკარგვა, შიშშილი, შიმშილით სიკვდილი. დედა ეხვევა, კოცნის, სულს უბერავს გათოშილ ტუჩებში, ძალით ახელინებს თვალს, ცდილობს, ხელში აიყვანოს, როგორმე აწყვიტოს მიწას, დააბრუნოს მიწაზე, მაგრამ შვილი ხელიდან უსხლტება, თევზით სავსე ბადესავით, ანდა, ურნასავით, თითქოს გადასარჩენად კი არა აქვს საქმე, დედას ეთამაშება ძილის წინ. ასეა თუ ისე, საგანგაშო არაფერია, დედა იმასთანაა, ერთადერთი იმედი, რომელიც არ წბილდება, ერთადერთი ხსნა, რომელიც ნამდვილად არსებობს. ერთხელ კი არა, ერთხელ და სამუდამოდ გადამრჩენელი, ყველაფრის მიმტევებელი (გარდა უვიცობისა და უზნეობისა.

მერე პირქვე იწვა საკუთარ საწოლში (ოღონდ, ახლა უკვე სილნალში), იღლიებამდე პერანგაჩაჩული, ძმრისა და სპირტის სუნით გაჟღენთილი, და ცალი თვალით ხედავდა სკამზე დაწყობილ სამკურნალო ქილებს, ვიღაცის ხელში აპარპარებულ ჩირაღდანს და ქარში აწრიალებულ, ჩამავებულ, ჩამუქებულ კვიპაროსს, მისკენ რომ იხრებოდა თანდათან და ბებიის სახეს იღებდა. „დედა სად არისო“ — გულწრფელად გაუკვირდა ნიკოს. „არ გაინძრე, ეს ბოლოაო“ — უთხრა ბებიამ, ქილას ალი გამოავლო და ზურგზე დააწება. ნიკო უნებურად დაიძაბა. ქილამ, ცეცხლზე გამთბარი ტუჩებით, ნიკოს ხორცი მტკივნეულად შეიწოვა და ამ უცნაური კოცნით აფორიაქებულს, რატომღაც, გული აუჩუყდა, ცრემლი მოაწვა ყელში. „ჩქარა ქენი, დამეწვა თითებიო“ — თქვა დეიდამ და გაიცინა. ნიკოს ესეც ესიამოვნა, რაღაცნაირად დამშვიდდა — აი, ცუდი სიზმრიდან რომ გამოფხიზლდებით და თურმე შინა ხართ, თქვენს ლოგინში. ბებია კი სათითაოდ იღებდა ქილებს [illegible] და ყოველი ქილის დაკვრ[illegible] ირად ამბობდა: არ გაინძრე, ბოლოაო. „ნუ გააწვალეთ ბიჭი, ხალხნო, ცოდოაო“ — თქვა მარგალიტამ და იმისმა მოყლუტულე, თითქოს ცეცხლზე გამთბარმა ხმამ ხომ სულმთლად ამოუტრიალა ნიკოს გულმუცელი. ლამის შაქარივით ჩადნა ოფლიან ლოგინში. „როცა მოვრჩები, თუ მოვრჩებიო...“ — დაიწყო და მაშინვე დაავიწყდა, რის თქმას აპირებდა. მარგალიტამ გაიცინა, თითქოს მარტო იმან გაიგო მისი აბდაუბდა. დეიდას ლურჯად აპარპარებული ჩირაღდანი ეჭირა ხელში და განგებ ათრთოლებული ხმით იძახდა: სანთელი, ჩემი სული სანთელიო. ნიკომ თვალები დახუჭა და თეატრის ჩაბნელებული დარბაზის ლურჯად მობიბინე სიგრილემ სასიამოვნოდ მოუთათუნა სახეზე. სადღაც ზარბაზანმა დაიქუხა. ფოსტის თავზე საზენიტო ტყვიამფრქვევი აკაკანდა. აქ კი არა, ბათუმში. ჭურვის ნამტვრევმა კრამიტი ჩალეწა. ნიკო უნებურად დედას მიეტმასნა. „ხო, აქა ვარ. რისი გეშინია, სულელო“ — ჩასჩურჩულა დედამ. დაუკარიო — შეეხვეწა ნიკო, ყელაწეული. დედამ ერთი კი გამოხედა, გაკვირვებულმა, და შიმშილობის გამო გაყიდულ პიანინოსკენ წავიდა. უფრო სწორედ, იმ ადგილისკენ, სადაც პიანინო იდგა გაყიდვამდე. იატაკს ჯერ კიდევ მკვეთრად ეტყობოდა პიანინოს გორგოლაჭებით დამჩნეული ღარები (ახლა სადღაა ამისთანა ინსტრუმენტიო — თქვა პიანინოს ამწყობმა. პიანინო კი არა, ინსტრუმენტიო, და ნიკოს, რატომღაც, გული გაებერა სიამაყისგან, თუმცა, ის ინსტრუმენტი იმათ აღარ ეკუთვნოდათ, უკვე გაყიდული იყო და სწორედ მყიდველს ყავდა მოყვანილი პიანინოს ამწყობი). ღია სარკმელში ფორთოხლის მწვანე რტოებმა გაიელვეს. „მოეხსნა თუ კიდევ გაუძლებო“ — უთხრა ბებიამ ნიკოს. „ჯერ იყოს, დედი, რა გეჩქარებაო“ — თქვა

დეიდამ. მარგალიტამ გაიცინა, თბილი, მოჟღურტულე ხმით. კედელზე ზურგით აკრულმა ელენიცამ ცას გაუღიმა და თქვა: სწორედ ახლა გავიფიქრე, მოვიხედავ და ნიკოს დავინახავო. არადა, არასოდეს უთქვამს მსგავსი რამე; წესიერად არც დალაპარაკებიან ერთმანეთს. „ჩიტი ჩამომიქროლებს, ამკენკავს, წამიღებს. ჩიტი ჩამომიქროლებს, ამკენკავს, წამიღებს“ — იძახდა დეიდა. „კარგი რა, გოგო, გასკდა თავიო“ — ბუზღუნებდა ბებია. „ტყუილია მეთქი, ტყუილია!“ — შემაძრწუნებლად დაიყვირა დეიდამ. ნიკომ თვალი გაახილა და ოთხი ბრმა დაინახა — გვერდში ამოსდგომოდნენ ერთმანეთს და ერთნაირად მომღიმარნი, ერთნაირად ახამხამებდნენ ქუთუთოებს. თითქოს ნიკოს სანახავად კი არ მოსულიყვნენ (როგორ უნდა დაენახათ ბრმებს?!), ნიკოს რომ დანახვებოდნენ, უფრო რომ გაეადვილებინათ ნიკოსთვის ცხადში დაბრუნება: აი, ჩვენც აქა ვართ. ესეიგი, ქვეყანაც თავის ადგილზეა და საგანგაშო არაფერია. „მპაო“ — დაიძახა ამ დროს ქილამ და სასიამოვნოდ მოსწყდა ნიკოს ზურგს. „ახლა თუ ნიავმა დაჰკრა, უარესიაო“ — დაიჟღურტულა მარგალიტამ. „არა უშავს, გაუძლებს, მაგარიაო“ — თქვა ძია სანდრომ. დანარჩენმა ბრმებმა კიდევ უფრო გაიღიმეს, სახეებზე შუქი მოემატათ. „მპა“, „მპა“ და კიდევ „მპა“ — ზედიზედ სწყდებიან ნიკოს ხორცში ჩამკვდარი ქილები. წითელი, შუაში თეთრად ამობურცული წრეები აჩნდება ზურგზე. კი არ ხედავს, გრძნობს, იცის, ასე უნდა იყოს. რომელიღაც მამიდაშვილის ზურგზე უნახავს ადრე, ბათუმში. სკამზე ახლა, სამკურნალო ქილების ნაცვლად, მაწვნის ქილები აწყვია — თეთრი, გრილი. დასვრეტილი, ჩაყვითლებული ნაღებით თავმობმული. მაგრამ მაწვნის შეჭმა კი არ უნდა, მაწვნის ქილის შეტყუებას ცდილობს საბნის ქვეშ. ქილის ჩახუტება უნდა. ცხელა. იწვის. წაიღებს ხელს ქილებისკენ, სკამი, ქილებიანად, უკან გაჩოჩდება, გაერიდება. წამოიღებს ხელს უკან და სკამიც, ქილების წკრიალით, წამოყვება. „მოუსვენარო, მოუსვენარო“ ყასიდად ტუქსავს ბებია. „ჩვენია, გადარჩა, რაკი თამაშობის გუნებაზეაო“ — ამბობს ძია სანდრო. „ჩიტი ჩამომიქროლებს, ამკენკავს, წამიღებს. ჩიტი ჩამომიქროლებს, ამკენკავს, წამიღებს“ — იძახის დეიდა. მარგალიტა იცინის. ბრმები ისევ ისე იღიმებიან. ისევ ისე ერთნაირად ახამხამებენ ქუთუთოებს, თითქოს გაწვრთნილი პეპლები უზით თვალებზე. თვითონ ვერაფერს ხედავენ, მაგრამ სხვას რომ შეუძლია მათი ნახვა, ესეც დიდი ამბავია. „ერთ კვირაში კვიცივით იჩბენსო“ — ამბობს იოსება და იმავე წამს მთელ სახლს ეფინება იმისი სუნი: მხურვალე, ამაფორიაქებელი, ბუნდოვანი — თავლის სუნი, სიცოცხლის სუნი...

14

ეს კი ნამდვილად პაპაა — ღვინოზე ლაპარაკობს: ღვინო მოუხდებოდა ამ ლობიოსა და წნილსაო. რაღა თქმა უნდა, პაპაა. მადლობა ღმერთს! ჩხირი კედელს! გაუბედავს, ბოლოს და ბოლოს, შვილიშვილის მონახულება, ეშინია ავადმყოფობისა. ავადმყოფებისაც. პატარობისას, დედა და დეიდა ავად რომ გახდებოდნენ, ოთახში ვერ შემოდიოდა თურმე, კართან იჯდა და ტიროდა. მშიშარაა, მაგრამ თავისიანებისთვის ცეცხლში ჩადგება, თოკით დაეკიდება, არაფერზე დაიხევს უკან — იცის, არ იცის, ეხერხება, არ ეხერხება —თუ საჭიროა, გააკეთებს, მოკვდება და შეუძლებელს შესძლებს. მაგრამ რად გინდათ, რაც სხვას გმირობად ჩაეთვლებოდა, იმას მაინც მშიშრობად ეთვლება. „შიშმა შეგაძლებინაო“ — ეტყვის ხოლმე ბებია და არც ის უძალიანდება, არც ის სდებს თავს გმირობაზე — ეგრე იყოს, რა გაეწყობაო — იცინის დაღლილი, გაოფლილი და, რაც მთავარია, მშვიდობით დაბრუნებული შინ. ერთხელ,

ნიკომ და პაპამისმა, მეზობლის ვირით, ხორბალი წაიღეს წისქვილში დასაფქვავად. შუაღამისას დაბრუნდნენ იქიდან, გათოშილები, ცოცხალმკვდრები. ბინძური, ეკლიანი ქარი ქროდა ხევში, ქარი კი არა, ქარიშხალი. ნიკოს არ ეგონა, თუ არ გაიგუდებოდა. პაპასაც სციოდა, მობუზული მოდიოდა, გვერდულად, პალტოს საყელოში ჩამძვრალი. ცინგლის წვეთი ეკიდა ცხვირზე. მოიხოცავდა, ისევ დაეკიდებოდა, მოიხოცავდა, ისევ — საცირკო ნომერი იყო თითქოს, მაგრამ ვის ჰქონდა სიცილის თავი. მოუხერხებლად მოდენიდა ვირს. არ იყო იმის საქმე, მაგრამ რას იზამდა, მისიანებს შიოდა. მოდენიდა ვირს და სულ მამაზე ელაპარაკებოდა ნიკოს. ხევში ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდით. ვირის ფეხის ხმას მიყვებოდნენ, ასე მიიკვლევდნენ გზას, გზა თუ ეთქმოდა. წყალდაწყალ მიტოპავდნენ. ფეხები მუხლებამდე სველი ჰქონდა ნიკოს. ალბათ პაპასაც. ქარი ყინულად ქცეულ ღორღსა და მიწას აყრიდათ სახეში. ნიკო ძლივს იკავებდა თავს, ძალლივით რომ არ აყმუვლებულიყო სიმწრისაგან. პაპა კი მამაზე ლაპარაკობდა: კარგი კაცია მამაშენიო, არ გაუმართლა, ავადმყოფობამ დაჩაგრა, თორემ კიდევ უფრო შორს წავიდოდაო. თავისებურად, შენიღბულად არიგებდა ჭკუას შვილიშვილს, ვითომ, კარგი მამის შვილი რომ ხარ, თავი არ უნდა შეირცხვინოო (მაშინ ნიკო ახალი დაბრუნებული იყო ყაჩაღობიდან, მთელი სიღნაღი იმაზე ლაპარაკობდა), ჩემი თუ რამე არ მოგწონს, ეგ სრულებითაც არ გაძლევს ნებას, შენც ცუდი იყო, რადგან მაგალითი, ჩემგან კი არა, მამაშენისგან უნდა აიღოო. ქარიშხალი კი ღმუოდა, სახეში აყრიდათ ღორღსა და მიწას. ნიკო მუხლებს ქვემოთ ვერ გრძნობდა ფეხებს. თითქოს სისულელე იყო ამ მეორედმოსვლაში წესიერებაზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც გულისყურით უსმენდა, რაღაცნაირად სიამოვნებდა, ათბობდა კიდეც პაპის ხმა და ცდილობდა, არაფერი გამორჩენოდა ქარიშხლის ღრიალში, თითქოს პაპა ჭკუას კი არ არიგებდა, თავის გასაჭირს შესჩიოდა. უნდოდა, კიდევ მეტი და მეტი ეთქვა პაპას, თუმცა, არც დრო იყო და არც ადგილი ამგვარი გულითადი ლაპარაკისთვის.

— აფსუს, ჩემი მეღვინეთუხუცესი, — ამბობს პაპა. — ფეხზე რომ იყოს, ხომ უცებ მოარბენინებდა... რა უნდა, აქვე არ არის?! — იქეზებს თავს.

— აქვეა და წადი. ბოთლი გარეცხილი დგას განჯინაში. — პასუხობს ბებია.

— წავალ კიდეც. — ამბობს პაპა, თითქოს ვინმეს ჯიბრით, თითქოს ვინმე შეეცილება, ან ცოლი, ან შვილი. ანდა, თითქოს თვითონ ეტყვის ან ერთსა და ან მეორეს, კვარტიანი დაიჭირე და სარდაფიდან ღვინო მომართვიო. ნიკო სხვაა. ნიკო ბიჭია — ყველაფერი უნდა იცოდეს, ყველაფერს უნდა მიეჩვიოს თავიდანვე. თავიდანვე კი არა, დროზე ადრე, რადგან დროზე ადრე დააკაცა ცხოვრებამ. ამიტომაც ეძახის მარტის მამალს, ნაადრევას. თან, არ ეწყინოსო, თავგამოდებული იფიცება, მარტის მამალი ჩვეულებრივზე მკვირცხლიცაა და ყოჩაღიცო. მაგრამ ასეა თუ ისე, უმალ საერთოდ გადაეჩვევა ღვინოს, ქალს კი არ გაუშვებს ღვინოზე. სხვები რომ უშვებენ, ისიც ვერ მოუნელებია, იმასაც განიცდის: აფორიაქებული, გაგულისებული მობრუნდება ხოლმე იქიდან, სარდაფიდან. გესმით?! არა, მე თქვენ გეკითხებით, გესმით, რა ხდება?! ქალი ღვინის სარდაფში დგას და იმ ყვინტლიან მიკიტანს ელრიჭება, ჩემმა ქმარმა შემოგითვალა, პატარიდან ჩამოუსხიო. ფუი, ახლანდელ ქალებს. „კაცებსაც“ — ცეცხლს შეუნთებს ხოლმე ბებია. პირველ რიგში კაცებსო — ეთანხმება პაპა. — იმისი ქმარი დილიდანვე ილბობს გულს, ეს ბელადისაო, ეს გამარჯვებისაო, ეს შინმოუსვლელთაო... ცხოვრება კი მიდის, მიდის, ხალხნო!

— მომაწოდე, ერთი ეგ კვარტიანი.

— ეძახის ბებიას, საკუთარი ნალაპარაკებით აღგზნებული.

— რა მოწოდება გინდა, განჯინაში დგას მეთქი. არ მცალია. — პასუხობს ბებია.

— იიიი-ჰ, ხელით შესანახებო. — ბუზღუნებს პაპა.

განჯინაში ცარიელი ბოთლები წკრიალებენ. ლუმელს ბუბუნი გაუდის. ესეც პაპის დამსახურებაა — უყვარს ლუმელის გახურება. უმატებს და უმატებს შეშას. დალოცვილო, შეშა თუ არ დაიწვა, სულ იქნება, ჩვენ კი სულ ვერ ვიქნებით. ლუმელის ქვეშ ვილაცის წინდები შრება, შეშაზე გადაფენილი. ნიკოსი ნამდვილად არ არის. რამდენი ხანია, წინდა არ დასჭირებია. ამოდენა ძილი უარესად არ დაასუსტებსო — ვილაცას ეკითხება განჯინაში თავშერგული პაპა. განჯინა ხმას აყრუებს, აბოხებს: ბამოდენა ბილი ბუარესად ბარ ბაასუსტებს?! ვიდრე პაპა პალტოს იცვამს, კვარტიანი მაგიდაზე დგას და მშვიდად ელოდება, წესიერი, დამჯერი შვილიშვილივით. ტააში მიჰყავს პაპას და უხარია, მაგრამ მოთმინებაც ყოფნის, მშვიდად რომ იდგეს ერთ ადგილას, არ იცქმუტოს ცხენივით. ბავშვი რომ იყოს, იტყოდით, ბოთლივით მშვიდად დგასო. და აი, უკვე ქუჩაში არიან ორივენი, ბოთლიცა და პაპაც. პაპა ორი თითით მიაკონწიალებს კვარტიანს, თითქოს შინიდან კი არ მოაქვს, ქუჩაში უპოვნია და თავად არაფრად ჭირდება, უბრალოდ, იპოვა და აილო, ქუჩაში რომ არ გდებულიყო, ვინმეს ფეხი არ წამოეკრა. თანაც, მშვენიერი ბოთლია, რატომ უნდა დაიკარგოს? მართლა ქუჩაში ხომ არ ყრია ამისთანა ბოთლები? პაპაზე ხნიერიცაა მგონი. პაპას ქუჩის რცხვენია, თორემ, ასე კი არ წააპორწიალებდა ამ ბოთლს, მართლა შვილიშვილივით ჩაიხუტებდა გულში. შეიძლება, ეშინია კიდეც, არ წაართვას ვინმემო და იმიტომაც მიაპორწიალებს ასე, აგდებულად, ვითომ, რა წასართმევია ცარიელი ბოთლიო, ვითომ, თუკი ვინმე წამართმევს და გამათავისუფლებს იმისგან, მაღლსაქ[illegible]მიდის, მიისწრაფვის ღვ[illegible]კენ — დღეს კარგი დღე აქვს, საზეიმო — დიდი ხანია, შინ არ ყოფილა, არ უსადილია ადამიანურად. ულვინო სადილი კი, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, სადილი არ არის. რაც მთავარია, შვილიშვილს საშიში არაფერი სჭირს. ვიდრე შინ მივიდოდა, ჯერ ექიმთან შეიარა, იმას მიადგა პირდაპირ წნორიდან, კალათიანად; ის კალათი მარგალიტამ მოიტანა მერე. ექიმს გამოეტანებინა, დარჩაო. მაგრამ პაპას კალათი კი არ დარჩენია, დაუტოვებია, შერცხვენია, რატომღაც, უკანვე წამოღება, ვერ უთქვამს სიყრმის მეგობრისათვის, შენ კი არ მოგართვი ძღვენი, ოჯახს წამოვუღე რაღაც-რაღაცეები, ჩემი გაჭირვებისაო. მართლაც გაჭირვებისაა ყველაფერი, რაც იმ კალათით ამოაქვს წნორიდან — კვირაობით, თვეობით მოგროვილი. თუმცა, თავად ყოველთვის დიდი ამბით მოაქვს და წინასწარ უხარია. თავისიანებს რომ გაახარებს. მოუყვება დაზეპირებულ გზას და სიღნაღში ამოსვლამდე ათასჯერ უნდა გადათვალოს და შეამოწმოს გუნებაში, რა მოაქვს, რა უშოვნია. დიდი ვერაფერი, მაგრამ არარაობას მაინც ჯობია. სამი, ოთხი ცალი ზღმარტლი, ბალისა — ცოლისთვის, ყურადღების ნიშანი. ბებიას უყვარს ძალიან. აუცილებლად უნდა გაფცქვნას. თან იცმუცნება, თან რამე ამბავს იხსენებს, ზღმარტლთან დაკავშირებით: „მამაჩემს ედგა ვენახში“ ანდა, „გავიხედე და, კალათით ზღმარტლი არ მოუტანია!“ ერთი კილო წყლად წასული ყველი. ყველი უნდა ტიროდეს. ყველი უნდა ტიროდეს, ადამიანო. თვალში ცრემლი თუ არ უდგას, ის რა ყველია. კარგი ერთი, მამა გიცხონდება, ცრემლი ყველს კი არა, ხალხს გაუშრა. ორი-სამი შოთი, უკვე საკმაოდ გაფშეკილი. ერთი კონა ნიორი. ბევრ რამეს უხდება. ერთი ქილა მაწონი, კამეჩისა. წნორში კარგი მაწონი იცის. იქნებ,

ესიამოვნოთ მეთქი. მოდის, მოუხარია შინისაკენ, მაინც მოუხარია, რაც არ უნდა ცოტა მოჰქონდეს, ხელცარიელი არ მიუვა თავისიანებს. მაყვლის ბუჩქში ჩიტი უსტვენს (თუ ზაფხულია). ისიც სტვენით ეპასუხება. ეი, ჩიტუნია, შე საბრალო, შენა. მაყვლის ბუჩქს იმდენი მტვერი შეფრქვევია, თავის თავს აღარა გავს. თითქოს ვიღაცას განგებ მოუტანია მტვერი და შეუყრია, არავინ მიიწოდოსო. გული არ მიგივათ, დაგეზარებათ, ჯოხი აიღოთ და მიიწოდოთ, ნადირისა და ყაჩაღის (ოდესღაც ბერ-მონაზვნებისაც) სარჩო. მაგრამ ყაჩაღს სხვა რა გზა აქვს?! თითის წვერებზე აწეულა და ისე იწოდებს მაყვალს. პაპას მეორე ხელში გადააქვს კალათა, თვალში რომ არ მოხვდეს ყაჩაღს. თან ფეხს უჩქარებს. მაგრამ სალამი ღვთისაა, სალამი ყველას უნდა უთხრა, ვინც კი გზაზე შეგხვდება. „გამარჯობაო“ — ეუბნება ყაჩაღის ზურგს, დაძაბული, გულაბაგუნებული. მწარეა, ლამის უკვე შინ მიტანილი კალათის დაკარგვა. რაც უფრო ცოტა დევს შიგ, მით უფრო მწარეა. „გაგიმარჯოსო“ — ეუბნება ყაჩაღი მაყვლის ბუჩქებს, არ სცალია მოსახედათ. ლურჯადა აქვს მოთხუპნული ტუჩ-პირი. რა ქნას, ისიც ადამიანია, შია. ასე ყვება პაპა, გინდა დაუჯერეთ, გინდა არა. როგორც გენებოთ. იმისთვის კი სულერთია, სინამდვილით გაიხეთქავს გულს თუ წარმოდგენილით. ასე რომ, გინდაც იგონებდეს, ერთი შიში მაინც გადატანილი აქვს, გინდაც მართლა შემთხვეოდეს ეს ამბავი. რაღას არ იფიქრებს, რაღას არ წარმოიდგენს გზაზე დამდგარი, კალათით ხელდამძიმებული კაცი. მოდის, ვინ იცის, მერამდენედ მოუყვება ყელში ამოსულ გზას, ზეპირად იცის ყველაფერი, რაც გარშემო გადაშლილა, ხმის გამცემი, გამამხნევებელი კი გვერდით არავინა ყავს. გზამაც იცის მგზავრის ბუნების შეტყობა და, თუკი მხდალი და მოუთმენელი ჩაიგდო ვინმე ხელში, გაიწელება, გაიწელება, უარესად გაგრძელდება. მაგრამ როგორც არ უნდა გაგრძელდეს, ბოლოს ყველაფერი მთავრდება, ორასი, სამასი, ჰა, ოთხასი მეტრიც და წყარო გამოჩნდება. მოულოდნელად იელვებს, გამოანათებს, გადმოანათებს თიხის ღარიდან. ქვეშ, ზამთარ-ზაფხულ, პატარა სიმწვანე უგია, როგორც ტახტის წინ — ფარდაგი, პირდაპირ მიწაზე რომ არ დადგას შიშველი ფეხი. ის კი მოდის, მოისწრაფის შინისკენ. ნადირის შიში, ყაჩაღის შიში, ათასნაირი შიში მოსდევს, მოსდევს, მოყმუის, მოსძახის, ფეხს აჩქარებინებს არარსებული ქვეყნის ყოფილ ქვეშევრდომსა და გამოუცხადებელი ომის დეზერტირს. ხანდახან, ისეთი გახვითქული მოვა ხოლმე, ბოლი ასდის. ბებია ძლივს ხდის ოფლიან პერანგს, თითქოს ძალით ხდის. გეგონებათ, უთოფოდ ძარცვავს, ანდა, კიდევ უარესი, ცოცხლად ატყავებსო. თან ორივენი იცინიან, ჩუმად, თავიანთთვის. მარტო იმათ იციან, რატომ იცინიან. შეიძლება, ის ავადმოსაგონარი ღამე ახსენდებათ, თავფეხიანად ტალახში ამოგანგლული რომ გამოეცხადა ცოლს, ჯარიდან გამოქცეული. ისეთი დასვრილი იყო, შინ არ შეიშვებოდაო — ყვება ბებია — ძლივს დავამსგავსე ადამიანსო. პაპაც აღიარებს, აღარაფერი მეცხო ადამიანისაო, შვილის ავადმყოფობის ამბავი რომ შევიტყვე, იმან მაიძულა ადამიანობისკენ შემობრუნება, თორემ, უკვე ტალახი ვიყავიო. რაც რამე ჰქონიათ შინ (ბევრი არაფერი), ფეხსადგილში ჩაუყრია: ვერცხლის ქამარ-ხანჯალი თუ მონოგრამიანი ყანწები, ხავერდის ყდიანი საოჯახო ალბომი თუ ნახატებიანი, ნიკოს დედის ხელით აკინძული, საყმაწვილო ჟურნალები. თვითონაც არ იცოდა თურმე, რას სჩადიოდა. ის ღამე სირბილში გაუთენებია, ჯერ ექიმს დაეძებდა, მერე კი ავადმყოფი შვილის საწოლსა და დარაბით დაგმანულ სარკმელს შორის დარბოდა თურმე გაუჩერებლად, წინ და უკან — ხან შვილის სუნთქვას

მიაყურადებდა, ხან ქვეყნის ხმებს. ვის რად უნდიხარ, ნეტავიო — ეუბნებოდა თურმე ბებია — მეტი საქმე არა აქვთ ბოლშევიკებს, სულ შენ დაგეძებენო. ბებია თუ გაბრაზებულია, აუცილებლად, ის შორეული ღამე უნდა გაუხსენოს პაპას. იცის, ყველაზე მეტად, იმის გახსენება რომ არ უყვარს და, მართლაც, მოკალით და ნუ ალაპარაკებთ იმდროინდელ ამბებზე. რაღადროსია, წარსულს ჩაბარდაო — გაიბრძოლებს ხოლმე უმწეოდ. ერთი ნასყიდასაც კითხეო — არ ინდობს ბებია. ნასყიდა პაპაზე ამბობს, ფარული მიმოწერა აქვს გაქცეულ მთავრობასთანო. უფრო სწორედ, ასე ამბობდა, ვიდრე პაპა ერთ ფუთ ღვინოს მიართმევდა „ფეშქაშად“. ეს აბრაზებს ალბათ ბებიასაც, ძაღლი ფეხს არ მიუშვერს, შენ კი აღარ იცი, როგორ სცე პატივიო. ქუჩაში რომ გამოჩნდება, ბავშვები ქვას ქვაზე სცემენ: ნასყიდა მოდის, ნასყიდა მოდისო. ცუხცუხით გამოედევნებათ ხოლმე, აქსუტუნებული. სულ სურდო აქვს, სულ ცინგლი ჩამოსდის. ბავშვებს კი მისდევს, მაგრამ სრულებითაც არ უკვირს, რატომ მაბრაზებენო. რომ მიაფურთხოთ, არც ის გაუკვირდება, ჯერ სახეს მოიწმენდს და მერე იტყვის, არა უშავს, ფურთხი ლაქას არ ტოვებსო. იცის, ყველასთან რომ პირშავადაა, მაგრამ არ აწუხებს ეს ამბავი, თითქოს ასედაც უნდა იყოს და ასე რომ არ იყოს, ის იქნებოდა შემაშფოთებელი. პაპა ამბობს, მე რომ კოჰს ვთამაშობდი, ეგ უკვე ნასყიდობდაო. მენშევიკების დროს ციხეში უმუშავნია ზედამხედველად. ხის ქოშები სცმია და იმ ქოშების ბაკა-ბუკზე სცნობდნენ თურმე პატიმრები — არიქა, დამალეთ, თუ რამე გაქვთ, ნასყიდა მოეთრევაო. ფულსა და საჭმელს პარავდა პატიმრებს. იმათ წერილებს ჯერ კითხულობდა, მერე ხევდა, თუმცა, წინასწარ ჰქონდა აღებული ფეხის ქირა წერილის გაგზავნაში. მენშევიკები რომ გაქცეულან, ახლა ის დაუჭერიათ, ახლა ის გამხდარა პატიმარი, მაგრამ, როგორც თვითონვე ამბობს, ბევრი არაფერი დაუკარგავს, ისევ ციხეში დარჩენილა, თანაც, ახლა უკვე სხვათა მეთვალყურეობის ქვეშ. უკეთესიც იყოო, არაფერი მევალებოდა, ღორივით გავსუქდიო. მუქთად მაჭმევდნენ და მუქთად მასმევდენო. მენშევიკების დროს, ჯერ მარტო ფულის თვლამ დამტანჯაო, ბაზარში რომ წავსულიყავი, სულ ცოტა, ორი ფაეტონი ფულის წასაღებად უნდა დამექირავებინაო. ისემც დაუმშვენდა ცხვირი! ალბათ არცა მჯდარა ფაეტონში. ისა, კაცო, ქსუტ. შენ ისეთი ფხიანი ხარ, ქსუტ. ქსუტ. საიდუმლო ვენახებიც გექნება, ქსუტ, მთავრობისგან დამალულიო — უთქვამს პაპისთვის. პაპას კი, მრავალმნიშვნელოვნად გაუცინია (თან, ვინ იცის, შიშისაგან გული უსკდებოდა, მართალი არ ეგონოს ვინმესო) და უპასუხია: შენ ხილი იხილე, მებაღეს რას კითხულობო. პაპა მშიშარა კია, მაგრამ კეთილიცაა. ბევრი რამე სიკეთითაც მოსდის. ეგეც ღმერთის გაჩენილიაო — იტყვის ხოლმე ნასყიდაზე. — ვინ იცის, მე რომ ღვინო მივართვი, პირველად მაშინ იგრძნო თავი ადამიანადო. ყველა ეცოდება, მარტო კარგი აქვს გუნებაში, ფუტკრისა არ იყოს, თუ ბზუის — თაფლს აგროვებს, თუ ჩუმადაა — თაფლზე ფიქრობს. რა იმის ბრალია, თუ გასავალი აღარა აქვს სიკეთეს, თუ ყოველთვის ვერ გამოატანინებს ნაყოფს, როგორც არ უნდა მოინდომოს. ერთხელ, ლოთის გამოსწორებაც უცდია, მაგრამ, როგორც ბებია ამბობს, იმის მერე თვითონ მიჩვეულა ღვინის სმას. თავად ლოთის ცოლს უთხოვია იმისთვის, მღვდლისთვის და ექიმისთვის, მიშველეთო, იქნება, თქვენს სიტყვას მაინც გაუწიოს ანგარიშიო. ისინიც ამდგარან და წასულან, ხათრი ვერ გაუტეხიათ ლოთის ცოლისთვის, რადგან ლოთის ცოლს დიდი იმედი ჰქონია იმათი, უფრო სწორედ, იმათი იმედიღა ჰქონია — რაც არ უნდა იყოს, ერ-

თი მღვდელია, მეორე ექიმი, მესამე კი პატიოსანიო. ხოდა, ერთ მშვენიერ დღეს, თავზე რომ დასდგომია ეს წმინდა სამება, ეს სამშვიდობო, სასიკეთო ტრიუმვირატი, ლოთი სიხარულისგან გადარეულა, რას იფიქრებდა, იმის გამოსასწორებლად თუ იყვნენ მოსულნი, ისეთი სუფრა გაუშლევინებია ცოლისთვის (ცოლს ყველაფერი წინასწარ ჰქონია მომარაგებული), მკვდარს მოუვიდოდა თურმე ნერწყვი. მოკლედ, ციბრუტივით დაზრიალებულა საწყალი ქალი, იქნება რამე გვეშველოსო. თან, სტუმრებს თვალს უშვრებოდა თურმე, ქმრის ზურგსუკან, აბა, ახლა თქვენ იცითო. თანდათანობით კი დაეჭვებულა, კი, აღარ მოსწონებია გაუთავებელი სადღეგრძელოები, მაგრამ თავიდან მშვიდად ყოფილა, ვინ იცის, ფიქრობდა, ალბათ ასეა საჭიროო, ნასწავლი ხალხია, არ შეეშლებათო. შუაღამემდე მაინც გაუძლია ასე, ორ ცეცხლს შუა, ეჭვითა და იმედით, მაგრამ შუაღამეც რომ გადასულა, ხოლო, მისი ქმრის გამოსასწორებლად მოსულ ხალხს მისი ქმრის ქება-დიდების მეტი არაფერი დასცდენიათ სუფრაზე, მაშინ კი გაცოფებულა, მაშინ კი დაურტყამს მუშტი მაგიდაზე — თქვენ უარესი ლოთები ყოფილხართო. იქიდან გამოყრილები, ჯერ მღვდელთან წასულან, მღვდელთან გაუგრძელებიათ ქეიფი, მღვდლიდან ექიმთან გადაუნაცვლებიათ, მაგრამ უკვე ნიკოანთას რომ მომავლებულან, ლოთს ფარხმალი დაუყრია, აღარ შემიძლიაო, მე თქვენი აყოლა ხელს არ მომცემსო, ერთი ავადმყოფი კაცი ვარ, ამდენი სად შემიძლიაო. ბებია ყვება კარგად ამ ამბავს. ხუმრობით ყვება, მაგრამ თან იმ საბრალო ლოთის წილი ცრემლიც უბრწყინავს თვალში. ჩუმჩუმელა ოხუნჯია, შენილბული. ვითომ ბუზს არ აფრენს, ფოთოლივით დაფარფატებს, მაგრამ სიტყვას, თუ საჭიროა, არც სიმწარეს დააკლებს, არც სიტკბოს. რაც მთავარია — არც მარილს. ბევრი ლაპარაკი არ უყვარს, არც იცის, ოღონდ, რასაც იტყვის, მადლიანად იტყვის, მარილიანად. ასეთი სიტყვა მოადგება ხოლმე უცებ [illegible] ყველაფერი თვალწინ დაგეხატებათ, თითქოს კი არ გესმით, ხედავთ. ანდა, უფრო ზუსტად, კიდეც გესმით, კიდეც ხედავთ. კიდევ უფრო ზუსტად, არა მარტო გესმით და ხედავთ, თქვენც საქმეში ხართ გარეული, მონაწილე ხართ ამბისა. აივანზე ჩაის სვამენ, ის კი ვითომ სხვათაშორის, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ყვება ლოთის გამოსწორების ამბავს. ვილაცამ გაიხსენა ალბათ და ძალიან შეეხვეწნენ, მოყევი, როგორ იყოო. თავისით არ მოყვებოდა. ერთი წამით არ ჩერდება სუფრასთან უსაქმოდ, რალაცა უნდა გაიტანოს, ან რაღაცა უნდა შემოიტანოს, ვერ მოუსვენია, მაგრამ რას გაიტანს, როცა ისედაც არაფერი დევს მაგიდაზე (იქამდე არაფერი გეტკინოთო — ასე ილოცება ხოლმე მთვრალი იოსება — ვიდრე გული საგულეში ჩაბრუნდებოდეს, შაქარი — საშაქრეში, კარაქი — საკარაქეში, რძე — სარძევეში, მარილი — სამარილეში, პილპილი — საპილპილეში, თუთუნი — სათუთუნეში და ფული — საფულეშიო), ან რას შემოიტანს, როცა არაფერი ეგულება განჯინაში. ძალრბილში გამჯდარი ჩვეულება დაატარებს აქეთ-იქით, დაცლილ ფინჯანს ან ძირსდავარდნილ კოვზს თუ გაიტანს, საგულდაგულოდ გარეცხილ-გამშრალებული, უკანვე რომ შემოიტანოს. თითქოს ერთი წუთით თუ გაჩერდა, ყველაფერი აირევ-დაირევა. თითქოს კი არა, მართლა აირევა ყველაფერი. როგორც გულის გაჩერება არ შეიძლება, ისე — იმისი. შემოვა, ერთორ სიტყვას კიდევ იტყვის, ცოტათი წინ წასწევს ამბავს და მაშინვე გაბრუნდება. მსმენელები კი სიცილით იხოცებიან, ეძახიან, ეხვეწებიან, ნუ გვაწვალებ, ბარემ თქვი, დააყენე საშველიო, მაგრამ იმან უკეთ იცის თავისი საქმე, ვიდრე მოყოლას გააგრძელებდეს, ჯერ სუფრაზე უნდა გაასწოროს რალაცა, ადგილი მაინც უნდა შეუცვა-



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ, სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ლის რამეს, ან თეფშს, ან ჩაიდანს, თითქოს სუფრას ლაზათი მიემატება ამით. თან, წარბსქვემოდან, პაპას გასცქერის, ამოწმებს, ხომ არ წყინს ჩემი ლაპარაკიო. სხვასთან, გინდაც იოსება იყოს ის სხვა, ზედმეტს არაფერს აკადრებს თავის მეუღლეს. რა იოსებას საქმეა, რას იტყვიან ისინი ერთმანეთში. იოსებამ იმას მოუსმინოს, რაც კიდევ უფრო აამაღლებს პაპას მის თვალში. როგორ იყო, რომელი აუხირდით იმ უბედურსო — ეკითხება პაპას, პაპასაც იმოწმებს, არ გეგონოთ, ჩემგან ვამატებდე, ანდა, ვიგონებდე რამესო. პაპა კიდევ მუხლზე ხელს ირტყამს და თავს აქეთ-იქით აქნევს, ვითომ, რა მახსოვრობა აქვს, საიდან ახსოვს ასე წვრილად ყველაფერიო. არ ბრაზდება. ან რატომ უნდა გაბრაზდეს, მართალს ყვებიან. ასე იყოო — იძახის თვითონაც — ჩვენ ჩვენი ვცადეთო. ღმერთმა ხომ იცის, არც იმისი ღვინო გვინდოდა, არც იმისი კიდევ უფრო გალოთებაო.

მოკლედ, თვითონაც რომ არ ეგონა, ისე გაუხარდა ნიკოს პაპის დანახვა. ახლა მოუთმენლად ელოდება, როდის მობრუნდება ღვინის სარდაფიდან და, დრო რომ გაიყვანოს, თავსა სცდის — პაპის რამდენ ანდაზას გაიხსენებს, პაპის დაბრუნებამდე. პაპამისი ხომ ანდაზების კრებულია, ფეხზე მოარული. ნიკოსთვის კი ანდაზების გახსენება ერთგვარი თამაშია, ოღონდ, მარტო გასართობი კი არა, გასანათლებელიც — რაც უფრო ხშირად იმეორებს ერთსა და იმავე ანდაზას, უფრო მეტი ესმის. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი, გამეორება ცოდნის დედააო. გარდა ამისა, ვანო მასწავლებლის არ იყოს, შეამოწმებს კიდეც, მართლა ხომ არ დაუობდა გონება ამდენი წოლისგან. მაშ ასე: ვალის მომატებას, ლუკმის მოკლება სჯობიაო. ძნელია, მაგრამ სწორეა. უსწავლელი ქვაზე დაჯდა, ქვა ქვას დაემატაო. ეს ჩემზეა ნათქვამიო — გაეღიმა ნიკოს. ღარიბის სიმდიდრე ბავშვებიაო. ბავშვები და არა ბავშვი, გინდაც ნიკო. სისუფთავე სილამაზის ბადალიაო. ლაჩარი ულმობელიაო. რაც მართალია, მართალია: გოგია ულმობელია. იმის ქალაბიჭა დამქაშიც. მაგრამ ბოლოს ხომ მაინც უტირა ნიკომ დედა?! ნეტავი გენახათ, რას გავდა! ვაიმე, მკლავი, ვაიმე, მკლავი. ვაიმე, მკლავი. ვინ იცის, ფიქრობდნენ, დროზე ვასწავლოთ ჭკუა ამ ბათუმელსაც და მერე ვუპარტყუნოთ თავში, რამდენიც მოგვეპრიანებაო. ნიკოს დანაშაული ის არის, მაშინვე რომ ვერ მიხვდა, რას უპირებდნენ. თუმცა, ალბათ მიხვდა კიდეც, მაგრამ უკან აღარ დაიხია, შიში არ შემატყონო, შერცხვა მშიშარა გამოსულიყო მისი წაქცევის, მისი გამწარების მოსურნე ხალხის თვალში. კი არ გააბრიყვეს, თავი გაიბრიყვა, თავისი მშიშრობა რომ დაემალა. მარტის მამალი კი არ არის, ჩვეულებრივი მამლაყინწაა. მხოლოდ იმასღა ნატრობდა, მალე მოხდეს მოსახდენიო. აძაგძაგებული, ათრთოლებული ველოსიპედის საჭე ხელიდან უსხლტებოდა. თითქოს ჩანჩქერს ჩაჰქონდა უფსკრულში. სახეში ცხელი, ხორკლიანი ქარი სცემდა, თვალებიდან კი ნებაყოფლობითი სიბრმავის ცრემლი სდიოდა და მაშინვე ზედ აშრებოდა გავარვარებულ ლოყებზე, ჩანჩქერი შხუილით, გუგუნით, ღრიალით მიჰქროდა თავქვე, თავდაღმა, და იმასაც თან მიიყოლებდა დაუმსახურებული, დამაკნინებელი ტკივილისა და გადარჩენილი, შეულახავი ღირსებისკენ. ისე, კაცმა რომ თქვას, ნიკოზე მეტად, მტერი დაზარალდა: იმის ველოსიპედი დაგრეხილ-დაჭეჭყილი ეგდო გზაზე, წინა ბორბალში თოკჩახვეული, თავად კი, ფრთადაგლეჯილი კალიასავით დაჩოჩავდა ბალახებში, ვაი დედა, მკლავიო. დღე-მეხვალიე კაცსაო, თოვლი მოადგა კარსაო. ამას თავის თავზე უნდა ამბობდეს პაპა, რადგან ნამდვილად რომ დღე-მეხვალიეა, არაფრით არ გააკეთებს დღეს, რისი გაკეთება ხვალაც შეიძლება. ის კი არა, სკამს რომ ადგილი შეუცვა-

ლოს. მთელი დღე უნდა იფიქროს და იშფოთოს. როცა სიტყვა ხშირდებაო, მაშინ საქმე მცირდებაო. ვის გაუგონია ლზინი უტირალი და ქირი უცინარიო. ნიკოს უთხრა, ამას მერე გაიგებ, ცხოვრებას რომ გამოცდიო, მაგრამ ნიკოს ახლაც მშვენივრად ესმის, ერთი ცხოვრება უკვე მოთავებული აქვს და იმიტომ. ხვალ წვიმა მოვაო და დღეს ჭამ თვალი დაითხარაო. ეს კი ნამდვილად ბებიაზეა ნათქვამი — წავა, წამოვა და შემოირტყამს ლოყაში ხელს, რა ეშველება ამ ბიჭს, სკოლას რომ დაამთავრებსო. კი მაგრამ, რა დროს სკოლის დამთავრებაა ჯერ?! ევგენია დუგლაძესაც ჰკითხოს, აძლევს თუ არა საერთოდ სიმწიფის ატესტატს?! იქნებ, მგლის ბილეთი უფრო ემეტება ნიკოსთვის?! აკი, ცოტას მორჩა, მართლა მგლად აქცია! ისა და ვალო ბადალაშვილი ორი დღე და ღამე მგლის სოროში ცხოვრობდნენ. თვითონ გამოქვაბულს ეძახდნენ, მაგრამ, ვინ იცის, მართლა მგლის მიტოვებული სორო იყო. შეიძლება, სულაც გზაზე გატანილი მგლისაც. ძლივს შედიოდნენ და გამოდიოდნენ, როცა ჭირდებოდათ, ზემოდან კი იმდენი მიწა ეყრებოდათ, ეძინათ თუ ეღვიძათ, თვალდახუჭულები იწვნენ, მკვდრებივით, ერთმანეთს მიხუტებულნი, როგორც ტყუპები — დედის საშოში, ანდა, უფრო ზუსტი იქნება, როგორც ფარაონისა და მისი მეუღლის მუმიები საერთო სარკოფაგში .ერთი ხვრელის შემყურე, თავგვიც ცოდოაო. ისინი კი, ორნი შეჰყურებდნენ ერთ ხვრელს. ხვრელში შეაძვრინათ ევგენია დუგლაძემ. დროზე რომ არ დაეჭირათ, ერთხელაც იქნებოდა, ორივენი ამოიხრჩობოდნენ იმ სივიწროვეში. ხანდახან, ისეთი გრძნობა ჰქონდათ, თითქოს მარტო ისინიღა დარჩენილიყვნენ მთელს ქვეყანაზე და, მაშინ, დასანახად ეჯავრებოდათ ერთმანეთი. ღამის კბილებით ჩაფრენოდნენ ერთმანეთს ყელში. კბილის მიწვდენა არ გაუჭირდებოდათ, საჭიროზე ახლოს იყვნენ სამისოდ: ერთმანეთის მხურვალე, ბრაზიანი, შიშნარევი ამონასუნთქი ჩვეულებრივ გადასდიოდათ სახეზე. ბუნებრივად ყველაფერი — ილრინებოდა ვალო ბადალაშვილი — ლექსები დაგიხიეს, თორემ, შენც ვაჟა-ფშაველა მყევხარო. გეშინია და იმიტომ ლაპარაკობ ასეო არ ზოგავდა ნიკოც. მერე, კარგახნით ხმაჩაწყვეტილები, ისევ ღამეს უსმენდნენ, ისევ ცდილობდნენ, სუნთქვაზე შეეტყოთ ერთმანეთისთვის გუნებაგანწყობილება. აჭრილი, აწრიალებული წყვდიადი კი დაფეთებული ბრუნავდა ხვრელში, როგორც ბოლი ამოქოლილ ბუხარში. სადღაც, ახლოს, თითქოს ყურის ძირში, აფთარი გადაიხარხარებდა, ანდა, კლდეს მომწყდარი ქვა შხუილით ჩაფხრეწდა ჰაერს ხევამდე და ვალო ბადალაშვილს ისევ წამოუვლიდა ხოლმე შიში და სანანული. „შენი ბრალია, შენი ბრალია ყველაფერიო“ — ჩასჩურჩულებდა მღელვარედ, ფაცაფუცით, გულამოვარდნილი, თითქოს, ეს წუთია, საიდანღაც, ძალიან შორიდან მოურბენია ამის სათქმელადო. „თავმოყვარეობა უნდა გვქონდეს მეთქი, თორემ, ღმერთი შეგვაძვრენს ხვრელში, თუ ევგენია დუგლაძე, ეს რა ჩვენი ბრალია“ — ამბობდა ნიკო, უკვე დამცხრალი, შემრიგებლური ხმით, თითქოს ებოდიშებოდა მეგობარს, მაგრამ ბოლომდე მაინც არ აღიარებდა, დამნაშავე რომ იყო იმის წინაშეც და საერთოდაც. თუმცა, უკვე თვითონაც ნანობდა, ასე სულელურად რომ გამოვიდა ყველაფერი და უკვე თვითონაც იმ ფარული იმედით ელოდებოდა განთიადს, აუცილებლად რომ მოაგნებდნენ ევგენია დუგლაძის ჩაფრები. სამაგიეროდ, ვალო ბადალაშვილისაგან განსხვავებით, უკვე შეგნებული ჰქონდა ისიც, დიდი, საბედისწეროდ დიდი გარდატეხა რომ მომხდარიყო მის ცხოვრებაში, ანუ, ცხოვრების ყველაზე ურთულესსა და, იმავე დროს, ყველაზე უმარტივეს გაკვეთილს რომ შესწრებოდა უნებურად, შემთხვევით, მხოლოდ და მხოლოდ, და-

ხეული ლექსების წყალობით — ურთულესს, თავისი ხელშესახები სიმარტივით და უმარტივესს, თავისი თვალშისაცემი სიძნელით, რადგან ეს იყო გაკვეთილი უსიტყვოდ აზრის გამოთქმისა, უძრაობით მოძრაობის განსახიერებისა და უმწეობით სიძლიერის დადასტურებისა. ყაჩაღი აუცილებლად მძარცველს ხომ არ ნიშნავს, ბოლოს და ბოლოს?! როგორც ვანო მასწავლებელი ამბობს, ერთ დროს მთელი გურია ყოფილა გავარდნილი ყაჩაღად, იმიტომ კი არა, რაც მომეპრიანება, ის ვაკეთოო, პირიქით, ჩემთვის ვიცხოვროო მშვიდად და პატიოსნადო, თავიც შევინახო და ღირსებაც შევინარჩუნოო. ყაჩაღიც გლეხივით ცხოვრობდა თურმე, ისიც გლეხივით საწყალი ყოფილა, ყაჩაღობამდე რაც იცოდა, ყაჩაღობაშიც იმას აკეთებდა: საყანე მიწას გამოკაფავდა სადმე, მიუდგომელ ადგილას, დაბურულ ტყეში, და წლიდან წლამდე, ხნავდა, თესავდა თოხნიდა, მარგლავდა. სოფელს რომ გაუჭირდებოდა, ყაჩაღთან მიდიოდა თურმე სიმინდის სასესხებლად. თავისი თხაც ჰყოლია და ქათამიც. ზოგი ძირდალოცვილ ვაზსაც მიუშვებდა თურმე ხეზე და იყო თავისთვის, არ აწუხებდა ქვეყანას, უნდოდა ლექსს დაწერდა, უნდოდა თავგადასავალს. ყველაფერი ჰქონდა ერთი გლეხის კვალობაზე, მაგრამ ბოლოს მაინც მიაგნებდა სახელმწიფო, მოიმწყვდევდა ალყაში, ჯერ ტყვიებით დაცხრილავდა, კარდალს ცეცხლზე მოუპირქვავებდა, ვაზს აუჩეხავდა, თხას და ქათამს დაუფრთხობდა, მერე კი, ჩაკუნცხული და მუხლებზე შაშხანაგადებული, ერთ სურათსაც გადაიღებდა ტყვიით დაცხრილულსა და ფეხშიშველა ყაჩაღთან, უკეთეს დღეთა მოსაგონარად, და, ასე და ამგვარად, დამთავრდებოდა კიდევ ერთი ყაჩაღური ცხოვრება. იმათ კი, ნიკოსა და ვალო ბადალაშვილს, მართლაც რომ, სულზე მიუსწრეს ევგენია დუგლაძის ჩაფრებმა, თორემ, ერთი დღეც რომ დაეგვიანებინათ, მერე ქაჯიც ველარ იპოვიდათ — იმოდენა თოვლი მოვიდა სწორედ იმ დღეს, ხალხი სახურავებიდან ჩადიოდა სახლებში. ისინი რომ შეიპყრეს, უკვე თოვდა. სილნაღში რომ ამოიყვანეს, უკვე კარგად იდო თოვლი. მთელ ქალაქში საზეიმო ჟრიამული იდგა, ვედროებით ეზიდებოდნენ წყალს ქუჩების გასასიპად, მოახრიგინებდნენ ციგებს, გამალებულები იმაგრებდნენ ფეხზე თვითნაკეთ, თუნუქამოკრული ხის ციგურებს. გოგოები სახეზე ჩანთააფარებულნი გამოდიოდნენ სკოლიდან, დანებებულნი, ბედს შეგუებულნი — აბა, იქ ხომ არ ისხდებოდნენ დილამდე, გათოშილ სკოლაში, ცალხელა ჩონჩხის იმედით. ხელყუმბარებივით მოშხუოდნენ ჰაერში წყალში დამბალი გუნდები. მოკვლით, შეიძლება, არ მოეკლა, დარეტიანებით კი მაგრად დაარეტიანებდა ნებისმიერ გოგოს, პირველიდან ბოლო კლასამდე. ხელი მომე, გო, ვეცემი. ხელი გახმეს მსროლელისა. მარტო ნიკოსა და ვალო ბადალაშვილისთვის არ არსებობდა ზამთრის სიამენი. ისინი ჯერ მოჰყავდათ, ჯერ ახალი შეპყრობილები იყვნენ და ჯერ ნასაყდრალსაც არ გამოსცდენოდნენ. ამიტომ, ჯერ არც ქალაქს ახსოვდა ისინი, მაგრამ ვილაცამ რომ დაიყვირა, ყაჩაღები მოჰყავთო, მთელი ქალაქი, ციგებიან-ციგურებიანად, ფლატეებზე გადმოეფინა. ყველაზე წინ კი ევგენია დუგლაძე იდგა, ნაპოლეონივით, გულხელდაკრეფილი, და ზემოდან გადმოსცქეროდა დატყვევებულ მეამბოხეებს. რომელიღაც იდაყვთან ნიკოს წერილს უფრიალებდა ქარი. პირველად რომ წაუკითხავს ის წერილი, ველარ ამოუსუნთქავს, კოტე მასწავლებელი მთელი საათი მუშტსა სცემდა თურმე ზურგში. „ამის დამწერი, ამის დამწერს, ამის დამწერმაო“ — შეშლილივით გაიძახოდა თურმე და ხან ერთ კლასში შეაფრიალებდა ნიკოს წერილს, ხან მეორეში. ახლა კი, კუშტ, პირქუშ, მიუდგომელ ციხესავით გადმომდგარიყო ფლატეზე, თოვლის ფიფქებში გახვეუ-

ლი. სადღაც, ქვემოთ, მის ფეხებთან, მისი ჩაფრები მის შეურაცხმყოფელს მოათრევდნენ. ერთმანეთს არ აცლიდნენ, ერთმანეთზე ხმამაღლა გაჰყვიროდნენ: დავიჭირეთ, მოგვყავს, ჰეჰე-ჰეიო. არ ელოდებოდნენ, ასე იოლად თუ ჩაიგდებდნენ ხელში ყაჩაღებს — ვალო ბადალაშვილმა გამოქვაბულამდე ამოსვლაც არ აცალა, თვითონ ჩაეგება, გახარებული. ახლა კი, ძალაუნებურად, ევგენია დუგლაძის გასაგონად, აზვიადებდნენ თავიანთ დამსახურებას, უფრო მეტად რომ გაენაღდებინათ წლის ბოლოს ქების სიგელები. ნიკოც, ევგენია დუგლაძეზე მეტად, იმის ჩაფრებზე ბრაზობდა, რადგან ევგენია დუგლაძე თავის საქმეს აკეთებდა, ისინი კი სხვისას. სწორედაც რომ არ იყო მათი საქმე ნიკოს დევნა, მაგრამ ნიკოს სიბრაზისგან ისე ჰქონდა ყბა მოღრეცილი, ენას ვერ ატრიალებდა პირში, თორემ, თვითონ იცოდა, რასაც ეტყოდათ. თუ მოწაფე ხარ, ან უნდა ისწავლო, ან არ უნდა ისწავლო გაკვეთილი, ყაჩაღის დაჭერა კი შენი საქმე არ არის. ამისთვის არსებობს როლანდი, უფარაანთ გიორგი, ნესვა, გრძელო, არამინდარა... მაგრამ, საქმეში ხართ! — ჰე-ჰე-ჰეიო, დავიჭირეთ, მოგვყავსო — გაჰყვიროდნენ მთვრალი მაყრებივით. ისე იყვნენ მოწადინებულნი, თავგამოდებულნი, ნიკოსი კი არა, საკუთარი დედების თმით მოთრევა რომ ებრძანებინა იმათთვის ევგენია დუგლაძეს, არც იმაზე დაიხევდნენ უკან. სამაგიეროდ, ფრიადოსნები არიან, თითით საჩვენებლები, სტიმულის მიმცემები, თუმცა, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, თავად იმათ ატაკებდა ნიკო სტიმულს ერთ ადგილას. მაგრამ შეპყრობილსა და უმწეოს, ისღა დარჩენოდა, შეჰგუებოდა ბედს. ოღონდ, მაინც უკან რჩებოდა ფეხები, სიკვდილი ერჩია სილნაღში ასვლას, არ ეგონა, თუ არ გაუსკდებოდა ყელში გაჩხერილი გული, თითები თავისთავად ეკრუნჩხებოდა, მაგრამ ევგენია დუგლაძის კი არ ეშინო-და, თავისიანების რცხვენოდა — ბებიის, პაპის, დეიდის — გადამრჩენლების, რადგან ყაჩაღად [illegible] ერთი წამითაც არ დაფიქრებულა, რამოდენა ტკივილს აყენებდა მარადიული სიყვარულით, მარადიული ერთგულებით, მარადიული ნდობით დაბეჩავებულ იმათ გულებს, რა ძნელად მოსაშორებელ ლაქას ცხებდა სილნაღელი ლაზღანდარების თვალში იმათ სახეებს, სამუდამოდ შემცბართ და გაოცებულთ ნიკოს უმადურობით. ერთი წამით არ უფიქრია, სულმდაბალი ქონდრისკაცი და ჩვეულებრივი ქურდბაცაცა ვარო, როცა კვირისმარაგ პურსა და დამარილებული ბურვაკის უკანასკნელ ბარკალს დებდა ტომარაში და როცა, ტომარამოკიდებული, ფეხაკრეფით მიიპარებოდა საკუთარ ეზოში. ერთხელაც არ შეყოყმანებულა, ერთხელაც არ შეჰკითხვია თავს, მამამისის შვილს, ჰქონდა თუ არა ამის უფლება. ის კი არა, ჭიშკარმა არ გაიჭრიალოსო, ტომარა ღობეზე გადააგდო და თვითონაც თან გადაჰყვა. ამაზე მერე დაფიქრდა, როცა გაკოჭილი მოჰყავდათ ევგენია დუგლაძის ჩაფრებს და გახარებულნი გაჰყვიროდნენ: დავიჭირეთ, ჰე-ჰე-ჰეი, მოგვყავსო. სხვათაშორის, ბურვაკის ბარკალიც იმ ჩაფრებმა შეუჭამეს და ასედაც უნდა მომხდარიყო ალბათ, უფრო სწორედ, ესეც ახი იყო ნიკოსთვის, რადგან თავისიანებსაც მოაკლო და ვერც თვითონ მოიხმარა — იმან და ვალო ბადალაშვილმა, ორი დღის განმავლობაში, ორი ლუკმაც ვერ მოაციცქნეს, ისე ჰქონდათ კრიჭა შეკრული — იმათ კი, წამსვე გამოუყვანეს წირვა და ასე დასრულდა თავიდანვე თარსად დაწყებული, მრავალი უსიამოვნების მომტანი ბურვაკის თავგადასავალი. მართალია, მარგალიტამ თქვა, სიზმარში ღორის ყიდვა სიმდიდრეაო, მაგრამ ცხადში ყველაფერი პირიქით აღმოჩნდა. ჯერ იყო და, ნიკომ და პაპამისმა ძლივს ამოიყვანეს წნორიდან, ლამის თან გადაყვნენ — პაპამ ხელი გაიკაწრა, ნი-

კომ შარვალი გაცვია — დაღლილობისგან ფეხზე ველარ იდგნენ, წესიერად გზაზე არც უვლიათ, უგზოდ ამოსჭრეს ტყე-ღრეები იმის ღევნაში. იმას კი სულ გაქცევაზე ეჭირა თვალი, სულ განზე იწევდა, სულ ბუჩქებში, თხრილებში, ხვრელებსა და სოროებში მიძვრებოდა, თხუნელასავით, და თოკი ისე გააბინძურა, ხელი არც მოეკიდებოდა. იმისი ერთი უკანა ფეხი ხან პაპას ეჭირა, ხან ნიკოს, მაგრამ სამი ფეხითაც ორივეზე სწრაფად გარბოდა, ჰყიოდა, ჰყვიტინებდა და იმათაც თან მიითრევდა. მერეც, ვიდრე დაკლავდნენ, ნერვები დააწყვიტა ყველას. სტუმარი ხომ ველარ შემოსულიყო ეზოში — საკბენად ეტანებოდა, გიჟივით, მთვრალივით, ეშმაკმა იცის, რასავით. ვერ ამოყორეს ვერაფრით, მთელი ეზო გადაუჩიჩქნა დინგით, ყველაფერს ჭამდა, რაზედაც კბილი მოუხვდებოდა, ჭერმის ნერგიც შეჭამა, ჟასმინის ბუჩქიც, ბებიის სამურაბე ვარდებიც, ფარდაგიც, სარეცხის თოკიც, კრუხის საბუდარიც, ცულის ტარიც, პაპას ძველი ჩექმებიც (ალბათ ჯარისკაცობის დროინდელი, იმდროინდელტალახშემხმარი), და დროზე რომ არ დაეკლათ, იმათაც შეჭამდა. მაგრამ, რად გინდათ, უჯიშო გამოდგა, რაღაცნაირი, ცარიელი ჯაგარი იყო; რომ გაფუფქეს, ალარაფერი დარჩა იმისგან, წვიმით დამხრჩვალ ვირთხასავით ეგდო ფიცარზე. დასერილი და დამარილებული, ერთ პატარა ქვაბში ჩაეტია მთლიანად. სხვებმა აღარ იციან, სად რა ჩატიონ, კასრებიც აღარ ყოფნით, ის კი პატარა ქვაბში ჩაეტია, ხუფი თავისუფლად ეხურებოდა. ხოლო, იმის ბოლო ბარკალი სხვებმა შეთქვლიფეს, მუსრი გაავლეს უცებ, სუნიანად, ძვლიანად (თუმცა, ბარძაყის თეთრად ქათქათა ძვალი ლეოს ეჭირა, განტელივით, და თავსზემოთ იქნევდა: დავიჭირეთ, მოგვყავს, ჰე-ჰე-ჰეიო!) და კიდევ იქით შეედავნენ ბარკლის კანონიერ პატრონს, ყაჩაღად თუ გადიოდი, ხორციც მეტი უნდა წამოგეღო საგზლადო. ნიკოც თავზარდაცემული ისმენდა იმათ საყვედურს [illegible] ცდილობდა, როგორმე [illegible] მობრეცილი, აცახცახებული ნიკაპი. კარგო და ტკბილო — ჩემო სასახლეო. თავის დროზე დალეული შხამიც კი ტკბილიაო. სიჩქარეში ძაღლმა ბრმა ლეკვები დაჰყარაო. მაგრამ პაპა სად არის აქამდე?! შეხვდა ალბათ ვილაცა. ვერ ეტყვის, მეჩქარებაო, შვილიშვილი არ მინახავს მთელი თვეაო. ფულისა ჯოჯოხეთსაც კი ეშინია — არ დამანგრიოსო. ფული პატარა ღმერთიაო. სწორეა. მართალია. ანგელოზს გააყაჩაღებს და ყაჩაღს გაანგელოზებს. გაგონილა, ქა?! ჩემმა კაცი მოკლა და არაფერი. მადლობაც არ უთქვამთ. კაცი მგელზე მეტი მაინც აღარ არის?! მაინც ფული ჯობია უფულობას. სიძულვილიც სიყვარულივით ბრმააო. აქედან გამომდინარე, სიყვარული იგივე სიბრიყვე ყოფილა. სიბრმავე კი არ სჭირს, სიბრმავეა თავად, რასაც ჰქვია, ის არის სიყვარული და რასაც სიყვარული ჰქვია, ის სიბრმავეა. თუ კაცს ბედი აქვს, მოზვერიც დაუმაკეებაო. ვინც არ გაიქცევა, არც წაიქცევაო. მთლად ასე არ არის: პაპა გაიქცა და წაიქცა, მამა არ გაიქცა და მაინც წაიქცა, ნიკო წაიქცა და მერე გაიქცა. გოგიას გაექცა. იმ საბრალო კაცისმკვლელს. ჯოხს რომ აიღებენ, ქურდი კატა გაიპარებაო. იმიტომაც ასმევენ კატებს. ლომონათს. მაგრამ თავიდანვე თავგვის შაქარი რომ მიეცათ, აჯობებდა. აჯობებდა?! სიტყვამ ცხრა კარი უნდა გაიაროსო. ორლობეში სანიფხვე საკაბედ გავიდაო. ოქროს ქალამანი რომ გეცვას, მაინც ქალამანიაო. ობოლი თავის ჭიპს თვითონვე მოიჭრისო. ობლის მამა ღმერთიაო. ვისაც გული არა სტკივა, იმას ცრემლიც არა სცვივაო. პატიოსან კაცს გაცვეთილი ჩოხა აცვიაო, მაგრამ ახლა უმრავლესობას გაცვეთილი და დაკონკილი აცვია. იმ დღეს ექიმი ხუმრობდა, პატიოსანი კაცი მომკვდარიყო, ვითომ, და არ იცოდნენ, როგორ დაემარხათო. ახლა ყვე-

ლას ერთნაირად მარხავენ, გინდა პატიოსანი იყავი, გინდა უპატიოსნო, გინდა დიდი მამაძაღლი, გინდა პატარა — წინ დროშა, უკან ორკესტრი. ცამპარამპაცამპარამპა-რამპამპა. ჯამრთელობის ფასი ავადმყოფობამ იცისო. სხვისმა გაკეთებულმა გული მატკინა, ჩემმა — წელიო. ქორი ქორსა ჩეკს, ძერა ძერუკასაო. დავთესე თხილი, მოვიდა თხილი, რაც მამა იყო, ის მისი შვილი. ასე თუა, ნიკოც კარგი კაცი უნდა გამოვიდეს. უფრო სწორედ, შეიძლებოდა, გამოსულიყო კარგი კაცი, წესიერად რომ წარმართულიყო მისი ცხოვრება, გოგიებსა და ლეოებს რომ არ გადაჰყროდა. გოგიას ჭიები ჰყავს. სკოლის ფეხსადგილში დაჰყარა ერთხელ, ჭიები კი არა, ლამის გველები — თეთრი, გრძელი, ქამრის სიგრძე. დაჰყრის, ისევ გაუჩნდება. არ შველის არაფერი, არც მოხალული, არც მოხარშული. იმას კი არ ჰყავს ჭიები, ჭიებს ჰყავთ ის. ჭიების ბუდეა. ნიკოს ბებიასაც თხოვეს წამალი, მაგრამ ვერც იმან უშველა. არადა, ყველას მშველელია. ვინმეს თუ რამე დაიჩივლა, გადაშლის თავის კარაბადინს, ბედისმწერლის დავთარივით, და რომელი ბალახი თუ ყვავილი გინდათ, იქ რომ არ ეწეროს. ასურული ნიახურიო, ცერეცოო, კამაო, გუნდაო, ვაციწვერაო, მრავალძარღვაო, წყავიო, წუნწუბიო, ხაშხაშიო, ვარდიო, ბოლოკის ძირიო, რევანდიო, თურინჯიო, გვირილაო, ზაფრანაო, ქონდრის ხეო, მოცვიო, გუნდრუკიო... სულ მე გიკმიოთ გუნდრუკი?! როდემდე, როდემდე?! გავიდა ცხოვრება. ჩემი ტოლი გოგოები მაღალქუსლა ფეხსაცმელებსაც იცვამენ და არც პუდრსა და პამადას იკლებენ... სუმბულიო, ლენცოფაო... ლენცოფა ხომ არ დაგილევია შენ?! როგორ ელაპარაკები მამას?! როგორ ელაპარაკები მეთქი მამას?!... ასკილიო... ნიკოს თავისი წონა ასკილი ექნება დაკრეფილი. ჩამოვიდა თუ არა ბათუმიდან, მაშინვე ასკილის საკრეფად გააქანეს ტყეში. მთელი სკოლა, მასწავლებელ-მოწაფიანად ტყეში იყო გალალული. ფრონტს სჭირდებოდა ასკილი. ბავშვებს ღუდუდღები ეყარა ტანზე. ქავილი კლავდათ, ლამის კანი ჩამოებლორტნათ ფრჩხილებით. ხელები მარტო ასკილის საკრეფად კი არ მოუცია ღმერთს, არამედ, აქავებულის მოსაფხანადაც... კუნელიო, ქარქვეტაო, მთის პიტნაო, აბზინდაო, მწარე ნუშიო, ხუთფურცელაო, შარინამაო, თეთრი ყაყაჩოო, და კიდევ ათასი და ათასი. ისეთი ლამაზი სახელები აქვთ, სულ რომ იმეოროთ, არ მოგწყინდებათ. გინდაც „ყვავილნარი“ გითამაშიათ. თუმცა, ნიკოანთ „ყვავილნარი“ ხელში აღარც აიღება. ძაღლსა და მამაძაღლს მიაქვს, ვითომ ერთი საღამოთი გთხოვენ და დიდი მადლობა უნდა გადაუხადო, ერთი თვის მერე თუ დაგიბრუნეს. ძალიანაა ეს თამაში გავრცელებული სიღნაღშიც. წვეულება ხომ, უიმისოდ, წარმოუდგენელია. „კულტურულობად“ ითვლება. ყოველშემთხვევაში, წერა-კითხვა მაინც უნდა იცოდე, თამაშში რომ ჩაერთო. მაგრამ უფრო დიდი უბედურება ისაა, პოეტობა რომ უნდა ყველას, ყველას პოეტი ჰგონია თავი, როგორც კი ფანქარს აიღებს ხელში. ომმა მართლა გაამრავლა პოეტები, იმიტომ რომ, ძირფესვიანად შეარყია ადამიანის გული და გონება, დაუფეთა ოფოფები. ისეთ რამეებს ჩაამატებენ ხოლმე, რომ განახათ, გული მოგიკვდებათ. გარჩევაცა ჭირს — ზოგს ხელი სრულებით არ უვარგა, ეტყობა, ახალი ნასწავლი აქვს წერა, ზოგი კი განგებ, სილამაზისთვის, თავის გამოსაჩენად ახუჭუჭებს ასოებს. ნიკოანთ „ყვავილნარში“ ძირითად ტექსტს უკვე ჩამატებული სჭარბობს. ნეზაბუდკა: ჩვენ ბოდიში, ფეხსაცმელი ხომ არ გიჭერთ. ანდა, კიდევ უარესი: რამაშკა: (ქართულად აღარ კადრულობს, ვითომ, ძააააღიან კულტურული ვარო) ქალბატონო ევა, სადაც მეტყვით შევალ. პოეტობა პოეტობად და, თუ ვინმემ უნდა თქვას კაცი ვარო, ამის დამწერმა უნდა თქვას

პირველ რიგში. ქინქლა არ ეტყვის კოღოს. ცალტვინაანთ სერგოსი არ იყოს, ველად გაიგებთ, ლა ამბავია, ლა ხდება. არაფერი არ ხდება ისეთი, რაც უთვალავჯერ არ მომხდარა და უთვალავჯერ არ მოხდება კიდევ, ვიდრე ამ ქვეყნად კვდება და იბადება ადამიანი. როგორც ბუნებაში დღეს ღამე ენაცვლება და პირიქით, ასევე ადამიანის ცხოვრებაში ამაღლებას დაკნინება მოსდევს, განათლებას გამოტვინება, გაკეთილშობილებას გაპირუტყვება... და ასე იქნება სულ, რადგან სული ერთნაირად ტკბილია, გინდა გაადამიანებული მხეცი იყავი, გინდა გამხეცებული ადამიანი. სამაგიეროდ, ყველას უყვარს სხვის კუბოსთან ფუსფუსი — აბა, ეს არ გამოგვრჩეს და აბა, ისაო — მაგრამ გვამის აყროლებამდე, ვიდრე სუნს აუშვებდეს. იმიტომაც წააყრიან ხოლმე მაშინვე მიწას, მიწაში ჩატკეპნიან ღრმად, ღრმად, რაც შეიძლება ღრმად, როგორც თვალიდან შორს, ისევე გულიდან. გალია ყველა ერთია, ოქროსი იყოს, გინდა ხისაო. ერთ ცხვარსაც მწყემსი უნდა და ათასაცო. დარდს მოგცემ, დარდს დაგავიწყებო. კატასთვის თამაშობა, თაგვისათვის სულთაბრძოლააო. ერთმა ღორმა ჯავახეთი ამოაგდოო, მაგრამ საინტერესო არ არის, ვინ იყო ის ერთი „ღორი“, ანდაზად რომ დარჩა ხალხში?! სანთელი ქვეშ არ გაინათებსო. არც არაფერი სჭირს სანთელს ქვეშ გასანათებელი. აი, ზოგიერთ ადამიანს კი არ აწყენდა ქვეშიდან განათება, ბევრი რამე გამომზეურდებოდა, საგულდაგულოდ გადამალულ-მიჩქმალული. სანთელი ისაა, რაცაა. იწვის და ანათებს. სხვებს უნათებს, თვითონ დნება, ქრება. ტყუილად კი არ ამბობენ კარგ ადამიანზე, სანთელივითააო. მარგალიტას უთხრა ერთხელ მღვდელმა, სანთელივით ქალი ხარო, მადლსა შვრები, ბრმებს რომ პატრონობო. მაგრამ მარგალიტა, რატომღაც, გაუბრაზდა — ეს სიტყვები ჩემს ქმარს უფრო ეკუთვნისო, მართლა თუ რამე ძალა გაქვს, იმაზე ილოცეო. ნიკო და ვალო ბადალაშვილი შემთხვევით შეესწრნენ იმათ ლაპარაკს — სკოლიდან გამოპარულები, ეკლესიის უკან ისხდნენ, კედლის ძირში, და მზეს ეფიცხებოდნენ. ჯერ გაიტრუნენ, მაგრამ მერე ისეთი რამე მოისმინეს უნებურად, გამოჩენისა უარესად მოერიდათ. მარგალიტა ტიროდა კიდეც (ყველაზე მეტად ამან გააოცა და შეაშფოთა ნიკო).კარგი, ქალო, გეყოფაო — ამშვიდებდა მღვდელი. მარგალიტა კი, ერთსა და იმავეს იმეორებდა სულ, ჩემს ქმარზე ილოცე, ყველაზე ცოდო ის არისო, თქვენ ხომ არ იცით, რა სანახავია, ბრმა რომ ტირისო. სიზმარში ეგონა ნიკოს თავი, გაოცებული შესცქეროდა ვალო ბადალაშვილს და, ტუჩებზე თითმიდებული, ანიშნებდა, არ გაინძრე, ხმა არ ამოიღოო. არასოდეს არ მოუსმენია მარგალიტასგან მსგავსი რამ. მარგალიტა, რასაც ყვება, სიცილით ყვება. სხვებს ამშვიდებს და ამხნავებს იქით და იმის გულში ჩაუხედავი, ვერც იფიქრებს, როდისმე, რამე საწყენი და სადარდელი თუ შეხვედრია ამ ლამაზსა და მხიარულ ქალს. თავის თავგადასავალსაც სიცილით უყვება სხვებს, თითქოს რაც თავს გადახდენია, ყველაფერი ერთნაირად სასაცილოა, სხვათა გასართობადაა გამიზნული და არც იმის სულში ტოვებს კვალს, არც იმის სახეზე. არადა, კარგად რომ ჩაუკვირდეს კაცი, ერთი, ჩვეულებრივად უბედური ქალია ისიც. ჯერ კიდევ ბავშვი ყოფილა, ძმებს რომ გაუთხოვებიათ ვიღაც სიღნაღელ ფოტოგრაფზე. მოუშორებიათ თავიდან. ხან ერთი რძალი დაუკაკუნებდა თურმე იატაკზე ქოშს, ხან მეორე. თვითონ კი იმაზე ეცინება, ისიც რომ არ სცოდნია ჯერ წესიერად, რატომ უნდა დაწოლილიყო ლოგინში ვიღაც უცხო კაცთან ერთად. ის ფოტოგრაფი ჯიბიდან გავარდნილი გარეწარი აღმოჩენილა ბოლოს: ჩუმად ულებდა თურმე მარგალიტას სურათებს და მერე, დუქან-დუქან, ბაზარ-ბაზარ, ვაგონ-ვაგონ ყიდდა, ვიდრე

ციხეში არ უკრეს თავი. მარგალიტას კი იმაზე ეცინება, ძალიან გრძელი ფრჩხილი რომ ჰქონია იმას ნეკა თითზე და მარილსაც იმით იყრიდა თურმე კერძზე და ყურსაც იმით იჩიჩქნიდა. თავად მარგალიტა ვექილს გადაურჩენია, გაუმართლებია, ქმრის თუნდაც ბრმა თანამზრახველად კი არა, ქმრის სიხარბისა და გარყვნილების მსხვერპლად გამოუყვანია და ისე შესულა როლში, მთელი დარბაზი უქვითინებია, მოსამართლიან-მსაჯულებიანად. მოკლედ, როგორც მარგალიტა იცინის, იმდენი უომია, ვიდრე მარგალიტას ქმარი ციხეში არ გაუშვია, თავად კი, ქმრის მაგივრად, არ შესწოლია მარგალიტას ლოგინში. ხელით იყო შესანახიო — იცინის მარგალიტა. — უჩემოდ ჩაისაც ვერ დაიშაქრავდაო. სიღნაღში რომ მოუწევდა ჩამოსვლა, ისევ რომელიმე პროცესზე, აუცილებლად მარგალიტასთან ჩერდებოდა თურმე, როგორც „საკუთარ ოჯახში". ერთი პირი საცვალი, საშინაო ფლოსტები და კბილის ჯაგრისი მარგალიტასთან ჰქონია დატოვებული. მაგრამ ერთხელ ცუდად გამხდარა და სასწრაფოდ გაუქცევია მარგალიტა ფოსტაში, ჩემს ცოლს შეატყობინე, ჩამომაკითხოსო. მარგალიტა კი იმაზე იცინის, არ ვიცოდი, ვისი სახელით გამეგზავნა დეპეშა, ჩემი თუ იმისიო. ამდგარა და, ჩვეულებისამებრ, ისევ ძია სანდროსთვის უკითხავს, როგორ მოვიქცეო. ძია სანდროს შესჩიოდა თურმე თავის ჭირ-ვარამს. სხვა არავინ ყოლია ახლობელი, გულშემატკივარი. ძმები იმის ამბავსაც არ კითხულობდნენ თურმე. ძია სანდროს წყლით სავსე თითბრის ჯამი ედო მაშინაც მუხლებზე, შიგ პურს აწებდა და უსმენდა. არაფერს მეუბნებოდაო — იცინის მარგალიტა — თითქოს, მაინცდამაინც, ჩემით უნდა მივმხვდარიყავი, იმის იქით გზა რომ არ მქონდაო. ხოდა, მიხვედრილა კიდეც. ერთხელაც მისულა და უთქვამს: რაღა შენს დაგრეხილ თოკს დავეკიდო, ბარემ შენ დაგეკიდები კისერზეო. ძალიან კარგი, მაგრამ ამდენი ხანი მართლა რად უნდა ერთი ბოთლი ღვინის [illegible]?! აქამდე ათჯერ მობრუნდებოდა [illegible], არათუ ღვინის სარდაფიდან, არამედ, ნუკრიანელი მათუსალას „დუქნიდანაც". ჰი, იქიდან კი მართლა ძნელია თავის დაღწევა. თუ შეცდი და მოიკითხე კიდეც, გათავდა, აღარ მოგეშვება — რატომ მეკითხები, რამეს ხომ არ მატყობ ცუდსაო. მეტი რაღა უნდა შეეტყოს, ცას ხომ არ გამოეკერება? ვინც ყავდა ახლობელი, ყველა ინაცვალა. დედ-მამის სახელებიც აღარ ახსოვს. შარვალს მაშინ ჩაიხდის ხოლმე, როცა უნდა აიწიოს. თუ ეტყვიან, ბრაზდება, არ სიამოვნებს. შენმა მზემ და შენმა თავის გახეთქვამ. დააკუტებს, დაადამბლავებს, ღრანჭს მოუქცევს სიკვდილი, მაგრამ ბოლო წუთას მაინც სხვას წაიყვანს იმის მაგივრად, თითქოს ჯერ კიდევ არ ამოულია იმას, ვინ იცის, როდის ჩადებული თავნი. და ისიც ზის, ღრანჭმოქცეული, კარლია ოთახში, დუქანი რომ გონია თავად და ობობის მოთმინებით ელოდება არარსებულ მუშტარს, აგეეე, თუ აღარ შეიძლება ვაჭრობაო — ჯოხს მიუშვერს ხოლმე ნიკოლოზის დროინდელ ღერბიან ქაღალდს, სურათივით, ჩარჩოში ჩასმულსა და კედელზე დაკიდულს. არაფერი არ იცვლება იმისთვის, არაფერი არ მოქმედობს იმაზე. მინამ პირში სული მიდგას, მინამ პირში სული მიდგას — ჩიფჩიფებს თავაცანცარებული. „დახლზე" ძველისძველი (გასული საუკუნისა) კიდეებგადაქექილი ალბომი უდევს, ოღონდ, სურათების ნაცვლად, შიგ ისეთივე ძველისძველი გაზეთებიდან ამოჭრილი სარეკლამო განცხადებები ჩაუწებებია. თუ გინდა, დაათვალიერე, არ დაგიშლის. პირიქით, ემაყება, მოსწონს, ვიღაცა რომ ათვალიერებს იმ ალბომს — იქნებ მუშტარია?! — ზის, თავს აცანცარებს, ტუჩის სველ კუთხეში ეშმაკური, დამცინავი ღიმილის ძლივსშესამჩნევი ნაშთი უჭიატებს და შემოგცქერის ამოწითლებული, წყალჩამდგარი თვალე-

ბით, თითქოს სინამდვილეშიც აქვს, რაც იმ ალბომში სწერია და ახლა შენ გელოდება, რას აირჩევ და რამდენს. კი ბატონო, მშვიდად ნახე და მშვიდად აირჩიე, გინდა კოლონიური საქონელი, გინდა ქიმიური და საათფთიაქო — საუკეთესო თვისებებისა. იქნებ, სადიზენფექციო, ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი წამლები გნებავთ, პატენტოვანი?! ანდა, მრავალგვარი და მრავალფერი საპირფარეშო სამკაული, თმისა და თვალ-წარბის საღებავი, პარფიუმერია — კოსმეტიკა?! გვაქვს ყოვლად გაუმჯობესებული, დიდძალი ლითონის ფირფიტაც — რუსთა, ქართველთა, სომეხთა, თათართა, სპარსთა, ოსმალთა, პოლონელთა, ფრანგთა, ინგლისელთა, გერმანელთა და სხვათა სახელგანთქმულ მომღერალთა. აირჩიეთ, რომელიც გნებავთ. ოღონდ, არჩევისას, ძალიან გთხოვთ, ყურადღება მიაქციეთ ჩვენს საფაბრიკო დამღას: „მწერალი ანგელოსი“ (ჰმ, ჰმ...), ურომლისოდაც, ფირფიტა ყალბი იქნება უსათუოდ. მაგრამ თუ პირის გემო იცით (თუკი შეგრჩათ), მაშინ, აქეთ მობრძანდით. მუდამ ჟამს იშოვება საუკეთესო და ახალი (ჰმ, ჰმ...) დოში, თარითი, იანი, ჭიპა, ორაგული (დონისა და ქართული), თევზეულობის ყველანაირი კონსერვი და ყველანაირი ხიზილალა. ფასები ყველასთვის ხელმისაწვდომია. ყოველგვარ შეკვეთას ვასრულებთ დაუყოვნებლივ და სინდისიერად (ჰმ, ჰმ...). თავად კი, ასეთი რეკლამების შემდეგ, სამი-ოთხი ნაჭერი, გამხმარი სკინტლის მაგვარი, კევი უგდია პირმოტეხილ ჭიქაში, ბინძურ, ვინ იცის, რამდენი ხნის გაურეცხავ თეფშზე დამწნილებული (უფრო — დამპალი) ნივრის თავნახევარი უდევს, ჯიბისხელა პარკის ძირზე ერთი მუჭა მოუხლელი მზესუმზირა უყრია და... ვაჭრობს. მაინც ვაჭრობს, მიუხედავად ყველაფრისა. ვაჭრობის ჟინს იკლავს. ვაჭრობას თამაშობს, ბავშვობაში გადავარდნილი, და სრულებითაც არ არის გასაკვირი, რადგან „ვაჭრობალა“ შეუძლია მხოლოდ, ანუ, კარგამოლებულ ოთახში ჯდომა და [illegible] მუშტრის ლოდინი. კაცი რომ ბერდება, ბავშვდებაო, თითქოს ბავშვობა გამოშტერებას ნიშნავდეს. ხოდა, ისიც დღითი-დღე უფრო ბავშვდება, თამაშის ხალისიც ემატება. სალაპარაკოდ თუ ჩაგიგდოთ ხელში, აღარ გაგიშვებთ. მაგრამ პაპა რატომ უნდა ასულიყო ნუკრიანში?! აბა, სად არის აქამდე?! ბრმათა შორის ცალთვალიო, ვით პირველი სარდალიო. სიტყვით — ვაიმეო, საქმით — სხვაიმეო. ჯავრის დედა ბოზია: აქეთაც წავა და იქითაცო. ფული გზას იწალდავსო. ფული, ფული და ფული. სულ ფულზე ფიქრობს ადამიანი და იმიტომაც ვერ შოულობს. ანდა, თუ შოულობს, ექვლევინება. ფერი ლალისა, გემო წყალისაო — სარდაფიდან მოტანილ ღვინოზე ამბობს ასე პაპა. ბებია კი ეჩხუბება: თუ ვაჟკაცი ხარ, იქ გეთქვა, აქ რომ იცინიო; შეტყობა თუ იცი, რაღაზე ატყუებინებ თავსო. ხოლო, პაპა დროულად თუ არ გაუჩუმდა, შეიძლება, იმის შორეულ წარსულსაც გადაწვდნენ, ერთ ბოთლ წყალღვინოზე ჩამოვარდნილი სიტყვა გაიწელოს, გაიწელოს და ისიც კი დადგინდეს, პაპის მორიდებულობის, გაუბედაობისა და მშიშრობის ბრალი რომ ყოფილა, თუკი მათი ერთი ქალიშვილი სადღაც ბათუმშია გადაკარგული, მეორე კი შინ უზით. ჩიტი ჩამომიქროლებს, ამკენკავს, წამიღებს. ჩიტი ჩამომიქროლებს, ამკენკავს, წამიღებს. პაპა კი უკვე ამოსული იქნება ალბათ სარდაფიდან. ამდენხანს რა გააჩერებდა იქ, თუკი, რა თქმა უნდა, ის არ შეემთხვა, რისიც ყველაზე ძალიან ეშინია და რისგამოც აგზავნის ხოლმე ნიკოს, თავის მაგივრად, ღვინოზე — ვიღაცამ დაპატიჟა ალბათ ერთ ჭიქა ღვინოზე და სიმწრის ოფლი ასხამს ახლა, არ უყვარს, არ შეუძლია მშიერ კუჭზე ღვინის დალევა, თანაც ზეზეურად, ცხენივით, მაგრამ ვერც უარი უთქვამს, ერიდება, პატივ[illegible]ეს, დააფასეს, მე

რე რა მოხდა, თვითონ თუ არ უყვარს და არ შეუძლია, სამაგიეროდ, დამპატიჟებელს უყვარს და შეუძლია კიდეც. შენ კი უნდა იტანჯო, იმიტომ რომ, დაგაფასეს, პატივი გცეს, ჭიქა მოგაწოდეს... და კიდევ იმიტომ, უარის თქმა რომ არ შეგიძლია არაფერზე, ვერავის რომ ვერ აწყენინებ. მაგრამ, გინდაც დაეპატიჟნათ, აქამდე მაინც დაიღწევდა როგორმე თავს. ერთხელ ნიკოს დაუსხლტა იმ სარდაფის კიბეზე ფეხი და, ცოტას მორჩა, უკანვე ჩაგორდა ბოთლიანად. „ხელი ბიჭოო — დაუძახეს ქვემოდან, ღვინის სუნით გაჟღენთილი ბინდიდან“ — ჩვენა ვსვამთ და შენა თვრებიო. პაპაც მოდის უკვე, მოაკონწიალებს სავსე კვარტიანს. თან რცხვენია, ერთი ბოთლი ღვინო რომ მოაქვს. ისეთი რაღაცეებისა რცხვენია, სიბრაზისგან გული გაგისკდებათ. რცხვენია, ვინმემ არ დამიძახოს, დასალევად მიგაქვს ეგ ერთი ბოთლი ღვინო თუ პირში გამოსავლებადო. ნიკო სხვაა, ნიკოსთვის შეიძლება, რადგან, მიუხედავად ყველაფრისა, ჯერ კიდევ ბავშვია (რასაკვირველია, იმის წელთაღრიცხვით). თუ უფროსისთვის ერთი ბოთლი ღვინის ყიდვაა სათაკილო (ესეც, რასაკვირველია, იმის შეხედულებათა მიხედვით), ბავშვმა, პირიქით, ერთ ბოთლზე მეტი არ უნდა დაიჭიროს ხელში. მოდის, მოაკონწიალებს კვარტიანს, ვითომ, არხეინად, ვითომ, გინდაც გამივარდეს, არაფერი დამაკლდებაო; შიგნით კი, გუნებაში, ერთიანადაა დაძაბული, აგანგაშებული, მართლა არ გამივარდეს ბოთლი ხელიდანო. მაგრამ უფრო ის აწუხებს, ვინმემ არ დაინახოს, ვინმემ არ თქვას, ვინმემ არ იფიქროს, როგორ წამხდარაო, ცხოვრებას როგორ დაუმარცხებიაო, როგორ შესცინებს ამ ერთ ბოთლ ღვინოს, როგორი დიდი ამბით მოაქვს, ბავშვის წამალივითო. ღვინო მაინც იყოს! ფერი ლალისა, გემო წყალისა. კასრის ნარეცხი. ენები, იცოცხლე, მართლაც დალესილი აქვთ აქაურებს. ჯიბეებში ხელებჩაწყობილნი დგანან დუქნის, გარაჟისა თუ სადალაქოს წინ, თითქოს, ეს წუთია, გამოსულან იქიდან და ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ, უკანვე შებრუნდნენ, თუ სხვაგან (კი მაგრამ, სად?) წავიდნენ სადმე. რა უნდა გამოუჩნდეთ უკეთესი გასართობი?! ცხოვრებისგან მათსავით გალახული, მაგრამ მათზე უფრო ამაყი, უფრო თავმომწონე (თუნდაც, უფრო მორცხვი) კაცი, ერთ ბოთლ ღვინოს მოაკონწიალებს ქუჩაში, ვითომ, არაფრად არ ჭირდება, ანდა საჭაშნიკოდ მოაქვს — თუ მოეწონება, ას ბოთლს მაინც იყიდის ამ ღვინისას — ეგდოს სახლში, რა იცი, რა დროს დაგჭირდება. იქნებ, სულაც შვილიშვილის შარდი მიაქვს პოლიკლინიკაში გასასინჯად?! მართლა, ე! შვილიშვილი ხომ ავადა ჰყავს, აი, ბათუმელი ავარია. როგორ არის, კაცო, ბიჭი? მართალია, ეგეც იქ იყოო?! კარგად არის, კარგად. სტამბოლის კაჟივით, — უცინით პაპა. მაგრამ რაც ხმამაღლა ვერ უთქვამს, იმას თავისთვის ამბობს გუნებაში: რა მოხდა, თქვენები ავად არ ხდებიან?! შარში ხომ არ უნდა გამხვიოთ, ყაჩაღებთან რა ხელი აქვს ჩემს შვილიშვილს, ან იმ თითისტოლა ღლაპს რომელი ჭკუათმყოფელი ყაჩაღი გაუყადრებს თავს?! ენა უძვლოა, ყველაფერს იტყვის, მაგრამ თქვენც კი არ უნდა დაუჯეროთ ყველაფერი იმ მამაძაღლ ნასყიდას. აკი თვითონვე დასცინით! თუ დასცინით, რაღას უსმენთ, თუ უსმენთ და, რაღას დასცინით, თქვე დალოცვილებო?! იცით, ჩემზე რას ამბობს?! გულზე დაადგეს ჩემი ღვინო. თუმცა, ჩემზე კარგად იცით ალბათ, რასაც ამბობს. ხოდა, ილაპარაკოს, სანამ არ მოწყინდება. ბავშვს კი თავი გაანებოს, ჩემს ბავშვს თავი გაანებოს მეთქი, მითქვამს! უკეთესია პატარა ცეცხლმა გამათბოს, ვიდრე დიდმა დამწვასო. მაგრამ მაინც ვერ გაიგო ნიკომ, როდის შემოვიდა პაპა. მერე დააჭყიტა თვალები, ბებიამ რომ ჰკითხა იმას, ბიჭს რატომ არ დაელაპარაკებიო.

— აბა, რო ძინავს?! — თქვა პაპამ და ნიკომაც ისევ დახუჭა თვალები, უნებურად, თითქოს პაპის გასამართლებლად.

— არ ძინავს. ასე წევს, თვალდახუჭული. — აუხსნა ბებიამ.

სავსე კვარტიანი კი უკვე მაგიდაზე დგას. პაპა, ქუდიანად, პალტოიანად, ჩაცუცქულა ღუმელთან, გავარვარებულ, გამოწითლებულ გვერდზე გაფარჩხულსა და ოდნავ მოღუნულ თითებს უკაკუნებს და ამბობს: მეორედ მოსვლაა, ხალხნო, წაიღო ქარმა ქვეყანაო. მაგრამ თვალები მაინც ეშმაკურად უციმციმებს. კმაყოფილია — ქარს გადაურჩა, თანამოქალაქეთა დამცინავ გულითადობასაც, შინ ცეცხლი უნთია, ღვინოცა აქვს, პურიც... მაგრამ უცებ შემცბარი წამოდგება, უკან იხედება, ბებიისკენ და შეწუხებული ხმით ამბობს:

— მწნილი?! მწნილი რატომ არ ამოგიღიათ აქამდე?!

— მაგიდაზე დგას შენი მწნილი, — პასუხობს ბებია და მართლაც, კვარტიანის გვერდით, მთელი მათლაფა მწნილი დგას.

მწნილის დანახვაზე ნიკოსაც ნერწყვით ევსება პირი, თუმცა, მაგიდაზე აღარც კვარტიანია, აღარც მწნილით სავსე მათლაფა. ეტყობა, ეს უკვე სხვა დღეა, ქარი კი ისევ ძველებურად უბერავს. ხატის წინ ბებიას სანთელი აუნთია. სანთელი ჩუმად, მშვიდად იწვის თავისთვის. ხანდახან სუსტად გაიტკაცუნებს და საკუთარ ჩრდილს დააფეთებს კედელზე. პაპა სკამზე ზის ღუმელთან, კალათში შეშის ნაპობი უდევს. ბებია დეიდის ღამის პერანგს აუთოვებს და მოულოდნელად ამოისლუკუნებს ხოლმე. უცრემლოდ ტირის. ქალიშვილის ბედს დასტირის. ეცოდება, გაუთხოვრად დაქვრივებული. ყველაფერში გამორჩეული, ყველაფერზე გულდაწყვეტილი. არც მაღალქუსლებიანი ფეხსაცმელია იმისთვის, არც პუდრი და პამადა. მაგრამ ვერც აშკარად უტირია, კიდევა აქვს იმედი და ეშინია ღმერთმა არ უწყინოს ცოცხალის გლოვა. ის რომ ამოისლუკუნებს, პაპაც მაშინვე გახედავს ხოლმე, შეშფოთებული. იცის, ესმის, ხვდება. სხვა მხრივ, საყდრული მყუდროება დგას და უცებ მართლაც საყდარში გეგონება თავი. ნიკოს უყვარს საყდარში შესვლა, მაგრამ მარტო, რატომღაც, ვერ ბედავს, რცხვენია, ერიდება, და დეიდას მიჰყვება ხოლმე. თუმცა, არც დეიდას ერიდება ნაკლებად, იმასაც უკან რჩება ფეხები, აქეთ-იქით აცეცებს თვალებს, ქურდბაცაცასავით, თითქოს ვიღაცა უთვალთვალებს შორიდან. „მე არა მწამს არაფერი, სოსოს გულისთვის მოვდივარო“ — იტყვის ხოლმე საკმაოდ ხმამაღლა, თითქოს გამომწვევადაც, ალბათ იმ ვიღაცის გასაგონად. უკანასკნელად შობის წინ იყვნენ, სანთლები აანთეს, ქრთამი მიუტანეს ღმერთს, პატარა, უმნიშვნელო, იაფი, მაგრამ სავალდებულო — ჯოჯოხეთს ანათებს. სანთლის მკრთალი გამონაშუქი თაღიდან ჩამოშვებულ ჯაჭვზე ლიცლიცებდა. იმ ჯაჭვზე ალბათ ჭაღი ეკიდა ადრე, ახლა კი უმიზნოთ ჩამოშვებულა თაღიდან, მერცხლებისა და ღამურების სკინტლით ჩამოთეთრებული, ზედმეტი, უმაქნისი. ვერც ვერავის დააბამთ იმით. ნიკო დაბნეული და, ცოტა არ იყოს, შემცბარი ათვალიერებს, მეზღვაურებივით, დასვირინგებულ წმინდანებს — რაღა არ აწერიათ, სადღა არ აწერიათ — მაგრამ მაინც ურყევი, შეუვალი, შეუბღალავი სიმშვიდითა და მოთმინებით იყურებიან იქითკენ, საითაც კედელზე ალბეჭდვისთანავე გაიხედეს. „აქ ერთი კარგი ხატიც გვქონდა, მაგრამ თბილისში გავაგზავნეთ, კათოლიკოსთანო“ — უთხრა ნიკოს მღვდლის გოგომ (ვინ იცის, ახლაც გზაშია). მღვდლის გოგო წარამარა ძუძუს ქვეშ ისვამდა ხელს, ალბათ ლიფი უჭერდა. ნიკოს მზერა რომ იგრძნო, გამოხედა და სულელურად გაუღიმა. ნიკომ კი სასწრაფოდ აარიდა თვალი. ტანმორჩილი გოგოა, ხორციანი. ზამთარ-ზაფხულ, უმკლავე-

ბო შალის ჯემპრი აცვია. თეთრად უქათქათებს მსხვილი, მოკლე მკლავები. ამბობენ, ნესვა სრისავს ღამღამობით ეკლესიის უკანო. მაგრამ, რომ არა თქვენ, ის უნდა გაგიკვირდეთ სილნალეში. დეიდა სანთლის წინ იდგა და რალაცას ელაპარაკებოდა უხმოდ, პირის გაუხსნელად, ბებიასავით. მარტო ტუჩები უთრთოდა ოდნავ, მჭიდროდ მოკუმული. ალბათ ისევ იქ იყო, წნორში, აკაციის ყვავილის სუნით გაბრუებულ ორღობეში, თავის თავგადახოტრილ სოსოსთან და ძაღლთან ერთად. ამდროს, სად იყო და სად არა, გიჟკოლა შემოვიდა, მკერდმოღეღილი, მხარზე ბარგადებული. „რამდენჯერ გითხარი, აქ ბარით ნუ შემოდიხარ მეთქი“ — დაუტატანა საიდანღაც მოულოდნელად გამოსულმა მღვდელმა, მაგრამ გიჟკოლამ ყურიც არ ათხოვა, პირდაპირ იმისკენ დაალერა თავი, ლაპარაკლაპარაკით: ერთი, გამაგებინე, როდის აქეთაა, მამის ხატრი და პატივისცემა სიგიჟედ რომ ითვლებაო. მღვდელს ჯვართან და ოლართან ერთად გადახვეული ანაფორა ილლიაში ამოედო და ჩვეულებრივ სილნალელ ხელოსანს გავდა, რომ არ გცოდნოდათ ვინ იყო, იფიქრებდით, ისიც სხვებივით, სანთლის ასანთებად, ანდა, ისე, უსაქმურად, აქაურობის დასათვალიერებლად შემოსულაო. „რა გინდა, კოლავ, ჩემგან, თავი ხომ არ უნდა მომაკვლევინოო“ — შეევედრა გიჟკოლას. „გინდა გითხრა, გიჟი ვინ არისო“ — არ მოეშვა გიჟკოლა. მაგრამ მღვდელი სასწრაფოდ გავიდა საყდრიდან და მხარზე ბარგადებული გიჟკოლაც უკან მიჰყვა. ასე რომ, ნიკომ ვერ გაიგო, ვის თვლიდა გიჟკოლა გიჟად.

„ჩემი უბედური შვილებიო“ — თქვა უცებ ბებიამ და გაუთოებული პერანგი შუაზე გაკეცა. პაპამ მაშინვე გახედა, შემკრთალ ცხოველივით დაცქვეტილმა. ცოტა ხანს ასე უყურა და მერე წაიმღერასავით:

ჯვარი მწყალობს ჯვარცმული,
ჯვარი პატიოსანი,
მწყალობს წმინდა გიორგი,
ვერას მიზამს მაცდური

ბებიამ თავი გადააქნია, ბავშვის სისულელეზე რომ გადააქნევს უფროსი თავს და უთხრა: არ ღირდა ჩვენი ცხოვრება ამდენ გულისხეთქვადო.

— ახლა ჩემს წარსულსაც გადაწვდება. — მიუბრუნდა პაპა ლუმელს, თითქოს თეატრში მოყვანილ ბავშვს წინასწარ უხსნიდა, რა მოხდებოდა, რას რა მოჰყვებოდა სცენაზე. ანდა, თითქოს ლუმელი დაუდგებოდა ქომაგად და ასევე წინასწარ აცნობდა, ძირითადად, რა საკითხებზე იკამათებდნენ ისა და ბებია.

მუხლებზე შეშის ნაპობი უდევს, თეთრი, ნუჟრიანი, და გამალებული ათამაშებს ზედ თითებს.. შეშის ზუსტად ისეთივე ნაპობები ლუმელის ქვეშაც აწყვია. „ღამით, სიცივეში, გაცილებით ადვილია სიკვდილი, ვიდრე დღისით, სითბოშიო“. რატომღაც, გაიფიქრა ნიკომ. ალბათ უეცრად ჩამოვარდნილი დაძაბული დუმილის გასანელებლად.

— გადაწვდებაო?! გადავწვდები და მეტსაც ვიზამ. — გაბრაზდა ბებია. — რა სანაქებო წარსული კიდევ შენა გაქვს?!

გაბრაზებული იქამდეც იყო, მაგრამ მიზეზს ეძებდა, ბრაზის გადმოსანთხევად. პაპა წუხს, წრიალებს, გამალებული ათამაშებს თითებს შეშის ნაპობზე.

— გაჩუმდი, ადამიანო, ხომ იცი, კედლებსაც ყური ასხიათ. — ეუბნება ღიმილით, ვითომ ხუმრობით.

— გავჩუმდე?! — უკვირს ბებიას. — კი მაგრამ, რატომ?! რას ვამბობ უსამართლოს?! ან იქნებ ჩემს სახლშიც არ შემიძლია სიმართლის თქმა?!

ისეთი სახე ადევს, ეტყობა, მართლა იცის სიმართლე, მაგრამ არ სჯერა, სხვებსაც თუ გააგებინებს და ამიტომაც ბრაზობს ასე. ძია სანდრო ამბობს, ხადანდახან მეც მომინდება ხოლმე სიმართლის თქმა, მაგრამ რაც არ ვიცი, რა ვთქვაო. ბებიამ კი იცის და ამბობს კიდეც. „გაჩუმდიო“ — ეხვეწება პაპა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„იქნებ ტყუილს ვამბობ?" — ჯიუტობს ბებია. მერე ცოტახანს ჩუმდება, ცრემლს უძალიანდება ალბათ, ცრემლის გადავლას ელოდება და თითქოს დამცხრალი, თითქოს დამშვიდებული აგრძელებს: მიადგებოდა საწყალი მამაჩემი თავისი ვენახის ღობეს და ტიროდა. ტიროდა, ცერისსიმსხო ცრემლი ჩამოსდიოდა ლოყაზე, თითქოს ერთიანად ამოწყვეტილ ოჯახს დასცქეროდა. რა გატირებს, მამი, რა გატირებს მეთქი, მომერღვეოდა ხოლმე გული იმისი საცოდაობით. ის კი, გაკვირვებული გამომხედავდა, რალა რა მატირებს, მეტი რაღა უნდა დამემართოს, საკუთარ ვენახშიც არ მიშვებენ, ყუნწზე ლპება ნაყოფიო. შენ კი იმათ დასაცავად თოფი აიღე ხელში. სად შენ და სად თოფი! — ბრაზდება ისევ.

— რა დიდხანს კიდევ მე ის თოფი მეჭირა, — ყალბად იცინის პაპა, დაძაბული, აწრიალებული. სრულებითაც არ ეცინება, მაგრამ იქნებ, ასე უფრო შეანელოს ცოლის სიბრაზე — დათმობით, დაყვავებით.

— მერე კიდევ, — აგრძელებს ბებია, ისევ თითქოს დამცხრალი, თითქოს დამშვიდებული. — მერე კიდევ, თუ რამე გვქონდა, ჩვენი სიღარიბისა, ფეხსადგილში ჩაჰყარე, თითქოს, მაინცდამაინც, შენი ჯავრი სჭირდათ ბოლშევიკებს, თითქოს, მაინცდამაინც შენს ყანწიან ქამარ-ხანჯალზე დაფეთდებოდნენ.

მართალს ამბობს, მაგრამ, მაინცდამაინც, არც თვითონ უსახელებია თავი, ბევრი ვერაფერი გადაურჩენია იმდროინდელი: ჩიხტაკოპის ქინძისთავები და ბავშვის ნეკისხელა ჯვარი, ოქროსი, სწორედ ის ჯვარი, ამ ზამთარს, ერთ ფუთ ხორბალზე რომ გადაცვალეს და, ცოტას მორჩა, შეეწირნენ იმის დაფქვას ნიკოცა და პაპამისიც. ისეთი ქარიშხალი იდგა ხევში, ისე გაითოშნენ ორივენი, სული ძლივს მოათრიეს შინამდე. მაგრამ მთლად მართალი არ არის მაინც ნიკო, რადგან ახლა სიამოვნებითაც იხსენებს წისქვილში გატარებულ ღამეს. ღამის ბრალი იყო, სიცივისა თუ ძნელად მოსარევი თვლემისა, იმლამ[illegible]-ლაფერი ტკბილი სიზმ[illegible] ქვითკირის ჩამორღვეულ კედელთან მიყუჟული, ერთმანეთს მიხუტებული საფალნიანი სახედრებიც, რიგში ჩამდგარი ტომრებიც, თეთრად გადაპენტილი ხალხიცა და წისქვილის საამური, კიდევ უარესად რულის მომგვრელი გუგუნიც. ტომრებზე იყო მიწოლილი, ძილ-ღვიძილში ჩამთბარი. ჩამყუდროვებული, სახეზე კი სასიამოვნოდ ეფინებოდა თბილი, ნოტიო, ფიფქივით გაფუყული ხრილი. პაპა, სხვა კაცებთან ერთად, წისქვილის კართან იდგა და თუთუნს აბოლებდა. გემრიელი მოწევა იცის — თვითონ უნდა გაახვიოს, გამზადებული არ უყვარს. თუთუნი და ქაღალდი ყოველთვის უდევს ჯიბეში. კოხტად, ზომაზე მოხევს ქაღალდს, თუთუნსაც ზომაზე დააყრის, ხელი მიჩვეული აქვს, არც მეტი ამოჰყვება ჯიბიდან, არც ნაკლები, ზუსტად, რამდენიც საჭიროა. დიდხანს ასორსოლებს, არბილებს, ამშვიდებს თითქოს. მერე გემრიელად გაუსვგამოუსვამს ენას, თითქოს თაფლიანი დანა გალოკაო. რომ არ ეწეოდეთ, დაგაწყებინებთ, ძალით მოგაწევინებთ. ხშირხშირად გამოხედავდა ხოლმე, ძინავს თუ რას შვრება ის ბიჭიო. ნიკოს კი ქუთუთოები ერთმანეთზე მისწებებოდა და თვითონვე ეცინებოდა, ვერაფრით რომ ვერ ახერხებდა თვალის გახელას. თან, მაინცდამაინც, არც უნდოდა — თითქოს ისევ ბათუმში იყო და თეატრის ხავერდოვან სიწყნარეში იძირებოდა თავის მამიდაშვილებთან ერთად. იმათი საამური სურნელიც სცემდა. სამი მარჯვნივ ეჯდა, სამი — მარცხნივ. მამიდა ამბობდა ხოლმე, სიძე არ მინდა, კონსულზე ნაკლებიო. ბიძა კი იცინოდა, სად მოვაგროვოთ ამდენი კონსული ამ ძონძიან ბათუმშიო. ძალიან ლამაზები კი არიან ის მაიმუნები — დადა, დოდო, ტატუ, ნია, მია, ნატული. სადმე რომ წავიდოდნენ, თუნდაც იმავე თეატრში, ერთნაირი

კაბები უნდა ჩაეცვათ, თმაც ერთნაირად ჰქონდათ დავარცხნილი და ერთნაირად მიაჭრაჭუნებდნენ ღილიან ფეხსაცმელებს, წარბებაწკეპილნი, გაბუსუნებულები — გეგონებოდათ, წესიერების ანგელოსები ჩამოფრენილან ციდანო. ერთხელ, ვიღაც ხნიერმა კაცმა თითი გააყოლათ და თქვა: თავს მოვიჭრი, ეგენი ტროცკისტის შვილები თუ არ იქნებიანო. შინ რომ მოყვნენ, ასე და ასე იყოო. ბიძა ავად გახდა, მთელი კვირა სველი ტილო ედო შუბლზე. მაგრამ ნიკოს მამიდაშვილებს ანგელოსებად გარეთ მოჰქონდათ თავი — მოვიდოდნენ თუ არა შინ, გამოიცვლიდნენ თუ არა საგარეო ტანსაცმელს, მაშინვე ისე დაერეოდნენ ერთმანეთს, თვითონვე ვერ გაერკვიათ, ვინ, ვინ იყო (ნელა, მხეცო, გამისკდა ბუშტი!). მაინცდამაინც, არც სწავლაზე იკლავდნენ თავს. სამაგიეროდ, დილიდან საღამომდე, პიანინოს გრიალი იდგა მთელს სახლში. ერთმანეთის ჯიბრით, ყველა უკრავდა და ისევ ერთმანეთის ჯიბრით, ყველას ერთდროულად მოუნდებოდა ხოლმე დაკვრა. იყო ერთი წიოკობა, თმის მოქაჩვა, მუჯლუგუნები. ერთი გრძელი სახაზავი ჰქონდათ და იმით დაედევნებოდათ ხოლმე მოთმინებიდან გამოსული მამიდა. მაგიდის გარშემო დარბოდნენ დიდ ოთახში. მთელი სახლი კარუსელივით ტრიალებდა. წინ ისინი, უკან მამიდა, სახაზავმომარჯვებული. გრძელი, დრეკადი სახაზავი ჰაერში შხუოდა. წინ მამიდა, უკან ისინი. შემოსწრებული კაცი მართლა დაიბნეოდა, ვერ გაარკვევდა უცებ, ვინ ვის მისდევდა. ბიძა კი იცინოდა: ერთი კონსული ზის ბათუმში და იმასაც ნუ გააქცევთ, ნუ გაუხეთქავთ გულსო. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ეს წისქვილში ხდებოდა, სიღნაღის წისქვილში მეორდებოდა ბათუმური ამბები. იწვა ნიკო ხორბლით სავსე ტომრებზე და უაზრო, უსაფუძლო, თავშესაქცევ სევდას ელოლიავებოდა, ეთამაშებოდა, როგორც ძაღლი — ძვალს, ვიდრე ხელში არ ჩაადნებოდა ისიც. მერე თა[illegible]ბას ცდილობდა, რადგან [illegible] იმასაც თუთუნის გაბოლება და არ შეეძლო — ყველაფერი აკრძალულია ჩვენთვისო — ილვივებდა წელანდელ სევდასავით უსაფუძვლო სიბრაზეს, მაგრამ, სიბრაზეც, ისევე როგორც წელანდელი სევდა. მხოლოდ სიამოვნებას გვრიდა, მხოლოდ ნეტარების, განცხრომის, უზრუნველობის შეგრძნებას უჩენდა და ისიც კიდევ უფრო ღრმად ეფლობოდა საკუთარი სხეულით გამთბარ ხორბალში.

„როდემდე უნდა გედოს ეგ შემა კალთაში, გადაგეხეხა შარვალიო" — ეუბნება ბებია პაპას, უკვე მზრუნველი, მართლა დამშვიდებული, დამტკბარი ხმით.

პაპა კი ზის, თავისთვის, ღუმელთან და, ვინ იცის, ისიც იმაზე ფიქრობს, ღირდა თუ არა ამდენ გულისხეთქვად მისი ცხოვრება. კალთაზე შეშის ნაპობი უდევს და ეფერება გრძელი, გამხდარი თითებით. მაგრამ თავისუფლად შეიძლება, ესეც უკვე სხვა დღე იყოს. გარეთ ქარი ზუზუნებს, მიაქვს ქვეყანა. რამდენი ხანია, თოკსაგრეხი ჩარხის ღრჭიალი აღარ გაუგონია ნიკოს. ამინდი არ უწყობთ ხელს, ჯერ არ შეიძლება ჩარხის გარეთ გამოტანა, ქარმა წაიღო ქვეყანა. რამდენი თოკიც არ უნდა დაგრიხონ, მაინც ვერ დააბამენ ქარს... ხეები რომ არა, მართლა წაიღებდა ქვეყანას. მარტო ხეები უწევენ წინააღმდეგობას. მარტო ისინი უბედავენ. აბა, ხალხი სახლებშია შეყუჟული, ელოდება, რა მოხდება, გაუმკლავდებიან ხეები ქარს, თუ ქარი მოთხრის ხეებს ძირფესვიანად. სამაგიეროდ, თუ გაუძლეს, როგორცკი ქარი ჩადგება, მაშინვე აფეთქდებიან, ათასფრად გადააბრიალებენ აქაურობას. არაფერი სჯობია აყვავებული ხის ცქერას, მაგრამ იქამდე ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის. ადვილი შესაძლებელია, ბევრი ჩვენთაგანი ვერ მოესწროს. სამა-

გიეროდ, ხალხი ნამდვილად მოესწრება. ვანო მასწავლებელი ამბობს: ხალხი უკვდავიაო, სწორედ მარადიულობაშია მისი ძალა და ერთადერთი, რაც ევალება, სიცოცხლის შენარჩუნებააო, რადგან სიცოცხლის გარდა, ყველაფრის აღდგენა და დაბრუნება შეიძლება თურმე, ცხვარსაც მოაშენებ ხელახლა და ვაზსაც. პომპეუსები და ჰიტლერები მოდიან და მიდიან, ხალხი კი სულ უნდა იყოს — ამის გამო, რა თქმა უნდა, ბევრი დამცირებისა და სიბინძურის ატანაც უხდება, მაგრამ, დროთა განმავლობაში, ყოველგვარი ჭუჭყისაგან თვითონვე იწმინდება, ზღვასავით. სამაგიეროდ, ადამიანია მოკვდავი. არა მარტო ვირის, ძაღლისა და მაიმუნის, არამედ, ყვავის წილი სიცოცხლეც რომ მიიმატოს, ბოლოს მაინც უნდა მოკვდეს. ამიტომ, ხალხისაგან განსხვავებით, სიცოცხლის შენარჩუნებაზე მეტად იმაზე უნდა იზრუნოს, ადამიანად შობილი, ადამიანადვე რომ წავიდეს ამ ქვეყნიდან. ხალხი თუ სიცოცხლეს ინახავს, როგორც ნაცარი — ნაღვერდალს, ადამიანი სიცოცხლის აზრს, ანუ, იმ ნაღვერდალში ჩაბუდებულ ცეცხლს განასახიერებს, ალივით. ამიტომ, არაფერი არ უნდა დათმოს, რაც მის ადამიანობას ადასტურებს და რისი შენარჩუნებაც, ენით აუწერელი ტანჯვის საფასურად შეუძლია მხოლოდ. რას იზამს, რა გაეწყობა — ადამიანი მოწაფეა, ტანჯვა კი — მასწავლებელი. ღმერთი, თურმე, იმას უფრო მეტ სატანჯველს უგზავნის, ვინც უყვარს; იმას უფრო მკაცრად სცდის, ვისიც სწამს. „რა ფასი აქვს ასეთ სიცოცხლესო" — თქვა ერთხელ ბებიამ. სიცოცხლეს ფასი არა აქვსო — უპასუხა ექიმმა. — სიცოცხლე ფასდაუდებელიაო, მადლია და არა სიმდიდრეო. თან დინჯად, აუჩქარებლად ისაპნავდა ხელებს. ოთახში საპნიანი წყლის გრილი სუნი იდგა, სისუფთავის სუნი. ნიკოს რომ ჰკითხოთ, ექიმი მარტო ხელის დასაბანად მოდის თითქოს აქ, რაკი ბებია კარგად უნელებს წყალს და კარგადაც უსხამს — ზომიერად, თავის დროზე. ე-ეხ, ჩემო დაო, ბეჟანი ხომ დაიღუპა. ჯერ კიდევ ომამდე. რას ამბობ?! მაააშ. ბეჟანიც, მიტოც. საწყალი ნინუცაც. ნინუცას ხომ იცნობდი? კარგი ბიჭები ეძლეოდა მერეც, მაგრამ რო თქვა, თქვა. თავისნათქვამა იყო ყოველთვის. ეგენი ყველანი ერთად წავიდნენ, ერთად დალიეს ჩაილურის წყალი... გაიგეთ და მიხვდით ახლა, ვისზე ან რაზე ლაპარაკობენ, ერთმანეთისა კი მშვენივრად ესმით. ბებია სულ ვიშვიშებს: მომიკვდეს თავი, მომიკვდეს თავი. ის კი — მაააშ, მაააშ... და თან ხელებს ისაპნავს, დინჯად, აუჩქარებლად, საფუძვლიანად, თითქოს თავისი გრილი, ფუნჩულა თითები აქა-იქ კი არ უნდა მიუკაკუნოს ნიკოს, არამედ, ხელახლა უნდა გადაზილოს ნიკო ვარცლში, ამჟავებული ცომივით. დიახაც, ყველაფრის განახლება და გამობრუნება შეიძლება. გაზაფხული განაახლებს და გამოაბრუნებს ხალხს. განა ბარტყი განახლებული ჩიტი არ არის?! კვიცი განახლებული ცხენია, ლეკვი — განახლებული ძაღლი, ბავშვი კი — განახლებული ადამიანი. ხოლო, ვიდრე ბარტყი, კვიცი, ლეკვი და ბავშვი იბადება, ვერავითარი ქარი ვერ წაიღებს ქვეყანას. იოსებამ ახალშობილი კვიცი ატატებული რომ გამოიყვანა თავლიდან, იმასავით ბედნიერი და იმის მომრევი არავინ იყო მთელ ქვეყანაზე. კვიცს თავისი პატარა, ჰაერში აქანავებული ფეხები იმის მკლავზე გადმოეწყო და ორთქლიან შუბლზე ჯერ კიდევ სველი ბალანი აბურძგვნოდა. იოსებას კი, პირზე გაუბედავი ღიმილი უკრთოდა, თვალში — ცრემლი, რადგან უკვე უყვარდა და ეცოდებოდა. ხოლო, თუ გიყვარს და გეცოდება, სიცოცხლის უფლებაცა გაქვს. უნდა გიყვარდეს და გეცოდებოდეს ყველა, ყველა სულდგმული. როგორც იოსებას თავისი ცხენები უყვარს და ეცოდება. რაც ღმერთს გაუჩენია, თავისებურად საყვარელიცაა და თავისებურად საცოდავიც. „აღარ შემიძლია,

აღარა ვარ იმათი საცოდაობით, ერთი ნახე, როგორი აზრიანი თვალები აქვთო“ — შესჩივლებს ხოლმე იოსება ბებიას. „ამიტომ, შენც აღარ უნდა დალიო, იმათი მაინც უნდა მოგერიდოსო“ — ეუბნება ბებია. იოსება კი მიდის, მიბანცალებს ბუნაგისკენ. ცოტა ხანს იქაც იბორიალებს, ცხენების ყურადღებიანი, პატიოსანი, რაღაცის მომლოდინე თუ რაღაცის მავედრებელი მზერით აფორიაქებული, და ისევ გაუხდელი მიეგდება ძველ ტყავებზე, ექვნიან ალვირებზე, დამსკდარ უნაგირებზე, ოფლისაგან გამოშავებულ თექებზე, გვერდს არ შეიცვლის დილამდე, სიზმრებშიც თავის ცხენებთან მოსაუბრე, მოკამათე. ხან უბრაზდება, მათრახის ტარს უღერებს, რა თქვენი საქმეა, დავლევ თუ რას ვიზამო, ხან კი, მონანიების გულისამაჩუყებელი სურვილით დამფრთხალი, მუშტს გამეტებით იცემს გაოფლილ მკერდში — ხვალიდან ვსოო, მორჩა, გათავდა ეს მაიმუნობაო. შენი თავი მოატყუეო — ილიმებიან ცხენები გუნებაში და ფშვინავენ, ფრუტუნებენ, ნამჯით მოფენილ მიწაზე რბილად აბაკუნებენ ფლოქვებს, თოფრებში ცხვირჩაყოფილნი, მშვიდად, გულგრილად ახრამუნებენ მარილგარეულ შვრიას და მოთმინებით ელოდებიან პატრონის გამოღვიძებას, გამოფხიზლებას — იმისი ერთი შეძახება, იმისი ხელის ერთი დატყაპუნება მთელ ქვეყანას ურჩევნიათ. ლიმონის ხე კი ბუბუნებს, მართლა ცეცხლწაკიდებულივით; ვულკანივით აფრქვევს ნავლსა და ნაპერწკალს. რა მნიშვნელობა აქვს, მართლა მოუტანა ნიკოს საჩუქრად ვანო მასწავლებელმა, თუ თავის ჩვენებებში აიძულა ნიკომ ვანო მასწავლებელი, ასე მოქცეულიყო. თუ წარმოიდგინა, ის წარმოიდგინა, რაც გულით ეწადა და სხვას, მართლაც, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, ასეთი ხე რომ არსებობს ბუნებაში. არსებობს... და აი, ისევ ბუბუნებს, შფოთავს, ცოცხალივით. მწვანე ტოტებს ფრთებივით ატყლაშუნებს, თითქოს მართლა ცდილობს ხის ყუთიდან ამოფრენას, თითქოს მართლა უნდა გაიტანოს პერი ფავით და, შხუილ-გუგუნით, მართლა უნდა მიაშუროს ცას. არავითარ შემთხვევაში. აჩუქეს თუ იჩუქა, არავის აღარ დაუთმობს ნიკო იმ ხეს. ცოცხალი თავით. იმიტომ რომ... იმიტომ რომ, ის ხე, აუცილებლად, აქ უნდა დარჩეს, მიწაზე. ცაში უკვალოდ გაქრება, მიწას კი დააკლდება. მიწისაა, მიწისთვისაა გაჩენილი აგერ ნახავთ, გოგიასაც თუ არ გამოცვლის გაზაფხული, გოგიასაც თუ არ გააკარგებს — ცეცხლს კი არ წაუკიდებს ცოცხალ ხეს, ფულს კი არ მოითხოვს კაცის კვლაში, არამედ, მორჩილად გაუწვდის მარჯვენას სულეთის მსაჯულებს, აი, ამ ხელითო, და ისინიც მაშინვე ძირში შეაჭრიან ცხვრისსაკრეჭი მაკრატლით. ქვეყანა გადაწითლდება ერთბაშად მკვლელის სისხლით. მთელი სიღნაღი გამოეფინება გარეთ, გოგიას მისცვივდებიან, თვითონაც თავფეხიანად ამოითითხნებიან იმისი სისხლით, ვიდრე გაქათქათებულ პოლიკლინიკაში შეათრევენ. იქნება ერთი ზრიალი, გაქცევ-გამოქცევა, ორომტრიალი — აბა, ჩქარა, იოდი, აბა, ჩქარა, ბინტიო. ხალხმა იცის მიხმარება, უყვარს კიდეც, სიამოვნებს თავის გამოდება, ვინც გინდა ის იყავი, ოღონდ შველა გჭირდებოდეს, აუცილებლად გიშველის, აუცილებლად გულთან მიიტანს შენს უბედურებას, თან წაიყოლებს ამბად, ერთი-ორი დღე სალაპარაკოდ ექნება გამხდარი შენი უბედურება, საკუთარი გულისხმიერებით, საკუთარი სიკეთით გაბრუებულს, აღფრთოვანებულს, კმაყოფილს. გოგია კი იჯდება, ბელურასავით მობუზული, მოწყენილი. ნაუცბათევად ხელგადახვეული კი არა, საფუძვლიანად გაკოჭილი, მჭიდროდ, თეთრად, მხარიღლივ. რაღაცნაირად, დაპატარავებული, გასაცოდავებული, მაგრამ უკვე მონანიე, ცხოვრების ავკარგზე ჩაფიქრებული. (ისემც დაუმშვი[illegible] ცხვირი!).

ცოდვილო, ცოდვისგან აიღე ხელი,
საიქიოს წახვალ, ვეღარ გიშველი.

გაზაფხულზე ალბათ მკვდარი კატის ლეშსაც ამოიღებენ პარკის აუზიდან. მთელი ზამთარი იქ ეგდო. ყოველშემთხვევაში, ნიკოს ავადგახდომამდე, იქ ტივტივებდა, ბალიშივით გაბერილი, დამპალ ფოთლებთან და ბავშვის სახჩრიალოსთან ერთად. სხვათაშორის, შეიძლებოდა, ნიკოსაც ეტივტივა იქ, მკვდარ კატასავით. შეიძლებოდა, შარშანდელი გაზაფხული, საერთოდ, ბოლო გაზაფხული აღმოჩენილიყო მისთვის და ღირსიც იქნებოდა, იმიტომ რომ, ცურაობა მოინდომა სიღნაღის პარკის აუზში, თითქოს რახან ბათუმელი იყო და ზღვა ენატრებოდა, ყველაფრის ნებას მისცემდნენ, თითქოს ცემენტის პატარა აუზი, რომელშიც უბრალო, ჩვეულებრივი წყალი კი არ იდგა, თოვლი ჩამდნარიყო, ზღვის მაგივრობასაც გასწევდა. ჩახტა თუ არა, სუნთქვა შეეკრა, მთელი ტანი გაუშეშდა ერთბაშად და ქვასავით წავიდა ფსკერისკენ. ვალო ბადალაშვილმა რომ იყვირა, არიქა, გიჟკოლა მოდისო, მხოლოდ მაშინ მოისაზრა ფსკერზე ფეხის დაკვრა, თორემ, სამარცხვინოდ ჩაიხრჩობოდა გამდნარ თოვლში — არც არავინ მიეშველებოდა, იფიქრებდნენ, თამაშობსო, ჩვენ გვაპამპულებსო, ზღვაზე გაზრდილს, რა გაუჭირდება ამ ტაშტისხელა აუზშიო. მაშინაც შიშმა გადაარჩინა. სწორედაც რომ მხსნელად მოევლინა გიჟკოლა. იმისმა შიშმა მოიყვანა გონზე და მეორე წუთას, სხვებთან ერთად, ქურციკივით მიხტოდა ასკილისა და კუნელის ეკლიან ბუჩქებზე. ყველას ერთნაირად ჰქონდათ ლაჯები გამოკაწრული. მაგრამ როდემდე ირბენდნენ ტიტვლები, მართლა ქურციკები ხომ არ იყვნენ, კაცობდნენ, თავი მოსწონდათ. ჯერ კიდევ აპრილი იყო, ანდა, მაისის დასაწყისი. ჩრდილში ციოდა კიდეც. რძისფერ სივრცეში ნახევარკუნძულივით შეჭრილ სასაფლაოს გასცქეროდნენ და ძაგძაგებდნენ, გალავნის კედელს ზურგით აკრულნი, მთელ ქვეყანას მომწყდარები. თითქოს რაკი ტიტვლები იყვნენ, სხვები იყვნენ, უცხოები და არაფერი აკავშირებდათ აქაურობასთან. არადა. ყველაფერი ნაცნობია ირგვლივ, საყვარელი. საფლავებს შორის, საცალფეხო ბილიკზე, შაოსანი დედაკაცი მიდის, მხარზე კოკა შეუდგამს — წყალი მიაქვს მკვდრებისთვის. იმათთვის კი აღარაფერი არსებობს, არაფერს აღარ ელოდებიან, არაფრისა აღარ სჯერათ, რძისფერ სივრცეში ჩაინთქა, დაიღუპა იმათი ოცნების გემი, თავად კი, ერთი ფეხისდადება მიწას შერჩნენ, რძისფერ სივრცესა და გალავნის კედელს შორის. იმედის ნატამალიც არ ჰპატებს სიმარტოვის უკუნეთში. იმიტომ რომ, ტიტვლები არიან და ცოცხლები. გამოკაწრული ლაჯები ეწვით. შაოსან დედაკაცს კი, ხან მაყვლის ეკლიანი ტოტი ჩააფრინდება გამოხუნებული კაბის კალთაში, ხან ასკილისა, ხან კუნელისა და ხან მურაკისა. ის კი მიდის, მხარზე კოკაშედგმული, არც ერთს აქცევს ყურადღებას, არც მეორეს, როგორც მწყემსი — თავისივე ფარეხის ძაღლებს. გაწბილებული, უყურადღებოდ დარჩენილი ტოტები კიდევ დიდხანს ირხევიან ჰაერში. ბუჩქებიდან პეპლების მთელი ჯარი აიშლება ხოლმე. შაოსანი დედაკაცი კი მიდის, მხარზე კოკაშედგმული — მკვდრების გადია, მკვდრების მოწყალების და, მკვდრების დიასახლისი. წყალი მიაქვს მკვდრების დასარწყულებლად. „სადა ხარ აქამდეო" — ეძახის მკვდარი საფლავიდან, წყურვილით შეწუხებული, მოუთმენელი და, რაც მთავარია, მომვლელის, პატრონის ყურადღებითა და მზრუნველობით განებივრებული. ისინი კი ძაგძაგებენ, შიშველი ზურგებითა და დუნდულებით გალავნის ხორკლიან კედელს ეხახუნებიან, თითქოს ოდნავადაც თუ მოშორდებიან, უფსკრულში ჩაინთქმებიან მაშინვე. წინ უფსკრული, უკან კედელი — სიტიტვლისა და სიცოცხლის გამო. ეგეც თქვენი ცურაობა! სიღნაღში! პარკის აუზში!

სხვა არაფერი გნებავთ, ბავშვებო? თუმცა, ეგ გამოატარეთ, მაგისთვის შეიძლება, ბათუმელია. უწყლოდ ვერ გაძლებს. გაუშვი, მოიკლას ჩვენს აუზში ზღვის სურვილი. მაგრამ ნიკოს მამამისის სურათი რომ არ დებოდა, ბედად, ჯიბეში, ახლაც იქ იქნებოდნენ, კედელს აკრულები, იმათი შარვალ-ხალათი კი კარგახნის გაყიდული იქნებოდა ბოდბისხევის ბაზარზე. „ეს ვინ არისო" — დაიძახა გიქკოლამ შორიდანვე და სურათი მაღლა ასწია. ნაალაფარი ტანსაცმელი ბარიანი ხელით იღლიაში ამოედო. „მამაჩემიაო" — იყვირა ნიკომ და, უნებურად, ქვას დაუწყო თვალით ძებნა. ხელები მუცელსქვემოთ ჰქონდა გადაჯვარედინებული. გიქკოლა კი ხან სურათს შეხედავდა, ხან ნიკოს, თითქოს მსგავსებას ეძებდა, მაგრამ რაც არ იყო, რას იპოვიდა. — მამა კაცია, ნიკო კი, კაცის ნაფოტი. ხოლო, მაშინ კიდევ უფრო გავდა ალბათ ნაფოტს — ტიტველი, ჯერ კიდევ სველი. მაგრამ გაზაფხული იდგა და გაზაფხულმა აიძულა გიქკოლაც, სიტყვაზე დაეჯერებინა ნიკოსთვის. „არ გრცხვენია, ამ კაცის შვილი ასე ვირულად რომ იქცევიო" — დაუძახა ნიკოს და ამოღლიავებული ტანსაცმელი მიწაზე დაჰყარა.

და მაინც, გაზაფხულის მოახლოვება, ყველაზე მეტად, სიზმრებს დაეტყობა ხოლმე. ყველა სიზმარი სხვანაირად მოულოდნელი, სხვანაირად უცნაური და სხვანაირად ამაფორიაქებელია. აი, ნიკო და მარგალიტა, ვითომ, ნიკოანთ ეზოში სხედან ცაცხვის ძირას. ნიკოს, ხანდახან, მარგალიტას მუხლზე მოუხვდება ხოლმე თავისი მუხლი და ლამის ალი ავარდეს, ისე რცხვენია მარგალიტასი. სირცხვილი კი იმიტომ რცხვენია, ძალიან რომ სიამოვნებს ეს უნებლიე შეხება. მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ უძლებს ამ მტანჯველ ნეტარებას და დგება, ვითომ, უნდა წავიდეს, ოღონდ, ფეხი ვერ აუწყვეტია მიწისთვის და ახლა ამისი რცხვენია, ახლა ამას განიცდის, მარგალიტამაც არ შეამჩნიოს ჩემი გასაჭირიო. დაძაბულობისგან ყურები უბზუის. სისხლი შეშლილივით მიჰქრის ძარღვებში. ის კი [illegible] ასცქერის, ათვალიერებს, სულელივით, თითქოს პირველადაა საკუთარ ეზოში. მაგრამ მარგალიტა მაინც ამჩნევს იმის გაწამაწიას და სიცილით ეუბნება: რა იყო, რა გაწყენინეთ ასეთიო. როგორ თუ რა გაწყენინეთ, მუხლზე მუხლი რატომ მომარტყითო — საყვედურობს ნიკო უსვინდისოდ, რადგან ძალიან უნდა, სუფთა, პირნათელი, უდანაშაულო იყოს ვიღაცის წინაშე, თუმცა, წესიერად არა აქვს გარკვეული, ვინ არის ის ვიღაცა, ძია სანდრო თუ თავად მარგალიტა. მარგალიტა კი იცინის, იცინის გულიანად. იმას არაფრის არ რცხვენია, არავის არ ეპუება, არც ძია სანდროს, არც საკუთარ ქალობას, ქალის სახელს — თითქოს არც არაფერს აშავებენ, თითქოს არაფერს ნიშნავდეს მუხლზე მუხლის მირტყმა, გინდაც ათასში ერთხელ, შემთხვევით. თითქოს არაფერი ჰქონდეთ დასამალი, ან ფიქრი, ან სურვილი, ან ოცნება, თუნდაც, მარტო ნიკოს, თუ ორივეს არა. დიდი ამბავი, მუხლი ატკინეს ვაჟბატონსო — იცინის მარგალიტა. ნიკო კი, ბოშა მათხოვარივით, ეტორღიალება, ყელს უწევს, ემუდარება — მითხარი და მითხარი, ბრმები როგორ ტირიანო. ვითომ სხვა ყველაფერი იცი და ეგღა დაგრჩა გასაგები, შენი თავის მზემო — იცინის მარგალიტა და ძია სანდროს დაგრეხილ თოკს ტანზე იხვევს, თითქოს ეპრანჭება ნიკოს. თოკი სულიერივით ეტმასნება თეძოებზე, წელზე, ყელ-კისერზე... აი, ახლა დაიხრჩობა და აი, ახლა. მაგრამ ნიკო მაინც არ ეშვება, ძალიან აინტერესებს, როგორ ტირიან ბრმები. ჩაიხედე სარკეში და გაიგებო — იცინის მარგალიტა. ნიკოც მაშინვე იხედება სარკეში და, მართლაც, მთელი სახე ჭუჭყიანი, შავი ცრემლითა აქვს მოთხუპნული. თურმე, ამდენი ხანია ტირის, ვერკი გრძნობს. „ჩიტი ჩამომიქროლებს, ამკენკავს, წამილებს. ჩიტი ჩამომიქრო-

ლებს, ამკენკავს, წამიღებს" — იძახის დეიდა. „შენი კი გაგინაღდებია, მაგრამ იქნებ ისიც იცი, მე რა მინდა, რა მატირებსო"— ეკითხება ნიკო. „რა გატირებსო" — შეეშინდა დეიდას. „აბა, ერთი წუთით, თუ შეიძლება, სარკე მომაწოდეო". რაც შეეძლო, თავაზიანად თხოვა ნიკომ. „სარკე რაღად გინდაო" უარესად დაფრთხა დეიდა. — დედი, სარკეს მთხოვს, შეიძლება, ავადმყოფისთვის სარკის მიცემაო" — დაუძახა ბებიას. „გათავდა, მორჩა, წყალმა წაიღო ჰაგის ავადმყოფობაო" — თქვა ბებიამ. „აი, ბატონო, სარკეო" — მაშინვე ხელებში მიაჩეჩა დეიდამ ფეხიანი, დასადგმელი სარკე. ნიკომ ჩაიხედა და ელდა ეცა: ცარიელი თვალებიღა იყო. იმავე დროს, ვიღაცას გავდა ძალიან. ვისა ვგავარ, ვისა ვგავარო და, გაახსენდა, სიმხურვალეც ეცა უცებ თბილისური ზაფხულისა, ეტლის სუნი დადგა ოთახში და, თითქოს ისევ მამის მუხლებშორის მოქცეულმა, მზეზე აბრჭყვიალებულ ვიტრინაში, თვალნათლივ დაინახა უზარმაზარი ფეხსაცმლის წინ ჩაცუცქული პატარა მაიმუნი. ახლაც უმიზეზოდ, უმიზნოდ შეეცოდა ნახერხით გატენილი ტიკინა, რომელსაც არც გული ჰქონდა, არც გონება და მაინც ყოველთვის ასე ასევდიანებდა და აფორიაქებდა ნიკოს. რაღაცაზე ბუნდოვნად გაბრაზებულმა, დაუდევრად მოისროლა სარკე.

— ნელა, ბიჭო, როგორ იქცევი! შენ მართლა მორჩენილხარ, აი! — დაუძახა დეიდამ.

— რა იქნა ჩემი ლიმონის ხე?! — შეუღრინა ნიკომ.

— დედი, ლიმონის ხე რა იქნაო, — დაუძახა დეიდამ ბებიას. — ეს რაღას უნდა ნიშნავდეს?!

— აბა, ლიმონის ხე?! — გაოცდა ბებიაც.

— საჩუქრად რომ მომართვა ჩემმა მასწავლებელმა, ვანო მასწავლებელმა. — ბრაზიანად, გამომწვევად გამოცრა ნიკომ კბილებში.

— კარგი ერთი, შენი ჭირიმე! — გაცეცხლდა დეიდა. უცებ წაეკიდა ბრაზი. — შენ რა გენაღვლება, კოტრიალობ ლოგინში!

ეტყობა, ერთი თვის დაძაბულობამ მაინც თავისი გაიტანა და, როგორც კი საფრთხემ გადაიარა, იმასაც მაშინვე უმტყუნა ნებისყოფამ, მაშინვე ამოეწურა მოთმინების ფიალაც. მაგრამ ესეც იმას ადასტურებდა მხოლოდ, მართლა რომ მორჩენილიყო ნიკო. ექიმმაც იგივე დაადასტურა იმავე საღამოს, მორჩაო, მაგრამ ისიც დაამატა, ახლა უნდა თუ უნდა, გაფრთხილება და ხელისშეწყობაო. მართლაც, ნიკო უარესად გრძნობდა თავს, ვიდრე ავადმყოფობის დროს. სისუსტისაგან ყინწი ჰქონდა მოწყვეტილი. ერთი წუთით რომ წამოაყენებდნენ, მაშინვე თავბრუ ესხმოდა, თვალები უბნელდებოდა. ღონემიხდილი, მივარდნილი, მისავათებული ამოსცქეროდა ლოგინის მომთენთავი სიღრმიდან მისკენ დახრილ სახეებს და უფრო ჩვდებოდა, ვიდრე არჩევდა, ვის ეკუთვნოდა ის სახეები. ესმოდა ნაცნობი ხმები, სხვათშორის, სიამოვნებდა კიდეც, მაგრამ აზრი ვერ გამოჰქონდა მოსმენილიდან. არავითარი კავშირი არ არსებობდა მის სხეულსა და მის ნებას შორის. თვითონაც იცოდა, ახსოვდა, როდის რა უნდა გაეკეთებინა, მაგრამ პირველი, ვინც მის ცოდნასა და გამოცდილებას უგულებელყოფდა, არ იზიარებდა, თვითონვე იყო. ფარფლებდაბეგვილ თევზივით, ამაოდ ცდილობდა წონასწორობის აღდგენას და საგნის გულგრილობით, საგნის უგრძნობელობით ემორჩილებოდა დროის დინებას. არაფერი არ უნდოდა, თავს თუ გაანებებდნენ, ძილს თუ დააცდიდნენ, მარტოს თუ ჩატოვებდნენ საკუთარი უძლურობის ლამის სასიამოვნო შეგრძნებაში. მაგრამ ხან ბებია აჯანჯღარებდა, გამოფხიზლდიო, ხან — დეიდა. ხან ნიშადურს ასუნებინებდნენ, ხან ძმარსა და სპირტში გაწურულ ტილოს გადაუსვამდნენ ხოლმე სახეზე მოულოდნელად. ხან საჭ-

მელს ატენიდნენ ძალით, ხან წამალს და ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა, მაგრამ ჯიუტად გამოჰყავდათ უგონობის, უგრძნობლობის, უმწეობის რინდიდან. ცოტაც და, ადამიანური ყურადღე-ბიანობის, მონდომებისა და მოთმინე- ბის წყალობით, ისევ ხალისიანად შე- ცურდებოდა ცხოვრების აქოთქოთე- ბულ, აზხუვლებულ ჭავლებში.

15

ქარი ჩადგა. მოათავა მარტმა თავისი ჰირვეულობა. სარკმელი თბილი, მოა- ლერსე მზითაა გაშუქებული. დღეს არა და ხვალ, აივანზე გაუშვებენ ნიკოს. დაუბანლობას კიდევ გაუძლებს კაცი, ისედაც ორი მესამედი წყალია, მაგრამ ოთხკედელში გამოკეტვა, მით უფრო, საავადმყოფოსისა, გაცილებით დიდი სასჯელია, ვიდრე თავად ავადმყოფო- ბა. გინდა ავადმყოფი დაგიგდია ქუჩაში და გინდა კარგადმყოფი დაგიმწყვდევია შინ. მაგრამ ნიკო, მაინცდამაინც, არ უჯანყდება თავისიანებს, ის კი არა, სია- მოვნებს კიდეც, ძალას რომ არ ატანენ, რომ არ ავალდებულებენ წამოდგომას. დეიდის თქმისა არ იყოს, ეტყობა, მარ- თლა შეეჩვია ლოგინს, მართლა გაუტკ- ბა ავადმყოფობა და, შეიძლება, სამუ- დამოდ საჰყარი დარჩეს, მამამისივით. ადგომა განა არ უნდა, არ შეუძლია. არც ეხალისება. ზუსტად ისეა, როგორც თავისი პირველი სიმთვრალის მეორე დღეს. თან ცხელა, თან ცივა. უნდა და არც უნდა, შეუძლია და არც შეუძლია ადგომა. გაჭიმავს თუ არა ფეხს, მაშინვე აუძაგძაგდება, თითქოს სხვისი ფეხია და ვერ უხმარია სწორედ, არ იცის იმის რომელიღაც საიდუმლო. სხეულე ისე აქვს დავიწროვებული, გაქონილ ძაფს ვერ გადაყლაპავს. ფერხთით კიდევ ტაშტი უდგას—ამაზრზენად, აუტანლად ნაცნობი — და იმის დანახვა კიდევ უარესად უშხამავს გუნებას, როგორც ნაწამებს — საწამებელი იარაღისა. ქეიფი იქამდე, რატომღაც, მსახიობე- ბის თავშესაქცევი საქმიანობა თუ თა- მაში ეგონა, რადგან „მსახიობი“ და „ქეიფი“ თავიდანვე განუყრელად დაუ- კავშირდა ერთმანეთს მის წარმოდგენა- ში — ერთხელ, პატარაობისას, ბაკუ- რიანში, დილიდან საღამომდე მღეროდ- ნენ ვილაცეები და დედამ თქვა, მსახი- ობები ქეიფობენო. მერე მამა მოვიდა, ჰამაკში ჩაწვა, ბალახზე დაგდებული წიგნი აიღო და იმანაც იგივე გაიმეორა: მსახიობები ქეიფობენო. მამის ფეხსაც- მელებს პეპელა დაჰფარფატებდა. ხის კენწეროებზე ჩამოხეული მზის ნაფლე- თები ბალახზე ეყარა. სადღაც, ძალიან შორს, მატარებელმა შეჰკივლა, ერთ- ხელ, მეორედ. მერე მამის ამხანაგები მოვიდნენ, თოფებითა და ენაგადმოგ- დებული, აქაქანებული ძაღლებით.. ქამრებზე სისხლიანი მწყრები ეკიდათ (მიესაჯოთ ჩამოხრჩობა დახვრეტის შე- მდეგ). ერთს — ყვითელი ტყავის პრია- ლა კრაგები ეცვა. მთელი პარკი ჯერ კიდევ მოუტეხავი ტყავის სუნით გაი- ჟღინთა უცებ. სურათი გადაიღეს — ყველამ ერთად. ფოტოგრაფს ხეების ირგვლივ დაფენილ წიწვზე წარამარა უცურდებოდა ფეხი და თვითონვე ეცი- ნებოდა (ვინ იცის, მარგალიტას ფოტო- გრაფი იყო და ახლა იქ, სიღნაღიდან შორს, სცდიდა ბედს). ნიკო სწორედ კრაგებიანმა ჩაიყენა ფეხებს შორის. ახსოვს, ძალით ადებინებდა თავის მუხლზე ხელს. ნიკოს წინ ძაღლი იწვა, ქაქანებდა, მკლავის სიგრძე, წითელი ენა გადმოეგდო, თითქოს ხელსახოცი აუფარებია გულზეო. სულ წამოხტომა- ზე იყო, რამდენი ბუზი ჩაიფრენდა სიახლოვეს. წმუკუნებდა, წკავწკავებდა, შფოთავდა. ვერ გაიგებდით, თეთრი ლა- ქები ეყარა შავ ტანზე, თუ — პირიქით. იმათაც იგივე თქვეს: მსახიობები ქეი- ფობენო. ქორქოლაიც ჩამოსულაო. იმის მერე, სიმღერას რომ გაიგონებდა ნიკო, სულ ეგონა, მსახიობები ქეი- ფობდნენ. თუმცა მისი პირველი ქეი- ფი, საერთოდ, უსიმღეროდ ჩატარდა. სამაგიეროდ, აკორდეონი ჰქონდათ. აკორდეონით იქეიფეს. აკორდეონისტ-

მა თავისი შეყვარებულიც მოიყვანა საახალწლო სუფრაზე და ამან ხომ სულმთლად გადარია ნიკო, ლამის ჭიქაში ჩავარდნილიყო, ისე იყო, ალაზანს დაეწაფებოდა. გათავდა, ეტირა დედა ბავშვობასო — იძახდა გუნებაში, უკვე ღვინოგამჯდარი. სიმთვრალის ქვეშევრდომი, ანუ, ნებაზე მიშვებული. ის კი, აკორდეონისტი ,გაწელავდა ყელზე ჩამოსაკიდებ პიანინოს და მაშინვე თვალს ჩაუკრავდა თავის გოგოს, ვითომ, ერთნი ვართ, ერთადა ვართ, უთქმელადაც გვესმის ერთმანეთისო. ესეც აღელვებდა, აფორიაქებდა ნიკოს, ცოტა ალბათ შურდა კიდეც აკორდეონისტისა, მაგრამ ის უფრო სტკენდა გულს, არავინ რომ ყავდა თვითონ, ვისაც ასე თამამად, მოურიდებლად ჩაუკრავდა თვალს. ელენიცას ჯერ ამდენის გაგებაც არ შეეძლო ალბათ და საერთოდ წარმოუდგენელიც იყო აქ, თავისი ბაფთებიანი, ხშირი რეცხვისაგან საკმაოდ გაცრეცილი კაბით. ჯერ მარტო პაპიროსის ბოლი დაახრჩობდა, თუკი თავიდანვე არ გაუსკდებოდა გული ამდენი მთვრალი ბიჭის დანახვაზე. ამის ბრალი იყო თუ რა იყო, ნიკოც უჟუჟუნებდა თვალებს აკორდეონისტის გოგოს, აკორდეონისტის გოგო ცოტა ხანს დაძაბული, სახეგაშეშებული შეხედავდა ხოლმე, მაგრამ ბოლოს მაინც გაეცინებოდა და სასწრაფოდ აარიდებდა თვალს. ნიკო კი დარწმუნებული იყო, სწორედ რომ იქცეოდა, აუცილებლად რომ უნდა გაეგებინებინა გოგოსთვის (თუნდაც ასე, თვალის გაშტერებით), იმასაც რომ მოსწონდა და იმასაც რომ გაგებოდა რაღაცა ამ ამბებისა. დილით რომ წამოიშალნენ, იმ გოგომ დიდი ჭიქა მოითხოვა და თავისი ბიჭი ადღეგრძელა: გენაცვალე, ჩემო ბიჭოო, და, მიუხედავად სიმთვრალისა, ნიკო მაინც გააოცა, შეაკრთო და შეაწუხა რაღაცამ. ღვინოს იმათ ოჯახშიც სვამდნენ ქალები, თითო ყლუპი ღვინო სადილზე წესადაც ითვლებოდა, მაგრამ პირველად ხედავდა, ქალი ასე კაცივით რომ სვამდა. ეგრე მტერი დაგეცალოსო— უთხრა გოგომ აკორდეონისტს და ცარიელი, დაპირქვავებული ჭიქა დაბერტყა. ის კი, აკორდეონისტი, ღიმილშეკავებული, პაპიროსს ღეჭავდა. ცხვირის წვერზე ნათურის შუქი ეცემოდა და ისე ულაპლაპებდა, გეგონებოდათ, დასჩირქებიაო. თავი მოსწონდა: ნახეთ, რა ბიჭი ვარ, რა გოგო მყავს, რა ვაჟკაცურიიო. ღვინით ჩაბჟირებულ სახეზე ინდაურის ფერები დასდებოდა. მაგრამ, ქუჩაში გამოვიდნენ თუ არა, ყოფა ეტირა იმის ვაჟკაცურ გოგოს. სიცივემ უცებ მოუღო ბოლო. იცინოდა და ვერც იცინოდა, თითქოს, შიგადაშიგ, ავიწყდებოდა, რატომ იცინოდა. ამაზრზენად აცმაცუნებდა ტუჩებს, თითქოს რაღაც აჰკვრია და ვერ მოუშორებია უხელოდო, ხელებით კი თავისი ბიჭის მკლავზე ეკიდა. იდგა და ვერც იდგა, თითქოს ციგურებზე შეუყენებიათ პირველად თავის სიცოცხლეშიო. ჯერ მთვრალი კაცი რა არის და ახლა მთვრალი გოგო! იმდენად გულსაკლავი სანახაობა იყო, ნიკო მერეც დიდხანს ირწმუნებდა თავს, მე თვითონ წარმოვიდგინეო, ასე დავსაჯე, ჩემი ჭკუით, უყურადღებობისთვის და გულგრილობისთვისო; ანდა, მე თვითონ რომ მთვრალი ვიყავი, ყველა ჩემნაირად მთვრალი მეგონაო. მაგრამ ასე რომ ფიქრობდა, თან ის მთვრალი გოგო ედგა თვალწინ და სიძულვილში გადაზრდილი სიბრალულით გული ეხეოდა. რაღაცნაირად მოიმჩვარა, დაიძენძა უცებ. თითქოს დასველდა კიდეც, უცნაურად, შიგნიდან. თმა სულ სახეზე ეწებებოდა, ვერაფრით ველარ გადაიწია სახიდან, თითქოს, ყველა სიკეთესთან ერთად, ზედმეტი ბღუჯა ამოსვლოდა შუბლზე. გათავდა ქეიფიო — თქვა აკორდეონისტმა და აკორდეონი ყუთში ჩაკეტა. მერე ყუთი გაპრიალებული ღვედით ზურგზე გადაიკიდა და მთვრალი გოგო აიტატა, როგორც იოსებამ აიტატა ახალშობილი კვიცი. მთვრალ გოგოსაც, ახალშობილ კვიცივით ერწეოდა ჰაერში ბიჭის მკლავზე გადმოწყობილი

ფეხები, ოღონდ, სუსტი და უღონო კი არა, ავადმყოფურად მოლეღვებული. ერთ ფეხზე წინდა ჩასჩაჩვოდა და ნიკომ თვალი აარიდა. აღარ მოსწონდა. იმ ბიჭს რომ გადაეგდო, არ აიყვანდა. მარტო ის კი არა, მთელი საქალეთი ეჯავრებოდა იმ წუთას. ამის ბრალი იყო ალბათ, თვითონაც რომ ვერ შეინარჩუნა ღვინო ძლივს მიასწრო შინამდე. ბებია და დეიდა რის ვაივაგლახით აკავებდნენ ტახტზე, ისე ბზრიალებდა ირგვლივ ყველაფერი. აღარ გათავდა, აღარ დაილია მჟავე, ამაზრზენად თბილი, ქაფიანი სიბნელე, სიბრიყვე, სისაძაგლე. „თქვენს დროსაც ასე ქეიფობდნენ ბავშვებიო“ — იცინოდა დეიდა. „მომეცალე, გოგო, რა მეხუმრებაო“ — ბუზღუნებდა ბებია. და ახლაც ზუსტად იმღევანდელივით დასტრიალებენ თავზე, ასადგომად ამზადებენ, ცხოვრებას უბრუნებენ ცხოვრების უძლებ შვილს. „ავდგეთ, ავდგეთ, ავალაგოთ ლოგინი, სახლს დაემსგავსოს აქაურობაცო“ — იძახის დეიდა. ბებიას თითებგამორღვეული ხელთათმანები ჩაუცვამს, ერთ ხელში სამზარეულოს პირმოტეხილი დანა უჭირავს, მეორეთი ტაშტი ამოუღლიავებია. ტაშტიდან ვარდის ნერგებს გადმოუყვიათ ხორკლიანი ყლორტები — ახალი სავარდეს გასაშენებლად მიდის. ყველაფერი თავიდან იწყება. ყველაფერი უნდა აღსდგეს, რაც ღორმა შეჭამა. გარეთ უკვე გაზაფხულია. ჰა და ჰა, აყვავდება იასამანი. ნელა, ზანტად გადაქანდებიან გაკრიალებულ სივრცეში იმისი მძიმე, გაფუყული მტევნები, როგორც ღრუბლები ოცნების ცაზე. „ჰა და ჰაა“ ყველაფერი. ჰა და ჰა, ნიკოც ადგება. ჰა და ჰა, გათავდება ცხოვრება. გარეთ კი ჩიტები ჟივჟივებენ, ერთ ამბავში არიან, მოუბრძანდათ გაზაფხული, ძვირფასი სტუმარი, მონატრებული, მოწყურებული. ნამდვილად ჩიტების ხმაა, თანაც ბევრი ჩიტისა — სხვადასხვანაირი, მრავალნაირი, მაგრამ ცალცალკე ყველაზე ერთნაირად იტყვით, ჩიტის ხმააო. ჩიტების ბაბილონია გარეთ. დიდი ჟრიამული აქვთ ჯერ კიდევ შიშველ ბაღში. ასეთივე ჟრიამულია ალბათ სკოლაშიც — იქაც საზეიმოდ ემზადებიან, საპირველმაისოდ. წინასწარვე უნდა დაიჭირონ თადარიგი. ზოგს ლექსს აზეპირებენ, ზოგს სიმღერაში წვრთნიან, ზოგს სიარულში, ზოგმა კიდევ სცენები უნდა წარმოადგინონ საქართველოს შავბნელი წარსულიდან. და მაინც საზეიმო სამზადისია ირგვლივ — კაცი მასწავლებლები ჩოხებში არიან გამოწყობილნი, ქალებს ჩიხტაკოპები ახურავთ. ევგენია დუგლაძე რომ ჩამოივლის, ჩიხტაკოპის ლეჩაქის სწორებით, ყველანი მოწიწებით უთმობენ გზას. კოტე, ხომ იცი ჩემი ამბავი?! ნუ ღელავთ, პატივცემულო, ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა. ჩიტები კი ფრთხიალებენ, ჟივჟივებენ — ხიდან ხეზე, ტოტიდან ტოტზე. მიწაში იქექებიან, სველსა და ღაკლაკნილ ჭიაყელებს გლეჯენ ერთმანეთს პირიდან და ისევ ფრთხიალებენ, ჟივჟივებენ, იმედის კოშკს აშენებენ ნიკოანთ ეზოში, ემზადებიან გაზაფხულის დასახვედრად, მოლოდინში არიან, ფაცა-ფუცში. ქალებმა იციან ასე გაზვიადებული, გადამეტებული ფაცა-ფუცი, როცა საზეიმო დღე აქვთ რამე, დავუშვათ, ქორწილი. ჯერ ნეფე-დედოფალი არ მოსულა, ჯერ ეკლესიაში არიან. არა, ეკლესიაში აღარ —მმაჩის ბიუროში! რეგისტრატორი ჟენია ხელებდაკაპიწებული მუშაობს. პატარა საქმეა?! ახალ ოჯახს უყრის საფუძველს. როგორი საფუძველიც ჩაიყრება, შენობაც ისეთი გამოვა. ანთებულ პაპიროსს ხან ხელმარჯვნივ ჩამოდებს მაგიდის კიდეზე, ხან ხელმარცხნივ, გააჩნია, საით გადაიხრება რომელიღაც უაღრესად საჭირო ქაღალდის მოსაძებნად. გამალებული ფურცლავს და ქექავს ერთად აკინძულ, მაგრამ სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვა ფერის ქაღალდებს (სად გაქრა, ის ოხერი?!). სიძე ქერში იყურება. საპოვნელი იმან უკვე იპოვნა, თავისი განაღდებული აქვს. ახლა სხვებმა ეძებონ, გინდა ქაღალდი,

გინდა სხვა რამ. პატარძალიც მშვიდადაა — განა როდემდე გასტანს ეს ამბავი, გაფორმებაა თუ რაცა ჰქვია. დეიდა ქენიამ იცის თავის საქმე — ცოტა თუ არ გააწვალა სხვა, არც სხვას ექნება იმისი პატივისცემა. ხოდა, პატარძალიც მშვიდად ჩასცქერის იატაკის ღრიჭოს, უფრო, თავის საქორწილო, ზიზია ფეხსაცმელებს. „მაინც ვიწრო შემიკერა, იმ ხელგასახმობმაო“ — გუნებაში თათხავს უქმურაანთ აბრამას. ისე, კაცმა რომ თქვას, გასათათხია: მთელი სიცოცხლე ქალის ფეხსაცმელი კერა, უცოლოდ კი დარჩა. ვერ მოარგო ვერავისო — იცინიან სიღნაღელი ლაზღანდარები. სამაგიეროდ, ორი, იმასავით შინაბერა და ემსახურება: დილით ერთი უხვეტავს სახარაზოს, საღამოს — მეორე. ძმის ხათრით, არც ჩვენ გავთხოვილვართო — ამადლიან მარჩენალ ძმას ზურგსუკან. მაგრამ იმავე სიღნაღელ ლაზღანდარებს რომ ჰკითხოთ, ყმაწვილქალობაში კიდევ უფრო მახინჯები ყოფილან ისინი — ასაკმა ცოტათი დაუმშვიდათ სახეებიო. სახლში კი ქრიამულია, მექორწილეებს ელოდებიან. გარბიან და გამორბიან ქალები, როგორც ჩიტები, ერთი ტოტიდან მეორეზე, ჰიკ. ერთი ხიდან მეორეზე ჰიკ. კი უხარიათ, მაგრამ დამალული სიხარული რადა სიხარულია — უნდათ, ყველას გააგებინონ, მთელ ქვეყანას: აი, ჩვენ ასე გვიხარია და თქვენც გიხაროდეთ, არაფერი დაგიშავდებათო. პირიქით, ხალხო, პირიქით. გიხაროდეთ, გიხაროდეთ! სიხარული იბლის პურივითაა, ყველას გაგწვდებათ, ყველას გეყოფათ, ყველას გაგაძღობთ. ამვლელსაც მოუტეხეთ და ჩამომვლელსაც, თვითონაც ჭამეთ და შინაც მიიტანეთ. „ავდგეთ, ავდგეთ, ავალაგოთ ლოგინი, საავადმყოფო ხომ არ არის, ბოლოს და ბოლოს“ — იძახის დეიდა, გულზე წიგნმიხუტებული. „მოერჩით, გენაცვალოს ბებია, მოვრჩით“ — აქეზებს, ამხნევებს, გულს უკეთებს ბებია, გრძნობს, როგორ უჭირს მის შვილიშვილს წამოდგომა, მიჩვეული ლოგინის მიტოვება. ნიკოს ფეხები უთრთის სისუსტისგან, ნელნელა დგება, ნელნელა იმართება წელში და ყავანზე გამავალ სარკმელში ირეკლება მაშინვე, თავ-ფეხიანად, გამხდარი, აწოწილი — ასანთის ღერებისგან შეკოწიწებული კაცუნა. ვიღაცა აკეთებდა ბათუმში, შეიძლება, რომელიღაც მამიდაშვილი, იჯდა და ასანთის ღერებისგან კაცუნას აკოწიწებდა. „აი, ხომ ხედავ?! ასე ნელა უნდა მიეჩვიო, თანდათან“ — აფრთხილებს, არიგებს, აფორიაქებული, აღელვებული ბებია. „გაანებე, დედი, თავი, ბავშვი ხომ არ არის“ — იძახის, არანაკლებ აფორიაქებული, არანაკლებ აღელვებული დეიდა და ნიკოს ისევ ის დღე ახსენდება, რატომღაც, აბაზანაში ჩაყრილი თევზების გაცოცხლებას რომ ელოდებოდა სუნთქვაშეკრული. ალბათ იმიტომ, მის „გაცოცხლებას“ რომ ელოდება ახლა გულშიწიგნჩახუტებული დეიდა, ისევე სუნთქვაშეკრული, ისევე გაფაციცებული, თავად კი, ხელები გაუშლია და გაუბედავად დგამს პირველ ნაბიჯს — თითქოს ბეწვის ხიდზე გადისო. გაუბედავად დგამს პირველ ნაბიჯს. სამყარო კი გემბანივით ტორტმანობს. ჩრდილები აქეთ-იქით აწყდებიან. ცოტაც და, ავად გალურსული საგნებიც მოწყდებიან თავიანთ მარადიულ ადგილებს, ერთმანეთს შეემსხვრევიან, ყველაფერი ერთმანეთში აიზილება. ნიკო საყრდენს დაეძებს ვერაგულად გამოცარიელებულ სივრცეში, ფრთებივით გაშლილი ხელები უთრთის, არ ძალუძს მისი ჰაერში შეკავება და შეშინებული, ურმის ჭალს ჩააფრინდება უცებ. ამ ურმით მამის სოფელში ავიდნენ ოდესღაც, უხსოვარ დროს, მაგრამ ახლაც სცემს გახვითქული ხარების სუნი, ახლაც ესმის მათი შემაშფოთებელი ამოხვნეშა და, საბოლოოდ, ყველაფერი ისევ მშვიდობიანად მთავრდება, სამყარო იბრუნებს თავის ჩვეულ, საიმედო სიმყარეს. ხოლო, წარღვნამდელი ხარები, თავიანთ ღრჭიალა ურმიანად, ისევ უჩინარდებიან ნიკოს მახ-

სოერობის უსასრულო ტალანებში. „მომისმინე“ — ეუბნება მამა, თვალდახუჭული, სახეზე ოფლგადამსკდარი. „არა. არა“. —ბრაზდება უცებ ნიკო. „აბა, სულმთლად დაგასუსტებს, შვილო, ლოგინი“ — ეუბნება შემკრთალი ბებია. „შენ არ გეუბნები! შენ არ გეუბნები! — უყვირის ნიკო ბებიას, მაგრამ დამთავრებულიც არა აქვს ყვირილი, უკვე სინანულით რომ ეკუმშება გული. სრულებითაც არ უნდოდა ბებიის განაწყენება, თანაც, ასე უსამართლოდ, უსვინდისოდ. — შენ არ გეუბნები, ბებო“ — აგრძელებს დაოკებული, შემრიგებლური ხმით. „ხო, შვილო, ხო“. — ამბობს ბებია უაზროდ, მაგრამ ნიკოს მაინც მალამოდ ეცხება გულზე ეს უაზრო თანხმობა, როგორც ახსნა და გამართლება თავისი ასევე უაზრო სიბრაზისა. იატაკს აშკარად ეტყობა გაყიდული პიანინოს გორგოლაჭების კვალი, თუმცა, ნიკომ მშვენივრად იცის, აქ კი არა, ბათუმში რომ ჰქონდათ პიანინო. ახლა უფრო თამამად, უფრო ბრაზიანად, უფრო ჯიუტად აბიჯებს წარმოდგენილ იატაკზე და მარტო, სხვათა დაუხმარებლად მიდის... მაგრამ უკვე აივანზე გასულს, გაზაფხულის სუფთა, ჯერ კიდევ სუსხიანმა ჰაერმა თავბრუ დაახვია და იმანაც ორივე ხელი მაშინვე მაგრად ჩასჭიდა აივნის მოაჯირს. და აი, უკვე პაპისეული სახლის აივანზე დგას — საგულდაგულოდ შეფუთვნილი — სისხლი და ძვალი მამისა, სული და ხორცი დედისა. ჯემპრის შიგნით ამერიკული ჟილეტი აცვია, აბჯარივით მორგებული. უფრო მხნედ, უფრო ხალისიანად გრძნობს ასე თავს, თითქოს მართლა აბჯარია და ვეღარაფერს დააკლებს მტრის შუბი და მახვილი, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, მისი ნანადირევი რომაა ის ამერიკული ჟილეტი, იმან გამოაძვრინა ზედახორიდან დაძაგრულ ფეხებს შორის. ვიღაცამ ხელზეც დაადგა ფეხი, მაგრამ მაინც ვერ გააგდებინა ნადავლი. ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული — ჯარისკაცთა ოჯახებს გაუნაწილეს ამერიკული გამონაცვალი ტანსაცმელი, ფეიდამ აიჩემა, გინდათ თუ არა, მეც მეკუთვნისო. მაშინ სიმართლე არც არავინ იცოდა, არც არავის აინტერესებდა, ვინ ვისთან დაბრუნდებოდა ომის შემდეგ, თუკი როდისმე ეღირსებოდნენ ომის დამთავრებას. მაგრამ როცა დაინახა, რა ხდებოდა სარდაფში, სადაც ტანსაცმელი ჩაიტანეს, მტკიცედ განაცხადა, ცოცხალი თავით, იქ ჩამსვლელი არა ვარ, სულ რომ ტიტვლები დავრჩეთო. ხალხმა ერთი იხუვლა, სარდაფში ჩაცვივდა და მგლის ხროვასავით მიესია იატაკზე დაყრილ ტანსაცმელს. რაც რამე კარგი იყო, ალბათ წინასწარ ამოარჩიეს იმათ, ვისაც ტანსაცმლის განაწილება ევალებოდათ. ახლა კი გვერდზე გამდგარიყვნენ და, ჯიბეებში ხელებჩაწყობილნი, ღიმილით შესცქეროდნენ ზედახორას. ანარჩევზეც ისეთი ამბავი ატყდა, ახლოს ვერ მიუდგებოდით. ხელიდან გლეჯდნენ ერთმანეთს, ვინ იცის, ვის ნაცვამ შარვალსა თუ პერანგს. ფიჯაკსა თუ პალტოს. ნიკომაც დახუჭა თვალი და, როგორც ტალღაში, თავით შევარდა ატორტმანებული, ტლანქი, ბინძური ფეხების ტყეში. შინ რომ მობრუნდნენ და სინათლეზე გაშალეს, მაშინ უფრო მოეწონათ ნანადირევი. მართლაც, რომლიღაც ფრინველს გავს, რა თქმა უნდა, ფერით. მწყერსა თუ კაკაბს. ზურგში კი სლიპინა, შავად მბზინავი სატინა აქვს ჩაგდებული. ჯიბეში ორი თითით თუ ჩაიდებთ და ამოიღებთ რამეს. მაგრამ რას?! ჰაერში უკვე გაზაფხულის სუნი ტრიალებს. იასამანი დაკვირტულა, დაბერილა მიწის წვენით. ნეტავი მომკლა ხის ძირსაო — იმიტომ რომ, ხე სიცოცხლის განსახიერებაა, სიკვდილ-სიცოცხლისა. ერთსა და იმავეს გვიმეორებს სულ და, კარგად თუ დავაკვირდებით, ჩვენც ბევრ რამეს ვისწავლით. ბრძენია. კეთილია. მომთმენია. უსასრულოდ, დაუზარებლად, ყოველწლიურად გვიჩვენებს მთელს ჩვენს გზას, გაჩენიდან გარდაცვალებამდე და გარდაცვალებიდან გაჩენამდე. ნეტავი

მომკლა ხის ძირას. ფოთოლი დამაცვივოსა — ღიღინებს ნიკა გუნებაში, ვითომ პაპას აჯავრებს. პაპას უყვარს ეს სიმღერა და თითქოს სირცხვილია. თვითონაც რომ მოუნდეს სიმღერა. ღიღინებს, ღიღინებს, ერთსადაიმავეს ღიღინებს გუნებაში, სუფთა, კრიალა ჰაერისგან თავბრუდახვეული, სისუსტისა და სიხარულისაგან ათრთოლებული. ხეების ყურება უხარია. რაღაცნაირად ეიმედება, ამდენი ხე რომ დგას იმათ ეზოში. ხის ძირას სიკვდილი ხელმეორედ დაბადებას ნიშნავს ალბათ. ხე ღმერთის სახლია. ხე ყოველ წელიწადს ხელახლა იწყებს სიცოცხლეს და არასოდეს ამთავრებს, არასოდეს ბეზრდება, რადგან, გარდა იმისა რომ სიცოცხლე უყვარს, ადამიანიც ეცოდება, უნდა, იმასაც ჩაუსახოს ყოველ წელიწადს გულში იმედი. დგას აივანზე, თბილად შეფუთვნილი — ცივ ქვეყანაში გასაგზავნი ხილივით — მზისთვის სახემიშვერილი, და ამგვარი უცნაური ფიქრები უტრიალებს თავში, თითქოს ახლა უფრო მეტი იცის, ვიდრე ამ ერთი თვის წინ იცოდა, თითქოს ეს ერთი თვე კი არ კვდებოდა, ბეჯითად მეცადინეობდა. ერთთვიანმა ავადმყოფობამ თუ ერთთვიანმა სიკვდილმა მართლაც ბევრ რამეზე აუხილა თვალი. რაც მთავარია, ახლა დანამდვილებით იცის, სიცოცხლეც რომ ისევე ძნელია, როგორც სიკვდილი; ერთი რაღაცის ამოხსნას გავალდებულებს, მეორე კი, რაღაცის დაძლევას. ერთიცა და მეორეც ძნელია. მაგრამ მაინც უნდა შესძლო ერთიცა და მეორეც, ამოხსნაცა და დაძლევაც; უნდა ისწავლო, თუნდაც ხისგან, არასოდეს რომ არ შებრუნდე უაზრო, უფესვო ჩვენებებით სავსე წყვდიადში, საიდანაც, ტანჯვა-წვალებით, მაგრამ უკვე ერთხელ და სამუდამოდ, როგორც ქვიდან ქანდაკება, გამოიკვეთა მკაცრი, მყარი, ნათელი სინამდვილე; არასოდეს რომ არ გაგიჭირდეს თავის გამართლება, არა მარტო შემთხვევითი ხალხის, არამედ უფრო მნიშვნელოვანისა და უფლებამოსილის წინაშეც, ვისი არსებობაც, უპირველეს ყოვლისა, თავისმართლების [illegible] გიჩენს სწორედ, უფრო ზუსტად [illegible] დანაშაულის გრძნობას, ოღონდ, ვერც სახე მიგიცია და ვერც სახელი დაგირქმევია ამ გრძნობის გამჩენისთვის, არ იცი, ვინ შეიძლება იყოს იგი — დედა? მამა? ბებია? პაპა? დეიდა? ელენიცა? მარგალიტა? — თვითოეული ცალკე და ყველა ერთად. მაგრამ თვითოეულმა ცალკე და ყველამ ერთად იმდენი სევდა-სინანული შეგაწერა სანაცვლოდ, ვერ აუხვალ, ერთი სიცოცხლე არ გეყოფა სადარდელად და სანანებლად. არც ათი გეყოფა. სულ უნდა იდარდო და ინანო, იდარდო და ინანო, განუწყვეტლივ, უსასრულოდ, უსასრულოდ და განუწყვეტლივ, ქვეყნის აღსასრულამდე, რადგან სევდა-სინანული, თავისთავად, ასევე განუწყვეტლივ და უსასრულოდ, რაღაცისა და ვიღაცის ხსოვნასაც გავალდებულებს, თუნდაც, ზემოთ ჩამოთვლილი იმ რამდენიმე ადამიანისა მაინც, რომელთა სახელებიც უკვე გულზე გაქვს ამოტვიფრული, როგორც საფლავის ქვაზე. ესაა შენი დანიშნულება, შენი მოვალეობა, ამისთვის გაგაჩინა ალბათ ბუნებამ, არა მარტო რაღაცის გამგრძელებლად, არამედ, გამხსენებლადაც. მახსოვრობის წყალობით, ხვალინდელში უნდა გადაიტანო დღევანდელი, მომავალს დაახვედრო, რაც დღეს იცი, რაც დღეს გინახავს, რაც დღეს განგიცდია, მოგისმენია და დაგიმახსოვრებია, სამუდამოდ, სამარადჟამოდ გადაქცეულს ხსოვნის ყულაბად, რომელიც თავის ბნელ წიაღში იშვიათ საგანძურს მალავს, ფასდაუდებელ სიმდიდრეს — უახლოესი, უძვირფასესი ადამიანების ბედსა და უბედურებას, სიჭკვიანესა და სიბრიყვეს, სიყვარულსა და სიძულვილს... მართლაც, უკვე ბევრი ახსოვს ნიკოს, ბევრი, ყოვლად უმნიშვნელო, ერთმანეთთან ძნელად დასაკავშირებელი წვრილმანიც, რაც თხუთმეტი წლის განმავლობაში, ფაცაფუცით, ხარბად მოუგროვებია ცხოვრე-

ზის მაგიდაზე, როგორც მშიერს — პურის ფინჩხები. ოღონდ, ის „ფინჩხები“ შიმშილის გრძნობას კი არ უკლავს, კიდევ უფრო უმძაფრებს და ისიც კიდევ უფრო მონდომებით ძაბავს გონებას, კიდევ უფრო მძლავრად ეუფლება ყველაფრის გახსენების, ყველაფრის აღდგენის ჟინი. აი, დედის მუხლებზე დგას და თეთრი პერანგი აცვია — გრძელი, ჩაფართხუნებული. აი, აბანოს კრიალა, ჭრელად მოხატულ იატაკზე დაუსვამთ და მიუტოვებიათ. მხურვალე, წებოვან ბუღში კი ტიტველი ლანდები დაბორიალობენ. აი, ჩაის თვალუწვდენელ პლნატაციაში ჩაკარგულა, დედასთან ერთად. მწვანე ზღვის ფსკერზე სულს ითქვამენ, დასიცხულები, თვითონ ჩაის ბუჩქის პატარა ჩრდილში შეყუჟულა, დედას კი ჰილის ქუდი ახურავს, ფართე ფარფლებიანი. შეწუხებულია. წითლად უღვივის სახე. აი, პირმოკუმული, დაძაგრული, ზურგზეპერანგმიწეპებული, იდაყვებით მიიკვლევს გზას თანატოლებში, გააფთრებული იბრძვის. განსაცდელში ჩავარდნილი ნადირივით, საბავშვო ბაღის დიდი დარბაზის სანახევროდ გამოღებულ კარში რომ შეიხედოს როგორმე. სხვებიც იმავე სურვილით არიან შეპყრობილნი, რადგან დარბაზში, კედელზე აბრჭყვიალებული სურათების ქვეშ, მათი მშობლები და მასწავლებლები დამდგარან და... მღერიან. ყველას უნდა თავისი მომღერალი მშობლის დანახვა. უხმოდ, მაგრამ თავგანწირულად იბრძვიან: ღილები აწყდებათ, პერანგები ეფხრიწებათ, ხორცი ეჩეჩქვებათ, მაგრამ, მომღერალი მშობლის დანახვისთანავე, ყველაფერი ავიწყდებათ: აგე, დედაჩემი! პირს რომ აღებს. აი, ისა და მამა ეტლით ბრუნდებიან საიდანღაც. ღამეა. თბილი ნიავი პერანგში ჩასძრომია და სასიამოვნოდ უფათურებს ხელებს შიშველ ტანზე. „ხომ ვუტირეთ დედაო“ — იძახის მამა. „ხომ ვუტირეთ დედა“ — იმეორებს თვითონაც. ორივენი იცინიან. მეეტლე მხ[illegible] გამოხედავთ ხოლმე და ისიც იცინის. აი, ვიღაცასთან არიან სტუმრად. დედაბერი თავის საწოლში ღამის ქოთანზე დასკუპებულა, საბანი მხრებზე მოუხურავს და საწოლთან გაჩერებულ ქალებს დინჯად, დარბაისლურად ესაუბრება. „...ჩემთვის ტკბილი აღარ არსებობს...“ იმ ქალებში დედაცაა. თვითონ კი, მეზობელ ოთახში კატას ეთამაშება კი არ ეთამაშება, ეომება. ვერაფრით ვერ აუყვანია ხელში — კატა უკანა ფეხებით ებღაუჭება იატაკს და ზამბარასავით იჭიმება, იწელება უსასრულოდ.. მაგრამ მახსოვრობის რომელ ერთ ნამტვრევს გამოედევნოს ნიკო, რომელი ერთის აღდგენა სცადოს, ყველა ერთნაირად ძვირფასია და განუმეორებელი. ამიტომ, ჯერჯერობით, გაუშვი, იბორიალონ ასე უთავბოლოდ მის სულსა და გონებაში. მოვა დრო და თვითონ მონახავენ ერთმანეთს, თავისთავად გამთელდებიან. ყამარის ჭურჭელივით, და წკრიალზრიალით მიაშურებენ ცას, მთელ ქვეყანას მოსდებენ ნიკოს ამბავს. აივნიდან კი ქუჩის ნაგლეჯი მოსჩანს მხოლოდ. ზევით მთავარი ქალაქია, ქვევით — დაბახანა (ნიკოს კრწანისი) და ხევი. აგე, უპატრონო ძაღლი მიძუნძულებს ხევისკენ, დაბახანისკენ. ძველი ძვალი ეგულება ალბათ, ჯერ კიდევ შარშან გადანახული: ყურშა! ყურშა! — ეძახის ნიკო. არა — ყამარ! ყამარ! ბიჭოს, მოიხედა, თუმცა ეგ ყველაფერზე იხედება, რაც გინდა დაუძახე, ოღონდ დაუძახე, ოღონდ რამედ ჩააგდე. ასეთია უპატრონო ძაღლის ხვედრი. ვიღაცა შეშააკიდებულ ვირს მოდენის აღმართში, მთავარი ქალაქისკენ, ბაზრისკენ, ლამაზია შეშააკიდებული ვირი. მეტი თუ არა, ერთი თვის სამყოფი სითბო მოაქვს ზურგით და მოაკანტურებს თავს. ცეცხლი ყოველთვის ჰირდება კაცს, გინდა ზამთარი იყოს, გინდა ზაფხული. კვიპაროსზე ჩიტები ჟივჟივებენ. თუ-

თა, შვინდი და ცაცხვი ჯერ ისევ შიშვლები არიან, მაგრამ სიშიშვლე უხდებათ. მზად არიან დასაბანად. სუფთა ტანზე სუფთა პერანგებს გადაიცვამენ და კიდევ უფრო გალამაზდებიან. ვალო ბადალაშვილმა ბებიის შიშით ვერ გაბედა ალბათ მოსვლა. ძალიანაც კარგი, მაინც მუნჯივით იჯდებოდა. ძალით უნდა ამოგლიჯოთ პირიდან სიტყვა. ველურივით მორცხვია. ბოდიშით. ნახვამდისთ, არ მოვიდა და ნუ მოვიდა. ღმერთმა ხელი მოუმართოს. ღმერთი გადაუხდის. თუ გადარჩი, ხომ გადარჩი, კარგი... თუ არადა, რას იზამ, რა გაეწყობა. საინტერესოა, მართლა რომ მომკვდარიყო ნიკო, იმის საფლავზეც იტყოდა ქეთო მასწავლებელი გამოსათხოვარ სიტყვას?! ბოლომდე თუ იტყოდა — ამის თქმა სურს ნიკოს. ალბათ ვერარა მნიშვნელობა აქვს იმისთვის, თენგიზი იწვება კუბოში თუ ნიკო?! ორივე მოწაფეა და ორივე ერთნაირად ცოდოა. უფრო სწორედ, ნიკოც თენგიზივით ცოდო იქნებოდა, მართლა რომ მომკვდარიყო, ის კი ჯერ მხოლოდ ემზადება სიცოცხლისთვის, წარღვნას გადარჩენილი, ორგზის შობილი ,შემცბარი, დაბნეული, ოღონდ. უვიცობითა და ავადმყოფობიდან გამოყოლილი სისუსტით კი არა, სიბრძნითა და სიჯიუტით, ბუნებისა და ცხოვრების ოხშივრით გაჟღენთილი, გამძლარი. ასე იოლად აღარაფერს და აღარავის წაელეკვინება, რადგან იცის, სიმარტოვე მარტო ყოფნა კი არა, ყველაფრისგან განდგომაა და არაფერი აქვს საერთო დამოუკიდებლობასთან, მით უფრო, თავისუფლებასთან, რადგან დამოუკიდებლობა და თავისუფლება, სწორედ, ცხოვრებისთვის, ბუნებისთვის ფეხის აწყობაა, განსაცდელისთვის თვალის გასწორებაა და არა წუხილით, არამედ საქმით დამტკიცება იმისა. ტყუილუბრალოდ რომ არ გაუღიათ შენიანებს ამხელა მსხვერპლი, ღირსი რომ იყავი არა მარტო გაჩენისა, გადარჩენისაც. იმისთვის კი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იმანაც რაღაცის გადარჩენა დაისახოს მიზნად, თუნდაც ამ ნაზამთრალი ხეებისა, ვიღაცის საფლავისა, გაცრეცილი სურათისა, გაბზარული ფინჯნისა, ხსოვნისა — სულერთია რისა, თუკი ის ნამდვილად მისია, მტკივნეულად, უკიდურესად მისი, მწარეს ახსენებს თუ ტკბილს, როგორც, დავუშვათ, გაყიდული პიანინოს გორგოლაჭებით დაღარული იატაკი. ჰიტლერი ხალხებს უპირებდა თურმე მოსპობას. რასაკვირველია, შეიძლება, ხალხის მოსპობა განიზრახო, მაგრამ შეუძლებელია, შეასრულო კიდეც. მაშინ, ღმერთი არ ყოფილა. არც ადამიანი ყოფილა. არაფერი არ ყოფილა საერთოდ, რისთვისაც ღირს სიცოცხლე, რის გამოც სიკვდილიც კი გვიადვილდება ხანდახან. თუ ძალიან ბრიყვი, ან ძალიან მშიშარა არ არის კაცი, ცოცხალს კი არა, მკვდარს ვერ გაატარებ შენს ჭკუაზე. ნინო წმინდა ვერ ასწიეს, ვერ დასძრეს, მცხეთაში რომ წაესვენებინათ. აქ უნდოდა დამარხვა და იმიტომ. აქაური კვიპაროსები მოეწონა, შეუყვარდა და ვერაფრით ვერ აწიეს ერთი ქალის კუბო, იმიტომ რომ, თავად ქალს, მიცვალებულს, არ უნდოდა. აბა, სხვანაირად მართლაც როგორ უნდა ახსნას კაცმა?! იმისთანა რა სიმძიმე ექნებოდა ერთ ქალს, თანაც წმინდანს. მარტო მხალსა და მაყვალს ჭამდა ალბათ. მაგრამ, რაც გიყვარს, სიყვარულის გამო უნდა გიყვარდეს მხოლოდ და რაც გძულს, ისიც სიყვარულის გამო უნდა გძულდეს. არ უნდა შეეპუო არაფერს, არც გაჭირვებას, არც დამცირებას, არც გაწბილებას, არც დამარცხებას. და, რაც მთავარია, ასევე საჭიროა, სიკვდილამდე, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გჯეროდეს, შენგანაც რომ შეიძლება მართლა გამოვიდეს „დიდი კაცი“; ეჭვით და უნდობლობით არ

უნდა შეურაცხყო შენი ბავშვობა, არასოდეს არ უნდა დაივიწყო შენი ბავშვობის ბაღი, როგორც არ უნდა გადაასხვაფეროს, გაახმოს, გამოკაფოს იგი დრომ და ომებმა; არ უნდა დაგავიწყდეს მისი მათრობელა მზე, ქრუანტელის მომგვრელი ჩრდილები, უხილავი, მაგრამ გაუჩუმარი ჩიტები, ლელვის ხაოიან ფოთლებზე გადაგლესილი აბლაბუდის ნაკუწები და ლელვის დაბურული, დახუთული, მსუსხავი ბინდიდან მოულოდნელად გამოცხადებული, ძუძუმოშიშვლებული ბოშა ქალი, შენზე რომ თქვა. ეს ბიჭი დიდი კაცი გამოვაო; ერთ ხელში დედაშენს რომ ჩაფრენოდა, მაჯაში, თითქოს წაყვანას უპირებდა, მეორეთი კი, თავისი, შენზე პატარა ბავშვი ყავდა ატატებული, ლეკვივით ბინძური და მოუსვენარი, წარამარა რომ ეტანებოდა დედამისს გაშიშვლებულ ძუძუზე, სანამ დედამ მკვახე ლელვი არ შეაჩეჩა ხელში, სანამ იმ მკვახე ლელვის გადატეხილი ყუნწიდან უზარმაზარი, დაბუშტული რძის წვეთი არ ამოიზარდა, რომლის თვალისმომჭრელმა სინათლემ თანდათანობით გადალეკა ყველაფერი, კი არ გადალეკა, შენილბა, ავ თვალს გაარიდა, უკეთესი დღისთვის გადამალა რძის სითეთრეში, რძის წიაღში, რადგან ახლა, შენი საბოლოო დაბადების დღეს, პირველყოფილი სიცხადით აღედგინა, საჩუქრად მოერთმია შენთვის, დაებრუნებინა, როგორც ერთადერთი და კანონიერი პატრონისთვის. „შემოხვალ, თუ მანდ მოგიტანო რძეო“ — გეძახის ბებია. გული სიხარულით გებერება, სიამაყით ივსები. დიახაც, რომ კანონიერი და ღირსეული პატრონი ხარ ყველაფრისა, რაც წარლვნას გადარჩენია. მაღალი კოშკის ქონგურიდან თავის სამფლობელოს გადასცქერის დიდი ფეოდალი. ყველას ეშინია მისი, ყველანი პატივს სცემენ, იმიტომ კი არა, რომ მკაცრია, იმიტომ, რომ სამართლიანია და, რაც მთავარია, იცის თავის ფასი. მანდ მოგართვათ თუ შემობრძანდებითო — ასე ელაპარაკებიან. სხვებიც ისე მოგექცევიან, როგორც თავს დაიჭერ. „აქ მომართვითო“ — მხარს ზემოდან გასძახის ნიკო ბებიას. რაც შეიძლება ხშირად მიეცით რძე, თაფლი და კარაქიო — ოქვა ექიმმა და თვითონვე გაიცინა, დიდხანს იხიხინ-იქოშინა, მაგრამ ბებია გაუჩენარს გააჩენს, ფრთხილად მოაქვს ლამბაქზე დადგმული რძით სავსე ჭიქა, თითქოს ნებზე დასკუპული ჩიტი მოჰყავს, ნიკოს რომ აჩვენოს, და ეშინია, არ გამიფრინდეს იქამდეო. კოვზს გზადაგზა ურევს ჭიქაში. მოწკარუნობს, ეუვნიან თხასავით. ძუძუებით რძე მოაქვს, პირით ბალახი. თაფლითა და კარაქით გასქელებული რძე ზანტად ბრუნავს, ქაფს იკეთებს, ჩინჩხლებს ისვრის. რძის ერთი სქელი, ზარმაცი წვეთი ბებიას დასცემია ხელზე. ჭიქას აივნის მოაჯირზე დგამს და კატასავით ნელა, გემრიელად ილოკავს ხელზე დაწვეთებულ რძეს. ნიკოს ნაზი, მოალერსე სევდა ეუფლება უცებ, სასიამოვნოდ ულიტინებს სასულეში — მოგონებების აღმძვრელი, შორეული, თითქმის დავიწყებული დღეების ისევ უკან დამბრუნებელი, ბავშვობის დროინდელი მატარებელივით გრძელი, უსასრულო, გატრუნული, მომლოდინე, დამამშვიდებლად მწვანე და მაინც ამაფორიაქებელი, ათასნაირი ფიქრის, ათასნაირი განცდის გამღვიძებელი. ეს ნიკოს მატარებელია, ნიკოს ბავშვობის მატარებელი, მაგრამ უკვე ცარიელი, ჩიხში გადაყენებული. ყველა სარკმელში სიცარიელის ტყუპისცალი ჩასახლებულა. უგრძნობელი, უფერული, გულგრილი ტყუპები შემოსცქერიან ფანჯრებიდან. ეს მატარებელი აღარსად არ მიდის. როგორ თუ არ მიდის? რამ გააჩერა? რამ დააცარიელა ასე? აქამდე ხომ ამ მატარებლით მოვიდა ნიკო? რაღაცა მოხდა ნაადრევად. გაუთვალისწინებლად გააჩერა რაღაცამ თუ ვიღაცამ. სხვა მატარებელი გაატარეს, სხვა, უფრო მნიშვნელოვანი, ჯარისკაცებით, ტანკებით, ქვემეხებით დატვირთული, უფრო საჭირო, უფრო აუცილებელი, ვიდრე ერთი ბავშვის ბავშვობაა.

ნიკო მაინც ჯიუტად აკვირდება თვალებში უზრუნველ ტყუპებს — იქნება რამე წამოაცდენინოს, იქნება მათი გამოცარიელებული თვალების მიღმა კიდევ გადარჩა რამე, კიდევ შეიძლება რამის დანახვა. ტყუილია, უკვალოდ არ ქრება არაფერი, თითქოს არც ყოფილაო. აი, კატასავით ზანტად, მადისაღმძვრელად აილოკა ხელზე დაწვეთებული რძე. სუფრაგადაფარებული მაგიდა აივანზე დგას. ფორთოხლისა და ლიმონის ხეებს ლამის მაგიდაზე დაუწყვიათ მწვანე, ხასხასა ტოტები. ჰაერი მათი მძაფრი, ნაზად მძაფრი, გულის სიღრმეში ჩამწვდომი სურნელებითაა გაჟღენთილი. სადღაც ჩიტი უსტვენს. სუფრაზეც უცნაური ჩიტებია ამოქარგული, უცნაურად გრძელკისერა, უცნაურად ბოლოგაფოფრილი. სუფრას მზე მისდგომია. თვალისმომჭრელად აბჭყვიალებს ფინჯნებს, ლამბაქებს, კოვზებს, სარძევეს, საკარაქეს, საშაქრესა და შაქრის ფხვნილის წვრილ მარცვლებსაც სუფრაზე რომ დაეფანტა წელან ნიკოს, როცა დედას არ დააცალა და თავისით მოინდომა ჩაის დაშაქვრა. ჯერ კიდევ ორთქლი ასდის დაბრაწულსა და ხორკლიან ბუბლიკს. თითო იმხელაა, თავისუფლად ჩამოიცვამს ნიკო თავზე. მამა უკვე ფეხზე წამომდგარი სვამს ჩაის ბოლო ყლუპს. გედივით ქათქათა ხელსახოცით იმშრალებს ტუჩებს. დაფუშული, ფრთებჩამოყრილი ხელსახოცი მაგიდაზე ეცემა, ხოლო, მამა ჯერ დედას კოცნის, მერე შვილის კინკრიხოზე აფათურებს თითებს და სამსახურში გარბის. დედა კატასავით ზანტად, კატასავით ნებივრად ილოკავს ხელზე დაწვეთებულ რძეს და იღიმება. სადღაც ჩიტი უსტვენს. სუფრაზეც უცნაური ჩიტებია ამოქარგული — ყელმოღერებული ბოლოგაფოფრილი. აივნის მოაჯირზე სათამაშო თოფია მიყუდებული. წითელი აბრეშუმის ღვედი უსიცოცხლოდ ჩამოკონწიალებია ზედ. „დედა“ — ეძახის ნიკო აქედან, სიღნაღიდან. დედა იხედება. მაგრამ ვერ ხედავს ნიკოს. უბრალოდ, აქეთ იხედება, სიღნაღისკენ. მერე, ცოტა ხანს, სიცარიელეა: უჩინარი ჩიტის ჭიკჭიკი და მოხასხასე, მზეზე აბრჭყვიალებული ტოტები. ეზოს მწვანე, ნესტიანი წიაღიდან მოულოდნელად დანახული მამა. უფრო სწორედ, მამის გოროზი თავი, ქვითკირის ღობეს ამცდარი. (მეც ამ სიმაღლე გავიზრდები). სამსახურიდან მოისწრაფის. აუცილებლად, ცოლშვილთან ერთად უნდა ისადილოს. ხოლო, ნასადილევს — მკვდარი საათი — მტანჯველი, გაუთავებელი, უსაშველოდ ცოცხალი: ათასნაირი ხმით, სურნელით, სურვილით, ოცნებით, განზრახვით, წარმოდგენითა და ჩვენებით გატენილი. მერე ისევ სიცარიელეა, გაუგებარი, ძნელად დასამახსოვრებელი. კოპწია ლილიპუტები და უზარმაზარი, ვარდისფერი, გაპუდრული გოლიათები ცირკის არენაზე. „ბაბალიკაშვილი. ბაბალიკაშვილი“. ქუჩაში გოლიათი მოაბიჯებს, გაფაციცებული, ემანდ, ფეხი არ დავაბიჯო ვინმესო. ნიკოს ახლა ეცინება მაშინდელ შიშზე, ახლა უნდა უთხრას, დღევანდელმა, მაშინდელს — ჩვეულებრივი ადამიანისა გეშინოდესო, ჩვეულებრივისა, რომელსაც ბუნება კი არა, ცხოვრება ალილიპუტებს ანდა აგოლიათებსო. მაგრამ ეს რომ უთხრას, დათვურ სამსახურს გაუწევს დღევანდელი მაშინდელს. ისევ ის უსაფუძვლო შიში ერჩიოს იმას, ის უფრო შეეფერება. სამარადისოდ ჩარჩენილს დედის ნაქარგი ჩიტების, ხმელი ფოთლების გვირგვინებისა თუ ერთნაირად ყოყლოჩინა ლილიპუტებისა და გოლიათების ქვეყანაში, სადაც ჯერ არ დაუყეფია ომის ქოფაკს, სადაც ჯერ კიდევ არ ჩაუმსხვრევია პატარა, მშვიდი, უწყინარი სახლის კრამიტი ჭურვის ნამსხვრევს, სადაც ჯერ კიდევ ძნელი წარმოსადგენია რიგში ჩამდგარი, დანომრილი ხალხი, ერთმანეთს მიჯახებული ცარიელი ბიდონების ჟღრიალი, მთვრალი მეზღვაურები, ძირფესვიანად მოთხრილი ლიმონისა და ფორთოხლის ხეები,

თავშესაფრის ამოთხრილი ორმო და ორმოში ჩამდგარი, ნიჩბის ტარზე დაყრდნობილი, ქანცგაწყვეტილი კაცი, უნებლიე ცოდვილი, უსიამო წინათგრძნობით შეძრული, თავის სიმდაბლეში დაეჭვებული და მაინც მოუთმენლად მომლოდინე შიმშილმისჯილი ბავშვის ულუფისა: სადაც ჯერ არ ითვლება დანაშაულად სინათლის ანთება და, რასაკვირველია, ჯერ არც თავზე ბრეზენტწაფარებული, წვიმის მოთქარუნე ფლოქვების ქვეშ წაკუზული უბნის რწმუნებული დასდევს აქა-იქ გამოჭყეტილ სინათლეს, როგორც ბავშვი — პეპელას. „გაგიცივდა რძეო“ — ეუბნება ბებია ნიკოს, ფრთხილად, გაუბედავად. თითქოს ატყობს, აქ რომ არ არის და თითქოს არ უნდა, ერთბაშად დააბრუნოს აქ. ჭიქას გამდნარი, ყვითლად მბზინავი კარაქი მოუგდია თავზე. ნიკო ცხვირშეჭმუხნული სვამს, მაგრამ სიამოვნებს თბილი, ტკბილი, მსუყე ყლუპი. მერე ისევ სიცარიელეა და გამწარებული, ექვსი წყვილი ხელით ნაცემ-ნაგვემი პიანინოს გაუთავებელი მოთქმა-ტირილი. სიყვარულის იდუმალება თითისწვერებზე შემოდის სახლში. კი არ შემოდის, მოიპარება — მამიდისა ეშინია, მამიდის სახაზავისა. და აი, პირველი შიკრიკიც გარესამყაროდან: უშნო, მეჭეჭიანი ნარინჯი — დანამული, მთელი ღამე ეზოში ნაგდები. გამოტყდით რომლისაა! გამოტყდით მეთქი, თქვენი ნებით! ისინი კი მხრებს იწურავენ და ერთმანეთს შესცქერიან, გულუბრყვილოდ გაოცებულნი. მორჩილად ჩამოუშვიათ ახალი შებუმბლული ფრთები. გულში კი, ვინ იცის, ექვსივე ერთნაირად ნატრობს, ნეტავი ჩემს სახელზე იყოს გადმოგდებულიო. გინდა იმათი სახელები ჩამოგითვლია და გინდა წაგიმღერებია: ნია, მია, ნატული, დადა, დოდო, ტატუ. რასაკვირველია, ყველა კონსულს ვერ წაყვება.) სად არის ამდენი კონსული. ბიძა ულვაშებში იღიმება, თითქოს იმას სრულებითაც არ ეხება ეს ამბავი. მისი ცოლშვილი კი მაგიდის გარშემო დარბის. მახვილივით შემართული სახაზავი შხუილით აპობს ჰაერს. [illegible] კარადაში ჭურჭელი წკრია[illegible] მაინც ყველაფერი ისე მოხდება, როგორც უნდა მოხდეს. მერე — წვიმიანი, ნაცრისფერი დილაა და აფორიაქებული, შეშფოთებული უფროსები. ერთხელ ვიღაც ნათესავი გარდაეცვალათ სხვა ქალაქში (ანდა სოფელში) და მაშინაც ასე აფორიაქდნენ, ასე შეშფოთდნენ ყველანი. მამა მაგიდასთან იჯდა და დეპეშის ტექსტს ადგენდა. დანარჩენები, კისერდაგრძელებულნი, ადევნებდნენ თვალს მამის ხელს. აბა, კიდევ გაიხსენეთ, ვინმე ხომ არ გამოგვრჩა? ბავშვები არ არის საჭირო. იმ დილას კი, პირიქით, ბავშვებს რა ვუყოთო, სად დავმალოთო — ყველა ამას კითხულობდა. ბავშვები ფეხსადგილში! ფეხსადგილის ორმოში! იქ ვერ იპოვნიან. აი, საიდან იღებს შიში სათავეს — ფეხსადგილის ორმოდან, რომელშიაც ბავშვები უნდა დამალონ, მერე კი მართლა ალარაფერია — პურის რიგი, ნავთის რიგი, პურის რიგი,ნავთის რიგი. ცარცით დანომრილი ზურგები, ბიდონები, ქვები. გათოშილი ფეხები, დაბეგვილი გვერდები. თავშალგადამძვრალი, სახეზე თმაჩამოშლილი, გადაფითრებული ქალი, რომელსაც ვერაფრით დაუმტკიცებია, დაკავებული რომ ჰქონდა რიგი, ერთი წუთით რომ გამოვიდა რიგიდან. სანიტრები მამას ეტლში სვამენ. მამა აქეთ-იქით იყურება, დარცხვენილი, დაბნეული, როგორც პატიმარი განაჩენის გამოტანის შემდეგ, თავისიანებს რომ დაეძებს სასამართლოს დარბაზში — არ დაიჯეროთ, მართალი ვარ. ყველა თავისებურად მართალია. დედაც ეტლში ჯდება, ისიც აქეთ-იქით აცეცებს თვალებს, თითქოს საკუთარი ხელით ამოქარგული ჩიტები გაფრენია. ეტლი მიდის. მთელ ქუჩას ჩირქისა და წამლის მძაფრი სუნი ეფინება. ჭიშკართან ბავშვი დგას და ეტლს გასცქერის — უზრუნველი, უპატრონო ლეკვი. ჯერ კიდევ ბავშვი. რამდენიმე წუთის შემ-

დეგ, მთელ სახლს ყირაზე დააყენებს, თავისუფლებისა და უპატრონობის შეგრძნებით აღგზნებული, და კარადის ყველაზე ქვედა უჯრაში მაინც მიაგნებს, მაინც აღმოაჩენს ომამდელ კამფეტებს. გაფრენილ დღეებს ჩამორჩენილი ბარტყი კუთხეში მიყუჟულა, ხოლო საავადმყოფოდან მობრუნებული, წვიმაში მოყოლილი, თავფეხიანად გაწუწული დედა, სკამის კიდეზე ჩამომჯდარა, თითქოს ერთი წამით, სულის მოსათქმელად, როგორც ჩიტი — მავთულზე. კბილებით საკუთარ მუშტს ჩაჰფრენია წყევლისა და ყმუილის შესაკავებლად. მერე კი, სულ ერთი და იგივე დღეა. ერთი და იგივე დღე და ერთი და იგივე ღამე. ნავსადგურის ღმუილი. სანიტარული მატარებლის მოულოდნელი შეკივლება. კარადის თავზე ურჩხულების, ჯოჯოების, გველების ზედახორაა. ყუმბარის ნამსხვრევით ჩალეწილი კრამიტის წკრიალი — ძილში ჩასმენილი თუ ძილშიც ჩაყოლილი. ჩააქრეთ სინათლე! ჩააქრეთ სინათლე! შენი ხმა გაწყდა ამ ქვეყანაზე. ძირფესვიანად მოთხრილი ლიმონისა და ფორთოხლის ხეები ბიძას ღობის ძირში მიუყრია. დაგრეხილი, ჯერ კიდევ სველი ფესვები მკვდარი თევზის (კატრანის) ულვაშებს გავს. შემაძრწუნებლად მოტიტვლებულ ეზოში უზარმაზარ ორმოს დაუღია პირი. შიგ ბიძა ჩამდგარა — მოტეხილი (უნებლიე ცოდვისგან), გადასხვაფერებული უაზრო შრომისგან. კი არ შრომობს, სასჯელს იხდის. არავის არ ჭირდება, რასაც აკეთებს. — „მე არაფრად არ მჭირდება შენი თავშესაფარი, — ეძახის მამიდა აივნიდან — ცოცხლად არ დავიმარხავ თავს“. თავშესაფარში, მართლაც, სამარისებური სიბნელეა. დამპალი ფიცრისა და ნოტიო სილის სუნი დგას. შმორის სუნი. მაგრამ იმ აშმორებულ წყვდიადში ელენიცა შეყუჟულა და, თავისი ჭკუით, ბოშებს ემალება. თავშესაფრის წყვდიადსაც არ შეუძლია მთლიანად გადაშალოს იმის ბაფთებიანი კაბის სითეთრე, შმორის სუნსაც არ შეუძლია, მთლიანად გააქარწყლოს შემწვარი თევზის სუნი — ელენიცას სუნი. ნიკო არა მარტო ხედავს, ესმის კიდეც, როგორ უცემს ელენიცას მხდალი გული. „მე მალე მომიტაცებენ, — ამბობს ელენიცა და იღიმება. — სადაც არ უნდა დავიმალო, მაინც მიპოვნიან“. ჭიქის ფსკერზე ჩარჩენილ რძეს ბებია თვითონ სვამს და მიდის, ჭიქიან-ლამბაქიან-კოვზიანად. მიწკარუნობს ნიკოს მარჩენალი, ნიკოს ამალთეა. ნიკო კი ისევ აივანზე დგას და ისევ მზეს უჭუტავს თვალებს. მთელი არსებით იწოვს, ისრუტავს მათრობელა სიცოცხლეს, ერთთვიანი სიკვდილით დაძაბუნებული, დაკაცებული. მაგრამ დაკაცება ბავშვური გულუბრყვილობის ბავშვური სისუფთავის შენარჩუნებასაც გულისხმობს — რასაც ბავშვობით მოვიპოვებთ, სიკვდილამდე ჩვენი საკუთრებაა. ისაა მთელი ჩვენი სიმდიდრე, ანუ, ჩვენი მადლი, ყველაზე, საიმედო ადგილას, ისევე ჩვენს საკუთარ ბავშვობაში გადამალული. იმ მადლის წყალობაა, კვირტები რომ სკდებიან, ბალახი რომ ამოდის, ჩიტები ჟივჟივით რომ ეხვევიან ერთმანეთს და ჩვენს თვალწინ, ჩვენი თანდასწრებით უყრიან საფუძველს ახალ სიცოცხლეს. ცოტაც და, ისევ ამოივსებიან ბუდეები ჭორფლიანი, კრიალა კვერცხებით. იოსებას კი ქვაზე ჩამოუდებინებია სიძველისგან გაპრიალებული, დაბზარული, ხელნისთვის თავი. ხელნაზე ოფლისაგან გამოშავებული ფალნები, დაბრეცილი ტყავის ღვედები და ეჟვნიანი აღვირები ჰკიდია. ეზოს ერთ კუთხეში ცხენები მიყუჟულან, მეორეში — ბრმები თოკსა გრეხენ. თვითონ იოსება თავლას ასუფთავებს. თავლის მოღიავებულ კარში ცხენის შარდის, ჩონჩორიკისა და ნესტიანი თივის სუნი ნისლივით გამოდის, კართან ჩონჩორიკის მთელი ზვინია დახვავებული. რა ყოფილა სიყვარული, ახლა გავიგეო — მღერის იოსება თავლაში. დედა ცხენი მიწას ჩასცქერის, გარინდებული დგას, თითქოს უსმენს და გაეგება კიდეც პა-

ტრონისა. კვიცი ცქმუტავს, მალმალე აილერებს ხოლმე თავს და დედის თეძოს აწყდება. თითქოს აღშფოთებულია, მისი და დედამისის სიბინძურე ასე საქვეყნოდ რომ გამოუმზეურებია იოსებას. არადა, გუშინდელ დღესავით ახსოვს ნიკოს იმის დაბადება. გიჟივით შევარდა თავლაში, მაგრამ პირველად ვერაფერი დაინახა თბილსა და ნოტიო ბინდბუნდში. აგე, აგერ — თითი მიუშვირა იოსებამ და მხოლოდ მაშინ შეამჩნია — დედა ცხენი შფოთავდა, ფრუტუნებდა, ის კი მოკუნტული იწვა დედის ფეხებთან, ნამჯაზე, და საკუთარ თეძოზე ჩამოედო სველი, გაბურძგნული ჩიჩვირი. ახლა კი ქალიშვილობს, ედიდგულება იოსებას — ოჯახის ბოქაული. ნუ აქცევ ყურადღებასო — გადაულაპარაკებს ხოლმე დედა ცხენი და ჭალარაგარეულ კუდს ნაზად, დამამშვიდებლად სცემს გრძელსა და დაძაბულ კისერში. კვიცი ცოტა ხნით მშვიდდება. დედასავით ირინდება, თითქოს ისიც იოსებას სიმღერამ გაიტაცაო. ახლა ორივენი მიწას ჩასცქერიან. ხანდახან, თავისთავად თუ შეუკრთებად' ზურგზე ან გავაზე კუნთი, მბზინავი, გლუვი ტყავის ქვეშ. მზეზე თბებიან, ნიკოსავით. თავი ისე უჭირავთ, თითქოს არაფერი აკავშირებთ არც თავლის წინ დაზვინულ ჩონჩორიკთან, არც კარმოღებულ თავლასთან და არც თავლის ნესტიან წყვდიადში ამღერებულ კაცთან. ახლა გავიგე, ახლა, გავიგე, ახლა გავიგე — მღერის იოსება. ბრმები თოკსა გრეხენ. ღრჭიალებს თოკსაგრეხი ჩარხი. ერთი ჩარხის სახელურს ატრიალებს, ორს — ჩარხის ჩანგლებზე გამობმული, სქელი, ბუსუსიანი ძაფების ბოლოები უჭირავს, მეოთხე კი, სავარცხლის მაგვარ ხის ხელსაწყოს დაატარებს ძაფებში, ზევით-ქვევით, და იმ სავარცხლისმაგვარი ხელსაწყოს კბილებში მოქცეული ძაფები მჭიდროდ, საიმედოდ ერთდებიან, ერთიანდებიან. ლომს დააბამენ. გამზადებული თოკი ძირში შეჭრილი ნაწნავივით გდია მიწაზე. ჩარხთან დოქი დგას, დოქს ცალი გვერდი ჩამოსველებია, ან ახლახანს აუვსიათ, ან ახლახანს დაულევია იქიდან ვილაცას წყალი. ოთხი უჩუმარი კაცი თავაწეული შრომობს. შრომობს და თან ღმერთს შესცქერის — ფუტკარივით მუყაითი და ფუტკარივით ჭკვიანი. გამოზომილია, გამიზნულია ყოველი მათი ნაბიჯი, მოძრაობა. არაფერი არ ეშლებათ, თუმცა, ვერაფერს ხედავენ. ოთხივეს ერთნაირად აუწევია თავი, ცისთვის მიუპყრია უსარგებლო თვალები. ღმერთს მაინც ვერ დაინახავენ. თითქოს რალაცას უსმენენ. თითქოს იოსებას ხრინწიან სიმღერასა და ჩარხის ღრჭიალში, კიდევ სხვა, მათთვის უფრო მნიშვნელოვანი ხმის გამორჩევას ცდილობენ. ალბათ იმის ხმისა, თვალის მაგივრობას რომ უწევთ. ერთნაირად ახამხამებენ ქუთუთოებსაც. ქვებივით გამომშრალი, არაფრის მაქნისი გუგების უნებლიედ შემაძრწუნებელი სითეთრე იელვებს ხოლმე. ძმები არ არიან, მაგრამ ძმებსა გვანან, ერთი დედმამის შვილებს კი არა, ერთიდაიმავე წყვდიადის ბინადრებს. ფუსფუსებენ, ქმნიან — მწერის სიჯიუტით, მწერის მუყაითობით, მწერის საზრიანობით, ქვეყანას ვერ ხედავენ, მაგრამ ქვეყანას ჭირდება მათი ნახელავი — ათასი რამეა ამ ქვეყანაზე დასაბმელი, გადასაბმელი. შესაკვრელი, შესაფუთი, დასაკიდი... თავადაც თოკით უკავშირდებიან ქვეყანას, თოკს დაჰყვებიან აღმა-დაღმა, როგორც ერთ გაუთავებელ ფიქრს. ხოლო, მარგალიტას თავისი აივნის მოაჯირზე წითელპირიანი საბანი გადმოუფენია და შვინდის სახრით ფერთხავს. საბნიდან წამოშლილი მტვერი ოქროსფერ შარავანდედად ადგას თავზე. ხელის ყოველ მოქნევაზე, ერთს მოკლედ. მოწყვეტილად ამოიგმენს ხოლმე ჰაერი. მოშილითებულ კაბაში კი მკვეთრად ინაკვთება ჯანსაღი, ხორციანი სხეული. ახლა გავიგე, ახლა გავიგეო — ხმას აკანკალებს იოსება. ეზოს კუთხეში მიყუჟული ცხენები მიწას ჩასცქერიან. გარინდებულნი დგანან. ორივე ცხენს, დედასაც და შვილსაც, ერთნაირად უკრიალებს დიდი, დანამული თვალები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოლაუ ნადირაძე

## „მამულო საყვარელო“

ოთხმოცდაცამეტს გადავცილდი,
მაგრამ ჯერ კიდევ
შენი უკვდავი ბრწყინვალებით
სულში ცეცხლს მინთებ!

შენი სიმტკიცის, ბრძოლის ცეცხლის
ხილვა მახარებს,
და როგორც წინათ, ბავშვობისას,
გალობა მერცხლის
მე მატკბობს დღესაც და მანეტარებს!

მე რწმენა შენი იმედს მმატებს
გამარჯვებისა!
დიდება მარად ხალხის გმირებს
დიად რწმენისა,
მებრძოლ რაინდებს, მებრძოლ
მგოსნებს
ყველა ქვეყნისა!

როგორც ოდესღაც, მე ვარ მშვიდი
გრძნობით იმისა,
რომ შემწევს ძალა ვმართო მშვილდი,
მოელვარე ქართულ ლექსისა!

ჯანს მმატებს შენი რწმენის ძალა
ჩაუქრობელი,
შენი სიმაღლე სულიერი
გულთამპყრობელი,

ო, ჩვენო დედავ, უნაზესო
და უწმინდესო!
შენ დღესაც კიდევ
სულში ცეცხლს მინთებ
უქრობელს, ძლიერს,
და კვლავ მიცოცხლებ
ნეტარ ბავშვობის,
მზიური ყრმობის
დღეებს ბედნიერს.

და, აი, ახლაც, შენი სუნთქვით
გამთბარი გული
კვლავ იგერიებს
მოვარდნილს მწვავედ
კაეშნის ზვირთებს:
ჩემს უძმეს ძმათა.
დაუვიწყართა,
და დაღუპულთა
მოგონების
დამდაგველ წუთებს!..

## ჟამს განშორების

ვიცი, გამიქრა,
ვიცი მკვდარია
უტკბესი სითბო
მშობლიურ კერის!
ეს — ჩემი ზამთრის
ცივი ქარია,
ეს — გედი ბოლო
სიმღერას მღერის!

ო, რა დრომ განვლო!
ცოდვა და ბრალი,
უმკვიდროს, ჩემდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩუქრად დამრჩა!
მაინც მაცოცხლებს
რუსთველის ქნარი,
და აკაკის ცის ფირუზის ფარჩა!

დახვეწილ ქართულს
ჩვენ ისევ ვამბობთ,
ცვარ-ნამი უხვად
ეფრქვევა ველებს.
ჩემო სამშობლოვ,
ვერავინ დაგმობს
შენს გმირულ წარსულს,
ვარძიის კედლებს.

მზე მიწას შენსას
მძლავრად დაჰყურებს,
ვაზს პეშვით აფრქვევს
მარგალიტს მთვარე,
მტრებმა შენი ცა
კვლავ ვერ დახურეს,
მომავალს მზიურს
შეჰხარის მხარე!

უთვალავ დღეთა,
უხსოვარ წელთა
სისხლის და ცრემლთა
დაგვრჩა ტბორები.
რაც იყო, მორჩა!
წარმართულ ღმერთთან
მუხლს ვერ მოვიხრით
განმეორებით!

მერცხლის გალობა
კვლავ მიხმობს სოფლად
არასდროს არ ვგრძნობ
აქ ჩემ თავს ობლად!..
მე სოფლად ყოფნას
ვთვლი ღვთის წყალობად,
და მსურს ყოველ გლეხს
ვუთხრა მადლობა.

მე, ალბათ, აწი
ჩვეული ლხინით
ველარ შევხვდები
მაისს და ივლისს...
ჩვენ ჭასთან ჩვენი
ოდა დგას, ვხედავ,
მაგრამ იქ უკვე
მშობელი დედა
ველარ მივა და
ველარ გაივლის!..

მორჩა, გათავდა!..
მეზობელ გლეხის
ყეფა ძაღლისა
ძვირად გაისმის,
მაგრამ, კვლავ მართობს
გრიალი მეხის,
ჟუჟუნა წვიმით
მოსვლა მაისის!

და ვამბობ ახლა,
გული რომ მტკივა:
— ტკბილ სოფელს რისთვის
დავშორდე ასე?
რათ დავრჩი მარტოდ,
ან რატომ მცივა
ჩემს სიზმრად ქცეულ,
სიცოცხლის გზაზე?!

ვიცი, გამიქრა,
ვიცი, მკვდარია
უტკბესი სითბო
მშობლიურ კერის!..
ეს — ჩემი ზამთრის
ცივი ქარია,
ეს გული ბოლო
სიმღერას მღერის!

## ზამთარი მიდის

პატარა მიძღვნა

ზამთარი მიდის,
ის თან წაიღებს
ალმასის თასებს,
ბროლებით ავსილს...

მხოლოდ მაგ თვალთა
გულწამღებ ღიმილს
მაინც უნაზეს
სიტურფით ავსებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთარი, თუმცა,
მას სად წაიღებს?
სად გადაკარგავს,
სად გადამალავს?!
მზე გაზაფხულის,
კარზე მომდგარი,
ველს ააყლერებს,
მინდვრებს დაქარგავს.

ეგებ ვერასდროს
კვლავ ველარ გნახო:
უკვე არ მწყალობს
მაისის ჯადო,
ასე უეცრივ,
ო, ასე გვიან
აყვავებულო
ჩემში ვენახო!

## ხვედრი

ნატეხს პურისა
ითხოვდა გლახა
ტაძართან,
მლოცველთ წრეში,
და... პურის ნაცვლად,
ვიღაც რეგვენმა
მას ქვა ჩაუდვა ხელში!
ო, ეს სიმბოლო
ბრბოში მოქცეულ
განწირულ კაცის ხვედრის!
ასეთი იყო ხომ
ჯვარზედ გაკრულ,
წამებულ ქრისტეს ბედიც?!
მან, სიკვდილის წამს,
პირით გამშრალით
წყალი ინდომა ბოლოს
და, წყალის ნაცვლად,
ღრუბელით ძმარი
მას მიაწოდეს მხოლოდ!
განა არ ვიცი,
ან არ მინახავს
შმაგ ნაძირალთა რისხვა?
მე მხოლოდ მძაგდა,
თანაც მზარავდა,
თუნდაც მათ ახლოს მისვლა!
მძვინვარე ბნელთა
და გარეწართა
ქცევას ვიგონებ — ერთად:
ებრაელ ბავშვთა,
მოხუცთა, ვაჟთა
და ქალთა გიჟურ ჟლეტას,
პართენონის და
რომის ფორუმის
დიად ძეგლების ნგრევას...
ვხედავ ჩემს მშობელ
მხარეს და ხალხსაც,
მოქცეულს ცეცხლის რკალში:
ძუძუმწოვართა,
დედებთან ერთად,
მახვილზედ, შუბზედ აცმას,
რის არსად ჩანდა
ოდნავ ნუგეში,
არვინ ელოდა დაცვას!..
მე ვხედავ:
ბაღებს სემირამიდის
ეფესის ტაძრის დაწვას,
ჯორდანო ბრუნოს,
სავანაროლას
ცეცხლის კოცონზედ ასვლას;
ვხედავ პარიზის
„გრევის მოედანს“
გილიოტინის ახლოს,
მომესმის ბრბოთა
სიცილ-ხარხარი,
როცა პოეტის
ანდრე შენიეს
მოკვეთილს თავსა —
ჯალათი სწევდა მაღლა!
ო, კიდევ ბევრი,
ბევრი სხვა რამე
ჩემს წინ ცოცხლდება ისევ,
როცა მარტო ვარ
უძილო ღამით
და ყოველივე,
რაც ხსოვნას შერჩა
თვალწინ წარსდგება მყისვე!
მაშინ ტკივილი
მექცევა ცრემლად
(ცრემლი სახსოვრად დარჩეს!)
და ვნატრობ ასე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტავი ჩემთვის,
მეხსიერება
არ მოენიჭა გამჩენს!
შეუნდოს ზეცამ,
ცოდვები ყველას,
ვინც გულით
ამას ითხოვს!
მე მწამს და ვიცი:
ბოროტი ქრება,
რომ იგი
ქვეყნად განწირულია!
მხოლოდ კეთილი
არასდროს კვდება,
რომ მზისებრ
მხოლოდ ის გაბრწყინდება,
რაც სიყვარულის
ღვთაებრივ ძალით,
რაც შთაგონების
გაელვარებით,
რაც თავდადებით,
რაც თავგანწირვით —
ადამიანთა საკეთილდღეოდ, —
ქვეყნად იქმნება,
გულით კეთდება!!
მაგრამ დღეს ქვეყნად,
მთელს მსოფლიოში,
ხელგამოწვდილი ბევრია ერთობ!
მათ აღურიცხველ
ასეთ სიმრავლეს
ვინ მოთვლის ნეტავ?!
ასეთ საოცარ
რაოდენობას,
ვინ საზღვრავს ვინა!
მე ნათლად ვხედავ
სნეულ-ტანჯულთა
და დაჩაგრულთა,
განწირულთა
ადამიანთა
ხელებს გამოწვდილს: —
ითხოვენ შველას
და შეწყნარებას.
ითხოვენ ნამდვილს,
ძმურ შებრალებას,
ძმურ სიყვარულსა,
ძმურ დახმარებას.
სულ მცირე ნუგეშს,
სულ ცოტა სითბოს
ამ ასე უთბო,
ცივ საწუთროში!!
და ყოველივე
ამის პასუხად,
მათ მხოლოდ ცივ ქვას,
ო, მხოლოდ ცივ ქვას
უდებენ ურცხვად
გამოწვდილ ხელში!

## ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲡ ᲛᲐᲘᲐ ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔᲡ

მატყვევებს, როცა მშვენებას ქალის
ეშხით თან ახლავს სიბრძნით ნაკვესი
და მას, განგების იდუმალ ძალით,
ამშვენებს ნიჭიც უბრწყინვალესი.

კარგია მეტად, როდესაც ქალი
ღიმილს უნაზესს მორცხვად გაჩუქებს
ან როცა ჭადრაკს დახედავს წამით,
და შთაგონებულ სვლით გააშუქებს.

ქართველი ქალი, ეშხით რჩეული,
ღვთიურ სიტურფით გმირებს
ათრობდა...
და, ჯადოსნური ხიბლით ძლეული,
რუსთველის ლექსიც ქებით ამკობდა!

ვინ უწყის, რამდენ უძლეველ რაინდს
ცრემლი თუ სისხლი მისთვის უღვრია!
არ განუცდია სიმუხთლის წამიც,
და მხოლოდ მის წინ მორჩილად,
კრძალვით
თავი და მუხლი მას მოუხრია?!

ქართველ ქალს, მეცხრედ, ჭადრაკის
ტახტზედ,
როგორც დედოფალს ზედიზედ
ვხედავ!
დაფნის გვირგვინი მას ადგას თავზე,
მისთვის მეც ლექსის მიძღვნასა ვბედავ...

სახელი მისი მაისს შეიცავს,
მაისი იყოს მისთვის უცვლელი!
მას მშობელ ერის მადლიც დაიცავს,
მშვენების, სიბრძნის, ტრფობის
დამცველი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გიორგი ჯორჯანელი

გიორგი ჯორჯანელმა ეს ლექსები რამდენჯერმე მოიტანა რედაქციაში და უკანვე წაიღო. ყოყმანობდა, ფრთხილობდა, ვერ გადაეწყვიტა, დაებეჭდა, თუ არა. რედაქციამ მაინც მიზანშეწონილად ჩათვალა ამ სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსების შეკრება და გამოქვეყნება.

### პატარძეული

მტერმა რომ გაღინადირა
ველები ალაზნიანი,
მზის პატარძალი გატირა
მთვარესთან დანაზიარი.

სატრფო მოგიკლეს ტაშისკარს,
მტრისგან შევიქმენ ძლეული,
ობოლი პატარძალი ხარ,
სოფელი პატარძეული.

შეგხვდები ლამენათევარს
მე სიყვარულით უჩვევით,
ზედ დავაკვდები სატევარს
სისხლით მოსვრილი ტუჩებით.

ალვანის პირას დაეცა
გული ბრძოლებში ნაცადი,
ბაკურის ციხე დალეწა,
ქარს გაატანა ნაცარი.

მარჯვენა მხარი შემახმა,
სიცოცხლე აღარ მაცალეს,
დედაჩემი ხომ შენა ხარ,
უდაბნოში რომ გაწამეს.

ქართველი დედა შენა ხარ,
გიხმობ, გეძახი შორიდან,
ო, ერთხელ მაინც მენახა
მზის მოქნეული ტორი და...

ცეცხლი ნახშირის თვალების,
ჯვარისწერა და მაყარი,
როცა ყმაწვილი ქალები
თმა მხრებზე გადანაყარნი

მოგსდევდნენ მთების პატარძალს
ჩემს დედას ალვისტანიანს,
მე სიყვარული იმ დღეთა
საფლავში ჩამიტანია.

გიხმობ გომბორის მთებიდან
შვილი, მიწაში წოლილი,
სიკვდილი მიწას ვაჩუქე,
მტრებისგან გამოყოლილი.

თავს გიხრი, დავბრუნებულვარ,
შენს სახეს ველარ ვხედავდე.
ნება რომ მქონდეს, ამ მიწას
კიცნას რომ გავუბედავდე,

რადაც შენ გადაქცეულხარ,
რა იქნა შენი სხეული,
გკითხე, ეხლა ყოფილხარ
სოფელი პატარძეული.

* * *

გაფითრებული ბგერები
აცრემლებული თვალებით
კვდებოდნენ ბედნიერების
უკანასკნელი წამებით.

ქარმა გზა საით წაიღო,
ცისფერ ხაზებით ფერილი,
უკანასკნელი გზა იყო
უკანასკნელი გენიის.

ანგელოსების ლოცვამდის
გაფითრებულნი სრულებით
იხოცებოდნენ მოცარტის [illegible]
საფლავის თაიგულები.

* * *

ვიცი, ოდესმე მოგენატრები
როგორც ძმა, სატრფო და მეგობარი,
ვერსად იპოვი ქვეყნად გულისტოლს,
გაწბილებული და გულმწუხარი

იგრძნობ, ამ ქვეყნად სიცარიელეს
ამაოება რომ ფარავს სრული,
და რა ამაოდ მოგენატრება
ტრფობა, ოცნება და სიყვარული.

მაგრამ ეს უკვე გვიან იქნება,
ხედავ რა სწრაფად მიდიან დღენი.
დაღლილ სულისთვის ტრფობის
სიმღერა
იქნება ძველი და მოსაწყენი.

წავა დრო უცხო გზებით მავალი,
შენ უკურნებელ ტრფობით დათვრები,
იგრძნობ ამ ქვეყნად ამაოებას
და რა ამაოდ მოგენატრები.

## მესამედ!

არავის დავეძებ, არავის მოველი,
სიყრმის გატაცებებს ფერი წაუვიდათ,
მე თვითონ გაგხადე შენ მიუწვდომელი
და ეს სიყვარული არ ქრება გულიდან.

ხმაურობს პირველი გრძნობებით
გამთბარი
ყოველი სიმი და ყოველი იმედი,
ეს უკვე მესამედ წავიდა ზამთარი,
ეს უკვე მესამედ სიკვდილთან მივედი.

მაგრამ კვლავ ცოცხლდება ოცნება
ფარული,
სულშიაც ეშვება მზეების ნათელი,

უსაზღვროდ მწყუროდა ქვეყნად
სიყვარული
და მხოლოდ შხამით და ვარამით
დავთვერი.

გული კვლავ დაგეძებს, გული კვლავ
მოგელის,
წინად კი მე შენზე ფიქრებით
ვკვდებოდი;

მე თვითონ გაგხადე შენ მიუწვდომელი,
კვლავ უფრო უსაზღვროდ რომ
შემყვარებოდი.

## ბუდა

ჩრდილი შემაკრთობს გარდასულ
დღეთა,
შენი კერპი რომ დავლეწე, ბუდა.
მე შენს თვალებში სიკვდილსა ვხედავ.
შენ კი სიცოცხლე გწყუროდა მუდამ.

მე აღარ მინდა ვიყო წარმართი
და მე გავბედე არმაზის მსხვრევა.
ბუდა, შენ ჩემი სიცოცხლე გმართებს,
რომ მოახდინე ვნების აღრევა.

დღეს ჩემი სული როგორც ტაროსი
გმინავს და შენი სიკვდილი უნდა,
ვსდგევარ შენს მკერდზე მე ბარბაროსი
და ჩემი გულიც მკვდარია, ბუდა.

მე თვით ღმერთებსაც დავსცემ სატევარს,
რადგან სულს ველარ იტევს სხეული,
აჰ, მე სიკვდილი შემემატება
შენი კერპივით წამოქცეული.

ბუდა, უდაბნოს მზეზე დაეცი,
ჰოი, ყოველთვის გახსოვდეს ბუდა,
შენი სიკვდილით სული დამეწვა,
რადგან სიცოცხლე გწყუროდა მუდამ.

* * *

მე შენზე ფიქრით გადავიღალე
და ეს ფიქრები თუ რამედ ღირდა,
არა მგონია, რადგან მე მათი
მოგონებანიც კი აღარ მინდა.

რადგან ღამღალეს დიდი ტკივილით,
შენზე ფიქრებმა გამხადეს ავად,
მსურდა სიკვდილი მარადიული
მე ამ ფიქრების გასაფანტავად.

მაგრამ გაცივდა ჩემი გონება,
დაირღვა ჩემი სამყაროს ფუძე
და რომ შენც მხოლოდ ფიქრი იყავი,
ეს ჩემს ფიქრებში ვიპოვე უცებ.

* * *

ტყის ფერიებს ჩაფიქრება სწვევიათ,
ჩიტუნებიც თვლემენ ცაცხვის რტოებზე,
ქარის კალთით ველარ დაირწევიან
ჩირაღდნები ხმელი ფიჩხის კონებზე.

მწუხარება გაყვითლებულ ფოთლების
ღამეული კვნესით მეხმაურება,
ნიშნად ზამთრის შემზარავი გოდების,
შემზარავად დაიკივლეს ტურებმაც.

შენი ფიქრიც ტყეებისკენ მიგორავს,
შავი ღამე ინაცრება, ხუნდება.
დაივიწყე, იყო, არა იყო რა,
გაზაფხული ისევ დაგვიბრუნდება.

• • •

უსათაურო ზღაპრებივით
დავკარგე გზები,
მაღლა ვარ, სადაც
აღმართულან მთის მწვერვალები.

მაღლა ვარ, სადაც
აღარ მინდა ღმერთების შველა,
მაღლა ვარ, სადაც
ვერასოდეს მომწვდები შენა.

ეროვნული

* * *

ბურუსში ჩაფლულს ცაცხვებსა
სძინავთ,
ძირს დაუხრიათ მშვიდი რტოები,
ან ნაკადული მღეროდა წინათ,
შხეფებს ამსხვრევდა განმარტოებით.

ბურუსში ჩაფლულს სძინავს მუხებს,
დღეს მისი გულიც აღარა ფეთქავს,
მან ვერ შეიგნო ბედის ცთუნება,
შეიგნო, მაგრამ ვისათვის ეთქვა.

* * *

ხედავ, ის ღამეც წავიდა, მორჩა
და მწუხარება დასტოვა მხოლოდ
და სიყვარულიც ისევე მოჩანს,
როგორც შორეულ ქვეყნების ბოლო.

რას ვიზამ, დუმილს ვარჩევ ისევე,
როცა დღეები ასე წავიდა...
მთის ძირს მოვსძებნი და მოვისვენებ,
რომ არ მესმოდეს ხმა არსაიდან.

## პაგანინი

მან აღტაცება იცოდა სრული,
ქარში კარგავდა ვიოლინოებს,
ბოლოს დემონებს მიჰყიდა სული
და დაეწაფა ცისფერ ღვინოებს.

მთლად გამოსცალა სიცოცხლის ღვინო
და რადგან ბედი არ დაუბრუნდა,
გადაამსხვრია მან ვიოლინო
და ცაში ღმერთებს გაუმიჯნურდა.

მაგრამ ამხედრდა სამყაროს ვნებად,
ორკესტრს წარუძღვა მარტო
დატოვილს,
ეძებდა სიკვდილს და უკვდავებას,
როგორც შეშლილი იმპერატორი.

მაგრამ ღმერთებმა ისიც დატოვეს,
არავინ იცის, ვის შორის დარჩა
და ვიოლინომ იცის მარტოდენ,
დამარცხდა იგი, თუ გაიმარჯვა.

* * *

ეხლაც ისევ წვიმა მოდის
და თბილისში ქარია,
მე სიყვარულს მოველოდი
უკვე დიდი ხანია.

დღეს სურვილი ერთად-ერთი
ნეტავ ვიღას მოელის,
არ მინახავს ჯერ ასეთი
ზეცა სვეტიცხოვლის.

სულში ღამის ვარსკვლავების
სითბო უკვე ჩაეშვა,
როცა ღამის საკრავები
უმღეროდნენ კაეშანს.

სიყვარულის მზეც ამოდის
და ღრუბლები მთვარიან
შორეული პიემონტის
ცისკენ მიიჩქარიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „თამარის“ თვალები ქაშუეთში

თეთრი ფიქრი, თეთრი ღამე,
სულო, ფიქრებს მოეშვი.
ნეტავ ეხლა დავიღალე
თუ გარდასულ დროებში.

შორეული უდაბნოდან
ჩიტუნებიც მოვიდნენ,
მათ დაკარგეს ძველი დრო და
შენც ხომ ვერ გიპოვიდნენ.

ალბათ მათი ცელქი გული
აივსება კაეშნით.
და ცრემლები სიბრალულის
ჩაუდგებათ თვალებში.

ამ ლექსებს რომ გიტოვებდი,
ნეტავ რა მახარებდა,
გული გულს ვერ იტოლებდა
ქაშუეთის კარებთან.

ქაშუეთის თეთრ თავანზე
ღვთისმშობლის ხატია
და მახლობელ აივანზე
აჩრდილები დადიან.

შორს კი, მწუხრში ქაშვეთისა,
რეკენ მწუხრის ზარები,
ჩანს სანთლები ოქროისა
და თამარის თვალები.

იქნებ მზესაც ამიტომაც
ასე ეტრფიალები,
რომ თამარმა დაგიტოვა
თავის თაფლის თვალები.

იმ თვალების დამრჩა დარდი
წყეულ სიმარტოვეში...
ნეტავ ეხლა შემიყვარდი
თუ გარდასულ დროებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# მრუდე მიხა

მოთხრობა

საქართველოში რომ ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა შემოვიდა და უკვე არსებულ ორ ავტონომიურ რესპუბლიკას და ოლქს კიდევ ორი — თბილისისა და ქუთაისის ოლქები მიემატა, რესპუბლიკის დედაქალაქში გამოსვლა იწყო ახალმა სრულფორმატიანმა გაზეთმა „გამარჯვებამ“. ომი სამი თუ ოთხი წლის დამთავრებული იყო. უფრო პოპულარული და სასურველი სიტყვა, ვიდრე გამარჯვებაა, მაშინ ძნელად თუ მოიპოვებოდა ლექსიკონში. ამიტომაც ქალაქს, სოფელს, ქუჩას თუ მოედანს, ავტომობილს თუ გემს, ერთი სიტყვით ყველაფერს, რასაც კი შეიძლებოდა სახელი დარქმეოდა, სისხლისმღვრელ ომში გამარჯვებულები „გამარჯვებას“ ვარქმევდით და არც ახალგამოჩეკილი საოლქო გაზეთის სახელწოდება გაკვირვებია ვისმე.

მაშინდელ ახალგაზრდა მწერლებს, ზოგს ჯარისკაცური მაზარა და გიმნასტურა ჯერ კიდევ რომ არ გაგვეხადა, სხვები კი, მომდევნო თაობის პირტიტველა ჭაბუკები, უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თუ სამხატვრო აკადემიის სხვადასხვა კურსზე სწავლობდნენ, გაზეთ „გამარჯვებას“ სახით სამოღვაწეო ასპარეზი მოგვემატა და, ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, დაუზარლად მივადგებოდით ხოლმე სასახლეს შემოთავაზებული საპალნის ასაკიდებლად.

რედაქციის დავალებით კახეთში, უფრო ზუსტად, ქიზიყში, სიღნაღის რაიონში მომიხდა გამგზავრება. შუაგულ ალაზნის ველზე გადაჭიმულ და ცივ-გომბორის მთების დამრეც კალთებზე შეფენილ ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას მაშინ რესპუბლიკაში სახელმოხვეჭილი ხელმძღვანელი თედო ხატიაშვილი უდგა სათავეში და რედაქციას გადაწყვეტილი ჰქონდა, გაზეთის უახლოეს ნომერში მისდამი მიძღვნილი ნარკვევი გამოექვეყნებინა.

ორი-სამი წლით ადრე თედო სიღნაღის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე ყოფილიყო და ამ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე კარგა ხანს თავდადებულად, კახელი კაცისათვის დამახასიათებელი სიბრძნით, მოთმინებითა და გულმოდგინებით ემუშავნა. გაუთვალისწინებელი გარემოების გამო იგი მოულოდნელად გადაეყენებინათ დაკავებული თანამდებობიდან და, მთლად უადგილოდ რომ არ დარჩენილიყო და ლუკმაპური არ გასწყვეტოდა, ისევ იქ დაებრუნებინათ, საიდანაც ოდესღაც, როგორც სანიმუშო სამეურნეო მუშაკი, რაიონის აღმასკომის თავმჯდომარედ დააწინაურეს — ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ბუნებრივად გებადება კაცს კითხვა: რა უნდა მომხდარიყო ნეტავ ასეთი? რად უნდა დაექვეითებინათ უკვე ხანდაზმული, თავაუღებელ შრომაში გაჭაღარავებული, უკლებლივ ყველასაგან პატივცემული, დამსახურებული პიროვნება? რა დანაშაული მიუძღოდა?

დანაშაულისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თანამდებობიდან გადაყენების ერთადერთი მიზეზი თუ საბუთი აი ეს გახლდათ: დასავლეთის რომელიღაც ქვეყანაში, არ ვიცი, ინგლისში, არ ვიცი, დასავლეთ გერმანიაში თუ სულაც ამერიკის შეერთებულ შტატებში, აღმოჩნდა მისი ღვიძლი ძმა, რომლის უგზოუკვლოდ დაკარგვის ცნობა 1943 წლის გაზაფხულზე ბრიანსკის ფრონტიდან მოუვიდათ შინაურებს და რაკი ის მამაცხონებული ვერც შემდეგ იპოვნეს ცოცხლების სიებში, რაღა თქმა უნდა, აქამდე ყველას, მათ შორის ძმა თედოსაც, დაღუპული ეგონა. ცოლმა შავი ჩაიცვა, წამოზრდილმა საულლე ბიჭებმა, რომელთაგან უფროსი იმ წელიწადს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, წვერი მოუშვეს, ხირსის წმიდა სტეფანეს სახელობის საყდარში მღვდელს აწირვინეს, სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადეს და ავად თუ კარგად უმისოდ განაგრძეს ცხოვრება.

თედო თანამდებობის პირი იყო. როგორ შეეძლო, აქამდე დაღუპულად მიჩნეული ძმის სასწაულებრივად გამოჩენის ამბავი ვისთვისმე დაემალა! წუთიც არ უყოყმანია, წერილობით შეატყობინა, სადაც ჯერ არს და, როგორც მიღებული წესი და რიგი მოითხოვდა, დასძინა, ვინაიდან ომის დროს უგზოუკვლოდ დაკარგული ძმა საზღვარგარეთ, ადგილგადანაცვლებულ პირთა შორის კაპიტალისტურ დასავლეთში მყოლია და თავმჯდომარის თანამდებობაზე ჩემი მუშაობა ამიერიდან მიზანშეუწონელი იქნება, გთხოვთ გამათავისუფლოთ და რაიმე შესაფერი სამსახური გამომიძებნოთ, რათა ქვეყანასა და ოჯახს მცირე რამ სარგებელი კიდევ მოვუტანოო.

დიდსა და პატარას გული დასწყდა. მუყაითი, საქმის უსაზღვროდ ერთგული მშრომელი კაცის ასე უმადურად სამსახურიდან დათხოვნა ვის არ ეწყინებოდა. თვით ისინიც კი სინანულით აქნევდნენ თავს, ვისაც თედო ხატიაშვილი რაღაც ახირებულად არ მოსწონდათ და გულში ფარულად მის მტრობას ატარებდნენ. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არც ღირსეული შემცვლელის პოვნა იყო ადვილი საქმე, წყეულმა ომმა საუკეთესოთა შორის საუკეთესოები მოინელა და მზე სამუდამოდ დაუბნელა. რისამე შეცვლა სათანადო ხელმძღვანელმა ორგანოებმა ვერ გაბედეს, თედო ხატიაშვილის განცხადებაში ჩამოყალიბებული მოსაზრებები საფუძვლიანად სცნეს, კეთილსინდისიერი გულახდილობის გამოჩენისათვის თავშეკავებული მადლობა უთხრეს, ალმასკომის თავმჯდომარის პოსტიდან კი უსიტყვოდ გადააყენეს და ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში დააბრუნეს დირექტორად.

ხატიაშვილის თავს გადამხდარი დრამატული ისტორია მე კახეთისაკენ გამგზავრების წინადღეს თვით რედაქტორმა მიამბო, მიამბო შინაურულად, სიტყვას მოაყოლა, არა იმისათვის, რომ დამეწერა, ასეთ რამეებს, მოგეხსენებათ, მაშინ გაზეთებში არ ვწერდით, არამედ იმისათვის, რომ გულში მდებოდა და თედო ხატიაშვილისადმი მიძღვნილი ნარკვევის წერის დროს როგორმე სტრიქონსა და სტრიქონს შორის მეგულისხმა.

ჩემი ბიოგრაფია თავიდანვე ისე აეწყო, საქართველოს უმშვენიერეს და უმდიდრეს კუთხეში — კახეთში, უფრო ზუსტად, ქიზიყში, სადაც ღვთისმშობელმა გულუხვი კალთა დაიბერტყა და მიწასთან შეჭიდებულ იქაურ კაცს დოვლათი და ბარაქა დაუბედა, პირველად მივდიოდი. ვაზიანს ზემოთ აქამდე ფეხი არ ამედგა და ავტობუსმა რომ აივაკა და ლოჭინის ხევი უკან ჩა-

მოვიტოვეთ, გზის ორივე მხარეს გაშლილ თვალუწვდენელ ველებს სიხარულისაგან გულაძგერებული ვაკვირდებოდი.

სარაიონო გაზეთის რედაქციაში, მგონი იმასაც „გამარჯვება" ერქვა, თურმე ნუ იტყვით, უკვე მელოდნენ. თბილისელ რედაქტორს, რომელიც წარმოშობით აქაური კაცი იყო, მისთვის ჩვეული გულთბილობა გამოეჩინა, წინასწარ დაერეკა, საქმე ასე და ასეა, მანდ ესა და ეს კაცი მოდის, ახლა, ალბათ, ავტობუსში ზის, მისდა სამარცხვინოდ, კახეთში პირველადაა და თქვენ იცით, ნუ დაგვიზარდებით, მიიყვან-მაიყვანეთ, სადაც მაინდომოს, ვინძლო არსად დაგეკარგოთო.

ხირსას მხოლოდ მეორე დღეს, ცოტა არ იყოს მოგვიანებით ვესტუმრეთ, ვესტუმრეთ ისე, რომ სიღნაღიდან წინასწარ არ დაგვირეკია. მეურნეობის დირექციაში, თეთრად შეფეთქილ ქვითკირის ორსართულიან შენობაში რომ მოეთავსებინათ, არც თედო ხატიაშვილი დაგვიხვდა და არც სხვა ვინმე. კიბისთავში საიდანღაც შემოპარული კატა კნაოდა, ვიწრო ტალანის ბოლოში, რომლის ორივე მხარეს მეურნეობის თანამდებობის პირთა კაბინეტები ჩაემწკრივებინათ, საბეჭდი მანქანის კანტიკუნტი ჩხაკუნი ისმოდა. ეს მე და ჩემმა მხლებელმა ლიტმუშაკმა, დაბალდაბალმა თავბრტყელა ბიჭმა ვანო კეჟერაშვილმა, სარაიონო გაზეთის რედაქციიდან მეგზურად რომ გამომაყოლეს, სიცოცხლის ნიშნად მივიჩნიეთ და გულდაგულ იქით გავეშურეთ, საიდანაც მანქანის ჩხაკუნი ისმოდა. ტალანში ვანომ გვერდი ამიქცია, დაწინაურდა და განაპირა ოთახის კარი შინაურულად შეაღო. მალე ისევ გამოჩნდა და ერთობ სამწუხარო ამბავი მომიტანა: მეურნეობის დირექტორი თედო ხატიაშვილი სამინისტროში ყოფილიყო დაბარებული სასწრაფო თათბირზე და ამაღამ გვიანობამდე არ დაბრუნდებოდა.

გულდაწყვეტილმა რაღაც წავიბუზღუნე და თავი ჩავქინდრე. მასპინძლებზე გული მწყდებოდა. მე რომ დარიგებისამებრ რედაქციაში არ შევივლიდი, იქ მეგობრულ სუფრას არ დავებანდებინე და პირდაპირ მეურნეობაში მოვსულიყავი, თედოს უსიკვდილოდ მოვუსწრებდი და პირადად ვნახავდი. თუ ამჯერად ჩემთან სალაპარაკოდ ვერ მოიცლიდა, იმას მაინც მეტყოდა, უკან როდის მობრუნდებოდა და, ასე იქნებოდა თუ ისე, მეც როგორმე მოვუცდიდი.

დალოცვილ სამინისტროსაც გამოენახა რაღა შესაფერი დრო სასწრაფო თათბირის გასამართავად! თუ ღმერთი გწამთ, რა ეთათბირებოდათ ცეცხლის კიდების დროს, გაგანია ალოსთავზე, მეურნეობის დირექტორს ახლა თბილისში სამოგზაუროდ და ბორჯომის წყლის საწრუპავად ეცალა?

კახეთში, ყურძნისა და ღვინის ამ მადლიან ქვეყანაში, რთველი იყო გაჩაღებული. რთველი და რა რთველი! ამინდიც რომ დიდებული დაესწრო? უკეთესს ვერც ინატრებდი! კალთებჩამოთოვლილი ლურჯი კავკასიონის ძირას ზვიადად გაწოლილ ალაზნის ველზე, ცისცხალი ფერებით ნაქარგ ხალიჩაზე, რომ იტყვიან, ღვთის თვალი ტრიალებდა. მოსავალიც ზღვად გასკდა. აღარ ვიცით, ამდენი ღვინო სად, რომელ ქასრსა და ქვევრში ჩავტიოთო.

— რა ვქნათ, ვანო, როგორ მოვიქცეთ, ასე კუდამოძუებულები ავბრუნდეთ სიღნაღში? — იმედგადაწურულმა ვკითხე ჩემს მხლებელს თუ მეგზურს.

— რადა ვითომ კუდამოძუებულები?

— შორს დაიჭირა მან.

— რადა და ვერც თედო ხატიაშვილი ვნახეთ და ვერც მისი ასავალ-დასავალი გავიგეთ ხეირიანად. ეს საქმეა?

— რატომაც ვერ გავიგეთ, კაცო, რა ხართ ეს იმერლები! გვითხრეს, თათბირზეა, თბილისშიაო. მეტი ან ჩვენ რა ვქნათ, ან იმათ რა ექნათ? გათავდება თათბირი და ამოვა, იქ ხომ არ დარჩება, მეურნეობაში მილიონი საქმეა! დი-

ლას ადრიანად ჩამოვაკითხოთ და ვნახამთ!

— საით აპირებ?

— სტუმარი შენ ბრძანდები და შენ უნდა თქო. მე ასე დამაბარეს უფროსებმა, საითაც მაინდომოს წასვლა, ყველგან წაჰყე, საღამოს კი ისევ აქ ამოგვგვარეო, ეგ იმისთანა კაცის გამოგზავნილია, პატივის უცემლად აქედან ვერ გავუშვებთო.

— მაშ, გუშინ რა იყო, გუშინდელი არ გინდათ ჩათვალოთ? ჯერ თერთმეტიც არ არის. ამსიგრძე დღეს რა დააღამებს! ჩავიდეთ ვენახში, მკრეფავებს ხელი წავუკრათ. გამრჯე მუშაკაცის მარჯვენას ახლა ფასი არ ადევს!

—ოქროს სიტყვებია! არც მე ვარ მაგის წინააღმდეგი, მაგრამ თავში ერთი მშვენიერი აზრი მომივიდა. მრუდე მიხა თუ გაგიგონია?

— ვინა?

— მრუდე მიხა. შენ ყურს ხომ არ გაკლია, კაცო! თუმცა შენ საიდამ გაიგონებდი, ქიზიყში პირველადა ხარ!

— არა მარტო ქიზიყში, კახეთშიაც! — შევუსწორე მე.

— ჰოდა, მეც მაგას ვამბობ! მრუდე მიხას სახელს შენ საიდამ გაიგონებდი, რომელი როკფელერი ეგა მყავს, განა აგრე ცნობილი კაციცაა!

— რა ხელობას ადგას, გლეხია?

— ვინა, კაცო? იჰ, ყველა გლეხები არა ვართ? ჩემი საწყალი თავის არ იყოს, ოციოდე წელიწადია, რაც პროფესია გამაიცვალა, მუშებში ჩაეწერა!

— ეგ როგორ? აქ, ალაზნის ველზე, რაიმე დიდი საწარმოა?

— აგურხანა ააშენა თავისი ხელითა ალაზნის პირზე. საზელი, საშრობი ფარდული, ქურა, საწყობი სუ თავისი ხელით გააკეთა და იგეთ გამომწვარ წითელ აგურს უშვებს, ნაჯახის ყუით ვერ გატეხამ! რაც ახლომახლო სახლებია, წნორშიაც, შორ სოფლებშიაც, სუ მრუდე მიხას ნახელავი აგურით გახლავს აშენებული. სახელი გაუვარდა. საიდამ არ მოდიან, ლაგოდეხი გინდა, წითელწყარო, ზაქათალა, ალიაბადი, კახი!..

— შტატი, დამხმარე მუშახელი, ალბათ, ბლომად ეყოლება!

— აკი გითხარ, ყველაფერს თავისი ხელით აკეთებს-მეთქი. ხანდახან, თუ ძაან ეჩქარებათ, ვინმეს მიახმარენ, ისიც თიხის მოსაჭრელად ან კუნძების დასაპობად, სხვა საქმეზე კაცს — სულიერს არ იკარებს, ხელი გამიფუჭდებაო. ბოლო დროს ვგონებ კუნძებიც აღარ უნდა ჭირდებოდეს, ქურას მაზუთზე და ნახშირზე ამუშავებს!

— შენ ისე მაცდურად ყვები, მრუდე მიხას გაცნობის სალერღელი მეც ამიშალე. გამიძეხი, გავიცნოთ ის შენი მრუდე მიხა და თედო ხატიაშვილს მოგვიანებით მოვაკითხოთ. შორია?

— წნორში ჩავალთ და ჭიაურის გზას დავადგებით. გზა იქამდისინ გვარიანია, ჩვენი დანჯღრეული ვილისით ნახევარ საათსაც არ მოვუნდებით. აგურხანა ალაზნის აქეთა ნაპირზეა, ხიდზე გადასვლაც არ მოგვიწევს.

— კარგი იყო, მეურნეობის დირექციაში დაგვებარებინა, სად ვიქნებით. თუ ვინიცობაა, თედო ხატიაშვილი მალე გამოჩნდებოდა, ტელეფონით ხმას მოგვაწვდენდნენ და ჩვენც სასწრაფოდ დავბრუნდებოდით!

— შენა გგონია, მრუდე მიხას ტელეფონი უდგა? უდგამდნენ, განა არა, რაიკომის მდივანს პირადად ებრძანებინა, ეს რასა გავს, რატომ აქამდე ტელეფონი არ გაუყვანეთო. თავი მაიკლა, არ მინდაო, უფროსებისგან შორსა ვარ და ასე უფრო დასვენებული ვიქნებიო. ჩემი საქმე აგურის გამოწვაა, მაგ საქმეში ბადალი არა მყავს, სხვა მე არა ვიცი რა, ამ ჩემ ხელობას უფროსების განკარგულების გარეშეც კარგა ვუძლვები, აგური თუ ვინმეს უნდა კიდენა, მობრძანდეს და წაიღოს, განა მე უარს ვეუბნები, აქ რისთვინა ვარ, ტელეფონით რამდენი ერთი უნდა გადავაწოდოო.

— ცოტა ხუმარაც ყოფილა ეგ შენი მრუდე მიხა, ენას, ეტყობა, არ უგვალავს, უფროსებიც, ჩანს, არ უბრაზდებიან, ათამამებენ!

— აგური ყველას ჭირდება, ერსაც და ბერსაც. მერე რა აგურია! როცა რომელიმე დიდ მშენებლობას ეყრება საფუძველი, მაშინ მარტო მიხა საქმეს ვეღარ აუდის, აგური მეტეხიდან მოაქვთ. აგური მეტეხისაც არ დაიწუნება, მაგრამ ნესტს ადვილად იღებს და თუ ზედ წყალი მოხვდა, მშვიდობით, ქვიშასავით იფშვნება, მეტადრე ყინვაში! გადმოზიდვის ხარჯები დიდია. მიხას აგურთან შედარებით თითქმის ორჯერ ძვირი ჯდება!

— იცის ეგ ამბავი მრუდე მიხამ?

— იცის რომელია, მაგას რამეს გამოაპარებ?

— მერე რატომ არ აძვირებს თავის აგურს?

-- იქნებ კიდევაც გაეძვირებინა, მაგის ნებაზე რომ იყოს. აგურხანა ხომ პირადი საკუთრება არ არის, სუბორდინაციით ადგილობრივი მრეწველობის კომბინატს ექვემდებარება. ისე, ცოდვა არ ითქმის, კაცურად გულუხვი კაცია, პურმარილიანი, თან გადაგყვება, ფულს თავი დღეში არ ეხარბება. აგურს ნისიადაც ბევრს აძლევს მუშტარს. ბევრი კიდევაც ეკარგება და ამის გამო უსიამოვნება მოსდის კომბინატის დირექტორთან. რა ვქნა, უარი როგორ ვუთხრაო, თავს იმართლებს, წვრილი ბლარტები სიცივეში უყრია, ხო წავწყდი მაგათი ცოდვით, თუ დაზამთრებამდინ სახლი ვერ გადახურაო. ეს დალოცვილი ჩემი ნაცოდვილარია, სხვისი ხომ არა, გაუშვი, ისევ მე ვიზარალო, სხვას ხომ არაფერს ვაკლებო.

— სახელი საიდანღა მოუგონეს, ვინ მოუგონა?

— კახელებს ეგეთი წესი გვაქვს: ერთმანეთს ნათლობის სახელს არ ვეძახით, ზედმეტსახელითაც იოლას გავდივართ. სახელი კი არა, ზოგჯერ გვარიც ზედმეტსახელიდან გამოგვყავ. მიხა ცოტა ელამია, ცოტა კი არა, აცაბაცა იყურება. ღმერთმა ესეც არ აკმარა და კიდევაც დააკოჭლა. ასე რომ, „მრუდე მიხა“ ალალია მაგაზე! უფრო შესაფერ სახელს წელიწადი-თორმეტი თვეც რომ არჩიო, ვერ მაიფიქრებ!

— შენი ნათქვამიდან მე ასეთი დასკვნა გამოვიტანე, რომ მრუდე მიხას აგურხანა კარგ შემოსავალს უნდა აძლევდეს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატს!

— რას ამბობ, კაცო, აგურხანა რომ არ იყოს, მაგ კომბინატს, ჩემმა მზემ, აქამდისინ კიდევაც დახურავდნენ და ამდენი ხალხი ულუკმაპუროდ დარჩებოდა! მარტო ბუღალტერიაში და საგეგმო ნაწილში თოთხმეტი კაცი და ქალი მუშაობს. არის ერთი ჩხაკა-ჩხუკი და მისვლა-მოსვლა. ქარხანა წლიდან წლამდე მილიონნახევარ მანეთ სუფთა მოგებას იძლევა. ახალი ფულითა, განა ძველით! ეხუმრები?

— მაშ, ამდენი მუქთამჭამელი ერთ კაცზე ჰკიდია?

— აგრე გამოდის. აი, ალაზანზეც გავედით! გაღმა, გაყოლებაზე, ასწლოვანი მუხები და ჭადრები რომ მოჩანს, ჭიაურის ტყეა. ხომ გახსოვს სანდრო შანშიაშვილის ლექსი „მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში“?

— მახსოვს, როგორ არა!

— ჰოდა, ეგ არის ჭიაურის ტყე! ხიდი ალაზანზე ცოტა დაგვიძველდა. ახლის აშენებას ვაპირებთ, მაგრამ ჯერ ვერ გადაგვიწყვეტია. ველოდებით, სანამ ჩაინგრეოდეს და ვინმეს იმსხვერპლებდეს. საკვამური მილიდან ბოლი ბოლქვებად ამოდის. ეს იმის ნიშანია, რომ ქურა ანთია და მრუდე მიხაც სადმე ახლოს იქნება. ბიჭო, ნაცარავ, გაიქე ერთი ნახე, — მიმართა ტანმორჩილ ფერმკრთალ ბიჭს, ჩვენი ნაომარი, უთვალავჯერ შეკეთებული და ხელახლა შესაღებად გათუთხნული ვილისის შოფერს ვანო კეჟერაშვილმა და ისევ მე მომიბრუნდა.—ჩამოდის რა, მივედით უკვე! სულ ეს არის განთქმული აგურხანა, მრუდე მიხას სამფლობელო, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მარჩენალი და იმედი!

შიფერით გადახურულ ფარღალალა ფარდულში, მთელ სიგრძეზე, კალაპო-

ტიდან ამოღებული და ჯერაც სველი აგური ელაგა წყება-წყება, ელაგა ოსტატურად და ლამაზად, ისე, რომ ერთმანეთი არ დაემძიმებინათ და ჰაერსაც თავისუფლად, დაუბრკოლებლივ ემოძრავა მწკრივებში. ფარდულის აქეთა ბოლოში, საიდანაც ჩვენ შემოვედით, ერთადერთი პატარა ოთახი შეეფიცრათ, იქით კი, მოპირდაპირე ბოლოში, წითელი აგურით კედლებამოყვანილი და საგულდაგულოდ გალესილი ქურა იდგა. შეფიცრული ოთახის კარი ღია იყო. შიგნით მაუდგადაფარებული გამწვდომი მაგიდა და ორივე მხრიდან მიდგმული, ხანგრძლივი ხმარებისაგან გაპრიალებული ძელსკამები მოჩანდა.

— ეს, ეტყობა, დირექტორის კაბინეტია, — გავუზიარე მე ჩემი ვარაუდი ვანო კეჟერაშვილს, რომელიც აქეთ-იქით იყურებოდა და შეწუხებული სახით აქაურობის ბატონ-პატრონ მრუდე მიხას ეძებდა.

— მაშა, მიხას კაბინეტია!

— იქნებ შიგაა?

— ხანდახან, ათასში ერთხელ იცის შესვლა. დასაძინებლად. შევიხედე. არ არის!

— კარი მაინც გამოგვეხურა. ხელს არავინ არაფერი გააყოლოს. ათასი ვინმე მიდი-მოდის!

— მანდ მოსაპარავი არაფერია. მაგიდას და ძელსკამებს წაიღებენ? მრუდე მიხას არავინ არაფერს მოპარავს, მოპარავს და ვაი მისი ბრალი, კინწისკვრით უკან მაატანინებენ!

მავთულღობით შემოვლებული, მაღალი ბალახით გადავლილი მოუკრეფავი ვენახის ნაპირას დავინახეთ აქა-იქ გამომწვარ ბრეზენტის უხეშ სპეცტანსაცმელში ჩაფართხუნებული, თმაწვერგაბურძგნული, წაბლის ბუძგვივით ეკლებდასხმული შუახანს გადაცილებული კაცი, რომელსაც ხელში გუბეში ნაგდები ჟვერი ეკავა და ქაქანითა და ლანძღვა-გინებით წუწკი ღორების კოლტს მოერეკებოდა. მივხვდი, ეს სხვა არავინ იქნებოდა, თუ არა ის, ვისაც ვეძებდით და გულზე მომეფინა, რომ გაგვიმართლა და უკან ამჯერადაც ხელმოცარული არ გავბრუნდებოდით.

— ვისია, მიხავ, ე ლორები? — არც მისალმებია, არც მიახლოებია, ისე გასძახა შორიდან ვანომ.

— მე რავი ვისია, მე მაგათი პატრონი დედა!.. ორი დღეა ამათ მწყემსვას ვუნდები!

— მიანებე თავი, რა ძალა გადგას, საქმე გამოგელია?

— ე ტიალი ღობეა გარღვეული. თუ შევიდნენ, ვენახს წირვას გამოუყვანენ. აფსუსია! აღარც მოკრიფეს უპატრონოი. ოთხჯერ დავაბარე ბიჭებს, აი, როგორც მე შენ გიყურებ, წაიყვათ, მამაშორეთ, თუ არა დავკლავ და მოვულხენ-მეთქი, მაგრამ აგერ მესამე დღეა, ჯერ არავინ ჩანს!

— მიდი, ბიჭო, ნაცარავ, გადაურეკე!

— მე მაგისი მენახირე ვარ?

— მანდ ერთმანეთს ნუ დახოცავთ და მე თვითონ გადავრეკავ, რა თქვენი დახმარება მინდა! ეკლიანი მართული რომ მაშოვნინა ერთი ასი მეტრი. სამოთხ პირად უნდა, თორემ გაგლეჯენ და შევლენ. ვერა ხედამთ, გამხეცებული არიან? გეგონებათ, შარშანდელს აქეთ არაფერი უჭამიათ. გასკდა თქვენი გაუმაძღარი მუცელი! შენ კეჟერაანთ ბიჭი ხარ, სიღნაღში რომ მუშაობს? შორიდან ვერც გიცანი, გამდიდრდები-კე. ეგ უცხო კაცი ვინ მოგიყვანია?

— მეგობარია. თბილისიდან მესტუმრა. პირველად არის კახეთში. შენი გაცნობა უნდა!

მრუდე მიხამ ტალახიანი ჟვერი დააგდო, დიდრონი ხორკლიანი ხელები ტანსაცმელზე შეიწმინდა და თვალი მოიჩრდილა.

— თუ კახეთში პირველად არის, სხვა ველარავინ აჩვენეთ? მე რა გამოსაჩენი და გასაცნობი ვარ! დამცინი თუ როგორა საქმე, კეჟერაანთ ბიჭო? გამამძიებელი იქნება! არ მეშვება ჩვენი პროკურორი. დღე ერთია და ათი შამმოწმებელი მოდის. კოჭებში მიყურე-

ბენ. ეშინიათ, არ გავმდიდრდე და სახელმწიფო არ დავაქციო!

— შენ, კაცო, მიხავ, კიდევ ვერ გადაეჩვიე მაგნაირ ლაპარაკებს? ჩვენთან რაც გინდა თქვი, სხვებთან კი, დამიჯერე, ცოტა თავდაჭერილად უნდა იყო.

— შენი რჩევა-დარიგება-ღა მაკლია, კეჟერაანთ ბიჭო, სხვა მხრივ არა მიშავრა! რა თქვი, ვინ არისო?

— ჩემი მეგობარია. თბილისიდან მესტუმრა. წინაღმდეგი ხომ არ იქნები, რომ შენი წარმოება გავაცნო?

— დიდი რამ წარმოება ეს არის! დაღისტნის მხრიდამ სუსხიანი ნიავი უბერავს, მეტადრე მზე ჩასვლი მერე, — მრუდე მიხამ თვალი ისევ მოიჩრდილა, მოკლე ფეხს ტანის მთელი სიმძიმით დაეყრდნო და ლურჯად მოლივლივე კავკასიონის თეთრ მწვერვალებს გახედა. — ხედავ? ეს ტილო თოვლი კიდევ ჩამოეყრია! ღამღამობით ცოტცოტას ყინავს კიდეცა. ცოტაც თუ მოუმატა, დააზრობს, დაშლის ნედლ აგურსა, ორი კვირის შრომა წყალში ჩამეყრება. მაშინ ნახე შენ წარმოებაო! ჩამოვა საღორიკეტი და ორპირ ტყავს გამაძრობს!

ეგ ვინ არის-მეთქი? — მხოლოდ თვალებით ვკითხე ვანო კეჟერაშვილს.

— ვინ არი და კომბინატის დირექტორი! ჯერ მისი სახელი არა გსმენია სიღნაღელ კაცსა? — ორივეს გვიპასუხა მრუდე მიხამ, მიმართვით კი მარტო ვანოს მიმართავდა.

— რა უნდა, რას გერჩის?

— გეგმას აძალებენ და ისიც მე მაძალებს. ჭკუიან კაცად გცნობ და მითხარი, მე ვის-ღა დავაძალო, საკუთარ თავსა? სხვა აქ ვინა მყავ?!

— რას გვიწყრები, მიხავ, აგურის სათხოვნად კი არ მოვსულვართ!

— ენაზე კლიტე დაიდე, კეჟერაანთ ბიჭო, პირიც გამაირეცხე, თორემა!.. როდის მამხდარა, შე ფეთხუმო, ბოსტნის საფრთხობელავ, მე ვინმესთვინ, თუ გინდა ჩემი მოსისხლე მტერი ყოფილიყოს, ან აგური მენანებოდა, ან სხვა რამეი. ეგ შენს წუწურაქ გვარში და ჯილაგში მაიკითხე, თუ რამე უშლენეთ, კრუხებივით რომ ზედ ასხედხართ! აგურსაც გაგატანთ-კე და ჩემი თავიც გენაცვალოთ, სხვა მეტი რა გინდათ?!

— აგრე, — მოუწონა „კეჟერაანთ ბიჭმა". — ეგ სულ სხვა ამბავია!

ჯერ „საღორიკეტმა", ზედმეტსახელად კომბინატის დირექტორს რომ რქმეოდა, და შემდეგ ვანო კეჟერაშვილის ცალუბა ლანძღვა-გინებამ, მრუდე მიხას პირიდან განუწყვეტელ ნაკადად რომ ამოდიოდა, მე უნებლიე ღიმი მომგვარა და ერთი გულიანი გადახარხარება ქვეყანას მერჩივნა, მაგრამ შემეშინდა, ეს ჩვენს მასპინძელს სხვაგვარად არ გაეგო, გულში ეჭვის ჭია არ შესძრომოდა და თავი როგორღაც შევიკავე, ხელი გავუწოდე და, თუმცა ეს მას არაფერს ეუბნებოდა, სახელი და გვარიც ვუთხარი.

წამლის ბუძგვივით ეკლებდაბუსხული, კარგა ხნის სამართებელმიუკარებელი, დაუვარცხნელ-დაუბანელი მრუდე მიხა აცაბაცა ელამი თვალებით გამომცდელად დამაკვირდა და კანგასქელებულ, აქა-იქ გადამსკდარ ცხელ ტორში მოქცეული ჩემი ხელი არ გაუშვია, ისე მკითხა:

— სწორე მითხარ, მართლა კეჟერაანთ ბიჭის ამხანაგი ხარ, თუ პროკურორმა გამოგგზავნა?

— გადამრევს ეს კაცი! — ყასიდად შეიცხადა ვანო კეჟერაშვილმა. — ეუბნებიან, არწმუნებენ, ეს მაინც თავისას გაიძახის! ვინ არის, კაცო, პროკურორი, ჩვენთან პროკურორს რა საქმე აქვს?!

— შენ ჩუმად იყავ, — კისერი ოდნავ მოღრიჯა მრუდე მიხამ. — მე ამ კაცისაგან მინდა გავიგო სიმართლე!

ახლა კი შევატყე, ჩარევა აუცილებელი იყო.

— ვანო მართალს გეუბნებათ, ძია მიხა, — ვთქვი და შევეცადე, ჩემი სიტყვებისათვის რაც შეიძლება მეტი დამაჯერებლობა მიმეცა. — მე მწერალი და ჟურნალისტი გახლავართ. პროკუ-

როროთან და გამოძიებასთან საქმე არასოდეს მქონია, გაზეთ „გამარჯვების“ რედაქციამ კახეთში ნარკვევის დასაწერად გამომგზავნა. ხომ იცით გაზეთი „გამარჯვება“? აქაც მოდის ალბათ... ხირსაში ვიყავით თედო ხატიაშვილის სანახავად, მაგრამ თედო ადგილზე არ დაგვიხვდა და ძვირფასი დრო რომ უქმად არ დაგვეკარგა, ვანომ აქეთ წამოსვლა მირჩია, საინტერესო კაცს გაგაცნობო. ეს საინტერესო კაცი თქვენ ბრძანდებით.

— მაგან თავისი თავი აიგდოს მასხარადა! საინტერესო კაცს ვაჩვენებ! კარგი ხალხი მაშინ იქნებოდით, თედოც რომ მოგეყვანათ. ბიჭები ჩავგზავნე ალაზანზე. ლოქოს დაიჭერენ. კახეთში პირველად ჰყოფილხარ და ალაზნის ლოქოს გემო ჯერ არ გეცოდინება. გასაგრილებლად ჭაში ჩავკიდე. მკვდარს აბრუნებს. ისე, მე თუ მკითხამ, თედოს ფასი კაცი კახეთში არ დადის. არ დადის, არა! კახეთში კი არა, იმას იქითაცა! მართალს არ ვამბობ, კეძერაანთ ბიჭო?

— ოქროს სიტყვებია!

— ეგ ადრე ალმასკომის თავმჯდომარე იყო... — მრუდე მიხამ ისევ მე მომმართა.

— ვიცი. მომიყვნენ. ჯერ თბილისში, მერე აქაც, სიღნაღში. ისიც ვიცი, რისთვისაც გადააყენეს.

— ყველაფერი გცოდნია. გადაყენება და მოხსნა იმისთვინ იყო უპრიანი, ვინც მაგას ხელი ახლო. ჰაი, დედასა, ვინ უნდა იჯდეს სუფრის თავშია და ვინა ზის! ახლა ქარხანა დავათვალიეროთ თუ როგო იქნება? — მრუდე მიხამ განზე გამდგარ ვანო კეძერაშვილს გახედა ცალი თვალით, მეორეთი კი ისევ მე მიყურებდა და ხელი გამიშვა.

— სიამოვნებით დავათვალიერებდი, — დავასწარი, სანამ ყასიდად გაბუტული „კეძერაანთ ბიჭი“, ვისი ნათლობის სახელის წარმოთქმასაც მრუდე მიხა პრინციპულად გაურბოდა, რაიმეს იტყოდა.

აგურხანის ფეხდაფეხ შემოვლა და თუნდაც დაწვრილებით გაცნობა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა, ის არც ისე დიდი და რთული იყო. ნედლი აგურის წყებებს უკან ფარდულში აღმოჩნდა ახალმოჭრილი სააგურე თიხით დაფარული, წყალმოსხურებული მრგვალი კალო. კალოს შუაგულში რალაც ურმის თვლის მსგავსი ფერსოებიანი ბორბალი იყო ჩასმული, რომელსაც ტრაქტორის მუხლუხისმაგვარი კბილებიანი ტრანსმისიით ზეთით გაზინთულ ბეტონის დგამზე საიმედოდ დამაგრებული მოტორი ატრიალებდა. ამ მექანიკური სამუშაოს ადრე თურმე ერთი საცოდავი ბრმა ცხენი ასრულებდა, რომელიც მრუდე მიხას ალაზნის პირას, ჭალაში ენახა და საზელის ცალუღში შესაბმელად ზომოთ ამოეყვანა. მაშინ, ოცდაათიანი წლების დამდეგს, ამ ადგილას ფარდული ჯერ კიდევ არ იდგა. თიხა ცისქვეშ იზილებოდა, მრუდე მიხა კალაპოტებშიაც აქვე ასხამდა და კალაპოტებიდან ამოღებულ ნედლ აგურსაც აქვე აწყობდა. კრამიტით დახურული და აგურის სქელ კედლებსშუა მოქცეული მარტო ქურა იყო, თავგადალესილი, ოთხივე კუთხივ ჩახუთული ქურა, რომელიც ოსტატის ხელით ჩაწყობილ ხუთასამდე აგურს იტევდა. მრუდე მიხამ ქურაც, რასაკვირველია, თავისი ხელითააშენა და ბოლოს და ბოლოს საქმემ ისე გაუმართლა, რომ თუ ქვეშიდან ცეცხლს არ გამოუნელებდი, სამ-ოთხ დღეში მშენებლობისათვის ვარგის ხუთას ცალ კერამიკულ აგურს ჩაგაბარებდა.

საქმის დაჩქარებას, ანუ, წარმოების ენაზე რომ ვთქვათ, შრომისნაყოფიერებას ის აბრკოლებდა, რომ თითქმის ერთი ამდენი დრო, სამი დღე და სამი ღამე, ღუმელისა და შიგ შეწყობილი გავარვარებული აგურის განელებას ჭირდებოდა. ვიდრე ერთიცა და მეორეც ისე რა გაგრილდებოდა, რომ შიგ კაცს შესვლა მოეხერხებინა, ვერც ქურას და ვერც აგურს ახლოსაც ვერ გაეკარებოდი. მიხამ ბევრი იწვალა, ითავცემა, მთელი თავისი გამომგონებლობითი

უნარი დაძაბა, ვის არა ჰკითხა, ღუმელის გაგრილება როგორ დავაჩქაროო, მაგრამ საქმის მცოდნე ახლომახლო არავინ იყო და ვერაფერს გახდა. ისღა რჩებოდა, მოთმინებით ალჭურვილიყო, ღუმელში დატრიალებულ სიცხის ბუღისათვის როგორმე გაეძლო და გამომწვარი აგური ერთი დღით ადრე მაინც გამოეტანა. შეპირებული აგურის მომლოდინე მუშტრები იქვე იდგნენ, უყურებდნენ ოფლში გახვითქულ მრუდე მიხას, იბრალებდნენ და თავს სინანულით აქნევდნენ.

— შაარგოს, შვილოსა, რასაც ეგ გვახდევინებს! აგური კი არა, ღვთის მადლმა, ქრისტეს პერანგია. რატომ ორი მაგდენიც არ ღირს! რას ამბობ, კაცო, მანდ როგორ შავძვრები, გინდა მთელი სოფელი დამიმტკიცონ, თავი კი არ მამძულებია, შენ ეხუმრები?

შრომაში გაკაჟებული მრუდე მიხა, რაკი წამოწყებული საქმე ფეხზე დააყენა, ჩირადაც არ აგდებდა გაჭირვებას. კოკა წყალს გადაისხამდა, დასველდებოდა, თავიდან ფეხის ტერფამდე გაილუმპებოდა, ღუმელის გაუსაძლის სიცხეს რომ ნაკლებად შეეწუხებინა და სეირის მაყურებელი გლეხკაცების გასაკვირვლად ხელახლა შეაგორებდა ურიკას ჯერ კიდევ ცხელ ღუმელში.

ერთხელ სიღნაღიდან ჩამოკითხეს. ეგ რა მოგიფოხიალებია, მრუდე მიხავ, რასა წვალობ და სხვებსაც აწვალებ, ვინ მოგცა ნება, სახელმწიფო მიწა რომ მიგითვისებია, ზედ ეს მახინჯი ქოხმახი დაგიდგამს და შინამრეწველობას შასდგომიხარ, ნუთუ არ უნდა იცოდე ამ ხნის მუტრუკმა, რომ ე მაგნაირი თვითნებობა კანონით ისჯებაო? ახლავე დაანგრი ეგ შენი სათამაშო ხუხულა, ნედლი აგურიც მიყარ-მოყარე, ურიკაც არტელს გაუტანე, მარანში ჭაჭის საზიდავად გამაიყენებენ, შენ კი ქუდი დაიხურე და შინ წადი, საქმე რამე მონახე, უკან რომ გამოვივლით, აქ აღარ დაგვიხვდე, იცოდე, თორე არ ვიცით, რას ვიზამთო.

მრუდე მიხას გაუკვირდა, ეს ჩემი ამისა და იმის შვილები რას მემართლებიანო, მე თუ წელებზე ფეხს ვიდგამ, ხელისგულზე ცეცხლი [illegible] ხალხს სიკეთეს ვუშვრები და თავადაც ცხოვრების სახსარი მიპოვნია, ამათ, ამ ჩემს ტრუილაილებს, რა ჭვალი ადგებათო, მაგრამ მერე ჩაფიქრდა, აწონდაწონა მდგომარეობა და მიხვდა, რომ თუ მართლა მოიწადინებდნენ, „მთავრობის კაცები“ თავისას გაიტანდნენ, რადგანაც „ზაკონის კანონი“ მათ მხარეზე იყო.

მაშინ, მრუდე მიხას რომ ეს ამბავი შეემთხვა, თანამდებობის პირები ქრთამის სათოფეზე არ ეკარებოდნენ, ქრთამის აღებას და დადგენილი სამართლის გამრუდებას ვერც ვერავინ წარმოიდგენდა, პურმარილს კი, ღურჯ სუფრას, არსენა ყაჩაღმა წვერცამეტა კუპატნელს რომ გაუშალა, რა დასამალია, დიდი გასავალი ჰქონდა და იმის მაგიერ, სიღნაღიდან საგანგებოდ ჩამოსულ კაცებისათვის საკადრისი პასუხი გაეცა, მაგრამ დახვეწოდა და თავისი სიმართლე დაემტკიცებინა, მრუდე მიხამ დაუპატიჟებელ სტუმრებს ყელი გამოუწია, სულ ნახევარ საათს დამელოდეთო, მე მოვკვდე, თუ მეტი გაგაჩეროთო, ბრმა ცხენი ცალუღიდან გამოხსნა, ზედ შეჯდა და ალაზნისაკენ გადავიდა.

რაიონის უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა ერთმანეთს თვალი უყვეს, გულით მოძღვნილი პურმარილი მიიღეს, რაც სანუკვარ იმედს ბადებდა, ნაგვიანევად შემოტანილი ალაზნის ლოქოთი ყელი ჩაუკოკლოზინეს, მუკუზნიდან მოშვებულ საზედაშე ღვინოს მამაპაპურად შეექცნენ და კარგადაც შეხურდნენ, ბოლოს კი, ემანდ არავინ გაიგონოს და არსად დაგვაბეზღოს-კეო, მოგუდულად მრავალჟამიერიც თქვეს, მრუდე მიხა, ბაჯაღლო კაცი ხარ, ბაჯაღლოო, ჯვარედინად გადაკოცნეს, მაგრამ ის, რაც დილას გამოუცხადეს, მაინც გაიმეორეს: ეს შენი კუსტარული ქარხანა უნდა მოშალო, თუ არ გინდა, ხელისუფლება ერთხელ

და სამუდამოდ გადაიკიდო, დღე ერთია და ათასი უსახელო წერილი შემოდის, გამდიდრდა მრუდე მიხაო, ეგ რჯულძაღლი ტყავში ვეღარ ეტევაო, მოგვაშორეთ ჩვენი სისხლის მწოველი წურბელაო და ჩვენც რა ვქნათ, შვილოსა, ვისიმე გამდიდრებას და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას ხელს ვერ შევუწყობთ, სამსახურის ხალხი ვართ, ცოლ-შვილი გვყავ, შენ და შენს აგურხანას ხომ ვერ შეგეწირებითო.

მრუდე მიხას ქურა აღარ გაუხურებია, აღარც ახალი სააგურე თიხა მოუჭრია, არც აქაურობის მოშლას ჩქარობდა. იჯდა გულხელდაკრეფილი და ელოდა, ვნახოთ ერთი, რა მოხდება, რა იცი, იქნება კიდევაც მივავიწყდე, ამოტოლა .საქმეში გართულ მთავრობას ჩემთვინ სადა სცხელა, აბა, სადა სცალია, მიყრუებულ ჭიაურის ტყეში კიდევ ვინმე გამოგზავნოს და შაამოწმოს, მართლა დავანგრიე თუ არა ჩემი ხუხულა, ეგენი სათამაშოს რომ უწოდებენო.

თავის მხრივ ხალხმაც აღარ მისცა საშველი: რას გვიშვრები, მრუდე მიხავ, გინდა, შუა გზაზე მიგვატოვოო? შე კაი დედმამიშვილო, მაგას ათასწილ ჯობდა, თავიდანვე უარი გეთქვა, შენს იმედზე აღარ ვიქნებოდით, ჩვენს საქმეს, ავად იქნებოდა თუ კარგად, ჩვენვე გამოვაწყობდით, ახლა კი შენს იქით გზა რომ აღარა გვაქვსო?

არა გაქვთ და, ჭირი მამჭამეთ და სატკივარი, მე კი მაქვს სხვა გზაო? მრუდე მიხამ განა ამათზე ნაკლებ იცოდა, რომ თავისი მოკლე მოსაზრებით პატიოსანი ხალხი უსინდისოდ დააღალატა, მათივე თქმისა არ იყოს, მართლა შუა გზაზე მიატოვა და გაუთვალისწინებელ ზარალში ჩააგდო! მეორე მხრივ, პურშავი ავი კაცების დანაბარების უგულვებელყოფაც საგონებელში აგდებდა და ვეღარ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო.

ბოლოს, მეტისმეტად რომ მოეძალნენ და დედ-მამის სული აფიცეს, თანაც გული გაუკეთეს, რისა გეშინია, ჯეელო, ჩვენ ხომ აქა ვართ, აბა, ვინმემ გაბედოს და უბატონოდ ხმა აგიმაღლოსო, მაინც მახვეწარი ხალხის მუდარამ სძლია მორიდებას, მრუდე მიხამ ხელი ჩაიქნია, ერთი მაგათი პატრონი ქვეყანა, რაც იქნება, იქნება, ბედსა ვცდი, ხომ არავის არაფერს ვართმევ და ღმერთს არ ვარისხებ, სამადლო საქმეს ვშვრებიო და ხელები ძველებურად დაიკაპიწა, ქურაში ნედლი აგური შეაწყო და ცეცხლი შეუკეთა.

აგურის მომლოდინე, ჯავრით გასავათებული გაღმელი და გამოღმელი გლეხკაცები ამჯერად გვერდში ამოუდგნენ, მოეხმარნენ, ფესვებიანა ამოთხრილი მუხის ხმელი კუნძები, ღუმელში რომ ვერ შეეტია, ლუკმა-ლუკმა დაუპეს და ცეცხლისათვის თვალყურის დევნებაც თავს იდეს, ოღონდ მას ახალი თიხა მოეზილა და კალაპოტები გაეტენა.

კიდევ ერთი დღეც და ცეცხლი უნდა ჩაექროთ, გამომწვარი აგურის გამოსალაგებლად ქურა უნდა განელებულიყო. ვინ-ღა დაგაცალა! სიღნაღიდან სამი ცხენოსანი ჩამოვიდა, ორი მილიციის საველე ფორმაში, ხოლო ერთიც სამოქალაქო ნაცრისფერ ფრენჩსა და „აზიაცკებში“ გამოწყობილი და ჩამოქვეითებისთანავე, ისე რომ სალამიც არ უთქვამთ, მრუდე მიხა მოიკითხეს, სად არის, რომელია, აქეთ გამოვიდეს, გვეჩვენოსო.

სადღა იყო მუშტრების რიხი და გაბედულება, მიხას რომ აიმედებდნენ, უბატონოდ ხმას ვინ აგიმაღლებს, შენ ოღონდ შეპირებული აგური გაგვატანე, ჩვენ ხომ აქა ვართ, ცოცხალი თავით ვის რას ვაკადრებინებთო. ყველა ისე თვალის დახამხამებაში აორთქლდა და მიიმალ-მოიმალა, კვალიც კი არსად დაუტოვებიათ.

იყავი თუ არა ოფიციალურად გაფრთხილებული, რომ ეს კერძო წარმოება უნდა მოგეშალაო, ჰკითხა ფრენჩიანმა კაცმა საქციელწამხდარ მრუდე მიხას. კი, ვიყავიო, პატიოსნად აღიარა ამანაც. თუნდაც დაემალა, განა თავად

უკეთ არ იცოდნენ? აბა, თუ იყავი, ამ ადგილას ხელი მააწერეო. მრუდე მიხამ, მისდა სავალალოდ, წერა-კითხვა არ ემარჯვებოდა და მითითებულ ადგილზე ხელმოწერის მაგიერ ჯვარი დასვა. იცი, ხელი რას მოაწერეო? არაო. აბა, რისთვის აწერ, შე მართლა მუტრუკო, ჭკუა არა გაქვსო? მითხარით, მოაწერეო და მეც მოვაწერე-კე, გეთქვათ, არ მოაწეროო და მეც არ მოვაწერდიო. აი, შე მელაძუა, შე მშრომელი ხალხის მყვლეფელო, შენაო, ფრენჩიანმა კაცმა ღიმილი ველარ შეიმაგრა, მაგრამ ეს უადგილო ღიმილი სახიდან უმალვე ჩამოირეცხა და შუბლი მრისხანედ შეიკრა, აღდგომის კრავად გინდა თავი მოგვაჩვენო, ვინ არის შენი მოსატყუარი და მასხრად ასაგდები, თუ იციო? ახლავე ოქმს შეგიყენებთ, რომ დაქირავებული შრომით სარგებლობ, მშრომელი გლეხობა ულელში გყავ შებმული, სხვის ხარჯზე უნამუსოდ მდიდრდები, მიუხედავად რამდენიმე გაფრთხილებისა, არ გინდა, კულაკურ ზნეჩვეულებაზე ხელი აიღოო.

მრუდე მიხას კიდევ ერთხელ დაასმევინეს მსუქანი ჯვარი, ამჯერად ოქმზე, რომელიც ფრენჩიანმა კაცმა შეადგინა. წახდა ეს ამოდენა ვაჟკაცი, რომ გეგონა ცას ხელით შესწვდებაო, შესაბრალისად მოიმჩვარა. მსგავსი შავი დღე გამოუნელებელ ღუმელშიაც არ დასდგომია. მდუღარე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა და ისე ულვთოდ ასველებდა, თითქოს გახურებული მხარბეჭის გასაგრილებლად და სულის მოსათქმელად თავზე კოკა წყალი გადაესხას.

ღამე სიღნაღის მილიციის სამორიგეოში გაათია. თვალზე რული არ მიჰკარებია. ერთავად იმას ფიქრობდა, ვინა მყავს ნეტა ამისთანა დაუძინებელი მტერი, რომ ზურგში ხანჯლის ჩაცემა არ მაკმარა და ახლა საქვეყნოდ გამოჭენებასაც მიპირებსო. დილას დაკითხვაზე გაიყვანეს. გამომძიებელი ახალი გამოსული იყო სახაშიდან. ნივრისა და არყის სუნად ყარდა. ჩაბუჟბუჟებულ ხაშსა და სირჩა არაყს, რომლის გადაუკრავად მრუდე მიხა სისხამ დილით სახლიდან არ გამოვიდოდა, უზმოზე არც ის დაიწუნებდა, მაგრამ სად-ღა იყო ან ერთი, ან მეორე!

გამომძიებელმა, არბოშიკელმა ხუნტლა მწკლარტემ, მჭედელ ტურიას ნაბოლარა ბიჭმა, პატიმარი, ასაკით მამად რომ შეეფერებოდა, მაძღარი კაცის უზრუნველობით დაჰკითხა და თანაც თავისი ბატიფეხურით რაღაცას იწერდა ორხაზიან სასკოლო რვეულში. სულ თავიდან, სახელით, გვარით, მამის სახელით, დაბადების წლითა და ადგილით დააწყებინა, რითაც მრუდე მიხა ერთობ გააკვირვა, წუხანდელს აქეთ ხომ არავინ გამომცვლიდა, ნაობახში სხვის მაგივრად ხომ არ ჩავჯდებოდიო, ბოლოში გავიდა, ყველაფერი წვრილად ჩაიწერა და მხოლოდ ამის შემდეგ აიღო თავი, შესაბრალისად მობუზულ პატიმარს აცაბაცა თვალებში შეხედა.

— ახლა კი გულმართლად მოყე, როგო იყო საქმეი.

რა როგო იყოო, კვინტი ჰყარა თავის მხრივ მრუდე მიხამ. გული ყელში ებჯინებოდა, ცრემლი ახრჩობდა, ცოტა კიდევ და ეს ამოდენა დოღრიალა ვაჟკაცი უმწეო დედაბერივით ატირდებოდა.

გამომძიებელმა სამელნეში წინასწარ ჩაწებული კალამი დასდო და შეუტია, შენ აქ თავი სადა გგონია, სატირალში ხარ თუ შინაგან საქმეთა განყოფილებაში, რატომ დასმულ კითხვაზე წესიერ პასუხს არ იძლევი, ხომ არ გინდა, კარცერში ჩაგაყუდოო.

სადაც არ უნდა ჩაეყუდებინათ, თუნდაც თავით მიწაში ჩაერჭოთ, მრუდე მიხამ იმის მეტი არაფერი იცოდა, რაც უკვე თქვა და ხელიც, როგორც შეეძლო, მოაწერა, ხოლო რაც შეეხება იმას, თითქოს გლეხები ყავდა დაქირავებული და აგურხანაში მათ ამუშავებდა, მტკნარი სიცრუე იყო, ვიღაც ბოროტი კაცი ცილს სწამებდა, წნორიდან მოკიდებული ზაქათალამდე და თუნდაც კახამდე დიდი და პატარა დაემოწმე-

ბოდა, რომ დამხმარე და ხელის წამშველებელი თავი დღეში არავინ ჰყოლია, თუ არ ჩავთვლით პატრონის მიერ მოძულებულ ბრმა ცხენს, ალაზნის პირზე რომ იპოვნა და შინ წამოიყვანა, ყოველ ცისმარე დღე მარტო ვმუშაობ, თიხის მამჭრელიც მე ვარ, მამზელიც, კალაპოტში ჩამსხმელიც, შეშის მამმარაგებელიც, დამპობიც, გამოსაწვავი აგურის ქურაში შამლაგებელიც, ცეცხლფარეშიც და გამომწვარი აგურის გარეთ გამომტანიცო.

ეგ მე უშენოდაც ვიცი, მრუდე მიხაო, უთხრა ოდნავ მომბალმა გამომძიებელმა, რადგან მის თვალებში ცრემლის კურცხალი შენიშნა და დააბოყინა, უამისოდაც აშმორებულ ოთახში ნივრისა და არყის სუნი დააყენა, საქმე უკვე დაწყებულია, აგორებული ქვა ხომ გინახავ ან თოვლი გუნდა, შენი ქალალდები უკვე თბილისშია გადაგზავნილი, მთლად უფროსს მაგიდაზე უდევს და მე, პატარა კაცი, ძაანაც რომ მოვიწადინო, რალას გავაწყობ, აგორებულ ქვას როგორ შევაჩერებო? ვინც აწი თუნდ იოტისოდენა დახმარებას გაგიწევს და შაებრალები, იმასაც ზუსტად იგივე დღე მაელის, რაც შენ დაგატყდა, იქნებ უარესიცაო.

მრუდე მიხა მიხვდა, ილუპებოდა და მუხლებზე დაეცა, ნივრისა და დილის არყის სუნით გაჟღენთილ გამომძიებელს, ხუნტლა მწკლარტეს, მუხლებზე მოებლოტა, მიშველე რამე, ნუ დამკარგავო, ხომ იცი, დანაშაული არაფერი მიმიძღვის, სიკეთის მეტი არავისთვის არაფერი მიქნია, და მთელი სიცოცხლე მიმსახურე, შენს მორჩილ მოსამსახურედ მიგულე, შვილითა და ძირით შენზე მლოცველი ვიქნებიო.

იყვირა მაგრამ რა იყვირა ხუნტლა მწკლარტემ. ეს რა ამბავია, რა პროვოკაციას მიწყობ აქა, ვინ გითხრა, რომ დანაშაული არ მიგიძღვის, უდანაშაულო კაცს მაშ აქ ვინ მოგიყვანდაო, ადექი ჩქარა, ადე, აგრე დაჩოქილი არავინ დაგინახოს, ვილაცას რალაცა ეგონება, ჯანდაბამდისაც გზა გქონია, გინდა, მეც თან გადამიყოლოო?

მომდევნო დილას [illegible] გადასაყვანი სარკმლებაჭედილი სატვირთო ვაგონი მიდიოდა თბილისში და ორმოციოდე სხვა ჯავრისა და სასოწარკვეთილებისაგან გამშრალ გლეხკაცთან, თავისი დღე და წუთისოფელი ვაზის ძირში რომ გაეტარებინათ, თელაველ მასწავლებელთან და საზღვარგარეთ სწავლა-განათლება მიღებულ გურჯაანელ აგრონომთან ერთად, ეს ვითომ ინგლისელი იმპერიალისტების მიერ შემოგზავნილი ჯაშუშია და ლონდონიდან ჯამაგირს იღებსო, მრუდე მიხაც იმ ვაგონს გააყოლეს. შინაურებს იმედი გადაუწყდათ და კიდევაც გამოიტირეს. მრუდე მიხას ამბავი სრული ოვა თვისა და ექვსი დღის შემდეგ მოვიდა. აქამდე მიწერ-მოწერისა და თავისი ადგილსამყოფელის შეტყობინების ნება არ ჰქონოდა. მე აქა ვარ-კე, ციმბირში, ბაიკალის ნაპირზე, თუ გაგიგონიათ, ტაიგაში, ვმუშაობ, ხე-ტყეს ვჭრი და ვაგონებზე ვტვირთავ, მურტალი სიცივეებია, მაგრამ ვუძლებ, რა ვქნა, რომ არ გავუძლო, ჯანით არა მიშავ რა და მგონია ისე არ გავფშიკო ფეხი, მუკუზნი თავი ღვინო ერთხელ კიდევ არ დავლიო-კეო.

ომი ახალი მომთავრებული იყო, ფერიცვალობა დღეს, ძველისძველი გადმოცემის თანახმად, წყალში ყინული რომ ვარდება და შემწიფებული ისრიმის ჭამა დიდ ცოდვად უკვე აღარ ითვლება, მრუდე მიხა წნორის სადგურში მატარებლიდან ჩამოვიდა და მილეთის ხალხის გასაკვირლად, ერთი მისი ნაცნობი წამლადაც რომ არ ერია, დაიჩოქა და მიწას ემთხვია, პირჯვარიც გადაიწერა, რასაც წინათ არასოდეს არ სჩადიოდა, გმადლობ შენ, მაღალო ღმერთო, შე პირშავო, სულ რომ არ მამიძულე და ეს ჩემი ალაზნის ველი, ეს მთები, ეს ალალანებული ბაღ-ვენახები, ეს ჩემ ენაზე მოჟღურტულე ხალხი კიდევ მანახვე და ყველა ამათი ჯავრი და ვარამი ცივ საფლავში არ ჩამაყოლეო.

ქვეყანა გულმავიწყი გამხდარიყო. ვილას ახსოვდა შენი მრუდე მიხა, ან მისი ნაცოდვილარი აგურხანა ალაზნის ხიდისყურში, ჭიაურის ტყეში, ან მისი ბრმა ცხენი, შორიდანვე რომ გრძნობდა მზრუნველი პატრონის მიახლოებას და გახარებული ჭიხვინს იწყებდა. გულსაკლავად ღაწვებმოჭიმულმა სოფლის დედაკაცებმა, ვისი პატარძლობა დღესაც რომ თვალწინ ედგა, როდის-როდის გაიხსენეს: გაიგეთ, ქა, ჩვენი მრუდე მიხა დაბრუნებულა გადასახლებიდან, მეხი კი დავაყარე იმ წვინტლიან თავზედა, იგეთია, თითქო წლები ნაობახში კი არა, ახტალის კურორტზე კარგ სმასა და ჭამაში გაეტარებინოს, გაკეთებულა, ცოტა კიდევაც გაახალგაზრდავებულა ეგ სამიწეი, მაგის ნახვას არაფერი ჯობს, რავი, თუ ასე უხდება ზოგიერთს ციხე და გადასახლებაი, ე ჩვენი კაცებიც ჩასონ ერთი ორი წლითა, ეგება ღვინის სმას გადაეჩვივნენ და პირის გაპარსვა ისწავლონო.

მთლად ასე, რასაკვირველია, არ იყო, დღემუდამ სხვის ჯამში მაცქერალ სოფლის ავყია დედაკაცებს რომ ეჩვენებოდათ. მრუდე მიხა არც გაახალგაზრდავებულა, არც დამშვენებულა, არც ელამი თვალების აცაბაცა ცქერა და კოჭლობა მოუშლია. ტაიგაში განა საექიმოთ ჰყავდათ. ისევ ის მრუდე მიხა იყო, რაც იმ ავად მოსაგონარ დღესა და საათს აქედან წავიდა, ოღონდ ცოტა დაბერებული და ტანდამძიმებული, გეგონებოდა, ზურგზე ოცდაათი ფუთი ტვირთი წამოუკიდნიათო.

თუ სხვა ხეირს ვერაფერს ეწეოდა, ზოგიერთი მის ადგილზე რუსულ ენაში მაინც გაიწაფებოდა. მიხას ისე ჰქონდა გონება დახშული, ვერც ეს ექნა, რომ იტყვიან, გაქცეულ რუსს ვერ მოაბრუნებდა. საარაკო ენაწყლიანობით არც შინ გამოირჩეოდა, სიტყვას პირიდან გაზით ვერ ამოაძრობდი და იქ ზნეს რაღა შეუცვლიდა. კი მაგრამ, კაცო, ტაიგაში მარტო ხომ არ იყავი, შენს გარდა სხვებიც ხომ იყვნენ, რა ენაზე ლაპარაკობდი, აზრს რა ენაზე აგებინებდიო. მე, შვილოსა, ციმბირში ხეებსა ვჭრიდი, მივადგებოდი ხეს დილასა და ორ-სამ საათში წავაქცევდი. განა იქაც ჭიაურის ტყეა, რომ მუხის გულმა ცული დაგიბლაგვოს! ციმბირის ფიჭვი ყველივით იჭრება. მერე ვმორავდი, ტრაქტორზე გამოვაბამდი ლამაზათა და სამანქანოზე გამომქონდა. მაგას რა დიდი ზდრასტი და აზრის გაგებინება ჭირდებოდაო. ეი, გრუზინ, კასოი, ვითომ ბრუტიანოო, დამიძახებდნენ და ხელებით მაჩვენებდნენ. მეც დავღუნავდი თავსა და ვაკეთებდი, რაც საჭირო იყო. ერთი მაცოდინა, ჩემს ადგილზე თქვენ რა ჩემ ფეხებს იზამდითო.

აგურხანისაგან სიმწრისა და გადატანილი განსაცდელის მეტი რა მოაგონდებოდა. რა ხეირი იმან დააყარა. გულმა მაინც ვერ გაუძლო, ერთ მშვენიერ დღეს ლაგოდეხისაკენ მიმავალ სატვირთო მანქანას ხელი აუწია, გაჰყვა, შოფერს რომ არაფერი ეზრა და ახალ ხიფათს არ გადაჰყროდა, ალაზანზე გადებული ხიდის აქეთა ყურეში ჩამოვიდა, რაღაცა დამავიწყდა, უსიკვდილოდ უკან უნდა გავბრუნდეო და ვითომდა საწინაალმდეგო მხრიდან მომავალი მანქანის დასალოდებლად გზის პირას ქვაზე ჩამოჯდა. შოფერმა იცნო, მიუხვდა, აქ, ალაზანზე რა კუჭის ტკივილმაც მოიყვანა, მაგრამ სიტყვაძვირი კაცი გამოდგა და ენაც არ დაუსველებია, ისე დასძრა მანქანა და წავიდა.

მაყვლისა და კუნელის ბუჩქებით გადავლილ ხრიოკ მიწას აღარც კი ემჩნეოდა მრუდე მიხას ხელით ოდესღაც აშენებული ქურის ნადგომი ადგილი. წარმოიდგინეთ, ბექობსაც კი, სადაც ის სააგურე თიხას ჭრიდა და რკინის ურიკით მოსაზელად გადაჰქონდა, ბაძაძგნარი მოსდებოდა. ეჰო, თავი გადააქნია ყოველივე ამის შემხედვარე გულდამდუღრულმა მრუდე მიხამ, ეს ჭა მაინც რაღამ დააშრო, დავიჯერო, დალოცვილი მიწის სტომაქში წყალი გამოილია, ანდა ესეც ავკაცებმა ჩაქოლეს, წყალიც კი დააშინეს და უკან ჩააბრუნესო? ნეტავი საცოდავი ბრმა

ცხენი ვინ წაიყვანა? წაიყვანდა კი ვინმე, სამადლოდ ნამჯას დაუყრიდა? უსინათლო ცხენი კი არა, დღეს ნაპატიები ბედაურიც აღარავის უნდა. ყველა, ვისაც ცხვირი თავდაღმა აქვს, მანქანის საჭეს ეტანება. ჩაკვდებოდა საწყალი სადმე, ჭალაში, ტურები შასჭამდნენ, ან მორევში ჩაიხრჩობოდა, ბრმა ცხენის დახრჩობას რა უნდა! ანდა, კიდევ უკეთესი, ლაწირაკი ბიჭები ამოხდიდნენ სულს აღმა-დაღმა ჭენებით.

აგური კი აღარ არის და არა. თუ ვინმე რამეს აშენებს, ცხრა მთას იქიდან მოაქვს და ყოველი ცალი მამასისხლადაც უჯდება. მერე აგური აგურს მაინც გავდეს! სხვები, ვისაც საამისო წელი არ მოსდევს? ნუთუ მართლა იყო რაღაც უსახელო წერილები, ნუთუ მართლა უჩიოდა ხალხი? საშვილიშვილოდ გამომწვარი აგური ყურისძირში ჰქონდათ. ეჰ, მღვდელო, მადლიო... რიგი წელს თუ არა, საგაისოდ მაინც მოგიწევდა. ამასობაში ღვინოს გაყიდდი, მოზარდეულს დაკლავდი, ხორცს ბაზარში გაიტანდი, აღებულ კაპიკს კაპიკზე დაადებდი, გროშებს თავს მოუყრიდი. თუ საკმაო თანხა არ მოგროვდებოდა, მრუდე მიხა იმის კაცი იყო, პირი შეეშალა და ვინმე გაეწბილებინა? არა გაქვს, ნუ გაქვს, შვილოსა, სულ მუდამ უქონელი ჩვენი მტერი და დუშმანი ამყოფოს! როცა გექნება, მაშინ მომიტანეო, ეტყოდა, მამაცხონებულო, სარგებელს ხომ არ გახდევინებო.

ეგონა, უკაცრიელ ველზე მარტო იყო. მოიხედა და გზის პირზე, საიდანაც აქეთ გადმოუხვია და ბუჩქნარში შემოვიდა, ახალთ-ახალი მწვანე ვილისი დაინახა, ზუსტად ისეთი, კოლონიის უფროსს რომ დაატარებდა. მრუდე მიხა შეცბუნდა, თითქოსდა ურიგო საქმეზე წაესწროთ. ვილისის წინა კარი ღია იყო. შოფრის გვერდით, საქარე მინის უკან, მისებრ პარიკმახერზე შემომწყრალი თეთრკიტელიანი შუახნის კაცი იჯდა, „აზიაცკში" გამოკრული ცალი ფეხი მანქანის საფეხურზე ჩამოედგა და ხელს უქნევდა.

მრუდე მიხა დააკვირდა [illegible] და უფრო დასცხა: ეს აღმასკომის თავმჯდომარე თედო ხატიაშვილი უნდა ყოფილიყო. ხატიაშვილმა თავდაბლობა გამოიჩინა, პირველი მიესალმა და კისერში ჩაფენილი ჭრელი ცხვირსახოცი ამოიღო, შუბლსა და ღაწვებზე ოფლი მოიწმინდა.

მრუდე მიხა შორიახლო გაჩერდა და მოთმინებით დაელოდა, აბა, ერთი, კიდევ რას მეტყვისო.

— ვინა ხარ, კაცო, აქ რას დაეძებ, ვერა გცნობ, შენ აქაური არ უნდა იყო? — ეს ისევ ხატიაშვილმა უთხრა.

— როგორ არა, — ნაღვლიანად უპასუხა მრუდე მიხამ. — აქაური ვარ, ანაგელი, მაშ, სადაური, მრუდე მიხას მეძახიან.

—გამიგონია. შენ ხარ ის მრუდე მიხა, ომის წინ რომ აქ აგურხანა ედგა და აგურს წვავდა?

— ჰო, მე ვარ.

— მე კი ვერ მიცანი?

— გიცანი, როგო არა, პირადად არ გიცნობდი-კე, სახელი კი მეც გამეგონა. სახლიდან მამწერეს, ძველ თავმჯდომარეს წყალი შაუდგა, წესი აუგეს და აქაურობას მააშორეს, ახლა ხატიაშვილია აღმასკომის თავმჯდომარეო.

— შენ რა იფიქრე, ნეტავი იმასაც წყალი შეუდგებოდესო?

— რათა, კაცო, ეგ რაზე უნდა მეფიქრა.

— მაშ, რაკი აქამდისინ არ ვიცნობდით, ახლა მაინც გავიცნოთ ერთმანეთი. მაიტა ხელი!

მრუდე მიხამ თავისი ფუთიანი მარჯვენა გაუწოდა.

— რა ხეირს მოგცემს შენისთანა დიდ კაცს ჩემისთანა მატლის ნაცნობობაი!

— დამცინი, მიხავ? არა მწყინს. დაცინვას კაცი არ მოუკლავ. შენ ეს მითხარ, აქ რამ მოგიყვანა, რას დაეძებ, ძველი რამ განძი ხომ არ გქონდა დაფლული?

— იმაზე მეტი განძი კაცს სად გე-

გულება, სადაც ოფლი კოკობით გიღვრია. ჩემი განძი ეს აგურხანა იყო.

— მერე?

— ვერა ხედამ, რომ აღარ არის?

— ძალიანაც შეშლია, ვინც ეგ დაანგრია, შენ კი გზა-კვალი აგიბნია. მავნებლის მეტი მაგას ვინ იზამდა! იცი, რა გაჭირვება გვადგია აგურზედა? გავწამდით! სწორედ ისეა, შვილო, ზურაბ, სადამდეო. აქეთ კერძო ხალხის ზურზუტი, იქით სახელმწიფო მშენებლობა!..

— ეე, შვილოსა, ახლა ადვილია თქმა, შეშლია, ვინც ეგ დაანგრიაო. აბა, ჩემს ადგილზე ყოფილიყავი? განა არ ვიძახდი, რათვი ანგრევთ, თქვე ასეთებო, ისეთებო, მერე დაანგრიეთ, როცა უფრო დიდს და უკეთესსააშენებთმეთქი, მაგრამ ვინ დამიჯერა, დაბალი ლობე ვიყა და გადამთელეს, ნაუბახტის კედლები მახეხინეს!

— იცი, რას გეტყვი, მრუდე მიხავ?

— რას მეტყვი?

— ხვალ სიღნაღში ამოდი და მე მიკითხე. ალმასკომი ხომ იცი, სად არის? სადაც ძველი სასამართლო იყო. თუ ვინმემ გაგაჩეროს, ესა და ეს კაცი ვარ და თედო ხატიაშვილთან მივდივართქო.

— ესა და ეს კაცი თუ არა, ჩესტზე დამიდგებიან, მეც ვარანცოვ-დაშკოვი ვარ! ახალ ხათაბალას არაფერს გადამკიდო, თუ კაცი ხარ, მე ჯერ ძველიც არ მამიხდია!

— ერთი მოსალაპარაკებელი საქმე მაქვს შენთან. კაცი მინდოდა საგანგებოდ გამომეგზავნა, ან თავმჯდომარესთან დამერეკა საბჭოში. ბედად შაგხვდი!

— მითხარ, რაღა სიღნაღში მიბარებ, განა მეც შენსავით ზიკზიკა ვილისი მემსახურება!

— არა, არა, იქ ჯობს ლაპარაკი. მარტო მე ვერ გადავწყვეტ, ამხანაგებს უნდა დავეკითხო. შევთანხმდით? დილას, ათის ნახევარზე გელოდები. ხომ ამოხვალ?

— ამოვალ, რა, ჩემი ნებაა?

— მაშ, ხვალამდე!

— მშვიდობით მგზავრობა!

მრუდე მიხა ყველაფერს ფიქრობდა, ყველაფერს წარმოიდგენდა, მხოლოდ იმას კი ვერა, რაც მეორე დღეს სიღნაღში თედო ხატიაშვილისაგან გაიგონა: რას იტყვი, მრუდე მიხავ, საქმე რომ საქმეზე მიდგეს და ჩვენც მხარში ამოგიდგეთ, ვერ აღადგენ იმ შენს აგურხანასაო?

მრუდე მიხას გული გამალებით აუძგერდა და ელამი თვალები დააჭყიტა, ყური ხომ არ მატყუებსო, ეს დალოცვილიშვილები ჯერ ციხეში მსომენ იმ ოხრადდასარჩენ აგურხანისთვინა, სხვის ხარჯზე გამდიდრებულს და მშრომელი კაცის მყვლეფელს მეძახიან, ახლა კიდენა აქეთ მეხვეწებიან, აღადგინე ი შენი აგურხანაი და არამცთუ აღარ დაგიჭერთ, მხარშიაც ამოგიდგებითო?

— ჰა, რას გაჩუმდი, კაცო, ხმა ამაიღე, — წამოეშველა თედო ხატიაშვილი და მაგიდიდან გადმოიწია, მხარზე ხელი მოუცაცუნა. — მეგონა, გაგიხარდებოდა, შენ კი ისე შაიკარ შუბლი, თითქოს მარჩენალი ხარი წამერთმიოს!

— არა, თედოვ, ძაან ხათრი კი დამადგა შენი, მაგრამ მაგ საქმეს ხელს ველარ მოვკიდებ, მე მოვკვდე. სხვა რაც გინდა, დამავალე, შენი გულითვინ კისრით დავესობი, აგურხანისკენ კი, მორჩა, პირს ველარ ვიზამ, ნეტავი ადრეც ამ ჭკუაზე ვყოფილიყავ, აგრეა და რა ვქნა! — არც აცია, არც აცხელა, წყალი გადაწურა მრუდე მიხამ.

— აგურის გამოწვის ოსტატი სხვა რომ არავინა გვყავ? მაშ, თუ აგრეა, შენ თვითონ გვირჩიე, ეს საქმე ვის დავაკისროთ. აკი გითხარ...

— მე ვინ და რა უნდა გირჩიო, თედოვ, — გააწყვეტინა მრუდე მიხამ. — მთელ ალაზნის ველზე, იქიდამ აქამდინ, ეს ერთი აგურხანა იყო და, ავად თუ კარგად, მე ვამუშავებდი. არ გვინდაო, გააჩერე-კეო. არ გავაჩერე. ნაობახში მიკრეს თავი. კარცერში ჩამსვეს. ლეკურ ნაბადს არ გაუძლია იმდენი, მე რომ გავუძელი. წურბელა ხარ, მშრო-

მელი ხალხის სისხლის მწოველი, სხვის ხარჯზე მდიდრდებიო. მე თუ წურბელა ვარ, მაშ მშრომელი კაცი ვინ-ღა არის?!

— კარგი, კარგი, მიხავ, რაც იყო, იყო, ძველი წყენა უნდა დაივიწყო და გვერდში ამოგვიდგე!

— ვერა, თედოვ, ძაან ხათრი კი მადგია შენი, მაგრამ მაგ ცოდვიან საქმეში, აკი გითხარი, ველარ გავერევი, გინდა გეწყინოს და გინდა არა! ვინმე სხვა მონახეთ, კაცო, ახლა სხვამ გაუგოს გემო, როგორია სხვის ხარჯზე გამდიდრება!

— შენ მაინც შენსას გაიძახი, არკი გინდა ყური დამიგდო და ის პასუხი მამცე, შენ და შენნაირ კაცს რომ ეკადრება!

— როდის აქეთ გავხდი მაგისთანა კაცი? აკი გუშინ მშრომელი კაცის სისხლის მწოველი ვიყავი და ცხენების გადასაყვანი ვაგონითაც მაგიტომ გამაგზავნეს-კე ვირის აბანოში!

— მე, თედო ხატიაშვილს, შენთვის ეგ ცილი არ დამიწამებია! თქვი, თუ ასე არ არის!

— შენ არ დაგიწამებია, სხვამ ხომ დამწამა, ის სხვა გუშინ შენს ადგილზე იჯდა. ხვალ კიდენ იქნებ სულ სხვა მოვიდეს? მე რომელ ერთს დაგიჯეროთ?!

— მე დამიჯერე, მიხავ!

— ისინიც აგრე ამბობდნენ.

— მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლიაო, ხომ გაგიგონია ქართული ანდაზა? არ გინდა, გაჭირვებაში ხელი გაგვიმართო, კრიჭაში გვიდგეხარ! ამ ზაფხულს აგურის წარმოება თუ არა განვაახლეთ და ამ მხრივ ხელი არ მოვიწყეთ, ჩვენც შეიძლება საცხოდ გაგვიხდეს საქმე. გგონია, ხათრს მაიდებენ და თავზე ხელს გადაგვისომენ? შენ ოღონდ იკისრე, საქმეს შაუდექ, თავდები მე ვიქნები, ხელფასზე არ დაგალაპარაკებთ!

— განა საქმე ხელფასშია, თედოვ. მაშინ მოვკვდე! მეც ვიცი, უხელფასოდ არ მამუშავებთ. რაკი თავმჯდომარე კაცი თავდებად დგები, ყურადღება არც სხვა მხრივ მომაკლდება, მაგრამ მაგარი სხვა არის!

ეროვნული

— რა? თქვი და სინდისი შემირცხვეს, თუ ყველა პირობა არ შეგისრულო!

— არ მამასვენებენ, თედოვ, თავზე ათასი კონტროლიორ-შამმოწმებელი დამადგება. მე აგური გამოვუშვა, დროული კაცი გახურებულ ქურაში დავიშაშრო, თუ მუქთამჭამელები ვარჩინო!

— ბუღალტერს დაგიყენებთ, აღმრიცხველი და საწყობის გამგეც გეყოლება. შენი თანხმობის გარეშე ბიჭია ვინმემ პროდუქცია გასცეს!

— ბუღალტერი და აღმრიცხველი მე არა მჭირდება, არც საწყობის გამგეი. ნეტავი კი იმდენი შამაძლებინა, გამომწვარი აგური შტაბელებად დავდგა, ბუღალტერადაც ვეყოფი, აღმრიცხველადაც, საწყობის გამგედაც და დარაჯადაც. აბა, ვინმემ გაბედოს და თუნდაც ერთი ცალი აგური მამპაროს!

— მაშ, სულ არავინ გინდა, კაცო?

— საქმეს არ უნდა, თედოვ, მე რა. თუ გამიჭირდება, თიხის მოჭრასა და მოზელაზე მუშტარს მოვიხმარებ. არ ეკუთვნის, შვილოსა? თუ აგური სჭირდება, დათქმულ ვადაში და ხარისხიანი, კეთილი ინებოს ვირიშვილმა და ხელი გაანძრიოს. არ მობერწდება! ჯანი ძველებურად აღარ მამდევს, შენ რაღა დაგიმალო, ციმბირმა, იქაურმა სიცივემ და ხაშმმა ცოტა დამცადა და გამტეხა, თუ არა, როგორც ადრე, ჯეელობაში, არც ამაზე შავაწუხებდი ვინმეს, ყველა საქმეს მარტო გავწვდებოდი!

— გამოდის რომ თანახმა ხარ, მრუდე მიხავ?

— მა რა ვქნა, კაცურ კაცს უარი როგო გითხრა!

ასე და ამგვარად, აგურხანის აღდგენითი სამუშაოების დაწყებას წინ უკვე აღარაფერი უდგა. პირველი ის გაკეთდა, რომ საქართველოს ენერგოსისტემაში კახეთის რაიონების ჩართვის შემდეგ დაუქმებული სასოფლო ელექტროსადგურიდან, მაზუთზე რომ ამუშა-

ვებდნენ, პირადად თედო ხატიაშვილის ბრძანებით, ძველი დინამობანქანა გამოიტანეს, ადგილზევე მოტორად გადააკეთეს, შეალაამაზ-შემოლამაზეს, შეღებეს, ახალს დაამსგავსეს და მრუდე მიხას მომავალი აგურხანის ადგილზე, სადაც ახლა მე და სიღნაღის სარაიონო გაზეთის ლიტმუშაკი ვანო კეძერაშვილი ვიყავით, სოფლმშენისაგან ნათხოვარი ამწით ჩამოდგეს. განახლებული დროის პირმშო, ტექნიკის პირველ მერცხალს, ოდესღაც ალაზნის ქალაში დაჭერილი ბრმა ცხენის მოვალეობა უნდა გაეწია, თიხის საზელი ბორბალი დაებრუნებინა, რაც საქმეს ერთიორად და ერთისამად წინ წასწევდა.

მთავარი გასაჭირი სხვა იყო. იგი თავს მაშინვე წამოჰყოფდა, როგორც კი საქმე ფარდულისა და სხვა სათავსოების გადახურვაზე მიდგებოდა. რაიონს სამშენებლო ხე-ტყე უჭირდა. ღერი ფიცარი, ლამფა თუ კოჭი, სხვა დროს რომ ჩალის ფასად იშოვნიდი, სანთლით საძებარი გამხდარიყო. ვინმე გამოცდილი კაცი უნდა გამოეძებნათ და ციმბირში გაეგზავნათ, სადაც, საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ გამოყოფილი ლიმიტის თანახმად, სიღნაღის რაიონს სამი ვაგონი პირველხარისხოვანი ხე-ტყე ერგებოდა.

შესაფერი კაცის ძიებამ ამასკომის თავმჯდომარე თედო ხატიაშვილი ისევ მრუდე მიხას კარზე მიიყვანა. მიხა ნამყოფი და ნამუშევარი იყო ხე-ტყის დამზადების ადგილებში, არამცთუ ნამყოფი, ნებით თუ უნებლიეთ იქ მრავალი წელიწადიც გაეტარებინა და თუკი წასვლას არ დაიზარებდა და გაბედავდა, დაკისრებულ საქმეს ყველაზე უკეთ ისევ ის გააკეთებდა.

ციმბირში უნდა გაგვეგზავნე, შენს იქით გზა არა გვაქვსო, რომ გაიგონა, მრუდე მიხას ელდა ეცა და კინაღამ ჩაიკეცა. იმას კიდევ ციმბირში გაგზავნა უნდოდა? არ ეყო, რამდენიც გასტკეცა და იქაურ ბელურისოდენა კოღოებს სისხლი აწოვინა?

თედო ხატიაშვილს მთელი მჭევრმეტყველების და დარწმუნების უნარის მოხმობა დასჭირდა, რომ ეს [illegible] გორმე დაემშვიდებინა და [illegible] მოყვა-ვლის მიზეზი მისთვის გასაგებად აეხსნა. შენი მოვალეობა სულ მარტივი იქნებაო, გაუადვილა საქმე, ხე-ტყის გამოყოფის ლიმიტს გაგატანთ-კე, იგეთია, ქვას გახეთქავსო, რუსულის ზედმიწევნით მცოდნე კაცსაც გაგაყოლებთ, დროს არ შეგიზღუდავთ, რამდენ ხანსაც არ უნდა დარჩეთ, მივლინების ხარჯებს გაგინაღდებთ, მიდექ-მოდექ ძველ ნაცნობ-მეგობრებში და სამად სამი ვაგონი ხე-ტყის გამოგზავნა როგო გაგიჭირდება, ტყუილა მოითიე იქ ათი წელიწადი და რვა თვეო? სამაგიერო სამსახური ჩემზე იქნება, ხალხნი ვართ, კაცი შაუხვედრელი არ არისო. რაკი შენგან ციმბირული ხე-ტყის ჩამოტანის პირობა გვექნება, ოცდაათ-ორმოც კუბმეტრს გურჯაანელებისაგან ვისესხებ, ან წითელწყაროელებს დავეერიჯები და აგურხანას, თუ კაცი ვყოფილვარ, მოთავებულს დაგახვედრებ, ჩამოდი და მოჰჭერ აგური, მეტი რაღა გინდაო.

მრუდე მიხამ, რაკი შეატყო, უარი არ გაუვიდოდა, ეს კი შორს დაიჭირა და თავისი პირობები წამოაყენა:

— სამაგიეროო სამსახური იქით იყოს და, ორ რამესა გთხოვ, თედოვ: ჩემ ჩამოსვლამდინ აჭაურობას ხელს ნურავინ ახლებს. მე ჩამოვალ, მტრისა და ავისას, იქ ხომ არ დავრჩები, და ჩემ გასაკეთებელ საქმეს მევე გავაკეთებ. ხომ უნდა ვიცოდე, რა როგო არის. ეს ერთი, არა? მეორე: დამხმარე კაცის გაყოლება არ დამჭირდება. იმი დაუხმარებლადაც იოლას გავალ. ჩემი სამყოფი მე რუსულიც ვიცი და ფრანციცულიცა. ზედმეტ ხარჯში არ ჩაგყრით. ანგარიშის საქმე არ არის? ჭაჭის არაყსა და ცოტაოდენ შაშხს შინ დედაკაცს მოვამზადებინებ, თქვენ მაგაზე ნუ გაირჯებით, ღვთის მოცემული მეც ბევრი მაბადია. ციმბირი მაინც ციმბირია, თედოვ, იქ ჯერ გაზაფხული არ დამდგარა. ხელცარიელი სტუმარი, ისიც საქართველოდამ, კახეთიდამ, ჩე-

მზე უკეთ მოგეხსენება, არც ღმერთს უყვარს და არც კაცსა!

აპრილი გაშუალებული იყო. ნასესხეში იდგა. ცივ-გომბორის ჩრდილოეთ კალთებზე ჯერ ისევ უკვლევი თოვლი იდო, ალაზნის ველის მთელ სიგრძეზე ჩამოყუდებული ლურჯი კავკასიონი კი ამომავალი მზის სხივებზე თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. მიილია აპრილი, გაშუალდა მაისიც, ავარდა მიწას ოხშივარი, დააცხუნა თაკარა მზემ, გამოცოცხლდა, აჩხრიალდა ნაკადულები და ღელეები, მოვარდა აქაფებული მღვრიე წყალი ხევებში, აქამდე პირის გასველება რომ ენატრებოდათ, ადიდებული ალაზანი ნაპირებიდან გადმოვიდა, სანახევროდ დაჭაობებული ჭალები დატბორა, იელვა, დაიქუხა, წამოვიდა კოკისპირული წვიმა, როგორიც მხოლოდ კახეთში იცის, მრუდე მიხა კი არც კარგს იტყობინებოდა და არც ავს.

არამცთუ შინაურებს, ოჯახის უფროსის თვეობით გადაკარგვას ასე თუ ისე მიჩვეული რომ იყვნენ და სოფლის თავკაცებს, რაიონის ხელმძღვანელებს და უპირველეს ყოვლისა საქმის ავანჩავან თედო ხატიაშვილს, ჯავრი შემოაწვა, ეს რა ვქენით, ვეჟო, სად დავკარგეთ, რომელ წყალსა და მეწყერს გავატანეთ სალ-სალამათი კაციო, ან ოჯახს რა პასუხი გავცეთ და ან კანონსამართალსო. მრუდე მიხასათვის რომ გეკითხათ, თუ ორ-სამ კვირაში არა, თვის თავზე მაინც უნდა მობრუნებულიყო და ის ჩვენი ცოდვით სავსე დღესაც არა ჩანსო. სანამ საბოლოოდ მოითათბირებდნენ და კაცს გაგზავნიდნენ მრუდე მიხას გზა-კვალის საძებრად, სამმა-ოთხმა დღემ კიდევ გაიარა. მეხუთე დღეს, შუაღამისას, წნორის სატვირთო სადგურიდან ალმასკომის სამორიგეოში დარეკეს, თქვენს სახელზე ოთხი ვაგონი ბროლივით ხე-ტყეა ჩამომდგარი, ახლავე ხატიაშვილს შაატყობინეთ და სასწრაფოდ გაიტანეთ, თუ არა რკინიგზა ვაგონების მოცდენის ხარჯებს დაგაწერთ-კეო.

ძვირფასი დროის უქმად გაცდენით ისედაც გულგასიებულ მრუდე მიხას ვინ-ღა გაუმხელდა, რომ მის არყოფნაში აგურხანის აღდგენის თუ მშენებლობის ბედი უკუღმა შეტრიალდა. ალმასკომის სხდომაზე თავმჯდომარეს დიდი ჯაფა დაადგა, ბევრი დამარწმუნებელი არგუმენტის მოყვანა მოუხდა, მაგრამ საქმეს, სამწუხაროდ, ჯერ საავქაო პირი მაინც არ უჩანდა.

რაიონის ახალგაზრდა პროკურორმა, შიშით, ანაგის კოლმეურნეობამ საკუთარი აგურხანა კერძო დუქნად არ გადააქციოს და საზოგადოებრივი სახსრების განიავების დანაშაულებრივი კერა დღისით-მზისით, ჩემს თვალწინ ხელოვნურად არ აღმოცენდესო, სათანადო კანონმდებლობა გადაჩხრიკა, სასურველი მუხლი იპოვნა და ხატიაშვილს წინ დაედო, აი, ხომ ხედავთ, პატივცემულო თავმჯდომარევ, თედო ძიავ, რასაც თქვენ აპირებდით და რის განხორციელებასაც პირადი პასუხისმგებლობით შეუდექით, კანონი სასტიკად კრძალავსო.

შეწუხდნენ, რაღა თქმა უნდა, საქმის წარმატებით დაინტერესებული ალმასკომის წევრები, მეტადრე სხდომაზე მოწვეული ანაგელი თავკაცები, რომლებიც აგურხანაზე დიდი იმედს ამყარებდნენ, თვით თედო ხატიაშვილს კი, ვისი წინადადებითაც საკითხი სხდომაზე განსახილველად გამოვიდა, დანა პირს არ უხსნიდა. როგორ-ღა შეეხედა მრუდე მიხასათვის, თვალი როგორ გაესწორებინა! სულ ეს იყო მისი თავდებობა და დაპირებები? ამას ვინ წარმოიდგენდა! რა არ მოიფიქრეს, რა არ იღონეს, ჭირვეულ, თითქოსდა მოჯადოებულ საკითხს საიდან არ შემოუარეს, საქმის გასაადვილებლად აგურხანა ხან დამხმარე მეურნეობად მონათლეს, ხან სამეურნეობათაშორისო საწარმო დაარქვეს, უკეთუ ის არა მარტო ერთ, არამედ რამდენიმე კოლმეურნეობას ან სასოფლო საბჭოს მოემსახურებოდა, მაგრამ საშველი მაინც არსაით გამოჩნდა. კანონი, ეტყობა, გამოქექილი კაცების მიერ იყო შედგე-

ნილი, ყველა გასაძრომ-გამოსაძრომს სანიმუშო გულმოდგინებით გმანავდა და მისი გვერდის ავლა, მას შემდეგ მაინც, რაც ფრთხილმა პროკურორმა საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა, რაიონის ხელმძღვანელობას მცირე უსიამოვნებას როდი შეახვედრებდა.

ციმბირიდან მობრუნებულმა, თითქოსდა მკვდრეთით აღმდგარმა მრუდე მიხამ ამაებისა, რასაკვირველია, არაფერი იცოდა. საქმის წარუმატებლობით დარცხვენილ ხატიაშვილს თავად გაეფრთხილებინა სოფლის ხელმძღვანელები, ჯერ ნურაფერს გაუმხელთ, გულს ნუ გაუხეთქთ კაცს, მე კიდევ რაღაცას ვეცდები, თბილისში იურისტებს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დავეკითხები, არ იქნება, რაიმე არ გავაწყოო. მრუდე მიხამ მეორე დღესვე სახედარი შეკაზმა, სამუშაო იარაღები და მთელი კვირის სამყოფი საგზალი აჰკიდა, გზას გაუდგა და ძველ, შეჩვეულ ადგილზე, ალაზნის ხიდისყურში დაიბანაკა. ინათლებდა თუ არა, ფეხზე იყო, დარსა თუ ავდარში შეუსვენებლივ მუშაობდა და ღამესაც იქვე კარავში ათევდა.

თედო ხატიაშვილმა ველზე ჩამოსასვლელად და მრუდე მიხას მოსანახულებლად ვერ მოიცალა. ციმბირიდან ხე-ტყით პირამდე გაძეძგილი „ეშალონის“ ჩამოსვლის ამბავი მთელ ქიზიყს, ქიზიყი რას მიქვია, მთელ კახეთს მოედო. ჯერ მეზობელ რაიონებს — აქეთ წითელწყაროსა და ლაგოდეხს მისწვდა, იქით ყვარელსა და გურჯაანს და მალე ხმამ თელავსა და ახმეტასაც მიაღწია. ატყდა ტელეფონების გაუთავებელი რეკვა და წკრიალი. ტანჯვა-ჯახირით ნაშოვნი ხე-ტყე არავინ მთხოვოსო, თედო ხატიაშვილი კაბინეტში ველარ შედიოდა, მაგრამ მთხოვნელი გარეთაც ბევრი უცდიდა და ვის სად დაემალებოდა! მეზობელი თუ შორეული რაიონების ხელმძღვანელები, ათი-თხუთმეტი სამასალე მორი მის წონა ოქროდ რომ ულირდათ, ვერც ტელეფონის საეჭვო დუმილმა დააბრკოლა. მიატოვეს ყველა სხვა საქმე და პირი ცივ-გომბორის მთის კორტოხზე მერცხლის ბუდესავით გადმოკიდებულ სიღნაღისაკენ ჰქნეს. რაიკომის მდივანი წინდახედულად გაეცალა, რაღაც გადაუდებელი საქმე მოიმიზეზა, შირაქში წავიდა ფერმების დასახედავად და ძალად მაცხონე მეზობლები ობლობაში გაზრდილი ბალღივით ხათრიან თედო ხატიაშვილს შეატოვა. ამასაც რა ექნა, ბევრი იწუწუნა, ხან ასე შეაცოდა თავი მოძალადეთ, ხან ისე, მაგრამ ბევრს ვერაფერს გახდა. ასე იყო თუ ისე, მრუდე მიხას მარიფათით ნაშოვნი მეოთხე ვაგონი ხე-ტყე მაინც დასცინცლეს და დაინაწილეს. ამასთან წვრილად გამოიკითხეს, სად და როგორ შეიძლებოდა ლიმიტის შოვნა და თედოს შეუჩნდნენ, ეგ შენი მრუდე მიხა თუ რაღაცა დოზანა უნდა გვათხოვო, გავგზავნით ციმბირშია და შენ რა გენაღვლება, თუ ჩვენც ბედსა გვწევსო.

თედო გაცხარდა. გათხოვოთ რა, სახედარია ეგ ჩემი ესა და ისაო? კაცი თვეზე მეტია საქმეს მოვაცდინე რაიონის საჭიროებითვინა, ახლა ხომ ცოცხალი თავით ველარ გამოვასწრებ, კიდევ ბარგის აკვრა და ციმბირში წასვლა რომ ვუხსენოო.

ეგ შენ ნუ გადარდებს, თედოო, მოეთილისმნენ მეზობლები, ჩვენა ვთხოვთ, ჩვენი სახელითა და უარსაც ვერ გვეტყვის, აგერ ნახე, თუ გვითხრას უარი, შენ ოღონდ ხელს ნუ შეგვიშლი და გაათავისუფლეო.

ბევრი ამტკიცა თედო ხატიაშვილმა, რომ თავად კიდევაც რომ გაეშვა, მრუდე მიხა ვერსად წავიდოდა, რადგან აგურხანა ჰქონდა მოსათავებელი, რომ სადაცაა თოვლს ჩამოყრიდა და მთელი რაიონი მისი ხელის შემყურე იყო, მაგრამ არაფერმა გასჭრა, სანამ მრუდე მიხამ თვით არ დაიფრინა იაფი ხე-ტყის მაძიებლები და აგურხანის ახლომახლო ფეხის დადგმა არ აუკრძალა. აგრე, ხომაო? მაშ, სადაც შენი დაიკვეხნო, იქ ჩვენიც თქვიო. მესამე თუ მეოთხე დღეს პროკურორი ესტუმრა

სოლნალიდან. სალამ-ქალამი რომ მოითავა და ადგილმდებარეობაც საგულდაგულოდ დაზვერა, ამანაც სწორედ იმ ფრენჩიანი კაცივით ჰკითხა, ავად მოსაგონარი ოქმი რომ შეუდგინა და ბოლოში ჯვარი დაასმევინა, რასა შვრები, მრუდე მიხავ, ეს რამდენი მიწა მოგითხრია, კაცო, თავი ნუ მოგიკვდება, რას აშენებო.

ოფლში გაწურულმა მიხამ ალმაცერად გახედა თავისი ელამი თვალებით, ეგონა, ესეც, ალბათ, შუამავლად მომიგზავნეს ყვარლელებმა ან გურჯაანელებმა, რომ ხე-ტყის ახალი პარტიის დასამზადებლად და გამოსაგზავნად ციმბირში წასვლაზე დამიყოლიონო და, უსიტყვოდ რომ ეგრძნობინებინა, ტყუილად გარჯილხარ, ჩემო ძმაო, შენ კი არა, აქ თვით თედო ხატიაშვილიც რომ ჩამოვიდეს თავისი ფეხითა და მთხოვოს, საქმეზე ხელს ვერ ავუშვებ და ვერსად გადავიკარგებიო, ღიმილით მიუგო, ვერა ხედავ, რასაც ვაშენებ, ბროლის კოშკი უნდა წამოვჭიმო მტრის ჯინაზედა, შიგ მზეთუნახავი გოგო დავისვა და იგრე გამოვიკეტო, გარეშემო უაროთ და კარიც ვერ უპოვნოთ-კეო.

მაგ ხნის კაცი მოყრილხარ და ისიც არ იცი, ვის რა უნდა ოთხრა და გაუბედოო? პროკურორი ერთბაშად მოიქუფრა, შუბლი საწყენად შეიკრა და მრუდე მიხა მაშინღა მიხვდა, აქ რაღაც სხვა ამბავია, ჩემი საქმე მთლად წაღმა არ უნდა იყოსო.

— ვინ მოგცა ნება, ამ მიწას რომ ჩიჩქნი და ქვეყანას ამტუტებ, რა უფლების ძალით მოგიზიდია ამდენი საშენი მასალა, ანდა ეს მატორი ვისია, უპატრონოდ რომ გდია ცისქვეშ და იჟანგება?!

მიხას ალმასკომის თავმჯდომარის, თავისი კეთილისმყოფელის, თედო ხატიაშვილის იმედი ჰქონდა, იცოდა, ასე ადვილად მის თავს არავის დააჩაგვრინებდა და თავისი მაღალი თანამდებობით ცოტა არ იყოს გაამაყებულ ახალგაზრდა პროკურორს გამომწვევად უპასუხა:

— უპატრონოდ რატომა გდია, შვილოსა, თვალში კარგად გამიხედე, მე ვერა მხედამ?

— მაშ, შენი ყოფილა და არცა მალავ? — პროკურორი უკანასკნელ სიტყვას ჩაეჭიდა.

— რატომ უნდა დავმალო, შვილოსა, მამიტანია და ჩემია, აბა, მაშ, ვისი უნდა იყოს შენი აზრითა?

— საიდან მოიტანე?

— ეგ ვისი რა საქმეა! მომიპარავს? წამირთმევია? ნება ავიღე ლამაზათა და მოვიტანე, იქ ხომ არ დავაგდებდი?! ამის ადგილი აქ არის! მა იმ ბრმა ცხენის მაგივრად საზელში შენ ხომ არ შაგაბამ?!

შენ ხომ არ შაგაბამო? ეს იყო უკანასკნელი წვეთი, რომელმაც პროკურორის მოთმინების ფიალა აავსო.

— ახლავე აკრიფე იარაღები და აქაურობას მოშორდი, მინამ ძალა არ გვიხმარია! ხვალ დილას ადრე პროკურატურაში ამობრძანდები და იქ გაგაგებინებ, ვინ სად უნდა შეაბა და ვის რა და როგორ ელაპარაკო!

— როგორა, როგორა?

პროკურორის ლურჯი მოსკვიჩი ადგილს მოსწყდა და სახტად დარჩენილი მრუდე მიხა მტვრის ბოლქვებში გაახვია. რაღა ეშველებოდა ახლა წამხდარ საქმეს? მრუდე მიხამ ცხოვრების გამოცდილებით იცოდა, რომ ძალაუფლებით აღჭურვილ პროკურორთან ხელდახელ ჭიდაობა ხეირს არ დააყრიდა. ამას, რაცა ჰქნა, არც იზამდა და ენას კბილს დააჭერდა, იმ დალოცვილი თედო ხატიაშვილის იმედი რომ არა ჰქონოდა. მილიციაცა და პროკურატურაც, როგორც ალმასკომის თავმჯდომარეს, მას ემორჩილებოდა და აბა როგორ წარმოიდგენდა, თუ ჭყინტი პროკურორი თავზე ხელს აიღებდა და თვით თავმჯდომარის პატივსაცემ კაცს ამდენს გაუბედავდა! ნამდვილად ჭურში ვზივარ და ვერა შევიტყე-რა, — მრუდე მიხა ბოლოს ამ აზრზე შეჩერდა. — ხატიაშვილის თავს რაღაც ამბავია. ან მოხსნეს ან ამაზე უარესი ამბავი შაამთხვი-

ეს. ეს რომ ასე არ იყოს, ამ გუშინდელ გამომცხვარ პროკურორს განა არ ეცოდინებოდა, ძველი აგურხანის ადგილზე ახალი აგურხანა ვისი ნებართვითა და განკარგულებით შენდება?

სიღნაღის ადამიჟამინდელ ვიწრო ქუჩებში ჯერ კაციშვილი არ ჭაჭანებდა, როცა მრუდე მიხამ ქალაქის გარე კედლის თაღქვეშ გაიარა, ქუჩას აუყვა, სახედარი ბებერი კოპიტის ფესვზე გამოაბა და მილიცია-პროკურატურას, რომელთა დანახვა ცუდად ჰქონდა დაცდილი, შორიახლო აუარ-ჩაუარა. ვიდრე პროკურატურაში მივიდოდა და პროკურორს მოიკითხავდა, გადაწყვეტილი ჰქონდა, ჯერ თედო ხატიაშვილის ამბავი შეეტყო. თუ ხატიაშვილი ისევ ძველ თანამდებობაზე იჯდა და არც არაფერი ემუქრებოდა, იმ ჭყინტ პროკურორთან იქნებ სულაც არ მისულიყო და პირდაპირ ხატიაშვილისათვის მიეკითხა. მაგრამ სისწორე ვისგან შეეტყო? გზად მიმავალს ხომ ვერავის გააჩერებდა და ვერ ჰკითხავდა, თედო ხატიაშვილისა რა ისმის, ძმობილო, თავის ადგილზეა ისევა თუ მოხსნესო?

მიხა ჯერ კიდევ ფიქრსა და ყოყმანში იყო, როდესაც ძველი ეკლესიის გალავანზე მიდგმული საპარიკმახეროს მხრიდან, რომლის წინაც სახედარი დააბა, ნაცნობი ხმა შემოესმა. მოიხედა და პირკატა ეცა: საპარიკმახეროდან სუფთად წვერგაპარსული, საყელოგადმოფენილ თეთრ კიტელსა და კირზის სალდათურ ჩექმებში ჩატანებულ ზოლიან შარვალში გამოწყობილი თედო ხატიაშვილი დაინახა.

— შენ აქ რა გინდა ამ დროისა? — ჰკითხა ხატიაშვილმა და გაჩერდა. — გიჟირს რამე თუ როგოა შენი საქმე? გითხრეს უკვე ახალი ამბავი? მომილოცავს!

მრუდე მიხამ ნაბდის ძველა მოიხადა, დღე და ღამ რომ თავზე ეხურა და ლოგინშიაც არ იშორებდა.

— რა ამბავი უნდა გამეგო?

— შენი აგურხანა ადგილობრივი მრეწველობის კომბინატს დაუქვემდებარეს. ამას იქით ბუზსაც ვეღარავინ აგიფრენს, აშენე და შეუდექი საქმეს! იმ თვის დამლევს აგურის პირველი პარტია უნდა მოგვცე. თუ უფრო ადრე იზამ მაგას, მადლობის მეტი რა გვეთქმის!

— რა ვქნა, მეხუმრები, თედოვ, თუ მე ვერა ვარ კარგა?

— როგორ თუ გეხუმრები, კი არ გეხუმრები, ოფიციალურად გეუბნები, ამაზე უკეთესად თქმა მე არ ვიცი! ნებართვა გუშინ მოგვივიდა პრეზიდიუმიდან. მეორე საბუთს ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი აწერს ხელს. ჯერ დავთარშიაც არ გაგვიტარებია. აი!

— ხატიაშვილმა კიტელის გულისჯიბე გაიხსნა, ოთხად გაკეცილი ღერბიანი ქაღალდები ამოიღო, სათითაოდ გაშალა, მერე გაახსენდა, მრუდე მიხა წერა-კითხვასთან უმძრახად რომ იყო, ისევ მოკეცა, ჯიბეში ჩაიჩურთა და ჯიბე ღილით შეიბნია.

— მაშ, პროკურორთან აღარ შევიდე?

— ვინ პროკურორთან, კაცო?

— ვინ პროკურორთან და ჩვენი რაიონის პროკურორთან, სხვა რომელი პროკურორი გვყავ!

— რა გინდა ჩვენი რაიონის პროკურორთან?

— მე რა მინდა! გადაშენდა, ვისაც ეგენი უნდოდეს! დაბარებული ვარ.

— როდის დაგიბარა?

— გუშინა.

— რა მინდაო?

— ეგ იმასა ჰკითხე! ძალიან ვიცი, რა უნდა?

— უწყება მოგივიდა თუ კაცის პირით შამოგითვალა?

— უწყება კი არა, იქ მამადგა, აგურხანის მშენებლობაზე!

— რა ნაკუწ-ნაკუწ ყვები, კაცო, გადაბმულად ვერ იტყვი, რა მოხდა?

— არაფერიც არ მამხდარა, თედო, მე მოვკვდე. საბუთი მამთხოვა, ვისი ნებართვით და განკარგულებით თხრი მაგ მიწასო. მე რა საბუთი მქონდა, რომ მიმეცა! ისიც ადგა და პროკურატურაში დამიბარა. გითხარ მე შენ, არ მამი-

სვენებენ. გინდა კომბინატს მიმამაგრეთ და გინდა მამაჩემის მამას. ეგენი საშველს არ მამცემენ. რაღაზე ვიწვალო? იყავით თქვენ თქვენთვინ, მე ჩემთვინ, მოვრჩით?

— შენ, კაცო, მიხა, თავიდან იწყებ ამბავს?

— მე არ ვიწყებ, ეგენი იწყებენ. თვალში ვესობი-კე. ნეტა ამისთანა რა დავაშავე! რაც მიმუშავნია, ალალი იყოს, იმაში არაფერს ვითხოვ, — მრუდე მიხა დაიხარა და ალვირით კოპიტის ფესვზე გამობმული სახედარი აუშვა.

— მოიცა, მოიცა, კაცო, სად მიდიხარ?!

— მა აქ როდემდე ვეყუდო, სანამ ნაუბახტში არ ჩამსომს ი შენი ჭყინტი პროკურორი?

— წამო, მე თვითონ წამოგყვები, გინდა, კაბინეტში გამოვიძახებ და შაგარიგებთ!

— არა, თედო, ღმერთმა დამიფაროს, არც შარიგება მინდა მაგისთანა კაცთან და არც ჩხუბი. მაგისთანები ბევრი მინახავ. ერთი დედმამიშვილებივით ჰგვანან ერთმანეთსა. თუ დამაყენებს, მე ჩემთვინ, ეგ თავითვინ, არ დამაყენებს და, ხო გაგიგია წყნარი ცხვრის ამბავი?

— ხელისუფლების წარმომადგენელზე მაგნაირი სიტყვებით ლაპარაკი არ შეიძლება. არ იცი შენ ესა?

— მე კი არავის წარმომადგენელი არა ვარ, თედოვ, მე ყველაფერი უნდა მოვითმინო, როგორც ამ პირუტყვმა სახედარმა და სხვას ხელისგულზე სულ წითელი კვერცხი ვუგორო? ეგ სადაური სამართალია? სხვას რომ ვინმეს ეთქვა, არ გამიკვირდებოდა, შენ კი სხვა კაცი ხარ და მიკვირს!

— თუ რაიმე გაუგებრობა მოხდა, როგორც ძმასა გთხოვ, მაპატიო, ახლა კი წადი, საქმეს მიხედე, შუა გზაზე ნუ მიმიტოვებ. პროკურორს მე მოველაპარაკები და თუ საჭირო გახდა, ბოდიშსაც მოვახდევინებ, მეტი რა გინდა! ახალგაზრდა კაცია, ფიცხობს, მე და შენ მეტი მოგვეთხოვება, უნდა ვაპატიოთ!

— მაშ, წავიდე?

— წადი და მიხედე საქმეს!

— თუ კიდევ მომადგება ვინმე?

— ჩემთან გამოუშვი, პასუხს მე გავცემ!

— ახლა რაღა უნდა იმ დალოცვილ პროკურორს, ახლა ხომ ყველაფერი წესისა და კანონის ფარგლებშია?! — ვკითხე მე წინ კოჭლობით მიმავალ მრუდე მიხას, როდესაც ნედლი აგურის წყობას უკანიდან შემოვუარეთ და გაჩაღებული ქურების რიგში გავედით.

— კრიჭაში რატომ-ღა გიდგას?

— გინდა, მართალი გითხრა? არა სჯერა, რომ არაფერს ვიპარავ და სახელმწიფოს ხარჯზე არ ვმდიდრდები. აღარც თედო ხატიაშვილია თავის ადგილზედა. შენც იცი, იმ თავისი ძმის გადამკიდე, ამერიკაში რომ ყოფილა, განცხადება დაწერა და ისევ ხირსის საბჭოთა მეურნეობაში გადაიყვანეს. აფსუს! ბედი უნდა კაცსა. სხვას ვის რას შააგნებინებ. არც მოგისმენენ, შენთვის ვისა სცალია. რომ ჰკითხო-კე, ყველას თავისი საქმე აბარია. მართლა აგრე რომ იყოს, რა მიშავდა. დავრჩით მე და სალორიკეტი და ვჭამთ ერთმანეთსა. სხვები დგანან და სეირს გვიყურებენ. ბლუ ვარ თუ მუნჯი, სიტყვა რად უნდა შავაწიო?! რა, თიხას მიჭრის, თუ მიზელს, თუ ცხელ ქურაში მყავ გამომწყვდეული და აგურს ვაზიდვინებ! სილნალში მეც დავჯდები-კე, თუ ვინმემ დამსვა. იგეთი ბრძანებები გამოვაცხო, შენი მოწონებული! მაგას მეტი რა ეხარჯება?

— კომბინატის დირექტორია, — ჩაერია საუბარში ვანო კეჟერაშვილი. — შენ მუშა ხარ, მატერიალურ ღირებულებას ქმნი, მთავრობასთან პასუხისმგებელი ეგ არის.

— ჰოდა, საქმეც მაშინ წახდა, როცა ფარა შემობრუნდა. მეც მანდა ვარ!

— სადა ხარ, სადა, თუ კომბინატის დირექტორობა გინდოდა, ადრევე ვერ გაამხილე? აგურხანაში რას მოეხირებოდი!

— წყნარად იყავ მანდ, კეჟერაანთ

ბიჭო, რაც არ იცი, ნუ ლაპარაკობ. თუ დირექტორია და მთავრობასთან პასუხისმგებელი, აქ ჩამოვიდეს და გვირდში ამომიდგეს, იქიდან კი ნუ მიგზავნის დანომრილ ბრძანებებსა!

— შენ არ იყავი, ახლო რომ არავინ მოუშვი? არც ეს მინდა, არც ის, ყველაფერს მარტო გავწვდებიო? შენ აქ საღორიკეტს იგუებ?

— მაშ, კაციჭამია გამოგყავარ და ეგ არის!

— ვინ გითხრა, კაციჭამია ხარო! კაციჭამია კი არა, ჩემმა მზემ, სანთელივით ბიჭი ხარ, თვალში რომ ვისმე ჩაუვარდე, ხელს არ ამაისობს, მარტო ე საღორიკეტი და შენ ვერა რიგდებით. არც პროკურორს ეხატები გულზე!

— სასაცილოდ შენი თავი აიგდე, კეჟერაანთ ბიჭო. მაგსიგრძე ენა განა იმიტომ გამოგება ღმერთმა, რომ მარტო შენ ილაპარაკო და ჩვენ სიტყვა არსად ჩაგვართვევინო. მე, თუ გინდა, შინაური ვარ, ეს უცხო კაცი რას იტყვის, ქიზიყში უმცროს-უფროსობა არა სცოდნიათო?

— ეგ რა იმ პროკურორივით მოულოდნელად გამიბრაზდი! გეხუმრე, მიხავ, არ შეიძლება, კაცი გეხუმროს? აგრე რომ მცოდნოდა, არც მე მოვიდოდი და არც ამ კაცს მოვიყვანდი!

— ჭკუით იყავ, შენ მანდ არაფერი გამიმტყუო!

— ხომ ვიცი, მაგას გულით არ ამბობ. ძალიანაც გიხარია, რომ გესტუმრე და უცხო სტუმარიც მოგიყვანე. გამოტყდი, ხომ გიხარია?

— გაიქეც, ხიდზე გადაიხედე. სად არიან ამდენ ხანს? ლოქო აქამდე უნდა ამაეტანათ. წყალი ადუღდა და გადადუღდა!

— ბიჭო, ნაცარავ!

— შენ თვითონ წადი. გაიჩინა ამანაც თანაშემწე! გასძახე, გვეჩქარებათქო. რამდენიც დაიჭირეს, ის ამაიტანონ. საღამოს, თუ არ ეზარებათ, ისევ ჩავიდნენ, ალაზანი მანდ არის, ბადეც კარგი მაქვს, თუ მაგათ არ დამიხიეს და ლოქოც არსად გაექცევათ!

ვანო ბუზღუნით წავიდა დავალების შესასრულებლად, მრუდე მიხა კი ქურის ქლუვ კედელთან დადგა ზურგით, თითქოს რაღაც საიდუმლო უნდა გამიმხილოსო, მანიშნა, ახლოს მოდიო და როგორც კი მივედი, აგურის ყრუ კედლის შესამჩნევი სიცხე ვიგრძენი.

— ანთია? — ვკითხე სიტყვის მასალად.

— მაშა! — მიხამ კმაყოფილი, თავდაჯერებული კაცის ღიმილით მიპასუხა, კარგად რომ იცის, რის შემდეგ რა დევს და რას რა მოყვება. მაგრამ მარტო ამ პასუხით არ დაკმაყოფილებულა. თვალების სიმაღლეზე კედლიდან სიგრძივ ჩადებული ხასხასა აგური გამოიღო, კელაპტარივით დაიჭირა და უკან დაიწია. — აბა, შაიხედე! დიდხანს არ უყურო, თვალებს გაგიფუჭებს!

ჭუჭრუტანას თვალი გავუსწორე და ღუმელის გავარვარებული შიგნეულიდან ჯოჯოხეთური ცეცხლის სიმხურვალე შემომენთო.

— ჰა, როგორია? — ნიშნისმოგებით მკითხა მრუდე მიხამ, ცხელი აგური, აქამდე რომ ისევ ხელში ეჭირა, ოთხკუთხ ჭუჭრუტანაში შეაცოცა და, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს, ხელები დაიბერტყა. — საღამოს უნდა ჩავაქრო. დღენახევარი განელებას მოუნდება.

— სხვა ღუმელები?

— მონაცვლეობით ვანთებ. ერთი რომ ცივდება, მეორეში ახალს ვაწყობ.

— ასე რომ აგური უწყვეტ ნაკადად მოედინება?

— ხელის შაწყობა უნდა. თუ სადმე შეფერხდი, ეგ მთელი საქმის შეფერხებას გამაიწვევს, გეგმა ჩაგივარდება და მაშინ უნდა ნახო, რა დღეს დააწევს ი ჩვენი საღორიკეტი! მართლა ურიგო კაცი არ გეგონოს. კახელებს ცოტა ხუმრობა გვიყვარს. ჯაჯღანი იცის, თორემ გული კეთილი აქვს, პერანგს გაიხდის და შენ ჩაგაცმევს, მე მოგკვდე!

— ეი, მიხავ! — მოგვესმა ამ დროს ვანო კეჟერაშვილის ყვირილი. — და-

ყრუვდი, კაცო, თუ რა მოგივიდა? თევზი სად წავიღოთ?

— მაიტათ და თავზე დამადეთ! კაცმა რომ გკითხოს, საქვეყნო საქმეებს ატრიალებ, ინგლისის პრემიერმინისტრი შენს უკითხავად არაფერს აკეთებს და ის კი აღარ იცი, ახალი დაჭერილი თევზი სად წაიღო? ჯერ გამოფატრეთკე და აიმ ჭაზე გარეცხეთ. მაიხმარე ი შენი თანაშემწე ნაცარაი თუ რა ქვია მაგასა. სხვები სად მამაჩემთან არიან? ბადე ხომ არ გამიგლიჯეს?

— დარდი ნუ გაქვს, მიხავ, ყველაფერი რიგზეა, ლოქოც ბლომად დაუჭერიათ. ჩვენ ცოტას კიდევ წავითევზავებთო.

— ხელის დასვრა არ უნდათ. ვიცი, რისთვინაც იდებენ თავსა. მერე გამზადებულზე მოვლენ და მოულხენენ!

მრუდე მიხამ უკლებლივ ყველა გაგვანაწილა, თითოეულს შესაფერისი საქმე და საზრუნავი მოგვიჩინა. ვანო კეკელაშვილი, მისებურად კეკერაანთ ბიჭი, მანქანაში ჩასვა და ცხელ-ცხელი შოთი პურების მოსატანად წნორში გაგზავნა. აქეთობას ვანოს საბჭოთა მეურნეობის დირექციაში შეევლო თედო ხატიაშვილის ამბის გასაგებად. ფეხად გაასწარითო, ეთქვა მდივან გოგოს, თქვენც გახვედით, რკინიგზის გადასასვლელთან არ იქნებოდით მისული, რომ ისიც მოვიდაო.

ეს ამბავი რომ შევიტყე, თავი დამნაშავედ ვიგრძენი და ავწრიალდი, მაშინვე წასვლა მოვინდომე. ეგ ჩემთვის გითქვამს და მრუდე მიხას კი არ გაუმხილოო, მიჩურჩულა ვანო კეკერაშვილმა, თუ არა აქედან ვერ გავასწრებთ, ორივეს დაგვხოცავსო. ვგიან რომ მივიდეთ და ისევ არ დაგვხვდეს, მაშინ რაღა ვქნა, თბილისში ხელცარიელი როგორ გავბრუნდე და რედაქტორს, ვინც აქ გამომგზავნა, რა პირით ვეჩვენო-მეთქი. შენ მაგის ჯავრი ნუ გაქვს, ყველაფერს მოვასწრებთ, თედოსაც ვნახავთ და მზეც მაღლა იქნება, მხოლოდ მრუდე მიხას ნუ გამაწბილებინებ, პის ყბაში ნუ ჩამაგდებო.

სახელდახელო სუფრა ფიცრულ ოთახში გაიშალა, სადაც, [illegible] მიხამ ათასში ერთხელ, მხოლოდ საპატივცემო სტუმრის გასამასპინძლებლად ანდა თვალის მოსატყუებლად იცოდა შესვლა. შუშა კიტრი, ჭის ცივი წყლით დაწინწკლული პომიდორი, ჯერ კიდევ ნედლი გუდის ყველი, შარშანდელი ჭარხლისა და კომბოსტოს მწნილი, ახალი ჯონჯოლი, მწვანილი, დაბოლოს ოხრახუშმოყრილი მოხარშული და შამფურზე შემწვარი ლოქო, რასაც მრუდე მიხას საყვარელი მუკუზნის თეთრი ღვინო აგვირგვინებდა, ჩვენებრ მოშივებულს კი არა, რომ იტყვიან, ორი კვირის მკვდარსაც ფეხზე წამოაყენებდა და სმა-ჭამის მადაზე მოიყვანდა. ხმაგაკმედილები შევექცით. სუფრის გარეშემო ერთხანს მხოლოდ ნაწყვეტნაწყვეტი ქშენა და ხრაშა-ხურში ისმოდა. მრუდე მიხამ ხელადით წახნაგებიანი ჭიქა შეავსო, ჩვენც მოგვმართა, რაღას უყურებთ, კაცო, ღვინო დაისხით, ღმერთი ვახსენოთო და პირველი დაილოცა. თავჩაღუნულებმა მის მაგალითს მივბაძეთ, ჭიქები გავაპიპინეთ, თითქმის გავტენეთ, ჩვენთვის რაღაც ჩავიდუდუნეთ და ღვინოს ხარბად დავეწაფეთ.

მესამე ჭიქაზე ვანომ „შაშვი-კაკაბი“ წამოიწყო. ნაცარამ, თითქოს ამას დიდი ხანია ელოდაო, მაშინვე ჩამოართვა, ხმას აუწია და სიმღერა ცამდე აიტანა. მრუდე მიხამ გოდრით დადგა ბანი. ამას სხვებიც წამოეშველნენ, ზურგი გაუმაგრეს. არ გაგვიგია, მზე როდის გადაიხარა, როგორ შეიმალა ღრუბლებში, როდის ჩავიდა. უკვე ღამე რომ იყო, მაშინ-ღა შევნიშნეთ, როცა „წინწყარო ჩამავიარეს“ ბანების გუგუნში მრუდე მიხამ კარის სიახლოვეს მჯდომ ვანო კეკერაშვილს ანიშნა, მიწვდი, შენს გზრდას, მანდ ჩამრთველია, სინათლე აანთეო. იმანაც ისე, რომ სიმღერა არ შეუწყვეტია, სახეწამოჭარხლებულმა ჩამრთველს ხელი წაჰკრა, ჭერში ნათურა გაკაშკაშდა და ჩვენ ერთმანეთი ხელახლა დავინახეთ.

— ბიჭო, ნაცარავ, შენ ღვინო ხომ არ დაგილევია? — ჰკითხა მრუდე მიხამ ჩვენს შოფერს, გარეთ რომ გამოვეფინეთ და გზას იქით გადაყენებულ ჩაბნელებულ მანქანისაკენ წავბანცალდით.

— მანდ მოწმედ ვიჯდებოდი?

—გასალახი გვყევხარ, განა არა, მაგრამ ვინა გყავ პატრონი. ავტოინსპექტორი ვიყო, მანქანას თვალით არ დაგანახებ!

— ჰოდა, იმიტომაც არა ხარ!

— სტუმარო! სტუმარი რა გვექნა?

— გისმენთ, ძია მიხა! — ხმა მოვაწვდინე მე.

— თედოსა, ხატიაშვილს, ჩემს მაგივრად მოკითხვა უთხარი. აგრე უთხარ, მრუდე მიხამ მოგიკითხა-თქო! გაიგე?

— გადავცემ, ძია მიხა.

— ესეც უთხარ, არ დაგავიწყდეს: შენ, თედოვ, დიდხანს უნდა იცოცხლო, უშენოდ ეს ქვეყანა რა ქვეყანა იქნება, შამირცხვენია მაგისთანა ქვეყანა-თქო. მე მოვკვდე! იცოცხლე და იყავ ჩვენ იმედათ-თქო. აგრე უთხარ!

— ზუსტად აგრე ვეტყვი, ძია მიხა!

— მრუდე მიხა ისევ ის ბიჭია, შენ რომ გახსოვს, მართალია, ცოტა დაბერდა, ჰკუაც გაუთხელდა, სიბერეს აგრე სცოდნია, გაქრა მაგისი მამგონი, მაგრამ, რაც არ უნდა მოხდეს, არც არასოდეს თავს არ შაირცხვენს და არც შენ შაგარცხვენს-თქო.

— სტუმრისთვის რომ არ დაგებარებინა, ჩვენ კი ვერ მივიტანდით სიტყვასა? — სოფლადაც თავი გამოჰყო ვანო კეჟერაშვილმა.

— შენ რა გინდა, კეჟერაშვილო, რატომ არ დამეხსნები?

— სტუმარი ხვალ წავა, სულ აქ კი არ იქნება, მე კი აქ ვრჩები, გირჩევნია, მე მამეფერო; თუ გინდა საქმე გაგიკეთო იმ შენს სალორიკეტთან და პროკურორთან! ჰა, რას იტყვი ამაზე?

— ზედმეტ ლაპარაკს თავი გაანებე და „ზამთარი" წამაიწყე, ერთიც შავლალადოთ გამჩენსა, იქნება რამე შავასმინოთ, ამაღამ უკეთ დაგვეძინება!

ბევრი ხვეწნა-მუდარა არავის დასჭირვებია, ბიჭებმა ყელი ისევ მოილერეს, ბანებიც აზვირთდა ალაზნის მორევივით და ნაფლეთ-ნაფლეთ გაბნეული ღრუბლებიდან გამომზირალი ვარსკვლავებიც მეტი სიცხადით აბრწყინდნენ ლურჯ ცაზე. ხელი ხელს გადავხვიეთ და წრე შევკარით. ერთმანეთი აღარ გვეთმობოდა, აღარც სიმღერას უჩანდა დასასრული. შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, ცისკრის ვარსკვლავი ამოვიდა, მასპინძელთან ერთად სხვა დამრჩობებსაც რომ გამოვემშვიდობეთ და ჩვენს ჯახრაკ ვილისში ჩავსხედით. მოკლე ფეხისაკენ გადახრილი მრუდე მიხა მანამ იდგა ხელაწეული, სანამ მანქანამ დინგი არ შერგო სიბნელეში და თვალს არ მივეფარეთ. მერე, ალბათ, კოჭლობით გაბრუნდებოდა, ბიჭებს შეუძახებდა, ჰურჭელი აალაგეთ-კე და დაიძინეთ, დილას მე ადრე ავდგები და მოვუვლიო, თავად კი მოგუზგუზე ღუმელისაკენ გასწევდა, შიგ რომ შემახედა. ამაღამ ხომ ცეცხლი უნდა გამოენელებინა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელა შალვაშვილი

## და წამოჩიტდა ნიავი

ხოდაბუნებში მზე იდგა,
ქალწულებრივად ჯანმრთელი,
მზე იდგა, ანდა ზევიდან
დიოდა მისი ნათელი.
ნარჩიტა იჯდა ალვაზე,
არეს უმღერდა შუქიანს;
იჯდა ნარჩიტა ალმაცერ,
იმასაც ჯდომა თუ ჰქვია.
კაცს ჩქამი ესმა... უცადა...
ჰე, ჰე, ჰე, ვინ ხარ, საითო...
არცრას ღელავდა, თუმცაღა,
ასაღელვებიც რა იყო!
არადა, ღელის ხმა მისწვდა,
თურმე, იმისი წკრიალი...
მერე კი ის ხმაც დამიწდა
და წამოჩიტდა ნიავი.
და იმ უზადო სიმშვიდემ,
მზის ქალწულებრივ მზეობამ,
გარემოს წრფელმა სიშიშვლემ
შემმატა კეთილდღეობა.

## სათნოა და... სხვაგვარი

ყველა დედა არის ცხადად
სათნოების საგანი,
ჩემი დედა მაინც სხვაგვარ
სათნოა და სხვაგვარი.
ყველა დედა ლამაზია,
ჩემი — ძალზე მზიანი,
ჰო, ლამაზი რას მიქვია,
უფრო ეთქმის ღვთიანი.
ყველა დედა კეთილია,
ჩემი — ზეკეთილია,
მისთვის შვილი თვისიც, სხვისიც
ერთნაირად შვილია.
ყველა დედა ძლიერია,
ჩემი — ერთობ ძლიერი...
უფრო გულისმიერია,
უფრო — გულისხმიერი.
თმენის ნიჭით ყველა დედა
ერთნაირად ქებულა,
მთმენელს მაინც ვერა ვხედავ
ჩემი დედისებურად...
ყველა დედა არის ცხადად
სათნოების საგანი...
ჩემი დედა მაინც სხვაგვარ
სათნოა და... სხვაგვარი.

## რა ხდება შიგნით

არავინ იცის, რა ხდება შიგნით,
რა ხდება შიგნით, გარედან ცდები...
აი, ეს სახლი, — ფანჯრები მიჯრით,
გასათხოვარის ბინაა დების.
კიდეც გაისმის სიმღერა მათი, —
ფერ-სურნელ მიმქრალს რომ ვარქმევ
იას...
ჰაერში დების სიმღერა დადის,

თუ გოდებასაც სიმღერა ჰქვია.
ქალწულის ცრემლი... რომელიც ტოლის
და სწორის გამო იდუმალ ღვარეს...
რომელიც, არ ჩანს, ცხადია, შორით,
სიმღერის გზითღა გამოდის გარეთ.
და... დაქანცული ქალწული ტანი,

და... დაქანცული ქალწული სული
ჰანგებში ახვევს რამდენი ხანის,
მოაქამომდე შეუცნობ სურვილს;
ჰოი, ეს სახლი, რა ხდება შიგნით,
რა ვნებებს იტევს, შორიდან ცდები...
აი, ეს სახლი, — უცნობი წიგნი —
გასათხოვარის ბინაა დების.

## როდემდე?

როდემდე — ცხარე წყურვილი
უფრო დიდის და მთავრის,
ამ ლექსების თხზვის სურვილსაც
რით არ გაუდის ყავლი...
უფრო მთავარი მწადია,
უფრო საჩინო რამე, —
ამ ფიქრით ვდგები ადრიან,
ამ ფიქრში მოდის ღამეც.

უფრო მთავარი რა არი,
ნაკლებ მთავარი რადა...
და დგება დილის საარი,
ფიქრი მიწყდება აღარ.
როდემდე ცხარე წყურვილი
უფრო დიდის და მთავრის...
ის იქმნას ფიქრით ურვილი,
ვინც მომცა ფიქრის თავი.

## ნუ დამიჯერებთ!

ნუ დამიჯერებთ ცხელ გულზე უარს,
იქნებ უარით კიდეც ვერთობი...
და სიყვარულსაც მიზეზი თუ აქვს,
მიყვარხართ თქვენი ერთადერთობით.
დადგება ჟამი, მოგივათ ჟამი, —
აქეთ გამოგწევთ რაღაცა ძალა...
და მკერდის შიგან დაძრული ჩქამი
გადმოშლის, რასაც გულდაგულ
ჰფარავთ.

მე ვიცი, ახლაც მიმუხთლებს ბედი,
ირწმუნებთ ჩემგან გამოწვდილ უარს...
არ მოვიხარო, მწადია, ქედი,
უარიც ქედის არმოხრა თუა.
რით ვერ გკარნახობთ ალღო ამოდენს,
ჩემი უარი რომ არ ჰგავს უარს...
გაჩხერილი ვარ მოაქამომდე
თქვენს ვედრებას და ჩემს უარს შუა.

## დმანისის მხარე

ომარ ელოშვილს

აი, ეს ჩემი დმანისის მხარე,
ჩემი მამულის ერთი ნაკადი...
და მე ვიგონებ ცრემლების ღვარით,
როგორ მოვიდა იგი აქამდის.
თუკი ვიმღერი, შენთვისაც ვმღერი,
უსაყვარლესო დმანისის მხარევ...
შენ ნუ გამკიცხავ, მოკითხვის მერე,

თუ რაღაც ჩუმად ამიწვავს თვალებს.
შენ ჩემი ხარ და მე კიდევ შენი
და ფიცი-მტკიცი არ უნდა ამას...
მაინც შენს სხვაგვარ მომავალს ველი
და ეს იმედი საოცრად დამაქვს.
მე ვიცი, ცრემლსაც გამიგებ, ჩემო,

რომელიც შენთვის მღერის დღემდე...
და თუკი მე შენს შვილობას ვჩემობ,
მაშინ ამ წმინდა ცრემლებზეც მენდე!
თუკი ვიმღერი, შენთვისაც ვმღერი

და, პირველ რიგში, თუ ვმღერი,
შენთვის...
შენი ცა, მიწა, მინდორ-ველები,
დიდ საქართველოს ამაყად ერთვის.

## ᲓᲔᲓᲐᲩᲔᲛᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲣᲚᲘ

ნუშები, რომლებიც დედაჩემმა დარგო,
ნუშებიც არის და მეტიც,
ხარობს ეს ნუშები, თვალისთვის მარგი,
გადაპენტილია ხედი.
დედაჩემის ხელით დარგული
ალუბლები

ალუბლებია და რაღაცა კიდევ...
მიყვარს ალუბლების თეთრი საუბრები,
სითეთრე სათქმელს რომ იტევს.
ოჰ! ეს დედაჩემის დარგული იები,
იებიცაა და კიდევ სხვა რაღაც...
წმინდა მარინეზე იმდენი მთიებია,
სხვაგან წამესვლება აღარ.

## ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲓᲔ ᲐᲠᲐ!

ეს ათასცხრაას ოთხმოცდა ექვსიც
მიიწურება, მიდის
და იწერება ახალი ლექსი,
შეუდარებლად მშვიდი.
მშვიდი არის და სინათლიანი
ივლისის დღეთა დარად,
მიყვარს ლექსები ნათელ-მზიანი,
მაგრამ მშვიდი კი არა.

სინათლე კი და, სიმშვიდე არა,
ოჰ, ეს სიმშვიდე მღალავს...
ღელვა-სიგიჟე რომ ახლავს მარად,
არაგვად ის ხდის არაგვს.
თორემ, სიმშვიდე თუ დაეუფლა,
ბრალი იმ არაგვს მაშინ...
ჩემო არაგვო, ნუ ქნას უფალმა,
სიმშვიდე დაგყვეს ხმაში!

## ᲡᲮᲕᲐᲒᲕᲐᲠᲘ ᲐᲠᲪᲐ ᲛᲔᲡᲣᲠᲕᲘᲡ

არღუნის წყალი, არღუნი,
ირგვლივ მთები და მთები,
აქ არაფერი გაღონებს,
მარტო სიმაღლის კრთები.
ხან მაღლით დასცქერ მდინარეს,
ხან მიუყვები ახლოს,
აქ ჩემი ძვირად მცინარი,
ამაყი ხალხი სახლობს.
არ მიკვირს ეს სიამაყე,
კაცნი იმსგავსეს მთებმა...

ჩემს თვალში ეს სიამაყე
დიად ღირსებად რჩება.
მაგრამ სინაზეც დაჰყვებათ, —
გამოუთქმელი, მწველი,
აქვს ამ სინაზეს მსგავსება
მათივ ბიბინა ველის.
ასე შერია ხევსურში
ბუნებამ ველი მთებთან,
სხვაგვარი არცა მესურვის
ხევსური... მსურდა მეთქვა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დალილა ბედიანიძე

* * *

მე ვეძებ სიტყვას, მე ვეძებ სიტყვას,
სიტყვას, რომელიც თქვენთან
მომიყვანს.
არ ისწავლება ასეთი სიტყვა,
არ იპოვება ასეთი სიტყვა.

მე გზას დავეძებ, მე გზას დავეძებ,
იმ გზას, რომელიც თქვენთან
მომიყვანს
და ვერ გაივლი ვიცი, ამ გზებზე,
თუკი არ გიყვარს, თუკი არ გიყვარს.

მე ვეძებ იმას, ვინც მართლა მიყვარს,
მაგრამ არ ვიცი დღემდე სად არის,
ვისთვისაც მინდა, ვიპოვო სიტყვა,
ვის გამო მჯერა თვითონ ზღაპარიც.

მე ვეძებ გზას და მე ვეძებ სიტყვას,
სიტყვას, რომელიც მასთან მიმიყვანს,
არ ისწავლება ასეთი სიტყვა...
და ერთ დღეს იტყვი, თვითონვე იტყვი,
თუ მართლა გიყვარს, თუ მართლა
გიყვარს...

## ზღვა

მე ისე გავხდი თოთხმეტი წლის, ზღვა არ მენახა
და როცა ზღვასთან მიმიყვანეს,
გაოცებულმა დავუძახე:
„ზღვაო, ზღვაო, ზღვაო, შენა ხარ?
ზღვამ მიპასუხა,
ზღვამ მიპასუხა,
ზღვამ მიპასუხა — „დიახ!“
და მე დავჯექი ზღვის ნაპირას და ვდარაჯობდი,
რომ ზღვა არსად გაპარულიყო
და თუკი სადმე წავიდოდა, თან გავყოლოდი
და ყოველ წუთს ვეკითხებოდი:
— ზღვაო, ზღვაო, ზღვაო, აქა ხარ?
ზღვა მპასუხობდა,
ზღვა მპასუხობდა,
ზღვა მპასუხობდა — „დიახ!“
მე დამავიწყდა ჩვენი სკოლა,
დამავიწყდა თანატოლები,
მე დამავიწყდა ყველა თამაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ზღვის გარდა აღარავის აღარ ვუსმენდი.
მე არ ვიცოდი, რომ ზღვა ერთია, ერთადერთი
და ყველასია.
მე მეგონა, ზღვა მარტო ჩემი იქნებოდა
და ყოველდღე ვეკითხებოდი:
— ზღვაო, ზღვაო, როცა წავალ, წამოხვალ ჩემთან?
ზღვა მპასუხობდა,
ზღვა მპასუხობდა,
ზღვა მპასუხობდა — „დიახ!“
ერთ დღესაც მითხრეს:
„შინ წასვლის დროა. დამთავრდა შენი არდადეგები!“
მერე ჩამსვეს მატარებელში.
ზღვა დაედევნა მატარებელს. დიდხანს მოსდევდა,
ხან — სირბილით, ხან — ნელა-ნელა...
მე დამაძინეს
და მთელი ღამე მესიზმრებოდა
ზღვა, ზღვა, ზღვა, ზღვა,
ზ ღ ვ ა...
მე მეგონა, გავიღვიძებდი და ზღვას ისევ დავინახავდი,
მაგრამ თვალი რომ გავახილე,
ვაგონის ძველი, ჭუჭყიანი ფანჯრებიდან
ზღვა აღარ ჩანდა
და აღარ ვიცი,
და აღარ ვიცი,
ზღვა მართლა ვნახე, თუ დამესიზმრა.
ზღვაო, ზღვაო, ზღვაო!
არვინ მინდა სხვაო!
არვინ მინდა სხვაო,
ზღვაო!...
ზღვა...

* * *

ახალ-ახალ იარებზე
ლექსებს მაინც დაგაფენო,
შენთანა ვარ, შენთანა ვარ,
შენთანა ვარ, საქართველო!

ოდეს დარდით დაგიღამდეს,
მალე მინდა გაგათენო,
შენთანა ვარ, შენთანა ვარ,
შენთანა ვარ, საქართველო!

ნაზამთრალი, ნაავდრალი
უნდა გამოგაჯანმრთელო.
შენთანა ვარ, შენთანა ვარ,
შენთანა ვარ, საქართველო!

ზოგ-ზოგივით სიყვარული
არ მგონია სადღეგრძელო.
სადაც გიჭირს, შენთანა ვარ,
შენთანა ვარ, საქართველო!

რაც შენ გჭირდა, კიდევ კარგად,
კიდევ კარგად გაუძელო.
არ მსურს, ვიყო. მინდა, გყავდე,
შენთან ვიყო, საქართველო!

შენ ხარ ჩემი სამშობლო და
შენ ხარ ჩემი ბედისწერა.
შენთანა ვარ, შენთანა ვარ,
შენთანა ვარ, საქართველო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მე შემომესმა ჩუმი კაკუნი,
ფრთხილი კაკუნი ფანჯრის მინაზე.
გავინაბე და მივუგდე ყური
და მომეძალა უცბად სინაზე.

სულგანაბული, აღელვებული
ჩემს ფანჯარასთან იდგა ბუნება,
ხელებში ენთო მოძღვნილი გული
და მოუთმენლად მიკაკუნებდა.

სულგანაბული, აღელვებული
მივაწყდი სარკმელს უცხო ჩიტივით.
რა უცბად გაქრა მოძღვნილი გული
და სიყვარულის უგზო ტიტინი.

ნამტირალევი შიშისგან კრთოდა
და გაძარცული იდგა ბუნება
და აკაციის უფოთლო ტოტით
თურმე ზამთარი მიკაკუნებდა.

ჩუ, საგულეში ჩადექი, გულო!
ო, ეს ზამთარი ჩვენი როდია.
აკაკუნებენ ზამთარ-ზაფხული,
ყველას ფანჯრებთან მიდი-მოდიან.

კარს არ გავაღებ, ჩემო ბატონო,
სანამ ზამთარი სულ არ ჩაივლის
და ფანჯარას არ მოუკაკუნებს
აკაციის რტო თეთრი ყვავილით!

## გიტარა

ნეტავ, მქონდეს გიტარა,
ნეტავ, დაკვრა ვიცოდე!
ან პირველს მეტყოდა ვინმე, ან — მეორეს,
ყველა ჩვენთან მოვიდოდა
და უჩვენოდ არსად არ ივლიდნენ.
ძალიან ძნელია, სხვა უკრავდეს, სხვები მღეროდნენ,
შენ კი დასჯილივით იჯდე მარტო,
რადგან გიტარა არა გაქვს და დაკვრა არ იცი,
სული კი მღერის, სული კი მღერის!
დღეს კვირაა. მაღაზიები დაკეტილია.
სამშაბათს გიტარას ვიყიდი,
წავალ მუსიკის მასწავლებელთან და ვთხოვ:
მასწავლებელო, ჩემო კარგო მასწავლებელო!
მასწავლე რამე ისეთი, რომ
ვინც დაიკარგა, გაიგონოს და დაბრუნდეს.
მასწავლე რამე ისეთი, რომ
ვინც მარტოა, გაიგონოს და მიხვდეს, რომ მარტო არ არის!
მასწავლე რამე ისეთი,
რომ ბრმას სინათლე დავუბრუნო,
ყრუ-მუნჯს კი — სმენა და მეტყველება!..
როცა წვიმს ხოლმე
ასე მგონია, ტაშის ხმა მესმის და მრცხვენია —
ტაში ჯერ ადრეა. ჯერ გიტარა გვჭირდება.
ნეტავ მალე მოვიდეს სამშაბათი,
რომ გიტარა ვიყიდო.
მაგრამ მერე ისე იქნება ყველაფერი,
როგორც მე ვფიქრობ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფოლკლორული ასოციაცია

„შეყვარებული ვის არ ჰყოლია,
მაგრამ საფლავში არ ჩაჰყოლია“.
მე კი ჩავყვები, მე კი ჩავყვები,
ასე მგონია, ასე მგონია.

და როცა გიყვარს, ის, ვინც შენ გიყვარს,
ქვეყნად ყველაზე კარგი გგონია.
სხვისთვის ვინ არის, ვის ვინ ჰგონია,
სხვა ყველაფერი მონაგონია.

ზოგი ბევრს იტყვის, მაგრამ — ჭორია,
ზოგი ერთს იტყვის, მაგრამ — სწორია.
ბევრს დაუკარგავს გულის სწორიო,
სხვის გზას და ენას ვინც აჰყოლია.

ბევრი უქიათ, ბევრის ამბავი
ერთმანეთისთვის მოუყოლიათ,
მაგრამ სულ მალე მოჭრიათ თავი,
ვინ ვის გაყრია, ვის გაყოლია!

რამდენი ფიცი, რამდენი მტკიცი,
რა ჭიკჭიკი არ გამიგონია.
ნამდვილ სიყვარულს ეძახდნენ ვისაც
და ვინც ერთმანეთს მართლა ჰყოლია,

ვისაც უყვარდა, მართლა უყვარდა,
საფლავში მაინც ვერ ჩაჰყოლია.
მე კი ჩავყვები... მე კი ჩავყვები...
ასე მგონია, ასე მგონია!

* * *

ერთხელ ჩემს ჩიტს გამოვუღე გალიის
კარი.
გამოფრინდა.
მაგრამ ოთახი უფრო დიდი გალია იყო.
გამოვუღე ფანჯარაც.
გამოფრინდა.
მაგრამ ქალაქი უფრო დიდი გალია იყო.
გავიყვანე ქალაქგარეთ და გავუშვი.
მაგრამ იქით უფრო დიდი გალია იყო...
იფრინა ჩიტმა, იფრინა და
ისევ თავის გალიაში დაბრუნდა ერთ
დღეს.
დაჯდა. აკენკა საკენკი და წყალი დალია.
მე კარი აღარ დამიკეტავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ კლდიაშვილი

## სიჭაბუკის დღეებო!

მიმატოვეთ უპატრონოდ
სიჭაბუკის დღეებო,
აწი სადღა უნდა გპოვოთ,
ჩემო სამოთხეებო!

მატყუარა აპრილებო,
აშვებული აფრებო,
გუდანაბადაყრილებო,
ცხრაფრთიანო ზღაპრებო!

ორღობეში ჩარჩენილო
სიყმაწვილის გზა-კვალო,
იმედივით გაჩორკნილო
ბაფთიანო აკვანო!

თავი ისე მომანატრეთ,
სიჭაბუკის წუთებო,
მოგეძებნეთ ცოტა ადრე, —
გამიჭირდა უთქვენოდ!

ვალი მადევს გვარიანი, —
დამადევით ყადაღა,
ალბათ ჩემი ბრალი არის,
რომ გაგიშვით გადაღმა!

წახვედით და გადიკარგეთ,
მეტირება ხანდახან,
ვიცი, მაინც არ იკადრებთ
შურისგების გადახდას!

ერთხელ მაინც დამენახეთ,
მოგიხადოთ ბოდიში,
ან შორიდან შემომძახეთ,
ანდა ახლოს მომიშვით!

თქვენი სითბო მიწილადეთ,
გაფანტულნო ცალ-ცალად,
თქვენთან ყოფნა სიკვდილამდე
ღმერთმა რად არ მაცალა!

გაგიმეტეთ, გამიმეტეთ,
არც ერთი ვართ მართალი,
ჩვენს გულებში ჩავიკეტეთ
უთქმელიც და ნათქვამიც!

უნდა გპოვოთ, უნდა მპოვოთ
სიჭაბუკის დღეებო,
ჯერ ცოდვა ვარ უპატრონოდ,
მერე, როგორც გნებავთ!

## უკვდავება

ამ უსაზღვრო სამყაროში
ღმერთმა ისე დამკარგა,
კაციშვილი არ მიგონებს
არც ავად და არც კარგად.

ერთნაირად ფასობს თურმე
ყოფნაცა და არყოფნაც,
სიხარულის და ტკივილის
ერთნაირად გაყოფაც.

ერთნაირად ბოლოვდება
უკუღმართი სიკვდილიც,
თითო-თითო ვიპარებით
ვინ ღამით და ვინ დილით.

სანამ პირში სული გვიდგას,
ბეწვის ხიდზე ვკიდივართ,
ამქვეყნიდან იმქვეყნამდე
ოთხი ფიქრით მივდივართ.

იქნებ მართლა ვმეორდებით,
ვით ამბობენ ოდითგან,
და არ გვახსოვს, მერამდენედ
მივდივართ და მოვდივართ.

ღმერთმა იცის, ვინ ვიყავი,
ვიდრე ჩემს თავს ვპოვებდი,
იქნებ მუნჯად დავდიოდი
და დღეს გავხდი პოეტი?!

იქნებ ვიყავ ნაკადული,
ანდა წყარო ცივ-ცივი,
იქნებ ახლა რომ ვიცანი,
მისი ნებით ვიცინი?!

იქნებ ვიყავ ვაზის ფესვი,
ან ფეხმარდი ფოცხვერი?!
იქნებ ვიდექ ხატების წინ
ვინმე ბერი მლოცველი?!

იქნებ ვიყავ... ეჰ, ვინ იცის
ღმერთი ვიყავ იქნება?!
და ფიქრებში დაკარგული
ოცნებები მიქრება...

დაგვეჯეროს უკვდავების
თვით სამარის კარამდი:
არასოდეს მივდიოდეთ,
მოვდიოდეთ მარადის!..

## ექსპრომტი დოგილს

რა ხალხია...
ერთად გვნახეს და იმწამსვე გაგვჭორეს,
ღმერთმა იცის, რას ფიქრობენ, რას ამბობენ, რას
ბჭობენ?!

ამოდენა მითქმა-მოთქმა სულ ტყუილა დაირხა,
ზოგიერთმა არც კი იცის, შენ რომ ჩემი დაი ხარ!

თუარ იცის, ნურც იცოდეს, თუ იცის და იცოდეს,
შენი ერთი შემოხედვა აყვარებდეს სიცოცხლეს!

შენ რომ იყო ულაზათო, უეშხო და ართვალი,
მაშინ იქნებ კი გწყენოდა მათი ტყუილ-მართალი!

მაგრამ რომ ხარ ანგელოზი და თბილისის თვალი ხარ,
ეს ჭორი და აბლაბუდა სწორედ მიტომ დაირხა!

და რომ გყავდეს არჩევანი მაგ ღიმილის მპარავი,
დამერწმუნე, არასოდეს არ გაგჭორავს არავინ!

ეშმაკურად შეგცქერიან ალსავლით და დასავლით,
არავისთვის მემეტები საკუთარი დასავით!

შესაფერი რომ არ შეგხვდეს, გულმა როგორ გაიძლოს,
ალბათ ისევ მე შევარჩევ შენს საკადრის სასიძოს!

სხვამ რა იცის, ჩემთვის ვინ ხარ, ზეციურო დაიკო,
რომ დაგჭირდეს, დარჩენილ წლებს ლუკმასავით გაგიყოფ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სადაც შენ ხარ...

სიყვარულის
კოცონს
დავმორჩილდი
ნებით,
უკვე შენში ვცოცხლობ!
უკვე შენში ვკვდები!

სადაც შენ ხარ,
ყველგან
საუფლო აქვს
უფალს,
ვერ გამოვალ შენგან,
რადგან შენში ვსუნთქავ!

სადაც შენ ხარ,
მეც ვარ,
მეც იქა მაქვს
ბინა,
საკუთარ ფრთებს ვკეცავ
და შენს ფრთებზე მძინავს!

ალბათ უნდა
გლოცო,
გამო შენი
კდემის,
რაკი შენით ვცოცხლობ!
რაკი შენით ვკვდები!

## გულმოსული ლექსი

ვერ მივიტან წამლად
შენს საწამლავს გულთან...
ავდგები და
წავალ,
მოგშორდები სულმთლად!

როგორ ავიცხადო
სიარული ცალად...
ერთიც უნდა
ვცადო:
ავდგები და წავალ!

როცა გთვლიდი ჩემად,
მაინც მქონდა შიში...
თვალი შენკენ
მრჩება,
მაგრამ გული მიშლის!

დღესაც მიმზერ
მწყრალად
უერთგულეს მონას...
წავალ,
ნაღდად
წავალ
და არასდროს მოვალ!...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**რაინერ მარია რილკე**

## რჩეული ლექსები წიგნიდან: ჟამნი

●

რას იზამ, ღმერთო, მე როდესაც გარდავიცვლები?
ჭურჭელი შენი (დამსხვრეული მთლად დავიცლები?)
სასმელი შენი (ავშმორდები და დავიშლები?)
ეს მე ვარ შენი სამოსელი, შენი ხელობა,
მე დამკარგავ და აზრს დაკარგავს შენი ქველობა.

მივინავლები მაშინ შენი კერა და კვამლი,
თბილ სიტყვად ველარ დაგიხვდები ზღურბლთან მოხლილი,
და რომ როგორმე დაგიამო ფეხი მოღლილი,
მე გაგეხდები ჩუმად, როგორც ხავერდის ხამლი.

ჩამოგეხსნები, მაგრამ აღარ მოგესვენება,
რადგან შენს მზერას სისთუმალი თუკი ენება,
ბუმბულად ველარ დავეგები ლბილად და ამოდ,
მზის დასავალზე არ იქნება ჩემი ხსენება,
დამიწყებს ძებნას შენი მზერა, მაგრამ ამაოდ,
ვერ მიპოვის და უცხო ქვებში ჩაესვენება.

მაშინ კი, ღმერთო, მეშინია, რა გეშველება?!

●

უპირველესი სიტყვა შენი: იყავნ ნათელი:
და იშვა ჟამი. დიდხანს დუმდი. მეორედ ითქვა:
ადამიანი. მოჰყვა შიში და ჟრუანტელი
(ახლაც გვაბრუებს მისი ჟღერის კორიანტელი)
და იმის შემდეგ შენი შუშლი კვლავ ფიქრობს დიდხანს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე აღარ მინდა უკვე შენი მესამე სიტყვა.
შემოგლაღადებ ლამღამობით: დარჩი მდუმარი,
დაე, ზრდა შენი უხმაუროდ გვეალმაცეროს.
იყავ სულისთვის ღამეული სიზმრის სტუმარი,
რომ ვით შედეგი უმძიმესი და უჩუმარი
მან მდუმარებით შუბლებსა და მთებში ჩაწეროს.

თავშესაფარი რისხვისაგან სადმე თუ არის,
შენ იყავ იგი. გამოუთქმელს უთხარ უარი.
ღამემ მოიცვა სანახები სამოთხისანი:
მწყემსი იყავ და სამწყსოს ბუკით შემოუარე,
რომ ეს თქვან მხოლოდ: ჩაბერაო, მოგვცა ნიშანი.

●

მრავალ ღვთისმეტყველს ბედად ერგო შენი სახელის
ხნიერ ღამეში ჩაძირვა და სრული გაქრობა.
თვალებს იფშვნეტდნენ ქალწულები შენში გახელილთ,
ვერცხლში ჩამსხდარი ჭაბუკები, შენი მნახველნი,
შენში ელავდნენ, შენ იყავი მათი ლაშქრობა.

შენს ვრცელ, თაღოვან დერეფნებში სიარულისას
ხვდებოდნენ ერთურთს ის მგოსნები, რომლებიც იხმე
და მიანიჭე მეუფება, ვით ხსნა სულისა,
სიტყვათა ფლობის ოსტატობა, სილბო და სიღრმე.

შენა ხარ დიდი მწუხრის ჟამი, მშვიდი და ნელი,
ქვეყნად არსებულ ყველა პოეტს რომ აქცევს მსგავსად.
პირის წიაღის წყვდიადი ხარ, ჩუმი და ბნელი,
და რადგან შენი მოპოვება გაუხდათ ძნელი,
ბაგეებს უნდათ შემოგექდონ ელვარე გარსად.

ათიათასი ქნარის სიმებს რხევით და რწევით
მდუმარებიდან ამოჰყავხარ თანდათან ზევით.
შენმა მხცოვანმა გრიგალებმა მომართეს ბუკი
და ამა ქვეყნად ყოველ საგანს თუ სურვილს ძლევით
მოჰფინეს შენი აღზევების ნათელი შუქი.

●

შენ პოეტებმა მიმოგფანტეს, მიგანამცეცეს,
მათმა ლუღლუღმა გააბრუა მთელი სამყარო,
მე კი მსურს ისევ მოგიყარო თავი, დაგეძებ,
რომ ერთ ჭურჭელში მოგაგროვო და გაგახარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე შენ ათასჯერ წაგწყდომივარ, როს დაღალული
ვხეტიალობდი გრიგალებში. აი, კრძალული
ხელებით მომაქვს, რაც ვიპოვე ხარბი წადილით:
უსინათლოსთვის შენ იყავი თასად განცდილი,
მოახლეთაგან იყავ სადღაც გადამალული,
ყველა მათხოვარს წინ ეჭირე ხელით გაწვდილი
და ზოგჯერ ბავშვში გამოკრთოდა შენი ფარული
არსის და აზრის დიდი ნაწილი.

ხედავ. დაგეძებ. რაოდენ გავვლე მანძილი.

მე ვარ ის ვიღაც, თავის ხელებს რომ მოუძღვოდა,
უჩინარი და მწყემსივით მთმენი.
(ო, ამარიდე გამთვალავი მზერა უცხოთა,
რათა გზა-კვალი არ ამებნეს მე შენს კარამდის).
მე ვარ ის ვიღაც, ვისაც სრულქმნა სწადია შენი,
რომ ამით სრულქმნას საკუთარი თავი მარადის.

●

ვით ღამის დარაჯს, ვენახში რომ უდგას უბრალო
ქოხი, რომელშიც ფხიზლობს ღამით წამის-წამისად,
ასე, შენს ხელში, მეც ქოხი ვარ, ჩემო უფალო,
და ღამეც მე ვარ, მეუფეო, შენი ღამისა.

ვენახი, ძველი ვაშლოვანი, ველი თუ ყანა,
ერთ გაზაფხულსაც რომ არ ცდება და მუდამ ლაღობს,
მარმარილოსებრ მკვრივ მიწაზეც ჯიუტად დგანან
ლეღვის ხეები და სძალავენ ასობით ნაყოფს.

შენს მრგვალ რტოთაგან მოიფრქვევა სურნელი შენი
და არც კითხულობ, მართლა ვფხიზლობ, თუ ეს ძილია.
შენი სიღრმენი ღვებიან და ისე ვით წვენი,
მშვიდად, უშიშრად ამოდიან და გვერდს მივლიან.

●

და მაინც: ზოგჯერ მეჩვენება, რომ არნახული
ყველა სიმღერა, რომლებითაც ოდესღაც მიხმო,
ღრმადა მაქვს ჩემში ისევ მისთვის გადანახული.

აი, დუმს იგი აზვირთებულ თმა-წვერის მიღმა.
ის, საუკუთარი ჰანგებიდან ცდილობს მოღლილი,
კვლავ გაიხსენოს თავი თვისი. და რადგან მიყმო,
ვარ მის წინაშე დაცემული და მუხლმოყრილი.

და აი, მისი სიმღერები უმალ, მაშინვე
წკრიალ-წკრიალით ილვრებიან ისევ მასშივე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

თვალნი დამიშრიტე: მაინც დაგინახავ,
ყურები დამიხშე: მე მაინც მოგისმენ,
ბაგედაგმანულიც გფიცავ: ჩემს შინა ხარ,
ფეხებმოკვეთილიც მოვაღწევ როდისმე.
მომწყვიტე მკლავები, გულით, ვით ცალხელი,
მაინც ამოგწვდები, გულს თუ გამიჩერებ,
ეს ტვინი დაიწყებს ფეთქვას, დამიჯერე.
თუ ტვინსაც დამიწვავ და დამიღადრებ,
მე სისხლით გატარებ.

●

და ჩემი სული არის ქალი, შენი მხლებელი,
ისე ვით რუთი, ნოემინის რძალი კრძალული,
როგორც მხევალი, ყოველივეს აღმსრულებელი,
დღისით შენს ძნებში მოფუსფუსე და მიმალული.
მაგრამ საღამოს, როცა უკვე არის მოცლილი,
განიბანება და შენ როცა ხელს არვინ გიშლის,
ის მოდის შენთან ლამაზად და სუფთად მოსილი,
ის მოდის შენთან და შენს ფერხთით სარეცელს იშლის.

თუ შუაღამით შეეკითხე, მალული ფშვენით
მოგიგებს ჩუმად, მე რუთი ვარ, მხევალი შენი,
შენს ძლიერ ფრთებქვეშ შეივრდომე მხევალი შენი,
შენ ხარ მემკვიდრე...
და ჩემს სულს სძინავს, განთიადი ინათებს ვიდრე,
შენს ფერხთით, გამთბარს შენი სისხლის მჩქეფარე რუთი.
და განრთხმულია შენს წინაშე ისე, ვით რუთი.

●

ვინც კი შენს ძებნაში თავის თავს გამოსცდა,
მას სურდა გამოცდა შენი,
ვინც კი შენს პოვნას თუ მიგნებას ეცადა,
ტყვეობა ეწადა შენი
ხატად თუ ძრაობად.

მე კი მსურს შევიცნო თვით შენი რაობა,
როგორც დედამიწას ქმნა ძალუძს ამისი;
როცა დგას ჩემი სიმწიფის რთველი,
მაშინ მწიფს მთელი
შენი საბრძანისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს ნუ წარმოიჩენ შენ ყოველ წამს,
მე ისეც ვარ შენი მრწმენი და მსახველი.
ვიცი რომ ჟამს,
შენგან განსხვავებით,
ჰქვია სხვა სახელი.

შენ ჩემთვის სასწაულს ნუ მოიმოქმედებ,
შენი კანონების ქმედებაც კმარა,
რომლებიც სულ უფრო, მოდგმიდან მოდგმამდე
ხილულნი ხდებიან მარად.

●

როცა სარკმლიდან მივარდება რამე საგანი,
თუნდაც ისეთი მცირე, კარგად რომ არ ჩანს თვალით,
როგორ აწვება მას სიმძიმის კანონი მალი,
რათა ზღვათაგან მოვარდნილი ქარიშხლის ძალით
დაუშვას ქვემოთ, ბურთია თუ კენკრათაგანი,
და იქ, სამყაროს შუაგულში მისცეს საკანი.

მაგრამ ყველაფერს უთვალთვალებს ფრენის სიკეთე,
მუდამ მზადმყოფი, აიმედებს ყველაფერს ამით,
ყოველ ქვასა თუ რტოს, რომელიც ყვავილს იკეთებს,
თუ ბავშვს, სიზმართა საუფლოში გადასულს ღამით.
მხოლოდ ჩვენ გვბოჭავს სიამაყე დაუძლეველი,
და ლაღ სივრცეში გადაგვყრიან ხეთქებ-ხეთქებით
რაღაც ურთიერთკავშირები გაურკვეველი,
ნაცვლად იმისა, რომ მივენდოთ გონიერ ძალებს
და ხედ მოვიდეთ უნებლიედ და აფეთქებით.
იმის ნაცვლად, რომ სიმჭიდროვეს ბოლო მოეღოს
და ნებიერად მიგვდენიდეს მდინარე ფართო,
ერთმანეთს ვბოჭავთ და გვგონია, რომ ერთად ვართო,
და ვიღაც ერთი წრეს უეცრად თუ გამოეყო,
იგი დარჩება უსახელო, სრულიად მარტო.
უნდა დაიწყოს მან საგნების შესწავლა მძიმედ,
ზუსტად ისევე, ვით ბავშვები ანბანს სწავლობენ,
რადგან საგნები, ღმერთო, რომ გულზე ეკიდა მძივად,
ჯერ არ მომწყდარან და ისევე კონწიალობენ.
ერთი რამ მაინც უნდა შესძლოს ისევ და ისევ:
ვ ა რ დ ნ ა, და იყოს გარინდული უზომო თმენით
იმ სიმძიმეში, რომელიც გრძნობს თავს ლაღად ისე,
რომ სურს აჯობოს ყველა ფრინველს თავისი ფრენით.

(რადგანაც უკვე ანგელოსნიც აღარ ფრინავენ.
მძიმე ფრინველებს დაემსგავსნენ სერაფიმები,
მ ი ს გარშემო რომ ჩამომსხდარან ფიქრში წასულნი;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისინი ჰგვანან პინგვინისმსგავს ფრინველთ ნაფლეთებს,
რომელთაც უკვე დაუწყიათ გადაშენება...).

●

სოფლის ბოლოში მარტოდმარტო სახლი დგას ერთი,
თითქოს სამყარო თავდებოდეს სწორედ აქავე,

ქუჩა, რომელსაც ეს სოფელი ველარ აკავებს,
ნელა განაგრძობს თავის სავალს და ღამეს ერთვის.

ორ სივრცეს შორის გახიდულა ციცქნა სოფელი,
შეშინებული და რაღაცის წინათმგრძნობელი.
ბილიკის ნაცვლად გზა ევლება ვრცელი და გრძელი...

სოფლიდან აყრილთ მიიდენის წუთისოფელი
და ბევრს იმათგან ალბათ გზაში სიკვდილი ელის.

●

ზოგჯერ ვიღაცა ვახშმობისას სასმისს არ დაცლის,
გადის გარეთ და მიდის, მიდის, არ უხვევს გზიდან,
აღმოსავლეთით, სადაც ელის საყდარი წმიდა.
და მას შვილები იხსენებენ, როგორც გარდაცვლილს.

სხვა შინ კვდება და მაინც თითქოს ნაშიმშილევი
კვლავ ისე უზის თავის სუფრას, როგორც დაიწყო.
მაგრამ გამოვლენ სამყაროში მისი შვილები
იმ საყდრისაკენ, რომელიც მან იგულმავიწყა.

●

შენ ხარ მერმისი, ცისკარი და დიდი აისი
მარადისობის; და შენ მამლის ხმობად გაისმი
დროის ღამეში და მქრქალდება ის ფერმიხდილი.
შენ ხარ ქალწული, ცვარი, ლოცვა უზენაესი,
უცხო ვიღაც ხარ. დედა ხარ და შენ ხარ სიკვდილი.

სახე ხარ, მარად შენივ სახის გარდამსახველი
და მარტოდმარტოს არად გიჩანს ბედის ცვალება.
ველური ტყე ხარ, არვინ იცის შენი სახელი,
არც ზარ-ზეიმი გღირსებია, არც შებრალება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა საგანთა ღრმა აზრი ხარ, შენსას კი მალავ,
არავის ანდობ ბოლო სიტყვას, არვის მომართავ.
ყველას სხვაგვარად ეჩვენები, სხვადასხვა ძალად,
ხომალდს ნაპირად ეგულვი და ხმელეთს ხომალდად.

●

ღმერთო, მე მინდა ვიყო ერთად მრავალი მწირი,
შენს სამლოცველოდ გრძელ ქარავნად გეახლო ბევრი,
დიდი ნაწილი ვიყო შენი და არა მცირე:
ბალო, ხეივნად დაბურული ცოცხალი ტევრით.
ასე რომ დავალ განდეგილი, მარტო, ეული,
ვერავინ მ ხ ე დ ა ვ ს, ვრჩები მუდამ ვერშემჩნეული,
ეს ვის ალაგზნებს? ვინ გავხადო შენი წვეული?
ვინ მოგიქციო? აქ არაფერს არა აქვს ფასი.
კვლავ იცინიან. და მეც ვხარობ: გაიხარეთ!
ისე დავდივარ, როგორიც ვარ და რადგან ასე
ველარ მხედავენ მხიარულად მოხარხარენი.

●

ღლისით შენ ოდნავ ისმინები, თუმც შენი ლტოლვა
მაინც იგრძნობა, ყველას ირგვლივ ჩუმად საუბრობ;
შენ ხარ საათის რეკვის შემდეგ დუმილის თრთოლვა,
თანდათანობით რომ იხშობა უფრო და უფრო.

და რამდენადაც უფრო მეტად დაეუფლება
დღეს დაღლილობა და ღამეში მიწვება რწევით,
ღმერთო, მით უფრო გაიზრდება შენი სუფევა
და სახლებიდან, როგორც კვამლი, ამოვა ზევით.

●

აწ უკვე მწიფან მეწამული კოწახურები,
კვლებში ხანდაზმულ ასტრებს სუნთქვა თითქმის ელევა,
ვინც ნაზაფხულევს ვერ მოიმკო საზრდო ულევი,
აწ იმას უკვე არაფერი არ ეშველება.

აწ ვისაც უკვე აღარ ძალუძს მოხუჭვა თვალის,
არადა მასში არსებული ლანდები მფრთხალი
ღამის დადგომას მოელიან, რომ მთელი ძალით
მისი არსების უკუნეთში წამოდგნენ დასად,
განწირულია სასიკვდილოდ, მოხუცის მსგავსად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას არაფერი ეშველება და დღე ყოველი
ცილისწამებად გადაექცევა, დაკარგავს იმედს,
შენც, ღმერთო ჩემო, ემსგავსები იმ ლოდს, რომელიც
მას დღენიადაგ სიღრმისაკენ ეწევა მძიმედ.

●

ეგებ უმძიმეს მთების გული მკვრივძარღვეულად
მიველინები, ვით მადანი, ღრმად და ეულად.
ჩემთვის შორეთი დანთქმული და დაქცეულია,
ირგვლივ ყოველი სიახლოვედ გადაქცეულა
და ეს ყოველი სიახლოვე ქვადქცეულია.

მე ჯერ არ ვიცი მწუხარების არსება ბნელი,
მიტომ მაკნინებს ესეოდენ დიდი უკუნი;
თუ ეს შ ე ნ ა ხარ: ჩამოზვავდი, დამემხე, გელი:
ჩამომაწვდინო ეგებ შენი მთლიანი ხელი
და მეც ამოგწვდე მთელი ჩემი გრგვინვა-გუგუნით.

●

და სილატაკე არის დიდი შუქი სულისა.

●

შენ ხარ ლატაკი, უპოვარი, უბრალო ქვა ხარ,
რომელსაც არსად გაგაჩნია ადგილი შენი,
ეჟვანშებმული კეთროვანის ჟღარუნით დახვალ,
ვისთვისაც მარად დახშულია ქალაქის ბჭენი.

შენ ხარ ქარივით შიშველი და არაფრისმქონე,
და თვით სახელსაც ველარ ირგებ შენუნებურად,
საყოველდღეო ციცქნა კაბა ობოლ გოგონებს
უფრო საკუთრად აცვიათ და უფრო მეფურად.

ხარ ლატაკი და უქონელი ისე, ვით ძალა
ჩანასახისა, ქალიშვილის შიგანს რომ თუთქავს,
რომელსაც იგი წელშეკრული კუმშავს და მალავს,
რათა მოგუდოს ორსულობის პირველი სუნთქვა.

შენ გაზაფხულის წვიმასავით ხარ უპოვარი,
სახურავებზე რომ ეშვება ლაღი წკარუნით,
საკანში მყოფთა სურვილი ხარ მსასოოვარი,
რასაც მარადის განიცდიან უსამყარონი.
შენ ხარ სნეულის გვერდის შეცვლა, შვება ოდნავი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით ყვავილები ნაურმალში, ნავალ-ნადაგი,
ქვითინი ხელებსჩატირული, გულდამკოდავი,
იმ ხელებივით არასმქონე, ღარიბ-ღატაკი.

შენს უმწეობას არაფერი უკვე აღარ გავს,
რა არის ჩიტი გაყინული, მშიერი ძაღლი,
ან დამწყვდეული ცხოველები, მზირალნი ნაღვლით,
აღარავინ რომ არ იხსენებს ტყვეობით დაღლილთ.
ანდა რა არის საკუთარი თავის დაკარგვა?
ვერ შეედრება შენს სისაპყრეს, დილაადრიან
მათხოვრები რომ აითრევენ ცარიელ აბგას,
წისქვილნი არა, სულ პატარა ქვები არიან,
მაგრამ ისინი მაინც ფქვავენ ერთ მუჭა საფქვავს.

შენ კი ულრმესად უსახსრო ხარ და უპოვარი,
სახეფარულად მოგლახავე, მარად მთხოვარი;
ვარდად გაშლილი სილატაკე,
მარად მლმობელი
და ოქროების მზის სხივებად გადამდნობელი.

ხარ უსამშობლოდ დარჩენილი ისე, ვით ქარი.
გახველ გარეთ და გაიხურე სამყაროს კარი:
ესოდენ მძიმე ყველასათვის, დამქცევ-დამნგრევი.
გრიგალში გრგვინავ. შენ ხარ თითქოს გრძნეული ქნარი.
რომლის სიმებსაც შემოემსხვრია ყველა დამკვრელი.

გერმანულიდან თარგმნა **ვახუშტი კოტეტიშვილმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჭელიძე

გამოჩენილ ქართველ მწერალს, მთარგმნელს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს, ვახტანგ ჭელიძეს, დაბადების 70 წელი შეუსრულდა. ჟურნალ „მნათობის" კოლექტივი და რედკოლეგია ულოცავს ღვაწლმოსილ მწერალს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს დიდ შემოქმედებით წარმატებებს. მკითხველს კი ვთავაზობთ იუბილარის ახალ ლიტერატურულ ნაშრომს.

# მეცხრამეტე საუკუნის სილუეტები

ჩვენი თაობის ადამიანთა ცნობიერებაში მეცხრამეტე საუკუნე მარტო წიგნებით არ შემოსულა — ჩვენ მოვესწარით ადამიანებსაც, რომელთაც აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით უცხოვრიათ წარსულ საუკუნეში, ილიასა და აკაკის შეხვედრიან, მათთან ურთიერთობა ჰქონიათ... და როცა მათგან ვისმენდით გარდასულ ამბებს, თითქოს თვალწინ გვიცოცხლდებოდა ის დიდი საუკუნე, მის განუმეორებელ ფერებს ვხედავდით, მის მაჯისცემას ვგრძნობდით, სუნთქვა გვესმოდა მისი. თვით ამ ადამიანებს დაჰკრავდათ წარსული საუკუნის ფერი, იმ საუკუნის მადლი გადმოჰყოლოდათ, და სწორედ ეს განგვაცდევინებდა ცოცხლად არც თუ ძალიან შორეულს, მაგრამ ჩვენს ცნობიერებაში ლეგენდის სიდიადითა და მკრთალი ელვარებით შემოსულ წარსულს.

იმ ადამიანთა შორის ყველაზე კოლორიტული და ყველაზე „მეცხრამეტე საუკუნისეული" თედო სახოკია და შალვა დადიანი იყვნენ.

თედო სახოკია დადიანზე რამდენიმე წლით უფროსი იყო, მაგრამ ჩვენს შეგნებაში ისე დამკვიდრდნენ, როგორც ერთი თაობის მწერლები. სახოკია ასკეტური შესახედაობის კაცი იყო, ტანმორჩილი უფრო ეთქმოდა (ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო მოხუცობაში, ასეთი დამამახსოვრდა), გამხდარი, ფერმკრთალი, მკაცრი უფრო, ვიდრე ლაღი; ერთი შეხედვით გაუცინარს ჰგავდა, მაგრამ როცა გაიცინებდა, ძალიან უხდებოდა; განუსაზღვრელ სიკეთეს აფრქვევდა მისი თვალები მაშინ: თითქოს გეფერებოდა, გამხნევებდა, გულს იმედითა და სიხარულით გივსებდა...

ოთხმოცდარვა წელი იცოცხლა თედო სახოკიამ, მაგრამ როცა მის ნალვაწს გაეცნობი, როცა მის ბიოგრაფიას გადაავლებ გონების თვალს, გეგონება თითქოს ორი საუკუნე მაინც დაეტევის. ძნელი დასაჯერებელია, ერთი ადამიანის სიცოცხლე ეყოს იმას, რაც თედო სახოკიას შთამომავლობისათვის დაუტოვებია, რაც მას თავს გადახდომია. 1956 წელს გარდაიცვალა იგი. ჩვენ თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით, ხელში ძველებურად ჯოხმომარჯვებულს — თუმცა ეს ჯოხი მიწას იშვიათად შეხებია, უფრო ხშირად იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი; ვხვდებოდით ქუჩაში, რედაქციებში, გამომცემლობებში, მუდამ მხნესა და მხრებში გამართულს, და თითქმის მუდამ გაუცინარს... გიკვირდა, რომ ეს კაცი ჯერ კიდევ ეგნატე ნინოშვილს მფარველობდა და მზრუნველობდა; ეგნატე ნინოშვილი 1894 წელს გარდაიცვალა — დასნეულებული, განადგურებული, თითქმის ყველასაგან დავიწყებული. და საოცარი ის არის, რომ იმ ჯანგატეხილ კაცს, გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, მხარში ედგა და ამხნევებდა ჩვენი თანამედროვე, ჩვენი საუკუნის სამოციან წლებს მოღწეული ადამიანი. სწორედ მას უხსნის გულს, მას შესჩივის, შველასაც მისგან ელის ცხოვრებისგან გაქელილი, მარტოდ დარჩენილი ეგნატე ნინოშვილი: „მაშ, რა ვქნა, ძმაო? ხომ გინახავს ფრთებდაჭრილი ფრინველი, რომელიც ალმა-დალმა გასაფრენად იწევდა, მაგრამ ძალი კი არ შესწევდა? სწორედ ამ ფრთებდაჭრილ ფრინველს ჰგავს ჩემი წადილიც, გულს სწყურია, ენატრება"...

ლიტერატურის ისტორიკოსებისა და მათთვის, ვინც ოდესმე ეგნატე ნინოშვილის ცხოვრებითა და შემოქმედებით დაინტერესებულა, ეს წერილი კარგად არის ცნობილი. მაგრამ იქნებ ყველას არ ახსოვდეს, რომ წერილის ადრესატი თედო სახოკიაა, 20 წლის ყმაწვილი კაცი...

და ისევ ეგნატე ნინოშვილის წერილი, თითქმის იმავე ხანებში დაწერილი, ისევ თედო სახოკიასადმი:

„მე ჩოჩხათში ვარ. მაციებს... ერთი რამ უნ-

და გთხოვთ — თუ შეგიძლია, მომიხერხე „ივერიის“ რედაქციაში მუდამი სამუშაო. ავად ვარ, მაგრამ რა ვუყო, კარგად როდის ვყოფილვარ! სანამ ცოცხალი ვარ, ჭამა ხომ მინდა!.. ერთი სიტყვით, თედო, თუ ჩემთვის კარგი გსურს, გამიწყვე ეს საქმე“...

ამ წერილებს, ჩვეულებრივ, გაიხსენებენ ხოლმე ეგნატე ნინოშვილის ბიოგრაფიის შესავსებად, მწერლის მძიმე ყოფისა და მისი სულიერი მდგომარეობის წარმოსადგენად. თითქოს სასიკვდილოდ განწირული კაცის სუნთქვა მოჰყვება ამ სიტყვებს, სიცხიანი ადამიანის ანთებული თვალები შემოგვცქერის, როცა ვკითხულობთ... მაგრამ იგივე წერილები როგორ ავსებს თვით თედო სახოკიას ბიოგრაფიას, როგორ გვაჩვენებს მის ხასიათს, რამდენ შტრიხს მატებს მის პორტრეტს.

და აქვე არ შეიძლება, არ გავიხსენოთ თედო სახოკიას წერილები ივანე მაჩაბელთან. ეს წერილები დათარილებულია 1898 წლით. ამის შემდეგ მაჩაბელს დიდხანს ალარ უცოცხლია. მას მძიმე ოპერაცია აქვს გადატანილი, დასნეულებულია, საზოგადოებრივი მოღვაწეობისგან თითქოს განზე გამდგარი, გულგატეხილი... და ამ დროს იგი სოხუმიდან იღებს ახალგაზრდა კაცის წერილს — გამამხნევებელს, მანუგეშებელს, კვლავ სიცოცხლისკენ მომწოდებელს... ცოტა უფრო ადრე თედო სახოკია მაჩაბელს აუწერდა იმ მძიმე მდგომარეობას, რაც მეფის მთავრობის რეაქციულ პოლიტიკას გამოუწვევია მთელს იმ მხარეში და სთხოვდა, კენჭი ეყარა ქალაქის მმართველობაში, იმედი ჰქონდა, რომ მაჩაბლის ავტორიტეტი გადასწონიდა და რეაქციული ძალები წინ ვერ აღუდგებოდნენ... მაშინაც მხარში ამოდგომა იყო ეს. ახლა კი, ამ 1898 წლის გაზაფხულზე თედო სახოკია სოხუმიდან საჩუქარს უგზავნის დასნეულებულ და გულგატეხილ ადამიანს. სწორედ ეს საჩუქარია ჩვენთვის საინტერესო. იგი უგზავნის ნერგებს, სუბტროპიკული მცენარეების ნერგებს და წერილით ასწავლის, როგორ გაახაროს, როგორ მოუაროს... ამ ნერგებმა სიცოცხლის სურვილი უნდა აუნთონ გულში სნეულსა და გულგატეხილ ადამიანს... და მარტო სიმბოლიური მნიშვნელობა როდი აქვს ამას. იგი ყოველდღიურად უნდა ჩავიდეს ბაღში და უყუროს, როგორ თანდათანობით ილვიძებს, როგორ თანდათანობით უბრუნდება სიცოცხლე დამჭკნარ მცენარეს... და, აი, მაჩაბლის საპასუხო წერილიც, ალბათ ერთ-ერთი უკანასკნელი, რაც კი მას დაუწერია, რადგან ამის შემდეგ სამი თვეც არ გასულა, რომ მაჩაბელი დაიღუპა. წერილი 1898 წლის 7 აპრილით არის დათარილებული. „ძმაო თედო, დიდი ხანია, მინდოდა პასუხი მომეწერა თქვენთვის, მაგრამ ავადმყოფობა მიშლიდა. ეხლა ბევრით უკეთა ვარ, ჭრილობა თითქო მთელდება და კალმის ალებას ისე ალარ მიშლის. თქვენი გამოგზავნილი ხეები მივიღე; მეორე დღესვე ჩავარგველვინე ბაღში და დღეს დავათვალიერე, რადგან ამინდმა ნება მომცა გარეზე გასვლისა. ჩაის ბუჩქის ფოთლები ჯერ კიდევ მწვანეა, ინდურ მცენარეს არა ეტყობა რა და ხურმას ორივე ფოთოლი გამოაქვს, კოკრები უჩანს. იმედია იხარებენ და თქვენს სახსოვრად დაგვრჩება. დიდად მადლობელი ვარ მოგონებისათვის, მაგრამ ვინ იცის, რამდენს შეწუხდებოდით ამაების გამოგზავნაში... ჩვენებმა მრავალი მოკითხვა გიძლვნეს. პატარები ძალიან გიმადლიან ხეების გამოგზავნისათვის. თქვენი მარად ერთგული ი. მაჩაბელი“.

ძალიან ბევრ რამეს ვგებულობთ თედო სახოკიას კერძო წერილებიდან. ეს წერილები ავსებენ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიას, მარტო ის ფაქტი, რომ სრულიად ახალგაზრდა კაცს ასეთი მიმოწერა ჰქონდა მაშინდელ დიდ მოღვაწეებთან, თავისთავად ბევრისმეტყველია.

ჩამოთვლაც კი ძნელია, რამდენი რამ გაუკეთებია თედო სახოკიას, ალბათ ზოგი რამ გამოუქვეყნებელიც დარჩა. და რაც უფრო მალე მოხერხდება მისი თხზულებების თავმოყრა და ტომეულებად გამოცემა, მით უფრო კარგი იქნება ჩვენი ლიტერატურისათვის, საერთოდ ჩვენი კულტურისათვის, მით უფრო მალე ჩადგება იგი ახალგაზრდობის აღზრდის სამსახურში. გიძნელდება თქმა, რომელს უფრო მეტი მნიშვნელობა მისცე —

„ხატოვან სიტყვა-თქმათა ლექსიკონს“, ამ საოცარ წიგნს, რომელიც არღვევს ჟანრობრივ რკალს და გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მას სათაური გვიხასიათებს — ერის სულიერ ცხოვრებას ჰფენს შუქს, ქართველი ადამიანის ბუნებას გვიხსნის, მის ხასიათს გაგვაცნობს,

თუ ასევე საოცარ „მოგზაურობანს“, რომელიც აგრეთვე ეთნოგრაფიის ჩარჩოებში ვერა თავსდება და დოკუმენტური პროზის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს, დიდი ბელეტრისტის ხელით გამოკვეთილი ხასიათებითა და სურათებით,

თუ მის თარგმანებს, რომელთაც ჭეშმარიტად გაამდიდრეს ქართული ლიტერატურა და ბევრი თაობის ადამიანი აზიარეს უცხოეთის დიდ მწერლობას,

თუ მისივე საოცარ მოგონებებს, სადაც მომხდარ ფაქტებს მშრალად კი არ გადმოგვცემს, არამედ ცოცხალ სურათებად გვიხატავს წარსულის ამბებს...

როგორი ცოცხალი იუმორი დაჰკრავთ ამ მოგონებებს და რა კარგად გვიხატავენ მათ ავტორს.

რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის ჯერ ისევ ხავსებით ახალგაზრდა თედო

სახოკიას აპატიმრებენ და ციმბირში ასახლებენ. საერთოდ თედო სახოკიას რევოლუციურ მოღვაწეობას, მის ბრძოლას ცარიზმის კოლონიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ საგანგებო შესწავლა სჭირდება — ბევრი უცნობი ეპიზოდი ამ მოღვაწეობისა გამომზეურებას ელის. მეფის მოხელეები ხედავენ, რა აქტიურად იბრძვიან ახალგაზრდა სახოკია და მისი მეგობრები ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის და მკაცრ ზედამხედველობას აწესებენ მასზე. ასე იყო ჯერ კიდევ ადრე, პირველ რევოლუციამდე, ასე იყო რევოლუციის წლებში, ხოლო რეაქციის დროს კიდევ უფრო გამკაცრდა ეს ზედამხედველობა. ამას ადასტურებს ერთი საიდუმლო დოკუმენტი, იგი შედგენილია კავკასიის ოლქის მთავარმართებლის სამხედრო-სამოქალაქო კანცელარიის მიერ:

«Дело об исследовании благонадежности проживающих в сухумском округе Федота Тимофеевича Сахокия, Антимоза Ивановича Джугели... являющихся главными представителями грузинской партии, противодействующей мероприятиям правительства по обрусению населения округа и принятия против них административных мер воздействия».

როგორც ითქვა, თვითმპყრობელობის წყობილების წინააღმდეგ თედო სახოკია თავიდანვე განეწყო, როცა სემინარიაში სწავლობდა და სემინარიელ იოსებ ლალიაშვილთან და შიო დედაბრიშვილთან (არგვისპირელთან) მეგობრობდა. და საინტერესოა, როგორ მოიშორეს თავიდან სემინარიის მმართველებმა არასასურველი მოსწავლე — მასვე დააწერინეს განცხადება:

«По совету семинарского доктора мне небезопасно продолжать свое умственное развитие»...

ამიტომ სასწავლებლიდან დამითხოვეთო. და, რაღა თქმა უნდა, „გაათავისუფლეს პირადი განცხადების საფუძველზე“. ასე ერჩივნათ, ზოგი თავისივე ნებით უნდა წასულიყო, ყველას ხომ არ გარიცხავდნენ (სხვათა შორის, იმავე ხანებში გარიცხეს იოსებ ლალიაშვილიც, რომელმაც მალე ჩუდეცკი მოჰკლა), როგორ არ უთავსდება სახოკიას თავის ნებით წასვლას იმავე ხანებში დაწერილი ერთი ბრძანება: მეორეკლასელი სემინარიელი ხარიტონ კასრაძე გარიცხეს იმ მოტივით, რომ „მეგობრობს სახოკიას — თითქმის აშკარა ურწმუნოსა და სოციალისტს“.

ამის შემდეგ გასაკვირი აღარ არის, რომ თედო სახოკია ახალგაზრდობიდანვე თაყვანისმცემელი გახდა გარიბალდისა, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებს ხელმძღვანელობდა იტალიაში და რომლის სახელი მაშინ მთელს ქვეყანას მოედო — რაღა თქმა უნდა საქართველოშიც პოპულარული გახდა. ეს სიყვარული ბოლომდე გაჰყვა მწერალს, მას ოთახში გარიბალდის სურათი ეკიდა კედელზე; საგულისხმოა, რომ თარგმნა კიდეც გარიბალდის „კლელია“ და წინასიტყვაობა დაურთო...

ერთი სიტყვით, რევოლუციური ბრძოლების მონაწილე ახალგაზრდა კაცს აპატიმრებენ და ციმბირში ასახლებენ. იგი ახერხებს ციმბირიდან გამოქცევას. ირკუტსკიდან მეორე კლასის ვაგონით მოდის. და მწერალს ჩვეული იუმორით აქვს აღწერილი ეს მგზავრობა. კუპეში თანამგზავრებად მეფის ჯარის ოფიცრები შეხვდებიან. გადასახლებიდან გამოქცეულ ქართველ რევოლუციონერსა და ამ ოფიცრებს ძალიან მოეწონებათ ერთმანეთი. ოფიცრებმა არ იციან ახალგაზრდა კაცის ვინაობა და თავგადასავალი. თედო საინტერესო მოსაუბრე კაცია, განათლებული, ევროპული ენების მცოდნე. ერთ-ერთი ოფიცრის ცოლს ფრანგული სცოდნია, პარიზში უცხოვრია, და ამ ქალს გადასახლებიდან გამოქცეული ახალგაზრდა ფრანგულად გაუბამს საუბარს, „ქმრისდა სასიამოვნოდო“, ლაღი იუმორით შენიშნავს შემდეგ ჩვენი მწერალი. ალბათ რამდენჯერ შეიხედეს ჟანდარმებმა კუპეში, მაგრამ ვინ რას გაუბედავდა, ეჭვს ვინ აიღებდა, რომ ოფიცრებთან ასე მეგობრულად მოსაუბრე კაცი ციხიდან გამოქცეული რევოლუციონერი იქნებოდა. ორი კვირა დასჭირდა მგზავრობას თბილისამდე. თბილისში ციმბირიდან გამოქცეული ახალგაზრდა კაცი ახალ მატარებელში გადაჯდა. აქ მეტი საშიშროება ელის, აქ ბევრი იცნობს მას. მაგრამ ახლაც, თითქოს განგების ძალით, რუსი გენერალი მოხვდა მასთან ერთად კუპეში. ახლა მითუმეტეს დაცული აღმოჩნდა უსიამოვნო თვალთაგან: გენერალი ბოტანიკის დიდი მოყვარული ყოფილა და ახალგაზრდა ქართველი რევოლუციონერისათვის არც ბოტანიკა გამოდგა უცხო საგანი. ამან ძალიან გაახარა გენერალი, გატაცებით ისაუბრეს საქართველოს ფლორაზე, აქაურ სუბტროპიკულ მცენარეებზე, და ისე დაუახლოვდა გენერალი უცნობ კაცს, რომ ახლა უკვე ახალი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა ახალგაზრდა რევოლუციონერი: გენერალს საინტერესო თანამოსაუბრესთან განშორება გაუძნელდა, და ამბის კომიკური მხარეც ის არის, რომ აღარ ეშვება ეს კაცი— გინდა თუ არა, პატივი უნდა დამდო და სახლში მესტუმროო. ძლივს დააღწია თავი.

და კიდევ ერთი ეპიზოდი ლტოლვილი კაცის სახიფათო მოგზაურობიდან, როგორც ბოლო აკორდი სევდგარეული იუმორით მოთხრობილი თავგადასავლისა. აჭარელმა ბეგებმა საზღვარგარეთ უნდა გააპარონ თედო სახოკია. ისინი გონიოში მცხოვრებ ლაზს, ნავის პატრონს, ჩააბარებენ ახალგაზრდა რევოლუციონერს, რათა ყოველგვარი ეჭვი აცილებულ იქნას. ნავის

პატრონმა „ეტლით გონიომდე მიმიყვანა. გონიოში საზღვარზე დაყენებულ რუს დარაჯების (კორდონის) ცხვირწინ ჩამსვა ნავში, წამყვანად ორი ლაზი მენავე მაახლა და ხოფასკენ გამიყენა გზას“. ერთხანს ნიჩბებს უსვამდნენ მენავეები, მერე ზურგქარმა დაუბერა, იალქნები გაშალეს და პაპიროსი გააბოლეს. მგზავრსაც შესთავაზეს პაპიროსი, ქართულად ელაპარაკებიან. ყველაფერი თითქოს ნორმალურად და სასიკეთოდ დაიწყო. და უცებ ერთი მენავე ლაზურად გამოელაპარაკა მეორეს: „ვინ უნდა იყოს ეს კაცი?“ ვიღაც გამოქცეულია; ეტყობა, ყაჩაღიაო, მეორემ უპასუხა. ამ ჩია კაცის ყაჩაღობას ცოტა არ იყოს ეჭვითა და ირონიით შეხედა პირველმა და ასე გაგრძელდა ეს დიალოგი — ვერ გაარკვიეს, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ეს კაცი, რომელმაც „მოსკოვის ფადიშაჰს“ ხალხი აუჯანყა თურმე (ასე გააცნო და ჩააბარა მათ ეს კაცი ნავის პატრონმა ლაზმა). რა თქმა უნდა, შეუძლიათ, ქართულად გამოელაპარაკონ და მისგანვე გაიგონ, რაც აინტერესებთ, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ბოროტი ზრახვა გაუჩნდათ. რაკი უცხოეთში მიდის ეს კაცი, უსათუოდ ფულიანი იქნება — წავართვათ ეს ფული, მოვკლათ და ზღვაში ჩავაგდოთ, ვინ რას გაიგებს? ასე ელაპარაკებიან ერთმანეთს ლაზურად, დარწმუნებულები, რომ მგზავრმა ლაზური არ იცის. მაგრამ ისიც უჭირთ, ნავის პატრონს ულალატონ. და ასეთ ყოყმანში არიან, ნავი ამ დროს ნაპირის გასწვრივ მიცურავს, და თუმც კი შორს არის ნაპირიდან, ზღვისპირა სოფლები მაინც მოსჩანს. და უცებ მგზავრი ჰკითხავს მათ მეგრულად — ეს რომელი სოფელი არისო. მეგრული და ლაზური ერთია, და მათი ნალაპარაკევი ყველაფერი მესმოდაო, თედო სახოკია იგონებს მერე. ჯერ გაკვირვებისგან პირი დააღეს მეგზურებმა, მერე კი საშინლად შეწუხდნენ, და ისევ მგზავრმა გამოიყვანა ამ უხერხული ყოფიდან: თქვენი ლაპარაკი მესმოდა კიდეც და იმასაც ვგრძნობდი, რომ ხუმრობდით, და იმიტომ არ გავიღე ხმაო, უთხრა. მენავეებმა დაირცხვინეს, და სთხოვეს თედოს — ჩვენს პატრონს ნუ გააგებინებ ამ ჩვენს უხერხულ ხუმრობასო. ასე შემთხვევით გადარჩა მაშინ თედო სახოკია.

და კიდევ ერთი შემთხვევა, რომლის კომიკური ხასიათი თავიდანვე იყო მოფიქრებული და გათვალისწინებული. ეს ზემოთ მოყვანილ ეპიზოდებზე ადრინდელია, 1903 წელს მომხდარი ამბავია. საფრანგეთის გემმა ჩამოიტანა არალეგალური ლიტერატურა, რომლის გემბანიდან წამოღება დაევალა თედო სახოკიას. ეს არ იყო ადვილი საქმე, ისე გაფაციცებით სინჯავდნენ ყველაფერს. ახალგაზრდა რევოლუციონერმათან გაიყოლა ერთი გამორჩეულად ლამაზი ქალი, ხელი გამოსდო და თითქოს არაფერიო, დინჯად ავიდა გემბანზე, ახლადჩამომდგარი გემის დასათვალიერებლად. ქალი ეტყობა გამომწვევად აუუუნებდა თავის ლამაზ თვალებს, ასე ჰქონდათ მოფიქრებული კომიზმი ამ ამბისა სწორედ ეგ იყო. მეზღვაურები და მთელი მომსახურე პერსონალი მას შემოეხვივნენ. თედომ დრო იხელთა, ქალი მეზღვაურებს შეატოვა და იმ კაცის საძებნელად გაეშურა, ვისაც არალეგალური ლიტერატურა მოჰქონდა. ფურცლები სხეულზე შემოიხვია, პერანგქვეშ, და ახლაღა „გაახსენდა“ ლამაზი თანამგზავრი, მივიდა თავაზიანად მოიხადა ბოდიში ქალის თანამოსაუბრეებთან, ხელი გამოსდო და დინჯადვე გადმოვიდა ნაპირზე. „ეს ჩემი პირველი ეშმაკობა იყო, 1905 წლის რევოლუციასთან დაკავშირებულიო, — ერთგვარი სიამაყით იგონებს ამას მოხუცი კაცი, — თანაც ღლისით, მზისით, ყველას თვალწინ ესდენის კადნიერებით ჩადენილიო“.

თედო სახოკიას მოღვაწეობის ასპარეზი ფართო და მრავალფეროვანია, და ამითაც იგი პირდაპირი მემკვიდრეა მეცხრამეტე საუკუნის დიდი მოღვაწეებისა, რომელთაც მდგომარეობა აიძულებდა ერთდროულად მწერლებიც ყოფილიყვნენ, ჟურნალისტებიც, ფინანსისტებიც, ეთნოგრაფებიც, ენათმეცნიერებიც, პედაგოგებიც, სოფლის მეურნეობის საჭირბოროტო თემებზეც ეწერათ წერილები და სამედიცინო საქმეზეც... ამას მოითხოვდა საქვეყნო ინტერესები. და საგულისხმო ის არის, რომ თედო სახოკია სავსებით ახალგაზრდა ჩამოყალიბდა ამგვარ მოღვაწედ. ჯერ ისევ 21 წლისა, ქართლის ერთი პატარა სოფლის მასწავლებელი „ივერიაში“ გზავნის კორესპონდენციებს და თემა ამ მასალებისა სულ სხვადასხვა ხასიათისაა: სწავლა-განათლების საკითხებსაც ეხება, გლეხობის მდგომარეობასაც, ვაზის დაავადებასაც, და იმასაც, რომ საჭიროა ახლავე დაიწყონ ფოლკლორული მასალების შეგროვება, თანაც საქართველოს ყველა კუთხეში; ქართლის სოფლებიდან თავად უგზავნის რედაქციას იქ გაგონილ ზღაპრებს და, ამასთან, ეს ახალგაზრდა კაცი სხვებს მოუწოდებს, სამეგრელოს სოფლებში გაგონილ ზღაპრებისა და ლექსების შეგროვებას... საგულისხმოა, რომ თედო სახოკია ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ზაქარია ფალიაშვილის მოღვაწეობას, როცა ახალგაზრდა კომპოზიტორი ფეხით დადიოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და ხალხურ სიმღერებს იწერდა, აგროვებდა... ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ პარიზში, ფრანგულ ენაზე, სამეცნიერო საზოგადოებას მოხსენებას უკითხავს საქართველოში ყვავილ-ბატონების მოვლა-მკურნალობის შესახებ...

და შუალედებში ისევ თარგმანები — ჰიუგოდან, ვაზოვიდან, მოპასანიდან, ბოკაჩოდან... ევროპაში ხანგრძლივი ყოფნის დროს მან შეისწავლა ყველა ძირითადი ევროპული ენა და

საშუალება ჰქონდა უშუალოდ ორიგინალიდან ეთარგმნა „დეკამერონიც“ და მოპასანის მოთხრობებიც. მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობაც ცალკე შესწავლის საგანია. ხშირად ძალიან დაუდევრად ვეპყრობით ხოლმე ჩვენს დიდ სამწერლო მემკვიდრეობას. სავსებით შეუსწავლელია მოღვაწეობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის მთარგმნელებისა — ავალიშვილისა, ყიფშიძისა, მაჭავარიანისა, სახოკიასი და სხვების. ზოგადი ფრაზებით ვკმაყოფილდებით, შესანიშნავი მთარგმნელები გვყავდაო, და მეტი თითქმის არაფერი. ზოგჯერ კი საჯიჯგნადაც ვანებებთ უვიც და არაკეთილსინდისიერ ხალხს.

თედო სახოკია ჭეშმარიტი მხატვარია. ორიგინალური მოთხრობები და რომანები არ დაუტოვებია მას, მაგრამ ეთნოგრაფიული წერილებიც, მოგონებებიც თანამედროვე ადამიანებზე, მემუარებიც ბელეტრისტის კალმით არის დაწერილი. ამ თხზულებებში ცალკეული ეპიზოდები ნოველებივით არის ჩასმული და ზოგჯერ ეს ნოველები ძვირფასი თვლებივით გაიელვებენ ხოლმე. აქ ჩვენ ხშირად ვხვდებით გამოკვეთილ ხასიათებს, რომელთა დავიწყება არ შეიძლება, რომლებიც მუდამ თან გახლავს, როგორც დიდი ლიტერატურული ქმნილებების პერსონაჟები. ვხვდებით ბელეტრისტულ პასაჟებს — ხან დრამატიზმით დამძიმებულს, ხან სევდიანს, ხან კომიკურს, და მუდამ ლაღი ლირიზმით აღბეჭდილს... საერთოდ რა ლაღად წერს, რა თავისუფლად და რა მიმზიდველად! აქ ბუნების სურათები ზომიერად არის მოხმობილი, არა ცრუპატრიოტული სიამაყის აღსატკინებლად, არამედ როგორც ერთგვარი პაუზები, როგორც დამაკავშირებელი ფრაზები ცალკეულ ეპიზოდებს შორის. და ზოგჯერ მართლაც მოხდენილი ფრაზის ელვარებით ბრწყინავენ ისინი.

რამდენი ასეთი ნოველაა იმავე „მოგზაურობანში“, რომელსაც ავტორი ბელეტრისტული ქმნილების პრეტენზიას სულაც არ უყენებს — ეთნოგრაფიულ ნარკვევებად გვთავაზობს.

გავიხსენოთ თუნდაც ისტორიული ქრონიკა აკეთელ თავდგირიძეებზე.

რა მძაფრი დრამატიზმით და სოციალური სიმწვავითაა ნაჩვენები ერთი ეპიზოდი ჩვენი ხალხის მძიმე წარსულისა. და რა თავისუფლად არის მოთხრობილი, რა სადად, როგორი სილაღით, როგორი დინამიზმით, და დააკვირდით — ხატოვანი გამოთქმები რა მარჯვედ გამოუყენებია ავტორს თავ-თავის ადგილას, თვალში არ გეჩხირება, თითქოს ვერც კი ამჩნევ და ამავე დროს რა დიდი მხატვრულ-ემოციური დატვირთვა აქვს ყოველ მათგანს.

არ იფიქროთ, ასეთი ადგილები საძებნელი იყოს ამ წიგნში. აგერ, თუნდაც ერთი აბზაცი ამავე თავიდან:

„ეტლში ოთხნი ვისხედით: ორი უკან და ორიც წინ, სკამზე. უკან თავისუფლად, ქალომისათვის მეეტლე, ერთხელვე შემოღებული წესრის თანახმად, მგზავრთ ათ-ათ მაურს აძლევინებს, ხოლო წინა სკამზე მჯდომთ — ორ-ორ აბაზს. კოფოზე იმდენი ხურჯინები, ჩემოდნები, ბოხჩები და სხვა რაგინდარა მოგროვდა, რომ ადგილი აღარ დარჩა, მეეტლეს ფეხები ჩაედგა. ავად თუ კარგად ისიც მოეწყო, მარდად გადაუტყლაშუნა ცხენებს, დაუწრუწუნა, ერთი უცხო ენაზედაც შემოსძახა წასაქეზებელი სიტყვები (ალბათ, ქართულად ემძიმებოდა გასაჯავრებელი სიტყვების წარმოთქმა) და, ჰერი გიდი!... გასწია გზა-ტკეცილზე. გავიარეთ ხის დუქნები, იქვე ორ-რიგად ჩამწკრივებულნი; ლიფლიფების სინათლე თვალთაგან მოგვეფარა და თავი შევყავით დაბურულ ტყეში, რომელზედაც თეთრ ზოლად მიიკლაკნებოდა ჩვენი გზა. სიცხისაგან დატანჯულებს ტყის სიგრილემ შვება მოგვცა. ჯერ წვიმას ეპირებოდა, მაგრამ თანდათან ღრუბლებმაც გადიყარა და მთვარემ კეკლუცად შემოგვაშუქა დავერცხლილი სხივები. გარშემო სრული სიჩუმე გამეფებულიყო. ამ საოცნებო მყუდროებას ჩვენი ეტლის ხმა-ღა არღვევდა, ხან ქარავანი შემოგვხვდებოდა სიმინდით დატვირთული ურმებისა, რომლებიც შეკვეთილში მიედინებოდა“...

რა კარგი იქნებოდა, ყველა წიგნი ასე იწერებოდეს!

რაკილა ეთნოგრაფიის ჩარჩოში მოექცა ეს მშვენიერი თხზულება, ხშირად აღარ იბეჭდება, ტირაჟიც შეზღუდულია, მეცნიერთა ვიწრო წრის კუთვნილებად მიაჩნიათ და ასე უსამართლოდ არის დავიწყებული. არა და, იგი იმნახურებს, სკოლაშიაც ისწავლებოდეს, სხვა ენებზედაც ითარგმნოს.

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ თედო სახოკიას მოგონება რაფიელ ერისთავზე და შიგ ჩართული სასაცილო ამბავი სოფლელი მღვდლისა. ამბავი კი სასაცილოა, მაგრამ დასასრული სევდიანი აქვს ამ ნოველას. რაფიელ ერისთავი ხელმოკლედ ცხოვრობდა, ლექსებში ჰონორარს თითქმის არ უხდიდნენ, უსამსახუროდაც იყო და ერთ დღეს — ეს იყო 1888 წელს — ერთმა კარგმა ფანტაზიორმა, მაგრამ სავაჭრო და ეკონომიურ საკითხების ნაკლებად მცოდნე ნაცნობმა შესთავაზა: მოდი, სარდაფი გავხსნათ, ღვინო ბევრი მოგდის კახეთში და სარგებლობას კი არაფერს ნახულობ — ჩამოვიტანოთ ის ღვინო და აქ გავყიდოთ, დახლში ჩვენ თვითონ დავდგეთ, ზედმეტი ხარჯი რად უნდა გავწიოთო. ძალიან მაცთუნებელი გამოდგა ეს წინადადება. თანაც, სულ ადვილი შესასრულებელი ჩანდა — ღვინო კახეთში მართლაც ბევრი ჰქონდა რაფიელს, ჩამოიტანდნენ, გაჰყიდდნენ და ფული გაუჩნდებოდათ. „მომავალმა ამხანა-

გებმა ერთად ისადილეს, კაი კახური ღვინით თავიანთი მომავალი ვაჭრობის სადღეგრძელოც დალიეს, მერე ახსენეს ღმერთი და შეუდგნენ საქმეს".

სარდაფი პუშკინის ქუჩაზე დაიქირავეს, ქალაქის ცენტრში, ღვინო კარგი ჰქონდათ და მეტი რაღა იყო საჭირო — მუშტარი მოაწყდა! კასრები მალ-მალე იცლებოდა, საქმე თითქოს კარგად აეწყო. მაგრამ ერთი ნაკლი ჰქონდა მათ ვაჭრობას — ღვინო სულ ნისიად მიჰქონდათ, საქეიფოდ მოსულებიც ნისიად ქეიფობდნენ. ღვინოს შეუქებდნენ ხოლმე რაფიელს — მთელი ქალაქი რომ მოიარო, ამნაირ ღვინოს ვერ იშოვიო, ეუბნებოდნენ და მასპინძელსაც უხაროდა, სახე გაებადრებოდა, წერდა და წერდა დავთარში ნისიებს. გადიოდა დრო და ფული კი არავის შემოჰქონდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მალევე გაკოტრდა ეს ხალისითა და დიდი იმედით დაწყებული საქმე. შესანიშნავად აქვს დაჭერილი ავტორს რაფიელ ერისთავის ხასიათი — პოეტის მიმნდობი, ალალი და ფუჭი ფანტაზია. მაგრამ ამ მოგონებაში ყველაზე საინტერესო და ყველაზე კოლორიტული სოფლელი მღვდლის პორტრეტია.

ამათი სარდაფის ქებამ თურმე სოფელ მეჯვრისხევამდე მიაღწია. რაფიელის კომპანიონს ბიძა ჰყოლია მღვდელი — დევივით კაცი, ლაბაბჩამოშვებული, ღიპგამოშვერილი, კარებში შესვლა უჭირდა თურმე. საშინელი სანახავი იყო — სოფელში ბუა-მღვდელს ეძახდნენ. ამ ბუამღვდლის ყურსაც მისწვდა თურმე რაფიელის სარდაფის ქება და ხელადვე თბილისში გამოქანდა. ერთის ამბით ჩავიდა სარდაფში, დისწულს გადაეხვია და პირველად ეს იკითხა — სარდაფი თუ აკურთხეთო. როცა გაიგო, არ ეკურთხებიათ, იწყინა, სარდაფის პატრონები დატუქსა, აღარც დაუყოვნებია, ოლარი გადაიკიდა და კურთხვას შეუდგა. მერე კი სუფრას მიუსხდნენ, „ქართლური თხელი ღვინოების შემდეგ კახური ბუა-მღვდელს დიახაც მოეწონა, და რაფიელს აჩვენა ღვინის ფასი. რაფიელი კასრებიდან ჩამოსხმას და სავსე ხელადების სუფრაზე მოტანას ვერც კი ასწრებდა"...

მეჯვრისხეველმა მღვდელმა სარდაფშივე დაიძინა იმ ღამეს, აქაურობას ვერ მოვშორდებიო, ამაზე უკეთეს ადგილას სადღა უნდა წამიყვანოთო. მეორე დღეს სასინოდო კანტორაში თავისი საქმე მოაგვარა ბუა-მღვდელმა და ისევ სარდაფს მიაშურა, და ის ღამეც იქ გაატარა. მესამე დღეს ერთი ნათესავი ჰყოლოდა სანახავი, და ისიც სარდაფში მიიყვანა. გაღაღდა ხუცესი — ეს რა კაი კაცი გავიცანი, „ვენაცვალე ჩემ წილს ღმერთს, რომ ჩემი დისწული, ჯერ ცხოვრებაში გამოუცდელი კაცი, ასეთ ღვთისნიერ და სათნო ადამიანთან ჩავარდნილა ამხანაგადაო. გულდამშვიდებით შემიძლია წასვლა და სადარდელი არაფერი მექნებაო"...

თითქოს აქამდე სულ იმაზე დარდობდა, რომ რაფიელისთანა კომპანიონი არა ჰყავდა მის დისწულს! მაგრამ წასვლით აღარ მიდიოდა ბუა-მღვდელი, მანამ არ დაუცარიელა კასრები. ბოლოს გამოემშვიდობა საყვარელ დისწულსა და მის კომპანიონს, კიდევ ერთხელ შეუქო ღვინო და მასპინძლობა და აღუთქვა, მალევე გინახულებთო. სიტყვის კაცი გამოდგა — როგორც კი გაიგო, ახალი პარტია ღვინოები მიუღიათო, ისევ გამოქანდა სოფლიდან და ისევ უშველა სავსე კასრების მალე დაცლა. ბუნებრივია, რაფიელ ერისთავის ვაჭრობა მარცხით დამთავრდა. მღვდელთან დაკავშირებული სევდიანი ამბავი კი ის გახლავთ, რომ ამის შემდეგ, მალევე, იგი თურმე მთვრალი ბრუნდებოდა მეზობელი სოფლიდან, უნდა გაევლო პატარა ხევის წყალი მეჯუდა; ზაფხული იყო, წყალი თითქმის სულ დამშრალი, მაგრამ მღვდელს ფეხი დასცდენია, თავით წყალში ჩავარდნილა, და იქვე ჩასძინებია, სანამ მიუსწრებდნენ, შიგვე ჩამღრჩვალა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს თედო სახოკიას დიდი გულისხმიერება და სამართლიანობის გრძნობა. ჩვენ უკვე ვნახეთ, ჯერ ისევ სავსებით ახალგაზრდა კაცის წრფელი თანაგრძნობა და მზრუნველობა მასზე გაცილებით უფროსი მწერლების მიმართ. ეს გრძნობა ბოლომდე გაჰყვა თედო სახოკიას. მისი თანამედროვეები იგონებენ, როგორ ცდილობდა თედო სახოკია დასნეულებული სიბერის სიმძიმე შეემსუბუქებინა საყვარელი მასწავლებლისა და მეგობრის ვასილ ბარნოვისათვის. ყოველ კვირას უსათუოდ უნდა მოენახულებინა ავადმყოფი მწერალი, ხოლო როცა ლოგინად ჩავარდა, — უფრო ხშირად „რვა საათზე უეჭველად უნდა წავრსდგომოდი. ცოტა რომ დამეგვიანა, წუხდა — რად დაიგვიანეო", იგონებს შემდეგ. საგულისხმოა მისი ერთი მეგობრის მოგონება: „ერთხელ თედო სახოკიამ კუკიის სასაფლაოზე დამინახა, წამავლო ხელი, ალაყაფის კარებთან მიმიყვანა. კედლის გასწვრივ, მარჯვნივ ექვსი დაგრძელებული ნაბიჯი გადადგა და მტკიცედ მითხრა: გახსოვდეს, კარგად დაიხსომე, რომ აქ, — დაადვა ხელი მოტიტვლებულ ადგილს — დაკრძალულია გიორგი დეკანოზიშვილი".

ამ პატარა ეპიზოდშიაც ძალიან კარგადა ჩანს თედო სახოკიას ხასიათი.

როცა მწერლის მთელ ცხოვრებასა და შემოქმედებას გააყოლებ თვალს, უნებურად გაგიკვირდება — რამ შეაძლებინა ერთ ადამიანს ამდენი რამის მოსწრება და გაკეთება?

უპირველეს ყოვლისა ხასიათის სიმტკიცემ და შეუპოვრობამ. ახალგაზრდობაშივე მტკიცედ ჩამოყალიბებულმა მიზანსწრაფვამ, დასახული მიზნის ერთგულებამ, საქმის სიყვარულმა. ასე მგონია, ბავშვობაშივე თვალსაჩინოდ წარმოიდგინა და მოხაზა გზა, რომელიც უნდა გაევ-

ლო. იგი ყმაწვილობაშივე ჩამოყალიბდა ეროვნულ მოღვაწედ. ასეთი მოღვაწეობის მაგალითი მას უკვე ჰქონდა, თავიდანვე მისი სათაყვანებელი იყო ილია ჭავჭავაძე.

თედო სახოკიას ჰქონდა მტკიცე შინაგანი დისციპლინა. ეტყობა, ეს ახალგაზრდობიდანვე ჩამოუყალიბდა. და დღის განაწესს არასოდეს უღალატებდა. მისი თანამედროვენი იხსენებენ ამ დღის განაწესს. დილით ძალიან ადრე დგებოდა და შუადღემდე მუშაობდა. ნასადილევს ისვენებდა. საღამოს რომელიმე მეგობარი უნდა მოენახულებინა და დრო 8-დან 10 საათამდე მის ოჯახში უნდა გაეტარებინა. ღამის თერთმეტ საათზე კი უსათუოდ დასაძინებლად დაწვებოდა.

საინტერესოა მეგობრების მონახულების განაწესი: კვირა, როგორც ითქვა, ვასილ ბარნოვს ჰქონდა დათმობილი, ორშაბათი — კალისტრატე ცინცაძეს, სამშაბათი — ალ. მიქაბერიძეს (ალ. მიქაბერიძის გარდაცვალების შემდეგ მის ნათესავებს, ხვედელიძეებს) ოთხშაბათი — ე. შალამბერიძეს, ხუთშაბათი შიო არაგვისპირელის ოჯახს, პარასკევი — სოლომონ ცაიშვილს, შაბათი — ნიკო ყავრიშვილს.

ამ განაწესის დარღვევა შეუძლებელი იყო. იგი ზუსტად რვა საათზე მივიდოდა. საათის გასწორებაც კი შეგვეძლო, წერს შესანიშნავი მოგონების ავტორი ნინო ნადირაძე, და მოიტანდა უსათუოდ ერთ ბოთლ ღვინოს, „მუკუზანს". „ეს საღამოები არ იყო უბრალო შეხვედრები, დატვირთული საყველ-პურო მასლაათით, — წერს იქვე მოგონების ავტორი, — ეს იყო დიდი სკოლა საერთო განათლების მისაღებად. ეს იყო საღამოები ქვეყნისათვის, ხალხისათვის უანგარო მოღვაწეთა შრომისა და ცხოვრების შესახებ. ეს იყო საღამოები, რომლებსაც, მიუხედავად თავისი ამაღლებული შინაარსისა, არ აკლდა გონებამახვილური ჯანსაღი მხიარულებაც". თედო სახოკია მუდამ მტკიცედ იცავდა საზოგადოებრივ ურთიერთობაში მიღებულ ეთიკას და ამასვე მოითხოვდა ყველასაგან.

ძალიან კარგად გვიხატავს თედო სახოკიას ხასიათს ერთი ეპიზოდი ლეო ქიაჩელის მოგონებიდან.

ემიგრაციაში მყოფი თედო და ლეო ქიაჩელი გემით მოდიან შოტლანდიიდან. საშინელი მგზავრობა შეხვდათ, მთელი ღამე გემის აფეთქების შიშით არ უძინიათ... სული კბილით გვეჭირა, ისე მივედით ნორვეგიაშიო, ქიაჩელი იგონებს. ძლივს შევაღწიეთ სასტუმროში და, ის-იყო ქანცგაწყვეტილი ლოგინზე მივეგდე, რომ ვხედავ, თედო ტანსაცმელს იწმენდს, პირი დაიბანა, ჩაიცვა და წასასვლელად მოემზადა, რასა შვრები-მეთქი, გაკვირვებულმა მივაძახე. უორდროპი ყოფილა აქა, და რომ გაიგოს, ქართველები ჩამოვედით და არ ვინახულეთ, უზრდელობაში ჩამოგვერთმევაო.

თავისი სტილი ჰქონდა ცხოვრებისა, და ამ სტილს არასდროს უღალატებდა. საგულისხმო და საინტერესოა ერთი ადგილი ზემოთ ნახსენები მშვენიერი მოგონებიდან. ყოველ 15 მარტს მეგობრები თედო სახოკიას დაბადების დღეს აღნიშნავდნენ — ეწვეოდნენ ხოლმე, მიულოცავდნენ. გაიშლებოდა მდიდრული სუფრა, ჩიტის რძეც კი არ აკლდაო. „ჭარბობდა დასავლური კერძები. ნაზუქი, ფლავი კომშის მურაბით და მუკუზნის ღვინო ყოველ წელიწადს ამშვენებდა სუფრას. სუფრაზე რამდენიმე ადგილას, ზოგჯერ ყოველ თეფშთან, „მენიუ" იდო. ეს უკანასკნელი ყოველთვის დიდ გამოცოცხლებას იწვევდა. თამადის დავალებით ყველანი დიდი გულმოდგინებით ვადევნებდით თვალყურს, „მენიუში" შეტანილი საჭმელებიდან არაფერი „დაგვკლებოდა". „მენიუ" ქართულ-ფრანგულად იყო შედგენილი და დაახლოებით ასე გამოიყურებოდა: სულგუნი — მეგრული, ტყემალი a la ნადია, მწვანილი — დიღმური, ქათამი — მეგრული, ინდაური — იმერული, ღომი — მეგრული, მჭადი — მეგრული, ნაზუქი — a la მარიამ, ფლავი კომშის მურაბით — a la ლელა, ღვინო — მუკუზნური".

როგორც ვხედავთ, ამას ხუმრობის იერი დაჰკრავდა, მაგრამ, საერთოდ, თედო სახოკიას ხასიათიდან გამომდინარეობდა. თარიღს მუდამ ძველებურად მოაწერდა ხოლმე წერილს, ან როცა ვინმეს წიგნს უსახსოვრებდა. მეცა მაქვს ერთი ასეთი წარწერიანი წიგნი და სიყვარულით ვინახავ: „ჩემს ვახტანგ ჭელიძეს, სიყვარულის ნიშნად. თედო სახოკია. ჩშნვ წელსა, იანვრის ზ დღესა"... ეს მისი სტილი იყო, მისი ხასიათიდან გამომდინარეობდა, და, რა თქმა უნდა, არა ჰგავდა იმ ხალხს, რომლებიც კეკლუცობით არქაულ სიტყვებს გაურევენ ხოლმე აქა-იქ, კონტექსტისათვის შეუფერებლად. თედო სახოკიაც კი გაურევდა ზოგჯერ „გარნას", მაგრამ ეს მისთვის ბუნებრივი იყო, თავისებურ მუსიკას ჰქმნიდა.

წესრიგიანი კაცი იყო და ყველასაგან მკაცრად მოითხოვდა წესრიგს. ერთხელ ხალხით გაჭედილ ტრამვაიში მის გვერდით ვიღაც სურდოიანმა ცხვირი დააცემინა და სახეზე ხელი არ აუფარებია, ირგვლივ დააფრქვია შხეფები. თედო აღაშფოთა ამ კაცის უზრდელობამ და პროტესტის ნიშნად მკაცრი ხაზგასმულობით „ღვთის წყალობა" უსურვა. სურდოიანი კაცი იმდენად ტლუ აღმოჩნდა, რომ ამ გადაკრულ დალოცვას აღარ მიხვდა, თანაც თურმე ათეისტად მოჰქონდა თავი და, „ღვთის წყალობა" რომ გაიგონა, გული მოიყვანა, ნუთუ არ იცით, რომ ღმერთი არ არისო. მაშინ თედომ სრულიად აღუშფოთებლად „ღვთის წყალობის" მა-

გივრად „ღვთის რისხვა“, უსურვაო, გადმოგვცემს მოგონების ავტორი.

ახალგაზრდებთან განსაკუთრებით ალერსიანი იყო. ყოველთვის გამონახავდა დროს, დაგხმარებოდა, საჭირო განმარტება მოეცა. არასოდეს არ დაიზარებდა. და საინტერესო მთხრობელი იყო.

მაგრამ ეს ალერსიანი კაცი, თუკი უსამართლობას შენიშნავდა, ხელად გაფიცხდებოდა ხოლმე. ერთხელ მეც შევესწარი მის ასეთ გაბრაზებას. ეს იყო ორმოციან წლებში. ომი ახალი დამთავრებული იყო. „სახელგამში“ მისი თარგმანების წიგნი გამოდიოდა. ახალგაზრდა რედაქტორები, ეტყობა, ვერ მოერივნენ ცთუნებას, საკუთარი წვლილი არ შეეტანათ მათივე რედაქტორობით გამოსულ წიგნში და აქა-იქ ჩასწორება მოინდომეს. სამართლიანობა მოითხოვს, აქვე აღინიშნოს — დიდი მოკრძალებითა და სიყვარულით. ეს მათ ალბათ გაუბედინა თვით მთარგმნელის საოცარმა თავაზიანობამ და რბილმა, ალერსიანმა მოპყრობამ, იმ კეთილმა ღიმილმა, რასაც თედო სახოკია გამომცემლობის ახალგაცნობილი თანამშრომლების მიმართ არ იშურებდა; ალბათ, ამან აფიქრებინათ, „ადვილი“ ავტორიაო (მათ „რთული“ და გაუცინარი ავტორებიც ბევრი ენახათ). იფიქრეს ამ ჩასწორებით გული არ დასწყდება, პირიქით გაიხარებს კიდეც ეს ბუნჩულა ბერიკაცი, და ჩვენც ჩვენი წვლილი გვექნება შეტანილი დიდ საქმეშიო! მოტყუვდნენ! ასეთი სასურველი თავაზიანობისა და ალერსიანი ღიმილის მიღმა შეუპოვარი ხასიათი აღმოჩნდა. და მე მოწმე გავხდი, როგორ ერთბაშად შეიცვალა ალერსიანი ღიმილი პირქუშ მრისხანებად, როგორ გავარდა მეხი, შემოდგომის მზით გამთბარი ჰაერი ერთბაშად როგორ გაიყინა, და რა საცოდავები გახდნენ, მოულოდნელი ყინვით დამზრალი ყვავილებივით როგორ ერთბაშად დაზრნენ ის ახალგაზრდა მანდილოსნები. მკაცრიც იყო თედო სახოკია. ვერ ვიტყვი, იქნებ თავისებურად მართლებიც იყვნენ რედაქტორები, ყოველ შემთხვევაში, როგორც ითქვა, კეთილი განზრახვა ჰქონდათ... მაგრამ ვერ გაითვალისწინეს, რომ ეს სულ სხვა შემთხვევა იყო, ეს ისტორია იყო და ზედმეტი კირკიტი, იმის შემოწმება — ზედმიწევნით ადექვატურია თუ არა ესა თუ ის სიტყვა ორიგინალთან, არ გამოდგებოდა, საერთო ქსოვილს დაარღვევდა.

და კიდევ ერთ განრისხებას შევესწარი, ისევ წიგნის გამოცემის დროს. ეს უკვე ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში იყო. მაშინ პირველად გამოდიოდა მისი „ხატოვანი გამოთქმები“... და ახლაც აბორგდა რედაქტორის მიმართ მოხუცი მწერალი. ოღონდ ამჯერად მარტო მრისხანე კი არ ყოფილა, არამედ — საშინელი გულმოსულიც. და ეს გაბრაზება ძალიან დიდხანს გაჰყვა...

რამდენჯერმე ვყოფილვარ მასთან სახლში. შინ განსაკუთრებით ალერსიანი იყო. ერთხელ საგანგებოდ დამიბარა და მიამბო ერთი ისტორიული ამბავი, რომელიც მე მაინტერესებდა. მოყოლაც საოცარი იცოდა. სხაპასხუპით არ გადმოგვცემდა ამბავს, თუმცა შიგადაშიგ აჩქარდებოდა ხოლმე, შენ შემოგყურებდა ამ დროს, მაგრამ გრძნობდი, რომ სულ სხვა რამეს ხედავდა — ის სურათები უცოცხლდებოდა თვალწინ, რასაც იმ წუთში გიყვებოდა; და სურათების მონაცვლეობის მიხედვით სახეც ისე ეცვლებოდა, თითქოს პირველად შეჰყურებდა ამ სურათს, ზოგჯერ თითქოს ხელითაც მიგითითებდა უნებურად, აბა შენც შეხედეო... ერთხელ სამნი ვეწვიეთ სახლში — გიორგი შატბერაშვილი, ოთარ ჩხეიძე და მე. საღამო ხანი იყო. ციოდა. გაიხარა, რომ დაგვინახა. დაფაცურდა, ღუმელი გააჩაღა. მალმალე მივიდოდა ხოლმე კუთხეში, სადაც მოკლედ დაჭრილი შეშის ნაპობები ელაგა. აიღებდა ნაპობს და ცეცხლს შეუკეთებდა. ნაბიჯები დამოკლებოდა, მაგრამ სწრაფად დადიოდა, და შთაბეჭდილება გრჩებოდა, რომ ხაზგასმული იყო ეს სისწრაფე, არა მოსაჩვენებლად, არამედ უფრო იმიტომ, რომ საკუთარ თავს არ უტყდებოდა. ძნელია სიბერესთან შეგუება. გადმოგვილაგა მასალები თავისი ლექსიკონისათვის, რომელიც დღემდე არ არის გამოცემული. მაშინ უკვე რამდენიმე ტომი გამოსული იყო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა, და ადარებდა; თითქოს ერთგვარ სიამაყესაც განიცდიდა, როცა რომელიმე სიტყვა „განმარტებითში“ არ აღმოჩნდებოდა და მას კი თავის ლექსიკონში შეეტანა. ეშურებოდა ამ ლექსიკონის დამთავრებას.

დიდხანს დავრჩით იმ დღეს, არ გამოგვიშვა. ისე მხნე და ხალისიანი იყო, რომ ვერც კი წარმოვიდგენდით, ეს უკანასკნელი შეხვედრა თუ იქნებოდა.

შალვა დადიანი რამდენიმე წლით უმცროსი იყო თედო სახოკიაზე, მაგრამ ფესვებით უფრო ღრმად იყო დაკავშირებული მეცხრამეტე საუკუნესთან: მამამისს, იმ დროის გამოჩენილ მოღვაწეს ნიკო დადიანს, — ანუ „დიდ ნიკოს“ — მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ჩვენს სამოციანელებთან, უპირველესად ყოვლისა, ილია ჭავჭავაძესთან. თაყვანისმცემელი იყო ილიასი. ბავშვი პატარაობიდანვე თავის ოჯახში ხედავდა მაშინდელ დიდ მოღვაწეებს, ისმენდა მათ საუბარს, ამახსოვრდებოდა მათი ხმა, ღიმილი, მათი მეტყველების მანერა, მათთან შეხვედრის ცალკეული ეპიზოდები... ეს აისახა კიდეც შალვა დადიანის მოგონებების წიგნში. თუმცა არასრულად, რადგან ძირითადი ნაწილი ამ წიგნისა სიბერეში იწერებოდა, ამის შემდეგ დიდხანს აღარც უცოცხლია მწერალს. კარგი იქნებოდა, ათი წლით ადრე მაინც დაეწერა. მა-

რთალია, სადი აზროვნების უნარი და მეხსიერება მას ბოლომდე შერჩა, მაგრამ დრო აღარ იყო: ეს მოგონებები იწერებოდა ახალდაარსებული „ცისკრის“ რედაქციის თხოვნით, ნაჩქარევად, რათა გაგრძელება ჟურნალის მორიგი ნომრისათვის მოესწრო. მაინც ძვირფას ფურცლებს გვიშლის იგი წარსულისა...

სულ პატარა ბავშვი იყო, როცა ილია ჭავჭავაძეს შეხვდა. და რა ტკბილად იგონებს ამ შეხვედრას — „საყელოში თითი ჩამიყო და თითქოს მომიღიტინაო“... ეს ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალი ჩვენც რა ცოცხლად განგვაცდევინებს დიდი წინაპრის სიახლოვეს; თითქოს უფრო მოგვიახლოვა და ჩვენთვისაც შინაური და ახლობელი გახადა. უყვარდა ილიას ბავშვებთან ასეთი გახუმრება. მერე შალვა დადიანს საამაყოდ ჰქონდა ესეც და სხვა შეხვედრებიც ილიასთან. კერძოდ, იგი მომსწრე ყოფილა ილიას სტუმრობისა სამეგრელოში, როცა ის ისტორიული სიტყვები თქვა, ერთბაშად რომ გავრცელდა ხალხში და ახლაც უველას ახსოვს — „სამეგრელოში ჩამოველ და საქართველო ვნახეო“.

აკაკი წერეთელს უფრო ხშირად შეხვედრია ბავშვობაში — ჯერ თბილისში და მერე ქუთაისში. აკაკი იმ დროიდან დამახსოვრებია ბავშვს, როცა გამოსაცემად მზადდებოდა „ვეფხისტყაოსანი“ და შექმნილი იყო დიდი ავტორიტეტული კომისია ტექსტის დასადგენად. როგორც ცნობილია, ამ კომისიაში თითქმის ყველა დიდი ქართველი მოღვაწე მონაწილეობდა, გრიგოლ ორბელიანით დაწყებული; და მათ შორის, ბუნებრივია, ნიკო დადიანიც. დიდხანს გაგრძელდა კომისიის მუშაობა, გაზეთები სისტემატურად აქვეყნებდნენ სხდომათა დაწვრილებით ანგარიშს, მოჰყავდათ ცალკეული ძნელად გასაგები, ან ორიგინალობის თვალსაზრისით საეჭვო სტრიქონები პოემიდან; საგაზეთო ქრონიკა იუწყებოდა, თუ ვის რა აზრი გამოეთქვა ცალკეული სტრიქონების შესახებ. მთელი საზოგადოება ამ საქმით იყო გატაცებული. კამათი სხდომებიდან ოჯახებშიაც გადაინაცვლებდა ხოლმე. შალვა დადიანი მოწმე იყო ასეთი კამათებისა. ამ დროიდანვე დაამახსოვრდა აკაკიც. „მომხიბლავი მოსაუბრე იყო და მომჯადოებელი ღიმილის პატრონი... ბავშვები ძალიან უყვარდა და მახსოვს, როგორ მართობდა. პირადად მისგან ვისწავლე მისი პატარა ზმა კურდღელზე:

ჯამბაკურ დღე ლილას იღებს,
ღამღამობით ღებავს შალსო“.

ასეთი ზმებით, ერთი პირობა, ძალიან გატაცებული იყვნენ ჩვენში.

ერთხელ გრიგოლ ორბელიანის სახლშიაც მიუყვანია მამას პატარა შალვა. ეს უკვე საგანგებო შემთხვევა იყო, რადგან გრიგოლ ორბელიანი ძველ თაობას ეკუთვნოდა და ჩვენი თაობის მომსწრეს ბევრს არა ჰქონია ბედნიერება მასთან შეხვედრისა. გენერლის საშინაო ფორმა სცმია ორბელიანს — „მხიარულად მიგვიღო ბავშვები. რაღაცეებს გაგვეხუმრა კიდეც, მხოლოდ როდესაც მე მის პატარა „ეტაჟერკას“ ჩაკეკებით დავუწყე ცქერა, გაიღიმა და მითხრა: „ოჰ, ყმაწვილო! ეგ ნაწერები ჩემსავით ბებერი და დამტვერიანებული არისო“...

კიდევ ერთხელ შთამბეჭდავად დახსომებია ბავშვს გრიგოლ ორბელიანი — ამჯერად, სამხედროდ გამოწყობილი. ნიკო დადიანს სასტუმროში ჰქონდა დაჭერილი ნომერი, ერევანსკის მოედანზე. „მე სასტუმროს აივნიდან გადავყურებდი მთელ მოედანს. გამოჩნდა თუ არა, მაშინვე შევიცანი ჩემთან უკვე „დამეგობრებული“ გრიგოლ ორბელიანი. ამანაც ძალიან გამახარა, მხოლოდ გამაკვირვა, რომ სპილენძისებური ქვაბი თავზე ეხურა და ზედ რაღაც დიდი ფოჩები ჰქონდა გადმოფენილი“. ეს იყო 1881 წელს, შალვა მაშინ შვიდი წლისა იქნებოდა.

მამასთან ხშირად მოდიოდა სტუმრად სერგეი მესხი. იგი ჯერ ისევ ახალგაზრდა კაცი იყო, მაგრამ უკვე დასნეულებული; მძიმე საგაზეთო მუშაობას თავისი დაღი დაესვა და უკვე მოხუცსა ჰგავდა 35 წლის კაცი — დაღლილი, ჯანგატეხილი. მაგრამ საუბარს რომ დაიწყებდა, თვალები აენთებოდა. მისი ცხოვრების ერთადერთი მიზანი სამშობლოს სამსახური იყო. ასეთები იყვნენ მაშინდელი მოღვაწეები, მძიმე ცხოვრება, მოღვაწეობის სირთულე ჯანს აცლიდათ, ადრე აბერებდათ. ოცდათვრამეტი წლისა გარდაიცვალა სერგეი მესხი, ეგნატე ნინოშვილს ამდენიც არ უცოცხლია, ორმოცდაოთხი წლისანი დაილუპნენ ალექსანდრე ყაზ-
თავის მოგონებებში ამას ყველაფერს ძალიან ზრდები.

პატარა ბავშვი ხედავდა ამ ხალხს — ცოცხალ ისტორიას — და ამას არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა მის სულიერ ჩამოყალიბებაზე.

თავის მოგონებებში ამას ყველაფერს ძალიან ძუნწად და ლაკონურად გადმოგვცემს შალვა დადიანი, თითქოს საგანგებოდ იმიტომ, რათა საზღვრები გაუფართოოს და სივრცე მისცეს ჩვენს ფანტაზიას.

ოფიციალური განათლება არ მიუღია — მამას თავისი მოსაზრება ჰქონდა აღზრდაზე და ბავშვი მოარიდა მაშინდელ სკოლას, შინ ჰყავდა მასწავლებლები მოწვეული; თავისუფალი აღზრდის მომხრე იყო. მამას მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა და ბავშვი პატარაობიდანვე ეწაფებოდა წიგნებს, განსაკუთრებით ისტორიულ ლიტერატურას. კითხულობდა „ქართლის ცხოვრებას“, ეცნობოდა მამის ოჯახში დაცულ სხვა ისტორიულ ხელნაწერებს, სიგელ-გუჯრებს. ეტყობა, აქედანვე იწყება წარსულით დაინტერე-

სება, ჩვენი ძველი ისტორიის შეყვარება (შემთხვევითი არ არის, რომ მან ფსევდონიმად ეგრისის ლეგენდალური გმირი-მეფის სახელი — „ქუჯი" აირჩია), და იქნებ მაშინვე ჩამოყალიბდა მის ცნობიერებაში სახეები ერთ-ერთი პირველი ქართული ისტორიული რომანისა. ამ რომანს ბოლოში მინაწერი აქვს — „1916-1926 წ.წ. სურამი-ბაქო-აბასთუმანი-ახალციხე-მოსკოვი-თბილისი". ეს მინაწერი მრავალმხრივ საგულისხმო და საინტერესოა. აქ კარგად ჩანს, როგორი სერიოზულობით ეკიდებოდა დადიანი ისტორიულ თემას, კარგად ჰქონდა შეგნებული მთელი სირთულე ისტორიულ რომანზე მუშაობისა. მახსოვს, მიხეილ ჯავახიშვილმა ერთხელ, იქნებ ცოტა არ იყოს, ტლანქი, მაგრამ ვითარების კარგად გამომხატველი შედარება მოიყვანა „არსენა მარაბდელის" განხილვის დროს, მწერალთა სასახლეში: დღეში თითო კვერი საპონი რომ შეჭამო, დაახლოებით ამას უდრის ისტორიული რომანის წერაო... ათ წელიწადს უწერია დადიანს „უბედური რუსი", ხოლო სიყვარული ამ თემისა და ამ ეპოქისა იმის წინ ათეული წლობით უტარებია გულში. როგორც ითქვა, საქართველოს ისტორია ბავშვობიდანვე ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი. მაგრამ რომანის წერა რომ გადაწყვიტა ისევ „შემოიწყო" (თვითონვე წერს ასე) ისტორიული წიგნები და საბუთები. სისტემატურ კონსულტაციას იღებდა ივანე ჯავახიშვილისა და მოსე ჯანაშვილისგან — „რა ტანისამოსი ეცვათ მეთორმეტე საუკუნეში ფეოდალებს, ვაჭრებს, გლეხობას, მეომრებს; რას სვამდნენ, რას ჭამდნენ, როგორ ილხენდნენ, როგორ ცეკვავდნენ, როგორ მღეროდნენ, როგორი საკრავები ჰქონდათ"... მათ მომაწოდეს „ყველა სამარი იარაღის სახელწოდებანი, განსაკუთრებით ისრებისა, რაც მე ჩემს რომანში უხვად მაქვს წარმოდგენილი"... ძნელია, დიდი დრო და ენერგია სჭირდება ამ ჟანრში მუშაობას.

დიდი სიყვარულისა და შრომის ნაყოფია ეს რომანი.

მაგრამ შალვა დადიანის გულში პარალელურად მეორე სიყვარული ჩაისახა თავიდანვე, თეატრის სიყვარული... ისიც თანდათანობით ღივდებოდა და ყურადღებას ითხოვდა. და, მართლაც, მთელი თავისი ცხოვრება ქართულ თეატრს შესწირა. როგორც მომსწრეები გადმოგვცემენ, და როგორც თვითონვე მოგვითხრობს, დიდბუნოვანი ადამიანის გულახდილობით, სამსახიობო ნიჭი მაინცდამაინც არა ჰქონია, თუმცა მისი გარეგნობა და ხმა ბევრ გამორჩეულ მსახიობს შეშურდებოდა. გამოდიოდა უმთავრესად მეორეხარისხოვან როლებში. თავიდანვე გრძნობდა, რომ დიდი როლებისათვის არ იყო გაჩენილი, თვითონვე გულახდილად ამბობს — „ვერაფერიშვილი მსახიობი ვიყავიო" — მაგრამ ამის გამო თეატრის სიყვარული არასოდეს განელებია. მთავარი ის იყო, რომ მას უთეატროდ ცხოვრება არ შეეძლო. როცა საჭიროება მოითხოვდა, როცა იძულებული იყო, მთავარ როლებსაც ასრულებდა, — ფოტოსურათსაც შემოუნახავს შალვა დადიანი მეფე ლირის როლში, და, სხვათა შორის სურათითაც იგრძნობა, რომ დიდად შთამბეჭდავი სახე ვერ შეუქმნია, მაგრამ როგორც კი უფრო ნიჭიერი მსახიობი გამოჩნდებოდა დასში, იგი უშურველად უთმობდა ადგილს და თავად მეორე-მესამე ხარისხოვან როლებსაც არ თაკილობდა. თავისი დასით შემოვლილი ჰქონდა მთელი საქართველო, შორეული და მივარდნილი კუთხეებიც, და ამით ძალიან დიდ საქმეს აკეთებდა.

გერონტი ქიქოძე თავის ერთ მოგონებაში მისთვის ჩვეული თვალსაჩინოებით გვიცოცხლებს შთამბეჭდავ სურათს: შემოდგომის ერთ დღეს მატარებელი გორის სადგურში ჩამოდგა — გერონტი ამ მატარებელს ელოდება ვაგზლის ბაქანზე. მატარებელს ბოლოში მიბმული აქვს ერთი საგანგებო ვაგონი. გაიღო ვაგონის კარი და შალვა დადიანი გადმოვიდა, შალის ბლუზა-შარვალი აცვია. მასთან ერთად ჩამოვიდნენ მოგზაური დასის მსახიობები. წინა ღამეების უძილობისა და მგზავრობისაგან ყველას დაღლილი სახე აქვს; მაგრამ მაინც კმაყოფილები არიან და ბედს არ უჩივიან არც შალვა და არც მისი ახალგაზრდა მეგობრები, მათ მთელი საქართველო მოევლოთ, „რათა კარგად შერჩეული რეპერტუარის შემწეობით ხალხის ესთეტიკურ და ზნეობრივ აღზრდაზე ეზრუნათ". თეატრის როლი, განსაკუთრებით იმ დროს, განუზომლად დიდი იყო — ხალხის განათლებისათვის, თვითგაცნობიერებისათვის, ეროვნული შეგნების ამაღლებისათვის. და მაშინდელი ჩვენი მსახიობები არ თაკილობდნენ მეტად მძიმე პირობებში სოფელ-სოფელ სიარულს.

მაგრამ როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს შალვა დადიანის სარეჟისორო და სამსახიობო მოღვაწეობა, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო მაინც მისი დრამატურგიაა. ორმოცამდე ორიგინალური პიესა დაუწერია სხვადასხვა დროს, ამდენივე პიესა უთარგმნია ან გადმოუქართულებია. ალბათ ძნელია დავასახელოთ მეორე ქართველი მწერალი, ასე ნაყოფიერად რომ ემუშაოს დრამატურგიაში. ადვილი მისახვედრია, რომ ეს პიესები ხშირად ძალიან სწრაფად იწერებოდა, რათა თეატრის უკიდურესად ღარიბი რეპერტუარი სასწრაფოდ შეევსოთ ახალი პიესით და მაყურებლისთვის ეჩვენებინათ, ზოგჯერ საგანგებოდ მსახიობის საბენეფისოდაც უნდა მოესწრო. ამიტომ, ბუნებრივია, ყველა პიესა ვერ შემორჩებოდა ლიტერატურას. მაგრამ რაც შემორჩა, მათ განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ჩვენს დიდ მწერლობაში და უმათოდ ქართული დრამატურგია

ძნელი წარმოსადგენია, ძალიან გაღარიბდებოდა. ისეთი პიესები, როგორიცაა „კაკალ გულში“, „გუშინდელნი“, „თეთნულდი“ დიდად უწყობდა ხელს ქართული თეატრის გარდაქმნას, მისი მხატვრული დონის ამაღლებას; პირველი ორი პიესა, თავისი ღრმა სოციალური და ეროვნული სიმძაფრით, არასოდეს გახუნდება, და მუდამ აქტიურად შეეძლებათ, იდგნენ ქართული თეატრის სამსახურში, თუკი ჩვენი რეჟისორები უფრო გულით მოიწადინებენ ეროვნული დრამატურგიის გამოყენებას და ჩვენს თეატრს არ გამოაცლიან იმ ერთადერთ საძირკველს, რომელსაც მტკიცედ უნდა ეყრდნობოდეს — ქართულ ლიტერატურას, ქართულ მწერლობას. სამწუხაროდ, ზოგჯერ ასეც ხდება ხოლმე. თუ რამდენად აქტუალური შეიძლება იყოს დადიანის პიესები თანამედროვეობისათვის, ანუ როგორ შეიძლება მათი სადღეისოდ აჟღერება, ამის მაგალითად „გუშინდელნის“ ბოლო დადგმაც გამოდგებოდა, თემურ ჩხეიძის მიერ განხორციელებული.

შალვა დადიანი, ბოლომდე ერთგული დარჩა თეატრისა. როცა ხანში შევიდა, როცა ქართული თეატრიც მოღონიერდა — ხოლო ამაში სხვა მოღვაწეებთან ერთად დადიანსაც მიუძღვის წვლილი — როცა ჩვენს თეატრს დიდი რეჟისორები და მაღალნიჭიერი მსახიობების მთელი პლეადა გამოუჩნდა, იგი სცენიდან ჩამოვიდა, მაგრამ თეატრს არ მოშორებია, ახლა უკვე თეატრის საორგანიზაციო საქმეებს ჩაუდგა სათავეში და მისი მოღვაწეობა აქაც დიდი და მნიშვნელოვანია.

შალვა დადიანი წლების განმავლობაში, გარდაცვალების დღემდე, თეატრალურ საზოგადოებას თავმჯდომარეობდა. და ამ დროს ბევრი რამ გაკეთდა ქართული თეატრისათვის.

სწორედ თეატრალურ საზოგადოებაში გავიცანი. შალვა დადიანის სახელი ბავშვობაშივე გამეგონა როცა ხელიდან ხელში გადადიოდა მისი რომანი „უბედური რუსი“. როგორც უკვე ითქვა, ეს ერთ-ერთი პირველი ქართული ისტორიული რომანი იყო და ხალხში დიდი ინტერესი გამოიწვია. ახლაც ცხადად მახსოვს ეს წიგნი, ბევრი ხმარებისაგან გაცრეცილ-გახუნებული. წიგნები იმ დროს ძალიან მცირე ტირაჟით გამოდიოდა და ყველა ვერ მოახერხებდა ყიდვას, მაგრამ ხალხს მაშინ წიგნის განათხოვრება არ ეზარებოდა და ერთ წიგნს ხშირად ასობით ადამიანი წაიკითხავდა ხოლმე. ახლა ხალისით აღარავინ გათხოვებს წიგნს და ერთხელ წაკითხვის შემდეგ აწყვია ეს წიგნები ლამაზ თაროებზე მოუხმარებლად, წაუკითხავად, წლები ისე გავა, ადამიანის ხელი არ შეეხება, თვალის სხივი არ გაათბობს. უფრო თავკერძა და ეგოისტები გამოდგნენ თანამედროვე ადამიანები... პატრონისათვის წიგნის დაბრუნებაც ძალიან უხალისოდ იციან ახლა. ერთი სიტყვით, დადიანის პირველი რომანი ხელიდან ხელში გადადიოდა. მე მაშინ პატარა ვიყავი, წაკითხვით ვერ წავიკითხავდი, სხვებისაგან მესმოდა ამ წიგნის ქება, ვიცოდი რომ თამარ მეფეზე იყო, შინაარსიც მიამბეს. თვად უფრო მოგვიანებით წავიკითხე საჯარო ბიბლიოთეკაში. ეს იყო შალვა დადიანის პირველი გაცნობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაუსწრებლად. დანახვით კი თეატრში დავინახე პირველად. მარჯანიშვილის თეატრში გადიოდა მისი „კაკალ გულში“. დიდებული სპექტაკლი იყო. საუკეთესო მსახიობები მონაწილეობდნენ, მათ შორის უშანგი ჩხეიძე. დადიანი ლოჟაში იჯდა და დამანახვეს, პიესის ავტორი ის არისო. ბოლოს როცა დარბაზში სინათლე აინთო, წამოდგა და ხალხს თავი დაუკრა, პირთან მიიტანა ხელები და მერე გაშალა, დარბაზს კოცნა უძღვნა. ეს მისი საყვარელი ჟესტი იყო. მერე ხშირად ვხედავდი ხოლმე, ქუჩაში დინჯად მოსიარულეს, მწერალთა კავშირში...

პირადად კი თეატრალურ საზოგადოებაში გავიცანი.

საოცარი იყო ეს დაწესებულება და მისი ხელმძღვანელი. ნამდვილი სკოლა გულითადობისა, თავაზიანობისა, თავმდაბლობისა და უბრალოებისა, საქმის სიყვარულისა... ფართოდ გავრცელებულ ბიუროკრატიზმს, რომელსაც ბევრი დაწესებულება მოეცვა, აქ ვერ შემოეღწია.

შალვა დადიანს კაბინეტად ძალიან პატარა, დერეფნის სივიწროვე ოთახი აქვს — სანახევროდ ჩაბნელებული, ცივი. მაგიდა ძლივს თავსდება ამ ოთახში. მაგიდის ერთ მხარეს თვითონ ზის, შენს — მოპირდაპირე მხარეს, და მეტი ადგილი აღარც არის იმ ოთახში.

მაგრამ კაბინეტში იშვიათად ნახავთ — უმეტესად დიდბუხრიან ოთახშია. შალვა მოშორებით უზის ბუხარს, იქვეა დავით ჩხეიძე, რამდენიმე მანდილოსანი (ეს განუყრელი საზოგადოებაა) და ხან ვინ და ხან ვინ — მოხუცთაგანი. იცის ძველი თეატრალური მოღვაწეების პატივისცემა. ბევრ მათგანს ახალგაზრდობაში სცენაზე ვერ გაებრწყინა, მაგრამ მთელი არსებით თეატრთან იყო დაკავშირებული, თეატრით სულდგმულობდა. ახლაც, ბუხართან მიმსხდარნი, თეატრზე საუბრობენ, ძველს ტკბილად იგონებენ, თეატრალურ კურიოზებსა ჰყვებიან — რაც თავს გადახდომიათ, ან რისი მომსწრენიც ყოფილან — და იცინიან, ტკბილად კუშკუშებენ, თვალებზე ცრემლი მოსდგომიათ, გულს იოხებენ, სიამაყის გრძნობა ეუფლებათ, უფრო დიდ მოღვაწეებად წარმოუდგენიათ თავი, ვიდრე სინამდვილეში იყვნენ. შალვა დადიანი უქმნის მათ ასეთ განწყობილებას, გულს უთბობს, მფარველობს, პატივსა სცემს... დროდადრო რაიმე საქმიან ქაღალდს მიართმევენ — იქვე, ბუხართან. შალვა მაშინვე წამოდგება, — და უნებუ-

რად გაიფიქრებ, რომ ამ მოძრაობაშიაც რაღაც თეატრალურია — გზადაგზა გადაიკითხავს ქაღალდს, მაგიდასთან მივა და ხელს მოაწერს; კიდევ ერთხელ გადაათვალიერებს ქაღალდს, ღიმილით გადასცემს თანამშრომელს, თავს დაუხრის (თითქოს ებოდიშება, ასე მალე უნდა მოგშორდეო) და დინჯადვე იმგვარივე „თეატრალური მოძრაობით" მიბრუნდება ბუხართან, შეწყვეტილ საუბარს განაგრძობს. თუ ვინმე გარეშე რაიმე საქმეზე შევიდა ოთახში ამ დროს, ჯერ იქ მიიღებს, წამოუდგება, გაუღიმებს, მოიკითხავს (თუკი ნაცნობია) და ამბის მოსასმენად უსათუოდ თავის პატარა, ცივ ოთახში წაუძღვება. თუ იმ პატარა ოთახში დაგიხვდათ, იქაც, რაღა თქმა უნდა, ფეხზე წამოგიდგებათ — თუმცა რაც დრო გადის, ადგომა სულ უფრო და უფრო უჭირს — ხელს ჩამოგართმევთ, სკამს შემოგთავაზებთ, მერე თვითონაც დაჯდება და ღიმილით ელოდება, როდის ეტყვით თქვენს სათქმელს. პასუხი მუდამ საქმიანი და კონკრეტულია. თუკი რაიმე შესაძლებლობა აქვს, უარს არასდიდებით არ გეტყვით. უჭირს უარის თქმა. მოგისმენთ გულისყურით და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგაწყვეტინებთ, თუ შეატყო, თქვენ ძალიან ვრცლად აპირებთ სათქმელის მოყოლას და მოკლედ თქმა გიჭირთ. მაგრამ მკვახედ კი არ შეგაწყვეტინებთ — ღიმილით ჩაურთავს სიტყვებს და უფრო მოკლედ და კონკრეტულად თქმას გაგიადვილებთ... მერე, მისი განსაკუთრებული ღიმილით იგრძნობთ, რომ საუბარი დამთავრებულია, და მხოლოდ მაშინ წამოდგება, როცა თქვენც წამოიწევთ წასასვლელად. უსათუოდ კარებამდე მიგაცილებთ. და თუ ცივა იმ დროს, და თქვენც ასე თუ ისე ნაცნობობა გაქვთ მისი, უსათუოდ შემოგთავაზებთ — იქნებ დიდ ოთახში შევიდეთ, ბუხართან შევთბეთო.

სასურველი შინაურულობის განწყობილება დაგეუფლებოდა და ქვეცნობიერად ისეთი შთაბეჭდილება გექმნებოდა, რომ უსათუოდ ასეთი უნდა ყოფილიყო „ივერიის" ან „დროების" რედაქცია — ასეთი სასურველად შინაურული, ასეთი სიკეთის მფრქვეველი, და ასეთი საქმიანი, ცრუ ფაციფუცს მოკლებული.

ბევრი კეთილი საქმე კეთდებოდა შალვა დადიანის დროს თეატრალურ საზოგადოებაში. ჩამოთვლა ძნელია, მაგრამ არ შეიძლება საგანგებოდ არ გავიხსენოთ პატარა გამომცემლობა თეატრალური საზოგადოებისა. ხუთიოდე კაცი მუშაობდა ამ გამომცემლობაში — უხმაუროდ, უფუსფუსოდ... ამათაც ერთგულად გადაეცათ დადიანის მუშაობის სტილი. ცალკე სამუშაო ოთახი, მგონი, არც კი ჰქონდათ — ზოგი იქვე იჯდა, იმ დიდ ბუხრიან ოთახში, ზოგიც დღედალამე სტამბაში იყო. რა კარგი წიგნები იბეჭდებოდა — ბატონი შალვას თაოსნობით და უშუალო მონაწილეობით თავი მოუყარეს და გამოსცეს თეატრის მოღვაწეთა მემუარები და ჩვენს არც თუ ძალიან მდიდარ მემუარულ ლიტერატურას ახალი წიგნები შეემატა — ძალიან საინტერესო და საჭირო წიგნები. დიდხანს დირექტორობდა ამ გამომცემლობას ალიო ადამია — სათნო და კეთილშობილი კაცი.

და კიდევ ერთი რამის აღუნიშნაობაც არ შეიძლება. განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა დადიანი პერიფერიის თეატრებს — ხშირად ჩადიოდა, სპექტაკლებს ნახულობდა, მატერიალურად ეხმარებოდა, ამხნევებდა და თბილისშიაც ხშირად ჩამოჰყავდა ხოლმე გასტროლებზე. გასტროლების ბოლოს დიდ ბანკეტს გაუმართავდა.

დაუვიწყარი იყო ეს ბანკეტები. ბატონი შალვა თვითონ თამადობდა და საოცარი იყო მისი გულისხმიერება — როგორ ყველასათვის ნახულობდა საალერსო სიტყვას, ყველას სათითაოდ მოეფერებოდა, დიდსაც და პატარასაც, დამსახურებულ მსახიობსაც და ახალბედასაც... ასეთი მხარდაჭერითა და დაფასებით ისინიც ბედნიერად გრძნობდნენ თავს — შემოქმედი ადამიანი ბავშვივით არის, სათუთი მოპყრობა, ალერსი და სითბო სჭირდება. შალვას ჰქონდა ამის უნარი — სხვებისთვის გულის გათბობის უნარი.

უყვარდა ახალგაზრდები. შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენს კინოქრონიკას შემოუნახავს ერთი ბრწყინვალე ეპიზოდი — ოცდაათიანი წლების ბოლოს შალვა დადიანთან სტუმრად მისული ახალგაზრდები, ლადო ასათიანის თაობის მწერლები. მზრუნველობას იჩენდა ახალგაზრდობის მიმართ, მაგრამ ეს არ ყოფილა მოჩვენებითი და ხაზგასმული მზრუნველობა. ეს ათას რამეში გამოჩნდებოდა ხოლმე. თუნდაც ასეთ გულისხმიერებაში. ვთქვათ, მოსკოვში ინგლისური თეატრი ჩამოვიდა და შექსპირი უნდა წარმოადგინოს. შალვა დადიანი გადაწყვეტს თეატრალური საზოგადოების ხაზით მოსკოვში მიავლინოს ჯგუფი დიდი მსახიობებისა, რომელთაც სხვადასხვა დროს ბრწყინვალედ განუხორციელებიათ შექსპირი ქართულ სცენაზე. ის წინასწარვე იჭერს თადარიგს — იქ ბილეთებიც დახვდებათ ამ სპექტაკლებზე და სასტუმროც. და საგულისხმო ის არის, რომ მას არ ავიწყდება ახალგაზრდობაც, ახალგაზრდა მსახიობებიც და ისინიც, ვისაც თეატრისათვის შექსპირის რომელიმე პიესა უთარგმნიათ. შალვა დადიანისთვის არავის უთხოვია ეს, არავის შეუწუხებია — თავად მოაგონდა, თავად გადაწყვიტა. ერთჯერ და ორჯერ არ მომხდარა ეს, ბევრჯერ ყოფილა ასეთი შემთხვევა.

ჟურნალი „ცისკარი" რომ დაარსდა, შალვა დადიანთან მივედი (ამ დროს უკვე კარგად ვიცნობდი მას) და ვთხოვე ჟურნალისათვის მოგონებები დაეწერა. ცოტა ხანს დაფიქრდა,

თითქოს დათანხმება გაუჭირდა. მას ამ დროს უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა რამდენიმე მოგონება თავისი დროის ადამიანებზე („ჩემი მარათ"), და ვერ ვიტყვი, იქნებ არც ფიქრობდა გაგრძელებას. ყოველ შემთხვევაში, თანხმობის მოცემა გაუჭირდა, მაგრამ უარიც ვერ მითხრა — აკი ითქვა, უჭირდა უარის თქმა. ვნახოთ, ვცდიო, ბოლოს მითხრა, მტკიცედ მაინც ვერ შემპირდა. ხოლო მეორედ რომ მივედი, გაბარებული ჩანდა, ეტყობოდა, უკვე დაეწყო წერა. მალე მოგცემო, მითხრა. მაგრამ ჟურნალის პირველი ნომრისთვის მაინც ვერ მოესწრო. მეორე ნომრიდან დაიწყო ბეჭდვა. დრო დამითქვა — ამა და ამ დღეს გექნებათ ერთი ნომრის მასალა და მერე გაგრძელებებით მოგცემთო. მე თვითონ მოგიტანთო — ჩვენი რედაქცია იქვე იყო, თეატრალური საზოგადოებიდან ასიოდ ნაბიჯზე. მართლაც, დათქმულ ვადაზე ერთი დღით ადრე მობრძანდა რედაქციაში, დასაწყისი მოიტანა. თუ რამე არ მოგეწონოთ, ამოიღეთო, მითხრა; ბინა მაინცდამაინც კარგი ვერა გქონიათო, და წამოვიდა. კორექტურას წაგაკითხებთ-მეთქი, ვუთხარი და მადლობის ნიშნად გამიღიმა, ძალიან დამავალებთო. მერე ხან მე თვითონ მიმქონდა მასთან კორექტურები, ხან რომელიმე თანამშრომელს (მახსოვს, ნოდარ დუმბაძე იგონებდა, როგორ მივიდოდა ხოლმე კორექტურით შალვა დადიანთან). დაიტოვებდა კორექტურას და შეგპირდებოდა — ამა და ამ დროს წაკითხული მექნებაო. არ მომხდარა, როდესმე თუნდაც ერთი საათით დაეგვიანებინოს; მაშინ, როდესაც გაწამებულები ვიყავით ავტორებისაგან კორექტურის დაგვიანებით; ან დაგვასწრებდა და გამოგვიგზავნიდა, ან როცა მივიდოდით, უსათუოდ დაგვახვედრებდა. სათაურიც შესაფერი შეურჩია მოგონებებს — ეს არ იყო გაბმული მოთხრობა მისი ცხოვრებისა, ეს უფრო ცალკეულ ეპიზოდებს ჰგავდა, მეხსიერებაში შემორჩენილს, იმას, რაც წერის დროს გახსენებოდა. ასევე დაარქვა თავის მემუარებს — „რაც გამახსენდა".

ამ თხზულებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ მემუარულ ლიტერატურაში. მაგრამ თავის დროზე მას სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. „ცისკარში" თავს იყრიდა დიდძალი ახალგაზრდობა — ჟურნალის საშტატო თანამშრომლებიც და ავტორებიც. და ამ ახალგაზრდების უფროსი თაობის მწერლებთან თანამშრომლობას განუზომლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ახალბედა მწერალი უფრო თავდაჯერებული იყო, როცა თავის მოთხრობასა თუ ლექსს ჟურნალში შალვა დადიანისა და გერონტი ქიქოძის თხზულებათა გვერდით დაინახავდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათ პირად კონტაქტებსაც რედაქციაში. შალვა დადიანი დიდი სკოლა იყო და ახალგაზრდები სწავლობდნენ ამ სკოლიდან თავაზიანობას, უბრალოებას, თავმდაბლობას, საქმის სიყვარულს, ოპერატიულობას. გაკვირვებული ვრჩებოდით, როცა თავისი ხელით მიიტანდა კორექტურას ზუსტად დანიშნულ დროზე, ან როცა მასთან მისულს, ეს მოხუცი კაცი დიდის თავაზიანობით მიიღებდა, მზრუნველობით მოიკითხავდა, გამოაცილებდა, კვლავაც გვესტუმრეთო, ღიმილით ეტყოდა. ჟურნალის მიმართ ზოგიერთი მტრულად განწყობილი ადამიანი ბრალდებად გვიყენებდა — ახალგაზრდულ ჟურნალში უფროსი თაობის მწერლებს რად ბეჭდავენო. რამდენჯერ საჯარო განხილვაზე გამოუთქვამთ ეს, როგორც მკაცრი ბრალდება. რა თქმა უნდა, ამაშიაც ცდებოდნენ ისინი.

იმ დროს უკვე ძალიან საგანგაშო გახდა სოფლების დაცლა და ქალაქების, განსაკუთრებით თბილისის, ხელოვნური ზრდა, და ბატონ შალვას ვთხოვე პუბლიცისტური წერილი — ახალგაზრდებს მოუწოდეთ, რომ სოფლებს ნუ დაცლიან, თქვენს სიტყვას დიდი ფასი ექნება-მეთქი. გამიღიმა. დაფიქრდა. ერთ ხანს სდუმდა. ისევ გამიღიმა და რბილად მითხრა — ასეთი წერილები ნამდვილად საჭიროა. მაგრამ მე ნუ დამაწერინებო. რატომ უნდა იფიქროს ახალგაზრდამ, ეს ბერიკაცი აქ თბილად დამჯდარა და ჩვენ სოფლებში გვერეკებაო... ეტყობა, მართლაც ძალიან გაუჭირდა. მე მაინც შევკადრე, იმედს არ ვკარგავ-მეთქი, და მეორედ რომ შევხვდი, შევახსენე ჩემი თხოვნა. ახლა უფრო გატეხილი ღიმილით შემომხედა, და ვცდიო, ამითქვა. აკი მოგახსენეთ, რბილი კაცი იყო, უარის თქმა უჭირდა. კიდევ შევახსენე — რედაქტორის სიჯიუტეს ვერ მოვერიე. თუმცა იმედი უკვე აღარა მქონდა. იმის შემდეგ ორ დღესაც არ გაუვლია, რომ თვითონვე მოვიდა რედაქციაში და მოიტანა ხელით ნაწერი — არ გადაებეჭდა — ოთხიოდე გვერდი წერილი. შენი დავალება მაინც შევასრულეო, მითხრა, არ ვიცი, როგორ გამოგადგება, მაგრამ მე მაინც ძალიან გთხოვ, თუკი ეს შესაძლებელი იქნება, ნუ დაბეჭდავო. ერთგვარი საყვედურიც ვიგრძენი მის სიტყვებში და მაშინღა მივხვდი, რომ დავაშავე, ზედმეტი სიჯიუტე გამოვიჩინე, და ახლა უკვე მე შევწუხდი. რაღა თქმა უნდა, არ დაგვიბეჭდავს ის წერილი. ჩემთანვე დარჩა. ახლაც მახსოვს დასაწყისი — ჩვენს მშვენიერ სოფლებს უგულოდ ვტოვებთ და ქალაქში ვიხორხლებითო (ეს სიტყვა ზუსტად გამოხატავდა მაშინდელ ჩვენს მდგომარეობას — ახალი საცხოვრებელი სახლები არ შენდებოდა და მართლაც რომ იხორხლებოდა ხალხი ვიწრო ბინებში). მერე ყვებოდა იმ მძიმე შედეგებს, რაც სოფლების დაცლას შეიძლება მოჰყვეს — ლოგიკური დასაბუთებით, გონივრულად, და ჩვეული სირბილით, არა კატეგორიული ტონით. ძალიან ვწუხვარ, რომ ის წერილი

ჩემთან აღარ არის, სხვა ქალალდებთან ერთად დაიკარგა. ისე მოულოდნელად წამოვედი ჟურნალიდან, რომ მერე დიდხანს ფეხი აღარ შემიდგამს რედაქციაში და ორი საქაღალდე სადღაც გაიბნა.

ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია შალვა დადიანს, მაგრამ იმ მოკლე დროშიაც ხშირად ვხვდებოდი ხოლმე — ხან თვითონ შემოივლიდა რედაქციაში, უფრო მეტად მე მივდიოდი მასთან, თეატრალურ საზოგადოებაში, ზოგჯერ ალიო ადამიას სახლში, წვეულებაზე (ალიო ადამია ძალიან კეთილი და სათნო კაცი იყო და ბატონ შალვას გამორჩეულად უყვარდა), ერთხელ თავადაც მიგვიწვია სახლში, პატარა წვეულება ჰქონდა: თავისი ძველი მეგობრები — ლეო ქიაჩელი და გერონტი ქიქოძე, და ჩვენ, ახალგაზრდები, ოჯახებით. იყო კიდევ რამდენიმე კაცი, თვითონვე თამადობდა თავის ოჯახში, თუმცა ამ დროს ძალიან მოტეხილი იყო. მასთან სუფრაზე ყოფნაც კარგი სკოლა იყო. ღვინოს არავის აძალებდა, ლაღად ხუმრობდა, ყველას ეფერებოდა — საოცარი თავაზიანობით, დარბაისლობით, არავითარი პათეტიკა და ზედმეტი ეპითეტები, ცდილობდა, ყველა ჩაება საერთო მხიარულობაში, ყვებოდა საინტერესო ამბებს. მაგრამ დაიღალა და ერთბაშად ჩაეძინა — უკვე ღრმა მოხუცი იყო. წინასწარ თადარიგი დაიჭირა: მე შევუდგები თამადობას და მერე ეს ახალგაზრდა კაცი გააგრძელებსო, მაგრამ მის სუფრას ვილა გააგრძელებდა, ავიშალეთ და წამოვედით, თან წამოგვყვა რამდენიმე დღის სიხარული. ამის დიდი უნარი ჰქონდა მას. ერთხელ, ეს ცოტა უფრო ადრე მოხდა — მაშინ უფრო მხნედა გრძნობდა თავს — თეატრალურ საზოგადოებაში მივედი, უკვე დღის ბოლო იყო, საკმაოდ ცხელოდა. და ბატონმა შალვამ შემოგვთავაზა — სახლში მისვლა ასეთ სიცხეში ძნელია, ოჯახებიც აგარაკებზე გყავთ, მცხეთაში წავიდეთ და ვისადილოთო. ჩავუსხედით მე და ალიო ადამია მანქანაში (მაშინ „პობედა" ჰყავდა) და წავედით. რესტორან „არმაზში" ვისადილეთ, მცხეთის სადგურის უკან, მტკვრის პირას, და თუმცა კარგად მიგვიღეს — შალვას ყველა იცნობდა საქართველოში და ყველგან დიდის პატივით ხვდებოდნენ — მაინც არ ესიამოვნა, რესტორანში ხალხი ირეოდა და დროზე მოვრჩით სადილს. ზაფხულის მზე ჯერ ისევ მომაღლოდ იდგა ცაში და აქაც ცხელოდა. ახლა კარგი იქნებოდა სადმე სოფელში, სიგრილეში წასვლაო, შალვამ ბრძანა. მყავდა ერთი ახლობელი კაცი — ოთარ ჩხეიძის მოყვარე — გორში ცხოვრობდა. ვაჟკაცი კაცი იყო, ნაომარი, და რამდენს შემხვდებოდა, სულ იმას მთხოვდა, ერთხელ მესტუმრე, გამახარეო, შალვა დადიანი და გიორგი ქუჩიშვილიც მაწვიეო. დადიანსა და ქუჩიშვილს ფრონტიდან იცნობდა ეს კაცი.

როცა მწერლების ჯგუფი და მათ შორის შალვა დადიანი და გიორგი ქუჩიშვილი ფრონტზე ჩავიდნენ, მეომრების მოსანახულებლად, მაშინ გაეცნო. და მერე სულ საამაყოდ ჰქონდა, ქუჩიშვილი და დადიანი ჩემი მეგობრები არიანო, ამბობდა. და თუმცა ქუჩიშვილი უკვე ცოცხალი აღარ იყო, რაღაცნაირად ავიწუდებოდა და სულ იმასა მთხოვდა — ეს ორი დიდებული კაცი სახლში მაწვიეო. სწორედ ეს კაცი გამახსენდა, როცა შალვამ სოფელი მოინატრა. ვუთხარი, ასე და ასეა, ძალიან გავახარებთ იმ კაცს-მეთქი. „წავიდეთ, გავახაროთ!" უყოყმანოდ დამთანხმდა შალვა და გავსწიეთ. გორში მალე ჩავედით, ჯერ მზე არ ჩასულიყო, და ის კაცი სახლში არ დაგვიხვდა — ისა და მისი შვილებიც ყანაში იყვნენ, მეზობელ სოფელში. შეწუხდა დიასახლისი. გვთხოვა, ოღონდ ნუ გაბრუნდებით — ახლავე ვაფრენ კაცს და აქ გაჩნდებიანო. სახლს დიდი ეზო ეკრა, კარგად მოვლილი. დავათვალიერეთ ეს ეზო, მარანიც, რომელიც ეზოში ჰქონდათ მოწყობილი, თითო ხელი ნარდიც ვითამაშეთ, და უცებ მოგვესმა — ამ დროს უკვე შებინდებული იყო — ჩვენი მასპინძლის ხმა: ამას ვისა ვხედავ ჩვენს ოჯახშიო. დიდის ამბით მიესალმნენ ერთმანეთს. ვერ ვიტყვი, შალვას ხსომებოდეს ეს კაცი, მაგრამ მის სიხარულს თუნდაც პატარა ჩრდილს როგორ მიაყენებდა — როგორ არ მახსოვხარო, უთხრა, შენისთანა ვაჟკაცს რა დამავიწყებსო. ამ კაცს, რა თქმა უნდა, თავისი შვილები და სიძე გამოჰყოლოდა, შესანიშნავი ვაჟკაცები, და გამოევლო აგრეთვე ოთარ ჩხეიძისათვის, რომელიც იმ დროს სოფელში იყო (ეს სოფელი იმ კაცის ყანებს ესაზღვრებოდა). გიორგი რატომღა არ მომიყვანეო — ახლა ქუჩიშვილი მოისაკლისა მასპინძელმა. არ გვინდოდა, მისი სიხარულისათვის ჩრდილი მიგვეყენებინა და ვუთხარით, შეუძლოდ იყო და წამოსვლა ვერ მოახერხაო. მეორედ რომ მოხვალთ, მაშინ მაინც უსათუოდ მაწვიეთო, იმედი დაიტოვა ჩვენმა კეთილმა მასპინძელმა. ამასობაში სასიამოვნოდ აგრილდა კიდეც. დიასახლისს უკვე დიდებული სუფრა გაეშალა და შემოვუსხედით. კარგა ბლომად ხალხი შეგროვდა. თამადობა შალვას სთხოვა მასპინძელმა. ჩვენ გვეშინოდა, იქნებ უკვე დაიღალაო, მაგრამ არა — ისეთი დრო გაგვატარებინა იმ ღამეს, რომ დღემდე დაუვიწყარია. ალიო ადამიას ხუმრობა უყვარდა, ბატონ შალვას ეპაექრებოდა, და ისიც აჰყვა. იყო განუწყვეტელი სიცილი და მხიარულება. მასპინძელს ერთი ხანში შესული და ჰყავდა, გაუთხოვარი. და ამ ქალმა გულწრფელად განაცხადა — შალვა დადიანი ძალიან მიყვარსო. და მერე სანანებელი გაუხდა. აიტაცა ეს სიტყვები ალიო ადამიამ და აღარ მოეშვა შალვას — თქვენ ეს იცოდით და განგებ წამოგვიყვანეთო. და არც შალვამ დაიხია უკან —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომწონს ეს ქალბატონი და თქვენ რა გინდათო. რამდენჯერმე გაიმეორა ასე. პირველად არაფერი, მაგრამ მერე და მერე, მასპინძელს ღვინო რომ მოეკიდა, ეჭვიც ჩაესახა გულში — ისეთი ხომ არაფერი ხდება ამ ჩემს ოჯახშიო, მოიწყინა და რაღაც ჩაიდუდღუნა თავისთვის უკმაყოფილოდ. გვერდზე ოთარ ჩხეიძე ეჯდა და იმან დაამშვიდა — ხუმრობით, რა თქმა უნდა — ნუ გეშინია, მოხუცი კაცია, რა უნდა მოხდესო... „შენ მოხუცი უთხარი და, შეხედე ერთი, როგორა ზის!“... ეს უკვე ხმამაღლა გამოუვიდა, და ახლა ამაზე ატყდა სიცილ-ხარხარი. მასპინძელი მაშინვე მიხვდა თავის ეჭვის უსაფუძვლობას, და ისევ გაებადრა სახე. ახალი ძალით გაჩაღდა მოლხენა. გათენებას ბევრი აღარ უკლდა, და არც ჩვენს მოლხენას უჩანდა ბოლო, მაგრამ შალვა ერთბაშად წამოდგა — დაიღალა, უნდა წავიდეთო, თქვა. ერთბაშად მოერეოდა ხოლმე დაღლა. მასპინძელს გული დაწყდა, ბარემ ბოლომდე გამახარეთ, აქვე მოგასვენებთ და ხვალ გავაგრძელოთ ეს მხიარულებაო, მაგრამ შალვა არ გატყდა — ეს რბილი და ხათრიანი კაცი ასეთ შემთხვევაში შეუპოვარი იყო.

აგარაკებზე წასვლა შალვა დადიანს არ უყვარდა — ვერ წარმომიდგენია, მთელი დღეები ზღვის პირას უსაქმოდ დავჯდე, ან მთის აგარაკზე ჰამაკში წამოვწვე და ვიძინო: ეს რა დასვენებააო. დასვენება აქტიური მწამს — უნდა იმოგზაურო, იხეტიალო... და მართლაც სულ დადიოდა შალვა დადიანი, რამდენჯერ ჰქონდა მოვლილი საქართველოს ყოველი კუთხე და სოფელი.

უდარდელი კაცის სახელი ჰქონდა. იქნებ იმიტომ, რომ თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ დაუწუწუნია და მუდამ ლაღი ღიმილით შეგვხვდებოდა. სახუმარო ლექსიც კი ჰქონდათ შეთხზული მწერლებს. ამ ლექსში შარჟულად, მაგრამ ძალიან მარჯვედ არის დახასიათებული ბევრი იმდროინდელი ცნობილი მწერალი. „განთქმულია ქვეყნად“... ასე იწყებოდა ეს კოლექტიურად შეთხზული ლექსი და ამას მოსდევდა თითო სტრიქონიანი დახასიათება, ვინ რითი იყო განთქმული. როგორც ყველა შარჟში, აქაც გაზვიადებულად იყო ხაზგასმული ადამიანის ხასიათის ესა თუ ის თვისება, დაფუძნებული ზერელე შთაბეჭდილებაზე.

განთქმულია ქვეყნად
ლეონიძის კვეხნა;
პაიჭაძის ბუცი
და დუმბაძის ფაცაფუცი...
საშას ქუთათელობა
და შალვას უდარდელობა...

და ასე გრძელდებოდა ეს სალაღობო ლექსი... უვნებელ ხუმრობაზე მწერლები თავად გულიანად იცინოდნენ. შალვა დადიანზე სხვა ანეგდოტებიც იყო გავრცელებული — კეთილი გახუმრებანი, სადაც ისევ და ისევ უდარდელ კაცად იყო იგი დახასიათებული.

ეს ზერელე შთაბეჭდილება გახლდათ. უნებურად თვითონვე უწყობდა ხელს ასეთი შთაბეჭდილების შექმნას. .....ამბობენ, შალვა მუდამ იღიმისო, უდარდელი კაციაო, — წერდა იგი თავის მემუარებში, — და ეს უფრო მაშინ შემჩნევა, როდესაც ჩოხა-ახალუხით ვარ გამოწყობილი. ასეთი მატყუარა ვარ“...

სინამდვილეში შალვა დადიანი უდარდელი არ ყოფილა. ის აზრიც მცდარია, თითქოს იავარდით ფენილი გზა ჰქონოდა შემოქმედებაში. მე თვითონ მახსოვს, რა წინააღმდეგობა ხვდებოდა მის პიესებს, რამდენჯერ მოხსნეს და აღადგინეს „კაკალ გულში“, რადგან ოფიციალურ კრიტიკას მრუდ სარკეში დანახული მოეჩვენა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება. არა-და, ეს პიესა იყო ერთ-ერთი პირველი მამხილებელი მხატვრული ქმნილება ცხოვრებაში ფეხმოკიდებულ ბიუროკრატიზმზე. „თეთნულდში“ ძალიან საჩოთიროდ მოეჩვენათ დადებითი გმირის ტრაგიკულად დაღუპვა, — მწუხარება და სევდა ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი არ არისო! გამანადგურებელი რეცენზია დაუბეჭდეს გაზეთში, დაუნდობელი სისასტიკით, ტლანქად, ცილისმწამებლურად — და რამდენჯერ გადააკეთებინეს უკვე დადგმული სპექტაკლი პიესის ავტორსა და რეჟისორს. ხალხი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს. გამოვიდოდა ხმა, სპექტაკლი გაუშვესო, და მაშინვე მოედებოდა ქალაქს ეს ცნობა. — მაშინდელი თბილისი ნამდვილი თეატრალური ცხოვრებით ცხოვრობდა. — აფიშაც გამოჩნდებოდა თეატრის წინ. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ ჩამოხსნიდნენ აფიშას, და ახლა ეს დამაღონებელი ამბავი გავრცელდებოდა ელვის სისწრაფით. მის რომანსაც შემოსწყრენ ერთი პირობა. მახსოვს ერთი საღამო მწერალთა კავშირში, როცა შალვა დადიანს თავისი პირველი დიდი რომანის გამო შეუტიეს ძალიან მკაცრად და უსამართლოდ. გერონტი ქიქოძემ ამას „თვითგვემის საღამო“ უწოდა... ავტორი სევდაგარეული მიმტევებლობით იხსენებს იმ საღამოს: „ბოლო ხანებში, ზოგიერთი კრიტიკოსი მოუბრუნდა ამ რომანის გარჩევას და მე ვფიქრობ დაუკვირვებლობის გამო დამიწუნა მთელი მიმართება რომანის შინაარსისა, ამას სამწუხაროდ აჰყვა ზოგიერთი პიროვნება და მხარი დაუჭირეს ასეთ გამოხდომებს“... ზოგი ისე აკრიტიკებდა, რომ წაკითხულიც არა ჰქონდა რომანი. ასეც ხდებოდა ხოლმე, და არც თუ იშვიათად. ერთ ამისთანა კრიტიკოსს „მე დიდი ბოდიშით მოვახსენე, რომ არა გქონიათ წაკითხული მეთქი და ასე... ბევრი რომანის წაუკითხავად გაკრიტიკებდა“. წერდა შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალი, რაც ასეთი კურიოზები ყოფილა უცხოეთ: ოციან წლებში შალვა დადიანი ხელოვნების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. თბილისში გასტროლებზე ვიღაც ვიოლონჩელისტი ჩამოსულა, ხელოვნების განყოფილების უფროსს აფიშა შემოუტანეს ხელმოსაწერად, ასეთი წესი ჰქონიათ მაშინ. „ამ დროს ჩემს კაბინეტში იჯდა ერთი ხანდაზმული ბოლშევიკი და როდესაც გაიგო რაშიაც იყო საქმე, მითხრა: შალვა რას ჩადიხარ, რის ნებართვას აძლევ. ვიოლონჩელი ხომ ბურჟუაზიული საკრავიაო“.

ერთი სიტყვით, შალვა დადიანის სამწერლო და მოღვაწეობის გზა „ია-ვარდით ფენილი“ არა ყოფილა, თუმცა ბევრს ასე ეგონა. და ეს ზერელე შთაბეჭდილება გახლდათ. აქაც მისი ხასიათი და ადამიანური ბუნება „ატყუებდა“ თანამედროვეებს. „ჩემს თითებს ვერასოდეს ნახავთ მელნით დასვრილს“, თვითონვე ამბობს ამას. ესე იგი, ლაღად წერდა, ბევრს არ წვალობდა — „ჩემი ნაწერის შავს, საკვირველია, მაგრამ არასოდეს არ ჩავასწორებ ხოლმე. პირდაპირ შავს გადავცემ რედაქციას ან გამომცემლობას“. ეს მისი ხასიათიდან გამომდინარეობს, მისი მუშაობის სტილია. მაგრამ იმას როდი ნიშნავს, თითქოს დაუდევრად და იოლად წერდა: დიდხანს ატარებდა სათქმელს, გონებაში აყალიბებდა, ცვლიდა, ვარიანტებს ქმნიდა. მასვე მოვუსმინოთ: „დიდხანს ვფიქრობ ხოლმე, ზოგჯერ წლობითაც კი და რაკი თავში ჩამებეჭდება იდეა, ჩემი ფიქრი სულ ამის გარშემო ტრიალებს, სულერთია მარტო ვარ თუ საზოგადოებაში, ჩემ გარშემო ქეიფია, მოლხენა თუ გლოვა და ტირილი. უბრალო შეხვედრის დროსაც მეგობრებთან, ნაცნობებთან, რასაკვირველია, მხარს ვუჭერ მათ გასაუბრებას, მაგრამ ჩემი სახის გამომეტყველება სადღაც სხვაგან მაინც გამირბის, ვერავინ ვერ შეამჩნევს, თუ რაღაც საკუთარ დიდ ფიქრს მოუპყრივარ“... ხოლო როცა კარგად მომწიფდება გონებაში, როცა დარწმუნდება — „ახლა შემიძლიან წერაც დავიწყო-მეთქი, სადაც უნდა ვიყო, მივუჯდები მაგიდას, შეიძლება ფანჯარასთანაც და ირგვლივ რაც უნდა ხმაური იყოს, ვაი უშველებელი, მე ხელს ვერ შემიშლის. ის კი არა, ამ დროს რაიმე გარეშე კითხვით თუ მომმართა ვინმემ, მე მზამზარეულ პასუხს ვაძლევ. და კვლავ ჩემს საწერს განვაგრძობ“.

საოცარია, მაგრამ შალვა დადიანს მეგობრები არა ჰყოლია. სიცოცხლის დასასრულს თვითონვე გამოუტყდება თავს ამაში. „როდესაც საკუთარ თავთან მარტო ვრჩებოდი და ჩემს ცხოვრებას თვალს გადავავლებდი, მწვავედ ვგრძნობდი სულიერ მარტოხელობას“... — „ასე დავრჩი ჩემი ცხოვრების ბოლომდე, თითქო „სულით ობოლი“.

და იქვე პუშკინის ერთი სტრიქონი მოაქვს:

...Знакомых тьма, а друга нет...

შთაბეჭდილება კი გრჩებათ, თითქოს მეგობრები ეხვია გარს.

ბევრი რამ მაგონდება — რაც ჩემი თვალით მინახავს, რაც მისგან მომისმენია, და მენანება წერტილი დავუსვა ამ წერილს. ისევე როგორც მასთან საუბრის შეწყვეტა გენანებოდა ხოლმე კაცს...

რამ გამახსენა ერთად ეს ორი ადამიანი, ერთმანეთისგან სავსებით განსხვავებული და მაინც საოცრად მსგავსი ერთმანეთისა? რა საოცარი თვისება ჰქონიათ — უკვე რამდენი ხანია ამქვეყნიდან წავიდნენ და მაინც ცოცხლად მიდგანან თვალწინ, მათი ხმა ისევ ყურში ჩამესმის, თითქოს რამდენიმე წუთის წინ მენახოს; შალვა დადიანი — ახოვანი, მხრებში გაშლილი, ლაღი, აუჩქარებელი, მუდამ მომღიმარი, ბედნიერი, ადამიანებთან ურთიერთობაში რბილი, დამთმობი, ხათრიანი... თედო სახოკია — მორჩილი ტანისა, მუდამ საქმიანი და მოფუსფუსე, მტკიცე და არდამთმობი, შეუპოვარი, გულჩათხრობილი და შეჭირვებული — ასეთი მოგეჩვენება ერთი შეხედვით — მაგრამ როგორ ერთბაშად შეიცვლება, როცა დაგინახავს და გაგიღიმებს, როგორ ერთბაშად გაგინათებს გულს თბილი სხივი რაღაც შორეული და გაუცნობიერებელი იმედისა... და როგორ ერთბაშად გაგიქრება ის ცრუ შთაბეჭდილება, თითქოს ეს კაცი გულჩათხრობილი და შეჭირვებული იყოს.

რა უხვად გაგვინაწილეს მათ — როგორც წმინდა მოციქულებმა — მადლი წარსული საუკუნისა, საიდანაც ისინი მოემგზავრებოდნენ.

და რა ღარიბი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, რომ ისინი არ ყოფილიყვნენ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელიზბარ ჯაველიძე

# უკეთუ სულით ცხოველ არს იგი

(ზოგიერთი ზნეობრივი პრობლემა თანამედროვე ქართულ პროზაში)

## III რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ...

„თვითონ ბავშვმა თუ ისაშველა, სხვაა. ვილაც ხერკელაშვილი ყოფილა, მოეწყო თავისით, არ მჯერა, მაგრამ, ვთქვათ ხერკელაშვილი მოეწყო, ამის გოგია მოეწყობა? მეტი არაა ჩემი მტერი"... — ამბობს რევაზ ჭეიშვილის მოთხრობის — „მეოთხე სიმფონია" — ერთ-ერთი გმირი და ამ „დაუჯერებელ" ფაქტს მოთხრობაში, როგორც მეშვიდე სასწაულს, ალიქვამს და იმეორებს სხვადასხვა პერსონაჟი. გამოცდილი გამომცდელი ლერი ჯინჭველიძეც მშობლებთან კამათში კვლავ ამ ფაქტს იშველიებს, როგორც უტყუარ არგუმენტს იმისა, რომ გამოცდაზე ნიშანს არც არავის აკლებენ და არც უმატებენ: „უკაცრავად, ბატონო დათიკო, ასეც არაა საქმე-მეთქი, მინდოდა მეთქვა, შარშან მაგალითად, იცით, შეიძლება, ჩამოვიდა რაიონიდან ვინმე ხერკელაშვილი უპატრონოდ და მოეწყო"... ასე განსაჯეთ. „ეს ფაქტი დათიკომაც ვერ უარყო"... იქვე დასძენს მწერალი.

შეიძლება ზოგიერთ მკითხველს ეს ფრაზა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეფრენივით მეორდება მოთხრობაში, ზედმეტად გაშარჟებულად და სიცილის აღმძვრელად მოეჩვენოს, მაგრამ ამ იუმორის ფესვები რომ დღევანდელი სინამდვილით და რეალობით არის ნასაზრდოები, ამაზე თვალის დახუჭვა თავის მოტყუება იქნებოდა და მეტი არაფერი.

ფაქტი ერთია, რომ დღესდღეობით ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისაღებმა გამოცდებმა ისეთი ადგილი დაიკავა, ვიტყოდით, ისეთ ციებ-ცხელებად და სახადად იქცა, რომ წელიწადის გარკვეულ პერიოდში — განურჩევლად იმისა, აბარებს თუ არა ჩვენი ახლობელი — ამ სენით ვართ შეპყრობილნი. განსაკუთრებით ამ აჟიოტაჟმა ბოლო ხანს იმატა.

უმაღლესში ჩაბარებამ პრესტიჟული ხასიათი მიიღო და ქართველი კაცის თავმოყვარეობის უფრო მართებულად, პატივმოყვარეობის შელახვის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იქცა. საზოგადოების უმეტეს ნაწილს მომავალი თაობის ბედი კი არ აინტერესებს. იმას კი არ კითხულობს, რა გამოვა მისი შვილი და როგორ წარსდგება მამულს მომავალში, არამედ პირადი „ღირსების შელახვა-არშელახვა" უფრო აღელვებს და პატივმოყვარეობის ჭია შემჯდარი უმეტეს შემთხვევაში ასე მსჯელობს თუ ფიქრობს: „რით ვარ სხვაზე ნაკლები, სხვამ თუ მოაწყო (!) შვილი, მე რატომ არ უნდა მოვაწყო, თავი ქვეყანაზე ხომ მომეჭრაო". როცა ამას ამბობს ან ფიქრობს, მახვილს სვამს სიტყვაზე — მოწყობა და ამით ერთგვარად ამაყობს კიდეც ეს წმინდა მეშჩანური შეხედულებაა. მაგრამ მან ისე მოიკიდა ფეხი ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ დიდი სოციოლოგიური აზრით დაიტვირთა და, რაც უფრო საინტერესოა, ჩვენი ცხოვრების ნორმად და წესად იქცა. ასეთი შეხედულება, რომელიც დღეს კარგ ტონადაც ითვლება, ნათლად ავლენს ჩვენი ზნეობის ერთ მანკიერ მხარეს მაგრამ არსებობს ამ მწვავე და აქტუალური პრობლემის მეორე მხარეც, ასე ვთქვათ, „ობიექტური საფუძვლები": როგორ ტარდება მისაღები გამოცდები ჩვენში. ხსენებული საკითხი არ არის იმდენად მეორე ხარისხოვანი, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს, რადგან უფრო ღრმად თუ ჩავუკვირდებით მას, აღმოვაჩენთ, რომ ის თავის არსში ეროვნულ და ზნეობრივ ხასიათსაც ატარებს, რომ აღარაფერი ვთქვათ სოციალურზე.

დასასრული. დასაწყისი იხ. „მნათობი", № 3.

ზემოთ უკვე ვთქვით და ახლაც გავიმეორებთ, რომ მომავალი თაობის დაკვალიანება, მისი სწორი აღზრდა და წარმართვა ბევრად განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის ხვალინდელ დღეს.

ამ ანბანურ ჭეშმარიტებებზე იმიტომ გვიხდება საუბარი, რომ მისალებ გამოცდებზე დიდი ცოდვა-ბრალი ტრიალებს და, როგორც წესი, „ილოს ბალღების" მსგავსი ნიჭიერი აბიტურიენტები იჩაგრებიან, ხოლო ხერკელაშვილის მაგალითი ნართლაც ისეთ გამონაკლისთა რიცხვს მიეკუთვნება, რომ მასზე მხოლოდ გაოცებით შეიძლება საუბარი.

აი, ამ დღევანდელობისათვის მეტად მტკივნეულ თემას წამოწევს რეზო ჭეიშვილი თავის ვრცელ მოთხრობაში — „მეოთხე სიმფონია", მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, ნაწარმოების ზედაპირზე ამოტივტივებული ეს კონკრეტული და ჩვენი დროისთვის დამახასიათებელი და ტიპიური მოვლენა მხატვრულად გააზრებული და წარმოჩენილია დიდ და გლობალურ, მარადიულ და ზოგადსაკაცობრიო პრობლემათა ურთიერთშეჯერების და შეპირისპირების ფონზე. ამიტომაც, ამ მოთხრობის პრობლემატიკა გაცილებით უფრო ღრმა და რთულია, ვიდრე ეს, შეიძლება, ერთი შეხედვით მოეჩვენოს მკითხველს. მოთხრობის აზრობრივი ეპიცენტრი, ჩანაფიქრისა და სათქმელის ხვედრითი წონა მთლიანად ქვეტექსტურ დონეზე არის გადატანილი. ასე რომ, თუმცა გამოცდების თემა ამ მოთხრობის სტრუქტურულ ხერხემლად გვევლინება და მას აქვს თავისთავადი მნიშვნელობაც, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი მწერლისათვის მხოლოდ მიზეზია, რათა მან გაცილებით დიდი ზოგად-საკაცობრიო და ეროვნული პრობლემები აღძრას, საყოველთაო და ღრმა სოციოლოგიური მნიშვნელობა რომ გააჩნიათ, და მათზე დააფიქროს მკითხველი.

თუ გურამ გეგეშიძე ჩვენ სულიერ დაცემას ზედმეტად ტრაგიკულ ფერებში ხატავს, ხოლო არჩილ სულაკაური სინამდვილის ასახვის რეალისტური პრინციპით ძერწავს იმავეს, რეზო ჭეიშვილი ლაღ და ზოგჯერ სარკაზმნარევ იუმორს მიმართავს. იუმორი თანდაყოლილი ნიჭია ადამიანისა, მას ვერც ისწავლი და ვერც ხელოვნურად შეიმუშავებ. შეიძლება თამამად ითქვას, ქართულ მწერლობაში თუ ვინმეა ამ ნიჭით მადლცხებული, ეს, უპირველეს ყოვლისა, რეზო ჭეიშვილია. მაგრამ მის იუმორს, ესოდენ დიდი სინატიფით და სილაღით რომ გამოირჩევა, ახასიათებს ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი სპეციფიკა, რაც მწერლის სიცილს უმთავრესად განზოგადებულ საფეხურამდე ამაღლებს. თუმც რეზო ჭეიშვილი არ გაურბის ანეკდოტურ მასალას, ყოველდღიურ ყოფით სიტუაციებზე აღმოცენებულ კომიზმს, მაგრამ ეს მოჩვენებითი „ზერელობა" ყოველთვის ატარებს თავის თავში სახაცილო მოვლენის ხილმისეულ გააზრებას. ამიტომაც მწერლის იუმორს ყოველთვის ღრმად აქვს გამდგარი ფესვები სოციალურად ღირებულ და ეროვნულად მნიშვნელოვან მიზეზ-შედეგობრივ მიმართებებსა და მოვლენებში. სწორედ ამის გამო მწერლის სიცილს გააჩნია დიდი კათარსისის ძალა და ხშირად გვევლინება დამოკლეს მახვილად, უზნეობის თავზე რომ არის შემართული. აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ მწერლის იუმორი არასოდეს ეშვება იმ დონემდე, როცა ის მხოლოდ მკითხველის თავშესაქცევ და ერთგვარ „მოსატყუებელ" საშუალებად იქცევა.

საანალიზო მოთხრობის იუმორი აისბერგივით არის წარმოჩენილი. მასთან პირველ შეხვედრისას მხოლოდ ამოწვერილ ზედაპირს აღიქვამს მკითხველი, მხოლოდ შემდგომ, თანდათან აცნაურებს მას მთელი სიგრძე-სიგანით. ერთი სიტყვით, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ რეზო ჭეიშვილის სიცილს ღრმა სოციალური ფესვები ასაზრდოებს. სამწუხაროდ, ეს სიცილი, როგორც წესი, ცრემლიანია. მწერლის მოჩვენებით მხიარულებაში უფრო მეტი დარდი და ვარამია ჩაქსოვილი, ვიდრე ზოგიერთ უნიჭოდ შექმნილ ხელოვნურ ტრაგედიაში. ვფიქრობთ, ნაწარმოების სათაურიც ამ თვალსაზრისით უნდა ავხსნათ. როგორც ცნობილია, ბეთჰოვენის „მეოთხე სიმფონია" გამოირჩევა მაჟორული განწყობილებით, სულის უდარდელი, ბედნიერი აღტყინებით და ტრაგიკული მოტივების იგნორირებით. რეზო ჭეიშვილის ეს მოთხრობაც ასეა დაწერილი, უდარდელი სულის განწყობა სუფევს ირგვლივ. ყველაფერი, ტრაგიკული თუ კომიკური — ერთი ნათელი ფერით, ერთი მხიარული ტონით (იშვიათ გამონაკლის თუ არ მივიღებთ მხედველობაში!) არის გადმოცემული. მაგრამ ეს სულის აღტყინება მოთხრობაში უფრო დიდი შინაგანი წუხილისა და მძიმე ფიქრის შედეგია, ვიდრე უდარდელობისა და ბედნიერებისა. მოკლედ რომ ვთქვათ, რეზო ჭეიშვილის „მეოთხე სიმფონიას" მწუხარე აკორდის ჟღერადობა არ აკლია და ამას თავისი დიდი მიზეზი აქვს!..

ამგვარად, არ შევცდებით თუ თავიდანვე ვიტყვით, რომ რეზო ჭეიშვილის მოთხრობის სემანტიკური რკალის, მისი კომპოზიციური სტრუქტურის და გამოხატვის სპეციფიკურობის ახსნა უნდა დავიწყოთ, ჩვენი აზრით, სწორედ შიდა პლასტების და ფენების გამოწვლილვითი შესწავლის გზით. სხვაგვარად მხოლოდ აისბერგის ზედაპირს დავლანდავთ, მცირედს და უმნიშვნელოს აღვიქვამთ, ხოლო მთავარი და არსებითი ხელიდან გაგვისხლტება.

საანალიზო მოთხრობის იუმორის ფესვები ნაწარმოების კომპოზიციური სტრუქტურის აგების თავისებურებასა და იმ მსოფლმხედველ-

ბრივ კონცეფციაში უნდა ვეძებოთ, რომელიც ამ ქმნილების ქვაკუთხედს წარმოადგენს. „მეოთხე სიმფონიის" სემანტიკური რკალი მრავალ საკითხს მოიცავს. მაგრამ მათი გააზრება და თავისებური ხედვით წარმოსახვა ხდება ერთი ძირითადი პრობლემის, სიკვდილ-სიცოცხლის რაობის გარკვევისა და ურთიერთშეჯერების სიბრტყეზე. მოგეხსენებათ, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა რამდენადაც უძველესია, იმდენადვე ცოცხალი და აქტუალურია. კაცობრიობის განვითარების თითქმის ყველა პერიოდში ცივილიზებულ გონებას აწუხებდა, გაეგო სიკვდილ-სიცოცხლის ამოუხსნელი საიდუმლო. იგი დღესაც აწუხებს ადამიანს და, შეიძლება ითქვას, ამ გადაუჭრელი პრობლემისათვის პასუხი ვერ მოუნახავს. რეზო ჭეიშვილს ამ გადაუჭრელობის ჭეშმარიტება შეცნობილი აქვს. ალბათ, ამიტომაც ის უშუალოდ ამ პრობლემის ახსნასა და გაშუქებას როდი ცდილობს?! მწერალი არც ფილოსოფიური განსჯითა და ეთიკური კატეგორიების შეფასებით ტვირთავს მკითხველს. ის, თუ შეიძლება ასე ითქვას, დისტანციურად, თავისებური კუთხით წარმოსახავს მას ისე, რომ ცრემლნარევი სიცილი არ შორდება მკითხველს. მწერალი თავისი უშუალობით აძერხებს ბუნებრივად და თავისთავად დააფიქროს ადამიანი პრობლემაზე, რომელიც ერთსა და იმავე დროს ძალზე ახლოც არის და გასაგებიც მისთვის და ძალზე შორეულიც და მიუწვდომელიც.

მწერალი ყოველდღიურ ცხოვრებასა და ყოფაში ხედავს ამ ორი ცნების გარდაუვალ ურთიერთმონაცვლეობას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სადაც სიცოცხლეა, იქვე სიკვდილიც არის ჩასაფრებული. ყველა მოკვდავიც ამაში დარწმუნებულია როგორც ყოველდღიური სინამდვილით, ასევე წარსულის თუ მომავლის გააზრებით. მაგრამ რეზო ჭეიშვილმა ისიც კარგად იცის, რომ სიკვდილ-სიცოცხლის ეს გარდაუვალი მონაცვლეობა და ამ ურთიერთშენაცვლების აუცილებლობა ააირობებს ორივე ცნების ღირსებას. აქ მრავალი ფილოსოფიური თუ ეთიკური პრობლემა იჩენს თავს, რომელთა გაშუქებაც ახლა შორს წაგვიყვანდა. ოღონდ აქვე უნდა დავძინოთ, რომ მეოცე საუკუნეში ამ ორმა ცნებამ, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ფილოსოფიური აზრის განვითარების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ, ერთგვარი „დევალვაცია" განიცადა. თუ ზნეობრივი კუთხით შევხედავთ მათ, დავრწმუნდებით, რომ სიცოცხლემაც დაკარგა ერთგვარად ფასი და სიკვდილმაც. ერთის მხრივ, ამ მიზეზით და, მეორე მხრივ, იმის გაცნობიერებით, რომ სიკვდილი გარდაუვლად უნდა გვეწვიოს — მოთხრობაში ეს ვანცდა ტრაგიკულ სიმაღლეზე კი არ არის „ქვაცილი", არამედ [illegible]. ერთგვარი ოპტიმისტური იუმორითაც კი არის შეფერილი, აი, ამ სიღრმიდან არის ამოზრდილი ნაწარმოების სიცილი, რომელიც, ერთი შეხედვით, თითქოს უდარდელი და ლაღია, სინამდვილეში კი სევდიანი და დამაფიქრებელი. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა კოსმიურ განზომილებებსა და განგების გარდაუვალობის ჭრილშია წარმოსახული, ხოლო ამ სიმაღლიდან აღებული და გააზრებული ადამიანთა ყოველდღიური ფიშვიში და ამაო შფოთი, მართლაც რომ, ღიმილის მომგვრელია. როცა მიშელ მონტენი საუბრობს სიცოცხლის ხანმოკლეობის თუ ხანგრძლივობის მოჩვენებითობასა და უსაფუძვლობაზე, იმოწმებს არისტოტელეს, რომელიც გვაუწყებს, რომ მდინარე გიპანისზე არსებობდნენ მწერები, რომლებიც სულ ერთ დღეს ცოცხლობდნენ. ზოგიერთი მათგანი დილის რვა საათზე კვდებოდა, ე. ი. სავსებით ახალგაზრდა, ზოგი კი საღამოს ხუთ საათზე, საკმაოდ ხანდაზმული — აგრძელებს მსჯელობას მონტენი — „განა რომელიმე ჩვენგანს ღიმილს არ მოგვრიდა, რომ ეთქვათ, ესენი (ახალგაზრდები — ე. ჭ.) თუ ისინი (ხანდაზმულები — ე. ჭ.) უბედურები ან ბედნიერები არიანო. ასევეა ჩვენი საუკუნეც, თუ შევადარებთ მას მარადისობას, ანდა მთების, მდინარეების, მნათობების, ხეების თუ ზოგიერთი ცხოველის არსებობის ხანგრძლივობას"... მართლაც, ამ მასშტაბებსა და განზომილებებში დანახული და წარმოსახული ადამიანთა ყოველდღიური ყოფა, რომელიც წამიერ „ნეტარებისათვის" თუ „კეთილდღეობისათვის" ხშირად ეშვება სიბინძურესა და უმსგავსობაში, თავისი მოჩვენებითი „სერიოზულობით" და ხელოვნურად და ზედმეტად გაზვიადებული რიგი ფასეულობით, უკვე თავისთავადაა კომიკური, სამწუხაროდ, როგორც წესი, სიცოცხლის ამ მხარეს ადამიანი ვერ აღიქვამს ან, უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ მას, რაღაც განსაკუთრებული „ინსტინქტებით" შეპყრობილს, არ სურს ამის გაგება და შეცნობა. ასეთი დამოკიდებულება და, თუ გნებავთ, განწყობა სავსებით ბუნებრივია, წინააღმდეგ შემთხვევაში — სიცოცხლე ყოველგვარ ფასს დაკარგავდა. მაგრამ არც თუ იშვიათად ეს ყოველდღიური ამაო ფაცი-ფუცი მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ზრუნვისა და ფიქრის შედეგია — ეს კი ადამიანთა მოდგმის დანიშნულების და კეთილშობილური ზრახვების გამრუდებაზე მეტყველებს.

რეზო ჭეიშვილს ეს პრობლემა სწორედ ზნეობრივი თვალსაზრისით აინტერესებს. ის სიცილით მოგვითხრობს ადამიანის ძეთა მრავალ უმსგავსობაზე, რაც, მისი აზრით, ძირითადად იმით არის განპირობებული, რომ ადამიანთა უმეტეს ნაწილს სიკვდილის გარდაუვალობა არ აქვს შეგნებული. მწერალი [illegible] ჩვენი ცხოვრების ერთი კონკრეტული პერიოდის მრა-

ვალ ყოფით დეტალს, რომლებიც იუმორისტის საოცარი ნიჭით ისეა გამოძერწილი, მათში ისეთი ხილოპტლისუხარიანობა და განზოგადებული მნიშვნელობა არის შთაბეჭდილი, რომ ეს ყოფითობა, მწერლის მიერ ძალზე საინტერესო კუთხით აღქმული და განცდილი, უკვე თავისთავად მეტყველებს ჭეშმარიტი მწერლობის მაღალ დონეზე ამავე დროს. ამ ვითომდა წვრილმან დეტალებს გააჩნიათ საოცარი ძალისხმევა, რომელიც ადამიანის სულის განსაწმენდელად არის მიმართული. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მწერლის მიერ იუმორისტულ ფერებში დახატულ მოვლენათა მნიშვნელობის სრული გააზრება ხერხდება მხოლოდ მათი ქვეტექსტური სემანტიკის ახსნით, რაც უკვე თავისთავად გულისხმობს მწერლის მხატვრული მეთოდის იმ სპეციფიკის გათვალისწინებას, რაზედაც ზემოთ მოგახსენეთ.

ამ თვალსაზრისით ერთობ საყურადღებოა მოთხრობის პროლოგი და ეპილოგი, რომლებშიც თითქმის ანალოგიური სურათია გადმოცემული. მწერალი მიმართავს პარალელიზმის ხერხს: „ფიცარს ხრავს მკილი ღამით. ჩადუმებულ ოთახში ისმის ბეუალი ფიცრიდან. გავხედავ, გაჩუმდება; განვაგრძობ წერას, კალმის წრიპინს აყვება გულმოდგინედ... ვისვენებ, ისვენებს, ვერ მხედავს, ვერ ვხედავ; ვგრძნობ არსებობს; ვწერ-ხრავს; კალამს ვაწრიპინებ — ბეუის. არასოდეს არ გვინახავს ერთმანეთი და ერთმანეთის გვესმის. მე ხმა მესმის, ის მგრძნობს"... ასე მყარდება მაღალ გონიერ და უგონო არსებებს შორის „ურთიერთ გაგება", უფრო მართებულად, მწერალი აქ გადმოგვცემს ბუნების დიდ, ამოუცნობ საიდუმლოებას, რომელიც წარმართავს ცოცხალ არსებათა მოქმედებას, თითქოს რაღაც საერთო კანონზომიერება უდევს საფუძვლად ცნობიერ თუ ინსტინქტურ ქმედებას. ყოველ შემთხვევაში, ერთიც და მეორეც თავდაუზოგავად ილვწის' არსებობისათვის. ეს პარალელიზმი ან მსგავსება უფრო ნათლად იგრძნობა შემდეგ კონტექსტში: „გავარვარებულ ტაფაში, ბუღში ხმაურობს თბილისი. ვერის ხეობაში ჭრიჭინებენ კუტკალიები, ჭრიჭინები, ბოცომკალები. ჰაერი გატენილია ჭრიჭინით... ასი ათასი მწერი ჭრიჭინებს იქ ერთ ალაგას, ერთდროულად.... ჭრიჭინებს სოლმოუთქმელად: უხმობენ, ეძებენ; ხაა... ლ-წყვეტილ უშვებენ პირობით სიგნალებს; ომობენ, გლოვობენ, ეფერებიან, ნაყოფიერდებიან გულის ტახიკარდიული დაგადუგით, ყრიან კვერცხებს კვნესითა და ცრემლების ღვრით. სპერმით გატენილ ნაშალის პარკს აკვნეტს მდედრი მამრს; აკვნეტს უჩქარებლად, საფუძვლიანად, ყოყმანისა და განსჯის გარეშე. დანარჩენები ჭრიჭინებენ გაბმულად, გაუთავებლად, ულვთოდ, ულმერთოდ, დაუნდობლად: ფრთებქვეშ დამალულილი ძვლის ხემს უსვამენ ფრთას და გულმოდგინედ ხერხავენ საკუთარ ძვლებს".

ცხადია, რეზო ჭეიშვილი კუტკალიების, ბოცომკალების და სხვა მწერთა ამ გაუთავებელ გნიასს გარკვეული მიზნით გადმოგვცემს. ამ კონტექსტში დიდი და ღრმა აზრია განივთებული, რომელიც შემდგომში, ამბავთა და მოვლენათა წარმოსახვის დროს, თანდათან ცნაურდება. ეს ქვეტექსტური აზრი კი დაახლოებით ასე იკითხება: თუ ადამიანის ქმედებას გამოვაცლით ესთეტიკურ-ზნეობრივ და რაციონალურ საფუძველს, მაშინ მისი ქმედებაც მაღალი მორალური და ინტელექტუალური სიმაღლიდან აღიქმება, როგორც ამაო ბეუილი და გნიასი ზემოაღწერილ მწერთა. ეს „ამაოება ამაოებათა გამო" მაშინ უფრო მძაფრად საგრძნობი და აღსაქმელია, როცა გავიხსენებთ, რომ ცოცხალ არსებას უეჭველად ელის სიკვდილი, რომ დაბადებული აუცილებლად მოკვდება! მაგრამ მივუბრუნდეთ ახლა მოხმობილ კონტექსტს: გავარვარებული ზაფხულის დღეა. გაუთავებლად ბზუიან და ჭრიჭინებენ მწერები, ხოლო ქუთაისლები „ტოტებზე შემომსხდარი მხერხავების აკომპანენტის თანხლებით, მღეროდნენ ხმაშეწყობილად. მაგრამ ტექსტი არ იცოდნენ, ვერ იმახსოვრებდნენ:

„რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ...
რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ..."

ვფიქრობთ ეს ეპიზოდიც და მისი „უტექსტო" სიმღერაც ღრმა ქვეტექსტური აზრის შემცველია და უშუალოდ აგრძელებს ზემოგანხილული ეპიზოდის სემანტიკურ ხაზს. განსაკუთრებით სიმღერის სიტყვები, რომელიც „აჭრიჭინებულ" ხეობაში გაისმის, კიდევ ერთხელ ასოციაციურად აღძრავს ადამიანთა და მწერთა უაზრო ქმედებათა შორის მსგავსებას და კვლავაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ცხოვრების ორომტრიალში ჩართულ ადამიანს, ავიწყებდა, რომ აღსასრული გარდაუვალია. ამიტომაც არ ერიდება ათას უმსგავსო და ამორალურ ქმედებას. ხოლო მაშინ, როცა მას თვალებში სიკვდილი ჩახედავს, აცნობიერებს თავის ნამოქმედრის ავსა თუ კარგს და მწუხარედ დაიღიღინებს: „რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ"... კონტექსტის ჩვეულ გაგებას მხარს უჭერს მოთხრობის ფინალი, სადაც ეს სიტყვები უკვე ბიბლიური მსოფლგანცდის ფონზე მეორდება. მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ.

ოდითგანვე ცნობილია, რომ ადამიანი სხვა სულიერ ქმნილებათაგან გამოირჩევა, როგორც მოაზროვნე ინდივიდი, ამიტომაც მას უფრო მეტი მოეთხოვება, ვიდრე სხვა ცოცხალ არსებებს. ბუნებრივია, ცხოველის მოქმედებას ვერ შევხედავთ ზნეობრივი კუთხით, მაშინ როცა ადამიანის ყოველი ნაბიჯი, ქმედება თუ ფიქრიც კი მისხალ-მისხალ იზომება და მორალის „რენდგენში" გატარებული. ამიტომაც, ადამიანის

ყოველგვარი ქცევა. ზნეობრივ მიზანს უნდა ექვემდებარებოდეს, ხოლო ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანი კი უნდა იყოს ყოველგვარი სწრაფვისა თუ სურვილის, ყოველგვარი განსჯისა თუ ფიქრის საბოლოო და ერთად-ერთი მიზანი. თავის დროზე ამის შესახებ მართებულად შენიშნა კანტმა. ის თავის ეთიკაში წერს: „ადამიანი, როგორც ზნეობრივი არსება, თვით მიზანია და არავითარი საბაბით, თვით ყველაზე მაღალი მიზეზებითაც, არ შეიძლება მისი განხილვა ან გამოყენება ნებისმიერი სხვა მიზნის მიღწევის იარაღად ან საშუალებად".

სამწუხაროდ, ეს ჭეშმარიტი აზრი თავადვე ადამიანებს ავიწყდებათ და ამიტომაც თავისსავე მოყვასს პირადი მოხმარების საშუალებად იყენებენ, რაც თავი და ბოლოა ყოველგვარი ბოროტებისა. ანდა საკუთარ ჟინს და ვნებას აყოლილნი, ეშვებიან ცხოვრების იმ უაზრო ორომტრიალში, რასაც ზნეობრივი საფუძველი არ გააჩნია და უნებლიეთ ემსგავსებიან იმ კალიებს და ბოცომკალებს, გაუთავებელი ჭრიჭინით რომ აუვსიათ ველის ხეობა.

საერთოდ, როცა ადამიანის მოქმედებას საფუძვლად არ უდევს ზნეობრივი და კეთილშობილური მიზანი, ის (მოქმედება) გარკვეული თვალთახედვით ემსგავსება თამაშს. წარმართული ფილოსოფიის დიდი წარმომადგენლები და შემდგომ შუა საუკუნეების მოაზროვნენი ამ ქვეყანას ხშირად სათამაშო მოედანს ადარებდნენ, ხოლო ადამიანთა არსებობას და ქმედებას — თამაშს. პითაგორა ამბობდა, რომ ჩვენი ცხოვრება გვაგონებს დიდ და მრავალრიცხოვან შეკრებილობას ოლიმპიურ თამაშებზე: ერთნი თავის ხხეულს იკაჟებენ, რათა დიდება და სახელი მოიპოვონ შეჯიბრზე, სხვები კიდევ ვაჭრობისთვის მოსულან, რათა სარგებლობა ნახონ. მაგრამ აქ არიან ისეთებიც, რომლებიც არავითარ სარგებლობას არ ეძებენ. მათ სურთ ნახონ, თუ რატომ ხდება ესა თუ ის; მათ სურთ მხოლოდ უბრალო მაყურებლები იყვნენ, დააკვირდნენ სხვის ცხოვრებას, რათა ჯანსაღად იმსჯელონ მასზე და შესაფერისად წარმოაჩინონ ის.

რეზო ჭეიშვილსაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, სიმართლეს და ზნეობრივ პრინციპებს მოკლებული ადამიანის ქმედება თამაშად ესახება. ის ამ დიდი თამაშის მაყურებლად გვევლინება და ჩვენც მის მოწმედ გვხდის. მაგრამ მწერალს ამოძრავებს დიდი, კეთილშობილური სურვილი იმისა, რომ ღრმად ჩაგვახედოს ამ „უაზრო" ორომტრიალში და სამერმისოდ სათანადო დასკვნები გამოგვატანინოს. მოთხრობის მთავარი გმირი, ბესო იაძე, ერთგან შენიშნავს: „თავს ვიქცევთ ყველანი, ვინც თამაშობს, ისიც თავს იქცევს და ვინც შრომობს ისიც თავს იქცევს, დიდი და პატარა, საჩინო და უჩინარი, ფიზიკოსი და მემწვანილე, ატომის დამშლელი და აფერისტი, პოლიტიკოსი, მწერალი, ავანტურისტი... ყველას დრო გაყავს... თუ ამას იქით [illegible] რია, გონიერ არსებას რა დარჩენია [illegible] ყოლების მეტი, ეგ არის... თავს ვიქცევთ და ჩვენდა უნებურად შეუცნობლად ვმონაწილეობთ განვითარების ექსპერიმენტში. არსებობს დრო, სივრცე, გზა სამყაროსი, კაცობრიობის, ადამიანის, არა ადამიანების, არამედ ადამიანის. ღმერთი კი სულის უკვდავებაა. სულის უკვდავების გარეშე ღმერთი არ არის. ჩვენს გარეშე არსებული ღმერთი მატერიაა, რომელიც ჩვენთან ერთად მოკვდება. თუკი ჩვენთან ერთად ჩაქრება მზე... სამარადჟამოდ შეჩერდება დრო, მოძრაობა, ღმერთიც ჩვენთან ერთად გარდაიცვლება და ეს იქნება სულის კატასტროფა, თავშექცევის ლოგიკური დასასრული. თუკი სული უკვდავია, უკვდავია ღმერთიც, სხვანაირად იგი არ არსებობს. მოკვდავია თუ უკვდავი ღმერთი, სამყარო და, შესაბამისად, ადამიანი? სიცოცხლეშივე ამის გაგება მეორედ მოსვლის ტოლფარდია".

საერთოდ, მსგავსი ფილოსოფიური მსჯელობანი ნაკლებად ახასიათებს ამ მოთხრობის პერსონაჟებს, ისინი უფრო მეტად ლაღობენ და მხიარულობენ, ვიდრე ფილოსოფიურ პრობლემათა გადაწყვეტაზე ფიქრით იწუხებენ თავს. მაგრამ მოხმობილ კონტექსტში აღძრული ურთულესი პრობლემები, კერძოდ, ცხოვრების რაობის, სულის მარადისობის თუ მისი გარდაცვალების, ღმერთის არსებობა-არარსებობის კოსმიური კატასტროფის და დასასრულის, სიკვდილ-სიცოცხლის არსისა, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში არ ასვენებდნენ რელიგიურ-ფილოსოფიურ აზროვნებას და რომელთა გადაჭრასაც ეს უკანასკნელი უმეტეს შემთხვევაში ლამობდა ზნეობრივ სიბრტყეზე, ამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, დოსტოევსკისეულ ალქმას ყოფნა-არყოფნას პრობლემისა მწერალი იმიტომ მიმართავს, რომ კიდევ უფრო გაამძაფროს სიცოცხლის ჭეშმარიტი მიზნის, მისი ნამდვილი ღირებულების გაცნობიერება. აქ მწერალი იმასაც გვაუწყებს და ეს ალბათ, ამჯერად არსებითია, რომ, თუკი ადამიანს არ გააჩნია რწმენა სულის უკვდავებისა და განუწყვეტლივ არ ზრუნავს თავისი ზნეობრივი სახის გადასარჩენად, მისთვის სიკვდილი უბრალოდ თავშექცევის ლოგიკური დასასრულია!

სწორედ ამ აზრის ნათელსაყოფად მოთხრობის სიუჟეტურ ღერძზე გამუდმებით მონაცვლეობს სიკვდილ-სიცოცხლის თემა, უფრო სწორად, ხდება ამ ცნებათა კონტრასტული დაპირისპირება, რაც მაჟორულ და მინორულ განწყობილებათა შეჯერებასა და შერწყმაშიც ვლინდება: სიცოცხლის მძაფრი დინამიკური სურათების გადმოცემას ხშირად ცვლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილის „სიმშვიდე“ და „მონოტონურობა“, ხოლო, შესაბამისად, სიცილს ტირილი მოჰყვება და პირუკუ, ტირილს — სიცილი. ეს კონტრასტულობა და საპირისპირო და განსხვავებული ფერების გამათა ურთიერთჩანაცვლება, რომელიც ყოველგვარი ხელოვნურობის გარეშე, ძალზე ბუნებრივად ხდება და, ამის შესაბამისად, ენის რიტმული ნახაზის ცვალებადობა, რაც აშკარად შეიმჩნევა ნაწარმოების კითხვის დროს, ამ მოთხრობის პოეტიკის ერთ-ერთ არსებით სპეციფიკურობად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ, რადგანაც სიკვდილის ტრაგედიაც კი ნაწარმოებში ცრემლიანი სიცილით არის გადმოცემული, ამიტომ, როგორც ვთქვით, მთლიანად ნაწარმოებში ალტყინებული სულის ამაღლებული განწყობილება ბატონობს.

რეზო ჭეიშვილი ცდილობს „ზუსტად“ გადმოგვცეს თბილისის და ქუთაისის აგვისტოს თვის ცხოვრება, უფრო ნართებულად, ამ მოთხრობაში მოქმედი დრო სულ ორი კვირით იფარგლება. სწორედ ამ ორი კვირის მანძილზე ვითარდება ის მოვლენები და ფაქტები, რომელთაც ნატურალისტური სიზუსტით გვიხატავს იგი. მწერლის მიერ მოთხრობილ ამ დეტალებს, როგორც ვთქვით, ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ნათლად წარმოსადგენად უკვე თავისთავად აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა და სოციალური ქღერადობა. მაგრამ მათი განსხეულების და გააზრების ტელეოლოგიური პრინციპი უფრო ღრმაა და შორს გამიზნული, ვიდრე ეს ერთი შეხედვით აღიქმება. მწერალს სურს, გვიჩვენოს რომ ადამიანის ამ გაუთავებელ ფაცი-ფუცსა და შფოთს განგებით გარდაუვლად განსაზღვრული ორი დიდი ცნების სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთ უცილობლად შენაცვლების ფონზე ყოველგვარი ფასი ეკარგება. ადამიანი ტყავიდან ძვრება, იბრძვის, ათასგვარი წვრილმანის გამო ასკდება გულს, მაგრამ მიქელ გაბრიელი რომ არის იქვე ჩასაფრებული, ამას ვერა გრძნობს. სწორედ ეს ქმნის, საერთოდ, ადამიანის ცხოვრების ტრაგიკომიკურობას. ალბათ, სწორედ ამიტომაც, საანალიზო მოთხრობის გმირები ხშირად ფიქრობენ სიკვდილზე. სიკვდილზე ფიქრი არ ასვენებს არც მოთხრობის მთავარ პერსონაჟს, მწერალ ბესო იაძეს: „სიკვდილი თან დაჰყვება, ბოლოს თავზე დაადგება ადამიანს; არათუ სიკვდილის, სიკვდილთავდამდგარი კაცის დანახვაც ჰყოფს: რა არის ადამიანიო, რა რთული, ამავე დროს, რა სუსტი და იოლად მოწყვლადი ნაწილებისაგან არის აგებული, რამდენ გარეგან, შინაგან სნეულებას, სტიქიურს, პოლიტიკურს, სოციალურ, ეროვნულ კატასტროფას უნდა გადაურჩეს, რომ დაბერდეს თუნდაც. არადა ერთდროულად, ერთი ხნისანი ხომ არ დავიხოცებით... რიგს ვერ დააწესებს, უკვდავებას ვერ დაუშვებს, სიცოცხლესაც ვერ შეაჩერებს, თუ არ მოკლა, ვერც გააჩენს. როგორ შეიძლება გონიერი არსება სამუდამოდ გამოეთხოვოს სინამდვილეს, აცდეს მოძრაობას, გაეთიშოს დროს, რომელიც მის გარეშე არ არსებობს, თუ ჩვენთან ერთად ქრება სინათლე, სამარადჟამოდ ესვენება მზე და ბნელდება ვარსკვლავიანი ცა, რად მინდა გონება, რატომ დამსაჯე, დასასრულის შეგრძნების უნარი რატომ არ წამართვი, მკილი ვარ, მომე ძალი მკილისა, მომე მოთმინება მკილისა, მომე ხვრის უნარი მკილისა, მაინც ხომ მკილი ვარ — შემოქმედი ჩემნაირი მკილისა!“ ეს არის მოაზროვნე ადამიანის უმძაფრესი ტრაგედია, შეცნობა და გააზრება იმისა, რომ სიკვდილი გარდაუვალია და მის დადგომასთან ერთად ქრება ყველაფერი, რაც ინდივიდთან არის დაკავშირებული, არის წუთები, როცა სიკვდილის წუთის გახსენება და მისი არსის გააზრება, ადამიანის სულს ზაფრავს, ასეთ წამებაში, ჩვეულებრივ, კაცს ურჩევნია ცნობიერება წართმეულ მკილად ყოფნა, რომელსაც არც დასაწყისის და არც დასასრულის გაგება არა აქვს, ვგონებ, აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს არის მხოლოდ ინდივიდის, სუბიექტის, თუ გნებავთ, ცალკეული ადამიანის ტრაგედია და არა ზოგადად ადამიანებისა, რადგანაც ინდივიდის გარდაცვალებასთან ერთად ქრება „სუბიექტური“, ინდივიდუალური ცნობიერება, სიცოცხლე კი გრძელდება, ბუნებრივია, ესეც კარგად აქვს გასიგრძეგანებული მწერალს: „ყველაფერი იქნება: სტადიონი, სველი მინდორიც, ხალხით გადაჭრელებული ტრიბუნებიც, — ფიქრობს სიკვდილის სარეცელს მიჯაჭვული მძლოლი ჟორია, — მზით განათებული მთებიც გამოჩნდება და აღარ ვიქნები მე: ბურთის გორიალიც არ შეწყდება, როცა სინათლე ჩაქრება და სამუდამოდ გაჩერდება ჩემი დრო“.

განსხვავებული ინტელექტისა და პროფესიის არიან ბესო იაძე და ჟორია, როგორც უკვე ითქვა, ერთი — მწერალია, მეორე — მძღოლი, ამიტომაც, განსხვავებულია მათი აზროვნების მანერაც და ხედვათა სამყაროც, მაგრამ მათ ფიქრსა და განსჯაში ბევრი რამ საერთო აქვთ, რადგანაც ზემომოხმობილი მსჯელობანი არა რაიმე მსოფლმხედველობრივ კონცეფციებს გადმოგვცემენ, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზოგადად ადამიანის წუხილის და დარდის გამომხატველია, სიკვდილის გახსენებასთან ერთად რომ წამოტივტივდება ცნობიერებაში, როგორც ცნობილია, ადამიანს სიკვდილზე ფიქრი არ ასვენებს; იგი ლამობს მის დავიწყებას სხვადასხვაგვარი საშუალებებით და გზებით, მაგრამ საკმარისია მახლობელი ადამიანის გარდაცვალება თუ განმარტოება თავის თავთან, რომ უმალ წამოიშლება ფიქრები გარდაუვალ კატასტროფაზე, აი, ასეთ ვითარებაში, როცა დაკარგულია რწმენა მარადისობისა და დამარხულია

ესქატოლოგიური „განცდა“, როცა შეგნებულია ინდივიდის უცილობელი აღსასრული, შეიძლება ადამიანი თავის ფიქრსა და ქმედებაში დაეშვას ცხოველზე დაბლა, რომელსაც არაფერი მოეთხოვება, და უწმინდურობის ჭაობში აღმოჩნდეს. არცთუ იშვიათად ეგოცენტრიკული პიროვნება ფიქრობს, რადგანაც დასასრული გარდაუვალია და მისთვის ყველაფერი მთავრდება ერთხელ და საბოლოოდ, ამიტომაც ამ წამიერ ყოფაში ყოველგვარი ქმედება, რა რიგ გნებავთ უზნეოდ იყოს შეფასებული ადამიანთა მოდგმის მიერ, გამართლებულია. ამიტომაც, ახეთი ადამიანი ამ ქვეყნიურ ნეტარებას თავდავიწყებით ეძლევა და პირადი კეთილდღეობისათვის არ ერიდება არავითარ სისაძაგლეს და ამორალურობას.

სამწუხაროდ, ამგვარმა ნიჰილისტურმა თვალთახედვამ იმძლავრა XX საუკუნეში თითქმის მთელ მსოფლიოში და, საკუთრივ, ჩვენ ქვეყანაშიც. მაგრამ საბედნიეროდ, არსებობს ამ თვალსაზრისისაგან განსხვავებული და ჯანსაღი აზრი, რომელიც მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: რადგან მხოლოდ ინდივიდის აღსასრული დგება და არა საერთოდ ადამიანობისა, რადგანაც ჩვენი სიცოცხლე გრძელდება ჩვენ შთამომავლობაში, რადგან არსებობს და მუდამ იარსებებს კაცობრიობა, ადამიანმა მხოლოდ საკუთარი თავისთვის კი არ უნდა იზრუნოს, არამედ სხვათათვის, თავისი ხალხისათვის, შთამომავლობისათვის, ქვეყნისათვის, ერისათვის და მისთ... ახეთი ცხოვრება შინაგან მოთხოვნილებად და არა პოზად უნდა ექცეს კაცს, მაშინ იგი ამართლებს იმ სპეციფიკურ ატრიბუტს, რითაც იგი განსხვავდება ყველა სხვა არსებისაგან და რის წყალობითაც აღიარებულია რჩეულად, ე. ი. ადამიანად ამ სამყაროში. აი, ამ კუთხით თუ შევხედავთ სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემას, მაშინ ის ონტოლოგიური რიგიდან ზნეობრიობის სიბრტყეზე გადაინაცვლებს. სწორედ ამ თვალთახედვით აინტერესებს იგი საანალიზო მოთხრობის ავტორსაც.

„მე კი ახლა ყველაზე მეტად ის მინდა, რომ მაღალზნეობრივი ადამიანი გავხდე“ — ეტყვის აკუტაგავა თავის გაუცხოებულ „მე“-ს. ვგონებ, დღევანდელი საზოგადოების უმთავრეს მიზანს და ამოცანას სწორედ ეს თეზა უნდა წარმოადგენდეს, რადგან სხვაგვარად, მართლაც რომ, მკილსა და ბოცომკალებს დავემსგავსებით, ოდენ ჩვენი მუცლის და ფიზიკური ჯანმრთელობის შემყურენი.

ამ მოთხრობის ესთეტიკურ-ეთიკური ზემოქმედების მიზანი სწორედ ის არის, რომ ჩვენი ცხოვრების მანკიერი მხარეების მხილებით, ადამიანის ჭეშმარიტ სულიერ ღირებულებათა გაუფასურების ჩვენებით და, საერთოდ, ადამიანის მოდგმის, ადამიანურობის გარკვეული დეგრადაციის წარმოჩენით სულიერად განწმინდოს და ამაღლოს ადამიანი, დაუბრუნოს ზნეობრივი თვალსაზრისით ის იდეალური [illegible] მხოლოდ და მხოლოდ ადამიანისათვის [illegible] და არის ნიშანდობლივი.

ახეთი გზა, როცა უარყოფითის უარყოფით და არა იდეალურის წინ წამოწევით ცდილობს მწერალი მკითხველზე ზემოქმედებას და მის „გაკეთილშობილებას“, ძალზე ძნელია და მოითხოვს შემოქმედისაგან, გარდა მაღალი ნიჭიერებისა, ზომიერების გრძნობასაც. მითუმეტეს რთულდება საქმე, როცა გულის სატკივრის გადმოცემას მწერალი იუმორით ცდილობს, როცა, სიცილს იყენებს ერთ-ერთ საშუალებად ტრაგიკულის გადმოსაცემად. საკმარისია ერთი ყალბი ნოტი, ერთი უადგილო, უკბილო ხუმრობა, რომ მწერლის მთელი „ნაცოდვილარი“ წყალში ჩაიყრება. რეზო ქეიშვილის სასახელოდ, საანალიზო მოთხრობა თავიდან ბოლომდე ისე იკითხება, რომ მკითხველი ერთხელაც არ გრძნობს სიყალბეს და ხელოვნურობას, თუნდ იმ ადგილების გადმოცემის დროსაც კი, როცა ამის საშიშროება აშკარად იგრძნობა. მწერალი აზერხებს ჩვენ თვალწინ ისე გააცოცხლოს დღევანდელი ცხოვრების მთელი რიგი მტკივნეული საკითხები, რომ გულწრფელად გვაცინოს, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენდა უნებურად, დაგვაფიქროს ამ მოვლენათა ავ-კარგიანობაზე.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ნაწარმოებში აღძრული ყველა ყოფითი თუ სოციალური მოვლენა ზნეობის პრიზმაშია გატარებული. რა დაემართა ზოგადად XX საუკუნის ადამიანს და, კერძოდ, ქართველ კაცს; რა არის მიზეზი თუ მიზეზები ზნეობრივი დეგრადაციისა?! აი, ძირითადად ეს კითხვები აწუხებს მწერალს და კიდევაც წარმოაჩენს მათ თავის მხატვრულ სამყაროში ისე, რომ აზერხებს ყველა კონკრეტულ შემთხვევას ზოგადის მნიშვნელობა მიანიჭოს, ყველა მეორადი, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ფაქტი სოციალური ქლერადობის მოვლენის მიზეზად წარმოაჩინოს. ლაღი სიცილით და მსუბუქი იუმორით დახატულ ყოფითობაში იმ არსებითი, ზოგადმნიშვნელოვანი მხარეების აღმოჩენა და გამომზეურება, რომლებიც აპირობებენ ადამიანის სულიერ ტრაგედიას — აი, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი სპეციფიკურობა და ნიშანდობლიობა რეზო ქეიშვილის მხატვრული სამყაროსი, კერძოდ, საანალიზო მოთხრობის პოეტიკისა.

აქვე არც იმის აღნიშვნა იქნება ზედმეტი, რომ არცთუ იშვიათად ზნეობრივი სიწმინდე არამართებულად ესმით! ზნეობრივ ადამიანად იმ პიროვნებას მიიჩნევენ, ვინც უსიტყვოდ ემორჩილება საზოგადოებაში გაბატონებულ წესებს, ადათებს თუ კანონებს. მაგრამ კაცობრიობის განვითარების ისტორიამ არაერთი მაგალითი

იცის, როცა ამა თუ იმ საზოგადოებრივ ფორმაციაში მრავალი არაჰუმანური და კაცთმოძულე წესი და ადათი დამკვიდრებულა. ასე, მაგალითად, იყო დრო, როცა მოხუცი მშობლების გარიზგვა კარგ ტონად ითვლებოდა, ანდა ქალის გარყვნილება დიდ ღირსებად ალიქმებოდა და სხვა. მაგალითების დასახელება მრავლად შეიძლება, მაგრამ ამჯერად ეს ვიკმაროთ.

ჩვენი აზრით, ჭეშმარიტი ზნეობის საფუძველთა საფუძველს ძირითადად ქმნის, ჯერ ერთი, ჰუმანიზმი, ანუ, სხვაგვარად, კაცთა, ზოგადად ადამიანთა სიყვარული და პატივისცემა და, მეორეც, სიმართლე, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რწმენა იმისა, რომ მართალი ხარ შენი თავის, საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე. ეს რწმენა სულის სიღრმეში უნდა იყოს ჩაბუდებული და იქიდან მოდიოდეს და არა სხვათა დასანახად, თვალის ასახვევად შემუშავებული. ჩვენი ფიქრით, ყოველგვარი უზნეობა იწყება სწორედ თავკერძობით, პირადსა და საკუთარზე ზედმეტი ზრუნვით. მოკლედ რომ ვთქვათ, თავისთავის უსაზღვრო სიყვარულით, ეგოცენტრიზმს რომ უხმობენ, და, მეორეც, სიყალბით, ანუ მოჩვენებითი წესიერებით, როცა ადამიანს სულში ეშმა უზის და თავი ანგელოზად მოაქვს.

აი, ეს მოჩვენებითობა და სიყალბე, სამწუხაროდ, ჩვენი ცხოვრების თითქმის მიღებულ წესად იქცა, საზოგადოების უმეტესი ნაწილი სწორედ ამ მოჩვენებითი წესიერებით „კეკლუცობს" და მოღვაწეობს, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თამაშობს პატიოსანი კაცის როლს. აბა, თუ გავიხსენებთ მწერლის იმ თვალსაზრისს რომ დიდ, კოსმიურ განზომილებებში ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა ისედაც „უმნიშვნელო" თამაშად ალიქმება, ხოლო უსინდისო და გარეწარი ადამიანის ფაცი-ფუცი და მომხვეჭელობისათვის გარჯა, მხოლოდ მკილისა და ბოცომკალის გნიასად და არაცნობიერ, თავის გადარჩენის ინსტინქტად უნდა მივიჩნიოთ, მაშინ კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ რა შემაზრზენია ეს სიყალბე ადამიანთა ურთიერთობაში და, მართლაც, სწორედ სიცრუე და მოჩვენებითობა არის ერთ-ერთი და, ვიტყოდი, არსებითი მიზეზი ჩვენი ზნეობრივი დაცემისა.

რეზო ჭეიშვილი თავის მოთხრობაში ისე გვიხატავს ადამიანთა ურთიერთობას თუ მოღვაწეობას, რომ ამ შენიღბულ სიყალბეს აღმოაჩენთ პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანში: შინ თუ გარეთ, ოჯახში თუ სამსახურში, უმაღლეს სასწავლებელში თუ საავადმყოფოში, ლხინში თუ ტირილში... ერთი სიტყვით, ყველგან და ყველაფერში.

დავიწყოთ მისაღები გამოცდებით, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, მოთხრობის ძირითადი ნაწილი ამ საკითხის გადმოცემას ეძღვნება. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართველი კაცისათვის შვილის უმაღლესში „მოწყობა-არმოწყობა" დიდი ღირებულების მქონე ცნებად იქცა და შექსპირის ტრაგედიის ფინალური მონოლოგის საბედისწერო სიტყვების — ყოფნა-არყოფნის ჟღერადობა შეიძინა. არ ვიცი, მცირერიცხოვანი ერი რომ ვართ, არ ვიცი, გარკვეული „კუდაბზიკობის" ბრალია, გენეტიკურად რომ მოგვსდევს, ფაქტი ერთია — ვგონებ, არსად დედამიწის ზურგზე ისე მტკივნეულად არ განიცდიან ამ ჩვეულებრივ ყოფით ფაქტს, როგორც ჩვენში. თანაც მას, პირადულზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ეროვნულ ღირსებად წარმოვიდგენთ. გვავიწყდება ერთი უმარტივესი რამ, რომ ადამიანის, საზოგადოების და, ბოლოს, ერის კულტურის დონეს მხოლოდ უმაღლესდამთავრებულთა რაოდენობა არ განსაზღვრავს, რომ ინტელიგენტობისა და შინაგანი კულტურისათვის კიდევ ბევრი რამ არის საჭირო, რაც, სამწუხაროდ, გვაკლია. ჩვენი აზრის დამადასტურებელი ერთი ეპიზოდი გავიხსენოთ სასანალიზო მოთხრობიდან. მწერალი მისთვის ჩვეული ნატიფი იუმორით გადმოგვცემს, თუ როგორ ეწვივნენ უნივერსიტეტის ერთ-ერთ თანამშრომელს, რომელსაც გოგი ერქვა, მაღლივ კორპუსში ამერიკელი სტუმრები. გამხდარი თარჯიმანი გოგონა თარგმნიდა დიალოგს, რომელიც სტუმრების განსაცვიფრებლად იყო მიმართული: „საქართველოში ორჯერ მეტი სტუდენტია, ვიდრე იტალიაში — ელას! — წამოიძახა პირმრგვალმა... და წვერიან ამხანაგს გადახედა, სკამზე მიგდებულ წვეროსანს. წელში გაზრილი და ფეხებგაჩაჩხული რომ ღეჭავდა რაღაცას, პოზა არ უცვლია, არც „ელას!" წამოუძახია ამ სტატისტიკის გამო და ყბაც არ გაუჩერებია, თითქოს ამაზე მეტი საოცარი და ფანტასტიკური რამე ჰქონდა გაგონილი მანამდე. ამერიკელის ეს გულგრილობა და ინერტულობა გაუკვირდა გოგის და კიდევ გაუმეორა ოფიციალური ცნობა, რომ „ჩვენთან ორჯერ მეტი სტუდენტია, ვიდრე საფრანგეთში, სამჯერ მეტი, ვიდრე იტალიაშიო"... თუმცა ვერც ამჯერად გაართო წვეროსანი, რაც თავად ინფორმატორის დიდ გაოცებას იწვევს. მაგრამ ყველაზე ცუდ დღეში გოგი მაშინ ვარდება, როცა ამერიკელი საჭირო ოთახისკენ გაემართება: „საჭირო ოთახში... მიდისო, წამოიძახა შეწუხებულმა გოგიმ.

— წავიდეს მერე, არ უშვებ?! — ჰკითხა გაოცებულმა ვიკამ.

— ისეთ დღეშია იქაურობა, შიგ არ შეისვლება... დავეწიო უნდა... რაღაცნაირად შევიყოლიებ, იქნებ გადაუაროს, შენ დამლაგებელი მოძებნე, ცოტა რაღაც"...

მართალია, ეს ეპიზოდი ერთგვარად გაშარჟებულია, მაგრამ, სამწუხაროდ, მასში სიმართლის მარცვალიც ღვივის და ნათლად მეტყველებს როგორც ჩვენ ყოფით კულტურაზე, ასე-

ვე პროვინციალიზმზეც. ამ კონტექსტის უფრო ღრმა გააზრება თავად მკითხველისათვის მიგვინდია. ჩვენ კი კვლავ მივუბრუნდეთ ზემოთ აღძრულ საკითხს.

მომაკვდავი ქორია სიკვდილის სარეცელზეა მიჯაჭვული. მაგრამ შვილის მოწყობა უფრო აწუხებს, ვიდრე თავისი საკუთარი ხვედრი. ადარდებს იმიტომ, რომ ამასთან ბევრი ყოფითი საკითხია დაკავშირებული. „მომზადება კი და გვიჯდა ძვირი, მაგრამ ალალია მაგისთვის, გარეთ არ გასულა, ბიჭს არ დალაპარაკებია ჯერ. ყველა საგანში ვამზადებთ ორი წელი. ატესტატი კაი გამოიტანა. არც ის გვიშოვნია მუქთად, მაგრამ მაინც... ეკუთვნისო; ჩვენც ვიცით, რომ ეკუთვნოდა, მაგრამ რომ არ წავხმარებოდით, არ მისცემდნენ... მთლად უპატრონოდ არა ვართ და მაინც მეშინია. ეგ მოეწყობოდეს და ჩემ თავს აღარ ვჩივი, რაც არის, ეგ არის, ჩემზე ახალგაზრდა წავიდა სოსია"... მომაკვდავი ქორიას გულწრფელობაში მკითხველს ეჭვი არ ეპარება. მაგრამ სატირალი თუ სასაცილო სწორედ ის არის, რომ ქართველი კაცი ამგვარად განიცდის ბავშვის უმაღლესში „მოწყობასა" თუ „არმოწყობას". სწორედ ამის გამო არის, რომ ზაფხულობით ატეხილია დიდი დავიდარაბა და ჯნიასი: იმალებიან გამომცდელები, ეძებენ მშობლები, ხან პოულობენ, ხან ვერა... ერთი სიტყვით, დიდი კუკუ-დამალობანას თამაშია ატეხილი. მწერალი თითქმის ნატურალისტურ ფერებში გადმოგვცემს ამ სიტუაციას. საოცარი შთამბეჭდაობით არის დახატული როგორც მშობლების თუ აბიტურიენტების, ასევე გამომცდელების სახეები. ყველა მშობელი თავდაუზოგავად იბრძვის თავისი შვილისათვის, ათასგვარ ხერხს მიმართავს, რათა „ობიექტურობის თვალსაზრისით" გამოცადონ მისი შვილი. მშობლების ეს „თავგანწირვა", მართლაც, გარკვეული აზრით გამართლებულია, რადგანაც უპატრონო ბავშვის ჩარიცხვა ჩვენს სინამდვილეში დიდ იშვიათობად იქცა. ამიტომაც, ლეგენდად ქცეულა და ყველას პირზე აკერია ხერკელაშვილის მაგალითი. მაგრამ, ჩვენი აზრით, ადამიანთა მოდგმის ამ „თავგადადებას" მხოლოდ მაშინ ექნება გამართლება, როცა მოქმედების მიზანი სამომავლოდ შედეგს გამოიღებს, როცა უმაღლესში ჩარიცხული ახალგაზრდა თავისი პროფესიით ქვეყანასაც წაადგება და თავის თავსაც, ხოლო, თუკი ერთადერთ მიზნად უმაღლესში ჩაბარებას გავიხდით და ვეცდებით განურჩევლად, ნებისმიერი პროფესიის კარი შევაღოთ ისე, რომ ჩვენ შინაგან ხმას, მოწოდებას და ნიჭს ანგარიში არ გავუწიოთ, მაშინ მშობლების თავგადადებაც და ჩვენი მცდელობაც, რომელიც მხოლოდ დიპლომის ხელში ჩასაგდებად არის გამიზნული, ერთ და იმავე დროს სასაცილოც არის და სატირალიც. სასაცილო და კომიკური იმდენად, რამდენადაც ჩვენ ასეთ ქმედებას და სწრაფვას არავითარი კეთილშობილური მიზანი და გამართლება არ აქვს. მას მხოლოდ ადამიანის „კუდაბზიკობა" და ყოვლად გაუმართლებელი და უადგილო თავმოყვარეობა ასაზრდოებს. სატირალი და ტრაგიკულია იმიტომ, რომ ერთი შეხედვით ეს უმნიშვნელო ფაქტი დიდ სოციალურ მნიშვნელობას იძენს და ადამიანის უბედურების და სულიერი კატასტროფის მიზეზად იქცევა. საბოლოოდ, ადამიანი ვერ პოულობს თავის ადგილს ცხოვრებაში და მოღვაწეობს იქ, სადაც არ უნდა იყოს. მისი ინტერესის სფერო სხვაა, მოქმედების ასპარეზი კი — სხვა. აქედან იწყება ის დამღუპველი „ინდიფერენტიზმი", რომელიც, ჩვენი აზრით, სულიერი წარყვნის და ზნედაცემულობის აგრეთვე ერთ-ერთი არსებითი და მთავარი მიზეზია.

თუნდაც საანალიზო მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟი, ბუხუ მიქაშავიძე, გავიხსენოთ: ის ფრანგული ენის სპეციალისტია, მაგრამ არასოდეს უმუშავია სპეციალობით და ხანში შესული კაცი მოხუცი მშობლების შემყურეა. სიმართლესთან ნაზიარებია მისი გულისტკივილით ნათქვამი სიტყვები „....ვის ჰირდება ფრანგულის სპეციალისტი... სადაა ამდენი ფრანგულის მასწავლებლის ადგილი. სოფლად ფრანგულს — ვინაა იქ წამსვლელი, მაგრამ მაინც, — ფაქტიურად არ ასწავლიან, ქალაქშიც-აქა-იქ. იმდენიც არ ვიცი, თარჯიმნად რომ გამიშვან, კონსულად და ატაშედ მე არავინ დამნიშნავს... მშობლები, ისინი მიმყოფს კარგად ღმერთმა, მეხმარებიან კიდევ"... უფრო მოხერხებული და იღბლიანი გამოდგა ბუხუს თანაკურსელი — კარლო ამილახვარი (გვარს დააკვირდით!...), რომელიც სასაფლაოს ადმინისტრატორად მოეწყო და იქაურობის „ფაქტიური გამგებელია". თავისთავად ეს კარლო „წვრილი" საქმოსნის საოცრად ტიპიური და შთამბეჭდავი სახეა, მაჯის საათი ხელში რომ უჭირავს და წამდაუწუმ მოუცლელი კაცის იერით მას დაჩერებია. ამ კაცისათვის დრო ერთობ ძვირფასი გამხდარა, რადგან სარფიან ადგილზე მოკალათებულა. მაგრამ მან ხომ, როგორც ბუხუიამ, ხუთი წელი ამაოდ დაკარგა და, რაც მთავარია, სხვას წაართვა ადგილი, თუმცა თავადაც ვერ იპოვნა, საბოლოოდ. აქვე იმის თქმა გვმართებს, რომ მოთხრობაში მხოლოდ ფრანგულის სპეციალისტები როდი არიან ამ დღეში. პედაგოგიურ ინსტიტუტდამთავრებული ფრანსუაც მუდმივ სამუშაოზე ვერ მოწყობილა და პატარ-პატარა თარგმანებით და მიკრო რეცენზიებით გააქვს თავი. შეიძლება ეს უკანასკნელი ხელმოცარულ შემოქმედად მივიჩნიოთ, მაგრამ ნაწარმოებში ისეა დახატული სოციალური ფონი, რომ ჰუმანიტარებს ერთობ უჭირთ ცხოვრება. ზემოთ უკვე ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ, რომ ეს

არის დიდი სოციოლოგიური პრობლემა, რომელიც მწვავედ დგას ჩვენში. მაგრამ ეს ტრაგედიის ერთი მხარეა, მეორე—მისი გაცნობიერება და ამის შედეგად აღმოცენებული ზედმეტი პრაქტიციზმი.

„გონებაგამჭრიახ“ მშობელთა გარკვეულ ნაწილს სურს შვილი ისეთ ფაკულტეტზე მოაწყოს, რომ მას შემდეგ ეკონომიურად არ გაუჭირდეს და გემრიელი ლუკმა არ მოაკლდეს ცხოვრებაში. ამგვარი „კეთილშობილური“ ზრახვით შეპყრობილი, ანგარიშს აღარ უწევს შვილის მისწრაფებებს თუ მონაცემებს და ძალისძალად აბარებინებს „პრესტიჟულ“, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, „სარფიან“ ფაკულტეტზე. რეზო ქეიშვილს ჩვენი „უბედურების“ ეს მხარეც არ გამორჩენია თვალთახედვიდან. გოგენის ხიძე, რომლის „დებილმა შვილმა ფაკულტეტის გამოცვლა მოინდომა“ და ეკონომიურის ნაცვლად ფილოლოგიურზე აბარებს, ასე მსჯელობს,: „...გესმის კაცო?! ფილოლოგიურზე მაგის მომწყობი ვარ მე?! რა უნდა თანაც ფილოლოგიურზე, ვინ რა ხეირი ნახა მაგ ფაკულტეტიდან. რაღაცას რომ ჯღაბნის მაგ მკვდარძაღლი, იმის იმედი აქვს, მაგას აქ ის გონია... გული გამისკდება სადაცაა... ვიღაც-ვიღაცები მოძებნილი მყავდა და ახლა ასე სახელდახელოდ ვინლა გამოვჩხრიკო... უეჭველი დახიშტულია... ბიძაშენსაც ფილოლოგიური აქვს დამთავრებული... რად გინდა მერე... დადის მთა-მთა, ტყე-ტყე, აღმა-დაღმა უფულოდ, იწერს ზეპირსიტყვიერებას, რომელიც აღარაა თურმე, იყოს თუ გინდა, რა ყრია შიგ, შაურს მოგვცემს ვინმე?... ბიძაშენივით ნასწავლი რომელია, რომელსა აქვს ამდენი წიგნი წაკითხული?!... რა გამოვიდა მერე ამ კითხვით, იკითხეთ და წერეთ, თუ გინდათ. დარჩები შვილო პატიოსანი კაცის სახელით და საქმეში არ გაგრევენ, ეს პატიოსნება კი რა პურს გაჭმევს, იმასაც ნახავ... ბიძაა შენი, რა დასამალია და ერთი კოსტუმის ანაბარა დადის ზამთარ-ზაფხულ... პატიოსანით და ორ კაცს ვერ შეიყვანს ერთდროულად რესტორანში... ერთი ბიჭი ჰყავს, გააჩენს მეორეს?... თავით რომ დაკიდო, ხანდახან აბაზი არ გამოუვარდება ჯიბიდან... ზის დოცენტის ხელფასზე და არის, სანამდე იქნება, იმასაც ვნახავ... დაამთავრებს ამის გოგია, და ვნახავ, რას მოამზადებს, თუ სკოლის ცოდნით შევა უმაღლესში. ერთი ჰყავს და ვერ მოუმზადებია, ორი რომ ჰყავდეს, რას იზამს. მე შენ გეტყვი, მოსაწყობი ფული აქვს გადადებული... ან შენ სანამდე გეყოლები, დღესაა კაცი და ხვალ აღარაა. რაც მაქვს, ისიც აღარ გექნებათ და დარჩები ისე... ეკონომიური თუ არ გინდა, იურიდიულზე ვეცადოთ... ძნელია, მაგრამ ვიბრძოლებ და გავახერხებ.. აბა, სამედიცინოზე მოწყობის საშუალება მე არ მაქვს, შვილო!“ მშობლის ეს სენტენცია, რომელიც გარკვეული მიზეზის გამო შემოკლებით მოვიტანეთ, მრავალმხრივ არის საყურადღებო. ჯერ ერთი, ის მწვავედ აღიქმება იმიტომ, რომ მასში ცხოვრებისეული სიმართლეა გადმოცემული. სამწუხაროდ, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ საერთოდ წესიერ კაცს უძნელდება ცხოვრება, უძნელდება იმიტომ, რომ უწესონი მძლავრობენ ეკონომიურად. მეორეც, ეს არის ტიპიური მეშჩანის სიტყვები, ცხოვრებას რომ მხოლოდ „ეკონომიური“ თვალით უყურებს და სულიერი განძი ჩალის ფასადაც არ ულირს. მაგრამ, სამწუხაროდ, ზემომოხმობილი „ნაფიქრალი“ ერთეული გამონაკლისი როდია. ჩვენი საზოგადოების მეტი ნაწილი დღეს სწორედ ასე მსჯელობს. ვფიქრობთ, ასეთმა პოზიციამ წარმოშვა და გააბატონა ჩვენში „მუცლის ესთეტიკა“ და სულიერი ფასეულობანი გააუფასურა და დააკნინა, რაც უკვე მაუწყებელია ზნეობრივი კატასტროფისა. რეზო ქეიშვილი ჩვენი სულიერი ტრაგედიის ერთ-ერთ არსებით მიზეზს სწორედ XX საუკუნის ამ პრაქტიციზმშიც ხედავს და, ამიტომაც, მწარე ირონიით ამზეურებს მას.

შეიძლებოდა მოთხრობიდან კიდევ მრავალი ადგილის დამოწმება, მაგრამ თქმულიც, ვფიქრობთ, საკმარისია იმის სარწმუნოდ, რომ მშობლებიც და აბიტურიენტებიც ძირითადად უსარგებლო და უაზრო თამაშში არიან ჩაბმულნი, თამაშში, რომელიც არც ერთი თვალთახედვით — არც სოციალური და არც ზნეობრივი — სარგებლობის მომტანი არ არის ჯანსაღი საზოგადოებისათვის.

ამ დაუსრულებელ თამაშში არანაკლებ კომიკურად გამოიყურებიან გამომცდელები. მწერალი ხალასი და ნატიფი იუმორით ისეთი შტრიხებით გვიხატავს მათ ცხოველ და, ამავე დროს, რეალისტურ სახეებს, რომ მათი გაცნობისას კაცს, მართლაც, აღარ გაგიჩნდება სურვილი ამ თამაშში მონაწილეობის მიღებისა.

მოთხრობაში ათასი ჯურის გამომცდელია გამოყვანილი: პატიოსანი და ფულის ამღები, პრინციპული და ვითომ ობიექტური, უცნაური და გაუგონარი თემების შემთხზველი და გრამატიკოსი, სადოქტორო დისერტაცია ემფატიკურ ხმოვანზე რომ აქვს დაცული, და მისთ... მაგრამ უფრო საინტერესოა ის აჟიოტაჟი, გამოცდებს, როგორც წესი, რომ სდევს თან და ის ატმოსფერო, რომელშიც უხდებათ მათ ყოფნა. მწერალი მოცემულ შემთხვევაში ისეთი რეალურყოფითი ფერებით და, ამავე დროს, ისეთი მძაფრი კომიკური ხაზებით გვიხატავს მოვლენებს, რომ მკითხველს მოთხრობილის ჭეშმარიტებასა და სიმართლეში ეჭვი არ ეპარება. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ პროზაიკოსი ახერხებს ამ ყოფითობაში და კომიკურში განზოგადებული და სოციოლოგიური მნიშვნელობის

მხარეთა წინ წამოწევას და მათი ავ-კარგის ჩვენებას. ამ მოთხრობის კითხვის დროს მკითხველი რწმუნდება, რომ გამომცდელებიც ისევე, როგორც პინგვინები (ასე უხმობენ გამომცდელები აბიტურიენტებს) — ცუდ თამაშში არიან გაბმულნი. საერთოდ, რეზო ქეიშვილისთვის არაა დამახასიათებელი სარკასტული სიცილი; მის იუმორს ყოველთვის ასაზრდოებს ადამიანის დიდი სიყვარული და პატივისცემა, ამიტომ მწერალი მკაცრი მსაჯულის როლში არასოდეს გვევლინება, მან კარგად იცის, რომ ადამიანს ადამიანური სისუსტეები დიდსულოვნად ეპატიება. მაგრამ, როცა გამომცდელების კაფიამანიობაზე ჩამოვარდება სიტყვა, თავს ვეღარ იკავებს და მწვავე სარკაზმით უმასპინძლდება მათ: „სალაღობო ლექსებს თხზავდნენ გამოცდებზე ისინი (გამომცდელები — ე. ჯ.)... კაფიებს (ხინკლის თემატიკას რომ არ შორდებოდა) აწოდებდნენ ერთმანეთს იქვე და აღტაცებას იმ სიტუაციაში ვერ ფარავდნენ; გულმოდგინედ ინახავდნენ შემდეგ იმ ნაგლეჯებს, ათვალიერებდნენ, იმახსოვრებდნენ და სიამაყით ამზეურებდნენ საამისოდ არც თუ მთლად შესაფერის საკრებულოებში. სიზმარში ზოგჯერ აღმოჩენას გააკეთებს კაცი... და, ძილ-ბურანში გაბურბუსალებულს, თავი გენიოსი ჰგონია. მთავარია, არ დამავიწყდესო, ფიქრობს, წვალობს, ვცოთავს, ფხიზლდება და წარმოუდგენელი სისულელე რჩება ხელთ. ასე ემართებოდათ გამომცდელებსაც, მხოლოდ იმ კაი დედმამიშვილებს თავიანთი ნამოღვაწარი სიზმარშიც გენიალური ეგონათ და სიცხადეშიც, სიცივეშიც და სიცხეშიც." აქ ერთგვარი გაღიზიანება ეტყობა მწერალს! მოდი და ნუ გაღიზიანდები! მაშინ, როცა სიცხეში გათანგულ ბავშვებს გული გახეთქვაზე აქვთ, ხოლო თაკარა მზეზე გულშემოყრილ მშობლებს ადგილი ვერ მოუნახავთ, გამომცდელთა მეტი ნაწილი, თავის „მოწოდებას" თუ „ნიჭს," პატივმოყვარეობას თუ „იდუმალ ხმას" აყოლილი უნიჭო კაფიების თხზვით ირთობს თავს და „ლექსომანიას" ეძლევა. მაგრამ უფრო გასაკვირი ის არის, რომ ისინი შემდგომ საღამოებს აწყობენ და ტელევიზიითაც გამოაქვთ სააშკარაოზე თავიანთი ნაცოდვილარი.

ერთი სიტყვით, მწერლის გულისწყრომა ამ შემთხვევაში სავსებით გასაგებია. მაშინ, როცა საქმე ეხება ჩვენი მომავალი თაობის ცხოვრების მნიშვნელოვან და „საბედისწერო" მომენტს, რაც, როგორც მოსალოდნელია, ჩვენი ერის მერმისის როგორობას ბევრით განსაზღვრავს, ე. ი. მაშინ, როცა სამამულიშვილო და სერიოზული საქმე წყდება, ის ადამიანებიც კი, ვისაც ყველაზე უფრო მოეთხოვება ამ მნიშვნელოვანი წამის გაცნობიერება და ვინც ყველაზე ახლოს უნდა მიიტანოს გულთან ეს, ლაზღანდარობენ და ერთობიან ისე, რომ კარგად ვერც კი გაუგიათ, „თამაშობენ" თუ ჭეშმარიტ შემოქმედებით წვას განიცდიან.

საერთოდ, ნაწარმოებში თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის (სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამხატვრო აკადემია, კონსერვატორია, სამედიცინო ინსტიტუტი, პოლიტექნიკური და სხვა) გამოცდებია მწარე ირონიით გაქილიკებული და სატირის მახვილით გაკენწლილი მისი უარყოფითი მხარეები. მაგრამ მთავარი სათქმელი მწერლისა ის არის, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველაფერი ეს მხოლოდ ცუდად დადგმული სპექტაკლია, რომელშიც უარყოფით როლებს ასრულებენ როგორც აბიტურიენტები და მათი მშობლები, ასევე გამომცდელებიც. ხოლო ამ თამაშის უაზრობა და უარსობა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სიყალბე და სიცრუე უფრო მკვეთრად აღიქმება ორი ცნების — სიკვდილ-სიცოცხლის — შეპირისპირებისა და მათ კონტრასტულ ფერთა ერთად წარმოჩენის ფონზე.

ეს სიყალბე მხოლოდ გამოცდებზე რომ იჩენდეს თავს, კიდევ აიტანდა კაცი. მაგრამ, სამწუხაროდ, ის ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში სხვადასხვა ფორმით ვლინდება: სამსახურში, სადაც მუშაობს მოთხრობის მთავარი გმირი, განყოფილების გამგე მთელი დღე კროსვორდის ამოხსნით არის დაკავებული, მისი თანამშრომლების ნაწილი ჭადრაკის თამაშით არის გატაცებული, ნაწილს კი პოლიტიკასა და გამოცდებზე ლაყბობით გაჰყავს დღე; არც ექსპედიციაში წასული დოცენტი და სტუდენტები იწუხებენ თავს, ამაოდ დაბეტიალობენ აღმადაღმა; რაც მთავარია, მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ ექსპედიცია სისულელეა, „აღარაფერია ჩასაწერი", მაგრამ მაინც დადიან და ერთობიან, საავადმყოფოში კი სუფევს „საქმიანი" ატმოსფერო, სულ ფუსფუსი და მისვლა-მოსვლაა, მაგრამ ეს ყოველივე მოჩვენებითია. სინამდვილეში აქაც სრული უსულგულობაა გამეფებული: „როგორც ექიმს არ აწუხებდა ავადმყოფის უსაქციელობა, — შენიშნავს ერთგან მწერალი, — ისე ავადმყოფს არ აინტერესებდა, სჯეროდათ თუ არა მისი". ამიტომაც ამ დაწესებულებაშიც, სადაც ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდება, ყველა ურთიერთს ატყუებს — ექიმი — ავადმყოფს, ავადმყოფი — ექიმს, მომვლელი—ქირისუფალს, ქირისუფალი—მომვლელს და ა. შ. „აქ ყველანი ტყუოდნენ იმ ნიკაპახვეული დაბალი ქალის გარდა და სწორედ იმ დაბალი ქალის დანახვა არ უნდოდა ყორიას იმ წუთს, პროფესორი მაინც პროფესორი იყო და ყველას ის ერჩია, რადგან სხვაზე კარგად, სხვაზე დამაჯერებლად და სხვაზე მართლად ტყუოდა". თვითონ ავადმყოფიც კარგად გრძნობს ამ ატმოსფეროს და „ყველაზე უკეთესად" იტყუებს საკუთარ თავს", რადგან ის თავი სხვაზე მეტად ეცოდებოდა". ცხა-

დია, ამჯერად ტყუილს ფსიქოლოგიური ფაქტორიც ასაზრდოებს. მაგრამ მწერალს მზერა უფრო სხვა მხარეზე გადააქვს. რეზო ქეიშვილს ის სტკენს გულს, რომ იქ სადაც ყველაზე მეტად არის საჭირო გულისხმიერება, კაცთმოყვარეობა, ბატონობს უსულგულობა და გულგრილობა და, რაც ყველაზე თვალში საცემია, სიცრუე და სიყალბე. აი, კიდევ ერთი ამის დამადასტურებელი მაგალითი: მომაკვდავ ჟორიას მოცილება სურდათ ექიმებს, რათა აქტივში არ ჩასთვლოდათ სიკვდილი და ჭირისუფლებს არწმუნებდნენ, გაიყვანეთ, თორემ გაჭრიანო. ხოლო ჟორიას ძმებს, ცოლების შიშით და ოჯახური უსიამოვნების გამო, მისი სახლში წაყვანა არ სწადდათ და უარობდნენ, რა არის, გზაში არ შემოგვაკვდესო.

თუნდაც ეს დეტალი საკმაოდ ნათლად მეტყველებს იმ უსულგულობაზე, მწერლის სიტყვებით, სულმოკლეობაზე, რომელიც ადამიანთა შორის სუფევს და ხშირად თავს გვახსენებს. კაცი სასიკვდილოდ არის გადადებული, მაგრამ ამ გარდაუვალი ტრაგედიის მომსწრენი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ, ავიწყდებათ, რომ ყველა სიკვდილის შვილები ვართ და სიცრუით და ტყუილით სურთ საზოგადოების წინაშე თავი გაიმართლონ. უფრო მეტიც მომაკვდავი ჟორიაც, რომელიც კარგად გრძნობს აღსასრულის მოახლოებას. არაგულწრფელია, როცა მას ერთ ბოთლ ყურძნის წვენს მიაწოდებს უფროსი ძმა, უარს იტყვის: „არ მინდა, ნარგიზას (ქალიშვილია მისი — ე. ჯ.) წაუღეთ.“ ამ სიტუაციაში ეს ფრაზა ძალზე ყალბად ჟღერს და იქითკენ არის გამიზნული, რომ ისევ და ისევ საკუთარი თავი შეაბრალოს და შეაცოდოს ახლობელს. მაგრამ რატომ დასჭირდა ეს სიყალბე სიკვდილის წინ ადამიანს?! აი, რაზე ფიქრობს ბესო იაძე და მასთან ერთად მკითხველიც. ნუთუ იმიტომ, რომ ახლობელთა გულქვაობა და ყინული გაალღოს და წამიერად მათი წრფელი თანაგრძნობით დამშვიდდეს?! ალბათ ასეც არის!..

ისე მოხდა, რომ ჟორიას ქალიშვილი მოეწყო უმაღლესში, თავად ჟორია კი გამოეთხოვა სიცრუით აღვსილ ქვეყანას. მისმა საყვარელმა ქალიშვილმა ვერც კი მოიცალა მამის სანახავად, ისე გაემგზავრა ქუთაისში. ჟორიას მეუღლეს ქმრის დაკარგვით გამოწვეულმა სევდამ ვერ გაუნელა შვილის უმაღლესში ჩარიცხვით აღძრული სიხარული და სიამაყე. თუმცა გარეგნულად ამას არ იტყობდა და ვერც ვერავინ ამჩნევდა.

გარდაიცვალა კაცი, დასრულდა მისი სიცოცხლე, მაგრამ ცოცხალთა შორის კვლავ ძველებურად გრძელდება სპექტაკლი, რომელშიაც როლები წინასწარ განაწილებულია: ჯერ იწყება სასაფლაოს ადგილის შოვნისათვის დიდი და თავდაუზოგავი მცდელობა. მწერალი აქ მწარე ირონიით გვიხატავს სასაფლაოს პატარა სცენებს, კერძოდ, როგორ ეძებენ არდამარხულ მიცვალებულთა ცარიელ საფლავებს, როგორ უჭირს უფულო ჭირისუფალს, როგორ ხერხდება ადგილის გამონახვა და მორიგება და მრავალი სხვა... ყველა ეს სცენა თავისთავად დასრულებული ნოველაა, ლაღი სიცილით რომ გადმოგვცემს შემზარავ და დამაფიქრებელ ფაქტებს, რომელთაც, სამწუხაროდ, ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ისე აქვთ ფეხი მოკიდებული, რომ მათი „არსებობა“ აღარავის უკვირს და აოცებს, ეს შეგუება კი უარყოფითი მოვლენებისადმი უფრო საშიშია, ვიდრე მათი არსებობის ფაქტი. ამიტომაც, მწერლის მწარე სიცილს თან ახლავს დიდი სევდა და გულისტკივილი.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ სასაფლაოს ადმინისტრატორი, ფრანგულის სპეციალისტი, ყოფილი მოცეკვავე კარლო ამილახვარი ძალზე ცოცხალი და ტიპიური სახეა, რომელიც საქმიანი და მოაზროვნე კაცის იერით ადვილად აგვარებს „ძნელად გადასაჭრელ“ პრობლემებს. სამწუხაროდ, ასეთ „საქმოსნებს“ ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით და ისინი ისე მომრავლდნენ, რომ ვერც კი ვამჩნევთ მათ „ამორფულობას“. რეზო ქეიშვილი, მისთვის ჩვეული საოცარი ლაკონურობით, რამდენიმე შტრიხით ახერხებს ამ კაცის სულში ჩაგვახედოს. მაგრამ უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი ის არის, რომ მწერალი ძალზე ბუნებრივად წარმოაჩენს იმ ობიექტურ მიზეზებს, რამაც ეს წვრილმანი საქმოსანი წარმოშვა და გააპარპაშა.

მწერალი არ ინდობს არც გონებადაბნეულ ჭირისუფლებს, რომლებიც ხშირად თავს კომიკურ მდგომარეობაში იგდებენ. გავიხსენოთ თუნდაც ერთი „დარბაისელი მანდილოსანი“, რომელიც პირდაპირ სასაფლაოზე გაიშხლართება იმ მიზნით, რომ ადმინისტრატორს დაუმტკიცოს მისთვის სასაფლაოდ გამოყოფილი ადგილის სიმცირე. მაგრამ ის უფრო მკაცრად ექცევა სასაფლაოს მსახურთ, აშიშვლებს მათ შინაგან სიცარიელეს, არაადამიანურობას. მწერლის სარკაზმი აქ დაუნდობელია, გამანადგურებელი, რადგანაც ეს სიცილი სწორედ გაუგონარი არაადამიანურობის გამოა წარმოშობილი. აი, რა ადარდებს ზაფხულის ცხელ დღეებში სასაფლაოს ადმინისტრატორს: „არ არის მუშაობა, არა... — შორიდანვე წამოიწყო ამილახვარმა, — დაიცალა ქალაქი და ესენი შვებულებაში ვერ გავყარე, არადა, გეგმას ვერ ვასრულებ... დროა ასეთი, ნაკლებია, იტოგში ნედლეული, ასე რომ ვთქვათ... არაა ეს სამუშაო და რა ვუყო, ცოცხლებს ხომ ვერ დავმარხავ“. მეტი ცინიზმი, ადამიანთა მოდგმის მეტი აბუჩად აგდება აღარ შეიძლება!.. მაგრამ ადამიანის სულიერი გახრწნა იმით უფრო ცნაურდება, რომ თავად ადმინისტრატორი ამ ცინიზმს ვერ გრძნობს და

მისი წუხილიც გეგმის შეუსრულებლობის გამო, გულწრფელია. აქ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი სოციალური მომენტიც არის ნაჩვენები, მაგრამ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

პირველსავე სიტყვას რომ მოვიდეთ და მოთხრობის სიუჟეტს დავუბრუნდეთ, სხვა მრავალ გასაოცარ ფაქტებსაც წავაწყდებით. აი, თუნდაც დაკრძალვის ცერემონიალი. ეს კარგად მოფიქრებული და დადგმული სპექტაკლია, რომელშიც მონაწილეობდნენ ჭირისუფლები, ახლობლები, ნათესავები, მოწვეული მოტირლები და სამძიმარზე მოსული საზოგადოება. დუდუკების ხმა ეფინებოდა იქაურობას, ხალხი კი ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდა და ეზოში გაშლილ სუფრას აშურებდა. აქვე გვერდზე „ხის რვეულებით და ფულის ჩასალაგებელი ჩემოდნით გაწყობილი მაგიდა იდგა“ და „მამაკაცები სიაში იხედებოდნენ, ვინ რამდენი მოიტანა, აინტერესებდათ. „საკუთარ შესაძლებლობას ცოლის შეხედულებას უფარდებდნენ და ისე დებდნენ გადასახურავს“. ყოველივე ეს ყველა ჩვენთაგანს არაერთგზის გვინახავს და განგვიცდია. სამწუხაროდ, ყველაფერი ეს უკვე მტკიცედ დამკვიდრებულ ტრადიციად ქცეულა. მაგრამ მწერალს კონკრეტულ შემთხვევაში ამ უვარგისი ტრადიციების ჩვენება იმდენად არ აინტერესებს, რამდენადაც ადამიანის ფსიქოლოგიისა. სიკვდილი ჩვენ წინ ბრძანდება და მაინც თამაშს განვაგრძობთ, ჭეშმარიტი უბედურების წინაშეც უგულისმქნელები ვართ: სწორედ ეს აღიზიანებს რეზო ჭეიშვილს, რომლის ირონიაც თანდათან ეკლიანი და სუსხიანი ხდება. ზოგიერთი, თითქოსდა უმნიშვნელო დეტალის გადმოცემით მწერალი ახერხებს ნათლად გვაგრძნობინოს ჩვენი ეროვნული ტრადიციების წარყვნა და გადაგვარება. „შექეიფიანებული მძღოლი, ეზოში რომ აქტიურობდა და ოთახში რომ ძალით შემოვიდა გამოსვენების დროს, პრავა (მართვის უფლება) თუ უდევს კოსტუმის ჯიბეში, უნახეთო, იძახდა ჩახლეჩილი ხმით; პრავა უნდა ჩავაყოლოთ აუცილებლად, ვინ იცის, რაში დასჭირდებათ“! მაგრამ სპექტაკლის განვითარება კულმინაციას მაშინ აღწევს, როცა კუბოს გამოასვენებენ. „ერთმა მძღოლმა, რომელსაც სტალინის სურათი ჰქონდა მუდამ გაკრული მანქანაში, უნდა ვათამაშოთო, განაცხადა და მთავარი თავკაცისაგან ნებართვა მოითხოვა... მოულოდნელად საცეკვაო დასცხო დასტამ, ახალგაზრდა მძღოლები შემოუდგნენ სასახლეს და თამაშს ვინლა დაეძებდა, ცეკვას უპირებდნენ მკვდარს აშკარად... სიცოცხლეში არც ყვავილები უყვარდა, არც ცეკვა, მაგრამ ამჟამად ამას აღარ ჰქონდა ალბათ აღარავითარი მნიშვნელობა. ტრიალებდა ხალხის თავზე ყავისფერი ჭურჭელი, ბრუნავდა გალურჯებული ხელი, რომლის სახეს არც ცეკვის სიტკბოს კვალი აჩნდა, არც გიჟური მუსიკის სიხარული“. რა არის ეს?! გონებრივი დაჩლუნგება თუ მისტიური ექსტაზი?! ადამიანის მორალური დაცემა თუ პრაქტიციზმის შედეგად გაჩენილი გულგრილობა, მოჭარბებული ეგოცენტრიზმი თუ ინდივიდის სასრული ცნების დაძლევის შიში?! შეიძლება ერთიც, მეორეც და მესამეც, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ ტრაგედიის არსი ის არის, რომ სიკვდილის დიდმა მისტერიულმა საიდუმლომ, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ზნეობრიობის საფუძველს ქმნიდა და ადამიანთა შთამომავალთ გარკვეულ ეთიკურ ჩარჩოებში ათავსებდა, დაკარგა არა მხოლოდ ესქატოლოგიური მნიშვნელობა, არამედ, საერთოდ, ზნეობრივი სამირკველი გამოეცალა და სხვა სიბრტყეზე გადაინაცვლა. სიკვდილის ცნების გაუბრალოება კი თავისთავად სიცოცხლეს აუფასურებს და უაზრო თამაშად წარმოადგენს, რადგანაც, დიდი ვაჟას ბრძნული სიტყვები რომ გავიმეოროთ, სიცოცხლე სიკვდილით მშვენიერობს. ხოლო თუკი ადამიანი სიკვდილსაც, რომლის, მიღმა აღარ არსებობს არაფერი, არაგულწრფელად ეკიდება, თუ სიკვდილი — სასრული ინდივიდის ცნობიერებისა — არ მოქმედებს ადამიანურ სულზე და წამიერად მაინც არ აკეთილშობილებს და აფაქიზებს მას, მაშინ ასეთი პირისთვის სიცოცხლე — ეს წამიერი ყოფა-ფუსფუსი — მხოლოდ ამაოდ გახარჯული წუთების ჯამი, კუტკალიობაა, უსაგნო და უმიზნო გნიასია. ადამიანის ზნეობრივი გახრწნის ერთი მიზეზიც აქ უნდა ვეძებოთ, რასაც ეროვნული ტრადიციების მოშლა და წაწყმედა მოჰყვება ჩვეულებრივ.

მაგრამ თამაში კვლავ გრძელდება და ჩვენც მივყვეთ მას. დაკრძალვის შემდგომ კონა ქვარიანმა ვახშამი გამართა, ბესო იაძე მეგობრებითურთ მიიპატიჟა. ქართული ნადიმიც, ჩვენი კაცობისა და რაინდობის ტრაპეზი, უხეირო თამაშად გადაქცეულა. აქაც სიყალბე და გულგრილობა ბატონობს, გულწრფელობა ფარისევლობას და მოჩვენებით ვაჟკაცობას შეუცვლია: ჯერ ეორის სურათი და სანთლები შემოიტანეს, მისი სადღეგრძელო შესვეს; მაგრამ სინამდვილეში მიცვალებული აღარავის ახსოვს. ტრაპეზის მონაწილეებს უფრო გამოცდების შედეგები აწუხებთ, ვიდრე ახლობელი ადამიანის სიკვდილი. შემდეგ ილია ჭავჭავაძის და მაჩაბლის ურთიერთობასაც გადასწვდნენ. მაგრამ ეს საუბარი მხოლოდ დროის მოკვლის საბაბია. ჭეშმარიტად კი მათ არც მაჩაბლის, არც ილიას და არც, საერთოდ, საქართველოს ბედი არაფრად უღირთ. დასასრულს კი, კარგად გამომთვრალებს, ახლობლების საფლავები გაახსენდათ და ყველამ სასაფლაოს მიაშურა, თან დამკვრელებიც იახლეს. მაგრამ ჯონდოს მამის საფლავს ვერ მიაგნეს... იმედგაწყვეტილი ჯონდო კი გაიფიქრებს, „ამათთვის, სულერთია, გინდა მამაჩემი უტირიათ, გინდა

კალისტრატე ჩიჯავაძეო". ამიტომაც, ერთ საფულავთან ჩამოსხდებიან და ღრეობას მიეცემიან. თამადამ ჩახლეჩილი ხმით წინაპრები ადღეგრძელა. დუდუკებმა დამი დაჰკრეს. „ლვაბერიძემ თქვა, — გვაუწყებს მწერალი, — დაჩოქილი უნდა შევსვა ეგ სადღეგრძელო. ჩვენ წინაპრებს, მიწისქვეშა საქართველოს სხვანაირად ვერ ვკადრებთ. მუხლებზე დადგა გაჭირვებით, წვივი წვეტიან ქვას დააჭირა, გამწარდა, ადგილი მოინაცვლა, ხმამაღლა დაიწყო და ყვირილ-ტირილზე გადავიდა". კითხულობთ ამ ეპიზოდს, რომლის შინაარსიც მოკლედ გადმოგეცით და არ შეიძლება არ შეგძრათ მუცელსაყოლოლ ადამიანთა უთავბოლო ღრეობამ, სიყალბემ, მოჩვენებითობამ, გულწრფელობის ნატამალიც კი არ შერჩენია არცერთ მათგანს.

ახლა ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მოთხრობაში გამოყვანილი ეს სახეები განზრახ შექმნილი უარყოფითი პერსონაჟები როდი არიან, პირიქით, მწერალი მოგვითხრობს ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურ ყოფას და გვიხატავს ჩვეულებრივ ადამიანებს თავისი ნაკლითა და დადებითი თვისებებით, რომელთა მსგავსნი დღევანდელ საქართველოში მრავლად გვხვდებიან. მწერალი არც სახის დეფორმაციას მიმართავს, არც მოვლენის გაზვიადებას, ის იუმორით ძერწავს იმ ყოფით დეტალებს, რასაც თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით და მათ ჩვენ ისეთ ჩვეულებრივობად აღვიქვამთ, რომ არც კი ვღიზიანდებით. რეზო ქეიშვილის სიცილის ძალისხმევა სწორედ იქით არის მიმართული, რომ ქართველი კაცის გონება გამოაფხიზლოს და ის როგორმე იხსნას იმ „მოჩვენებითი" ცხოვრებისაგან, რომელშიც მხოლოდ სიყალბე და ტყუილი ბატონობს.

სიცრუეზეა აგებული ცოლ-ქმრული ურთიერთობაც. ქმარი ცოლს ღალატობს, ცოლმა ეს კარგად იცის, მაგრამ თავს ტყუილით ინუგეშებს. თბილისში დაბრუნებულმა ცოლმა, ვიდრე ფანჯრებს გააღებდა და ოთახს გაანიავებდა, ქმრის ლოგინს დაუწყო თვალიერება: „თხელი საბანი გადაწია, ზეწარს დააკვირდა, უყნოსა, აილო, ფანჯრის შუქზე გალანდა. უცხო სუნს და ბუწუწს ეძებდა. სველი ტუჩი უთრთოდა ნერვიულად და ირონიულად... ზეწარი გალანდა კვლავ, „ხომ ვიცი, რომ ყავდა, ყავდა"... ეს ქალიც ტყუილად იშლის ნერვებს, ის დარწმუნებულია ქმრის ღალატში, მაგრამ არ უნდა დაიჯეროს. უბრალოდ სურს, ახეთ ილუზიასა და ტყუილში იცხოვროს. ქმარს, მართლაც, ჰყავდა საყვარელი. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ეს ურთიერთობაც ტყუილზეა აგებული. ნარი (ახე ერქვა ქალს) ქმარს ღალატობს, მაგრამ არც ბესო იაძესთან არის გულწრფელი. მწერალი მისთვის ჩვეული ირონიით გადმოგვცემს მათ სქესობრივ ურთიერთობას. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამ აქტის დროსაც ადამიანები აზერხებენ

ითამაშონ, იცრუონ... გაგულისებული ქალი აბაზანას მიაშურებს, ბესოც ირწმუნებს, რომ „მისმა საქციელმა ქალი მართლაც გააბრაზა, მაგრამ უმალ გაიფიქრებს, „სისულელეა ყველაფერიო" და „ნარის ღილინიც მოესმა სააბაზანოდან. რას მღერისო, დაინტერესდა, მაგრამ მელოდია ვერ ამოიცნო და სიტყვებიც ვერ გაარჩია".

როცა ასეთი სიყალბე და სიცარიელე ბატონობს ყველგან, შინ თუ გარეთ, საზოგადო თუ პირად საქმეებში, ჭირში თუ ლხინში, ცოლთან თუ საყვარელთან, როცა ადამიანი ცრუობს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ასპარეზზე თუ პირად ცხოვრებაში, სხვათა დასანახად თუ საკუთარ თავთან, მაშინ რომელ ზნეობრივ საძირკველზე შეიძლება საუბარი. ჩვენი ღრმა რწმენით, დღეს ეს ზნეობრივი საძირკველი ძლიერ შერყეულია, მას სასწრაფოდ შველა უნდა, თორემ საუკუნეთა განმავლობაში ნაგები ქართული სულის „დაუცემლობის" გუმბათი, ერის თვითმყოფადობას და მერმისს რომ აპირობებს, თავზე დაგვემხობა ისე, რომ თვალის გახელასაც ვერ მოვასწრებთ.

რეზო ქეიშვილის ზოგჯერ „გარანდული" და ზოგჯერ „ხორკლიანი" სიცილი სწორედ იქით არის მიმართული, რომ ქართველი კაცი უმეცრების ძილქუშიდან გამოიყვანოს, მანკიერი მხარეები არა მარტო ამხილოს, არამედ მათი უაზრობა და უარსობაც გაასიგრძეგანოს. ამიტომაც არის ჩვენი ცხოვრება, უფრო მართებულად, ცხოვრების ერთი მონაკვეთი იმ განზომილებაში წარმოჩენილი და იმ კუთხით დანახული, როცა კეთილშობილურ მიზნებს მოკლებული სიცოცხლის ფენომენს თავისთავად ეკარგება ფასი და უაზრო თამაშად წარმოგვიდგება. მიუხედავად იმისა, რომ მკითხველს მოთხრობის კითხვისას ღიმილი არ შორდება ბაგიდან, ზოგჯერ კი გულიანადაც გადაიხარხარებს, მაინც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბიბლიური სევდა ეუფლება და უნებლად წამოეშლება ასეთი ფიქრები: ღირს კი ამ წამიერი ყოფისთვის ამდენი ამაო ფუსფუსი და უაზრო ქოთქოთი?! თუკი გარდაუვლად დადგება მარადიული მოსვენება, მაშინ რად არის ეს გაუთავებელი წამიერი შფოთი და ალიაქოთი და თუკი ყველაფერი ეს მხოლოდ მოჩვენებითი თამაშია, განა ღირს ამ თამაშში ამდენი სიცრუე, სიყალბე და გაიძვერობა.

ეს ფიქრები და განწყობილება მოთხრობის პროლოგიდან მოყოლებული თანდათან, დაუკითხავად ეუფლება კაცს, ხოლო დასასრულს, ეპილოგში მკვეთრად იკვეთება და მძაფრდება. „უკვე დამთავრებული იყო გამოცდები, დიდი აქტი შესრულებული იყო და მრავალსართულიანი, მახინჯი სახლი ვნებადამცხრალს ჰგავდა"... მაგრამ ვერის ხეობაში ათასი მწერი ერთდროულად განაგრძობდა ჭრიჭინს. „ჭრიჭინი პრო-

ტონების სეტყვასავით მოდიოდა ზეციდან, კოსმიური შრიალით ედებოდა გადამწვარ ველ-მინდორს. ერთდროულად უსვამდა საკუთარ ძვალს ხემს ასი ათასი ჭრიჭინა, ბოცომკალი და კუტკალია". იდგა „შუა ზაფხული, შუა საფეხბურთო სეზონი", მაგრამ მიხო ბ-ძე და ბიჭიკო ხუხუნეიშვილი, ბართლომე ბიბილეიშვილი და ლავრენტი არდაზიანი სასაფლაოზე განისვენებდნენ და იწყებოდა ახალი სეზონი და კვლავ მათ გარეშე ჩატარდებოდა". მიცვლილი მეგობრებისა და ფეხბურთის გახსენება აქ შემთხვევითი არ არის, მწერალი კიდევ ხაზს უსვამს სიცოცხლის ინდენტურობას თამაშთან. არც ბოცომკალიების, ჭრიჭინების და კუტკალიების სულმოუთქმელი ჭრიჭინის, რეფრენივით რომ გასდევს მოთხრობას, გახსენებაა შემთხვევითი. პარალელიზმი მწერთა და ადამიანთა შორის, მათი უმიზნო და, ერთი შეხედვით, მსგავსი ფუსფუსი თვალნათლივ ალიქმება, და, აი ბოლოს წინა აკორდი: „გადაიგრიალებს საუკუნეები უჩვენოდაც: დაიბადებიან დიდი მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, მეამბოხენი, თუჯისთავიანი პოლიტიკოსები, შეაბრუნებენ ჩარხს ისტორიისას და ვერ შეაჩერებენ დროს. ერთნაირად მოეფინება მზე ვარდთა და ნეხვთა და ჟამთაალმწერლები შეასხამენ ხოტბას დიქტატორებს, მკვლელებს, მანიაკებს, ადამიანის სულისა და ტვინის ობობებს; მიაგებენ ულირსთ მისაგებელს, სიკეთის შემქმნელთ დაივიწყებენ. აშენდება და იქცევა დიდი ტაძრები... ჩაიფერფლება ქალაქები და ოაზისები... კვლავ აღორძინდება მზის ქვეშეთში ყოველივე... გაკრიალდება ზეცა შენს წინ და შენამდე. დაიხურება ცის კარები შენს მერე და ვეღარ გაყვები საკუთარი სისხლისა და დროის უწყვეტ სიცისფრეს. ვიცოდით და აღარ გვეცოდინება, გვახსოვდა და აღარ გვემახსოვრება, გავიგეთ რაც იყო, ვერ გავიგებთ რა იქნება". — ასეთი მწუხარე, სულის შემძვრელი ფიქრები დასტრიალებს ბესო იაძეს მოთხრობის დასასრულს, ჭრიჭინები და კუტკალიები კი კვლავ განაგრძობენ ბზუილს, კვლავ გაისმის სიმღერა. „რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ..." სხვათა შორის, ეს სიტყვები განსხვავებულად, ხაზგასმით შავი შრიფტით არის დაბეჭდილი. ესეც რომ არ იყოს, მათი რეფრენული განმეორება და კონტექსტი გვარწმუნებს, რომ მათში განსაკუთრებულ აზრს დებს მწერალი. მართლაც, ეს ციტატა ერთგვარი გასაღებია ამ მოთხრობის მთავარი კონცეფციის, ოღონდაც გზის დასასრულს აღმართული კარიბჭისა, რომლის გაღების შემდგომ კიდევ ერთხელ უნდა მიუბრუნდე განვლილ გზას და გონების თვალით აწონო მისი ავ-კარგი. ბოლო, რაც შეეხება ექსტრატექსტულ ფუნქციას, ის იმ კათარზისის ძალას იძენს, საკუთარი სულის გაკეთილშობილებას რომ უწყობს ხელს. მწერალი თითქოს შიშობს, რომ ბოლომდე ვერ თქვა, უფრო სწორად, ვერ გააგებინა მკითხველს სათქმელი. ამიტომ მეორედ მოსვლის და განკითხვის ამბებსაც მოიხმობს — თითქოს ესქატოლოგიურ განცდათა გაცოცხლებით ერთგვარი შიშიც უნდა გამოიწვიოს მკითხველში. „და რომელნიც ცოცხალნი არიან იგინიც წამსა შინა მოკვდებიან და მუნთქვესვე განცოცხლდებიან და განილებს ჯოჯოხეთი პირსა და აღმოვალს ცეცხლი, შესწვავს ყოველთა მტერთა ქვეყანასათა".

მაგრამ ეს ჯოჯოხეთური ცეცხლი უკვე ადამიანის სულში უნდა აგიზგიზდეს, საკუთარი სინდისის ქენჯნამ უნდა გაალვიძოს, რათა მოხდეს განწმენდა არა ოდენ სხვათა, არამედ უპირველესად საკუთარი თავისა. ქართველი ერის სულიერი მარადყოფნა ცალკეული ინდივიდების „სულიერ" სისპეტაკეზეა დამოკიდებული, ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, გვმართებს არა სხვათა სიტყვებზე და შენიშვნებზე გაგულისება, არამედ საკუთარი სამყაროს შეცნობა და თვითგანწმენდა და ამაღლება. აი, ელემენტარული ჭეშმარიტება, რომელიც ყველას ავიწყდება, ერსა თუ ბერს, ძლიერსა ამა ქვეყნისა თუ ხელოვანს, მუშას თუ მეცნიერს... „...სიყვარულით და მოთმინებითა შენითა" — ამ სიტყვებით მთავრდება ეს მწუხარე სულის „მეოთხე სიმფონია" და ჩვენ დიდი რუდუნებით, მოთმინებით და ადამიანთა მოდგმის სიყვარულით უნდა ვაქანდაკოთ საკუთარი „მე", რათა თავსაც გამოვადგეთ, სხვასაც, ხალხსაც და ერსაც, რათა სიკვდილთან მიახლების ჟამს მწარე ღიმილით არ გაგვახსენდეს სიტყვები:

„რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ...
რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ..."

აი, ეს გახლავთ რეზო ჭეიშვილის „მეოთხე სიმფონიის" ძირითადი ლაიტთემა!

## დასკვნის ნაცვლად

თბილისში დიდი ვეება ჭადარი იდგა... არც კი ვიცი, რა ხანს იყო მოყრილი. ეს კია, მხნედ, ამაყად იდგა რუსთაველის გამზირის შუაგულში, ქართული სულის ოდინდელი დიდსულოვნებით, ქართული გულის ოდინდელი სიკეთით და ხელგაშლილობით გადაშლილი და გადატოტილი... იდგა ქართველი კაცის იმედად და რწმენად, იდგა ისე, რომ ხელს არავის უშლიდა... მოვიდნენ და მოჭრეს.

ეს ფაქტი ყოველმა მართალმა კაცმა დიდი გულისტკივილით აღიქვა. მაგრამ ჯობს მწერალს მივუგდოთ ყური:

„უბანში რომ კაცი მომკვდარა, ისე არ გვწყენია, როგორც იმ ბებერი ხის სიკვდილი გვეწყინა. ამოლიშხინებული ხე იყო, აჟიჟინებუ-

ლი, გამძლე და ჯანსაღი. რა მჭნეს კაცო, არც არავის გაანდეს, არც არავის გაუმხილეს. ისე ჩუმად, ქურდულად გადაწყვიტეს. მოიტანეს ხერხი და ცული, რკინის სოლები, წალდები, თოკები, მთელი ღამე ჩუმად ხერხეს... რაღა ჩუმად, ხმა გამოდიოდა, ხალხი ფეხზე დადგა,.. მივარდნენ მხერხავებს და შეუყვირეს, რას სჩადიხართო, თქვე ბოროტებოო.

ახლა არ იტყვით, რა უპასუხეს?... უადგილო ადგილას დგასო. ადამიანებს ხელს უშლისო. ჩვენაო ადამიანების ბედზე ვფიქრობთო...“ მოგვითხრობს ჯანსულ ჩარკვიანი, რომელიც ახალ ამპლუაში წარმოდგა და თავისი საოცარი ხატიფი ლირიკული მოთხრობებით გაახარა და განაცვიფრა ქართველი მკითხველი. ეს მოთხრობები (მნათობი, 1986 №4) მრავალმხრივ საყურადღებო ლიტერატურული მოვლენაა და მას, ალბათ, კრიტიკა სათანადო ყურადღებას მიაქცევს. მაგრამ, ამჯერად, ჩვენ ერთ-ერთ მათგანს, კერძოდ, „შმაგებს“ მივუბრუნდეთ — „ვინ იყვნენ. ვინ გაბედეს ხის მოჭრა? მთაწმინდელებს არ უკისრიათ, რა თქმა უნდა ვერც ვერელებს შეაბეს ეყვანი, სოლოლაკელებმაც შორს დაიჭირეს. მერე საიდანღაც „შმაგები“ გამოიყვანეს, „ველურები“, ტყაპუჭები ეცვათ. ჩაიხითხითეს, ჩაიცინეს და საქმეს შეუდგნენ... თოკები დაუბეს, ვერ დასძრეს, ჯაჭვები მიაშველეს, მაინც ვერ დასძრეს, გმირულად იდგა, თავს არ უტყდებოდა, მაგრამ გულს რომ მიადგნენ გაკვაამულსა და ნაინფარქტალს... მაშინ კი შეკრთა, ეტკინა და ამოიგმინა.. არ გეგონოთ ველურებმა რამე გაიგონეს, არა, ველურებს არაფერი გაუგონიათ, ისევ ხერხავდნენ გულმოდგინედ, საშვილიშვილოდ.

სანამდე უნდა გაეძლო? ნედლი და უმწიფარი ხომ არ იყო? ყველაფერი იცოდა, ყველაფერი ესმოდა... გადაჭრილი ხის გული მნათობს გავდა. თითქოს მნათობი ამოკრთაო“...

ამ პატარა ლირიკულ მოთხრობში დიდი აზრია დატეული. მაგრამ მისი სემანტიკური დონე მრავალ საფეხურს ქმნის და მკითხველსაც აქვს უფლება, ის სხვადასხვაგვარად გაიგოს, სხვადასხვა კოდური გასაღები მოარგოს. ჩვენი ღრმა რწმენით კი მოთხრობის პოეტიკაში ეს ვეება ხე ქართველი კაცის ზნეობრივი და, საერთოდ, საქართველოს სულიერი უბიწობის სიმბოლოდ გვევლინება, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში „ველურები“ ხერხავდნენ და აკი გადაჭრეს კიდეც. „მთაწმინდაზე მოჭრილი ხე ეგდო, კაცს ჰგავდა იგი მკლავებგაშლილი, ზორბა, ახოვანი, ვიღაცათა კეთილდღეობას შეწირული“. მართლაც რომ, სხვათა კეთილდღეობას შეეწირა ჩვენი ერის სულიერი სიმშვიდე და სიწმინდეც. ეს არის თავი და ბოლოც ჩვენი ეროვნული ტრაგედიისა!..

ეს წერილიც ქართული სულის უბიწობაზე, ქართულ ზნეობაზე ფიქრმა და წუხილმა დაგვაწერინა, ამიტომაც, მასში უფრო გულისტკივილია წარმოჩენილი, ვიდრე ლიტერატურულ-ესთეტიკური ანალიზი, რისთვისაც პატიებას ვთხოვთ ქართველ მკითხველს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ გვერდწითელი

# ხედვის მისეული კუთხე

თამაზ ჭილაძეს ბედნიერი შემოქმედის ხვედრი ერგო. მწერლობაში ფეხის შემოდგმისთანავე მიიქცია საყოველთაო ყურადღება და მას მერე არ მოჰკლებია მკითხველის ცხოველი ინტერესი. აბა, ვის არ შეშურდებოდა მისი, როცა სახელგანთქმულმა საბჭოთა პოეტმა მიხაილ სვეტლოვმა, ჯერ სულ ახალგაზრდა, შეიძლება ითქვას ჭაბუკ კოლეგაზე, მისი ლექსების წაკითხვის შემდეგ, ასეთი რამ თქვა და დაწერა კიდეც: „თამაზ ჭილაძე მისი სახეების მბრძანებელია. იგი მათ თავის აფრებს უმორჩილებს... მე გავეცანი ძალზე საინტერესო პოეტს. ამის შემდეგ, რაც არ უნდა დაწეროს მან, ვეცდები დაუყოვნებლივ წავიკითხო".

მიხაილ სვეტლოვს, სამწუხაროდ, თავად არ დასცალდა ამ და ბევრი სხვა სურვილის აღსრულება. მაგრამ მკითხველის ინტერესი თამაზ ჭილაძის შემოქმედებისადმი არა მარტო დარჩა, არამედ გაიზარდა და გამძაფრდა კიდეც. ეს იმიტომაც მოხდა, რომ გაიზარდა თვითონ მწერალიც, გამრავალფეროვნდა მისი შემოქმედებაც, თუმცა თამაზ ჭილაძე იმ ხედვის, იმ ინტერესების, იმ პრობლემების ერთგული თანმიმდევარი დარჩა, რაც მის პირველსავე ნაწარმოებებში აშკარად სჭვიოდა.

ზემოთ ვთქვი, თამაზ ჭილაძეს ბედნიერი შემოქმედის ხვედრი ხვდა მეთქი წილად. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მან ეს ხვედრი თავად გამოსჭედა, ჯიუტად გამოსჭედა. გამოსჭედა არა მარტო, როგორც იტყვიან, ღვთით მომადლებული ნიჭის წყალობით, არამედ თავისი სულის უმწიკვლოებით, ადამიანისადმი წრფელი თანაგრძნობით, სიკეთის რწმენითა და... ბეჯითი შრომით. მისი გული სავსეა სიყვარულით და ამდენად, თანაგრძნობითაც. ამ გრძნობითაა გასხივოსნებული ყველა და ყველაფერი მის შემოქმედებაში. ამ გრძნობითაა დანახული ყველაზე ბნელი კუნჭულებიც ადამიანის სულისა თუ საერთოდ ცხოვრებისა.

თამაზ ჭილაძე 50-იანი წლების ძლიერ შემოქმედებით ტალღას მოჰყვა ქართულ მწერლობაში, უფრო ზუსტად, უბრალოდ კი არ მოჰყვა, არამედ თავად იყო ამ ტალღის ერთერთი ამზვირთებელთაგანი. თავის თანამოძმეებთან, „ცისკრელებთან" (ასე ეწოდა იმ თაობას, რომელიც ძირითადად ახლადდაარსებულ ახალგაზრდა ჟურნალ „ცისკრის" ირგვლივ დაჯგუფდა) ერთად, მანაც შეუწყო ხელი ქართული მწერლობის გამოფხიზლებას, რომელიც იმ დროისთვის უფრო ხან თვლემდა და ხანაც თვალაჟუჟუნებული მისჩერებოდა ცხოვრების მდინარებას. ამგვარად შელამაზებულ-შეკოწიწებულმა მხატვრულმა სურათებმა აშკარა გახადა, რომ მწერლობას მეტნაკლებად მოეშალა ცხოვრებისეული საყრდენები, რომ მან ასე თუ ისე უღალატა რეალიზმის მაღალ პრინციპებს. საერთოდაც, უფრო დიდი და ყოვლისმომცველი მასშტაბებითაც ნათლად გამოჩნდა საზოგადოებრივი ყოფის გარდაქმნის აუცილებლობა და სწორედ ამგვარმა, ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რევოლუციურმა ვითარებამ განსაზღვრა იმ ეპოქის სული და მიზანსწრაფვა.

განახლებისა და გარდაქმნის საერთო წადილს ბედნიერად დაემთხვა დიდი შემოქმედებითი პოტენციის მქონე თაობის მოსვლა და სწორედ ამან განაპირობა ქართულ საბჭოთა მწერლობაში ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყისი. „ცისკრელთა თაობამ" ერთად კი შეუტია იმ წლების მწერლობაში ფეხმოკიდებულ ინერტულობას, ერთად კი ითავა ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლება, მისი მყარად დაფუძნება ჭეშმარიტი რეალიზმის საფუძვლებზე, მაგრამ ამან არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ თაობის ერთიანი პოზიცია მისი ერთფეროვნების განმსაზღვრელ პირობად იქცა. თითქოს ერთი შეხედვით ეს უცნაური ჩანს, შემოქმედებითი პრინციპების შესაბამისად არა-

ფერი გასაკვირი ამაში არაა და ამ თაობის საუკეთესო წარმომადგენლები სწორედაც საოცრად განსხვავდებოდნენ თავიდანვე ერთმანეთისაგან არა მარტო სტილებრივად, არამედ ჟანრობრივი მიკერძოებითაც, გნებავთ ლიტერატურული ცხოვრების წესითაც და ეს განსხვავებულობა ბოლომდე შერჩათ. უფრო მეტიც, ისინი განსხვავდებოდნენ და განსხვავდებიან თავიანთი ბუნებითა და მისი გამოხატულებითაც. ზოგნი უფრო კომუნიკაბელურნი, არტისტულნი, ესტრადულ-პუბლიცისტურნი არიან, მკითხველებთან უშუალო, ცოცხალ ურთიერთობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. თამაზ ჭილაძე მათგან მკვეთრად განსხვავდება, იგი მკითხველებთან კონტაქტს მხოლოდ ნაწერით ამყარებს და ამას სჯერდება. მე არ მახსოვს თამაზ ჭილაძის მონაწილეობა იმ ხშირ შეხვედრებში, მკითხველებთან რომ იმართება, ან მისი გამოსვლა ტელევიზიით, რასაც სხვები აქტიურად და წარმატებით იყენებენ. იგი თითქმის განმარტოებულია და შორიდან, ყოველ შემთხვევაში გარედან აკვირდება ცხოვრებას, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ღრმად იცნობს მას. ეს განმარტოება მოჩვენებითია. უბრალოდ, თამაზ ჭილაძის ცხოვრების წესი ჩუმი და საქმიანია, მისი ურთიერთობა სხვებთან მხოლოდ სიტყვის მეშვეობით ხდება. ასეთია იგი მაშინაც კი, როცა საქმე ეხება არა უშუალოდ მწერლობას, არამედ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მას კი დიდი ამაგი მიუძღვის ლიტერატურულ და თეატრალურ საზოგადოებებზე, შემოქმედებით ახალგაზრდობაზე, იგი ცნობილია თავისი რედაქტორული გამოცდილებითა და ნიჭითაც. და მაინც, ამას ყველაფერს იგი ჩუმად, უხმაუროდ, ნაყოფიერად აზერხებს და აკეთებს. თამაზ ჭილაძეს კიდევ ერთი და სამწუხაროდ იშვიათი განსაზღვრება ეთქმის, იგი თავისი შემოქმედებითაც და ცხოვრების წესითაც ინტელიგენტია, ამ სიტყვის ნამდვილი, ჭეშმარიტი მნიშვნელობითაც და იმ მაღალი მოვალეობითაც, რასაც იგი ადამიანს აკისრებს.

თამაზ ჭილაძისეული ხედვის კუთხე და მისი სტილი იმდენად თავისებური, განუმეორებელია, რომ მკითხველი იოლად გამოარჩევს ყოველ მის ნაწარმოებს, რა ჟანრისაც არ უნდა იყოს იგი, სხვებისაში. არადა, ჟანრობრივად მდიდარია თამაზ ჭილაძის შემოქმედება, რასაც ერთიანის მრავალფეროვნებაც თამამად შეიძლება ეწოდოს. მან ხომ ლექსებით დაიწყო, იმ ლექსებით, რომლებმაც ასე უმალ და ერთბაშად მიიქციეს ყურადღება ჩვენშიც და რუსი მწერლებისა თუ მკითხველებისა. უფროსი და გამორჩენილი კოლეგის მიხაილ სვეტლოვის სიტყვები ხომ ზემოთ მოვიტანე, თანატოლი კოლეგების დამოკიდებულება თამაზ ჭილაძის ლექსებისადმი იმ მეტყველი ფაქტით გამოიხატება, რომ მისი პირველი და გატაცებული მთარგმნელები იყვნენ ბელა ახმადულინა, იუნა მორიცი, ევგენი ევტუშენკო, სტანისლავ კუნიაევი... ლექსებს მალევე მოჰყვა თამაზ ჭილაძის მხატვრული პროზა — მოთხრობებიცა და რომანებიც, შემდეგ იგი დიდხანს და წარმატებით გაიტაცა დრამატურგიამ, დროდადრო წერილებსაც წერდა, მერე კი საკმაოდ ხანგრძლივი და ნაყოფიერი გამოდგა მისი, ასე ვთქვათ, ესსეისტური პერიოდი. დიახ, მთელ ამ ჟანრობრივ მრავალფეროვნებაში აშკარად გამოსჭვივის თამაზ ჭილაძის სტილური თავისებურებაც და, რაც კიდევ უფრო მთავარია, ინტერესების ერთიანობაც.

თამაზ ჭილაძის შემოქმედების თავისებურება, პრობლემატიკისა თუ სტილის სფეროში გამჟღავნებული, ნათლად ჩანს მის ყოველ ახალ წიგნში. ავტორს სრულიად გარკვეულად აქვს შემოფარგლული თავისი ინტერესების სფერო და ამითაც გამოირჩევა საერთოდ ქართველ მწერალთა შორისაც და კერძოდ იმ ლიტერატურულ თაობაშიც, რომელთანაც, გარდა ასაკისა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი რამაც აკავშირებს.

როცა 60-80-იანი წლების მწერლობის სიახლეებზე ვლაპარაკობთ, ერთ-ერთ ამოსავალ საფუძვლად სწორედ თამაზ ჭილაძის შემოქმედებაც გვესახება: აქ გამოჩნდა ნათლად, ხელშესახებად ურბანისტული სული და მისი ერთი მთავარი ტენდენცია ადამიანის გაუცხოების ტერმინით ცნობილი, ფსიქოლოგიური ანალიზის მოჭარბება, მორალურ-ეთიკური პრობლემატიკით გატაცება, „პატარა ადამიანის" ბედ-იღბალით დაინტერესება და ბევრი სხვა რამ, რაც ასე შესამჩნევად მოეძალა თანამედროვე მსოფლიო პროგრესულ მწერლობას ამ საკითხთა აქტუალობის წყალობით. ყოველივე ეს ქართულ მწერლობაში მკვეთრად და ძლიერად თამაზ ჭილაძის შემოქმედებაში გამოიხატა. ამან ერთგვარად განსაზღვრა მისი სტილის თავისებურებაც, რასაც დაემატა ღრმად ორიგინალური მხატვრული აზროვნება და ხელწერა მწერლისა.

თამაზ ჭილაძის პოეზიას, პროზას, დრამატურგიას, ესსეებს განწყობილებითა და ჩაფიქრებით უნდა კითხვა, გრძნობაცა და გონებაც დაძაბული უნდა გვქონდეს, სხვაგვარად ვერაფერს გავიგებთ და შეიძლება ნაკლებ მნიშვნელოვნადაც მოგვეჩვენოს ის სათქმელი, რაც ასე ღრმად აქვს ჩადებული მწერალს თავის ნაწერებში.

იგი, ჩემი აზრით, სავსებით შეგნებულად, წინასწარგანზრახვით არ ანიჭებს თავის ნაწარმოებებს იმ სიმსუბუქესა და სილაღეს, რაც, ვთქვათ, რომანს თუ პიესას ზოგჯერ იოლად წასაკითხსა ხდის. ხშირად, ძალზე ხშირად, აზრობრივად მეტად მნიშვნელოვან, პრობლემებით დამძიმებულ ნაწარმოებსაც, ალხავსეს დრამა-

ტიზმითა და, გნებავთ, ტრაგიზმითაც კი, გაჩენია ის ამოსასუნთქი მოკლე თუ ვრცელი პაუზები, სადაც მკითხველმა უნდა სული მოითქვას, გონებაცა და გრძნობებიც ცოტა დაასვენოს ახალი განცდებისა და ფიქრებისათვის შესამზადებლად. მე აქ ისეთ სტილს არ ვგულისხმობ, როცა მეტად მნიშვნელოვანი, დრამატიზირებული სათქმელი იუმორის წყალობით ერთობ მსუბუქად, ცრემლიანი ღიმილით მოაქვს მწერალს მკითხველამდე და, მაგალითებისათვის შორს რომ არ წავიდეთ, რის მშვენიერ ნიმუშსაც წარმოადგენს თამაზ ჭილაძის თაობისავე პროზაიკოსის — ნოდარ დუმბაძის მთელი შემოქმედება.

ის სიმსუბუქე და სილაღე, რაზედაც ვლაპარაკობდი და რაც ამოსასუნთქ პაუზებს ქმნის, შიგადაშიგ იმ სოციალურ თუ ფსიქოლოგიურ ტილოებსაც დამკრავთ, სადაც იუმორის ნატამალიც კი არ არის. თამაზ ჭილაძეს არ უყვარს მკითხველისათვის ასეთი შეღავათების მიცემა და ამიტომაც მისი მოთხრობებიც, რომანებიც და პიესებიც ძნელი, მძიმე საკითხავია. ამ გარემოებას კიდევ უფრო საგრძნობსა ხდის ისიც, რომ მწერალს არც მნიშვნელოვანი ამბის მოყოლა უყვარს, როცა სიუჟეტის განვითარება თავისთავად იპყრობს მკითხველის ყურადღებას. მისთვის ძირითადი და მთავარი ადამიანის სულიერი მდგომარეობის მხატვრული ფიქსაციაა, მისი შინაგანი, უხილავი განცდების რკვევაა. ამასთანავე მწერალი სწორედ ისეთ გმირს ირჩევს დაკვირვების ობიექტად, რომელიც ჩვეულებრივ თავისი ბიოგრაფიით არაფრით გამოირჩევა და შეიძლება მისი პროტოტიპები, თავისი გარეგნული უფერულობისა და უეფექტობის წყალობით, საერთოდაც შეუმჩნეველი დარჩნენ საზოგადოებისათვის. ეს ტიპები მხოლოდ თამაზ ჭილაძის მხატვრული ინტერპრეტაციის წყალობით არიან საინტერესონი, რადგან მწერალი უფრო მეტს ხედავს ჩვენთან, მკითხველებთან შედარებით, ბევრად უფრო ღრმად იხედება თავისი გმირების სულში და მრავალ საინტერესო თვისებას, ავსა თუ კეთილ თვისებას ამჩნევს მათში.

ყველაფერი ეს თავიდანვე განსაზღვრავს თამაზ ჭილაძის შემოქმედების სირთულეს. ამან შეიძლება კიდეც დაუკარგა მკითხველთა ერთი ნაწილი. სამაგიეროდ, თამაზ ჭილაძის მკითხველები მისი ნამდვილი მკითხველები არიან, ვინც გაუგო მის სიტყვას გემო, ვინც ჩასწვდა მის სათქმელს, ვისაც აინტერესებს მისი მახვილი ფსიქოლოგიური დაკვირვებები, ვინც ერკვევა ადამიანის სულის იმ რხევებში, მწერლის თვალს რომ ასე ზუსტად შეუმჩნევია და ჩვენთვისაც დასანახი გაუხდია. ასეთი კონტაქტი მწერალსა და მკითხველს შორის საიმედო და სარგებლიანია.

მაგრამ უსამართლობა იქნება მხოლოდ მკითხველების ინტერესებიდან გამომდინარეებმა ვილაპარაკოთ თამაზ ჭილაძის პროზის სირთულეზე. რაც მთავარია, დიდი, ბევრად უფრო დიდი სირთულეები თვითონ თავის თავს შეუქმნა მწერალმა, როცა ასეთი ძნელად სავალი გზა აირჩია. მისთვის ფსიქოლოგიური დაკვირვებისა და ანალიზის გზა იმ ზომიერ სიმაღლეზე კი არ გადის, როცა საჭიროების შემთხვევაში საშველად სხვა საშუალებები შეიძლება იქნას მოხმობილი. არა, ეს გზა მეტად მაღალ და საშიშ ნაპირს გასდევს, სადაც ფეხის დასხლტომა, ჩავარდნას, მხატვრულ ჩავარდნას იწვევს აუცილებლად. თამაზ ჭილაძეც მეტად დაკვირვებულად მიჰყვება მის მიერვე არჩეულ გზას და მწერლის ეს ჯიუტი გაბედულება, ჩემი ღრმა რწმენით, აუცილებლად დასაფასებელია.

მე მგონი, თამაზ ჭილაძის ნაწარმოებებში ჩანს, გამოსჭვივის სიტყვასთან რა ჭიდილით იწერებიან ისინი, აქ ისეთი სიზუსტით მიგნებულ ფსიქოლოგიურ ნიუანსებთან გვაქვს ხშირად საქმე, რომ ამის ჯერ მიგნებას, მერე კი მართლად, დამაჯერებლად გადმოცემას და სრულად გახსნას, ნიჭთან ერთად, დიდი გულმოდგინებაც სჭირდება. ამას ისიც ემატება, რომ მარტო სათქმელი კი არ არის უჩვეულო და რთული, მისი გამოხატვის ფორმებიც ხშირად გართულებული აქვს ავტორს და, ცხადია, ეს მხოლოდ მის პროფესიულ ოსტატობაზე კი არ მეტყველებს, არამედ სიძნელეების დაძლევის ჟინზეც.

ეს სიძნელეები თვითმიზნური არ არის. თამაზ ჭილაძე ამ ძნელ გზას იმიტომ კი არ ირჩევს, რომ თვითონაც გაირთულოს ცხოვრება და მკითხველსაც გაურთულოს. არა, თავისი გმირების ხასიათების გასახსნელად რაკილა იგი ნაკლებად იშველიებს მოქმედებას, ამბის განვითარებას, ამიტომ ხშირად მიმართავს მეტაფორულ აზროვნებას, სიმბოლიკას, ასოციაციებს, გახსენებებს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებს, რომელთაც დიდი დატვირთვა ეძლევათ და სადაც ადამიანის სულის მოძრაობის ნიუანსები ძალდაუტანებლად, შეფარულად არის მინიშნებული, სადაც მეტად საჭირო, აუცილებელ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ამოვიკითხავთ და ასე ნელ-ნელა, თანდათან წვრილ მძივებად აიკინძება დიდი და მთავარი სათქმელი.

და რაკილა ამ ასოციაციური აზროვნების წყალობით, რის შთაბეჭდილებასაც გვიქმნის ჩვენ მწერალი თავის პროზასა თუ დრამატურგიაში და რაც სინამდვილეში მისი მეტად ლოგიკური მხატვრული აზროვნებით არის ერთ სისტემაში მოყვანილი, ხშირად ენაცვლება ერთმანეთს რეალობა და ჩვენება, ახალი თუ გარდასული განცდა, პირდაპირი თუ მეტაფორული მინიშნება, მკითხველიც მუდამ ფხიზლად

უნდა იყოს, დაკვირვებით უნდა კითხულობდეს ყოველ ფრაზას, რომ არაფერი გამოეპაროს. ერთი სიტყვით, თამაზ ჭილაძე მარტო საკუთარ თავს კი არ სთხოვს ღრმა დაკვირვებულობას, ამას ჩვენგანაც მოითხოვს და სწორედ ამგვარი დაინტერესებული, გულმოდგინე მკითხველისათვის აქვს გამიზნული თავისი შემოქმედება. მე ეს დიდად დასაფასებლად მიმაჩნია, რადგან თამაზ ჭილაძე არასოდეს ცდილობს თუნდაც უვნებლად მოგვატყუოს, არასოდეს გვიყრის საკენკს, რომ თავისი მარცვალიც შემოგვაპაროს, არასოდეს გვიიოლებს ამოცანას. მას ღრმად სწამს, რომ მეტად სერიოზულ საკითხებზე გვესაუბრება და ჩვენც ასევე უნდა გვქონდეს უნარი სერიოზულად ვუგდოთ ყური, ან უნდა გამოვიმუშაოთ ეს უნარი, თუ გვინდა ჩვენივე, მკითხველების, აზროვნების თუ განცდის დონე ამაღლდეს და გამძაფრდეს. ვისაც ამისი არც უნარი აქვს და, არც მოთხოვნილება, იმათთვის სხვა, იოლად დასაძლევი, გასართობი საკითხავი წიგნებიც მრავლად მოიპოვება.

აი ასეთი მიზანდასახულებაცა და ხასიათიც განაპირობებს იმას, რომ თამაზ ჭილაძის შემოქმედებას ე. წ. „ინტელექტუალურს" ვუწოდებთ. ასეთ მწერალს კი ყველაზე მეტად მოეთხოვება ის საყოველთაო სავალდებულო რამ, რასაც ზომიერების გრძნობა ჰქვია, რადგან ამისი ოდნავი დარღვევაც კი იწვევს სირთულეების ბუნდოვანებაში გადაზრდას, როცა აღარც მკითხველის დაკვირვება შველის საქმეს და სათქმელი გაუგებარი რჩება. თამაზ ჭილაძეს გააჩნია ეს ზომიერების გრძნობა, უფრო სწორად, იგი ალბათ დიდი და დაძაბული შრომის წყალობითაც ახერხებს ამ გრძნობის შენარჩუნებას. თუმცა, უნდა ითქვას, იშვიათად, მაგრამ მაინც გადაუცდება ხოლმე ფეხი მის საზღვრებსაც. ზოგჯერ იმდენად არის გართულებული თხრობა დროისა და ჩვენების მონაცვლეობით (უფრო ადრინდელ ნაწარმოებებში), რომ ერთგვარად ირღვევა ზომიერება, მითუმეტეს, ზოგან ამ მონაცვლეობისათვის ვერ მოუძებნია ავტორს გამომკვეთი შტრიხები, ჩანართებისათვის ვერ მიუცია თავისი განმასხვავებელი ფერი, ამიტომ საზღვრების დადგენაც, გადასვლების შენიშვნაც ერთობ ჭირს, რაც იძულებულს ხდის მკითხველს რამდენჯერმე მიუბრუნდეს წაკითხულ ეპიზოდებს სწორი ორიენტაციის აღსადგენად.

მწერალს ბევრი რამ მოეთხოვება და ბევრი რამაც ეპატიება. პირველ რიგში მოეთხოვება სხვებზე უკეთ ხედავდეს, სწვდებოდეს მისი თანამედროვე ადამიანის სულიერ მდგომარეობას, მის ზნეობრივ სახეს, ფიქრსა და განცდას, წუხილსა და სიხარულს, სიტყვასა და საქმეს. და ეპატიება მხატვრული გაზვიადება, გამძაფრება, გაშიშვლება ტკივილისაც და სიხარულისაც. უფრო კი ტკივილისა, რადგან მწერლობის ამოცანა პირველ რიგში ერის სატკივარის მოშუშებაა და არა კმაყოფილების მართებული ბანგის დაფრქვევა. ეს ზოგჯერ გვავიწყდება ხოლმე და ლიტერატურისაგან უფრო ცხოვრებით, ჩვენი ადამიანებით აღტაცებას მოვითხოვთ (რისი საკმაო საფუძველიც გვაქვს), ვიდრე იმავე ცხოვრების ცუდი მხარეების მხილებას, ან ადამიანის ზნეობრივი ხინჯის წინააღმდეგ ბრძოლას.

ეს ტენდენცია თვითკმაყოფილებისა 60-70-იან წლებში შემოგვეჩვია, რამაც ბევრი ცუდი მოგვიტანა. მარტო აშკარად გამოხატულ დანაშაულებრივ საქციელს არ ვგულისხმობ. კიდევ უფრო უარესი, ბევრად უარესი ის გახლავთ, რომ ამან გამოიწვია ადამიანის ზნეობრივი კოდექსის არაოფიციალური გადასინჯვაც, ღირებულებათა გადაფასებაც, ან უფრო სწორად, გაუფასურებაც, გამოიწვია მეთავისეობის და ეგოიზმის, პირადი გამდიდრებისა და განდიდების მომძლავრება. საზოგადოება ერთგვარად შეეგუა ამას, შეეგუა ლიტერატურაც. თუმცა ზოგიერთმა ქართველმა მწერალმა მაინც თქვა თავისი შეურიგებელი, ამ სოციალური ბოროტების მამხილებელი სიტყვა.

ასეთ მამხილებელ ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნება თამაზ ჭილაძის მოთხრობებიც. შეიძლება ეს ვინმეს მეტად ხმამაღლა ნათქვამად მოეჩვენოს, რადგან თამაზ ჭილაძის შემოქმედებაში თითქოს ასეთი მკვეთრი, პირდაპირი პროტესტი არ ისმის. ეს იმიტომ შეიძლება დაგვემართოს, რომ მამხილებელი პათოსი პუბლიცისტური ჟღერადობის ნაწარმოებებში უფრო ადვილი შესამჩნევია, იქ ზედაპირზე ტივტივებს, პირდაპირ არის გაცხადებული, ფსიქოლოგიურ პროზაში კი ღრმად არის ჩადებული, შეფარული და შეიძლება უფრო ძლიერაც იგრძნობა, მაგრამ ნაკლებ ხმამაღლა ისმის. თამაზ ჭილაძეს უფრო ადამიანის სულიერი სიუხეშე თუ სიცარიელე აინტერესებს და ამისი მასაზრდოებელი წყაროს მიკვლევა სურს, ვიდრე სოციალურად გამოხატული აშკარა ბოროტების დემონსტრირება. და ეს, მე თუ მკითხავთ, უფრო მამხილებლური ძალისაა, ხანგრძლივად სამკურნალო სატკივარის, ბევრად მძიმე სატკივარის გაშიშვლებაა.

მთავარი პათოსი მისი ნაწარმოებებისა ადამიანის სულიერი სიუხეშის წინააღმდეგ ბრძოლაა. და კიდევ, თამაზ ჭილაძე დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ ადამიანის ერთ-ერთი უველაზე დიდი სატკივარი მისი სულიერი სიმარტოვეა. ეს ორივე უბედურება ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, რადგან ხშირად სწორედ სხვისი სიუხეშე იწვევს საკუთარ თავთან დარჩენის სურვილს და სიმარტოვის გრძნობას. შეიძლება ზოგიერთებმა პათეტიკურად ამტკიცონ, რომ ჩვენს სინამდვილეში,

ასეთი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში, სულიერი სიმარტოვის პრობლემის წამოჭრა უცხო გარემოდან და ლიტერატურიდან ადამიანის გაუცხოების ტენდენციის ხელოვნური გადმონერგვაა მხოლოდ. მაგრამ განა მართლა ასე უცხო ხილია იგი ჩვენთვის?

ჩვენში ცოტად თუ ბევრად განათლებულ კაცს იშვიათ შემთხვევაში თუ დასჭირდება იმისი პროპაგანდა, რომ სოციალისტური საზოგადოება ჰუმანიზმის პრობლემის გადაჭრას სწორედ ადამიანთა დაახლოებაში, გაერთიანებაში, კოლექტივიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობების გაღვივებაში ხედავს, რაც პრინციპულად გამორიცხავს გაუცხოების გრძნობას, ასე დამახასიათებელს იმპერიალისტური სამყაროსათვის. მაგრამ ცხოვრება ხომ გაცილებით უფრო მრავალფეროვანია და რთული, ვიდრე თვით საზოგადოების მიერვე აღიარებული და გაზიარებული პრინციპები? და თუმცა დღეს ჩვენს სახელმწიფოში ადამიანთა სოციალური და კომუნისტური თანაცხოვრების პრინციპები უფრო მტკიცედაა დანერგილი ვიდრე ოდესმე, ეს მაინც ვერ გამორიცხავს საზოგადოების ერთ გარკვეულ ნაწილში სულიერი სიმარტოვის გრძნობის გამძაფრებას.

აქ არ ვაპირებ ადამიანის გაუცხოების ტენდენციის, ამ სოციალური და ფსიქოლოგიური მოვლენის ანალიზს. არც იმისი თქმა მსურს, თითქოს ან მასშტაბებით, ან მითუმეტეს, თავისი ხასიათით და ფესვებით ჩვენში იგი იდენტური იყოს იმ ტენდენციისა, რაც ასეთ შეშფოთებას იწვევს პროგრესულად მოაზროვნე დასავლეთელ მწერლებში და სოციოლოგებში. ახლა უბრალოდ კითხვა მინდა დავსვა: განა მართლა ასე კატეგორიულად არის გამორიცხული ჩვენში ადამიანის გაუცხოების ტენდენცია და ამის შედეგად მისი სულიერი სიმარტოვის გრძნობის გამძაფრება?

მართალია, როცა ჩვენ სოციალურ თუ ზნეობრივ მანკიერებებზე ვლაპარაკობთ, აქედან უმეტეს ნაწილს საფუძვლიანად ვუწოდებთ გადმონაშთებს, მაგრამ ეს გადმონაშთები, სამწუხაროდ, საკმაოდ ძლიერია, იგი ღრმადაა ძევს ადამიანის ბუნებაში და არცთუ იშვიათად უფრო გონების ძალით ვერევით მათ, ვიდრე ჩვენივე ბუნების საწმინდის წყალობით. საკმაოდ ხშირად ჩვენივე ინსტინქტები გაგვცემენ ხოლმე და საჩინოს ხდიან ამ ჯერ კიდევ მყარად გამჯდარ გადმონაშთებს. სხვა რით შეიძლება აიხსნას თუ არა ამით, ის საოცარი გავრცელების უნარი, პირდაპირ ეპიდემიური სენის სიძლიერისა, რაც ბოროტებას აღმოაჩნდება ხოლმე, როგორც კი ამისი საშუალება მიეცემა. აბა ჩავუკვირდეთ ჩვენს ცხოვრებას, აბა ჩავიხედოთ ჩვენს სულში, კიდევაც რომ სხვას არ გამოვუტყდეთ, განა ვერ დავინახავთ უამრავ ინსტინქტს, დათრგუნვილსა თუ დაუთრგუნავს, რომელიც თვლემს ჩვენში ან სულს გვიღრღნის და რომელიც ვერაფრით უთავსდება ჩვენსავე საზოგადოებრივი ცხოვრების კანონებს? აღარას ვამბობ იმაზე, რომ, მაგალითად, ბევრს წაუცდა ხელი საზოგადოებრივ ქონებაზე, როგორც კი ამის საშუალება მიეცა, ბევრს მოეძალა საკუთარი ფუფუნების სურვილი და რაკი ეს კანონიერების ფარგლებში უმრავლესობისათვის მიუწვდომელი იყო, დაიწყეს ამ კანონების დარღვევა. დაიწყო სიმდიდრის დაგროვების ციებ-ცხელება, რამაც ბევრი პატიოსანი კაციც ჩაითრია და თავისი ბუნებისა თუ შეგნების საწინააღმდეგო რამ ჩაადენინა. ამას კი სხვა არაფერი მოჰყვა, თუ არა კეთილი იმედების გაცრუება, ადამიანებს შორის კონტაქტების დარღვევა, ამის წყალობით კი — სულიერი გაუხეშება და მარტოობის გრძნობის გამძაფრება. ის გაორება, საკუთარი არსის შენიღბვა თუ დათრგუნვა, რაც საკმაოდ მკაფიოდ გამოსჭვივის ზოგიერთი ჩვენთაგანის ცხოვრებასა და საქმიანობაში სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის გაუცხოების თავისებური გამოვლენა.

შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე ერთმა თითქოს უბრალო ფაქტმა, რაც ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში. ამ ორი ათეული წლის წინ, როცა წყნეთში აგარაკები ისე მომრავლდნენ, როგორც სოკოები წვიმის შემდეგ, ერთი ჩემი ნათესავის გვერდით პროფესორი კაცი იშენებდა სახლს. ფული საქმოსანივით თავზესაყრელი არ ჰქონდა და თავისი ხელით აშყავდა კედლები. იმ ზაფხულს რამდენიმე თვე დავყავი წყნეთში და ამ მეზობლისაგან ერთი სიტყვაც არ გამიგია. მისთვის თავის კარმიდამოს გარდა სხვა სამყარო თითქოს არც არსებობდა, მარტოსულად ცხოვრობდა. მხოლოდ ერთხელ გამოელაპარაკა მეზობელს, საერთო ღობის მოწესრიგებაითავა. ცოტა კიდეც შემრცხვა, ათვალისწუნებული რომ მყავდა ეს პატიოსანი და თურმე გულისხმიერი კაცი. მეორე დღეს უთენია დაიწყო ძელებზე ბადის გაკვრა, რალაც შემკრთალი თუ დარცხვენილი ჩანდა, ჩვენკენ ზურგით იდგა, ერთხელაც არ მოუბრუნებია პირი. ამის მიზეზი კი თურმე ის იყო, რომ ბადეს ჩემი ნათესავის მხრიდან ამაგრებდა. ხედავთ, რა ძლიერი ყოფილა კერძო თუ პირადი საკუთრების ინსტინქტი, რომ ამ პატიოსან, ხნიერ კაცსაც კი, ვისაც არმად ნაშოვნი ფულის უქონლობის გამო წელი ჰქონდა მოწყვეტილი შრომით, რამდენიმე სანტიმეტრი ზოლის მიწის დასაკუთრებისათვის, რასაც არავითარი პრაქტიკული სარგებლობა არ შეეძლო მოეტანა, ასეთი საჩოთირო საქციელი ჩაადენინა. თითქოს არაფერია ეს, მაგრამ, როგორც ფოკუსში, ისე ჩანს იმ კაცის ხასიათიც და გლეხური ინსტინქტიც მიწის სიხარბისა, რის წინააღმდეგაც, ალბათ, თავადაც ბრტყელ-

ბრტყელ ფრაზებს უხვად სთავაზობდა სტუდენტებს. ეტყობა, ეს აღმოჩენა პირველი იყო და ამიტომაც ჩამრჩა მეხსიერებაში, თორემ ახლა უამრავი მსგავსი თუ უარესი რამ არამცთუ არ გამაკვირვებს, ალბათ თავისი „წვრილმანობის“ გამო შეუმჩნეველიც დამრჩება. აბა, პროფესორი კაცი რომ ასე მოიქცევა, სხვას რაღა მოვთხოვოთ. ანკი ბევრად უფრო აშკარად და დიდი მასშტაბით გამჟღავნებული ეს ინსტინქტები (მხოლოდ ინსტინქტები კია ეს?) ცოტა გვინახავს? ასე გამოიკეტნენ წყნეთში თუ სხვაგან აგარაკებზე პატიოსანი თუ უპატიოსნო ფულით აშენებული სახლების თუ სასახლეების პატრონები, შემოივლეს უზარმაზარი ღობეები და ისე შეიყუჟნენ შიგ, როგორც ლოკოკინები საკუთარ ნიჟარაში. ახლაც ისე გეგონებათ შორიდან, მეზობლად მტრები დასახლებულანო.

ურბანიზაციის პროცესს, რაც საყოველთაო და კანონზომიერია, რისი ხელოვნური დაბრკოლებაც უბრალოდ შეუძლებელია, თანა სდევს ერთგვარად ადამიანის გაუცხოების ტენდენციაც. ვისაც თბილისის ძველ უბნებში გვიცხოვრია, კარგად გვახსოვს ღია აივნების და შინაურული ეზოების გნიასი, მეზობლების ყაყანიც, ჩხუბიც, მეგობრობაც, თანადგომაც, სიყვარულიც და გრძნობაც იმისა, რომ შენ მარტო არა ხარ, რომ შენი გარიყვა შეუძლებელია, რადგან ყველას თვალწინ ცხოვრობ და საკუთარი ბუნების ღალატს მაშინვე შეგამჩნევენ. აბა, ვინ შეიძლება ინდივიდუალური და კომფორტაბელური ბინების წინააღმდეგი იყოს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ამას თან განმარტოებაც მოჰყვა. ვინ შეიძლება საკუთარი მანქანების წინააღმდეგი იყოს, მაგრამ ამანაც ხომ გამოიწვია თავისი წილი იზოლირება, განცალკევება ადამიანისა. ამ ტენდენციას ვერსად გავექცევით, მაგრამ უნდა წინ აღვუდგეთ კი, თუ გვინდა, რომ ჩვენს საზოგადოებას არ შეეპაროს ის სენი, რაც ბევრწილად დააბრკოლებს კომუნისტური მორალის საყოველთაო გავრცელებას, ჩვენ კი ეს მორალი მარტო ასალიარებლად კი არ გვინდა, არამედ, რაც მთავარია, იმისათვის, რომ ძვალსა და რბილში გვქონდეს გამჯდარი.

ანკი რაღა სხვაგან ვეძებთ გაუცხოების გამოძახილს. თამაზ ჭილაძის შემოქმედების გაცნობისას ვეჭვობ ვინმეს მოუვიდეს თავში აზრად, რომ ეს ყველაფერი ცხოვრებისეული სიმართლის ღალატი იყოს. მართალია, აქ მხატვრულად გაზვიადებულია , აქცენტირებულია, გამძაფრებულია ადამიანთა გარიყვის თუ სულიერი სიუხეშის გამოვლენის შემთხვევები, მაგრამ ავტორი სიმართლეს გვეუბნება და მისი წაკითხვის შემდეგ, სადაც ასე საინტერესოდ, ღრმად, შემაძრწუნებლად არის გახსნილი ჩვენში ჯერ კიდევ არსებული თუ გავრცელებული მანკი, ალბათ სინდისის ქენჯნას ვიგრძნობთ და უფრო სხვა, თბილი, მეგობრული თვალით შევხედავთ ჩვენს გვერდით მყოფ ადამიანებს, რომ მარტოსულებად არ იგრძნონ თავი. და ასეთი აქტიური ზემოქმედების ძალაშია თამაზ ჭილაძის შემოქმედების მაღალი ჰუმანისტური დანიშნულება.

სულიერი სიმარტოვის გრძნობა თავიდანვე შეიძლება აედევნოს ადამიანს, ბავშვობიდანვე (ეს უფრო ღრმა ჭრილობას ამჩნევს მას), მერე კი მთელი თავისი ცხოვრების გზაზე სტანჯავდეს. „პარასკევაშიც“, „პოსეიდონის სასახლეშიც“ და „მდგმურებშიც“ მწერალი სწორედ ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა მონაკვეთებზე გვიჩვენებს ამ მძიმე სულიერ მდგომარეობასაც და მის შედეგსაც.

ვრცელ მოთხრობაში „პარასკევა“ მწერალი ემოციურად ძალზე დაძაბულად გამოხატავს თავის სათქმელს, კერძოდ იმ მოსაზრებას, რომ ბავშვის მგრძნობიარე, ფაქიზ, სათუთ სულს კიდევ უფრო ღრმად და მტკივნეულად აჩნდება დიდი თუ მცირე ჭრილობა. პატარა მიხას ბედი ყველა ბავშვის ხვედრი როდია. ბევრს სწორედაც სრულიად განსხვავებული ცხოვრება აქვს და უფრო დაზღვეულნიც არიან სულიერი ტრავმებისაგან, მაგრამ მიხას მსგავსნიც ხომ საკმაოდ არიან და, რაც მთავარია, ის გარემოც, რომელიც მათ ირგვლივაა, სამწუხაროდ, ტიპიურია. ცხადია, განზრახ არის აქ კონცენტრირებული ავტორის ყურადღება ავბედითობაზე და პატარა მიხასაც უამრავი განსაცდელი დაატყდება თავს, მეტად თუ ნაკლებად შთამბეჭდავი განცდები აფორიაქებს სულს მაგრამ ეს ხომ საკმაოდ იოლად აიხსნება მწერლობაში, სადაც ემოციური ზემოქმედების გაძლიერების მიზნით მხატვრული აზრის უკიდურესობამდე მიყვანა და ასეთნაირად გამძაფრება ჩვეულ ხერხადაა მიჩნეული.

ის ბედნიერი დღეები, როცა ზღვაზე იყო დედასთან ერთად, მიხას ზმანებად გაჰყვა დიდხანს, ალბათ მთელი სიცოცხლის მანძილზეც. თუმცა ავად იყო მიხა და ლოგინიდან გასცქეროდა ზღვას, მაინც ნეტარი იყო მისთვის იმ დღეების გახსენება, რადგან „დედას დიდი ჭილოფის ქუდი ეხურა, თეთრი კაბა და თეთრი სანდლები ეცვა. არ შორდებოდა, მთელი დღე თავთან ეჯდა, ან წიგნს უკითხავდა, ან კიდევ ტილოს დიდ ნაჭერს ქარგავდა, მუხლებზე რომ ჰქონდა გადაფარებული“. და კიდევ, ზღვაზე ყოველდღე ხედავდა უცხო გოგონას, მზიას, რომელიც მწოლიარე მიხასთან მიახლოვებას იშვიათად ბედავდა. ეს სულიერი სიმშვიდე და რომანტიკული განწყობილება, რასაც მზიასთან ერთად ზღვის პირას მდგარი მაღალი ფიჭვებიცა და ფიჭვებს იქით თვალისმომჭრელად მბრწყინავი ზღვაც უძლიერებდა, ბავშვის წარმოდგენებს სხვა სინათლით ავსებდა. მიხას

მეოცნებე სული სიამოვნებით ელტვოდა ასეთ განწყობილებას. მოზარდის სულს თავდაპირველად ლამაზი ოცნებები უფრო ჰკვებავდა, ვიდრე რეალური გარემო. ამიტომაც არ გვიკვირს, როცა ლოგინს მიჯაჭვული ბავშვი ზეწარს ხელს გადაუსვამს და მზიას ეტყვის: „ეს თოვლია, მე თოვლში ვწევარ". ან კიდევ მოაგარაკე მეზობლის გოგონას ალას სათამაშო ზარის წკრიალს მეოცნებე ავადმყოფი ბავშვი ღრუბლებისა და ვარსკვლავების სამყაროში გადაჰყავს.

ზღვის ლურჯი სივრციდან და შორეული ვარსკვლავებიდან რეალურ სამყაროს იმავე აგარაკზე დაუბრუნდა მიხა. პირველი სუსხი ბოროტებისა სწორედ აქ იგრძნო მან, როცა მზიასა და ზღვის სანახავად სიცხიანი გაიპარა სახლიდან. ნატკენი მუხლის მოსაბანად უმწეო მიხა ვიღაცის ეზოში საწყლად შევა, სახლის პატრონი კი მას ჭინჭრის კონით აუწვავს კანჭებს, რომ „სხვის ეზოში სეირნობა" მოაშლევინოს. მწერალი სულ ორიოდე შტრიხით გვიხატავს ამ მესაკუთრე ტიპს, მელოტ თავზე რომ ქალის ნეილონის წინდისაგან შეკერილი ჩაჩი ეხურა და ჭიშკრამდე სულ წვივებზე სცემდა დამფრთხალ მიხას ჭინჭრის კონას, მაგრამ ხასიათი ამ ბოროტი კაცისა, მისი ბუნება ბოლომდეა გახსნილი.

მიხა „შინისკენ მირბოდა და ხმამაღლა ტიროდა, ახლა არც სირცხვილზე ფიქრობდა, რადგან გული გასკდომაზე ჰქონდა. მალიმალ ჩერდებოდა და დაშუშხულ წვივებზე ხელს ისვამდა, უნდოდა ყველას დაენახა ასე უმიზეზოდ დასჭილი და ნაწამები. არავის მიუქცევია ყურადღება, არავინ შეჩერებულა, ცალი თვალითაც არ გამოუხედავთ მისკენ. უნდოდა ჩქარა მისულიყო დედასთან, მის კალთაში თავი ჩაედო და ეტირა. იქნებ გულიდან როგორმე ის სიმძიმე ამოეგდო, რომელსაც უცებ, სულ რამდენიმე წუთში მოესწრო მის ფსკერზე ჩალექვა და ჩაკირვა".

დიახ, პირველი მწარე გაკვეთილი ბოროტებისა მეოცნებე მიხამ ზღვაზე მიიღო, კიდეც ჩაელექა და ჩაეკირა სულის სიღრმეში, მაგრამ ის სულიერი სიმშვიდე, რასაც დედა და ზღვა გვრიდა, მაინც ანეიტრალებდა, სძლევდა ამ განცდას და ბედნიერებით ავსებდა. მაგრამ როგორც კი ეს წონასწორობა დაირღვა, პატარა მიხას ბედნიერებაც დასრულდა.

მწერალს საგანგებოდ არც აინტერესებს ის ოჯახური დრამა, რაც მიხასთან დატრიალდა. ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი, ამის ბოლომდე გარკვევას იგი არცა ცდილობს, თუმცა მინიშნებით კი მიგვანიშნებს რამდენიმე დეტალით. მართალია, დედამ მიატოვა ოჯახი, მაგრამ მამა, ცნობილი მომღერალი (დედაშენს მეტი რაღა უნდოდაო, მიხას მამიდას რომ გულწრფელად უკვირს), საკმაოდ პრიმიტიულ, გულცივ და ეგოისტ კაცად გამოიყურება. ისიც, ვის გამოც, წასულა დედა და ვისაც მხოლოდ ერთი წამით შევავლებთ მიხასთან ერთად თვალს, სავსებით დამაჯერებლად გვარწმუნებს თავის სულიერ სიუხეშეში, ამიტომაც ვგრძნობთ, რომ შემთხვევითობას არ უნდა მიეწეროს დედის ტრაგიკული სიკვდილი, რაც უშუალოდ ცოლ-ქმრის უკანასკნელ შეხვედრას. თითქოს გუმანით ვხვდებით, რომ ის საბედისწერო ნაბიჯი ამ შენიღბული ბოროტებისაგან სასოწარკვეთილმა ქალმა სავსებით შეგნებულად გადადგა. მწერალი, როგორც ვთქვი, თითქოს არც კი ცდილობს ამაში ჩაძიებას, მას სულ სხვა საკითხი აწუხებს. ასეთი ოჯახური დრამისაგან არავინ არის დაზღვეული და მას უამრავი მიზეზი თუ საბაბი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ რა კვალს სტოვებს იგი მოზარდის სულში, როგორ ანგრევს მის ოცნებას, როგორ უკარგავს სულიერ სიმშვიდეს, რა ტრავმას აყენებს მას — ეს მთავარი საკითხი მწერალმა დიდი მხატვრული სიმართლით და სიღრმით გვიჩვენა. როგორც კი ოჯახური იდილია დაირღვა, მიხასათვის მთელი სიმწვავით გახდა გასაგები ის სულიერი სიუხეშე, რაც თურმე ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდა. მომვლელად მიჩენილი მამიდა ვერ ერევა თავს და ძალაუნებურად ხდის მიხას ამ დრამის უშუალო მონაწილედ. კარის მეზობელი რობინზონი, ლიპზე შეხსნილი ნეილონის პერანგით და დალაქული მაისურით, ობივატელური ბედნიერების პირველი უტყუარი საბუთით — კმაყოფილი ხითხითითა და „ვოლგით" საკუთარი ღირსებით ტკბობის საშუალებას იმაში ხედავს, რომ სხვას, თუნდაც ბავშვს, შეულახოს ღირსება. ამიტომაც აწვეთებს შხამად მიხას თავზე დამტყდარ უბედურებას. აი, ასე გადაიქცევა მშობლიური და ახლობელი გარემო უცხოდ მიხასათვის, სადაც იგი მარტოსულად დაბორიალობს და თავისი კუთვნილი ადგილისათვის ველარ მიუგნია. და ახლა უკვე სხვაგვარი მოჩვენებები უდგას თვალწინ ამ შთაბეჭდილებიან ბავშვს:

„თვალნათლივ დაინახა კმაყოფილი და გამაძღარი, მზის გულზე ნებივრად წამოწოლილი, პირში ჩიბუხგაჩრილი რობინზონ კრუზო, რომლის ფეხებთანაც საწყალი პარასკევა ჩაცუცქულიყო და ძაღლივით შესციცინებდა თვალებში. თუ პარასკევას ნაცვლად თვითონ იჯდა რობინზონ კრუზოს ფეხებთან და რობინზონი, როცა მოისურვებდა, მაშინ წამოუთაქებდა თავში, რადგან არც ქვის სროლა იცოდა, არც ჩიბუხის მოწევა".

და თუმცა პროტესტის თუ თავდაცვის ინსტინქტი ღვიძებს მიხას გულში, მას მაინც პარასკევას როლი აქვს გამზადებული, რადგან ირგვლივ მასზე ძლიერი და დაუნდობელი ადამიანები არიან. სულ უფრო ეძალება მიხას მარტოობის გრძნობა, განმარტოების სურვილიც, რადგან ადამიანებთან კონტაქტმა არაფერი

შვება მისცა. ასე უგულოდ და დამცინავად ექცევა მას სახადილოს დახლიდარიც, რასაც ვერაფრით ასწორებს ერთი წამით გაღვიძებული სინდისის ხმა, როცა უკვე დამფრთხალ მიხას ორიოდე თბილ სიტყვას დაადევნებს. მწერალი საკმაოდ ნატურალისტურად აგვიწერს სახადილოსაც და იმ ეზოს ცხოვრებასაც, რომელსაც დედის საძებნელად მიადგება მიხა. დეიდა ვერიკოს, დედამისის მეგობარი რომ ეგონა, საკუთარი მეშჩანური ბედნიერების გარდა, არაფერი ადარდებს, სხვისი წუხილი, თუნდაც ბავშვის, მისთვის უცხოა და გაუგებარი, ამიტომაც არ იკარებს გულთან.

მიხა ხვდება ყველაფერს, რომ მისთვის უკვე დაინგრა ცხოვრება, რადგან აღარავინ მიუჯდებოდა საწოლთან სულ უბრალოდ, თუნდაც მხოლოდ იმისათვის, რომ „ეცქირა მისთვის, ან შუბლზე დაედო ხელი, ან არაფერი გაეკეთებინა, ისე მჯდარიყო".

დედის ტრაგიკულმა სიკვდილმა კიდევ უფრო გაუმძაფრა ეს მარტოობის მტანჯველი გრძნობა, კიდევ უფრო მწვავედ აგრძნობინა სულიერი ობლობა. რობინზონი საქმიანად აგვარებს ქელეხის სამზადისს. მამამისი თუმცა უბედური კაცის სახით და ინტონაციით ამბობს — „ეჰ, ჩემო რობინზონ, რა დროს ქელეხიაო", მაგრამ მისი ეს თვალთმაქცობა მიხასათვის ახლა უკვე ცხადზე ცხადია, მამა ხომ მალიმალ იხედება სარკეში და პანაშვიდისათვისაც ისევე ემზადება, როგორც სპექტაკლისათვის. მიხას გლოვაც კი არ აცალეს. სადღაც გარიყეს, კუთხეში მიჰყლიტეს მამამისის თანამშრომლებმა, ჯერ გაპუდრულმა ბებერმა ქალებმა და შავკოსტუმიანმა მამაკაცებმა კაპელიდან, მერე კი სახელგანთქმულმა მომღერლებმა, ტანკებივით რომ შემოვიდნენ და გვერდით ამოუდგნენ მამას. „მამა გულამოსკვნილი ტიროდა", მეორე წამს კი სხვა ოთახში მიხას საქმიანად ეკითხება „რატომ არ ტირიო" და თან სარკეში იყურება. მთელ ამ თვალთმაქცურ სცენას აგვირგვინებს რობინზონის, პანაშვიდის ამ ცერემონმაისტერის „პიონერის საყვირივით ხალისიანი ხმა".

სასაფლაოდან გამოპარულ მიხას, ვისმა გულწრფელმა მწუხარებამაც ველარ აიტანა ეს ფარსი, პირველად მოეძალება მტანჯველი ფიქრები სიკვდილ-სიცოცხლეზე. ასეთი ფსიქოლოგიური სიზუსტით დაწერილ მოთხრობაში აქა-იქ მაინც იჩენს ხოლმე თავს ნაკლებ დამაჯერებელი სიტუაცია, ან ბავშვისათვის ნაკლებ შესაფერი აზროვნების სტილი და ერთი ნიმუში ამისა ამ ეპიზოდშიც არის შესამჩნევი: „ნუთუ ადამიანები ერთბაშად ყველასათვის კვდება? რა ჰქვია მისი სიცოცხლის მეორე ნაწილს, რომელსაც მიწაში ვერ ატევენ, უყავილებით ვერ ფარავენ. ისევ სიცოცხლე? ის ხომ მიწაზე არ დადის, ჰაერში დაფარფატებს, როგორც ღრუბლის ნაფლეთი, ანდა ჰაერის აბლაბუდა. ანდა, როგორც ხმა... ხმა და მეტი არაფერი"... მგონი, დამეთანხმება მკითხველი, რომ ძნელი სავარაუდოა ასე ფიქრობდეს მოზარდი. საერთოდაც და, განსაკუთრებით კი, ამხელა სულიერი ტრავმის დროს, ალბათ, უფრო მარტივად და უშუალოდ იაზროვნებდა იგი.

ასე მარტოდ მიტოვებულ მიხას ცხოვრება არაფერს სთავაზობს, გარდა ცინიზმისა, სიუხეშისა და თვალთმაქცობისა. ამის მეტს ვერაფერს დაინახავს იგი თუნდაც ისეთ უჩვეულო და ბავშვისათვის მიმზიდველ სიტუაციაში, როგორიცაა კინოგადაღება. აქაც ყველაფერი იმ სპექტაკლივითაა, სადაც მსახიობები უგულოდ თამაშობენ და არცა ცდილობენ თავიანთი ცინიზმის შენიღბვას. აქაც ყველაფერი იმ სიყალბითაა სავსე, რასაც მიხა მშვენივრად ხვდება, რადგან იგი მძიმე გარემოებათა გამო ადრე გამოსულა ბავშვობის ასაკიდან. ერთადერთი ხსნა მხოლოდ ილუზიებშია, ამიტომაც არის, რომ ირგვლივ გარშემორტყმულ ხალხში მდგომი მიხა თან გულამოსკვნილი ტირის დაკარგული ბედნიერების გამო, სულიერი სიმარტოვის გამო, თან კი ხან მზია ელანდება ზღვის სანაპიროზე და ხანაც დედის სახე ავარდისფერებულ ბურუსში.

ასევე სტანჯავს სულიერი მარტოობის გრძნობა გიგასაც „პოსეიდონის სასახლიდან", განსხვავება ამ ორ გმირს შორის მარტო ასაკში კი არ არის, არამედ, რაც მთავარია, იმაშიც, რომ გზა სიმარტოვისაკენ მხოლოდ სხვათა სულიერ სიუხეშეზე კი არა, ხშირად საკუთარზეც გადის. თუ მიხას ბედნიერება სხვათა მსხვერპლი გახდა, გიგამ თვითონ მიიტანა ობივატელური თვითკმაყოფილების სამსხვერპლოზე ერთადერთი ჭეშმარიტი ადამიანური განძი. მას ნებაყოფლობით აურჩევია „ყოველდღიურ ფუსფუსში თავისთავად გაჩენილი გულგრილობის ბეტონის გზა, უმოკლესი მანძილი ორ წერტილს შორის — ყოფნასა და არყოფნას რომ აერთებს". და რაკი ასეა, წარსულის ბედნიერი ჩვენებები მიხას თუ სიმშვიდით ავსებს, გიგას მხოლოდ აღიზიანებს, რადგან მან თვითონ თქვა შეგნებულად უარი იმ გზაზე, იგი თვითონ გაექცა ბედნიერებას.

„ადამიანის ცხოვრების გვერდით მისი მახსოვრობის წყალუხვი მდინარე მიედინება, ზოგჯერ ის ნაპირზე გადმოდის და ყელამდე გაყინულსა და მღვრიე წყალში ვდგავართ". ეს სენტენცია გიგას ეკუთვნის, მისი ხმამაღლა ნაფიქრია, მოთხრობის დასაწყისშივე რომ ყურსა გვჭრის, ბოლოს კი საოცარი სიცხადით წარმოგვიდგენს გმირის სულიერი სიძაბუნის მთელ საშინელებას. თითქოს იმედიანი ფინალი — „ჩემი ბინა სავსე იყო ჩემი ღიღინით, საბეჭდი მანქანის კაკუნით, ჩემი სიგარეტის კვამლით, ლიას ჩურჩულით, მამუკას ყიყინით,

ტელევიზორის გუგუნით და ამ ხმებისაგან მოქსოვილი ბადე მღვრიე და გაყინულ წყლიდან მეწეოდა, მექაჩებოდა, თავისკენ მიმათრევდა, რადგან მე უნდა მეცოცხლა, მეცოცხლა!“ — სინამდვილეში უიმედობის გრძნობით გვავსებს, რადგან გიგას აღარაფერი ეშველება. იგი ისე ღრმადაა ჩაფლული ობივატელური ბედნიერების ჭაობში, რომ ხელის განძრევაც აღარ უნდა თავის საშველად და მისი მახსოვრობის თბილსა და ანკარა ნაკადულს მხოლოდ მღვრიედ და გაყინულად შეიგრძნობს.

გიგას სახესთან დაკავშირებით, უკვე ძალდაუტანებლად უნდა გაგვახსენდეს ის სულიერი მდგომარეობა, რასაც ადამიანის გაუცხოება ჰქვია. ყველაზე ლაკონური და აღიარებული განსაზღვრით, გაუცხოება ადამიანის ისეთ მდგომარეობას ნიშნავს, რომლის დროსაც იგი თავისი მოქმედებით თუ საქციელით ეწინააღმდეგება საკუთარი არსებითი ხასიათის მისწრაფებების რეალიზაციას, თავისი საკუთარი არხის გამოვლენას, ფაქტიურად ეს ადამიანის გაორებას ნიშნავს, რომ იგი თავისი რწმენისა და მოწოდების წინააღმდეგ მოქმედებს. ასეთი მდგომარეობისაკენ კი, სამწუხაროდ, ბევრი თუ არა, რამდენიმე კარგად გატკეპნილი გზა მიდის. მათ შორის ყველაზე ნაცნობია ადამიანის ნებისყოფის სისუსტით არჩეული გზა, როცა იგი მშვიდად დაჰყვება ცხოვრების მდინარებას, იოლ სავალს ეძებს, ადვილად ელევა საკუთარ რწმენას და იდეალებს ობივატელური ბედნიერებისაკენ უმოკლესი გზის მისაგნებად. და თუ ამ გზაზე სინდისის ქენჯნა მაინც აწუხებს მას, ეს ჯერ კიდევ შორს არის ტრაგიკული განცდებისაგან.

სულიერ გაორებას, რწმენის ღალატსა და დაკარგვას, საკუთარი არსის დათრგუნვას ტრაგიზმი მაშინ სდევს მხოლოდ თან, როცა ეს იძულებით, გარეშე ძალების ძალდატანებით ხდება. გიგასაც უბიძგეს აქეთ ხელი, როცა ახალგაზრდა მწერალს გონებაჩლუნგმა და გულცივმა რედაქტორმა ცხოვრების პირველი მწარე გაკვეთილიც აგემა და იოლ გზაზეც მიანიშნა, მაგრამ იგი სწორედ თავისი ნებისყოფის სისუსტის გამო მორჩილად დაჰყვა უგუნურ რჩევას. მას, როგორც ჩანს, არცთუ ისე მტკიცე რწმენა გააჩნდა, რომ თავისი იდეალებისათვის, მოწოდებისათვის ებრძოლა, საკუთარი მიზნებისათვის თავი გამოედო. ამიტომაც იყო, რომ თავი მიანება არჩეულ გზას მწერლობაში და სულ სხვა ჟანრს მიჰყო ხელი, რამაც იოლი, თუმცა საეჭვო წარმატება მოაპოვებინა და ახლა მისი დეტექტივები თუ ფანტასტიკური მოთხრობები და რომანები სოკოებივით მომრავლებულიყვნენ.

გიგას კარგად ესმის თავისი მდგომარეობა, ოღონდ ხიმტკიცე არა ჰყოფნის გატკეპნილ გზას გადაუხვიოს, ობივატელურ ბედნიერებას შეელიოს. მისი ალსარებები ამაში ღრმად გვარწმუნებენ. გიგამ დაკარგა სურვილი ყოფილიყო ნამდვილი მწერალი. ლიასთან ერთად, არც მისთვის არსებობს „ცხოვრებისეული ლირიკა, ადამიანს რომ გულს უჩვილებს“. მან შეგნებულად თქვა უარი წრფელ დამოკიდებულებაზე, ნამდვილ სიყვარულზე, ადამიანურ ცხოვრებაზე. და ეს ყველაფერი გაცვალა საძულველ შვილებივით წიგნებზე, თვალთმაქცობაზე, „ჩემს საფერფლეზე“, „ჩემს სკამზე“, „ჩემს ჭიქაზე“, „ჩემს თეფშზე“, რომელთაგან ერთიც რომ დააკლდეს, „სათვალეებდაკარგული ბეცივით“ იქნება.

ასე შეიქმნა მან თავისი საკუთარი კომფორტაბელური სატუსაღო, გაერიყა ცხოვრებას, შეუმჩნევლად გახდა თავისივე ბინის ტყვე, სადაც თბილ ფლოსტებში ფეხებწაყრილი დაფრატუნობს ერთი ოთახიდან მეორეში. როცა ასეთი ყოფით გულგაწვრილებულს იშვიათად, მაგრამ მაინც მოეძალება უსიამოვნო ფიქრები, წევს ჩაბნელებულ ოთახში და საკუთარ თავს ანუგეშებს: „ჯობს შენს თავს მოუარო, სინდისის ქენჯნა არაფრის გამო ჭკვანაკლულობის ნიშანია. დაეტიე შენს კანში“.

იშვიათია, ასეთი თვითგვემით რომ იგლეჯდეს ნიღაბს გმირი ჩვენს თვალწინ, იმ ნიღაბს, რომელიც საგულდაგულოდ მოურგია სახეზე თავისი ბუნების, შინაგანი სიცარიელის დასაფარავად. იგი ხომ ვერავის დაემდურება, მან თვით არჩია პოსეიდონის სამფლობელოს, სავსეს სივრცითა და თავისუფლებით, ობივატელური ბუნაგი, კომფორტაბელური სატუსაღო, სადაც ყველაფერია, გარდა მთავარისა, ამაყი და მეოცნებე სულისა.

„პოსეიდონის სასახლეში“ იშვიათი სიძლიერითაა გახსნილი გიგას „ალზევების“, სინამდვილეში კი მისი დაკნინებისა და დაცემის მთავარი მიზეზი. ეს არის მისი უგულობა, უნებისყოფობა, სულიერი სიუხეშე, რამაც დააზრო, არ გაახარა კეთილი თესლი, სადღაც შიგნით რომ ულვივოდა ახალგაზრდობაში და ჭეშმარიტი ადამიანური ბედნიერების საწინდარი იყო.

ლიტერატურა ნატიფი მეტყველებაა, მაგრამ როგორც კი ეს თვისება თვალში საცემი ხდება, იგი მანერულობაში გადაიზრდება და ნაწარმოებიც კარგავს ცოცხალ სილამაზეს, ხელოვნურად მორთულ-მოკაზმულ მანეკენს ემსგავსება. უნდა გულახდილად ითქვას, რომ თამაზ ჭილაძის მოთხრობებში, რომლებიც გვხიბლავენ ჩვენ ამ ჩუმი, ძალდაუტანებელი, თითქოს ბუნებრივი სილამაზით, ზოგჯერ უსიამოვნოდ ხვდება თვალს დაუდევრად დადებული ფერი, რაც არღვევს მხატვრულ ჰარმონიულობას. ასეა აქაც, „პოსეიდონის სასახლეშიც“, განსაკუთრებით დასაწყისში, სადაც ეს სწრაფვა ლამაზი მეტყველებისაკენ, კაზმულსიტყვაობისაკენ საკ-

მაოდ აშკარად ჩანს. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ მოთხრობა პირველ პირშია დაწერილი, გმირი თვითონ გვიხსნის თავის სულიერ მდგომარეობას და ისეთი პოზიორი კაცისაგან, როგორიც გიგაა, ნაკლებ უნდა გვეხამუშებოდეს ასეთი მეტყველება. აკი, როცა თვითმხილება თუ თვითგვემა იწყება, ისიც იძულებულია მაღალფარდოვანების ნაცვლად უფრო სატირულ შტრიხებს მიმართოს საკუთარი პორტრეტის დასახატად.

ის ოჯახური იდილიის ილუზია, რაც თავიდანვე ხელოვნურად შექმნეს გიგამაც და მისმა მეუღლემაც და რასაც ასე დაბეჯითებით უნერგავენ სხვებსაც, სათამაშო ხეხულასავით არის აშენებული და მათი ობივატელური სული რომ ასე ბეჯითად არ ებლაუქებოდეს, დიდი ხანია დაინგრეოდა. ორივესთვის ხელსაყრელია ეს თვალთმაქცობა, დიდი მწერლისა და მისი ბედნიერი მეუღლის როლების თამაში, რადგან ამას თან ახლავს ყოფითი, პატარა კმაყოფილების გრძნობა, რომელიც მათთვის მთავარი გამხდარა და რომელსაც საბოლოოდ განუდევნია მათი სულებიდან ნამდვილი ბედნიერების შეგრძნების უნარი და სურვილი. როგორც კი სოფიკო, პოსეიდონის სასახლის მოციქული, გამოჩნდება მათ ოჯახში და სხვა ჭეშმარიტი ფასეულობის მახსოვრობასაც დაუბრუნებს, ორთავე მხოლოდ იმ გრძნობას შეუპყრია, რომ რაღაც დიდი განსაცდელი მოაქვს ამას და არა სულიერი განწმენდის შესაძლებლობა. ამიტომაც მიაჩნია გიგას, რომ სოფიკოს სახით მის ოჯახში სატანა შემოიპარა.

როცა გიგამ პოსეიდონის სასახლის ფასი იცოდა, იგი თავის ამხანაგებთან ერთად გაკვირვებით მისჩერებოდა თავისზე ბევრად უფროს ელიზბარს, პლაჟზეც კი რომ ყველა საჭირო ნივთი მუდამ თანა ჰქონდა. აკი ისინი სარკასტულად შენიშნავენ ელიზბარზე: „პატარა უნიტაზიც რომ ჰქონდეს; პატარა რეზინის გასაბერი უნიტაზი...“, აი, მხოლოდ ეს აკლია სრული ბედნიერებისათვის ელიზბარს, რამაც უნდა აუნაზღაუროს სიცარიელე და სიმარტოვე. და რა იცოდა მაშინ გიგამ, რომ ისიც ელიზბარად იქცეოდა, მხოლოდ უკვე უნიტაზიან ელიზბარად და ამას შესწირავდა ყველა ადამიანურ ღირსებას. გიგას ბინა სავსეა მისი საყვარელი ნივთებით, მორჩილი და მუდამ სამსახურისათვის გამზადებული უამრავი ნივთებით, რომლებმაც შეავიწროვეს და მერე კი სულაც განდევნეს სიყვარული და თანაგრძნობა, ადამიანური დამოკიდებულება და გულწრფელობა. გიგას ვერავითარი სულიერი კონტაქტი ვერ დაუმყარებია ვერც ლიასთან და ვერც თავის შვილთან, მამუკასთან. ფაქტიურად სამთავენი სრულიად მარტონი არიან ერთ ბინაში და მხოლოდ ატყუებენ ერთმანეთს, როცა ცდილობენ ერთიანი ოჯახის ილუზია შექმნან.

გიგა ხავსს ეპოტინება, როცა გვეუბნება: „უცებ ენით აუწერელმა შიშმა შემიპყრო: ნუთუ მართლა მარტო ვიყავი, გარიყული წარმატების ბრჭყვიალა ნაგავში ჩამჯდარი და ჩამალული“. მან მშვენივრად იცის, რომ ეს ასეა, აკი თვითონვე დაგვარწმუნა ამაში, მაგრამ ამ სპექტაკლიდან, რასაც წლების მანძილზე თამაშობდა ისიცა და მისი ოჯახიც, გაძევებული იყო მახსოვრობა, როგორც პირშიმთქმელი, მოურიდებელი, ხეპრე მსახიობი. და ახლა, როცა ეს მახსოვრობა ერთი წამით აღდგა, კიდეც გაუჩნდა ბზარი ობივატელურ ბედნიერებას. და გიგა ცდილობს ეჭვი შეიტანოს თავის სულიერ სიმარტოვეში, თუმცა კარგად იცის, რა მწარე სიმართლეც არის ეს, ცდილობს უკუაგდოს მახსოვრობის ხეპრე სიმართლე, რომ თავისი მხოლოდ ნივთებით მონიჭებული ბედნიერება და სისავსე შეინარჩუნოს.

ამ მოთხრობაში ყველა მარტოა სულიერად — გიგაც, ლიაც, მამუკაც, სოფიკოც, მარტოა სოფიკოს შვილიც თუ ნაშვილებიც — სიმარტოვის წამალი და თვითონაც სიმარტოვისათვის განწირული. მაგრამ ტანჯვით მხოლოდ სოფიკო იტანჯება, რადგან ეს მისი იძულებითი ყოფაა. ბავშვებს კი ჯერ არაფერი ესმით, მაგრამ საშინელი საშიშროება ურჩხულსავით ჩასაფრებია მათ.

სხვა ვრცელ მოთხრობაში, „მდგმურებში“, მარტოობის მტანჯველი გრძნობა ტრაგიკული განცდებით უკვე მთავარ გმირს, იონას ავსებს. არავის უცდია იონას სულში ჩახედვა, არც ცოლს, არც შვილს, არც მეზობლებს თუ ნაცნობებს. ძალიან რომ გაუჭირდებოდა, სილოვანს მიაკითხავდა ხოლმე, ყველაზე ახლობლად ისევ ის ეგულებოდა. იმიტომ კი არა, თავად სიმღერის მასწავლებელი იყო იონა და მსახიობთან ურთიერთობა უადვილდებოდა. არა. სწორედაც რომ განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისაგან, მაგრამ გრძნობდა, მსგავსი გამოუთქმელი სატანჯველი ჰქონდათ ორთავეს. აკი ერთხელ გამოუტყდა კიდეც სილოვანი: „სიმარტოვე სასჯელია, რომელიც ბოლომდე უნდა მოვიხადო“. იონა მარტოხელა კაცისაგან კიდეც მოელოდა ასეთ აღსარებას, მაგრამ მაინც გაიკვირვა:

„— კი მაგრამ რა დააშავეთ ასეთი?

— არაფერი, — სილოვანი გაჩუმდა, ცოტა ხნის მერე დაუმატა, — მაგრამ არც არაფერი გამიკეთებია“.

საკუთარ უილბლობაზე მტანჯველ ფიქრებში წასული იონა სასოწარკვეთილი იმასაც კი გაიფიქრებს ხოლმე, „მილიონობით ადამიანი ცხოვრობს ჩემსავით, ყველა ხომ გამოჩენილი არ იქნებაო“, და მართალიც არის ამ დროს, მაგრამ ეს ნუგეშად არ გამოადგება. მხოლოდ დიდი საქმეების კეთება არ არის ადამიანური კმაყოფილების წყარო. თავისი წილი სიხარული

და კმაყოფილება ყველა ადამიანს ეკუთვნის, გამორჩენილსაც და გამოუჩენელსაც, არც სილოვანის მარტოხელობაა მისი სიმარტოვის ერთადერთი მიზეზი, ესეც იცის იონამ. სწორედ თავის შვილსა და ოჯახზე ფიქრობს იგი, როცა გამოუტყდება სილოვანს: „თუმცა მეც მარტო არა ვარ?“

მაშ რაღაშია მიზეზი იონას სიმარტოვისა? იმაში, რომ შინაურებიდან თუ ახლობლებიდან არავის ესმის მისი, არც არავინ ცდილობს გაუგოს, თვითონ კი საკუთარი განცდების აშკარად გამოხატვის, მითუმეტეს გამოთქმის უნარი არ გააჩნია და ამიტომაც ვარდება ხშირად სასაცილო თუ სატირალ მდგომარეობაში. აი თუნდაც იმ ეპიზოდში, როცა სილოვანთან მივა გულის გადასაშლელად და ვერაფრით გააგებინებს რა უნდა, რა აფიქრებს, რა აწუხებს. ამიტომაც შეიქმნება უხერხული და ცოტა კომიკური სიტუაცია. ან კიდევ, თავისი ვაჟის ამხანაგის, მედიკოსადმი გაწეული თანაგრძნობა ისევ თვითონვე გაუხდება თავსატეხი, რაკილა ყველა უბედურება მას დაბრალდება. მსგავს სიტუაციებში ხშირად ვარდება იონა, რადგან ენერგიითა და აქტივობით არ გამოირჩევა, არცა აქვს ამისი უნარი და როცა კი მოინდომებს რაიმე მნიშვნელოვანი მოიმოქმედოს, ხშირად სულ სხვაგვარად შეუტრიალდება ხოლმე საქმე. ახლობლებს კი მისი ჩვეული ინერტულობა მხოლოდ გულცივობის, შინაგანი სიცარიელის გამოხატულებად ეჩვენებათ და არ იციან რარიგ სცდებიან. მხოლოდ მწერლის კეთილი და გულისხმიერი თვალი ამჩნევს იონას გული რა გაუმჟღავნებელი თუ გამოუთქმელი სიყვარულით და ერთგულებით არის სავსე ყველას მიმართ, ვინც კი თავისი ცხოვრების გზაზე შემოხვედრია — ცოლშვილისადმი, ომის გამო, გადმოხვეწილი მდგმურებისადმი, მეზობლებისადმი, თუნდაც უბრალოდ პირველი შემხვედრისადმი.

თავისი მეუღლე ელისაბედი, ვინც ბევრი სულიერი ტანჯვა განაცდევინა იონას, კეთილი გულით უყვარს და მისი სიკვდილის მერეც სათუთად ინახავს მოსაგონარს, მისთვის საყვარელ წიგნს — „თამარიანს“. ოცი წელიწადი იცხოვრა ელისაბედთან ერთად და სიძულვილის მეტი არაფერი უგრძვნია იონას. ავადმყოფ ელისაბედს იონას მიერ წვალებით ნაშოვნი ლუკმა ჰაღიც კი ენანებოდა ქმრისათვის და იმოდენა რისხვა თუ სიძულვილი იგრძნობოდა მის თვალებში, რომ მშიერი იონა უხმოდ, საწყლად გადიოდა ოთახიდან. ელისაბედი სიკვდილის წინაც არ შერიგებია იონას, ასე დაუბარა, „იცოდე, ღამით სიზმარში გამოგეცხადები და მოსვენებას არ მოგცემო“. იონას მთელი „დანაშაული“ მისივ აღსარებიდან ხდება ნათელი: „ამიტომ არ ვუყვარვარ სწორედ არავის, ასეთი უაზრო ლაპარაკი რომ ვიცი. დამაყენეთ, ბატონო, ჩემს თავს ველაპარაკები, თქვენ ხომ არ გაწუხებთ? საწყალი ელისაბედი, — შეეცოდა უცებ ცოლი. — რაზე იკლავ, ქალო, თავს? აგერ ოცი წელია ჩემი ცოლი ხარ, აქამდე ვერ გაიგე, რაც ვარ? მართალია, ზოგჯერ ერთს ვფიქრობ და მეორეს ვამბობ, მაგრამ განა მინდა? რა ვქნა...“.

მართლაც მჭევრმეტყველობით არ გამოირჩევა იონა, მაგრამ ცოტა სხვებმაც უნდა მოინდომონ და არც ისე შეუძლებელი გახდება მისი გაგება. ბევრს უკვირს, როცა იონა ასე თავგამოდებით იღვწის იმისათვის, რომ მისი ერთადერთი ვაჟი ჯარში გაიწვიონ, ელისაბედიც საბოლოოდ ამიტომ შეიძულებს, იონას კი სწორედ მხოლოდ შვილის სიყვარული აკეთებინებს ამას. იგი გრძნობს, რომ შვილი დაეჩაგრება, თუკი ტოლებს გამოაკლდება. ვახტანგი რომ ფიზიკური სისუსტის გამო შინ დარჩენილიყო, მაშინ როცა მისი თანაკლასელები ფრონტზე წავიდნენ, მორალურად დაიჩაგრებოდა, დაილუპებოდა, რადგან კომპლექსი საკუთარი უსუსურობისა ისედაც სტანჯავდა. ეს კარგად ესმის იონას, მაგრამ იონასი კი არავის ესმის. ან კიდევ, როცა იონა ვახტანგის ფრონტზე დაჭრის ამბავს გაიგებს, მისი პირველი განცდა სიხარულია, ალბათ როგორ ბედნიერია, გაიფიქრებს თავის შვილზე, რადგან იცის ეს კიდევ უფრო დააკაცებს მას, საკუთარ თავში რწმენას განუმტკიცებს. ამიტომაც წარმოთქვამს ხმამაღლა — გმადლობ, ღმერთო, რის გამოც მოსულიერებული ცოლი კვლავ დაკარგავს გონებას, მეზობლები კი აღმაცერად დაუწყებენ ცქერას.

იონას ესმის, რომ მისი შვილი არავის და არაფერს არ უნდა გამოაკლდეს, მან თავისი ტოლების ჭირიცა და ლხინიც თანაბრად უნდა გაიზიაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისიც გაირიყება, მარტო დარჩება. იონამ კი კარგად იცის რა მძიმეცაა მარტოობის მტანჯველი გრძნობა. ამიტომაც არაფრად აგდებს სხვების არც დამცინავ ღიმილს, არც გაკვირვებულ მზერას, ამიტომაც მორჩილად იტანს ცოლის სიძულვილს, ოღონდ მისი ვაჟი იყოს კმაყოფილი და ბედნიერი თავისი ცხოვრებით.

„ამ ქვეყანაზე ყველას თავისიანი უყვარს, კაცსაც, ჩიტსაც და თუ გინდა, ლოკოკინასაც. ამ პატარ-პატარა სიყვარულითაა ეს ქვეყანა ბუდესავით მოქსოვილი. მე კი ამ ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყივითა ვარ და ვჭყლოპინებ ჩემთვის“, — აი ეს აწუხებს და სტანჯავს იონას, თუმცა ამის გამო მისი გული ნაკლებ არა თრთის მოყვასისადმი თანაგრძნობით. იონა სავსეა სხვებისადმი სიყვარულით, მაგრამ თავად იგი არავის უყვარს. იონა ყველგან სიკეთეს თესავს, თუმცა თავად ვერ იმკის. იონა ყოვლისმიმტევებელია, საშინელი ცილისწამებაც კი აპატია ქსენიას, რამაც კინაღამ იონაც

დალუპა და მისი შვილიც, მას კი არავინ არაფერი მიუტევა.

კეთილი და საწყალი კაცის ამ საშინელ ტრაგედიას თამაზ ჭილაძე ღრმა ფსიქოლოგიური დაკვირვებით გვიხსნის და რაკი ეს მოთხრობა მარტო ადამიანური თანაგრძნობით კი არა, ჭეშმარიტი მხატვრული მიგნებებითაც არის სავსე, დიდხანს რჩება ჩვენს მეხსიერებაში და გვაღელვებს. სულის შემძრავია მოთხრობის ფინალი, სადაც იონა საბოლოოდ იგრძნობს, რომ მისი სიმარტოვის წამალი ვახტანგი, ვისაც შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე, ვისთვისაც ადრე დაიბერა თავი და ასკეტურ ცხოვრებას ეწია, უცხო ადამიანად დარჩა მისთვის და ამით ერთადერთი, უკანასკნელი იმედიც გადაეწურა.

სხვა ვრცელი მოთხრობა „წეროც" ორგანულად ერწყმის თამაზ ჭილაძის შემოქმედების ამ ერთერთ უმთავრეს პრობლემატიკას. მარტო იმით არა, რომ მშრომელი კაცი, მოხუცი მებადური აბო თუ ღვთის მსახურებაში ხელმოცარული მღვდელი ხმამაღლა ემდურებიან ბედს სიმარტოვის გამო, არც თუნდაც იმით, რომ აშკარად ჩანს მოთხრობის გმირები, ცირა და უჩა, როგორ იტანჯებიან სულიერი ობლობით. მთავარი აქ ისაა, რომ მშვენივრადაა გახსნილი ადამიანის შინაგანი დაუოკებელი სწრაფვა ლაღი და იმედით სავსე ცხოვრებისკენ.

მარტოობის სულისშემხუთველი ატმოსფერო ბუნებრივად ბადებს მისი გარღვევის სურვილს. ეს სურვილი ზოგში უფრო სუსტად იჩენს თავს, ზოგში კი — ძლიერად. იონა („მდგურებიდან") ყველაზე პასიური და ამდენად დაჩაგრული კაცია მათ შორის, ვისზეც ჩვენ გვქონდა საუბარი, მაგრამ ეს სურვილი მასაც კი ულვივის. და ეს მარტო შვილთან დამოკიდებულებაში კი არ ჩანს, არამედ ერთ-ერთ მდგმურთანაც, ახალგაზრდა ქალთან, ევასთანაც. სწორედ ევა ჩაუნერგავს იმ ელემენტარულად სწორ აზრს, რომ მის ასაკში (იონა ორმოცდახუთიოდე წლის კაცია) ცხოვრების დამთავრება არ შეიძლება, რომ ადამიანი, რა მძიმე მდგომარეობაშიც არ უნდა მოხვდეს იგი, მუდამ სიცოცხლის ხალისით უნდა იყოს სავსე და მოქმედების, ბრძოლის უნარი არ უნდა დაკარგოს. იონას ტრაგედიას ისიც ამძაფრებს, რომ მისი შინაგანი უმოქმედობა, პასიურობა ამ უკანასკნელ იმედსაც დააკარგვინებს, რადგან იგი აქაც, ევასთან ურთიერთობაშიც დაიგვიანებს და ხელმოცარული რჩება.

გიგასაც („პოსეიდონის სასახლიდან") მოეძალება ხოლმე ზოგჯერ სურვილი გაარღვიოს საკუთარი ხელით აშენებული სულიერი საპყრობილის კედლები, იგი შურით გასცქერის საკუთარი ბინის ფანჯრებიდან მშფოთვარე ცხოვრებას, იქ ქუჩაში რომ დუღს და გადადუღს. ერთი-ორჯერ კიდეც გაიქცევა და უგზოუკვლოდ დაეხეტება, მაგრამ იგი შინაგანად მაინც ისე შეგუებია და შეთვისებია თავის კომფორტაბელურ საპყრობილეს, რომ ბოლოს მორჩილად თვითონვე უბრუნდება მას. გიგაზე ბევრად თამამი და ძლიერია პატარა მიხა („პარასკევადან"), რომელიც პროტესტის ნიშნად ტოვებს სულისშემხუთველ გარემოს, თუმცა წასასვლელი კი არსად აქვს. მაგრამ მაინც ეს დაუოკებელი სურვილი თავის დაღწევისა, რაც ამ პატარა ბავშვში იგრძნობა, იმედით გვავსებს, რომ მიხა თავის გზას იპოვნის ცხოვრებაში.

დაბოლოს, ადამიანის ამ სულიერი სიმარტოვის, იზოლაციის დაძლევის ფანატიკური სწრაფვის ერთგვარი სიმბოლური გამოხატულებაა მოთხრობა „წერო" და მისი გმირი ქალი ცირა, ეს უცნაური ახალგაზრდა ქალი, ვინც ასე გამოირჩევა ბაზრობაზე მოფუსფუსე ხალხში თავისი წითელი ქოლგით, თეთრი სანდლებითა და კაბით, რაც მთავარია, გამოირჩევა თავისი შინაგანი სიმშვიდით და მეოცნებე თვალებით, ვინც ასეთი სევდითა და ღიმილით ავსებს უჩას მიყრუებულ სახლს, იდუმალად ულიმის თავის ფიქრებს, ნაზად ეალერსება ბუნებას, მერე კი ჩუმად მიიპარება ხოლმე და ანთებული თვალებით გასცქერის პროვინციული აეროდრომის ცხოვრებას, ცაში ფარფატით აფრენილ თვითმფრინავებს. აი, ასეთი ცირა ირგვლივ მყოფ ადამიანებზე „შერეკილის" შთაბეჭდილებას ტოვებს. არავინ იცის, თუ რა ოცნების ცეცხლი გიზგიზებს მის გულში, რა შორეული და უცნობი გზებისაკენ ეზიდება შინაგანი ლტოლვა. მხოლოდ უჩა იგრძნობს, რომ ცირას ეს სწრაფვა რაღაც დიდი საიდუმლოა, რომლის ამოცნობა წარმოუდგენელია. მწერალმა კი კარგად იცის, თუ სულიერი სიმარტოვის თუ გარემო ზღუდეების დაძლევის ჟინში და ჭეშმარიტი ადამიანური განცდებია შეფარული. ამიტომაც უცხადებს ასეთ თანაგრძნობას თამაზ ჭილაძე თავის გმირს, ამიტომაც გვიხატავს ასეთი სიყვარულით ამ მშვენიერი, სხვებისათვის უცნაური, მაგრამ მკითხველისათვის მომხიბლავი ქალის სახეს.

თამაზ ჭილაძის მთელი შემოქმედება, შეიძლება ითქვას, ვარიაციებია მარტოობის თემაზე. ზემოთ განხილული ვრცელი მოთხრობების გარდა, ეს მოტივი თუ თემა ყოველ მის ნაწარმოებში, რა ჟანრისაც არ უნდა იყოს იგი, მეტნაკლები სიძლიერით, მაგრამ მუდამ მნიშვნელოვნად ჟღერს. „და თითქოს სადღაც უცხო სადგურზე ჩამოვედი და სულ მარტო დავრჩი" — ეს სტრიქონები თამაზ ჭილაძის ერთი ადრინდელი უსათაურო ლექსიდანაა („ფიფქებმა ქალაქს უბე აუვსეს...") და ეს განწყობილება დღემდე მოჰყვება მის ლექსს თუ მოთხრობას, პიესას თუ რომანს.

მწერლის პირველსავე მოთხრობებში, იქნება

ეს „გასეირნება პონის ეტლით", „შუადღე", „ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე", „თეთრი კვამლი" თუ ნებისმიერი სხვა რომელიმე, მარტოსულობის სატკივარი თუ არ ავსებს, ყოველ შემთხვევაში ღრმად სჭვალავს ნაწარმოებს და გადაედება მკითხველს. ამითაა დაღდასმული არა მარტო მთავარი გმირის ნიკას ყოფა („გასეირნება პონის ეტლით"), არამედ მისი მეზობლის მაიასიც, ვისაც, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ეპიზოდური პერსონაჟის როლი ეკისრება. სწორედ ეს მარტოსულობის გრძნობა განაპირობებს ერთი ჩუმი, უბირი, კეთილი გოგოს თებროს ტრაგიკული ზიგზაგებით აღსავსე გზასაც და, ვგონებ, მის ბოროტ თანამდევ ძალას ბარაბასაც („შუადღე").

„— მეც მიტოვებული ვარ — ამბობს ფარნა ჩუმად.

— რას ამბობ, შენ მამაცა გყავს და დედაც!

— მაინც მიტოვებული ვარ..."

ამ მტანჯველი გრძნობით იწყებენ ცხოვრებას ბავშვები მოთხრობაში „თეთრი კვამლი" და ეს გრძნობავე თანა სდევთ მის გმირებს ბოლომდე — რეზოსაც, მაიასაც, ანასაც... ძლიერია ამ გრძნობისაგან თავდაღწევის სურვილი, მაგრამ ამაოა ყოველი ცდა, მართალიც და მტყუანიც.

მარტოა ლევანიც ნაცნობ-უცნობებით სავსე ქალაქურ სალონშიც და მარტოა მარიც ზღვისპირს მდგარ სახლშიც, რომლის კარიც ღიაა ღამით ვიღაცის მოლოდინში („ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე"), მაგრამ განა მარტო ესენი იტანჯებიან ამით? ეს გრძნობა ზოგს გაცნობიერებულად, ზოგსაც კი გაუცნობიერებლად, მაგრამ თითქმის ყველას აწვალებს, სტანჯავს ამ ვრცელ მოთხრობაშიც და საერთოდაც თამაზ ჭილაძის შემოქმედებაშიც.

თანამედროვე ცხოვრების ამ დამახასიათებელი ტენდენციის მხატვრული ფიქსირება, თუნდაც გამორჩეულად ნიჭიერად შესრულებული, მაინცდამაინც დიდად საყურადღებო მოვლენად ვერ იქცევა, რადგან მთავარი და ფასეული მაინც მოვლენის მხატვრული ინტერპრეტაციაა და არა ილუსტრირება. მითუმეტეს ეს ითქმის თანამედროვე მწერლობაზე, როცა ფილოსოფიური წვდომა და გააზრება სულ უფრო და უფრო სავალდებულო ხდება მასშტაბური ნაწარმოების შესაქმნელად. თამაზ ჭილაძის პროზა, სხვა სიკეთესთან ერთად, სწორედ სიახლის გამოკვეთილი ნიშნებითაც არის აღბეჭდილი და მწერალი ვერ დარჩებოდა უბრალო, თუნდაც გამორჩეული ილუსტრატორის როლში. იგი მართალია შეფარვით, როგორც ეს ჭეშმარიტ მწერლობას სჩვევია, მაგრამ ამასთანავე ნათლად მიგვანიშნებს იმ მიზეზებზე, რისი შედეგიც ჰგონია ჩვენს თვალწინ რეალურ თუ მხატვრულ სამყაროებში მიმდინარე ცხოვრებისეული სურათები, ადამიანური ურთიერთობები, საზოგადოებრივი საქმიანობა თუ კერძო პირადული, სულაც ინტიმური ყოფა.

ყოველ რეალურ მოვლენას თავისი რომ [illegible]ლება განაპირობებდეს და მწერალს სულაც არ მოეთხოვება მეცნიერული სისრულით და პედანტურობით შეისწავლოს მისი წარმომშობი ყოველი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო მიზეზი. მაგრამ ეპიურ თხზულებაში არც მარტო პრობლემის ემოციური მოტანა უშველის საქმეს, რაგინდ მძაფრადაც არ უნდა მოიმოქმედოს ეს ავტორმა. ადამიანის არამცთუ საზოგადოებრივი ყოფის, თუნდაც ხასიათის რაიმე ნიშნის გახსნაც კი შეუძლებელია მისი სოციალური და ფილოსოფიური საფუძვლების იგნორირებით. მითუმეტეს, როცა მწერალი ძლიერ საზოგადოებრივ სატკივარზე მიგვაქცევინებს ყურადღებას, ზედაპირული ხედვა ვის დააკმაყოფილებს, აქ ძირამდეა საჭირო ჩაყოლა, ფესვებს უნდა გაშიშვლება, რათა ამ სატკივარის გამომწვევი ყველა თუ არა, რამდენიმე ან ერთი არსებითი მიზეზი მაინც იქნას მიკვლეული და გამოაშკარავებული. თამაზ ჭილაძეს მახვილი თვალიც აქვს საიმისოდ, რომ ჩვენი ყოფის მტკივნეული მხარეები დაინახოს და იმისი შინაგანი ძალაც გააჩნია, რომ არამცთუ დაუფარავად გველაპარაკოს მათზე, არამედ აღიმაღლოს კიდეც ხმა და სადაც საჭიროა, განგაშის ზარსაც კი ჩამოჰკრას.

მწერლობა, გარდა ყველაფრისა, საზოგადოებრივი სატკივარის წამალიცაა და იქნებ სწორედაც ამაშია ჩადებული მისი მნიშვნელობის არსი. ყოველ შემთხვევაში თამაზ ჭილაძესთან ეს მისია აშკარად არის გამოკვეთილი, მეტიც პირდაპირ არის გაცხადებული. ერთ ესსეში იგი წერს: „სიმარტოვის ის გრძნობა, ტექნიკის სწრაფი განვითარება რომ წარმოშობს, არც ერთი ქიმიური შენაერთით, არც ერთი ფარმაცევტის მიერ დამზადებული წამლით არ შეიძლება განიკურნოს და თუ საერთოდ მისი განკურნება შესაძლებელია, უპირველეს ყოვლისა, პოეზიას უნდა მივმართოთ".

ყოველი უბედურების სათავე მაინც ადამიანის ზნეობრივი საყრდენების რღვევაშია და ამდენად მისაღებია თამაზ ჭილაძის მიერ შემოთავაზებული მისამართი, როცა სამკურნალოდ პოეზიისაკენ გვისტუმრებს. თუმცა ეს მისამართი არახალია, ძველთაგანვე ცნობილია, მაგრამ განა ყველას ახსოვს იგი, განა ყველა აკისრებს პოეზიას ამგვარ მისიას? თამაზ ჭილაძის შემოქმედება მთლიანად და ყოველი ნაწარმოები ცალცალკე — მოთხრობა, რომანი, პიესა, ლექსი, ესსე — სწორედ ამ დანიშნულებით და სულისკვეთებით არის გაჟღენთილი და, მაშასადამე, დიდი მოქალაქეობრივი ჟღერადობისა გახლავთ.

ადამიანთა სულიერი მარტოობა, რაც გამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოლ თემატურ ხაზად გასდევს თამაზ ჭილაძის შემოქმედებას, ისევ და ისევ ზნეობის დაქვეითებითა და ხშირ შემთხვევაში დაცემით არის განპირობებული. მაშინაც კი, როცა მისი გმირები თუ პერსონაჟები ერთად არიან თავშეყრილნი, არსებითად ისინი გათიშულნი არიან, რადგან სრულიად გულგრილნი არიან სხვათა ბედისადმი, მათ არამცთუ თანაგრძნობის უნარი არ გააჩნიათ, ხშირად ყურთასმენის გადაღლაც არ უნდათ ახლობლის გულისნადების მოსმენით. როგორც წესი, მხოლოდ საკუთარი თავი აინტერესებთ ამ სამყაროში და ისიც მხოლოდ ვიწრო ეგოისტური კუთხით — უკეთ როგორ მოიწყონ ცხოვრება საგნებითა და ნივთებით.

საზოგადოებას მეშჩანური სული მოსძალებია — ფული, ქონება, სიმდიდრე გაუხდია ფეტიშად. თამაზ ჭილაძის ადრინდელ მოთხრობებშიც ჩანდა ეს, მაგრამ ჯერ კიდევ შედარებით მკრთალად. ასე მაგალითად, ქალბატონი ეკა თავის ქალიშვილს მარინეს გაკაპასებული იცავს ნიკასაგან მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი ხელმოკლე მხატვარია („გასეირნება პონის ეტლით"). მაგრამ თანდათან ცხოვრებაშიც და შესაბამისად მწერლობაშიც იმატა სიხარბემ, მისი მასშტაბები და მადა საოცარი სისწრაფით იზრდებოდა. ახლა თითო აგარაკს და თითო მანქანას ბევრი აღარც სჯერდება.

ირაკლის მამას აგარაკი წყნეთშიც აქვს და ზღვაზეც, მანქანა აქაც უყენია და იქაც („აუზი"). ამ აგარაკებში შეყუჟული და ნივთებში ჩაფლული ქალთა საზოგადოება სიგარეტის კეკლუცად წევასთან ერთად გაწიწმატებული დაობს და ვერ გადაუწყვეტია, ქალის ჩექმები ფრანგული ჯობია თუ ინგლისური. დირექტორ დუხუს რომ თვალი და ფიქრი სულ ფულისკენ გაურბის, ეს გასაგებია, რადგან სწორედ ქონების მოსახვეჭად ირჩია საასპარეზოდ რესტორანი, მაგრამ, სამწუხაროდ, კარგი ცხოვრების ეტალონად ყალბი საზომები სხვებსაც ურწმუნიათ. ყველას როდი აქვს საშუალება თავისუფლად მოიწყოს პრესტიჟული სახლ-კარი, მაგრამ წელებზე ფეხს იდგამენ და მაინც აქეთ ესწრაფვიან. ალექსანდრე სისორდია „ხელმოკლე მშენებელთა" რიგს ეკუთვნის, ამიტომაც შეალია წლებიც და ჯანიც მშენებლობას, მაგრამ მაინც ორსართულიანი სახლი მოიწყო, სწორედ ისეთი, მტერსაც და მოყვარესაც რომ თვალს მოსჭრის:

„მეორე სართულზე მხოლოდ ერთი ოთახია, დარბაზივით დიდი. ამ ოთახში არავინ ცხოვრობს, თუმცა ყველაზე გულმოდგინედ სწორედ მას ალაგებენ და უვლიან. დარაბები მუდამ დახურულია, ოთახში სიბნელე და სიმყუდროვე გამეფებულა, დგას პარაფინისა და ნაფტალინის მძაფრი სუნი. ეს სასტუმრო ოთახია, თუმცა ჯერ აქ არც ერთი სტუმარი არ შემოსულა. ოჯახის ძვირფასი ნივთები სწორედ ამ ოთახში აწყვია, ჩეხური წყვილი საწოლი, ტილოჩამოფარებული კედლის სარკე, გრძელი, მსხვილფეხებიანი მაგიდა, ზედ რომ ბროლის უზარმაზარი საფერფლე დევს, სარჩულჩამოცმული ექვსი სკამი, შანდლებიანი პიანინო... კედელზე კიდია დიდი, მრგვალი საათი, რომელიც არ მუშაობს, იმიტომ კი არა, რომ გაფუჭებულია, არამედ დიდხანს რომ გასძლოს. ჭერიდან ჩამოშვებული დიდი ჭაღი ტილოშია გახვეული, გასახსნელად გამზადებულ ძეგლივით".

აი, ასეთია მეშჩანური სულის მოკრძალებული გამოხატულება, სხვებს, ვისაც მეტი საშუალება და ფანტაზიაც აქვს, უკეთესად აქვთ მოწყობილი სახლ-კარი. ასე მაგალითად, ამავ ზღვისპირა ქალაქში მცხოვრებ „ცნობილ მწერალს" ეზოში, სხვა სიკეთესთან ერთად, აუზიც აქვს, თუმცა არავინ სარგებლობს ამით და დიდი ხნის დამდგარ წყალს ჭაობის ფერი და სუნი დასდებია. ამ განსხვავებული ფუფუნებით, თუმცა ერთნაირი მეშჩანური გემოვნებით და სულისკვეთებით აშენებულ-მოწყობილ სახლებს საერთო ისიცა აქვთ, რომ მათ პატრონები ისე იოლად არავის აკარებენ. „ცნობილ მწერალს" პირადი მდივანი თოფიან მცველადაც კი გადაუქცევია, რომ ეზოში ფეხი არავის შეუცდეს. ამგვარ სახლებში არა ცხოვრობენ, ამგვარ სახლებს მხოლოდ ყარაულობენ. ასეთია მათ ბინადართა მორალი და ყოფა. თუმცა თავმომწონედ, მედიდურადაც კი უჭირავთ თავი, სინამდვილეში უბადრუკია და საცოდავი მათი ყოფა, თავადაც გრძნობენ რაღაც ამდაგვარს, დროდადრო გაუელვებთ ხოლმე ეჭვი, მაგრამ მაინც ვერა ხვდებიან, რა ავი ზნეცა სჭირთ.

თამაზ ჭილაძის მოთხრობებისა და რომანების გმირები მეტწილად ქალაქელი ახალგაზრდები არიან. როგორც ჩანს, ამ გარემოს უკეთ იცნობს მწერალი და ის პრობლემებიც, რაც მას აინტერესებს უფრო მეტად ქალაქური ყოფისათვის არის დამახასიათებელი. სოფელს ჯერ კიდევ ისე მკაფიოდ არ დამჩნევია ადამიანთა გათიშულობა, თუმცა ამგვარი ტენდენცია უკვე იქაც შეინიშნება. ახალგაზრდობისადმი კი ესოდენ დიდი, უპირატესი ყურადღება იოლი ასახსნელია, მწერალს და მასთან ერთად ჩვენ ყველას სწორედაც ხვალინდელი დღე გვაინტერესებს, გვაწუხებს კითხვა: საით მივდივართ, რა თაობა ეზრდება მამულს?

მწერალი არც თავს იტყუებს და არც ჩვენ გვიქმნის ფუჭ ილუზიებს. იგი მტკივნეულ, ქვეყნისა და ერისათვის მეტად მნიშვნელოვან, სასიცოცხლო პრობლემებზეა დაფიქრებული და აქ ზერელობა, ვითარების თუნდაც ოდნავ მაინც შეფერადება, ლამაზი სიცრუე უბრალოდ უპატიებელი საქციელია. მწერალი, ვგონებ,

პირიქითაც კი იქცევა, მხატვრული განზოგადების ძალა მის კრიტიციზმს უფრო მძაფრსა ხდის და ერთი შეხედვით თითქოს უნუგეშო განწყობილებას გვიქმნის, მაგრამ სწორედ ამგვარი განგაშის ატეხაა საჭირო იმ სატკივარის გულთან ახლო მისატანად და სამკურნალოდ, რაც მთლიანად საზოგადოებას, თუ კერძოდ ახალგაზრდობას ჭირთ.

ქართული ხასიათისათვის ნიშანდობლივია ევროპული, ახლა კი უკვე მსოფლიო ცივილიზაციის დონისაკენ სწრაფვა. ამან ბევრი სიკეთე მოგვიტანა მეცნიერებაშიც, მწერლობაშიც (თავად თამაზ ჭილაძის შემოქმედებაა ამისი მშვენიერი ნიმუში), ხელოვნებაშიც, ასევე მედიცინის, ტექნიკის და საერთოდ ყველა სფეროში. მაგრამ საზოგადოების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი მსოფლიო ცივილიზაციის ზიარებას უფრო ზედაპირულ წამხედურობაში ხედავს, რადგან ეს გაცილებით იოლად მისაწვდომი გზა და საშუალებაა. ამიტომაც მომრავლდნენ, ჩვენდა სამწუხაროდ, გარეგნული ნიშნებით თვალშისაცემი ახალგაზრდები თავიანთი მოდური (ანუ უცხოური) ტანსაცმლით, ჩვევებით, სურვილებით, რომელთაგან უმთავრესი მაინც ისაა, რომ ფუფუნებაში იცხოვრონ. ოღონდ, ყველა ამგვარი სიკეთე, რასაც ისინი შესტრფიან, სხვისი (ძირითადად მშობლების) ხელით უნდა იყოს მირთმეული. ამ წამხედურობამ დაგვატეხა თავს ისეთი განსაცდელი, რასაც ნარკომანია ჰქვია და რამაც, ჩვენდა საუბედუროდ, მოულოდნელი გავრცელება ჰპოვა ჩვენს ახალგაზრდობაში.

თამაზ ჭილაძის შემოქმედებაში ამგვარი ახალგაზრდობის შთამბეჭდავად შესრულებულ ჯგუფურ და ინდივიდუალურ პორტრეტებს ნახავს მკითხველი, ნახავს მხოლოდ იმისათვის, რომ შეძრწუნდეს ამით და საჭირო დასკვნებიც გამოიტანოს. მწერალი ამ პროცესში, მკითხველის გამოფხიზლებაში, თითქოს არ იღებს აქტიურ მონაწილეობას, იგი ნაკლებად მიმართავს არამცთუ ხმამაღალ ფრაზებს, თუნდაც მკვეთრ ფერებსაც კი სახეების ხატვის დროს, არაფერს განსაკუთრებულს არ გვიამბობს, თითქოს განზრახ რჩება ობიექტურ, მიუკერძოებულ მთხრობელად. მაგრამ აქ აღწერილ ყოველდღიურობაში აშკარად სჭვივის შემაძრწუნებელი ვითარება, რასაც სასწრაფოდ უნდა შველა. ამისაგან განდგომა არ არის საკმარისი (არადა უფრო ასე იქცევიან თამაზ ჭილაძის სიმპატიური გმირები), ამასთან ბრძოლაა საჭირო, ამას წინ აღდგომა უნდა.

მოთხრობა „აუზში“ მშობლებისადმი პროტესტის ნიშნად, მათდამი შიშის გრძნობის დასათრგუნად, უფრო კი ამხანაგებთან თავმოსაწონად ახალგაზრდა არაფრისმაქნისი ირაკლი მამის ახალთახალ „ვოლგას“ გარაჟიდან გამოიყვანს, ბენზინს გადაასხამს და დასწვავს. მართლა პროტესტის ნიშნად ჩადენილი ამგვარი საქციელიც კი საეჭვო ღირსებისა იქნებოდა, მითუფრო მიუღებელია ამ შემთხვევაში, როცა მკითხველი ვგონებ არ შეცდება, და ამას ისევ მშობლებისაგან გაზულუქებული შვილის აღვირახსნილობამდე მისულ მეტიჩრობად, პოზად აღიქვამს. აი, ნამდვილი გმირი კი ამ მოთხრობისა, ბექო, სამუზეუმო ექსპონატებივით ნივთებით გამოტენილ და გამოკეტილ ოთახს კი არ ამტვრევს პროტესტის ნიშნად, არამედ უხმოდ მიდის შინიდან, სადაც აღარ დაედგომება, რადგან სულისშემხუთველი ატმოსფეროა დასადგურებულა. ბექოს თავისუფალი, ადამიანური, უბრალო ცხოვრებით უნდა ცხოვრება, მისგან კი მშობლები ყალბი კერპების თაყვანისცემას მოითხოვენ. ბექოს მშობლიურ ქალაქში უნდა ცხოვრება და შრომა, მშობლები კი მისგან უმაღლესი სასწავლებლის დიპლომის ჩამოტანას ელიან. ბექოს თავისზე უფროსი, შვილიანი ქალი უყვარს და უყვარს იმიტომაც, რომ ზინაში შეურაცხყოფილ და დაჩაგრულ ადამიანს ხედავს, მასში კი ამ გრძნობის ამოძირკვას ცდილობენ. და ბექო მიდის შინიდან, არც არაფერს წვავს, არც არაფერს ამტვრევს, უბრალოდ მიდის. ირაკლი მანქანას კი დაწვავს, მაგრამ მერეც მშვენივრად განაგრძობს მამის კმაყოფაზე ბოჰემურ ცხოვრებას. აქ მამამაც და შვილმაც კარგად იციან ერთმანეთის ფასიც და ხასიათიც, ისიც იციან, რომ მათ ურთიერთობაში, საერთოდ ცხოვრებაში არაფერი შეიცვლება, გარდა იმისა, რომ დამწვარი ვოლგის ნაცვლად გარაჟში ახალი დადგება. ნამდვილი პროტესტანტი ბექოა, ჩუმი და უხმო, მაგრამ მართალი და ძლიერი. ასევე ჩუმად და ვგონებ სხვათათვის შეუმჩნევლადაც გაწირავს თავს ბექო, როცა მისგან ამას შექმნილი ვითარება მოითხოვს. მაგრამ ბექოსნაირ შეუმჩნეველ, თუმცა ჭეშმარიტ გმირებს ძალზე იშვიათად შევხვდებით და გავეცნობით თამაზ ჭილაძის მოთხრობებში, თუნდაც მის ყველაზე ვრცელ ნაწარმოებშიც.

რომანი „აჰა, მიიწურა ზამთარი“ უამრავი ახალგაზრდით არის დასახლებული, მათი სახელების ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს, მაგრამ განსხვავებული გარეგნობის, ხასიათის, პროფესიის თუ სხვა ნიშნების მიუხედავად, ისინი საოცრად ჰგვანან ერთმანეთს. სამწუხაროდ, შინაგანი ინერტულობით და ინდიფერენტულობით ჰგვანან ერთმანეთს. მათ შორისაც არიან თავქარიანები, ცბიერები, თვალთმაქცები, მაგრამ ისინიც კი, ვინც მკითხველის სიმპატიას იმსახურებენ, როგორღაც დაცლილნი არიან შინაგანი ენერგიისაგან. მათ აშკარად არ იციან, რა უნდა აკეთონ ამ ცხოვრებაში. მართალია, ისინი ვერ ეგუებიან თორნიკეს, ამ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ჩამოყალიბებულ კარიერისტს, ვერ ეგუებიან გიორგი

გაზრონიძეს, ნიჭიერ და მხნე მამაკაცს, თეატრის დირექტორს, ვისაც ყველა სამსახიობო წოდება ჰქონდა, თუმცა, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე სხვა არაფერი უქონია გარდა იმისა, რომ ხელს უშლიდა თეატრის კოლექტივს, ვერ ეგუებიან პროვინციელ საქმოსნებს თუ უბრალოდ ვიგინდარებს, რომლებიც ეპიზოდურად გაიელვებენ აქ, მაგრამ თავად რითი უპირისპირდებიან მათ, რა სურთ, საით ისწრაფვიან, ამგვარი კითხვები ხშირად უპასუხოდ რჩება.

რომანის გმირებიცა და ხშირად ეპიზოდური პერსონაჟებიც აშკარად უკმაყოფილონი არიან იმ გარემოთი, რა მელშიც უხდებათ ცხოვრება. ამიტომაც გამუდმებით საითღაც მიუწევთ გული, მაგრამ სად და რატომ, ეს კი აღარ იციან. ნიშანდობლივია ახალგაზრდა მასწავლებლის მამის საუბარი ბიჭთან პროვინციული სადგურის ბაქანზე:

„— თქვი მაინც, სად მიდიხარ?

— არ ვიცი, — თქვა ბიჭმა.

— არ იცი და მიდიხარ?

— წასვლა მინდა, — გაიმეორა ბიჭმა.

— საკვირველია... ღმერთმანი საკვირველია...

თვითონაც ხომ იმიტომ გამოვიდა სადგურზე, რომ სადღაც უნდა წასულიყო. თვითონაც ხომ არ იცოდა, სად, ან რატომ?"

ამგვარი განწყობილების გამომხატველ დიალოგებს თამაზ ჭილაძის სხვა ნაწარმოებებშიც წავაწყდებით, როცა ერთადერთ საშველად, ერთადერთ გამოსავლად გმირებს წასვლა ესახებათ, სულერთია საით და სად, ოღონდ აქ არ დარჩნენ, ვარსკვლავებისაკენაც კი გაურბით თვალი, მაგრამ ამ ილუზიებს ასე უფანტავს ლევანი მამიას: „არავინ არ ცხოვრობს ვარსკვლავებზე... არავინ, მარტო მიწაზეა სიცოცხლე მარტო აქ შეიძლება სუნთქვა" („ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?"). ამას რომ მიხვდება, მერე ერთია დასკვნის გამოტანა: უნდა მოუარო ამას, შენზე და შენისთანებზეა დამოკიდებული როგორი იქნება სიცოცხლე შენს და იქვენს ირგვლივ. ამიტომაც შემოაწვება ლევანს გულზე რაღაც დანაშაულის გრძნობა, მიხვდება, რომ მისი ბრალიც იყო იმაში, რაც მამიას და სხვებს დაემართათ. და რაკი ამას მიხვდება, მაშინვე სხვაგვარადაც იცხოვრებს მომავალში.

რომანში „აჰა, მიიწურა ზამთარი" ამგვარ გამოფხიზლებას ძნელად დავინახავთ. ზაზა მხოლოდ გარე შემთხვევის წყალობით მოკლე ხნით ბოძებულ ძალაუფლებას თუ გამოიყენებს საკუთარი მრწამსის გასამჟღავნებლად და დასამკვიდრებლად, როცა სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდება დამდგმელი რეჟისორის როლში და არად ჩააგდებს ყოვლისშემძლე გიორგი გობრონიძის რჩევის კილოთი ნათქვამ ბრძანებებს. არც ადრე და არც მერე რომანის ამ მთავარ გმირს თითქოს არცა აქვს იმის სურვილი, რომ მიზნის მისაღწევად იბრძოლოს და გაიბრძოლოს. იგი მუდმივ ძიებაშია, მაგრამ ეს ძიება, შეიძლება ითქვას, არ სცილდება სიყვარულის ფარგლებს და აქაც ჩვენი გმირი ყოველთვის იმედგაცრუებული რჩება. განა იმიტომ, რომ აღარავინ არის აქ ისეთი ახალგაზრდა ქალი, ვისი ჭეშმარიტი სიყვარულიც შეიძლებოდეს, უბრალოდ აქ ყველა ერთმანეთისაგან გათიშულია, საკუთარ თავშია ჩაკეტილი, აღარავის ენდობა, რწმენადაკარგულია. ირგვლივ სულიერი სიცარიელე და სიცივე დაბადგურებულა. რომანის ავტორი იმედის სხივს ფინალის სიმბოლიკით გვილევივებს: ყინულის ლოლუები წვეთავენ და ზაზა ამას სასწაულად აღიქვამს — „აჰა, მიიწურა ზამთარი..." თუმცა ზაზას სიხარული შეიძლება ნაადრევი ან სულაც ინფანტილური გამოდგეს. კალენდარული გაზაფხული კი უეჭველად დგება მას შემდეგ, როცა მიიწურება ზამთარი, მაგრამ საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში გაზაფხულის მოყვანა ბევრწილად ჩვენზევეა დამოკიდებული და ეს ბოლომდე უნდა ვირწმუნოთ რომანის გმირებმაც და რომანის მკითხველებმაც.

თამაზ ჭილაძის ლიტერატურული სამყარო ჟანრობრივი მრავალფეროვნების გამო არ არის დანაწევრებული, ერთმანეთისაგან განცალკევებული და გათიშული. თუმცა, თითოეული ჟანრის მეტ-ნაკლები ავტონომიურობა როდი იქნებოდა გასაკვირი. აქ სულაც საპირისპირო მოვლენებთან გვაქვს საქმე, აქ სწორედაც ის გვაკვირვებს, რომ თამაზ ჭილაძის შემოქმედებაში ყველა სათქმელი არამცთუ ერთი მთავარი მიზნისაკენ არის მიმართული, არამედ სათქმელის გამოხატვის მანერით, ფორმისეული ნიშნებითაც კი ნაკლებად ემიჯნებიან, ნაკლებად ეთიშებიან ერთმანეთს ჟანრები — პიესა რომანს, რომანი ესსეს, ესსე მოთხრობას, მოთხრობა ლექსს.

„წავალ, მოვნახავ იმ მარტოსულს, ჩემსავით საწყალს, ჩემი მწუხარე სიმღერების მიმაქვს ნამტვრევი..." („ბრმა მეთარე"). თამაზ ჭილაძის ეს პოეტური სტრიქონები მთელი მისი შემოქმედების ეპიგრაფად გამოდგება. ამ მთავარი სათქმელის და განწყობილების შესახებ, რაც პროზასთან დაკავშირებით ითქვა, იგივე შეიძლება გავიმეოროთ მწერლის დრამატურგიაზეც. თამაზ ჭილაძე უიმედობის გრძნობას არ უნერგავს არც თავის გმირებს და მით უფრო არც თავის მკითხველებს, მაგრამ არც უმსუბუქებს განცდებს. იგი სწორედ ტკივილებზე მიგვაქცევინებს ყურადღებას, რომ ამით ჩვენ სულიერი განწმენდის სურვილი მოგვაძალოს, ჰუმანისტური სულისკვეთება გაგვიმძაფროს, ზნეობრივი სრულყოფილებისაკენ მოგვიწოდოს. ჩვენი, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი და უწყინარი ცხოვრება, ყოველ-

დღიური საქმიანობა და ურთიერთობა, რაც თითქოს არავითარ სამდურავს არ იმსახურებს, სინამდვილეში ათასი ადამიანური წყენის, გულისტკივილის, დრამატული და ტრაგიკული განცდის საბაბი თუ წყარო ხდება შინაურთათვის, ახლობელთათვის, ხშირად უცხოთათვისაც კი. ამას მშვენივრად ამჩნევს მწერლის მახვილი თვალი და ჩვენც გვიჩვენებს დასკვნების გამოსატანად. ამგვარად გაშიშვლებული ცხოვრებისეული ფაქტები და ურთიერთობები, მხატვრული სიტყვის ძალით კიდევ უფრო გამძაფრებული, საუკეთესო წამალია გაუხეშებული სულის მოსალბობად, გაკერპებული გულის გასათბობად, ადამიანური თანაგრძნობის გასაღვივებლად.

უმეტესწილად თამაზ ჭილაძის გმირები თუ პერსონაჟები თითქოს ჩვეულებრივი ბიოგრაფიის, მაგრამ ამასთანავე დამსხვრეული, ყოველ შემთხვევაში აწეწილი, უიღბლო ბედის ადამიანები არიან. ისინი, უკეთეს შემთხვევაში, ეძებენ გამოსავალს მდგომარეობიდან, აწუხებთ ის ყოფა, რომელშიც უხდებათ ცხოვრება, ის სიცივე, რაც მათ ირგვლივ დასადგურებულა, ხშირად კი უბრალოდ ჩაუქნევიათ ყველაფერზე ხელი და ისე მისდევენ დროთა მსვლელობას, როგორც წყალუხვ და მღორე მდინარეს კუნძი თუ მორი. ასეა მის პროზაშიც და ასეა მის დრამატურგიაშიც, რომელიც ფრიად საგულისხმო მოვლენაა არა მარტო მწერლის შემოქმედების ფარგლებში, არამედ მთელ თანამედროვე ქართულ მწერლობაში.

თამაზ ჭილაძის კალამს არაერთი პიესა ეკუთვნის და არცერთ მათგანს არ დაუტოვებია არც მკითხველი და არც თეატრალური საზოგადოება გულგრილად, მაგრამ ყველაზე დიდი წარმატება მაინც ორ მათგანს ხვდა: „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“ და „ბუდე მეცხრე სართულზე“. ეს პიესები ბევრმა თეატრმა მიიღო საკუთარ რეპერტუარში, მაგრამ ყველაზე პრესტიჟული მაინც ის იყო, რომ პირველი დაიდგა რუსთაველის სახელობის თეატრში და თანაც სწორედ იმ დროს, როცა რობერტ სტურუას სპექტაკლების წყალობით თეატრს საქვეყნოდ გაუვარდა სახელი, მეორე კი საუკეთესოდ განხორციელდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე. ამ პიესების წარმატება სავსებით კანონზომიერი იყო, რადგან სწორედ აქა ჩანს ყველაზე უკეთაც და თვალსაჩინოდაც თამაზ ჭილაძე თავისი პრობლემებითაც და თავისი მანერითაც.

განსაკუთრებული არაფერი ხდება არც ერთ და არც მეორე პიესაში. „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“ საკუთრივ თეატრალურ სამყაროს წარმოგვიდგენს თავისი ჩვეულებრივი კულისების ცხოვრებით: რეჟისორის პატარა კულტით, მსახიობების ერთმანეთისადმი პატარა შურით, პატარა ინტრიგებით და ასე შემდეგ, მაგრამ ეს ყველაფერი თითქოს არ სცილდება დასაშვებ ნორმებს და საზღვრებს, და მაინც, სწორედ ეს ერთი შეხედვით ჩვეულებრივი გარემო იქცევა უჰაერო სივრცედ ახალგაზრდა მსახიობისათვის, ანოსათვის, ვისი სუფთა სულიც ჯერ ვერ შეგუებია საზოგადოების ზნეობის „დასაშვები ნორმით“ შერყვნას. ხოლო როცა ანოსთან ერთად ჩვენც ჩავუღრმავდებით ირგვლივ გულსგარე ღიმილით მოფუსფუსე ადამიანებს, უფრო შენიღბულ, ზოგჯერ კი შეუნიღბავ ეგოისტებს, იმათ, ვინც თავაზიანი და კეთილშობილური გამომეტყველებით ერთმანეთს ნებსით თუ ზოგჯერ უნებლიედაც სამარეს უთხრიან, გასაგები და ნათელი ხდება, რომ ზნეობის შერყვნის არავითარი „დასაშვები ნორმა“ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რომ პირველივე სულ უმნიშვნელო კომპრომისიც კი მალე ხდება საბედისწერო. მე თუ მკითხავთ, ამის გამომზეურება, მისთვისაც და სხვებისთვისაც საჩინოდ ქცევა ცხოვრებაში შესრულებული უფრო დიდი და წარმატებული როლია დამწყები მსახიობი გოგონასათვის, ვიდრე ოფელიას როლი სცენაზე, რომელიც ბატონმა უჩამ, რეჟისორმა და დასის კერპმა ასე გულუხვად, თუმცა არც სულ უანგაროდ გაიმეტა ანოსათვის. ანოს, ამ უდანაშაულო მსხვერპლის ხვედრსაც არ მოჰყოლია ის შედეგი, რისი იმედიც უნდა გვქონოდა. პიესის პერსონაჟი — მთქმელი აკი თავიდანვე გამოგვიტყდება: „ანო არა მარტო პრემიერაზე არ გამოცხადდა, საერთოდ სულ დაგვეკარგა, უგზოუკვლოდ გაქრა. ჩვენ კი დანაშაულის მტანჯველი გრძნობა დაგვიტოვა, რომელიც, რასაკვირველია, ყველას ერთნაირად არ აწუხებს, მაგრამ ყველას ერთნაირად სურს ერთხელ და სამუდამოდ მოიშოროს იგი“. აი, ერთსულოვანნი მხოლოდ რაში ყოფილან, რომ როგორმე მალე მოიცილონ ანოს მიერ აფორიაქებული განწყობილება და თავიანთ ჩვეულ ყოფას დაუბრუნდნენ.

„ბუდე მეცხრე სართულზე“ ერთი შეხედვით თითქოს უფრო ვიწრო მასშტაბისა ჩანს, მაგრამ ჩაღრმავებული მკითხველი აქაც აღმოაჩენს ჭველა იმ მწვავე პრობლემას, რაც „მსახიობ გოგონაში“ თუ საერთოდ თამაზ ჭილაძის მთელ შემოქმედებაში ასე ტკივილით არის დანახული, გააზრებული და მსჯავრდადებული. დიახ, მაკას მსგავსად ერთოთახიან (გინდ მრავალოთახიან) ბინებში ბევრი ქალია გამოკეტილი, „მთელი ქალაქი სავსეა ასეთი ბუდეებით“, მარტოდ შთენილთა ბუდეებით. მაგრამ აქაც მარტოობის თემას თავისი საზოგადოებრივი სატკივარი აქვს დაძებნილი. ზოგ მარტოსულს (იქნებ ბევრსაც) იმის უფლებაც კი არა აქვს, რომ საყვარელი ადამიანი დაიტიროს, ძვირფასი ადამიანის კუბოსთანაც კი არ დაუდგამენ სკამს (მაგალითად მაკას) და ეს

მწერლის მიერ ჰიპერბოლიზებული პასაჟი კი არ არის, არამედ ადამიანთა რეალური ურთიერთობებიდან და ქცევიდან გადმოხატული სურათია. მთელი ეს პიესა ორი პერსონაჟის, მაკასა და ბესოს დიალოგებისაგან შედგება, რომლის დროსაც საუბარი თითქოს მხოლოდ მათ ურთიერთობაზეა, მაგრამ ამ კერძო პირთა ბედში საერთო-საზოგადოებრივი საწუხარი მჟღავნდება და ეს ისეთი დაძაბული, შეურიგებელი კამათის სახეს იღებს, რომ მკითხველი თუ მაყურებელი გაუნელებელი ინტერესით ადევნებს თვალს. მაკას დაგუბებულ და ახლადა ამოხეთქილ სიმართლეს ბესო კი უძალიანდება, მაგრამ მისი ოსტატური თვალთმაქცობა ველარა სჭრის და საგნებსაც თავისი სახელი ერქმევათ.

„მაკა: ...მე ვიცნობ ერთ კაცს, რომელზედაც ამბობენ, ღიმილს ღამით ჭიქაში ინახავს პროტეზივით, რათა დილით ისევ გაიკეთოსო. ალბათ, რამდენად მშვენიერია ადამიანი თავისი ნამდვილი სახით. და როცა ასეთ ადამიანს ვხვდებით, არ ვუჯერებთ, გვგონია, ისიც გვატყუებს".

ნამდვილი სახე, ნამდვილი გრძნობა, ნამდვილი ურთიერთობა და დამოკიდებულება... ნაცვლად ამისა ირგვლივ გამეფებული სიყალბე, სიცრუე, ორპირობა... ასეა დაპირისპირებული ჩვენი სურვილები და ჩვენი რეალობა თამაზ ჭილაძის პიესებში, საერთოდ მის შემოქმედებაში. ამისი თუნდაც უკიდურესობამდე გაზვიადების სრული უფლება აქვს მწერალს, რომ მეტად მოახდინოს შთაბეჭდილება მკითხველზე, ღრმად აღელვოს და ჩააფიქროს, აღაშფოთოს და აამხედროს დიდი თუ მცირე უკეთურების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, თამაზ ჭილაძეს, მაინც ისევ და ისევ რეალიზმის ერთგულებით და ადამიანებში კეთილშობილების რწმენის ძალით, თავის პიესებშიც, ისევე როგორც რომანებსა და მოთხრობებში, შემოჰყავს სიკეთით, სათნოებით თუ ვაჟკაცობით გასხივოსნებული გმირები. ამ თვალსაზრისით ანოს გვერდს უმშვენებს ბიძინა „ბუდიდან", ვისი მშვენიერი სახეც და ხასიათიც ასე ნათლად იკვეთება დაუსწრებლად, მაკასა და ბესოს დიალოგში.

რაც დრო გადის, თანდათან სულ უფრო პატარავდება და შინაური ხდება ჩვენი პლანეტა, სულ უფრო უახლოვდება და იჭაჭვება მისი მოსახლეობის, ადამიანების თუ მთლიანად ხალხების ცხოვრება და ბედ-იღბალი, მრავალი საერთო პრობლემა წამოიჭრება მათ წინაშე, სულ უფრო ხელმისაწვდომია ერთმანეთის კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა. ურთიერთგავლენები და ურთიერთზემოქმედებები დღეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა კინოშიც, თეატრშიც, მუსიკაშიც, მწერლობაშიც... (მე შემოქმედებით კონტაქტებს, ჯანსაღ ურთიერთზემოქმედებას ვგულისხმობ და არა მიმბაძველობას, რომელიც ასევე აშკარად მოგვეძალა, მაგრამ ახლა აქ სულაც არ არის მოსატანი). ამგვარმა სიახლემ ჩვენს ცხოვრებაში დიდად შეუწყო ხელი საერთოდ საზოგადოებრივ პროგრესსაც და, კერძოდ, მწერლობის განვითარებას და გამდიდრებასაც. ამაში იგულისხმება პრობლემების მასშტაბურობაც და ფორმისეული მრავალფეროვნებაც.

თამაზ ჭილაძის შემოქმედება ამგვარი სიახლის ერთერთი თვალსაჩინო და საუკეთესო ნიმუშია. მწერლის საფიქრალი მისი ქვეყნის და ერის დღევანდელ ცხოვრებას დასტრიალებს თავს, მაგრამ ერთდროულად, რაკი ურბანიზაციის პრობლემა მთელი თავისი სირთულეებით, მათ შორის ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური პლანის სირთულეებით, მთელი ცივილიზებული მსოფლიოს თავსატეხი გამხდარა, თამაზ ჭილაძის შემოქმედება თავისი სულისკვეთებით სცილდება ეროვნულ ჩარჩოებს და საყოველთაო ინტერესის სფეროშია ჩართული. ასევე უაღრესად თანამედროვეა მისი ნაწარმოებების ფორმაც, როცა თითქოს იგნორირებულია სიუჟეტი მისი ტრადიციულ-კლასიკური გაგებით. თამაზ ჭილაძის პროზაც და დრამატურგიაც თითქოს მოკლებულია კომპოზიციურ მთლიანობას, შეკრულობას და ავტორი მხოლოდ მისი გმირების ნერვიული ფსიქიკით ნაკარნახევი შემთხვევითი მოქმედებების ფიქსირებას ახდენს, ან უფრო ხშირად მათი შინაგანი იმპულსების რკვევას უნდება. მაგრამ სინამდვილეში, ამ მოჩვენებითი ამორფულობის მიღმა, მწერლის ყოველ ნაწარმოებს არა მარტო მყარი სიუჟეტური ქარგა გააჩნია, რომელსაც მხატვრული ლოგიკის ძალით ბეჯითად მივყავართ იდეის (ანუ სათქმელის) სინათლისაკენ, არამედ გააჩნია ზუსტად მიგნებული კომპოზიციაც, რომელსაც მხატვრულ წესრიგში მოჰყავს უამრავი, ერთის შეხედვით დაფანტული ეპიზოდები და დეტალები წარსულისა, მომავლისა, ცხადში თუ სიზმარში განცდილისა, ნაფიქრისა თუ სულაც ჩვენებებში მოლანდებულისა... ამგვარი უსიუჟეტო სიუჟეტიანი, უკომპოზიციო კომპოზიციის სახის რომანები, პიესები, სცენარები და მათი მიხედვით დადგმული სპექტაკლები თუ გადაღებული ფილმები ახლა იშვიათობას აღარ წარმოადგენს, საკმაოდ მიღებულ ფორმად და ხერხად იქცა მწერლობასა და ხელოვნებაში. ზოგს ეს თვითმიზნური მოდა ჰგონია. მაგრამ იქნებ ეს საუკეთესო საშუალებაა აწეწილი ბიოგრაფიებისა და აფორიაქებული სულის ადამიანების ფსიქიკაში ჩასაწვდომად, რაკი ამ შემთხვევაში გამოხატვის ფორმა მიესადაგება მათ სულიერ მდგომარეობას. მე მგონი, სწორედ ასე და ამგვარად უნდა აიხსნას თამაზ ჭილაძის შემოქმედების, კერძოდ მისი პიესების თავისებურებები, მათი სიახლეების კანონზომიერებაც და ღირსებაც.

კიდევ ერთი რამ მაინც აუცილებლად უნდა ითქვას თამაზ ჭილაძის დრამატურგიასთან დაკავშირებით. მწერალმა პიესებს უპირველესად ლიტერატურული ღირებულება დააკისრა. იქნებ ვინმეს გაუკვირდეს დრამატურგის ამგვარი პოზიციის რაღაც განსაკუთრებულ დამსახურებად გამოცხადება, აკი ამ ჟანრის მნიშვნელობა ძველთაგანვე ცნობილი იყო, საგრძნობ უპირატესობასაც კი ანიჭებდნენ სხვა ჟანრებთან, ლირიკასთან და ეპოსთან შედარებით. ჩვენს დროში საქმე ცოტა სხვანაირად წარიმართა. კინოსა და თეატრის ინდუსტრიამ (სხვაგვარად ვერ იტყვი იმ მასშტაბების შემყურე, რაც მათ გააჩნიათ) ნელნელა და დაბეჯითებით გადაიყვანა თავის საარსებო პირველწყარო, ლიტერატურული საფუძველი პოლუფაბრიკატის მდგომარეობაში. ამ უკანასკნელს თავისთავადი ღირებულება არ გააჩნია და იგი მხოლოდ თეატრის ან კინოს გადასამუშავებელ მასალას წარმოადგენს. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია სულ უფრო და უფრო მძლავრობს. ამან გამოიწვია თავისი აქსიომატურობის გამო თითქოსდა უცნაური, მაგრამ მეტისმეტად დროული მოწოდება — „დრამატურგია მწერლობაა“, რისთვისაც მებრძოლ მწერალთა შორის თამაზ ჭილაძე ერთ-ერთი აქტიური ფიგურათაგანია. იგი არა მარტო სხვებს მოუწოდებს აქეთ, არამედ თავისი შემოქმედებით ამტკიცებს ამას. მისი პიესები, უპირველეს ყოვლისა, წასაკითხი ლიტერატურაა, სავსებით დამოუკიდებელი და დასრულებული მხატვრული სამყაროა, მერე კი საუცხოო საფუძველიცაა თეატრისათვის, სადაც რეჟისორიც, მსახიობიც და მხატვარიც აზრის სიღრმესთან ერთად მისი გამოხატვის, სცენიური განსახიერების შეუზღუდველ თანამედროვე ფორმებს მიაგნებს.

თამაზ ჭილაძემ, როგორც ერთხელ უკვე ვთქვით ზემოთ, ლექსებით დაიწყო მწერლის გზა და მის ლირიკას დიდი წარმატებაც ჰქონდა, იმდენად დიდი, რომ ერთბაშად ძალზე მოულოდნელი და მიუღებელიც იყო მისი პროზაში გადანაცვლება. ქართველი კაცისათვის ლექსი დღესაც, პროზისადმი ასეთი საყოველთაო მიკერძოების ეპოქაშიც, მხატვრული შთაგონების უმაღლეს გამოხატულებად რჩება და ამდენად მისი „ღალატი“ მაინც გაუგებარია. თამაზ ჭილაძის მხრივ კი ეს „ღალატი“ ორგვარი სახისა და ორმაგი ხარისხისა იყო. იგი არა მარტო ძალზე იშვიათად წერდა და წერს ლექსს მას მერე, რაც პროზასა და დრამატურგიას მიმართა, არამედ ადრე დაწერილსაც არ ინდობს, სულ უფრო და უფრო მკაცრად არჩევს თავისი კრებულებისათვის. ჩემი ღრმა რწმენით, პოეტის არცერთი ლექსი არ დაიწუნებოდა ისე, რომ მისი ხელახალი გამოქვეყნება ოდნავ მაინც საეჭვო გამხდარიყო, მაგრამ ავტორის ამგვარი „დაუნდობლობის“ წყალობით მკითხველებს მხოლოდ რჩეული და ნამდვილად რჩეული, შეიძლება ითქვას პოეტური მარგალიტები გვრჩება ხელთ.

თანამედროვე ქართული პოეზიის ძალა და მშვენიერება მის მრავალხმიანობაშია. ისე როგორც პოლიფონიურ ქართულ სიმღერაში ყოველი ხმა გუნდსაც ერწყმის და ცალკეც ისმის, აქაც, ყოველი ჭეშმარიტი პოეტური ნიჭი ამ ორთავე განზომილებით განისაზღვრება და ფასდება. თამაზ ჭილაძის პეტური ხმა კიდეც გამოირჩევა, ანუ გამოცალკევებულია დღევანდელ ქართულ პოეზიაში და კიდეც ავსებს მას არა მარტო თავისი განუმეორებელი ტემბრით, ინტონაციით, ფერადოვნებით, არამედ გრძნობითა და განწყობილებითაც. იგი მთელი თავისი პოეტური შთაგონებით ქართულ ხალხურ და კლასიკურ ლექსთანაა დაკავშირებული, მისით არის ნასაზრდოები, მაგრამ, სხვებისაგან განსხვავებით, თამაზ ჭილაძეს ძალზე იშვიათად მოეძებნება ისეთი ლექსი, რომელიც ამ შინაგან, სისხლით ნათესაობას უშუალოდ, პირდაპირ, გარეგნულად ამჟღავნებდეს. შთამბეჭდავია სიცოცხლის ჟინითა და რწმენით სავსე მისი ლექსი „გრემი“:

არც ყოფილა, არც იქნება
ჩემი ციხე ნაციხარი,
ჩემი სახლი ნასახლარი,
ჩემი სული ნაწიხლარი.
არ იქნება ნამიწარი
მიწა პაპის მოცემული,
ქვაზე ყვავის ბროწეული,
ბიბლიიდან მოღწეული...

და მაინც, ალბათ ეს მისი ერთადერთი ლექსია, რომელიც ხალხური ლექსის კილოზეა გაწყობილი.

უსაზღვროა პოეტის სიყვარულიც, ერთგულებაც და ინტერესიც იმ ფესვებისადმი, საიდანაც არის ამოზრდილი, ამონაყარი მისი ერის დღევანდელი თაობაც და საკუთრივ თვითონაც, დღევანდელი ქართული პოეზიაც და საკუთრივ მისი ლექსიც. მაგრამ თამაზ ჭილაძე ამ სიყვარულს, კვლავ განსხვავებით სხვა პოეტებისაგან („სხვების“ სასაყვედუროდ სულაც არ ვამბობ ამას), ძალზე იშვიათად ამჟღავნებს პირდაპირი მისამართით და გაშიშვლებული გრძნობებით ნათქვამ ლექსებში. სულ რამდენიმეს თუ დავითვლით ამგვარ ლექსს: „დავით გარეჯა“, „ყინწვისი“, „დმანისის ქვა“. და ამ იშვიათ ლექსებშიც კი ვერ წავაწყდებით ლაღადისით, პათეტიკით, თუნდაც უბრალოდ ხმამაღლა გაცხადებულ გრძნობას. მათდამი პოეტის დამოკიდებულება უფრო ინტიმურიცაა, სევდიანიცაა, რადგან სხვა თვალით ხედავს მათ, არა აღტაცებულით, ან ატაცებულით (როგორც ანას მიჩვეულნი ვართ მელოდრამატული ლირიკით), არამედ დაფიქრებულით და თანაგრძნობით.

„შენი დაღლილი ღიმილი მაკრთობს,
გაბმული სევდა ამქვეყნიური,
ო, ასე ჩუმად და ასე მარტო
მთებში სხივებზე დნება ყინული“.

(„ყინწვისი“)

„აქ ვინ დაგაგდო,
უდაბნო მზეში
ვინ მიგატოვა დაუმწყემსავი?
მე დავიჩოქე, მთრთოლვარე პეშვით
ხავსი მოვხადე მიწას პრკესავით“.

(„დავით გარეჯა“).

„მე ამ კედელთან ბრმასავით დამსვეს,
წყალი დამიდგეს და მიმატოვეს,
და თუმცა უკვე მომედო ხავსი,
არ მეკარება ძილი სათოფედ“.

(„დმანისის ქვა“).

მსგავსი ხედვით, განწყობილებით, ინტონაციით დაწერილი ლექსი წარსულის ძეგლებზე იშვიათია ქართულ მწერლობაში. ეს, მხოლოდ ვერ ვიტყვი, მაგრამ უფრო თამაზ ჭილაძის ლირიკისათვის არის ნიშანდობლივი და მისი საერთო ხასიათიდან გამოდის. მაჟორული კი არა, უბრალოდ ხალისიანი ჟღერა ძალზე იშვიათად ისმის ამ პოეტური სამყაროდან. განა იმიტომ, რომ არაფერი შეხვედრია მას სიხარულის თუ არა, ხალისის მომგვრელი მაინც. არც იმიტომ, რომ საერთოდ უნუგეშოდ შეჰყურებს ცხოვრებას. ასე რომ იყოს, იგი არ გვეტყოდა: „სული ხომ დარჩა მზეში გაჭრილი“ (დავით გარეჯა“). ან „და გულიც ისევ სიცოცხლეს ზედავს, ამოკემსილი იმედის ნემსით“ („მარტი“), ან „თვალის გახელა, გამოღვიძება მე სასწაული მგონია მუდამ...“ (უსათაურო).

ქალაქური ყოფისა და სულის მესაიდუმლეს, თამაზ ჭილაძეს ადრე თბილისზე დაწერილი ერთერთი ლექსიც კი დღემდე კენტად შემორჩა („თბილისი“), რადგან არ არის მიძღვნითი ჟანრი მისი პოეტური ბუნების შესატყვისი. არც აშკარად დაღდასმული ფილოსოფიური ლირიკის გამოხატულებაა მისი პოეზია, თუმცა არ აკლია მას ამგვარი არც დაფიქრება, არც განსჯა, არც კითხვების დასმა და მასზე პასუხის მოთხოვნა. ერთ უსათაურო ლექსში პოეტი პირდაპირ სვამს ადამიანისათვის ყველაზე მთავარ და მაშასადამე ფილოსოფიურ კითხვას:

„ღმერთო, რა არის ცხოვრება კაცის,
ანდა საიდან პოულობს ძალას...
ნუთუ ჩემივე ხელებით დავწვი
სიცოცხლე, რათა მექცია ალად?
რის განათება მეწადა მაინც?..

ეს კითხვა თავად პოეტის და მისი პოეზიის მისამართითაც ისმის. მაინც რისი განათება სწადია, რაზე მიგვაქცევინებს ყურადღებას, რა აღელვებს ან რა აშფოთებს მას. ამ კითხვებზე პასუხი მხოლოდ მისსავ ლექსებში უნდა ვეძიოთ და ეს ძიება არც ხანგრძლივი იქნება და არც უნაყოფო. თამაზ ჭილაძე გახსნილი პოეტია, მისი ლექსი ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე გვეუბნება პოეტის გულისნადებს, ნათლად მიგვანიშნებს და გვიხსნის მის განცდებს. ზემოთ დასმულ ფილოსოფიურ კითხვასაც აქვს გაცემული პირდაპირი პასუხი ერთ უსათაურო ლექსში:

„როდესაც სული დაიწყებს კივილს,
ენძელასავით ჩუმი და მორცხვი —
აი, ეს არის, ეს ნიშნავს ტკივილს,
თორემ რა არის ტკივილი ხორცის“.

აი ამგვარი სულის ტკივილის „განათებაა“ თამაზ ჭილაძის მთელი პოეზია, და არა მარტო პოეზია. მისი მზერა ადამიანური ბოროტებისაკენ როდია მიმართული. ბოროტება მეტწილად აშკარაა და აქ მხოლოდ ელემენტარული პატიოსნება და დიდი გაბედულებაა საჭირო მასთან საბრძოლველად. ბევრად რთულია ადამიანური თანაგრძნობის გაწევა, რადგან ძნელია შეუმცდარად მიხვედრა იმისა, თუ ვინ ან რომის საჭიროებს ამას და აქ ისეთი მგრძნობიარე პოეტის გულისფეთქვის სმენაა საჭირო, ვისაც რაღაც განსაკუთრებული, ჩვენთვის უცხო სიმებით გადაეცემა სხვისი სულის კივილი, თუნდაც უხმო და გაუმხელელი, აი, მაგალითად იმისი, მატარებლის ფანჯარაში რომ „ანთია ორი, მოწყენილი, უძრავი თვალი...“, ან იმ ქალ-ვაჟისა, ვინც სიყვარულს ვერ მოუძებნა თავიანთ სულებში ბინა და ასე შუა გზაზე დარჩნენ ორთავენი „შუბლმიბჯენილნი გათოშილ მინას...“

„და როგორც ცაცხვით მთვრალი ფუტკარი, ჩაკეტილ ფანჯრებს აწყდება სული“. ამ მშვენიერი, თუმცა ნაღვლიანი მეტაფორით ადამიანის უსაზღვრო და უნუგეშო სევდაა გამოხატული, რაც ისევ და ისევ მარტოსულობის, ადამიანთა საბედისწერო გათიშულობის პრობლემასთან პირისპირ და დაუნდობლად შეგვაჯახებს. ეს მთავარი მოტივი აქაც არ გვაძლევს მოსვენებას, სულსა და გულს გვიფორიაქებს, ჩვენს ადამიანურ ვალს გვახსენებს, ამ ვალის მოხდის წყურვილს გვიღვივებს. ის პოეტური სამყარო, სადაც ქვაფენილზე დაცემული ფოთლის „სუსტი ძარღვების სითბო“ არ არის დავიწყებული, შეიგრძნობა და სხვასაც გადაეცემა, ჭეშმარიტად პოეტური სამყაროა და აქ უეჭველად გაიგონებენ ჩუმად, ჩურჩულით, თუნდაც უხმოდ გამჟღავნებულ ტკივილს, გაიგონებენ და გამოეხმაურებიან.

„ცა მარტის ღრუბლებმა შებოლეს,
ცა მარტის ღრუბლებმა შებოლეს.

ვილაცა იძახის გალმიდან,
ნისლიდან იძახის:
— მებორნე!
— ვინ არის? ვინ არის? ვინ არის?
ჩურჩულებს ტირიფი მტირალი.
რიყეზე აგდია რიყრაყი,
ვით თეთრი პერანგი მდინარის".

ამ პატარა უსათაურო ლექსში რიყრაყის განსაცვიფრებლად მიგნებული პოეტური სახეც კი ვერ გვავიწყებს ნისლიდან მოღწეულ ხმას, რომელიც პასუხს ითხოვს და ამ პასუხშია მისი შველა. სწორედ ამგვარ პასუხს წარმოადგენს თამაზ ჭილაძის პოეზია მკითხველებისათვის, სწორედ ამ სხვათა გადარჩენისათვის, სხვათა საშველად არის იგი შექმნილი. საშველად და გადასარჩენად ათასი გზა და საშუალება არსებობს. თამაზ ჭილაძე ამისათვის თითქოს სულ უბრალო, მაგრამ დღეისათვის ძალზე დეფიციტურ რამეს — თანაგრძნობას მოიხმობს. მისი გული და ლექსი სავსეა ამ გრძნობით, ეს არის მისი პოეზიის მშვენიერების მთავარი წყარო, მთავარი, მაგრამ, ცხადია, არა ერთადერთი.

თამაზ ჭილაძის პოეტური აზრიც და ფრაზაც ნათელია და გამჭვირვალე. ავტორი თავადაც ბოლომდეა გარკვეული საკუთარ გრძნობებში და ჩვენც არ გვირთულებს ამ მხრივ საქმეს, პირიქით, ცდილობს მაქსიმალურად გასაგები და შესაგრძნები გახადოს მკითხველისთვის სათქმელი. ბუნდოვანება მისთვის ორგანულად მიუღებელია, ამიტომაც არც ნებსით და არც უნებლიედ მისი ნასახიც კი არ ჩანს თამაზ ჭილაძის პოეზიაში. და კიდევ, მისი ლექსი, თუ შეიძლება ასე ითქვას, აშკარად ინტელიგენტური ჩამომავლობისაა, აქ ჩვენ ვერ წავაწყდებით ველურად მომსკდარ სტიქიას ან თუნდაც მართალ, მაგრამ აუწონავ, მითუფრო უხეშ სიტყვას. თუმცა თავშეკავებულობა და თავაზიანობა სულაც არა ბორკავს პოეტს არც თავის მშფოთვარე გრძნობების გადმოღვრაში და არც მოვლენების თუ საგნების ზუსტ განსაზღვრაში. უბრალოდ, ეს ყველაფერი დღევანდელი ჭეშმარიტად ღრმა შინაგანი კულტურის მქონე ადამიანის (რაც ასე გვაკლია, სამწუხაროდ, ბევრ ჩვენგანს, მწერლებსაც და სხვებსაც) მიერ არის განცდილი და გამხელილი და ამაში კი მისი შესაძლებლობები, შეიძლება ითქვას, განუსაზღვრელია. პირდაპირ განსაცვიფრებელია ის პოეტური ხილვები, ფრაზები, მეტაფორები, შედარებები, ასე რომ არის გაბნეული მის ლექსებში და თვალსა გვტაცებს, მაგრამ მათი მშვენიერება დამოუკიდებელი მაინც არ არის. ისინი სრულად, მთელი მნიშვნელობით და ხილამაზით მხოლოდ საერთო კონტექსტში იკითხებიან და, ამდენად, ბევრად მეტს ნიშნავენ, ვიდრე ერთი შეხედვით მოგვეჩვენება:

„ზის გონიოში დაღლილი საბა
და საქართველოს უსწორებს სახეს"...

„როგორც ლოდინის წითელი ქოხი,
მოირწეოდა ტრამვაი ბინდში"...

(„სექტემბერი")

„შორს მტკვარი მიდის, როგორც დაღლილი,
ჩაძინებული ცხენზე მხედარი..."

(უსათაურო)

„და როგორც ქვებზე ცხენის ნალები,
ჩვენი ფიქრები ბნელში ბრწყინავდნენ".

(„იანვარი").

ასე რომ მივყვე, მისი ლექსების დიდი ნაწილის გადმოწერა მომიწევს, რადგან საერთოდ არის საოცრად დახვეწილი და მშვენიერი თამაზ ჭილაძის პოეტური მეტყველება. ამიტომ მხოლოდ ამ რამდენიმე ნიმუშს ვიკმარებ მისი სტილის ერთი შტრიხის ნათელსაყოფად და არც ჩემეული ინტერპრეტაციით შევაწუხებ მკითხველს თავს, რადგან ძალდაუტანებლად იკითხება მათი მიმართება ავტორის პოეტურ კონცეფციასთან.

თამაზ ჭილაძის პოეზია დღესაც გამორჩეულია თავისი სიფაქიზით, სინატიფით, ხმადაბალი ინტონაციით, ჭეშმარიტი ლირიზმით, თავის დროზე, 50-იანი წლების დასასრულს და 60-იანის დასაწყისში თითქმის დაუჯერებელიც კი იყო ამგვარი პოეტური სამყაროს არამცთუ არსებობა, უბრალოდ შესაძლებლობაც, იმდენად შეჩვეული იყო თვალიც და ყურიც წლების მანძილზე მოძალებულ პოეტურ პათეტიკას, ზიზილ-პიპილოებს, გულსგარე ნათქვამ სიტყვას. ამიტომაც მოახდინა თავიდანვე თამაზ ჭილაძის (და მისი თაობის პოეტების) ლექსებმა დიდი შთაბეჭდილება. მაგრამ ეს შთაბეჭდილება რომ მხოლოდ ახალი პოეტური სამყაროს ხილვით არ იყო გამოწვეული, რომ ამ სამყაროს უჩვეულობის გარდა სხვა უფრო მყარი მხატვრული ღირებულებები გააჩნდა, ეს წლებმა დაამტკიცა. და როცა ღირებულებათა გადაფასებამ თავისი საქმე გააკეთა, ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ჭეშმარიტად თანამედროვე, მაღალი ზნეობის და მოქალაქეობრიობის მატარებელი შეიძლება იყოს ისეთი ინტიმური და ჩურჩულით ნათქვამი ლექსიც, როგორიცაა თამაზ ჭილაძის თუმცა მცირე, მაგრამ არსით, ძალით და სილამაზით დიდი და მნიშვნელოვანი ლირიკა.

დაბოლოს, მხოლოდ რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა თამაზ ჭილაძის ესსეებზე და წერილებზე, სულ ორიოდ სიტყვა, რადგან ამ მასალამ თუ შეგიტყუა და ჩაგითრია, ასე იოლად ვერ დააღწევ კაცი თავს და სათქმელიც გაგიგრძელდება. ვინაიდან თამაზ ჭილაძე შებოჭილი არ არის ერთი რომელიმე დარგის სპეცი-

ალობით, მისი თვალსაწიერი თავისუფლად ნავარდობს ეროვნულ ისტორიულ სიღრმეებშიც, დღევანდელობიდან თვით ქართული დამწერლობის წარმოშობის ხანამდე და გეოგრაფიულ სივრცეებშიც, უკრაინული კულტურიდან მოლანდიურამდე. თუმცა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს ერთდროულად ლაღი ნავარდიცაა და დინჯი მოგზაურობაც. ესსეისტური სტილი ათავისუფლებს ავტორს არა მარტო ანალიზის აკადემიური სისრულისაგან, არამედ სხვა მეცნიერული საბუთიანობისაგანაც, მაგრამ თამაზ ჭილაძე ბევრად უფრო მომთხოვნელია საკუთარი თავისადმი. მან, შეიძლება ითქვას, ბევრწილად ახლებურად წაიკითხა ქართული მწერლობის ისტორიის უთვალსაჩინოესი ნაწარმოებები, თვით „შუშანიკის წამებაცა“ და „ვეფხისტყაოსანიც“ კი და თუმცა ზოგი რამ შეიძლება მის ნაწერებში ეწინააღმდეგებოდეს სპეციალისტთა მოსაზრებებს, აშკარად სადაოც ჩანდეს, მაინც უაღრესად საინტერესოა მისი დაკვირვებები, მიგნებები, დასკვნები. საინტერესოა, რადგან ღრმა და დაკვირვებული მწერლის, ამას ხაზი მინდა გავუსვა, მწერლის თვალითაა წაკითხული, თითქოს შიგნიდანაა გახსნილი დიდი წინაპრების თუ თანამედროვეების შემოქმედება.

თამაზ ჭილაძის ნებისმიერი ჟანრის ნაწარმოებს თუ კრებულებს დაწაფებული მკითხველი ღრმად საინტერესო და ემოციურ სამყაროს ეზიარება და ეს უკვალოდ არ ჩაივლის, მითუფრო თუკი ჩვენ წინასწარ შემზადებული აღმოვჩნდებით მასში ჩადებული ჰუმანისტური სულისკვეთების გასაზიარებლად. ეს წერილიც თამაზ ჭილაძის პოეტური სტროფებით მინდა დავამთავრო, რომელიც მას საკუთარ წიგნებზე არ უთქვამს, მაგრამ, ვფიქრობ, მათაც კარგად მიესადაგება:

მე მოგცემ ჩემს ხმას, სუნთქვას და
თვალებს,
სხვა არაფერი არა მაქვს მეტი.
მე მოგცემ ჩემს გულს,
თუკი შენს ხელებს
ძალუძთ ატარონ შიშველი ცეცხლი.
მე მოგცემ ჩემს ფიქრს,
თუკი შენს სხეულს
არ დაღლის მძიმე, ვეება ფრთები.
(„წარწერა წიგნზე“).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ნარსიძე

# დავათის ქვა-ჯვარი

1986 წელს, ჟურნალ „მნათობის“ მერვე ნომერში, გამოქვეყნდა ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის რამინ რამიშვილის წერილი „არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში“. ექსპედიციის მიერ მიკვლეული მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სოფელ დავათის ღვთისმშობლის ეკლესიაში აღმოჩენილი ქვა-ჯვარი, რომელზეც სრულად არის გამოსახული ქართული ასომთავრული ანბანი.

ამ უკანასკნელი გარემოების გამო ძეგლის შექმნის თარიღის დადგენა პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს ქართული კულტურის ისტორიის ძირითადი საკითხების მეცნიერული კვლევისათვის.

„ხელოვნება განუყრელად მისდევს საზოგადოებრივი ცხოვრების გონებრივ მოძრაობას და მეტი სისრულით, ვიდრე ქმედების სხვა გამოვლინებები, გამოხატავს მისი ხასიათის ყველა თავისებურებასა და ცხოვრების წვრილმანებს. მონუმენტის აღმართვას, ტაძრის, ამფითეატრის აშენებას, ზოგჯერ, შეუძლია მოგვცეს უფრო განსაზღვრული, უფრო ნათელი წარმოდგენა ხალხის ზნეობრივ განვითარებაზე, მისი იდეების წყობაზე, მის შესაძლებლობებზე, მისწრაფებებზე და შემოქმედებით ძალებზე, ვიდრე მის ომებსა და დაპყრობებს. ამიტომ ხელოვნების ძეგლები, რომელთა შეცვლა, ან გაყალბება ამა თუ იმ მიზნით, გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ლიტერატურული ძეგლების, რჩება იმ დროისა და საზოგადოების ყველაზე სწორ წარმომადგენლად, რომელმაც ისინი შექმნა“.1

ძეგლის დათარიღება და მასზე გამოხატული იკონოგრაფიული კომპოზიციის შინაარსის ამოცნობა შეუძლებელია ცალკეულ ნიშანთა იზოლირებული განხილვით. პრობლემა ყველა მონაცემის დამუშავებას და სათანადო მეცნიერულ ანალიზს ითვალისწინებს.

წინასწარი მონაცემებით, გ. აბრამიშვილმა და ზ. ალექსიძემ ქვა-ჯვრის გამოკვეთის ზედა მიჯნა VI საუკუნით განსაზღვრეს. რ. რამიშვილმა ძეგლის შექმნის საორიენტაციო დროდ V ს. მიიჩნია, ხოლო რ. პატარიძემ — IV საუკუნის 60-იანი წლები“.2

ბაზილიკა, რომლის ბურჯშიც იყო ჩაშენებული სტელა შენობის აგების პროცესში, უკანასკნელი მონაცემებით (რ. რამიშვილი) VI საუკუნის ძეგლად არის მიჩნეული, ამიტომ ქვაჯვრის შექმნის საორიენტაციო თარიღი უფრო ადრეულ ხანაში უნდა ვიგულისხმოთ.

მიუხედავად ამისა, დავათის ეკლესიის აშენების დრო მაინც არ ქმნის მყარ საფუძველს ქვა-ჯვრის დათარიღებისთვის. რომელი საუკუნისაც არ უნდა იყოს ეკლესიის შენობა, მისი აშენების თარიღს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ ქვა-ჯვრის დამოუკიდებელი ფუნქციის მოშლის დროის დასადგენად, რაც საკმაოდ დიდი ალბათობით მიგვანიშნებს ძეგლის გამოკვეთის ზედა ქრონოლოგიურ მიჯნას.

ქვა-ჯვრის შექმნის ზუსტ თარიღს ვერც შესრულების სტილისტურ თავისებურებათა ანალიზით დავადგენთ. ეს მეთოდი არ ითვალისწინებს კანონიკურ იკონოგრაფიულ ნიშანთა ქრონოლოგიურ მნიშვნელობას, რის გამოც ცდომილება, ამ მეთოდით შესწავლილ ძეგლთა დათარიღებაში, რიგ შემთხვევებში, საუკუნეებს შეადგენს.

სტელა, რომელიც თავდაპირველად ეკლესიის შენობისაგან დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენდა, მხოლოდ საკუთარი ნიშნებით თარიღდება. ძეგლზე გამოხატული სურათის შინაარსი აბსოლუტური სიზუსტით განსაზღვრავს მისი შექმნის დროს. ამასთანავე, ცალკეულ იკონოგრაფიულ ელემენტთა შედარება გვაძ-

ლევს საშუალებას, გავარკვიოთ ბაზილიკის აშენების საორიენტაციო თარიღიც.

ერთგვარი კამათი გამოიწვია ქვა-ჯვრისა და მასზე გამოსახული ანბანის თანადროულობამ. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ანბანი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად იკონოგრაფიულ ნიშანს და განმარტავს სტელაზე გამოსახულ სურათს.

მხოლოდ ქვა-ჯვარზე არსებული იკონოგრაფიული სურათის წაკითხვის შედეგად მიღებული ობიექტური მონაცემების კომპლექსური შესწავლისა და შეფასების საფუძველზე შეიძლება გაირკვეს ქართული კულტურის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის შექმნის დრო და შინაარსი.

„ქრისტიანული წარწერები მნიშვნელოვანია იმით, რაც მათში იკითხება და იმით, რაც მათში არ არის. სხვადასხვა ეპოქის წარწერების შედარებით, რომლებიც ხელნაწერებზე ნაკლებად ექვემდებარებოდა შევსებებსა და შესწორებებს, გვეძლევა საშუალება, რომ თვალი ვადევნოთ დოგმატების შედგენას და მორწმუნეთა გრძნობებსა და შეხედულებებში დროთა განმავლობაში მომხდარ ცვლილებებს“.[1]

ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ქვაჯვარზე, გვაძლევს საშუალებას, რომ დავადგინოთ ხატმწერის აღმსარებლობა, ანუ მრწამსი. ე. ი. გავიგოთ, თუ ქრისტიანობაში არსებული რომელი მიმართულების ზემოქმედებით არის შესრულებული სტელაზე წარმოდგენილი სურათები. ხატმწერის მსოფლმხედველობის დადგენა, თავის მხრივ, ხელს შეგვიწყობს, განვსაზღვროთ ძეგლის შექმნის თარიღი.

„სპეციალური ფსიქოლოგიური გამოკვლევის გარეშე ვერასდროს ვერ გავიგებთ, თუ რა კანონები მართავენ გრძნობებს მხატვრულ ნაწარმოებში და არსებობს რისკი, რომ ყოველთვის დავუშვებთ ყველაზე უხეშ შეცდომებს... მხოლოდ სოციალურ ფსიქოლოგიას შეუძლია მისცეს ხელოვნების მკვლევარს სწორი საყრდენი წერტილი და მიმართულება“.[3]

## I

„ხელოვნების ყოველი ნაწარმოები რაიმეს უნდა გამოხატავდეს. ეს, პირველ რიგში, ნიშნავს, რომ მხატვრული ნაწარმოების შინაარსი უნდა იყოს გაცილებით მეტი, ვიდრე ობიექტების მარტივი გამოსახვა“.[4]

შესაბამისად, სტელის წახნაგებზე არსებული სურათები გარკვეულ შინაარსს გადმოგვცემენ, რომლის ამოცნობით ვიგებთ ძეგლის შექმნის დროს. „მაგრამ იმისთვის, რომ მივიდეთ შინაარსის შესწავლამდე... საჭიროა — როგორც აუცილებელი და პირველი პირობა — შესწავლა ენისა, რომელზეც გადმოიცემა ან გადმოიცემოდა ესა თუ ის შინაარსი“.[5]

ხელოვნების უძველეს ნაწარმოებთა ანალიზი გარკვეულ მეთოდოლოგიას ითხოვს, რის შესახებაც ბ. ა. უსპენსკი წერს: „ძველი სურათის ანალიზისას საჭიროა გამშიფრველის მიდგომა... ე. ი. აუცილებელია გაიშიფროს განსაკუთრებული ენა, რომელსაც ფლობდა უძველესი მხატვარი და რომელიც გასაგები იყო მისი თანამედროვე მაყურებლისთვის“.[5]

სახვით ხელოვნებაში გამოყენებული გადმოცემის სისტემა შეიძლება გამოკვლეულ იქნას სხვადასხვა დონეზე — როგორც გამოხატვის ობიექტების (მათი სემანტიკის), ისე გამოხატვის საშუალებათა გათვალისწინებით.

„სურათის ამომწურავი ანალიზი შესაძლებელია მხოლოდ მისი ყველა დონის მოშველიებით“.[5]

დავათის ქვა-ჯვარი ქრისტიანული ხელოვნების ძეგლია, ამიტომ მისი შექმნა კონკრეტული საკულტო დანიშნულებით და რიტუალური შინაარსით იყო განპირობებული. ძეგლზე გამოვლენილია შეხედულება, რომელიც იყო ქრისტიანობაში გარკვეულ საუკუნეებში, რის გამოც უნდა გავითვალისწინოთ რელიგიური დოგმატიკის განვითარების ეტაპები.

„ყოველგვარ საკულტო ხელოვნებას, ბუნებრივია, გააჩნია რელიგიური იდეური მიმართულება. თუმცა საკულტო ხელოვნება რელიგიურია სპეციფიკური, ფუნქციური აზრითაც, რადგან წარმოდგება, ან როგორც თაყვანისცემის ობიექტი (ხატი), ან როგორც საკულტო ქმედებათა რეალიზაციის საშუალება“.[6]

თუ ძეგლის უხილავ წახნაგზე გამოსახული ანთროპომორფული სურათის დანიშნულების შესახებ მსჯელობა მხოლოდ მისი სპეციალური წაკითხვის შემდეგ შეიძლება, იგივეს ვერ ვიტყვით ხილულ წახნაგზე წარმოდგენილ იკონოგრაფიულ კომპოზიციაზე: აქ გამოხატულია „ღვთისმშობელი ყრმით“. ეს სურათი კი წარმოადგენდა ხატს და იყო მორწმუნეთა თაყვანისცემის ობიექტი, იწვევდა რა მათში ლოცვით განწყობილებას.[7]

ქართული ეკლესია, თავისი არსებობის ყველა ეტაპზე, აღმოსავლეთის ეკლესიას ეკუთვნოდა, როგორც გეოგრაფიულად, ასევე იდეური მიმართულებითაც. ეს გარემოება ხატის გამომკვეთს საკმაოდ კონკრეტულ ამოცანას უყენებდა. აღნიშნულის შესახებ ნ. პოკროვსკი წერდა: „აღმოსავლეთის ეკლესიის ხატი, უპირველესად, არის იდეის გამოსახვა. ხატმწერი, პირველ რიგში, ღვთისმეტყველია და მხოლოდ ამის შემდეგაა მხატვარი. ამიტომ ხატების წერისას ხატმწერისათვის სრული თავისუფლების მიცემა ნიშნავდა მისთვის თავისუფალი ღვთისმეტყველების უფლების მიცემას და მის გამოყვანას საეკლესიო მასწავლებლის როლში. თავისთავად გასაგებია, რომ ასეთი როლი არ შეიძლებოდა მიენიჭებინათ არც ერთი ხატმწერი-

სათვის, განვითარების რა საფეხურზეც არ უნდა მდგარიყო ის“.[6]

ეს ვითარება დადებითად არის დადასტურებული თანამედროვე მეცნიერებაში. მ. ვ. ალპატოვის აზრით, „ხატწერა... — ეს, არსებითად, საეკლესიო დოგმატებია, გამოხატული ხილეული სახეებით“.[9] დ. მ. უგრინოვიჩის შეხედულებით — „მართლმადიდებლური საეკლესიო ხელოვნება დოგმატების ილუსტრაციას ახდენდა“.

ხატს, ქრისტიანული ეკლესიის თვალსაზრისით, პირველ რიგში, რელიგიური იდეების პროპაგანდა ევალებოდა. ეკლესიის წარმომადგენელთა მტკიცებით, „ხატი, უპირველესად, ღვთისმეტყველებაა...“, „საეკლესიო ფერწერა არის ქადაგების ელემენტი“, „ეკლესიას არასდროს არ დაუშვია ხატების წერა მხატვრის წარმოდგენის საფუძველზე, რადგან ეს ნიშნავდა შეგნებულ და სრულ გათიშვას პირველსახესთან. მაშინ სახელი, რომელსაც ატარებს ხატი, უკვე აღარ შეესაბამებოდა პირს, რომელიც მასზე იყო გამოხატული...“[10]

მხატვრული თვალსაზრისით ყველაზე შესანიშნავი ხატიც კი რელიგიური კულტის საგანია და ამ პოზიციიდან უდგებოდა მას მხატვარიცა და მრევლიც.[11]

ქრისტიანულ ძეგლებზე გამოსახულ რელიგიურ სცენათა სიუჟეტები ბიბლიიდან, ახალი აღთქმიდან და ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულ პირთა „ცხოვრებებიდან“ მომდინარეობდა და სიმბოლურად გამოხატავდა მორწმუნეთათვის ცნობილ იდეებს.[11] ქრისტიანობაში არსებული ცალკეული მიმდინარეობების ზემოქმედებით შესრულებული თითოეული ეს ნაწარმოები სახვითი საშუალებებით გადმოსცემდა იმ შეხედულებას, რომელიც გააჩნდა ამა თუ იმ მიმდინარეობას მოცემულ ბიბლიურ ეპიზოდზე. ამიტომ ესა თუ ის იკონოგრაფიული სცენა, თვისთავად, ითვალისწინებდა ძველი და ახალი აღთქმის ეგზეგეტიკას. ქრისტიანული ეგზეგეტიკა, თავის მხრივ, დოგმატიკიდან გამომდინარეობდა.

ცალკეულ ქრისტიანულ მიმდინარეობათა დოგმატური შეხედულებების საფუძველს „სარწმუნოების სიმბოლო“ წარმოადგენდა. ეკლესიის თვალსაზრისით სარწმუნოების სიმბოლო იყო ნორმა „საღმრთო წერილის“ განმარტებისთვის.[12]

ქრისტიანული ხელოვნების ისტორია ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის ორგანული ნაწილია, რადგან სწორედ საეკლესიო დოგმატიკა განსაზღვრავდა რელიგიური ხელოვნების მიმართულებას მისი განვითარების ყველა ეტაპზე.

ამ ვითარების გამო ეკლესიამ ხელოვნება მკაცრ კონტროლს დაუქვემდებარა. თანამედროვე მეცნიერებაში დადგენილია, რომ ქრისტიანულ ეკლესიაში არსებობდა ე. წ. „კანონი იკონოგრაფიის შესახებ“, რომელიც ზღუდავდა და ჩარჩოში აქცევდა ხატმწერის ინდივიდუალობას.[13]

ქრისტიანული ხატი, რომელიც რელიგიური დოგმატების პროპაგანდის საშუალებას წარმოადგენდა, კეთდებოდა ეკლესიის ზედამხედველობით და მიზნად ისახავდა მორწმუნეებზე სათანადო ზემოქმედებას. ეს გარემოება გამორიცხავდა მხატვრის მხრივ ყოველგვარი საკუთარი შეხედულების გამოვლინებას.[10] თვით ობიექტების გამოსახვის სისტემაც კი უარყოფდა პიროვნულ თვალსაზრისს.[5]

„იკონოგრაფიული კანონის“ დოკუმენტურ გამოხატულებას წარმოადგენს ე. წ. „ხატწერის დედანი“. მის პირველ ნაწილში მოცემულია ზედაპირის დამუშავების, საღებავთა მომზადების და სხვა წესები. მეორე ნაწილი კი განსაზღვრავდა ხატწერის თემატიკას, თუ სად და როგორ უნდა ყოფილიყვნენ გამოსახულნი ცალკეული „ღვთაებრივი“ არსებები.[8]

„იკონოგრაფიული დედანი“ წარმოადგენდა განსაკუთრებულ სახელმძღვანელოს, რომელიც უწვრილმანეს დეტალებამდე განსაზღვრავდა ყველა იკონოგრაფიულ ფორმას: როგორი წარწერები უნდა იყოს ხატებზე, როგორ უნდა გამოისახოს ესა თუ ის პირი, როგორი ნიშნებით, როგორ გარემოში, როგორ ტანსაცმელში და ა. შ.[8]

ჩვენამდე მოღწეული უძველესი ბერძნული ხატწერის დედანი X საუკუნით თარიღდება. ანალოგიური ქართული დედანი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ა-205 ხელნაწერში, რომელიც XII-XIII ს. ს. განეკუთვნება.

მართალია, რომ ეს „დედნები“ შედარებით გვიანდელ ვითარებას აღგვიწერს, მაგრამ, არსებული მონაცემებით, ეკლესია უკვე III-IV საუკუნეებში აკონტროლებდა მხატვრების შემოქმედებას და გარკვეულ საზღვრებში ეპყრა ის.[8]

IV საუკუნეში ხელოვნებაზე ეკლესიის კონტროლის არსებობას ნათლად გამოხატავს „მართლმადიდებლური ეკლესიის მამად“ წოდებული გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვები: „ტაძრებში გამოსახულებები გამოიყენება იმ მიზნით, რომ მათ, ვინც არ იციან წერა-კითხვა, შესძლონ დანახვა იმისა, რისი წაკითხვაც არ ძალუძთ წიგნებში“.[14]

იგივე თვალსაზრისს გადმოგვცემს ამავე საუკუნის მეორე მოღვაწე ბასილ დიდი.[15]

ქრისტიანული ხელოვნება საქართველოში, როგორც ეს ავთენტურ ისტორიულ წყაროთა ჩვენებით ირკვევა, IV საუკუნის პირველ ნახევარში უკვე ექვემდებარებოდა აღნიშნულ საეკლესიო კონტროლს, რის შესახებაც „ქართლის მოქცევა“ გვამცნობს: „და უბრძანა ხუროთა მოკუეთა ხისა მის. და შექმნეს სახე პატიოსნისა ჯუარისა, ვ ი თ ა რ ც ა ა ს წ ა ვ ა მ თ ა ვ ა ར-

დიაკონმან“ და შემდეგ: „წარვიდეს ხურონი და მოჰკუეთეს ხე იგი ჰაეროვანი, და უბრძანა მეფემან შესაქმედ ჯუარი, ხოლო მღდელნი იგი ასწავებდეს სახესა მას ჯურისასა, და რაჟამს შექმნეს ჯუარი იგი, მოვიდეს და უთხრეს მირეან მეფესა ხუროთა მათ ვითარმედ: შევქმენით ჩუენ ჯუარი იგი, ვითარცა მღდელთა მათ გუასწავეს“.16

ეს კანონი, ეკლესიის თვალსაზრისით, ქრისტიანულ ხელოვნებაში მნიშვნელოვან პრაქტიკულ ამოცანებს წყვეტდა. მისი მიზანი იყო „ღვთაებრივი არსებების“ დოგმატური სისტემის შექმნა, რომ ამით მოეხდინათ მორწმუნეებში რელიგიურ სახეთა სტერეოტიპის გამომუშავება. ხატებსა და ფრესკებზე ცალკეულ პირთა გამოსახულებების იდენტიფიცირებით ეკლესია ბავშვობიდან ასწავლიდა მორწმუნეებს თითოეული მათგანის სახეზე ცნობას.

ხატწერის მიმართ მართლმადიდებლური ეკლესიის დამოკიდებულება, საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ნიკეის VII მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (787 წ.) მიღებულ დოგმატში, რომელიც ხატების თაყვანისცემას ეხებოდა.17 მაგრამ ეს საკითხი არც მანამდე დარჩენილა ეკლესიის ყურადღების მიღმა, რასაც განგრის საეკლესიო კრების (840 წ.) მეშვიდე წესი და კართაგენის საეკლესიო კრების (419 წ.). 94-ე წესი ადასტურებენ.17

როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანულ იკონოგრაფიას საეკლესიო დოგმატების ილუსტრაცია ევალებოდა, ამიტომ ხატებზეც თანადროული დოგმატების ფორმულირება იყო მოცემული. თითოეულ დოგმატს შესატყვისი სიმბოლო გამოხატავდა, რაც იკონოგრაფიული „ენის“ ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. „რელიგიურ სიმბოლოთა ენა ექვემდებარე მკაცრად განსაზღვრულ მიზანს: გამოიწვიოს მორწმუნეებში კონკრეტული, ღვთისმსახურების მხოლოდ ამა თუ იმ ტიპისათვის დამახასიათებელი გრძნობები და განწყობილებანი“.11

მართლმადიდებლურ ეკლესიას, თავისი არსებობის არც ერთ ეტაპზე, არ შეუნელებია ბრძოლა ნებისმიერ გადახრასთან, რომელიც საეკლესიო დოგმატიკას ეხებოდა. ეს გარემოება ნათლად არის ასახული ისტორიულ წყაროებში და საეკლესიო კრებების დადგენილებებში. ამიტომ დავათის მართლმადიდებლურ ეკლესიაში აღმოჩენილ ქვა-ჯვარზე ამოკვეთილ ბარელიეფებზე ცალკეულ იკონოგრაფიულ ნიშანთა არსებობის, ან არსებობის მიზეზია არა შემთხვევითობა, არამედ იმ სასულიერო პირის მკაცრად განსაზღვრული დოგმატური ორიენტაცია, ვისი ზედამხედველობითაც აღიმართა აღნიშნული ძეგლი.

როდესაც იკონოგრაფიაზე ვმსჯელობთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ არსებულ ქრისტიანულ მიმდინარეობათაგან მხოლოდ მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიების დოგმატიკა თვლის ხატებს ტაძრების აუცილებელ კუთვნილებად და თაყვანისცემის ობიექტად.18 ამ ვითარების გამო აღმოსავლეთის ეკლესიის ხატი განიხილება როგორც წმინდა მართლმადიდებლური მოვლენა.

არსებულ გარემოებათა გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომში ვიხელმძღვანელე მართლმადიდებლური ეკლესიის დოგმატიკით. ამ კანონიკური შეხედულებებიდან ყოველგვარ გადახრას ქრონოლოგიური მნიშვნელობა გააჩნია, რასაც შეუცდომლად მივყავართ იმ ეპოქასთან, როდესაც ეს დოგმები ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული.

## II

თითოეული სიმბოლური იკონოგრაფიული ნიშანი, გამოხატავდა რა ქრისტიანულ დოგმას, იძენს ქრონოლოგიურ მნიშვნელობას და ქმნის მყარ საფუძველს, რომლის საშუალებითაც შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ადრექრისტიანული ხატის შექმნის საორიენტაციო დრო და ხატმწერის აღმსარებლობა.

ამ მხრივ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ე. წ. „ღვთაებრივი შარავანდედი“ ანუ ნიმბი. ეს სიმბოლო, რომელიც „ღვთაებრივი შუქის“ იკონოგრაფიულ გამოხატულებას წარმოადგენდა, გადმოსცემდა საეკლესიო დოგმას ამა თუ იმ პირის ზებუნებრიობის შესახებ.19

სტელაზე მარიამი წარმოდგენილია შარავანდედის გარეშე. მთავარანგელოზები გამოსახული არიან ნიმბებით, ხოლო ყრმა იესოს აქვს ჯვრიანი ნიმბი. აღსანიშნავია ის გარემობაც, რომ დავათში აღმოჩენილ მეორე სტელაზეც, რომელიც ძლიერ დაზიანებულია, ღვთისმშობელი ასევე ნიმბის გარეშეა გამოსახული, ხოლო ყრმა ქრისტე ჯვრით გაყოფილი ნიმბით.

ქრისტიანული ხელოვნების უძველეს ძეგლებზე ნიმბი არ გვხვდება IV საუკუნემდე. ეს სიმბოლო ჩნდება მხოლოდ IV საუკუნის მეორე მეოთხედიდან. ამ პერიოდის გამოსახულებებში შარავანდედით შემოსაზღვრულია მხოლოდ ქრისტეს თავი. ამავე საუკუნის შუა წლებიდან ნიმბებით გამოიხატებიან ანგელოზები, ხოლო V საუკუნიდან — ღვთისმშობელი.20

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ შარავანდედით გადმოცემული დოგმატი (ცალკეული პიროვნებების „ღვთაებრივი ბუნების“ შესახებ) გარკვეულ საეკლესიო კრებებზე იყო მიღებული, შეიძლება ზუსტად განისაზღვროს წელი, რომლის შემდეგაც გახდა ეს იკონოგრა-

ფიული ნიშანი ამა თუ იმ პირის გამოსახულების განუყოფელი ატრიბუტი.

ამ სიმბოლოს შემოღება უკავშირდება IV-V საუკუნეების ეკლესიაში მიმდინარე ქრისტოლოგიურ კამათს.

ქრისტოლოგიური კამათი, ანუ კამათი ქრისტეს ბუნების შესახებ, დაიწყო ალექსანდრიელმა მღვდელმა არიოზმა. აღნიშნული თვალსაზრისი IV საუკუნის 20-იანი წლებისთვის ჩამოყალიბდა და ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრების (325 წ.) განხილვის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენდა. კრებამ, უარყო რა არიანული მწვალებლობა, მიიღო სარწმუნოების სიმბოლო (მრწამსი), რომელშიც, არიოზის შეხედულების საწინააღმდეგოდ, შეტანილი იყო სიტყვები: „შობილი და არა ქმნილი, თანაარსი მამისა“.

სწორედ ნიკეის კრების ამ დოგმატს გამოხატავს ნიმბი ქრისტეს თავის გარშემო, რომელიც ხატწერაში ახ. წ. 325 წლის შემდეგ ანუ IV საუკუნის მეორე მეოთხედიდან გვხვდება.

მართლმადიდებლური სიმბოლოს საწინააღმდეგოდ არიანელებს საკუთარი იკონოგრაფიული ნიშანი არ შემოუღიათ, რადგან არიანელები, საერთოდ, უარყოფდნენ ხატწერას და იბრძოდნენ ანთროპომორფული გამოსახულებების წინააღმდეგ.[21]

მეოთხე საუკუნის შუა წლებიდან ნიმბებით გამოიხატებიან ანგელოზები. მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიიდან არ ჩანს, თუ რა დოგმატს გამოხატავდა ეს შეხედულება, მაგრამ ამ დროს ანგელოზთა თაყვანისცემას ისეთი მასშტაბისთვის მიუღწევია, რომ ლაოდიკეის 362 წ. საეკლესიო კრება იძულებული გახდა განსაკუთრებული სანქციები მიეღო ანგელოზთა თაყვანისმცემლების წინააღმდეგ. ამ კრების 35-ე წესი ანათემას უცხადებდა ყველა იმ პირს, ვინც ანგელოზებს ღმერთად თვლიდა და განასხვავებდა ანგელოზთა ბუნებას „ღვთაებრივი“ ბუნებისაგან.[17]

ამ დოგმის გამოსახატავად ქრისტეს ნიმბზე გაჩნდა ჯვარი (ან მონოგრამა). ეს დამატებითი სიმბოლო გადმოცემდა საეკლესიო შეხედულებას იესოს განსაკუთრებული, ღვთაებრივი ბუნების შესახებ.

შარავანდედი ღვთისმშობლის ხატზე, აუცილებელ ნიშნად, მხოლოდ V საუკუნიდან ჩნდება. ეს გარემოებაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ საუკუნეში ჩატარებულ III და IV მსოფლიო საეკლესიო კრებებთან.

მესამე საეკლესიო კრებამ, რომელიც 431 წ. შედგა ქ. ეფესოში, უარყო კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოს ნესტორის შეხედულება ღვთისმშობლის ბუნების შესახებ. ნესტორის აზრით, მარიამს, როგორც ადამიანს, არ შეეძლო „ღმრთის შობა“, რის გამოც მარიამი უნდა წოდებულიყო არა „ღვთისმშობლად“ („თეოტოკოს“), არამედ „ადამიანისმშობლად“ („ანთროპოტოკოს“), ან „ქრისტესმშობლად“ („ქრისტოტოკოს“).

ეროვნული

ეფესოს კრებამ მიიჩნია მარიამი „ღვთისმშობლად“, ხოლო ნესტორიანელობა მწვალებლობად გამოაცხადა და მოკვეთა „მსოფლიო ეკლესიიდან“.

ნესტორიანული კამათის შემდეგ მარიამის გამოსახვა ახალ საეკლესიო შეხედულებას დაექვემდებარა, რაც შესატყვისი სიმბოლიზმით განხორციელდა.[22]

ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრებამ (451 წ.) მიიღო დიოფიზიტური ფორმულა ქრისტეს ორბუნებოვნების შესახებ, რომელმაც სათანადო ასახვა ჰპოვა იკონოგრაფიაში.[6]

ახ. წ. 451 წლის შემდეგ მართლმადიდებლურ ხატზე არსებული ღვთისმშობლის ნიმბი გამოხატავდა დოგმატურ შეხედულებას არა მარტო მარიამის ბუნების შესახებ, არამედ ქალკედონის დიოფიზიტურ კრედოსაც. მართლმადიდებლური ეკლესიის ამგვარი დამოკიდებულება ცხადად ჩანს იოანე დამასკელის სიტყვებში: „პატივი, რომელიც მიეგება ღვთისმშობელს, გადადის მასზე, ვინც ჩაესახა“.[15]

ქალკედონის კრების შემდეგ ნიმბი გახდა ღვთისმშობლის ხატის აუცილებელი ატრიბუტი.

ნიმბებით გადმოცემულ დოგმატთა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა გვაძლევს საშუალებას, რომ დავადგინოთ დავათის ქვა-ჯვრების შექმნის საორიენტაციო დრო.

სტელებზე ღვთისმშობლის უნიმბოდ გამოსახვის მიზეზი, რა თქმა უნდა, ხატმწერის „უცოდინარობით“ არ აიხსნება. ასეთ შემთხვევაში არც სხვა ნიმბები იქნებოდა და არც ქრისტეს ნიმბის დიფერენციაცია და ხატი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თავის ფუნქციას ვერ შეასრულებდა. შესაბამისად, დავათის სტელები შექმნილია იმ დროს, როდესაც ქრისტიანული იკონოგრაფია ღვთისმშობელს უნიმბოდ გამოსახავდა.

ვარაუდი, რომ ქვა-ჯვრები შექმნილია ქრისტიანობაში არსებული ისეთი მიმდინარეობის მიერ, რომლებიც არ იზიარებდნენ ღვთისმშობელთან დაკავშირებულ მართლმადიდებლურ თვალსაზრისს, გამორიცხულია ნესტორიანული და მონოფიზიტური დოგმატიკის დამოკიდებულებით იკონოგრაფიასთან.

ჯვრით გაყოფილი ქრისტეს ნიმბი და „ღვთაებრივი შარავანდედის“ გარეშე გამოსახული ღვთისმშობელი განსაზღვრავენ ბარელიეფების შექმნის ზედა და ქვედა ქრონოლოგიურ მიჯნას: ქვა-ჯვრები შექმნილია არაუადრეს ახ. წ. 362 წლისა (ანუ ლაოდიკეის საეკლესიო კრებისა) და არაუგვიანეს ახ. წ. 451 წ.

ქრისტიანული ხელოვნების ძეგლების იკონოგრაფიული ნიშნებით დათარიღების სისტემა

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში იყო შემოღებული და იკონოგრაფიული მეთოდის სახელით არის ცნობილი. სადღეისოდ იკონოგრაფიული მეთოდი ითვლება ყველაზე ზუსტად ადრექრისტიანული ძეგლების დათარიღებაში. სხვათა შორის, რომის წმ. აგნიის კატაკომბების ფრესკა — „ღვთისმშობელი ყრმით“ — სწორედ ნიმბების არარსებობის გამო არის IV ს. დასაწყისით დათარიღებული.[1]

უძველეს ძეგლთა იკონოგრაფიული შესწავლის პროცესში აუცილებელია ზოგიერთი გარემოს გათვალისწინება, რომ თავი დავიზღვიოთ ქრონოლოგიური ხასიათის შეცდომებისაგან:

1. რელიგიურ ხელოვნებაში ფერს გააჩნდა განსაკუთრებული სიმბოლური მნიშვნელობა, რის გამოც უძველესი ბარელიეფები ილებებოდნენ საეკლესიო კანონის შესაბამისად (კათოლიკური ეკლესიის ქანდაკებების ანალოგიურად).[23] ამიტომ ხატმწერი, რიგ შემთხვევაში, რელიეფს ნიმბებისთვის არ ამუშავებდა და ბარელიეფის გამოკვეთის შემდეგ საღებავით ხატავდა ამ სიმბოლოს. ასეთ ძეგლებზე, დოგმატური თვალსაზრისის გამო, არც ერთ გამოსახულ პირს არ უკეთდებოდა რელიეფური ნიმბი, მაგრამ კომპოზიციაში რჩებოდა ადგილი შარავანდედის საღებავით დასახატავად (მაგ., უსანეთი, ოშკი).

2. ყველა ხატი, რომელსაც ფუნქცია არ ჰქონდა დაკარგული და, სადაც შესაძლებელი იყო, დროთა განმავლობაში, ახალი დოგმატების ჩამოყალიბებასთან ერთად, განიცდიდა სხვადასხვა სახის შესწორებებსა და დამატებებს. ამგვარი გვიანდელი „დამატების“ კვალი კარგად ჩანს საკვლევ სტელაზე (იხ. ქვემოთ).

აქვე უნდა შევჩერდე წებელდის კანკელზე, რომელიც VI (VII საუკუნის დასაწყისი) ძეგლად არის მიჩნეული.[24] ეს ბარელიეფი იმ გარემოებით იპყრობს ყურადღებას, რომ გამოსახულ სიუჟეტებში არც ერთ პირს (ქრისტეს ჩათვლით) არა აქვს შარავანდედი და ტექნიკური შესრულებაც ისეთია, რომ ადგილი არ არის დატოვებული ნიმბების საღებავით დასახატავად.

დ. ვ. აინალოვი, რომელმაც შეისწავლა ეს ძეგლი და VII ს. დასაწყისით დაათარიღა, როგორც ჩანს, ეურდნობოდა ჯვარცმის გამოსახულებას.

ეკლესია, უძველესი ტრადიციის თანახმად, რომელიც „არკანული დისციპლინიდან“ ილებდა სათავეს, VI საუკუნის დასასრულამდე არ გამოსახავდა ჯვარცმულ ქრისტეს და ეს გარემოება დადასტურებულია. მაგრამ აღნიშნული კომპოზიციის ანალიზისას დ. აინალოვს მოუვიდა აზრობრივი შეცდომა, რომელმაც, საბოლოოდ, ქრონოლოგიურ შეცდომამდე მიიყვანა მკვლევარი.

წებელდის კანკელზე გამოსახულია თავდაღმა ჯვარცმული. ამ გარემოების გამო ჯვარცმული პიროვნება ქრისტე არ არის: საეკლესიო შეხედულების მიხედვით, თავდაღმა ჯვარცმულში იგულისხმება პეტრე მოციქული, რომელიც ამგვარად იყო დასჯილი იმპერატორ ნერონის დროს.

ეს ვითარება ძირეულად ცვლიდა ეკლესიის დამოკიდებულებას გამოსახული სიუჟეტის მიმართ, რადგან მხოლოდ ქრისტიანული რელიგიის მიმდევარს შეეძლო სცოდნოდა ამ სცენის სიმბოლური მნიშვნელობა. თავისთავად გასაგებია, რომ საეკლესიო „საიდუმლოს“ დაფარვის წესი ამ სიუჟეტზე არ ვრცელდებოდა, რის გამოც ანალოგიური გამოსახულებები უძველესი პერიოდიდან გვხვდება.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წებელდის კანკელის გამომკვეთისთვის უცნობია ნიმბების სიმბოლიკა, ეს ძეგლი თარიღდება ნიკეის კრებაზე ადრეული წლებით, სავარაუდოდ — IV საუკუნის დასაწყისით.

დავუბრუნდეთ დავათის სტელებს.

ორივე სტელაზე გამოსახული მარიამი იმ გარემოებითაც იპყრობს ყურადღებას, რომ ის წარმოდგენილია ფეხზე მდგომი.

გვიანდელ ხატწერაში საყოველთაოდ მიღებული, ტახტზე მჯდომი, შარავანდედითა და დიდებით მოსილი ღვთისმშობლის სახე, რომელიც ხელოვნებათმცოდნეობაში ე. წ. „ღვთისმშობლის ბიზანტიური ტიპის“ სახელით არის ცნობილი, მხოლოდ V ს. ჩამოყალიბდა და, საბოლოოდ, VI ს. დასაწყისიდან გავრცელდა.[8]

თვით მარიამის გამოხატვაშიც ორი მთავარი პერიოდი განირჩევა: პირველი — IV-V ს-მდე და მეორე — ბიზანტიური (VI საუკუნიდან).[8]

რადგან ღვთისმშობლის თავდაპირველი გამოსახულება იყო ე. წ. „ორანტა“ — ფეხზე მდგომი მარიამი ჩვილისა და ნიმბის გარეშე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დავათის სტელებზე გამოსახული მარიამის სახე წარმოადგენს ერთგვარ გარდამავალ საფეხურს უძველესსა და მოგვიანებით ხატებს შორის. ამასთანავე, ეს ბარელიეფები სტილისტურ მსგავსებას ამჟღავნებენ ე. წ. „მცირეაზიულ სარკოფაგებთან“, რომლებიც IV-V სს თარიღდება, რაც, აგრეთვე, ქვა-ჯვრების დიდ სიძველეზე მიანიშნებს.[7]

ქრონოლოგიური თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა გააჩნია გამოსახულ ჩვილს და წიგნს, რომელიც ყრმა იესოს უჭირავს.

ქრისტეს მკერდამდე გამოხატვა უძველესია აღმოსავლეთის იკონოგრაფიაში და ქრისტიანობის პირველ საუკუნეებს განეკუთვნება.[25]

პერგამენტის გრაგნილი. ქრისტეს მოძღვრების სიმბოლოს წარმოადგენდა.[26] IV საუკუნიდან, სიმბოლიზმის გართულებასთან ერთად,

ხატებზე უპირატესად წიგნს გამოსახავდნენ.[27]

ეს უკანასკნელი გარემოებაც სტელების შექმნის უადრეს მიჯნას IV საუკუნით განსაზღვრავს.

## III

ქვა-ჯვრის დათარიღებისთვის საჭირო უმთავრესი ინფორმაცია მოცემულია წახნაგზე, რომელზეც ქართული ანბანია წარწერილი.

არსებული სურათი დაწვრილებით ანალიზს მოითხოვს.

პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს წარწერა მიქაელ მთავარანგელოზის გამოსახულებასთან (ანალოგიური წარწერა გაბრიელთან დაზიანებულია). აქ მოცემულია ქარაგმა „მ-ლ"— მ(იქაე)ლ, ყოველგვარი ეპითეტის გარეშე.

ხატზე მთავარანგელოზს არ აქვს მიცემული ეკლესიის თვალსაზრისით ისეთი მნიშვნელოვანი წოდება, როგორიც არის „წმინდა". მაგ., მცხეთის ჯვრის VI-VII საუკუნეების ბარელიეფზე გაბრიელი უკვე ამ ეპითეტითაა წარმოდგენილი.

ცნობილია, რომ V საუკუნემდე ეკლესია გაურბოდა სიტყვა „წმინდანის" ხმარებას. ამ პერიოდის ხატებზე მხოლოდ გამოსახულ პირთა სახელებია წარწერილი. ანგელოზების მიმართ ტერმინი „წმინდა" კანონიზებულია კართაგენის 419 წ. კრების შემდეგ, ღვთისმშობლის მიმართ — ეფესოს 431 წ. კრების შემდეგ, ხოლო სხვა პირთა მიმართ — 451 წ. შემდეგ.[28]

მთავარანგელოზის სახელთან სიტყვა „წმინდას" არსებობა მიუთითებს იმ კონკრეტულ ისტორიულ პერიოდს, როდესაც ეს ტერმინი ჯერ კიდევ არ იყო ხმარებაში. ეს ვითარება კიდევ უფრო აზუსტებს ქვა-ჯვრის შექმნის დროს.

არსებული მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ დავათის ქვაჯვარი შექმნილია ახ. წ. 362-419 წლებს შორის.

ქრონოლოგიური მნიშვნელობა აქვთ ანგელოზის ფრთებსაც. საკვლევ ძეგლზე ფრთები მიმაგრებულია ანგელოზთა წელის დონეზე, რითაც ამ ელემენტს უფრო სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე კანონიკური.

IV საუკუნის დასასრულისთვის უკვე ჩამოყალიბებული იყო ანგელოზების კანონიკური ტიპი,[1] ამიტომ არსებული გადახრა კანინიკური ნორმიდან კიდევ უფრო ზღუდავს დავათის სტელების შექმნის საორიენტაციო დროს IV საუკუნის მეორე ნახევრით. ამავე პერიოდის ძეგლს უნდა წარმოადგენდეს სტილისტურად ანალოგიური ჟალეთის სანათლავი ქვაც.

ახლა გადავიდეთ იმ შინაარსის წაკითხვაზე, რომელსაც გადმოგვცემს ეს იკონოგრაფიული კომპოზიცია.

„საიდუმლო სცენა შემოღებულია გარკვეული იდეის გადმოსაცემად. ამგვარი სიმბოლიზმი შეიძლება იყოს სურათის „ენა", რომელიც გამოიყენება, მაგალითად, მხატვრულ ლიტერატურებში რელიგიურ თემებზე. მაგრამ სიმბოლური მნიშვნელობა გადმოიცემა მხოლოდ ირიბი გზით — იმის მიხედვით, თუ რას გვეუბნება ნაწარმოების შინაარსის შესახებ ჩვენი ცოდნა და მსჯელობა... მხატვრული კომპოზიციის სტრუქტურული საფუძველი ასახავს ლეგენდის დინამიურ მოდელს".[4]

დავათის სტელაზე გამოხატული მთავარანგელოზების სახეები მობრუნებულია მაყურებლისკენ. სხეულები, ქმნიან რა ხედვის სიბრტყესთან 180 გრადუსიან კუთხეს, შებრუნებულია სურათის ცენტრისაკენ. მათი მაღლა აღმართული ხელები მტევნებში მოხრილია (რაც კარგად ჩანს სტელას უშუალო შესწავლით), ხოლო დაბლა დაშვებული ხელები გამოსახულია წელის დონეზე.

წარმოდგენილი სურათის სივრცობრივი აღქმისათვის უნდა ვიხელმძღვანელოთ ხატწერის ზოგადი კანონზომიერებით: „ხატებზე გამოსახული ობიექტების სემანტიკურად მნიშვნელოვანი ნაწილი მობრუნებულია მაყურებლისკენ, ხოლო სემანტიკურად უმნიშვნელო — ექვემდებარება პერსპექტიულ გადახრებს, მიანიშნებს რა ობიექტების რეალურ მდგომარეობას სივრცეში და გამოდის როგორც სამ განზომილებაში განლაგების გასაღები".[5]

ფიგურების ასეთი გამოსახვა, როდესაც შერწყმულია სხეულის ნაწილთა განსხვავებული მდებარეობა და სხეული „გრეხილ" ფორმას იძენს, მოძრაობის იდეას გადმოსცემდა.[5]

ეს გარემოება განსაზღვრავს კომპოზიციის ღერძს.

მთავარანგელოზების სხეულებისა და კიდურების განლაგება, ხატწერის წესების გათვალისწინებით, ადასტურებს, რომ კომპოზიციის სემანტიკურად უმნიშვნელოვანესი ნაწილი მოთავსებულია ანგელოზთა შორის.

გამოთქმულია მცდარი მოსაზრება, რომ ანგელოზები მიუთითებენ არა მათ შორის მოთავსებულ სივრცეს, არამედ ზემოთ მდებარე საგანს, რომელიც ამჟამად აკლია სტელას, დაზიანების გამო.

ამ თვალსაზრისს უარყოფს სხეულთა განლაგება სივრცეში.

ზემოთ მდებარე საგნისკენ მიმართულების გადმოსაცემად დაბლა მოთავსებული ხელები იხატება მკერდის დონეზე; ტანი ქმნის ხედვის სიბრტყესთან 90 გრადუსიან კუთხეს ანუ სხეული გამოიხატება ფასში. აღნიშნულის დადასტურებაა ამავე სტელაზე ანგელოზებს ქვემოთ გამოკვეთილ პირთა მდგომარეობა სივრცეში.

რადგან კომპოზიციის ცენტრალური ელემენტი ანგელოზებს შორის იგულისხმება, ამიტომ

ყურადღება უნდა მივაქციოთ კონტურს, რომელიც შექმნილია ამ სხეულებით.

„სიმბოლური ნიშანი შეიცავს მხოლოდ მინიშნებას ქრისტიანულ ჭეშმარიტებაზე. აქ მხატვრის აზრი არ გადმოიცემა მთელი სისრულითა და სიცხადით, არამედ მხოლოდ ერთი, მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი ნიშნით, რომელიც გამოხატულია მარტივი მონახაზით. გარეშე დამკვირვებლისთვის, ვინც არ იცნობდა ქრისტიანობას და ამ სიმბოლიკის საიდუმლოს, სიმბოლური ნიშნები არ შეიძლება გასაგები რომ ყოფილიყო... ისტორიული პირობები ფართო გზას უხსნიდა ხელოვნების სიმბოლიზმს".[8]

დავათის ქვა-ჯვარზე გამოსახული საგანი, რომელიც ანგელოზებს უპყრიათ ხელში, წარმოადგენს თევზს და მოთავსებულია იმგვარად, რომ მისი თავი მიმართულია ქვემოთ.[29]

ვინაიდან უძველესი ქრისტიანისათვის სავსებით საკმარისი იყო საგნის გარეგნული ფორმის გამოსახვა მისი სიმბოლური შინაარსის გააზრებისათვის, ცხადი ხდება, რომ „თევზის" გამოსახულებას კონკრეტული მნიშვნელობა ენიჭება.

თევზის ფიგურა ქრისტეს იეროგლიფს წარმოადგენდა და იგი იყო კრიპტოგრაფიული ნიშანი პირველი საუკუნეების ქრისტიანებს შორის. განმარტების საშუალებით, რომელსაც ნოტარიკონი ეწოდება, იკითხებოდა როგორც „ქრისტე".

ბერძნული სიტყვა „იხთის" (თევზი), დაწერილი აკროსტიხით, თავის თავში შეიცავდა ქრისტიანული რწმენის სრულ აღმსარებლობას: „იესუს ხრისტოს თეუ იუს სოტერ — იესო ქრისტე ძე ღვთისა მხსნელი".[30]

„თევზი", რომელიც იყო სარწმუნოების სიმბოლოს გადმოცემის უძველესი საშუალება, უმთავრესად გვხვდება ქრისტიანულ ძეგლებზე, რომლებიც შესრულებულია IV საუკუნის დასასრულამდე. მაგ., რომში ეს სიმბოლო V ს. უკვე სრულიად გამქრალია.[30]

„იხთის", რომელიც აკროსტიხში შეიცავდა ქრისტე-მესიის სახელს, თევზის გამოსახულებას, უპირველესად, აძლევდა ქრისტეს მნიშვნელობას. ამ სიმბოლოს მეორე მნიშვნელობა, დამყარებული სახარების სიტყვებზე (მათე, 4. 19, მარკ., 1. 17), გულისხმობდა ზოგადად „ქრისტიანს":

„თევზის" ამ ორ მნიშვნელობას შორის განსხვავება იმდენად დიდია, რომ საჭირო ხდებოდა გარკვევა, თუ სახელდობრ რომელი მნიშვნელობით იყო გამოხატული „თევზი".

ამ განმარტებას იძლეოდა ადგილი, სადაც თავსდებოდა ეს სიმბოლო. თევზი ნიშნავდა ქრისტეს, როდესაც ის იხატებოდა კომპოზიციის ყველაზე მთავარ და საპატიო ადგილას.[30]

დავათის ქვა-ჯვარზე გამოსახული „თევზი" მოთავსებულია მთავარანგელოზების ფიგურებს შორის და წარმოადგენს მოცემული იკონოგრაფიული კომპოზიციის ღერძს. ეს ვითარება უცილობლად ადასტურებს, რომ „თევზის" სიმბოლოს ქრისტეს მნიშვნელობა აქვს.

ე. ი. ქვა-ჯვარზე გამოხატულია ქრისტე ორ მთავარანგელოზთან ერთად.

ერთი და იგივე ძეგლის ორ წახნაგზე ქრისტეს ანთროპომორფული და სიმბოლური გამოსახულებების არსებობას ქრონოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ქრისტიანული ხატწერის ისტორიაში ამგვარი მოვლენა ახასიათებდა ე. წ. „გარდამავალ პერიოდს" ანუ IV-V საუკუნეებს, როდესაც ჯერ კიდევ იყო ჩვეულება ქრისტეს სიმბოლური ნიშნებით გამოხატვისა და, ამასთანავე, ფართოდ იყო გავრცელებული მისი ანთროპომორფული სახეც.[31]

V ს-დან ქრისტეს ძირითადი სიმბოლური გამოსახულება არის კრავი (სხვა სიმბოლოები უკვე ხმარებიდან იყო გამოსული), რომელიც მართლმადიდებლურ ხატებზე VII ს. დასასრულამდე გვხვდება. მაგრამ კონსტანტინოპოლის VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ, რომლის დადგენილებეში გამოიცა 692 წ. და ცნობილია ტრულის კანონების სახელწოდებით, 82-ე წესით აკრძალა ხატებსა და ყოველგვარ საგნებზე ქრისტეს სიმბოლური მნიშვნელობებით გამოხატვა და საბოლოოდ დააკანონა მისი ანთროპომორფული გამოსახულება.[17]

ქრისტიანულ სიმბოლურ ნიშანთა უმთავრეს წყაროს წარმართული ძეგლები წარმოადგენდა, რადგან ახალ ფორმათა შექმნას საუკუნეები დასჭირდებოდა; მაგრამ ქრისტიანული ხელოვნება, ითვისებდა რა წარმართულ სიმბოლოთა გარეგნულ ფორმას, მათში დებდა წმინდა ქრისტიანულ შინაარსს, რომელიც ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან გამომდინარეობდა.[32]

წარმართული კულტების რიტუალებში გამოყენებული სიმბოლოების ქრისტიანული გააზრების მაგალითებია ფრთიანი ლომის, ფრთიანი ხარისა და არწივის გამოსახულებები. ამ სიმბოლოთა ფუნქციას არავითარი საერთო აღარ ჰქონდა ანალოგიურ წარმართულ სიმბოლოებთან, ისინი მახარებლებს უკავშირდებოდნენ და მათ სიმბოლოებს წარმოადგენდნენ: ფრთიანი ლომი — მარკოზის, ფრთიანი ხარი — ლუკას და არწივი — იოანეს (მათე მახარებლის სიმბოლოდ ანგელოზი იყო მიჩნეული).[1] ხარისა და ლომის თავი (ტანის გარეშე) კი ქრისტეს ნიშნავდა. ოღონდ ლომის თავის სიმბოლური მნიშვნელობა აღებული იყო არა წარმართული, არამედ იუდაური სიმბოლიზმიდან.[33] სწორედ ამ მნიშვნელობებით გვხვდება ეს გამოსახულებები უძველეს ქრისტიანულ ძეგლებზე არა მარტო საქართველოში, არამედ რომსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში.

დავუბრუნდეთ დავათის ხატს, რომელზეც

გამოსახულია ქრისტე („თევზი“), ორ მთავარანგელოზთან ერთად.

ხატწერაში ქრისტეს ამგვარ გამოსახულებას კონკრეტული ფუნქცია ეკისრებოდა და მხოლოდ ორ იდეას გადმოსცემდა: „ქრისტეს ამაღლებასა“ და „ქრისტეს მეორედ მოსვლას“.

ორი განსხვავებული შინაარსის ერთნაირი გამოხატვა „საქმე მოციქულთაი“-ს სიტყვებს ეყრდნობოდა: „და ვითარცა ხედვიდეს იგინი ზეცად აღსვლასა მისსა, და აჰა — ესერა ორ კაც ზედა მოადგეს მათ სამოსლითა სპეტაკითა. და ჰრქუეს მათ: კაცნო გალილეველნო, რაისა სდგათ და ჰხედავთ ზეცად? ესე იესო, რომელი ამაღლდა თქუენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად“ (საქმე. 1. 10-11).

თეთრ სამოსლიან ამ ორ პიროვნებაში იგულისხმებოდნენ მთავარანგელოზები, გამომდინარე სახარების სიტყვებიდან: „ხოლო რაჟამს მოვიდეს ძე კაცისაი დიდებითა თვისითა და ყოველნი ანგელოზნი მისნი მის თანა, მაშინ დაჯდეს საყდართა დიდებისა თვისისათა“ (მათე, 25. 31). ასეთი იყო მართლმადიდებლური ეკლესიის შეხედულება ახალი აღთქმის ამ ორ ეპიზოდზე.[34]

„ქრისტეს ამაღლებისა“ და „მეორედ მოსვლის“ გამოსახვის ხატწერული მეთოდების მსგავსება კარგად ვლინდება ნიკორწმინდის სამხრეთის ფასადზე გამოხატული სცენით.[35] ქრისტეს „ამაღლების“ სიმბოლური გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა არის, აგრეთვე, „ჯვრის ამაღლების“ ფართოდ გავრცელებული სცენაც.

განსხვავებული თემატიკის ანალოგიური ხერხებით გადმოცემა ქმნიდა საშიშროებას, რომ მორწმუნენი სწორად ვერ გაიგებდნენ სურათის შინაარსს და ერთმანეთში აურევდნენ ქრისტეს „ამაღლებასა“ და „მეორედ მოსვლას“.

ადრეულ საუკუნეებში მოცემული იდეის განმარტება შესაბამისი სიმბოლიზმით ხდებოდა, რადგან საეკლესიო „საიდუმლოს დაფარვის წესი“ („არკანული დისციპლინა“) კრძალავდა საკრალური შინაარსის პირდაპირ გაცხადებას. V ს. შემდეგ, როდესაც ხმარებიდან გამოვიდა ეს წესი, გამოსახულებებს სათანადო წარწერები დაემატა, როგორც ეს, მაგალითად, ზემოდასახელებულ ნიკორწმინდის ფასადზე გვაქვს.

ადრექრისტიანული სიმბოლიზმი ფიგურების სივრცეში განლაგებითა და მათი მოძრაობის მიმართულებით ვლინდებოდა.

ქრისტეს „ამაღლების“ სცენაში გამოისახებოდნენ მფრინავი ანგელოზები და მოძრაობის მიმართულება იყო ქვემოდან ზევით.

დავათის ქვა-ჯვარზე გამოსახულნი არიან არა მფრინავი, არამედ მდგომარე ანგელოზები. მოძრაობის მიმართულება კი განსაზღვრავს კომპოზიციის სემანტიკურად უმნიშვნელოვანესი ელემენტის — „თევზის“ — მდებარეობა სივრცეში. „თევზის“ თავი მიქცეულია ქვემო — და გამოხატავს ცნებას ზემოდან ქვემოთ მიმართული მოძრაობის შესახებ.

ცხადია, რომ ჩვენს წინაშეა ქრისტეს „მეორედ მოსვლის“ სცენა, გადმოცემული ადრექრისტიანული სიმბოლიზმით.

„მდგომარე“ ანგელოზის ცნებაც ამ აზრს გადმოსცემს, რომელიც აპოკალიფსიდან მომდინარეობდა: „და ვიხილე ანგელოზი ძლიერი, გარდამომავალი ზეცით... და დადვა ფერხი მისი მარჯუენე ზღუასა ზედა და მარცხენე — ქუეყანასა ზედა“ (გამოცხ., 10. 1-2).

დავათის სტელაზე წარმოდგენილი ესქატოლოგიური სურათი გვაძლევს საშუალებას, რომ გავარკვიოთ ხატზე ქართული ანბანის ამოკვეთის მიზეზი და ანბანით გადმოცემული ინფორმაცია.

## IV

ახლა უნდა გაირკვეს, თუ რა კავშირია სტელაზე გამოსახულ ესქატოლოგიურ სურათსა და ქართულ ასომთავრულ ანბანს შორის.

ქრისტესთან ანბანის საწყისი და უკანასკნელი ასოების დაკავშირება ძირითადი ქრისტიანული შეხედულებაა და „იოანეს გამოცხადების“ შემდეგ ადგილებს ეყრდნობა: „მე ვარ ანი და ჰოე, იტყვის უფალი ღმერთი, რომელი არს, და რომელი იყო და რომელი მომავალ არს, ყოვლისა მპყრობელი“ (გამოცხ., 1. 8). „მე ვარ ანი და ჰოე, პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული“ (გამოცხ. 22. 13).

ეს თვალსაზრისი ერთაზროვნად არის განმარტებული ეკლესიის მიერ და მკაცრად განსაზღვრულ შინაარსს ატარებდა: „ალფა და ომეგა ნიშნავს დასაბამს და დასასრულს, რადგან ბერძნულ ენაზე, რომელზეც დაიწერა ახალი აღთქმა, ალფა არის ანბანის პირველი, ხოლო ომეგა, უკანასკნელი ასო. წმინდა წერილში ალფად და ომეგად იწოდება ქრისტე მესია...[36]

ანბანის პირველ და უკანასკნელ ასოებზე ამგვარი საეკლესიო აზრის არსებობის გამო ეს ცნება ქრისტეს მნიშვნელობას იძენს და IV საუკუნიდან ქრისტიანულ ძეგლებზე ქრისტეს სიმბოლურ ნიშნებთან, ან ნიშნებზე, იწერება.[37]

თვით ნიკეის მრწამსი, თავის მხრივ, აპოკალიფსის ამ ადგილების ამგვარ გაგებას ეყრდნობოდა. ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ამ ასოთა გამოჩენა სწორედ IV საუკუნიდან დაკავშირებულია ანტიარიანულ მსოფლმხედველობასთან და ნიკეის კრების მიერ მიღებული მრწამსის აღმსარებლობას ნიშნავს.[1]

აპოკალიფსის აღნიშნული მონაკვეთები კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებით იპყრობს ყურადღებას. „იოანეს გამოცხადების“ ყველა თარგმანში, რომელიც მსოფლიოს ხალ-

ხთა ენებზეა განხორციელებული, უცვლელად არის გადატანილი ას... ბერძნული სახელები („ალფა“ და „ომეგა“). ისეთ ... რედაქციებშიც კი, როგორიც არის ლათინური და ძველსომხური, ასო-ნიშანთა ბერძნული დასახელება არის შენარჩუნებული. მხოლოდ ქართული და სირიული რედაქციები ცვლიან ბერძნულ ასოთა სახელებს საკუთარი ანბანის ასოთა სახელებით (სირიულში გვაქვს „ალეფ“ და „თეა“). ეს გარემოება, თავისთავად, ქართული თარგმანის დიდ სიძველეზე მიანიშნებს, რაც ახ. წ. 342-348 წ.წ. დაწერილი ქართული ძეგლის — „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ს მიხედვითაც დასტურდება.

ამრიგად, გასაგებია, რომ ანბანმა ანიდან ჰოემდე, აპოკალიფსის მიხედვით, ქრისტეს მნიშვნელობა მიიღო, ნიკეის კრების შემდეგ კი ანტიარიანული პოზიციის გამოხატვის საშუალებად იქცა. მაგრამ მხოლოდ ამ ცნების გადმოსაცემად სავსებით საკმარისი იყო ორი ასოს — „ანის“ და „ჰოეს“ დაწერა, ისე, როგორც ეს ქრისტიანულ ხატწერაში იყო მიღებული. ამიტომ სტელაზე სრული ანბანის დაწერას გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს და განსაზღვრული მოტივაციით უნდა იყოს განპირობებული.

აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმ თავისებურებებს, რომელიც გააჩნია გამოსახულ ანბანს: 37 ასო-ნიშანი დალაგებულია შვიდ მწკრივად. პირველ მწკრივში მოთავსებულია 7 ასო, მეორეში — 6, მესამეში — 5, მეოთხეში კვლავ 7, მეხუთეში — 6, მეექვსეში — 5 და უკანასკნელ, მეშვიდე მწკრივში მოთავსებულია მხოლოდ ერთი, 37-ე ასო-ნიშანი „ჰოე“.

ე. ი. მწკრივის მიხედვით ასოთა განლაგება შემდეგია: 7-6-5-7-6-5-1.

პირველი მწკრივის ასოთა რაოდენობა მეორდება მეოთხე მწკრივში, მეორე მწკრივის — მეხუთეში და მესამე მწკრივის — მეექვსეში. მეშვიდე მწკრივის ერთად-ერთი ასო-ნიშანი განცალკევებულია და აღნიშნულ კანონზომიერებას არ ექვემდებარება. მოცემული გვაქვს ერთი არასრული და ექვსი სრული მწკრივი შემდეგი თანაფარდობით: I და IV — 7, II და V — 6, III და VI — 5.

პირველი სამი მწკრივის ასოები განლაგებულია კლებადი თანმიმდევრობით, იგივე მეორდება მომდევნო სამ მწკრივშიც. მეორე მწკრივის ასოთა რაოდენობა ერთით ნაკლებია პირველი მწკრივის ასოთა რაოდენობაზე; მესამე მწკრივის ასოთა რაოდენობა — პირველ მწკრივზე ორით, ხოლო მეორე მწკრივზე — ერთით ნაკლები. ანალოგიურია დამოკიდებულება მეოთხე, მეხუთე და მეექვსე მწკრივების ასოთა რაოდენობას შორის.

როგორც ვხედავთ, 36 ასო-ნიშანი, რომელიც განლაგებულია ექვს მწკრივად, გამოყოფილია „ჰოესაგან“ თავის მხრივ ეს 36 ასო გაყოფილია შუაზე, ორ ნაწილად: პირველ სამ მწკრივში მოთავსებულ ასოთა განლაგება უცვლელად მეორდება მომდევნო მწკრივებში.

36 ასოს შუაზე გაყოფა ვიზუალურადაც არის განხორციელებული. პირველ სამ მწკრივს უჭირავს გაცილებით მეტი სივრცე და მათი დასაწყისი თანხვდება „თევზის“ გამოსახულების კიდეს. მომდევნო სამი მწკრივის მიერ დაკავებული სივრცე ნაკლებია და მათი დასაწყისი შეწეულია ცენტრისკენ ისე, რომ მარცხენა მხარეს თავისუფალი ადგილი რჩება.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ მეხუთე მწკრივის ასოთა განლაგება არის არა ჰორიზონტალური, არამედ დიაგონალური: მწკრივი დახრილია მარცხნიდან მარჯვნივ. ეს გამოჰყოფს მეექვსე მწკრივს წინამორბედებისაგან.

ანბანში ქარაგმით არის გამოყოფილი შემდეგი ასოები: მეორე მწკრივში — „კ“, მეოთხე მწკრივში — „გ“ და მეექვსეში — „ჭ“. ასეთ შემთხვევაში ასოს თავზე დასმული ჰორიზონტალური ხაზი იყო ასოს რიცხვითი მნიშვნელობის გამომხატველი ნიშანი.[38]

შესაბამისად, პატივით გამოყოფილი ასოები გვაძლევს 5320 20 + 300 + 5000 = 5320).

ამ რიცხვის შინაარსი ზუსტად არის გარკვეული და ნიშნავს ქრისტიანული წელთაღრიცხვის 532-წლიანი ქრონიკონული ციკლის ათ მოქცევას.

საკამათო არ არის, რომ ანბანის ეს თავისებურებები შედეგია გარკვეული მოტივაციისა და განსაზღვრულ ინფორმაციას გადმოგვცემს. კოდირებული ინფორმაციის გასაღებს წარმოადგენს ქარაგმით გამოყოფილ ასოთა რიცხვითი მნიშვნელობა.

ყველა ადრექრისტიანული წელთაღრიცხვით, რომლებიც იულიუს აფრიკელის იდეას ეყრდნობოდა და „ქრისტეს შობას“ 5500 წლის ახლო პერიოდში ათავსებს „ადამიდან“, 5320 წელს საკრალური მნიშვნელობა ენიჭება.

ეს წელი წარმოადგენდა ერას, ანუ საწყის მომენტს, ქრისტიანული ეპოქისათვის. 5320 წელი იყო ათვლის ნულოვანი წერტილი მეთერთმეტე, ანუ „ქრისტეს მოსვლის“, 532-წლიანი ქრონიკონული ციკლისთვის და ყველა შემდგომი ქრონიკონული მოქცევისათვის.

„ადამიდან“ გასული ათი ქრონიკონული ციკლი, ანუ ე. წ. „სამყაროს არსებობის ხუთი ღვთიური დღე“, ნიშნავდა „ძველი აღთქმისეული კაცობრიობის ცოდვილი ცხოვრების დასასრულს და ახალი, ქრისტეს მიმართ ნათელღებული ადამიანის ისტორიის დასაწყისს“. ქრისტეს „შობა“ და „ჯვარცმა“, რომელიც მეთერთმეტე 532-წლიან მოქცევაში თავსდებოდა, ამ მოვლენის უმნიშვნელოვანეს ეტაპებად ითვლებოდა“.[39]

5320 წელი იყო თარიღი, რომლის მიმართ

ხდებოდა ქრისტიანული ეპოქის უველა მოქცევის ათვლა. წლები, რომლებიც ამ თარიღთან „ქრისტეს შობამდე“ თავსდებოდა, ქრისტე-მესიის მოლოდინის დროდ იწოდებოდა და ბიბლიური დანიელის წინასწარმეტყველებას ეყრდნობოდა. ეს „ვადა“ ქართული წელთაღრიცხვით 284 წელია, იულიუს აფრიკელით — 180, ძველბიზანტიურით — 189, ბიზანტიურით — 188, ალექსანდრიულით — 172 და ა. შ.

ქრისტიანული წელთაღრიცხვის 5320 წლის მნიშვნელობა მიუთითებს ქვა-ჯვარზე გამოსახული ანბანის კალენდრულ ფუნქციაზე. შესაბამისად, ფორმა, რომელიც მინიჭებული აქვს ანბანს, უნდა გვაწვდიდეს ინფორმაციას წლებზე, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა ეკლესიის თვალსაზრისით.

ქრისტიანული კრიპტოგრაფიის წესით სიმბოლურ ფორმას სამი სახის ინფორმაციის მატარებლის ფუნქცია უნდა შეესრულებია (სამების პრინციპის შესაბამისად). ეს შეხედულება კლიმენტი ალექსანდრიელის მოსაზრებებს ეყრდნობოდა.[40]

კალენდრული ფუნქცია განმარტავს უველა იმ თავისებურებას, რომელიც აქვს დავათის ქვა-ჯვარზე გამოსახულ ანბანს.

ანბანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დალაგებულია შვიდ მწკრივად. ამასთანავე, მეშვიდე მწკრივის ერთადერთი ასო-ნიშანი „ჰოე“ გამიჯნულია წინამორბედი ექვსი მწკრივის ასონიშნებისაგან. ეს ექვსი მწკრივი, თავის მხრივ, გაუოფილია ორ თანაბარ ნაწილად — სამ-სამ მწკრივად.

თუ რას გადმოგვცემს ეს სიმბოლიზმი, ირკვევა იულიუს აფრიკელის წელთაღრიცხვის თავდაპირველი იდეით, რომელიც მიზნად ისახავდა ქრისტეს „მეორედ მოსვლის“ თარიღის დადგენას.

ახ. წ. 221 წ. დაწერილ „ქრონოგრაფიაში“ იულიუს აფრიკელმა, ბიბლიურ შესაქმის ექვს დღეზე დაყრდნობით, დაყო მთელი ისტორია ექვს ათასწლეულად და გამოჰყო მასში ორი პერიოდი: პირველი — ადამიდან ფალეგის სიკვდილამდე 3000 წელი და მეორე — ფალეგის სიკვდილიდან ქრისტეს „მეორედ მოსვლამდე“, რომელიც მოიცავდა დანარჩენ სამ ათასწლეულს. ქრისტეს შობა ემთხვეოდა 5500 წელს. 6000 წლის დასასრულს, აფრიკელის შეხედულებით, უნდა მომხდარიყო სამყაროს არსებობის დასასრული და გახსნილიყო „ათასწლოვანი სულთაობა“ ანუ ქრისტეს ათასწლოვანი მეფობა მორწმუნეებთან.[41]

წელთაღრიცხვის მიმართ ამგვარი ადრექრისტიანული დამოკიდებულება არის გამოვლენილი ჩვენს სტელაზე; ანბანში მინიშნებული 5320 წელი შესაბამის ათვლას ადასტურებს, ანბანის განლაგება კი ვიზუალურად გამოხატავს ამ იდეას.

ანბანის შვიდი მწკრივი შვიდ სიმბოლურ დღეს ნიშნავს. ამასთან, პირველი ექვსი „ამქვეუნიურ“ პერიოდს შეესაბამება, რომელიც ორ ეტაპად იუოფოდა: სამი „დღე“ ადამიდან ფალეგამდე და მომდევნო სამი — ფალეგიდან ქრისტეს „მეორედ მოსვლამდე“. იგივეს ამტკიცებს დიაგონალურად დახრილი მეხუთე მწკრივიც, რომელიც მეხუთე „დღეს“ განასხვავებს და გამოჰყოფს „ძველი აღთქმისეული კაცობრიობის ისტორიას“ ქრისტიანული ეპოქისაგან. ანბანის ექვსი მწკრივი და ამ მწკრივებში მოთავსებული 36 ასო-ნიშანი გადმოგვცემს იმ ადრექრისტიანულ შეხედულებას, რომლის მიხედვით ქრისტეს „მეორედ მოსვლის“ თარიღად ადამიდან 6000 წელი იყო მიჩნეული ($36:6=6$). მეშვიდე მწკრივის განცალკევებული ასო „ჰოე“ სიმბოლურად ასახავს მეშვიდე საკრალურ „დღეს“.

როგორც ვხედავთ, დავათის ქვა-ჯვარზე მოცემული ანბანის ფორმა ვიზუალურად გამოხატავს ქრისტიანული წელთაღრიცხვის თავდაპირველ იდეას, რომელიც ჩამოაყალიბა სექსტიუს იულიუს აფრიკელმა.

სტელაზე გამოსახული ანბანის წყობა, თავის მხრივ, ზუსტად იმეორებს „ქებაი“-ს სინ. 38 ხელნაწერის სტროფულ აგებულებას, რის შესახებაც რ. პატარიძე აღნიშნავს: „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ ზოგადად ქრისტიანული ქრონოლოგიის ჩონჩხია: თხზულების ექვსი სტროფი კაცობრიობის არსებობის ექვსი ათასწლეულია — დასაბამიდგან ქრისტეს მეორედ მოსვლამდე“.[42]

ესქატოლოგიური იდეის გადმოცემის სიმბოლურ სახეთა ანალოგიურობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ორი უძველესი ძეგლის აზრობრივ ურთიერთკავშირს. უოველივე ეს განსაზღვრავს ქვა-ჯვარზე არსებულ „მეორედ მოსვლის“ იკონოგრაფიულ სურათზე ქართული ანბანის გამოსახვის მიზეზს: ანბანი ამ შემთხვევაში, წარმოადგენდა კალენდარულ განმარტებას აღნიშნული ესქატოლოგიური სურათისათვის და „აუწყებდა“ IV საუკუნის ქრისტიან მორწმუნეებს „მოახლოებული მეორედ მოსვლის“ და „საშინელი სამსჯავროს“ თარიღს — ქართული წელთაღრიცხვის 6000 წელს, რომელიც ახ. წ. 396 წ. შეესაბამება.

ამგვარი თვალსაზრისი, ქრისტეს „მეორედ მოსვლის“ და „ათასწლოვანი მიწიერი სამეფოს“ დამყარების შესახებ, რომელიც შვიდ ბიბლიურ „დღეს“ ეყრდნობოდა, ცნობილია „ხილიაზმის“ სახელწოდებით. ეს შეხედულება განვიხილე წინამდებარე წერილში, ამიტომ მასზე აღარ შევჩერდები.[43]

„ათასწლოვანი სამეფოს" დამყარების მოლოდინი აბსოლუტურად ზღუდავს დავათის ხატის შექმნის ზედა ქრონოლოგიურ მიჯნას, ვინაიდან რომელი მიმართულების ქრისტიანის მიერაც არ უნდა იყოს შექმნილი ეს ძეგლი, ახ. წ. 396 წლის შემდეგ ასეთი „განმარტებითი" წარწერა ყოველგვარ აზრს კარგავდა.

ამრიგად, ანბანით გადმოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ დავათის ქვა-ჯვარი შექმნილია ახ. წ. 362-396 წლებს შორის.

ხატზე გამოვლენილ ხილიასტიურ შეხედულებას დოგმატური მნიშვნელობა აქვს მართლმადიდებლური ეკლესიისთვის, რაც კიდევ უფრო აზუსტებს ძეგლის შექმნის დროს.

კონსტანტინოპოლის II მსოფლიო საეკლესიო კრებამ (381 წ.), უარყო რა აპოლინარიუს ლაოდიკეელის მწვალებლობა, ამ ერესიარქის სხვა შეხედულებებთან ერთად „ათასწლოვანი სამეფოს" მოლოდინიც ერესად გამოაცხადა. ხილიასტიური შეხედულებების საწინააღმდეგოდ სარწმუნოების სიმბოლოში შეტანილი იყო სიტყვები ქრისტეს შესახებ: „რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ". მართლმადიდებლურ ეკლესიაში ახ. წ. 381 წლის შემდეგ ყოველგვარი აზრი ადამიდან 6000 წლისთვის ქრისტეს „მეორედ მოსვლის" შესახებ მიუტევებლად ჩაითვალა".[36]

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ დავათის ქვა-ჯვარი შექმნილია ახ. წ. 362-381 წლებში.

V

აღწერილი „მეორედ მოსვლის" ხატი იძლევა საშუალებას, რომ გავარკვიოთ მის ქვეშ გამოსახული ორი მამაკაცის ფიგურის დამოკიდებულება გადმოცემულ ესქატოლოგიურ იდეასთან.

„იოანეს გამოცხადების" მიხედვით, „მეორედ მოსვლას" ორი პიროვნება „წინასწარმეტყველებს", რომლებიც „სული წმიდით" უნდა ყოფილიყვნენ აღბეჭდილნი (გამოცხ., 11. 3-11).

ეს ორი „მოწამე", რომელთა შესახებ აპოკალიფსის მე-11-ე თავში არის საუბარი, სხვადასხვა განმარტების ობიექტს წარმოადგენდნენ. ეკლესიის მოღვაწეთა უმრავლესობა, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, ამ ორ პიროვნებაში ხედავდნენ ილიას და ენოქს, რომელთაც, ბიბლიის მიხედვით, ეკისრებოდათ ესქატოლოგიური ფუნქცია.[39]

შესაბამისად, ქვა-ჯვარზე გამოსახული ეს ორი პირი სიმბოლურად განასახიერებს აპოკალიფსის მოცემულ ადგილს და გამოხატვის ფორმა და სხეულთა განლაგება სივრცეში გადმოცემს ცნებას „მეორედ მოსვლის" წინასწარმეტყველების შესახებ.

ეს გარემოება სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს სივრცეს, რომელიც ამ პირთა გამოსახულებებს შორის არის მოთავსებული. არსებული კონტური წარმოადგენს სამკუთხედს, რომლის წვერი მიქცეულია ქვემოთ.

ვინაიდან სამკუთხედი წარმოადგენდა „წმ. სამების" სიმბოლურ ნიშანს და მისი ამგვარი მნიშვნელობა ყოველგვარ ეჭვსგარეშეა,[44] გასაგებია, რომ ეს გეომეტრიული ფიგურა გადმოცემს ცნებას „სული წმიდის" გადმოსვლის შესახებ, რაც, ხილიასტიური თვალსაზრისით, „მეორედ მოსვლის" მოახლოებას მოასწავებდა.

ე. ი. სტელაზე გამოსახულ ამ ორ პიროვნებაში, ადრექრისტიანული შეხედულების მიხედვით, ილია და ენოქი იგულისხმებოდა. თუ რომელი კონკრეტული ისტორიული პირები იყვნენ გამოხატულნი ამ შინაარსის ქვეშ, მომავალი შესწავლის საგანია.

„მეორედ მოსვლისა" და „საყოველთაო აღდგომის" იდეას გადმოსცემს, აგრეთვე, მცენარეული ორნამენტი, რომელიც სტელაზეა გამოკვეთილი. ეს ადრექრისტიანული სიმბოლო „სამოთხის" ცნებას გადმოცემდა და, ჩვენს შემთხვევაში, წარმოდგენილ ესქატოლოგიურ სურათთან ერთად, გამოხატავს აზრს ქრისტეს „ათასწლოვანი მიწიერი სამეფოს" დამყარების მოახლოების შესახებ.[44]

დავათის ქვა-ჯვარი შექმნილია ახ. წ. 362-381 წლებს შორის, ამიტომ ერთგვარ ანარქიზმად ჩანს წარწერა „წმინდა", რომელიც გვაქვს ღვთისმშობლის ხატზე. ამ ტერმინის არარსებობა მიქაელ მთავარანგელოზის გამოსახულებასთან ადასტურებს, რომ ეს წარწერა შესრულებულია მოგვიანებით, ანუ ხატი „გასწორებულია" მომდევნო წლებში, ახალი საეკლესიო შეხედულების შესაბამისად.

ეს ვითარება უთითებს თვით დავათის ეკლესიის აშენების თარიღს.

„გასწორება", რომელიც შეეხო ღვთისმშობლის ხატს, არ შეხებია მთავარანგელოზებს, მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „წმინდა" მათ მიმართ უფრო ადრე იყო კანონიზებული — ახ. წ. 419 წ., ხოლო მარიამის მიმართ — მოგვიანებით — ახ. წ. 431 წ. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ღვთისმშობლის ხატზე ტერმინ „წმინდას" დამატების მომენტისათვის მთავარანგელოზთა გამოსახულებას უკვე ყოველგვარი ფუნქცია ჰქონდა დაკარგული. ეს, თავისთავად, შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხატი მიუწვდომელი იქნებოდა მაყურებლისთვის, ანუ სტელა ჩაშენებული იქნებოდა ბურჯში და უხილავი გახდებოდა დასახელებული წახნაგი.

ამგვარი განსხვავება ქვა-ჯვარ-

ზე გადმოცემულ დოგმატურ შეხედულებებში ადასტურებს, რომ დავათის ღვთისმშობლის ეკლესიის შენობა აგებული იყო არაუგვიანეს ახ. წ. 419 წლისა.

დავათის ქვა-ჯვარზე გამოხატულია იგივე იდეა, რომელიც გამოვლენილია IV საუკუნის ლიტერატურულ ძეგლებში — „ქართლის მოქცევასა“ და „ქებაი“-ში. შესაბამისად, სტელა უნიკალურ ძეგლად ვერ ჩაითვლება. ესქატოლოგიური მოტივების საყოველთაო გავრცელება IV საუკუნის ქართველ ქრისტიანთა შორის მიუთითებს, რომ ანალოგიური ხასიათის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც უნდა ყოფილიყო.

**დამოწმებული ლიტერატურა:**


1 ა. ფრიკენი. რომის კატაკომბები და პირველდაწყებითი ქრისტიანული ხელოვნების ძეგლები (რუსულ ენაზე). ნაწ. I, მოსკოვი, 1872 წ., გვ. 4; ნაწ. II, გვ. 1, გვ. 185, 169; 194; 197-198; 141.

2. გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე. აღმოჩენა არაგვის ხეობაში. გაზ. „კომუნისტი“, 19 მაისი, 1985 წ. რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრ., რ. პატარიძე, „ქებაი ქართულისა ენისა“, „მნათობი“, № 9, 1986 წ.

3 ლ. ს. ვიგოტსკი. ხელოვნების ფსიქოლოგია. (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1968 წ., გვ. 35-37.

4. რ. არნჰეიმი. ხელოვნება და ვიზუალური აღქმა. (რუსულ ენაზე). მოსკოვი, 1974 წ., გვ. 374; 380/81.

5 ბ. ა. უსპენსკი. „უძველესი ფერწერული ენის კვლევისათვის“, იხ. ლ. ფ. ჟეგინის წიგნი — „ფერწერული ნაწარმოების ენა“, მოსკოვი, (რუსულ ენაზე), 1970 წ., გვ. 33; გვ. 4; გვ. 25; გვ. 27; გვ. 20; გვ. 102-115.

6 დ. მ. უგრინოვიჩი. ხელოვნება და რელიგია. (რუსულ ენაზე). მოსკოვი, 1982 წ., გვ. 106; გვ. 125.

7 ნ. პ. კონდაკოვი. ღვთისმშობლის იკონოგრაფია. (რუსულ ენაზე). ტ. I, სპბ. გვ. 4; გვ. 49-50.

8 ნ. ვ. პოკროვსკი. ქრისტიანული იკონოგრაფიისა და ხელოვნების ძეგლების ნარკვევები, სპბ., 1900 წ., გვ. 261, გვ. 257-267; გვ. 450/51; გვ. 40; გვ. 67, 61; გვ. 22-23.

9 მ. ვ. ალპატოვი. ძველრუსული ფერწერა, მოსკოვი, 1978 წ., გვ. 8, 125.

10 ა. ა. შამარო. ხელოვნება ეკლესიის ეგიდის ქვეშ: ჭეშმარიტება აპოლოგეტიკის წინააღმდეგ. (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1981 წ., გვ. 6-7.

11 ო. ა. ანტონოვა. ხელოვნება და მართლმადიდებლობა. (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1983 წ, გვ. 17; გვ. 11.

12 ევროპული კულტურის ზოგადი ისტორია, ტ. V, გვ. 225 (ადოლფ იულიხერი).

13 დ. მ. უგრინოვიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 135-172, ა. ა. შამარო, დასახ. ნაშრ., გვ. 4-10. ო. ა. ანტონოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 3-18, ე. გ. იაკოვლევი, ხელოვნება და მსოფლიო რელიგიები. (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1985 წ., გვ. 255-263.

14 ვ. ნ. ლაზარევი. ბიზანტიური ფერწერა. მოსკოვი, (რუსულ ენაზე), 1971 წ., გვ. 24.

15 იოანე დამასკელი. მართლმადიდებლური სარწმუნოების უცილობელი გადმოცემა. (რუსულ ენაზე), სპბ., 1894, წ. გვ. 235.

16 შატბერდის კრებული, თბილისი, 1979 წ., გვ. 322, 350.

17 წმ. მოციქულთა, წმ. მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებების და წმ. მამათა წესების წიგნი. (სლავურ ენაზე), მოსკოვი, 1894 წ., გვ. 109-110.

18 რუსული ენციკლოპედიური ლექსიკონი ბროკჰაუზის და ეფრონის რედაქციით, წიგ. 24, გვ. 904.

19 ე. გ. იაკოვლევი. დასახ. ნაშრ., გვ. 93-94. ა. ფრიკენი, დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 183.

20 ნ. პ. კონდაკოვი. ღვთისმშობლის იკონოგრაფია, ტ. I, გვ. 19, ნ. ვ. პოკროვსკი, ქრისტიანული იკონოგრაფიის... ნარკვევები, გვ. 70-71; ა. ფრიკენი. დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 175-184; ჭ. ი. ჰემანსი, უძველესი ქრისტიანობა და წმინდა ხელოვნება იტალიაში. (ინგლისურ ენაზე), ლონდონი, 1866 წ., გვ. 54.

21 ა. პ. ლებედევი. თხზულებები. (რუსულ ენაზე), ტ. I, მოსკოვი, 1898 წ., გვ. 126. იხ. აგრეთვე, იოანე დამასკელი, დასახ. ნაშრ., დანართი II. გვ. 99.

22 ნ. ვ. პოკროვსკი, საეკლესიო არქეოლოგია, რუსულ ენაზე. პეტროგრადი, 1916, წ., გვ. 49, მისივე „ქრისტიანული იკონოგრაფიის... ნარკვევები“, გვ. 98-99.

23 ე. გ. იაკოვლევი, დასახ. ნაშრ., გვ. 93, ა. ფრიკენი, დასახ. ნაშრ., ნაწ. I, გვ. 11.

24 ნ. გ. ჩუბინაშვილი, ხანდისი. რუსულ ენაზე. თბილისი, 1972 წ., გვ. 86-89.

25 ა. ფრიკენი. დასახ. ნაშრ., ნაწ. III, გვ. 135-136.

26 ა. ფრიკენი. დასახ. ნაშრ., ნაწ. II. გვ. 167.

27 ვ. ნ. ლაზარევი, ბიზანტიური ფერწერის ისტორია. რუსულ ენაზე, ტ. I, 1947 წ., გვ. 45.

28 რუსული ენციკლოპედიური ლექსიკონი, ფ. ა. ბროკჰაუზის და ი. ა. ეფრონის რედაქციით, წიგ. 57, გვ. 269-270; ა. ფრიკენი. და-

სახ. ნაშრ., ნაწ. III; გვ. 169, შენიშვნა 2. ჩვენი წერილი. მნათობი, № 9, 1985 წ.

29 რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრ.

30 ა. ს. უვაროვი, ქრისტიანული სიმბოლიკა. რუსულ ენაზე. ნაწ. I, მოსკოვი, 1908 წ., გვ. 138-145; ა. ფრიკენი, დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 97-109; ა. მ. მირონოვი, ქრისტიანული ხელოვნების ისტორია, გვ. 54-56; ნ. ვ. პოკროვსკი, ქრისტიანული იკონოგრაფიის... ნარკვევები, გვ. 45-48, მისივე „საეკლესიო არქეოლოგია", გვ. 16-17.

31 ნ. ვ. პოკროვსკი, საეკლესიო არქეოლოგია, გვ. 9.

32 ა. ს. უვაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 103-104.

33 ა. ს. უვაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 189, 204-206; ა. ფრიკენი, დასახ. ნაშრ., ნაწ. II, გვ. 86.

34 ა. ვ. ივანოვი, სახელმძღვანელო ახალი აღთქმის შესწავლისათვის. რუსულ ენაზე. სპბ,. 1915 წ., გვ. 381-384, 470.

35 ნ. ა. ალადაშვილი, ქართული მონუმენტური სკულპტურა. რუსულ ენაზე. მოსკოვი, 1977 წ., გვ. 166-167.

ეროვნული

36 მ. ბარსოვის მიერ შედგენილი სტატიების კრებული აპოკალიფსის განმარტებითი კითხვისათვის. რუსულ ენაზე. მოსკოვი, 1902 წ., გვ. 58-59, 267.

37 ა. ს. უვაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 42-43.

38 რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრ., ე. ვ. ფედოროვა, ლათინური ეპიგრაფიკის შესავალი. რუსულ ენაზე. მოსკოვი, 1982 წ., გვ. 83.

39 ა. ივანოვი, სახელმძღვანელო ახალი აღთქმის წიგნების განმარტებითი კითხვისათვის. მოციქულთა ეპისტოლეები და აპოკალიფსი. რუსულ ენაზე. სპბ., 1893 წ., გვ. 139; გვ. 530.

40 ა. ს. უვაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 94-95.

41 ა. ლებედევი, თხზულებები, ტ. I გვ. 32.

42 რ. პატარიძე, ქება ქართული ენისა, მნათობი, № 1, 1987 წ.

43 ჩვენი წერილი, მნათობი, № 4, 1986 წ.

44. ა. ს. უვაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 40-43; გვ. 192-193.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ გოილაძე

# მიქაელი იყო „მღვდელი ჭეშმარიტი", მაგრამ არ იყო...

(რატომ უარყო ვახტანგ გორგასალმა ქართლის კათალიკოსად მიქაელი?)

მსოფლიოში ერთ-ერთმა უძველესმა ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ იმ ხანად ბიზანტიის იმპერიაში შემავალი ანტიოქიის ეკლესიისაგან ავტოკეფალია (დამოუკიდებლობა) ქართლის სახელგანთქმული მეფის ვახტანგ გორგასლის (431-491) ზეობაში მოიპოვა.

ავტოკეფალიის მოპოვების შემდეგ ქართლის ეკლესიის მეთაური კათალიკოსად იწოდა. ივ. ჯავახიშვილის თანახმად, აღმოსავლეთის ქრისტიანთა შორის „კათალიკოსი" დამოუკიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელის აღმნიშვნელი წოდებულება იყო (9,388).

ქართლის ეკლესიას კათალიკოსის ტიტულით ხანამ ახალი საჭეთმპყრობელი ჩაუდგებოდა სათავეში, ქართლში უჩვეულო ამბავი მოხდა. ვახტანგ გორგასლის სურვილმა ავტოკეფალური ეკლესიის პირველ კათალიკოსად მაინცდამაინც პეტრე დაესვა, ისე გაანაწყენა ქართლის მაშინდელი მთავარეპისკოპოსი — მიქაელი, რომ მან ჯერ მეფე და მისი ლაშქარი დაწყევლა, შემდეგ მეფეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

მეფესა და მთავარეპისკოპოსს შორის მომხდარი კონფლიქტი ქართულ ისტორიოგრაფიაში კონფესიურ ნიადაგზე აღმოცენებულად იყო მიჩნეული. მაგ., ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ მიქაელ მთავარეპისკოპოსს, რომელიც, ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი იყო, ვახტანგი მონოფიზიტური პოზიციებიდან დაუპირისპირდა (9,381). ს. ჯანაშიას თვალსაზრისით, ირანის წინააღმდეგ მებრძოლი ვახტანგი ბიზანტიური ორიენტაციისა იყო. იგი იმპერიაში გაბატონებულ ქალკედონურ მრწამსს უჭერდა მხარს. მიქაელი კი, პირიქით, მონოფიზიტი იყო (10, 115 — 116,292). ვახტანგ გორგასალს მონოფიზიტად თვლიდა კ. კეკელიძეც (2,838).

კონფლიქტი კონფესიურ ნიადაგზე აღმოცენებულად მიიჩნია მ. ლორთქიფანიძემაც. მისი ვარაუდით, ვახტანგს ირანში ყოფნის დროს შეიძლებოდა „იძულებით და მხოლოდ ფორმალურად" მიეღო მაზდეანობა (6,71).

მეფე — მთავარეპისკოპოსს შორის მომხდარი კონფლიქტის კონფესიურ საფუძველზე ახსნა სამართლიანად უარყო ზ. ალექსიძემ. „... არა გვაქვს არც ერთი ისეთი ცნობა, — წერს იგი, — რომელიც მხარს დაუჭერდა ვახტანგ გორგასლის მიქაელ მთავარეპისკოპოსთან კონფლიქტის დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის ბრძოლით ახსნას. უფრო მეტიც, ქრისტიანობის შიგნით მიმდინარე სექტანტურ პოლემიკას არავითარი კვალი არ დაუტოვებია ამ ხანის თანადროულ ერთადერთ და უმნიშვნელოვანეს ძეგლზე — „შუშანიკის მარტვილობა". ამ ძეგლის სრული ნეიტრალობა აღნიშნული ბრძოლის მიმართ ჩვენ ირიბი მითითება გვგონია იმაზე, რომ V ს-ის მეორე ნახევრის ქართლში შინა ქრისტიანული დოგმატიკის საკითხები საკამათო არა ყოფილა" (1,107).

კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების ძიებისას ა. კოხრეიძემ დაასკვნა, „... რელიგიური აღმსარებლობა ორ პოლიტიკურ მოღვაწეს, როგორც ვახტანგ გორგასალს, ისე მიქაელ მთავარეპისკოპოსს დიოფიზიტური ჰქონდა" (1,42).

ახე რომ, დღეისათვის გადაწყვეტილად შე-

ძლეობა შეითვისოს, — ვახტანგ გორგასლისა და მთავარეპისკოპოსის შორის კონფლიქტი კონფესიურ ნიადაგზე არ მომხდარა. მაშ რა უნდა ყოფილიყო კონფლიქტის მიზეზი?

ვნახოთ თვით „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების" ავტორის ჯუანშერის ცნობები.

ჯუანშერის თანახმად, ირანიდან მომავალი (486 წ.) ვახტანგი რიცა მოადგა „განხაყოფულხა ბერძენთა და სომეხთასა". კონსტანტინოპოლში „წარავლინა მოციქული" პეტრესთვის კათალიკოსისა და სამოელ ეპისკოპოსისა" (ესენი ვახტანგმა ბიზანტიის წინააღმდეგ 468-456 წლების ლაშქრობისას გაიცნო). თვით „წარმოადგა ქართლად" ქართლის ეპისკოპოსმა მიქაელმა, — განაგრძობს ჯუანშერი, „ვითარცა ცნა... ვითარმედ წარავლინა მეფემან მოციქული მოყვანებად „კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა, დაუმძიმდა მას ზედა. და იწყო რიცა ამბოხებად და მიზეზობად". განაწყენებულმა მიქაელმა მეფეს ცეცხლთაყვანისმცემლობაზე გადასვლაში დასდო ბრალი. „შენ დაგიტევებია ქრისტე და ცეცხლსა ესავ". ვახტანგი პასუხობს, რომ „ძალითა ქრისტესითა შევედ და სიმართლით გამოვედ ძალითვე ქრისტესითა, და უბრალო ვარ, ღმერთმან იცის!" ამის შემდეგ ვახტანგი დასძენს, რომ მან მოციქული გაგზავნა კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა მოსაყვანად (11,198).

„ვითარცა ესმა ესე ეპისკოპოსსა", და, როგორც ჯუანშერი წერს, „დაიდასტურა", რომ კათალიკოსის მოყვანის ამბავი მართალი იყო, „ერთულ ყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი". ვახტანგმა მაინც სცადა მიქაელთან ვითარება არ გაემწვავებინა. ..... სიმდაბლე ჯერ არს ჩვენდა". ხოლო მან, „გარდახდა სახედრისა" და მივიდა რათა მთავარეპისკოპოსის ფეხს მოხვეოდა. მიქაელმა კი „განსძრა ფეხი, და მიამთხვა პირსა მეფისასა ფანდაკითა და შემუსრა კბილი მისი" (11,196).

მხოლოდ ფიზიკური შეურაცხყოფის შემდეგ ეუბნება ვახტანგი მიქაელს: შენი სივერაგე „მაშინ გამოჩნდა ცხადად, რაჟამს გესმა უმთავრესისა შენისა ქართლად მოყვანება, და აღეგზნენ შურითა ბოროტად,... ვეცხლის მოყვარე ხარ შენ, რამეთუ შენცა შეგვაძლრიუც ხარ ქრისტესი. აწ მივავლინეთ შენ პატრიაქისა კონსტანტინეპოლელთა და, ვითარცა ჯერ იყოს, განგიკითხოს" (11, 197).

ვახტანგმა მიქაელი კონსტანტინოპოლში გაგზავნა და მიქაელთან ერთად წარგზავნილი დესპანების პირით იმპერიის ხელისუფალთ შეუთვალა, რომ კათალიკოსი და ეპისკოპოსები გამოეგზავნათ. თანაც მის მიერ ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობისას პონტოში გაცნობილი პეტრე აუცილებლად კათალიკოსად, ხოლო სამოელი (პეტრეს შემდეგ ქართლის საკათალიკოსო კათედრა მან დაიკავა) ეპისკოპოსად უყოვნელად ხელდასხმული ... რჩეული ეპისკოპოსი თქვენ ვინც ... ნი იყვნენო (11,197).

ჯუანშერის თხზულებიდან ... ცნობები, როგორც ვხედავთ, მართლაც არ იძლევიან საფუძველს მეფე და მთავარეპისკოპოსის განსხვავებული მრწამსის აღმსარებლობად მივიჩნიოთ.

მაშ რამ გამოიწვია კონფლიქტი? რა მიზეზით, რატომ უარყო ვახტანგმა ქართლის ავტოკეფალური ეკლესიის პირველ საჭეთმპყრობელად მიქაელის კანდიდატურა?

ქ. კეკელიძის თანახმად, „ვახტანგმა იმიტომ აუარა გვერდი მიქაელის კანდიდატურას, რომ მისი უკმაყოფილო იყო, მაგრამ მიზეზი ამ უკმაყოფილებისა იყო არა მათი სარწმუნოებრივი შეხედულების სხვადასხვაობა, არამედ ის გარემოება, რომ მიქაელს, როგორც მემატიანეც გადმოგვცემს, ვახტანგის ქრისტიანობაში ეჭვი შეუტანია და ალბათ სპარსეთიდან დაბრუნებამდე შეუჩვენებია კიდეც იგი". (2,887).

ზ. ალექსიძე მიქაელის გადაყენების მიზეზად მის დიდ ავტორიტეტსა და სიმდიდრეს თვლის. მისი აზრით, მანიქეველობისა და მაზდეანობის წინააღმდეგ ბრძოლამ დიდი სიმდიდრე და ავტორიტეტი მოუხვეჭა ქართლის ეპისკოპოსს და ვახტანგის ღონისძიება მის შესაცვლელად ამით იყო გამოწვეული (1,108). ზ. ალექსიძის ეს მოსაზრება გაიზიარა ი. ლოლაშვილმა (5,88). იგი თვლის, რომ მიქაელის „ეს მომხვეჭელობითი ხწრაფვა და დაუმსახურებელი განდიდება" ვახტანგმა ჯერ კიდევ ირანში ყოფნისას გაიგო. ამიტომ იყო, ირანიდან მომავალმა მეფემ მიქაელთან შეუთანხმებლად, გზიდანვე რომ გააგზავნა ბიზანტიაში მოციქული და პეტრეს კათალიკოსად ხელდასხმა ითხოვა. ი. ლოლაშვილისავე აზრით, მეფე-მთავარეპისკოპოსის კონფლიქტი „საინტერესო ფაქტია კლასთა ბრძოლის ისტორიის გასათვალისწინებლადაც". „მიქაელმა, — წერს იგი, — ქართლის ეკლესია გადაქცია რა თავისი გამდიდრების წყაროდ, მას მიბაძეს ქართლის წარჩინებულებმაც და ასე მიიღო მათ ხელში ქრისტიანულმა სარწმუნოებამ რეაქციული ხასიათი. მიქაელი და მისი მრევლის დიდებულები, — ასკვნის იგი, — უდავოა, დაბალი ფენების ჩაგვრით, მოტყუებითა და ანგარებით უნდა გამდიდრებულიყვნენ" (5,69).

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (ტ. 7) მიქაელისადმი მიძღვნილ სტატიაში ბ. ლომინაძე წერს: „მიქაელი უფლებისა და სიმდიდრის მოყვარული მღვდელთმთავარი ყოფილა. არ ემხრობოდა ვახტანგ გორგასლის საეკლესიო-სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, რომელიც ზღუდავდა ეკლესიის დამოუკიდებლობასა და უზომოდ გაზრდილ მიწისმფლობელობას. მეფესა და მიქაელს შორის უთანხმოება ისე გამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვავდა, რომ განაწყენებულმა ეპისკოპოსმა მასთან საამბორებლად მისულ ვახტანგს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა“.

ა. კოხრეიძის აზრით, მეფე-მთავარეპისკოპოსის „შეტაკებას საფუძვლად ედო ძალაუფლებისათვის ბრძოლა. მღვდელმთავარმა... ძალაუფლება ნებაყოფლობით არ დათმო და ქართლის მეფე იძულებული იყო იგი ტახტიდან გადაეყენებინა“ (4,42).

მიქაელის გალიზიანება თ. ჟორდანიამ ძალაუფლების დაკარგვით ჯერ კიდევ ამ საუკუნის დამდეგს ახსნა. „ქართლის მაზინდელმა არქიეპისკოპოსმა, — წერს იგი, — წარმოშობით ბერძენმა მიქაელმა გაიგო რა ვახტანგის განზრახვა კათალიკოსობის დაწესების შესახებ, რის შემდეგაც ის მეორე პირი გახდებოდა ქართლში, გაბრაზებულმა დაწყევლა მეფე“ (12,2).

მეფისა და მთავარეპისკოპოსის კონფლიქტს ძალაუფლებისათვის ბრძოლა რომ ედო საფუძვლად, ეს აშკარაა. ჯუანშერის ცნობებიდან სხვაგვარი დასკვნის გამოტანა ძნელია. ქართლის მთავარეპისკოპოსის გაცხარებამ ხომ მაშინ მიაღწია უმაღლეს წერტილს, როცა მან ვახტანგის მიერ კონსტანტინოპოლში პეტრესა და სამოელის ჩამოსაყვანად მოციქულთა გაგზავნა „დაიდასტურა“. ქ. კეკელიძის სამართლიანი მითითებით, „კათალიკოზობის შემოღება ჩვენში იმის შედეგი კი არ იყო, ვახტანგს მიქაელმა შეურაცხყოფა რომ მიაყენა, პირიქით, შეურაცხყოფა იყო შედეგი იმისა, რომ მან კათალიკოზობის შემოღება განიზრახა“ (9,887).

დაუშვათ, ვახტანგსა და მიქაელს შორის კონფლიქტი არ მომხდარიყო (ასეთი ვარაუდი, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაშია დასაშვები თუ მიქაელი ვახტანგის მიერ კონსტანტინოპოლში მოციქულთა გაგზავნის ამბავს ვერ შეიტყობდა), ვახტანგი ქართლის ავტოკეფალური ეკლესიის პირველი საჭეთმპყრობელის პოსტზე დაუჭერდა მხარს მიქაელის კანდიდატურას?

მ. ლორთქიფანიძეს ასეთი რამ შესაძლებლად მიაჩნია. „...ვახტანგსა და ქართლის მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტური სიტუაცია რომ არ ყოფილიყო, — წერს იგი, — მეფე ალბათ მასვე აღაზევებდა კათალიკოსად“ (6,67).

ივ. ჯავახიშვილს უცნაურად ეჩვენება პეტრეს კათალიკოსად ხელდასხმასთან ერთად ვახტანგმა რატომ მოითხოვა სამოელის (ასევე თორმეტი სხვა პირის) ეპისკოპოსად კურთხევა. ეს ამბავი, — წერს იგი, — „...კაცმა რომ თქვას, კათალიკოსობის დაწესების ამბავს არ მიაგავს, არც შეეფერება. გაუგებარია... რატომ გაიგზავნა პეტრესთან ერთად სამუელიც რაკი კათალიკოსად სწორედ პეტრე უნდა ყოფილიყო ხელდასხმული?“. „ყველა ეს გარემოება, — დასძენს ივ. ჯავახიშვილი, — უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ზემოდასახელებულ ძეგლში საქმის ვითარება სისწორით არ უნდა იყოს წარმოდგენილი“ (9,874). კათალიკოსობის დაწესება რომ ნორმალური გზით და ბუნებრივ პირობებში მომხდარიყო უფრო მოსალოდნელი იყო, რომ ვინც ქართული ეკლესიის ეპისკოპოსთა თავი იყო, მიქაელი, სწორედ ის გამხდარიყო კათალიკოსად. მაგრამ ვახტანგს ეს, ცხადია, რაიმე მიზეზის გამო, უარუყვია და საკათალიკოსოდ სხვა პირი განუზრახავს“ (9,875).

რა მიზეზით უარყო ვახტანგმა კათალიკოსად მიქაელი, ივ. ჯავახიშვილი არ წერს. ჯუანშერის ცნობათა გაანალიზების საფუძველზე მისი დასკვნა ასეთია: „ვახტანგ გორგასალი ჯერ საქართველოში მოსული არ იყო, რომ გზიდანვე კათალიკოსად განზრახულ პეტრესათვის და მომავალ ეპისკოპოზ სამოელისათვისაც მოციქული გამოუგზავნია...“. „ჯუანშერის ცნობიდან ცხადი ხდება, რომ ვახტანგ გორგასალს საქართველოში კათალიკოზობის დაწესების გეგმა შემთხვევით კი არ გაჩენია და მთავარეპისკოპოზის ბრიყვ საქციელს კი არ გამოუწვევია იგი, არამედ უკვე სპარსეთიდან წამოსვლისთანავე და მიქაელის უკადრისობამდე ვახტანგ მეფეს ამნაირი განზრახვა ჰქონია... თუნდაც რომ მიქაელ მთავარეპისკოპოზს თავისი უკადრისობა არც კი ჩაედინა, ვახტანგ გორგასალი თავის გეგმას მაინც იმავე სახით და იმავე პირთა საშუალებით განახორციელებდა“ (9,874).

ზემოაღნიშნულიდან აშკარაა, ირანიდან მომავალმა ვახტანგმა გააგზავნა რა იმპერიაში მოციქული მოთხოვნით პეტრე კათალიკოსად ეკურთხებიათ, იმ ხანად მას სულაც არ ჰქონდა მიზნად ქართლის მთავარეპისკოპოსთან ურთიერთობა გაემწვავებინა. თუმცა, როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, ქართლის მეფემ „ცხადია რაიმე მიზეზის გამო უარყო მიქაელი და საკათალიკოსოდ სხვა პირი განიზრახა“. მაგრამ, ვახტანგს რა ჰქონდა ისეთი მიზეზი, მიქაელის კანდიდატურა რომ უარყო ქართლის ავტოკეფალური ეკლესიის პირველ საჭეთმპყრობლად?

მიქაელის მრწამსზე ეჭვს ვერ შევიტანთ. ჯუანშერის ცნობიდანაც ჩანს და მიქაელის შესახებ უფრო გვიან შექმნილი ტრადიციაც მოწმობს, იგი შეურყეველი დიოფიზიტი რომ იყო. მიქაელის, როგორც რელიგიური მოღვაწისადმი, მეფეს არავითარი პრეტენზია არ ჰქონდა. „...ვახტანგ, — წერს ჯუანშერი, — იზრდებოდა და ისწავებდა მიქაელ ეპისკოპოსისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა, და სიყრმისავე დღეთა შეიყვარა სჯული ქრისტესი უფროის ყოველთა მეფეთა ქართლისათა“ (11,146). ჯუანშერისავე ცნობით, ვახტანგის მცირეწლოვნებისას, როცა ქართლი გაჭირვებული იყო, „შეერია ქართლს წურილს ერსა ცეცხლის —

მსახურება", სწორედ „მაშინ მოიყვანა მღდელი ჭეშმარიტი საბერძნეთით, სახელით მიქაელ, და დაადგინა იგი ეპისკოპოსად" (11,145).

მიქაელი როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, ძველ ქართულ მწერლობაში სახელგანთქმულ და შარავანდით მოსილ საეკლესიო მოღვაწე პიროვნებად იყო მიჩნეული. იგი მოშურნე მართლმადიდებელი, ე. ი. ქალკედონიანი მღვდელთმთავარი ყოფილა, რომელიც ყოველგვარ მწვალებლობას თავგამოდებით ებრძოდა" (9,378). ივ. ჯავახიშვილისავე სიტყვით, მიქაელი „ერთ-ერთ მოქმედ პირთაგან გვევლინება... საპოლემიკო ნაწარმოებში „უწყებაჲ სუმბულის ძისა სარგისის-თჳს", იხსენიება... ღრტილის საპაექრო კრების აღწერილობაში" (9,378), „...ქართული გადმოცემა მიქაელ მთავარეპისკოპოზს ქალკედონიანობის... ბურჯად სთვლიდა და მას ნეტარსაც კი უწოდებდა" (9,880).

ვახტანგს, მართალია, მიქაელი კათალიკოსად არ სურდა, მაგრამ, როგორც ჯუანშერის ცნობებიდან ჩანს, მას არც მიქაელის მომდურება უნდოდა. ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებამდე ვახტანგი მიქაელის წინაშე დამთმობია. მიქაელის გაცხარებას იგი თავიდან მორიდებულად ხვდება. „სიმდაბლე ჯერ არს ჩუენგან, ამბობს მეფე და აპირებს მიქაელის ფეხს ემთხვიოს. მიქაელმა როცა ფეხი „მიამთხვა პირსა მეფისასა ფანდაკითა და შემუსრა კბილი მისი", ვახტანგმა მხოლოდ მაშინ უთხრა მიქაელს: შენი სივერაგე „მაშინ გამოჩნდა ცხადად, რაჟამს გესმა უმთავრესისა შენისა ქართლად მოყვანება, და აღეგზენ შურითა ბოროტად". ვახტანგის ძირითადი ბრალდება ესაა. როგორც თ. ჟორდანია წერდა, მიქაელი ძალაუფლების დაკარგვამ გაალიზიანა. ქართლის კათალიკოსად ვახტანგის მიერ არჩეული პეტრეს ქართლში ჩამოსვლის შემდეგ, მიქაელი თუ კვლავ ქართლში დარჩებოდა, იგი რიგითი ეპისკოპოსი იქნებოდა. მიქაელი ხომ მხოლოდ მაშინ განეწყო მეფის წინააღმდეგ, როცა ქართლის კათალიკოსად პეტრეს მოყვანის ამბავი „დაიდასტურა", შემდეგ „კრულ ყო მეფე და ყოველი სპანი მისნი".

ვახტანგის მიერ მიქაელისადმი „ვერცხლისმოყვარეობაში" ბრალის დადება აქ გადამწყვეტი არაა. მეფე მთავარეპისკოპოსს ამ სიტყვებს არ ეტყოდა კონფლიქტს მწვავე ხასიათი რომ არ მიეღო. ჯუანშერის ცნობებიდან არა ჩანს: არც მიქაელის „უფლებისა და სიმდიდრის მოყვარეობა" და მის მიერ ვახტანგის „საეკლესიო-სახელმწიფოებრივ პოლიტიკისადმი შეწინააღმდეგება". რა თქმა უნდა, არავითარი საფუძველი არა გვაქვს კონფლიქტში „კლასთა ბრძოლის ფაქტი" დავინახოთ.

გასათვალისწინებელია ისიც, იმპერიაში ჩასულ მიქაელს კონსტანტინოპოლის პატრიარქიც მხოლოდ მეფის შეურაცხყოფაში რომ სდებს ბრალს და მის ვერცხლისმოყვარეობასა და სიმდიდრის დაგროვებაზე არაფერს ამბობს. ქართლის კათალიკოსის ტახტზე მიქაელის კანდიდატურის უარსაყოფად არც გამოგვადგება კ. კეკელიძის მოსაზრება მიქაელის მიერ ვახტანგის ქრისტიანობაში დაეჭვების შესახებ.

ასე რომ, როგორც ჯუანშერის ცნობები, ისე ქართლში მიქაელის შესახებ გვიან შექმნილი ტრადიცია საფუძველს არ გვაძლევს მიქაელის მეფისა და ქრისტიანობის ერთგულებაში დავეჭვდეთ, ან მიქაელს ისეთი რამე ჩაედინოს, რაც მეფეს გაანაწყენებდა. მაშინ, რა მოტივით ხელმძღვანელობდა ქართლის მეფე, როცა ქრისტიანობის წინაშე დამსახურებული, მისი აღმზრდელი პიროვნების მაგიერ ქართლის პირველ კათალიკოსად მაინცდამაინც პეტრეს (ხოლო მის შემდეგ სამოელის) დასმა რომ მოინადინა?

ვახტანგის ასეთი სურვილი შეიძლებოდა იმით გაგვემართლებინა, იგი პეტრეს ბიზანტიის წინააღმდეგ მოწყობილი 458-456 წლების ომის დროიდან რომ იცნობდა და ქრისტიანულ საკითხებზე კამათისას, პეტრემ მასზე დიდი შთაბეჭდილება რომ მოახდინა. მაგრამ, საკითხს თუ ამ კუთხით მივუდგებით, მაშინ მიქაელი ხომ ვახტანგის აღმზრდელი იყო და ვახტანგი მას გაცილებით ადრე იცნობდა. აღნიშნულთან ერთად, რა თქმა უნდა, არც მიქაელს ექნებოდა ქრისტიანულ საკითხებში პეტრეზე ნაკლები ცოდნა. თანაც, როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, მიქაელი ხომ ქალკედონური მრწამსის თავდადებული დამცველი იყო. რის გამოც, მას დიდი პატივისცემა დაუმსახურებია არა მარტო თანამედროვეთა, არამედ შემდეგი დროის ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა შორისაც. თუ დამსახურების მხრივ მივუდგებით, მიქაელს, რა თქმა უნდა, შეუდარებლად მეტი დამსახურება ჰქონდა ქართლის ეკლესიის წინაშე, ვიდრე ქართლის მომავალ კათალიკოსს — პეტრეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, ვახტანგის დაჟინებული სურვილი ქართლის პირველ კათალიკოსად მაინცდამაინც პეტრე დაესვა, მართლაც უცნაურად მოგვეჩვენება თუ პონტო — კაპადოკიის მოსახლეობის ქართველური წარმომავლობის შესახებ უძველესი დროიდან არსებულ მითითებებს არ გავითვალისწინებთ.

ბიზანტიის წინააღმდეგ 458-456 წლების ლაშქრობაში, როგორც ეს ჯუანშერის ცნობებიდან ჩანს, ირანის მფლობელობაში მყოფი ამიერკავკასიის ქვეყნების (შემდეგში ირანის ჩრდ. ქუსტაკი) ლაშქარი მონაწილეობდა. ლაშქრობის საერთო ხელმძღვანელი ვახტანგის ბიძა, რან-ქართლის მარზპანი ვარაზ-ბაკური იყო.

სწორედ ამ ლაშქრობისას გაიცნო ვახტანგმა პეტრე (იგი, ჯუანშერის ცნობით, გრიგოლ

ღვთისმეტყველის საფლავზე მღვდლობდა)[1] და „სამოელ მონაზონი“ (11,168-164). როგორც ჯუანშერი წერს, ისინი თვით წარსდგნენ მეფის წინაშე და „ტყუეთა განტევება“, „ეკლესიათა და მღდელთა“ განთავისუფლება სთხოვეს. ვახტანგმა მათი თხოვნა არა თუ შეასრულა, დამატებით „უბლურთა მისცა სახედრები და ჭაბუკთა სამ-სამი დრაჰკანი, და განუტევა. ხოლო პეტრე მღდელი და სამოელ მონაზონი მის თანა დაიჭირნა“ (11,164). ამის შემდეგ, როგორც ითქვა, პეტრე კაპადოკიელმა რელიგიურ საკითხებზე კამათისას დიდი გავლენა მოახდინა ქართლის მეფეზე. მანვე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმპერიასთან ზავის დადების საქმეში.

ამ ომიანობის დროს, როგორც ეს ჯუანშერის ცნობებიდან ჩანს, საბრძოლო ოპერაციები პონტო-კაპადოკიის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა და ვახტანგი განსაკუთრებული სიფრთხილით ექცეოდა ადგილობრივ მოსახლეობას. ვახტანგის ასეთი მოქმედება, კ. კეკელიძის სამართლიანი მითითებით, ადგილობრივი მოსახლეობის ქართველობით უნდა ყოფილიყო განპირობებული (3,14).

აი, რატომ უნდოდა ვახტანგს ქართლის ავტოკეფალური ეკლესიის პირველ კათალიკოსად მაინცდამაინც პეტრე კაპადოკიელის (შემდეგ კი სამოელ კაპადოკიელის) დასმა. ამით უნდა აიხსნას, როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, „... თუნდაც მიქაელ მთავარეპისკოპოზს თავის უკადრისობა არც კი ჩაედინა, ვახტანგ გორგასალი თავის გეგმას იმავე სახით და იმავე პირთა საშუალებით რომ განახორციელებდა“.

ქართლში ქრისტიანობა ბიზანტიის იმპერიაში შემავალი, ანტიოქიის ეკლესიას დაქვემდებარებული პონტო-კაპადოკიის უძველესი ქრისტიანული ცენტრებიდან შემოვიდა. ამ ცენტრებიდან გამოსულმა მისიონერებმა იქადაგეს ქრისტიანობა საქართველოში და, ცხადია, ქართლის პირველი ეპისკოპოსი იოანეც, ამიტომ იმპერიის ტერიტორიაზე იქნა ხელდასხმული ევსტათი ანტიოქიელის მიერ. ამ აქტით ქართლის ეკლესიაზე იმპერიის (კერძოდ კი ანტიოქიის) ეკლესიის ზემდგომობა დამყარდა. ამ დროიდან მოკიდებული ქართლის ეკლესიის მეთაურებად იმპერიიდან გამოგზავნილი ბერძენი სასულიერო მოღვაწეები ინიშნებოდნენ. ერთ-ერთი ასეთი იყო ვახტანგის მცირეწლოვნობის ჟამს „საბერძნეთით მოყვანილი“ „მღვდელი ჭეშმარიტი“ მიქაელი.

პეტრეს კათალიკოსად კურთხევის შემდეგ, ქართლის ეკლესია — ავტოკეფალური, იმპერიის ეკლესიისაგან დამოუკიდებელი ხდებოდა, თუ ვახტანგი ამ თანამდებობაზე ისევ ბიზანტიიდან გამოგზავნილ ბერძენ მიქაელს დატოვებდა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას არსებითად სახე ეკარგებოდა. ავტოკეფალია ხომ იმას ნიშნავდა, რომ მომავალში ქართლის ავტოკეფალური ეკლესიის საჭეთმპყრობლებიც ქართველები უნდა ყოფილიყვნენ. ამიტომ, ვახტანგ გორგასალს ქართლის ავტოკეფალური ეკლესიის პირველ საჭეთმპყრობლად მაინცდამაინც პეტრე კაპადოკიელი რომ ჰყავდა დასახული, ხოლო მის შემდეგ, ეს სახელო ისევ პეტრეს თანამემამულეს სამოელს რომ უნდა მიეღო, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო. ბერძენი სასულიერო მოღვაწეების შემდეგ ქართლის ეკლესიის მეთაურებად პეტრე და სამოელ კაპადოკიელების დანიშვნით, ქართლის ეკლესიის მმართველობაში ვახტანგს, როგორც ჩანს, ერთგვარი გარდამავალი ხანის შექმნა სურდა. იმპერიის სასულიერო იერარქთა თვალში პეტრე და სამოელი თუ ისევ იმპერიის ეკლესიის წარმომადგენლები იყვნენ, ვახტანგსა და ქართლის მაშინდელ მოსახლეობას ისინი, უეჭველია, ქართველებად მიაჩნდათ. იმპერიის დიდ ქრისტიანულ ცენტრებში სასულიერო განათლებას ზიარებული პეტრე და სამოელი დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ ქართულ ეკლესიას დიდ ავტორიტეტს უქმნიდნენ. როგორც ჯუანშერი წერს, პეტრე ადრე ხომ მთელ ქრისტიანულ სამყაროში ცნობილი ისეთი პიროვნების საფლავზე აგებულ ეკლესიაში მღვდლობდა, როგორიც გრიგოლ ღვთისმეტყველი იყო.

ვახტანგმა ქართლის მომავალი კათალიკოსი პეტრე, როგორც ითქვა, ბიზანტიის წინააღმდეგ 458-456 წწ. ომის დროს გაიცნო პონტოში და სწორედ ამ დროს დასახა იგი ქართლის ავტოკეფალური ეკლესიის პირველ მეთაურად. მაგრამ, 456 წელს ბიზანტიასთან ომის დამთავრებისა და ზავის დადების შემდეგ, ჯერ ირანის შაჰი შემოვიდა ქართლში დიდი ლაშქრით და ირანელებმა მხოლოდ ქართველთა დასახმარებლად წამოსული ბიზანტიის სამხედრო ძალების მოახლოების შემდეგ შეწყვიტეს ბრძოლა და ვახტანგს დაუზავდნენ. შემდეგ ვახტანგმა 8 წელი, ირანის შაჰთან ერთად, ჰუნების წინააღმდეგ იბრძოლა. ასე რომ, 456 წლიდან მოკიდებული ვახტანგმა მხოლოდ 468 წელს შეძლო კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარისათვის ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გამოეთხოვა. თუმცა, ამ საკითხის საბოლოო

1 თუ ჯუანშერის ცნობით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ პეტრე გრიგოლ ღვთისმეტყველის (გრიგოლ ნაზიანზელი) საფლავზე მღვდლობდა. გრიგოლის საფლავი კი კაპადოკიის დედაქალაქ კესარიის (ახლანდ. კაისარი, ცენტრალურ თურქეთში) დასავლეთით მდებარე პატარა ქალაქ ნაზიანზში (ძვ. ქართ. წყაროების ანძიანძი) მდებარეობდა და მიუხედავად იმისა, რომ პეტრე და სამოელი ვახტანგმა პონტოში გაიცნო, პეტრე კაპადოკიელ მოღვაწედ უნდა ჩაითვალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაჭრა, როგორც ეს სპეციალურმა კვლევა-ძიებამ ცხადყო, მხოლოდ 482 წელს გამოქვეყნებული „ჰენოტიკონის“ („ერთობის ფორმულა“) შემდეგ გახდა შესაძლებელი და პეტრე და სამოელი ქართლში 482 წლის შემდეგ ჩამოვიდნენ.

როგორც ჯუანშერის თხზულებიდან ჩანს, პეტრე და სამოელ კაპადოკიელთა შემდეგ, ქართლის კათალიკოსებად ერთხანს, ისევ არა-ქართველები — თავფეჩაგი და ჩერმაგი მსხდარან, მაგრამ ჩერმაგის გარდაცვალების შემდეგ, ფარსმან მეფეს (VI ს. 20-იანი წლების ბოლო) კათალიკოსად ქართველი საბა დაუსვამს. „აქათგან არღარა მოიყვანებდეს კათალიკოსსა საბერძნეთით, — წერს ჯუანშერი, — არამედ ქართველნი დასხდებოდეს, წარჩინებულთა ნათესავნი“ (11.207). იგივეა ნათქვამი „მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს მატიანეში. ფარსმან სხუას დროს „კათალიკოზი იყო დასაბია მკჳდრი მცხეთელი და აქაჲთგან ორთა სახლთა აღილეს კათალიკოზობაჲ მცხეთელთა მკჳდრთა“ (7,326). ხოლო „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში პირდაპირაა მითითება, რომ „მოკვდა ჩიმაქ კათალიკოსი და დასვეს კათალიკოსად, ანდ(ი) ის (ე. ი. ანტიოქიის ვ. გ). გარეშე, საბა. ამის შემდეგ თვითონ ქართველები აყენებდნენ კათალიკოსს ერისთავთა გვარიდან“ (8, 188).

ამრიგად, ვახტანგის სურვილმა ქართული ავტოკეფალური ეკლესიის პირველ საჭეთმპყრობლად მაინცდამაინც კაპადოკიელი სასულიერო მოღვაწეები — პეტრე და სამოელი ყოფილიყვნენ, გაამართლა. მათი ქართლში მოსვლით, დაირღვა IV ს-ის დამდეგიდან შექმნილი ტრადიცია, რომლის თანახმადაც, ქართლის ეკლესიის მეთაურებად ბიზანტიელი (ბერძენი) სასულიერო მოღვაწეები ინიშნებოდნენ. ქართლის ავტოკეფალური ეკლესიის პირველ მეთაურებად პეტრე და სამოელ კაპადოკიელების მოღვაწეობის შედეგად ქართლის ეკლესიის მმართველობის ისტორიაში შეიქმნა გარდამავალი ხანა, რის შემდეგაც, ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობლებად „მცხეთელი მკვიდრები“ ინიშნებოდნენ. ეს აქტი, V ს-ში ვახტანგ გორგასლის დიდი ავტორიტეტის წყალობით მოპოვებულ ავტოკეფალიასთან ერთად, ქართული კულტურის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. ვახტანგ გორგასლის ასეთი ნაბიჯი იმის მაჩვენებელიცაა, თუ როგორი ღრმა იყო ქართული ეროვნული თვითშეგნება V საუკუნის საქართველოში.

მითითებული ლიტერატურა


1 ალექსიძე ზ., ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტის გამო, ძიებანი სა. და კავკ. ისტორიიდან, თბ., 1976.

2 კეკელიძე კ., კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957.

3 კეკელიძე კ., მეოთხე საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე, ეტიუდები..., VI, თბ., 1960.

4. კოხრეიძე ა., რამ გამოიწვია ვახტანგ გორგასალისა და მიქაელ მთავარეპისკოპოსის კონფლიქტი, ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში, 1980, № 1.

5 ლოლაშვილი ი., ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან, თბ., 1978.

6 ლორთქიფანიძე მ., ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979.

7 მოქცევაჲ ქართლისაჲ, შატბერდის კრებული, თბ., 1979.

8. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1953.

9. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბ., 1979.

10. ჯანაშია ს., შრომები, I, თბ., 1949.

11 ჯუანშერი, ცხოვრებაჲ ვახტანგ გორგასლისა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, თბ., 1955.

12 Жордания Ф., Краткие исторические сведения об автокефалии грузинской церкви, Кутаис, 1905.



რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11, მთ. რედ. მოადგილის — 98-55-18, პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 98-55-15; 98-55-17.

გადაეცა ასაწყობად. 4. 03. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 2. 04. 87 წ. ანაწყობის ზომა 7¼X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 09572. ტირაჟი 32.000. შეკვ. 588. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

ფასი 80 კაპ.

ინდექსი 76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ